რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი IV

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-247-3 (IV ტომი)

რედაქტორი: **ნანა სუხიტაშვილი**
ნათელა თუხარელი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ლია სულაქველიძე

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

პანღური

მატარებელი თითქოს შემოიპარაო, ძლივგასაგონი ტკაცუნით მოირწეოდა ძელქვიანის ძველთაძველ ბაქანზე.

მორიგეს მატარებლის შემოსვლის გამოცხადება დაავიწყდა და, კაცმა რომ თქვას, არც იყო საჭირო. რა გადატვირთული სადგური ეს იყო. ორად ორი მატარებელი ჩამოდიოდა ამ დროს, რვის ნახევარზე – „თბილისი-ძელქვიანი“ და ნასადილევს – „ტყიბული-ძელქვიანი“.

მაღალი, თაგვისფერსვიტრიანი კაცი, რომელიც ახლა მეთერთმეტე, ნახევრადრბილი ვაგონის კიბეზე იდგა და უმიზნო ღიმილით გაჰყურებდა წვიმას, ძელქვიანში პირველად იყო.

მატარებლის გაჩერებამდე ჩამოხტა, საწვიმრის ღილები გულმოდგინედ შეიკრა, თითქმის ცარიელი, უზარმაზარი ჩანთა (ზედ გამოსაჩენ ადგილზე „სსრკ“ რომ ეწერა) მარჯვენა ხელში დაიჭირა და სხვებივით დამხვდური კი არ უძებნია, პირდაპირ გასასვლელისკენ გაუტია.

თითქოს მატარებლის ჩამოსვლას უცდიდაო, წვიმა მთლად გადაირია.

სტუმარს, რაც მატარებელი აჯამეთს გამოსცდა, ყურში მხოლოდ და მხოლოდ „წვიმა“ ესმოდა, ახლაც, ხომ წინ და უკან თავგამეტებით გარბი-გამორბოდნენ ჩამომსვლელ-დამხვდურნი, თითქოსდა სხვა სალაპარაკო არაფერი აქვთო, წამდაუწუმ წვიმას ახსენებდნენ.

„დიდი ხანია წვიმს აქეთ?“

„დღეს და გუშინ არ გადოუღია“.

„იქით რას შობა?“

„გაგიგონია? წიფის გვირაბს იქეთ ტალახს წამლად ვერ იშოვი“.

„ყველაფერი უნაირო იცის მაინც ამ დასაქცევში!“

„რავა?!“

„წვიმას დეიწყებს, გადაღება აღარ ახსოვს, ქარი დაუბერავს, სანამ სულს არ ამოგიყვანს ყელში, არ ჩადგება!“

„სად მიხვალ?!“

„მივდგები აგერ, პატარა ხანს, ეგება ცოტა მაინც მოითქვას წვიმამ სული“.

„მეტი არაა ჩემი მტერი. მაგის იმედზე ქე დააღამებ ამ სადგურში“.

„მოიცა, ქალო, არ გაგვექცევა სახლი, ნუ გეშინია!“

„წამოდი, კაცო, წამოდი. არ დაგადნობს წვიმა! არ გესმის შენ? ბოვშები არ მინახავს ერთი კვირაა, ჩემს ჭკუაზე აღარ ვარ ქალი!“

„კაი ბოვშებია“ შენ არ მომიკვდე, ორ ჩაფ ღვინოს ისხამენ მუცელში!“

ჩვენმა ნაცნობმა მგზავრმა გადაწყვიტა, მოედანზე ჩავალ ტროლეიბუსში ვტუცავ თავს, სასტუმრომდე როგორმე მივაღწევო. ზემოდანვე შენიშნა ლენინის ძეგლის წინ სამი ერთმანეთს მიწეპებული „ხუთი ნომერი“, რატომღაც ტროლეიბუსში არავინ ჯდებოდა. იქვე, გვერდით კი ტაქსის რიგში „საფისტონე“ ჯიბიანად გალუმპული მგზავრები ერთმანეთს ჯიუტად მიჰკვროდნენ.

შარვალი აიკარწახა და ის იყო კიბეს ჩაუყვა, რომ ვიღაც წამოეწია, უკნიდან ხელში წვდა, თითქმის ძალით გამოგლიჯა ჩანთა და კატეგორიულად უთხრა:

– გაუშვი ბიჭო, ამ ჩანთას ხელი, შენ გელაპარაკები!

სტუმარი ელდანაცემივით შემოტრიალდა.

– ვანია, შენ აქ რა გინდა?!

– ა, ეცი ახლა ამნაირ კაცს პატივი. გამოადგი ფეხი, ხომ ხედავ, ყურებზე ჩანჩქერები ჩამოგდის.

– მე დამხვდი ახლა, ამ დილას, შენ?

– არა, ბაბუაჩემს, პავლე მატარაძეს.

ამასობაში კიბე ჩაათავეს და ოღროჩოღრო ასფალტზე გაჩენილ ტბორებს აკრობატივით ახტებოდნენ.

– სად მიხვალ მაქეთ! – ვანო მატარაძემ წინ წასულს დაადევნა.

– ტროლეიბუსში ჩავჯდეთ, ცარიელია...

– ახლა არ დამიწყო აქანა – ტროლეიბუსი და ომნიბუსიო. ტროლეიბუსი მინდა ახლა მეე?

სტუმარს გაეცინა.

– სასტუმრომდე არ მიგვიყვანს?

– კიტა, მე ვიცი ჩემი საქმე, შენ თბილისში გეუბნებოდი რამეს? ახლა მე მაცალე. აქანა მე ვარ მასპინძელი.

რა ექნა კიტას, თავსხმაში უიმედო ტაქსის რიგში ბარე არ ეხალისებოდა დგომა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

– რა იცოდი, რომ ჩამოვიდოდი?

– მაგაზე მერე გეტყვი საყვედურს. შენი ჩამოსვლის ამბავი მურთაზია ჭაბუკიანმა უნდა მითხრას მეე?

– მურთაზი თბილისში შემხვდა, კურსებზე ვარო. ჩამოვიდა, აქ არის?

– ხვალ ჩამოდის, შენზე დამირეკა, ამ დღეებში მივლინებაში აგზავნიანო. სად, ვისთან, როდის? სდიე ქარს ქუჩაში. მესამე დღეა, მატარებელს ვხვდები.

– ჩემი სიკვდილი, არ მინდოდა შენი შეწუხება.

– მოიცა, ჩვენ ახლა ეს გავარკვიოთ, – დასერიოზულდა ვანო მატარაძე, – გყავს ძელქვიანში ჩემნაირი ძმაკაცი სხვა ვინმე?

– არა, – გულწრფელად მიუგო კიტამ.

– აბა, დავამთავრეთ ლაპარაკი, ძელქვიანში პირველად ხარ ხომ?

– კი, – კიტა ბავშვობიდანვე ოცნებობდა ამ ქალაქში ჩამოსვლაზე. ძელქვიანზე იმდენი რამ გაეგო და წაეკითხა, რომ მის წარმოდგენაში ეს იყო მზითა და იუმორით სავსე, განსაცვიფრებლად სტუმართმოყვარე და უაღრესად კოლორიტული ქალაქი.

– ახლა ამ წვიმას მე ხომ არ დამაბრალებ? – ჰკითხა ვანომ და დამნაშავესავით ახედა.

კიტას გაეცინა.

– არა მართლა, წვიმა ხომ არაა ჩემი ბრალი, გეკითხები? ვანო არ ხუმრობდა.

– არა, ბატონო, – წვიმის ბრალდება სიამოვნებით მოუხსნა სტუმარმა მასპინძელს.

– აბა, დანარჩენი მე მაცადე. მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო. დავამთავრე ახლა შენთან ლაპარაკი! – ვანო შეტრიალდა და გრძელი შარვლის ფართხუნით გაიქცა მოახლოებული ტაქსისაკენ. შოფერს ყურში რაღაცას ჩასძახოდა და მანქანას ფეხდაფეხ მოსდევდა, ბოლოს გულმოსული შემოტრიალდა და კიტას მიუახლოვდა.

– სხვა მოვა ამ წუთას. ტროლეიბუსიო? შენ ძელქვიანში დაგინახე და ტროლეიბუსით გატარებ ახლა მეე? სახლში რავა ხართ?

– ხან ისე, ხან ასე, გაგვაქვს თავი.

– ხომ დარჩები ერთხანს?

– მივლინებით ვარ ავტოქარხანაში, ზეგ უნდა გავბრუნდე.

– როდის? – ვანოს სასოწარკვეთილება აღებეჭდა სახეზე.

– ზეგ.

– კაცო, შენ მე მაცალე, რაცხას ზეგ გაბრუნდები, იმასაც ვნახავ! ძლივს ჩაგიგდე ხელში და აწი ჩემი საქმეა შენი გაშვებ-გამოშვება.

ვანო მატარაძე პედაგოგიურ ინსტიტუტში უმცროს ასისტენტად მუშაობდა. ჩვენი ბაზრის სიიაფის ამბავი ხომ იცით, სამი შვილის რჩენა უმცროსი ასისტენტის ხელფასით საზღვარგარეთ კი არა, ჩვენთანაც კი ჭირს. მაგრამ ვანო მატარაძე მოწუწუნე და ხელმოკლეობით შეწუხებული არავის უნახავს. ვაჟკაცი იყო, საბანს, როგორც გაწვდებოდა, ისე დაიფარებდა. ავკარგიანი გახლდათ. სამეზობლოს და სამეგობროს არ გამოაკლდებოდა.

ქალაქგარეთ პატარა საბოსტნე ნაკვეთი ჰქონდა და იქ მოწეული ლობიო, ნიორ-ხახვი და ცოცხი წლიდან წლამდე ჰყოფნიდა. იღბლად, მისი ოჯახი ხორცის დიდი მუშტარი არ იყო, და ესეც ხომ უზარმაზარი შეღავათია ხელფასზე მცხოვრები კაცისათვის.

გაიხსენეთ თქვენს ნაცნობთა შორის ყველაზე გამხდარი კაცი. ახლა იმაზე უფრო გამხდარი წარმოიდგინეთ და ვანო მატარაძის ცოცხალ წონას ძალიან დაუახლოვდებით. სიმაღლით მეტრი და სამოცდათორმეტი იყო, ორმოცდათერთმეტ კილოგრამს იწონიდა. ჭაბუკობისას ჭიდაობდა და ერთხელ ინსტიტუტის ჩემპიონიც გახდა. ბოროტი ენები ახლაც ამბობენ, ვანოს გაჩემპიონება მაშინ მსაჯთა კოლეგიის საეტაპო ხუმრობა იყოო, მაგრამ ამის შემოწმება, რაც დრო გადის, თანდათან უფრო ძნელდება. ყოველ შემთხვევაში, ვანოს მხარ-მკლავის შემყურე, ახლაც და მაშინაც, თავს მოიკლავდა და არ დაიჯერებდა, რომ ეს კაცი ერთ დროს მოჭიდავე იყო.

ვანო ისევ გაიქცა მოახლოებულ ტაქსისკენ. გაჩერება არც კი დააცადა, გამოაღო კარი და ჩახტა. მინა თვალის დახამხამებაში ჩასწია და გალუმპულ კიტას გამოსძახა:

– კიტა! გამოიქეცი ჩქარა. არ დაგვიცდის ის კაცი!

– ვინ კაცი?! – შეაგება კიტამ, ჩანთას ხელი დაავლო და ტაქსისაკენ გაიქცა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მოქალაქეებს მანქანა ალყაში მოემწყვდიათ და ლანძღვაგინების მძიმე არტილერია დაეშინათ ვანოსა და ტაქსის მძღოლისათვის. უმცროსი ასისტენტი ხაფანგში მომწყვდეული აფთარივით ხტუნავდა, უპასუხოდ არც ერთ „საალერსო სიტყვას“ არ ტოვებდა, მანქანის ღია სარკმელს აწყდებოდა და რაც შეეძლო, უღრენდა ერთმანეთის მხარდაჭერით გულმოცემულ მგზავრებს.

„სტუმარი არ იცი შენ?“

„ამნაირი კაცი არც ეღირსება შენს გვარს და ჯილაგს!“

„მაგ ორკაპიკიანი ჭინჭის დასველების გულისთვის თავს ჭრი მთელ ძელქვიანს?“

„ო, რა სიდედრი იქნები თუ მეესწარი სიდედრობას?!“

ბოლოს რიგის დამრღვევმა მოპაექრეთა მიმართ პროტესტის ნიშნად მინები ბოლომდე ამოსწია და ამ გზით სცადა იზოლირება, მაგრამ ბრბომ თავისი მაინც გაიტანა.

კარი გამოგლიჯეს და ყოფილი მოჭიდავე თითქმის ძალით გადმოაბრძანეს მანქანიდან.

„შენ სწორი ხარ, ხომ იცი, – იხტიბარგატეხილი მასპინძელი სადღაც, განზე იყურებოდა, – სანამ ტაქსის რიგი მოგვიწევდეს, ჩვენი დაგვემართება. არადა, ამგენთან ჩხუბი არ ღირს. შეგნება არ მიუცია ღმერთს არცერთისთვის. რა უნდა

ველაპარაკო, ბნელი ხალხია. ტაქსი რატომ მინდოდა, იცი? ხაშს შევჭამდით ამ დილას.

– არაფერი არ მინდა, თუ ძმა ხარ, სასტუმროში მივიდეთ. ზეზეურად მძინავს ცხენივით. ჩემს კუპეს წუხელ ყველა ჭანჭიკი მოსაჭერი ჰქონდა, – თავი შეაცოდა კიტამ.

– მაცადე-მეთქი არ გესმის, კაცო, შენ?

– ე, კიდო მისას ლაპარაკობს. შეკვეთა მაქვს მიცემული და გვინახავენ ხაშს. აბა, რას გეუბნები. მე ხალხი მიცნობს აქანა. კი არ ვგლახაობ ზოგიერთივით, – ისეთი თვითდარწმუნებით და დამაჯერებლობით თქვა ვანომ, რომ კიტამ სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა.

მალე „მხსნელიც“ გამოჩნდა. ნაცრისფერმა „ჟიგულმა“ („62-48 კალ“) დაამუხრუჭა, თმაწარბიანად გამანული მძღოლი ხელის აწევით მიესალმა ვანოს და, თითქოს ამ წვიმაში უმცროსი ასისტენტისთვის სალმის მისაცემად ამოვიდაო, უკან გაბრუნებას აპირებდა.

– რამაზ! – დააწია ვანომ.

ჟიგული შეჩერდა და უკანსვლით წავიდა.

– რა იყო, ვანიჩკა?

– ქვიტირში მიგვიყვანე, ხაში უნდა ვჭამოთ, – ხმას დაუწია, – სტუმარი მახლავს თბილისიდან, კაი ბიჭია.

– ვანია, მე რომ არ გაგიჩერე და არ გკითხე, სად მიხვალთქვა, ვერ მიხვდი შენით ვერაფერს?

– რა იყო?

– ბენზინი არ მაქვს წვეთი, თვარა ამ წუთას ქვიტირში კი არა, ტრაპიზონში თქვენს არ ჩამყვანს, ოხრად და ბნელად ეს მანქანა.

– წამოდი კაცო, მე ჩაგისხამ ბენზინს. – იმედი მისცა ვანომ.

– ტალონი გაქვს? – შიშით ჰკითხა მძღოლმა.

– რად მინდა ტალონი, ვინ მუშაობს ამ დილას?

– ზინაია უბედური.

– ჩაჯექი, კიტა, მოდი შენ აგერ, – ვანომ წინა კარი გამოუღო და სტუმარი მიიპატიჟა.

– მე ვეტყვი ზინას. ზინასთან მაინც ვარ კარგად. რად მინდა ტალონი. ტალონი მინდა ზინასთან მეე? არც ისე უბედურია,

რომ იცოდე, ზინა. ქე იცის მაგან სტუმარი და მასპინძელი, შინაური და გარეული. – თავისთვის ბუტბუტებდა ვანო და პირწმინდად დასველებულ ჭაღარა თმიდან წყალს იწურავდა.

ზინამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ყველას პატივს ვცემ, ყველა მიყვარს, მარა უქვითროდ წვეთ ბენზინს ვერ მოგცემთ, თქვენი გულისთვის ციხეში ვერ ჩავჯდებიო.

ხვეწნა-მუდარა არ დაუკლია ვანოს, მაგრამ რომ ვერას გახდა, მხრებში აწურული, ტუჩებგაფითრებული, გუნებაწამხდარი შემობრუნდა მანქანაში.

ისევ რამაზმა იმარჯვა. სპილოსძვლისფერი „ვოლგა“ გააჩერა, მძღოლს სამი ლიტრი ბენზინი „ესესხა“ და ქვიტირის გზას რომ დაადგნენ, მადლიერმა ვანომ (აქაოდა ყურადღებას გამოვიჩენო), მზრუნველობით აღსავსე ხმით ჰკითხა რამაზს:

– რას შვრება შენი თმა?

– რა ვიცი, ამოვაო, გოდოუშენდათ ექიმებს პატრონი.

– რაზე გაგცვივდა შენ მაგი?

– არ იციან ზუსტად, ვითომ ნერვიულობას აბრალებენ. რა ვინერვიულე ამნაირი, სამი ინფარქტი გადაიტანა ბიძაჩემმა, მარა ბეწვი არ ჩამოვარდნია.

– წამალს ისვამ?

– რას შველის, თვარა კი, ექვსი ვედრა წამალი მექნება დახარჯული. დრო უნდაო, ვითომ ასე ამბობენ.

– დრო ენდომება, აბა, ასე უცებ ხომ არ ამოგივა, ჯერ მარტო კოინდარს უნდა ათი დღე, – გული გაუკეთა ვანომ მძღოლს, თუმცა ხმაზე შეეტყო, რომ რამაზის თმის ამოსვლის ამბავი მაინცდამაინც არა სჯეროდა.

– არაა ხაში! – გამოაცხადა რამაზმა, მრგვალი კრამიტით გადახურულ უფანჯრო ფიცრულს რომ მიუახლოვდნენ.

– მიდი, კაცო, ჩაუხვიე, მე ვიცი რაცხაა! – გაწყრა ვანო.

რამაზს გაეცინა.

– ხაში რომ იყოს, ვანიჩკა, ასე იქნება? რავა ატყობ? ხომ ხედავ, ერთი მანქანა არ დგას კართან.

– „მიდი“ არ გესმის შენ რას ჰქვია? მიმაყენე კართან და მე დაველაპარაკები ჭიჭიას. მეტი კი არაფერი ვიცი მე. რომ ვამბობ, მივიდეთ-თქვა, ალბათ მაქვს იმედი, – ვანო ცოტა

ხმაგაბზარული, შემცბარი ლაპარაკობდა.

ამ წუთას დაგიძახებთო, დაუბარა მანქანაში მსხდომთ და სახაშის ღია კარში გაუჩინარდა. დაახლოებით იმდენ ხანში დაბრუნდა, რამდენ დროსაც ერთი სიგარეტის მოწევას ანდომებს ერთგული მწეველი.

სახეზე ეწერა – შემარცხვინეს, არა აქვთ ხაში ამ ოჯახქორებსო.

ჩაჯდა თუ არა, სტუმარს მიუბრუნდა.

– კიტა, ისე მე კი არ მიყვარს მაინცდამაინც ხაში. ნივრით პირის აქოთებას თავი რომ დავანებოთ, რა იცი, რავარი გაკეთებულია, ვისი გარეცხილია, ხაშის რეცხვაა მთავარი. ამგენის ხაში არაა სანდო. „წინაველში“ მივიდეთ ერთ წამს. უმაღლესი რესტორანია. დავჯდებით და კაცურად ვისაუზმებთ. შევაწვევინებთ კარგს რაცხას. მე უარს არ მეტყვიან.

– სანდუხაძეა მაქანა ახლა? – იკითხა რამაზმა და სტარტერი ააღუღუნა.

– სანდუხაძე მოხსნეს, ახლა მისი ძმაია, ჩოთქია თავსივა.

– ჩოთქიაზე გეუბნები. სანდუხაძე არაა იგიც? აბა ვინაა?!

– მასე თუ იტყვი კია, მარა მთელი ძელქვიანი „ჩოთქია თავსივას“ ეძახის და მიტომ გითხარი მეც. მოასვენე პატარა, თვარა დაჯდება აკუმულატორი. რატომ შვრება? ბენზინი გადააყლაპე ალბათ.

– რატომ ქნა მართლა? ეს არ უქნია ამ მანქანას ჯერ. ბენზონასოსი არ მუშაობს, – ბოდიშის მოხდით უხსნიდა რამაზი სტუმარს, როცა კაი ხნის ჯახირის შემდეგ ძრავა აგუგუნდა და მანქანამ საღორიის ტყისკენ აიღო გეზი.

რესტორანი, „წინაველი“, ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. როგორც სატურნი არ აცდება თავის ორბიტას, ისე ამ რესტორანს ვერ აცდება საირმისა და ზეკარისკენ მიმავალი მგზავრი.

რესტორანი რიონისპირა ჭალაშია აშენებული. იგი შედგება მთავარი კორპუსისა (ბუფეტი და სამზარეულო) და მწვანედ ახასხასებულ ეზოში ვეებერთელა რცხილების ქვეშ მიმოფანტული ხის მაგიდებისაგან.

– სად დავსხდეთ? – ისეთი საქმიანი იერით ჰკითხა ვანომ

კიტას, თითქოსდა საქეიფო ადგილის შერჩევას კაცობრიობის მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

– ჯერ ჩოთქია ნახე, ადგილის მოძებნა ადვილია, – ურჩია რამაზმა რესტორანთმცოდნეს და უმცროსი ასისტენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, უთმაწარბო ამხანაგს ამჯერად არ შეკამათებია.

კიტა და რამაზი ხელსაბანთან, ქერქგაცლილ ბლისქვეშ იდგნენ და ასეთ სურათს შეჰყურებდნენ:

შევარდებოდა სამზარეულოს ვიწრო კარში ვანო მატარაძე და სამიოდე წუთში რესტორნის მთავარ სადარბაზო შესასვლელთან გამოჩნდებოდა. მიიხედ-მოიხედავდა, კეფას მოიქექავდა და ბუფეტის სარეზერვო კარში ტუცავდა თავს. ცოტა ხნის შემდეგ სახანძრო სარკმელში გაკრთებოდა მისი ჭაღარა. ხელების ფშვნეტით გამოირბენდა, ცოტა ხანს დაჰყოფდა ჰაერზე და თითქოს რაღაც გაახსენდაო, ისევ იმავე მარშრუტით გაქრებოდა.

ბოლოს მდუღარეგადასხმულივით გამოვარდა, მანქანის კარი მიიჯახუნა და ამფსონებს გასძახა:

– მოდით, დასხედით!

კიტამ და რამაზმა ისე სწრაფად მოირბინეს და ისე ერთბაშად დაიძრა მანქანა, რომ სახანძრო რაზმის მეცადინეობა გეგონებოდათ.

– არა აქვთ არაფერი. შესყიდვა მოგვიხსნესო. რა ვქნა, მე ვუთხარი, კანონს მე ვერ შევცვლი, მე ვუთხარი, მარა ასე ხელდაჭდეული აპირებთ დგომას აქანა-თქვა? ახალი ცეკავშირი დაგვინიშნეს და პატარა ხანს ვაცლით, აბა რას იზამს, რავარ ჭკუაზე დადგებაო, ერთს ვიტყვი მე! წავიდეთ ჩემთან. ლონდას (ვანოს მეუღლეს ჰქვია) ხაჭაპურებს გამოვაცხობინებ. ღვინო კაი მაქვს, დეისაძის ქორწილის ღვინოა. ხორცის მაშინკით სვა იმ ღამეს მურთაზია ჭაბუკიანმა და მეორე დღეს ქე იყო მშვენივრად, ჩემო ბატონო... – აქ ცოტა ჩაფიქრდა. – რაცხა კიდო ექნებათ სახლში. სულ რომ არაფერი იყოს, ჩაის დავლევთ მარტო. მე ამისი კი არ მრცხვენია, რამაზ, – ვანომ კიტას მიუთათუნა ბეჭზე ხელი, – ამას სტუმრად კი არ ვთვლი. თბილისში მე ამის ოჯახში ვარ

ნახევარჯერ. ძმაკაცი მყავს, უფროსი ინჟინერია-თქვა რომ ვლაპარაკობ, ისაა ეს.

– საით წავიდე? – მოწყენილი, ყრუ ხმით იკითხა რამაზმა.

– წადი პირდაპირ. ხონის გადასახვევთან წრე დაარტყი, სტალინის ქუჩაზე გამოდი, არ იცი, სად ვცხოვრობ? – ისე გაიკვირვა ვანომ, რომ რამაზს მართლა შერცხვა. ძელქვიანში დაბადებულმა კაცმა აქამდე ვანო მატარაძის მისამართი როგორ არ ვიცოდიო.

ვანოს მეუღლე ჭიშკართან შეეგებათ. ჟიგულის მგზავრთაგან მხოლოდ ყოფილი მოჭიდავე მიხვდა, რომ იგი სტუმრების შესახვედრად როდი იყო გამოსული.

– სადა ხარ, ვანო, შენ? მოკლედ, ხანძარი რომ გვეკიდოს, ერთს არ მოიხედავ სახლისკენ, ხომ? კაი, ბატონო, მარტო ჩემია, ეტყობა, ეს ბავშვები და მე მივხედავ ჩემს თავს. გამარჯობათ, ბოდიში... – საყვედურებს რომ მორჩა, სტუმრებს გაუღიმა მკლავებდაკაპიწებულმა, წინსაფრიანმა, მოხდენილმა ქალმა.

– რა გაწყენინათ ამ დილას ამნაირი, ქალბატონო ლონდა? – დაინტერესდა რამაზი.

– რავა რა მაწყენინა, ბატონო, შეიძლება ოჯახის უფროსი ისე გაიპაროს დილით სახლიდან, რომ ერთი სიტყვის ღირსი არ გაგხადოს? ორ ცეცხლშუა ვარ დილით, ჯერ ერთი, მე თვითონ სამსახურში მაგვიანდება, მეორე, გაკვეთილი მაქვს (რატომ არ დაიწვა ის დღე, მე რომ მუშაობა დავიწყე), მეორეც, წყალი შეწყდა აგერ ერთი საათია და, ჩაი ვერ ავუდუღე ბავშვებს. კაცი ხარ. დარეკავ, მიდგებ-მოდგები. რაცხას იზამ. მე კი არ მეზარება, მარა ვინ დამიგდებს ყურს...

– ქალო, გაფუჭდა ალბათ წყალსადენი. მე რას ვუშველი. იმგენმა უფრო არ იციან, ხალხს წყალი რომ ჭირდება? მარტო ჩემთვის ხომ არ ჩართავენ. არიქა, ვანო მატარაძის ბავშვები არ დაგვრჩეს უჩაიოდ ამ დილითო. ამას ვერ იცნობ? – კიტაზე ანიშნა.

ლონდამ, რა თქმა უნდა, ვერ იცნო თბილისელი სტუმარი.

– კიტაა, სალუქვაძე, – ყველა კბილი გამოაჩინა ვანომ.

– უიმე, ღმერთო მომკალი! – შეიცხადა ქალბატონმა ლონდამ, – თქვენ აქეთ როდის, ბატონო?!

– მივლინებითაა ჩამოსული, ასე ხვდები სტუმარს? – ხმა დაიბოხა ოჯახის უფროსმა.

– წამოგცდენოდა მაინც, კიტა გვესტუმრებაო. გადმობრძანდით, ბატონო – გაიბადრა დიასახლისი.

– წყალი არ მოდისო, გვაჯახე ამ ქუჩაში და, რა უნდა, რომ გადმოვიდეს. შენი დაყენებული ჩაის დალევა უნდოდა, თვარა რესტორანს და პურ-მარილს არ მოვაკლებთ, შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. წადი, რამაზია, წადი!

– გადმობრძანდით, მოვა წყალი, აბა, რას იზამს. – ქალბატონ ლონდას სიტყვებში ეჭვმიუტანელი გულწრფელობა ჩანდა.

– საით? – მანქანა თეთრ ხიდზე რომ შედგა, მაშინ იკითხა მძღოლმა.

– სასტუმროში მივიყვანოთ, ჯერ დავაბინავოთ ეს კაცი, ხელ-პირს დაიბანს, დაისვენებს ცოტას და მერე ვისაუზმოთ, – მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა ვანო მატარაძემ.

ადმინისტრატორის მაგიდაზე ხუთიოდე კაცი გადახრილიყო და თვლემდა.

– არ იქნება ადგილი! – რამაზმა დაასკვნა და სტუმრის ვეებერთელა ჩანთა მარმარილოს სვეტს მიაყუდა.

– რაო? ეგ მაკლია, ახლა, ძელქვიანის სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვო! ვანოს აშკარად შეეტყო, რომ ნერვებს ველარ იჭერდა, – მომე პასპორტი, კიტა!

უმცროსმა ასისტენტმა პასპორტი ხელისგულს გაუტყაპუნა და ადმინისტრატორისკენ წავიდა, მაგრამ, სწრაფადვე შემოტრიალდა.

– ერთიანი გირჩევნია, შენთვის იქნები.

– თუ აქვთ...

– კაცო, შენ მაგას ნუ კითხულობ! – ვანომ ისევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა.

– ტელევიზორიანი, ხომ?!

კიტამ თავი დაუქნია.

– ლუქსი იყოს? ქე მაინც დაისვენებ, რავარც საჭიროა.

კიტამ ისევ ღიმილითა და თავის დაქნევით ანიშნა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

მერე გაიმართა ჩვეულებრივი, მოსაწყენი საუბარი ვანოსა და სათვალიან, ინტელიგენტური იერის მქონე ადმინისტრატორს შორის.

– ადგილიო? აბა, რას უცდის ეს ხალხი აქანა!

ვანომ გამოიხედა და მოაჯირს ფარდაგივით გადაეყრდნო, არ უნდოდა ეს საუბარი კიტას მოესმინა. თან ადმინისტრატორს ხმადაბლა რაღაც უთხრა.

– ვიცი, ბატონო, მარა რომ არ მაქვს? პროფესორი უგლავა დირექტორის კაბინეტში მეწვა წუხელის.

ვანო კიდევ უფრო გადაიხარა და იდუმალი ჩურჩულით კარგა ხანს უხსნიდა რაღაცას თავმობეზრებულ ადმინისტრატორს.

– რავა გეკადრება, ჩემო ვანო, შენ მაინც ვერ უნდა გამიგო ბიჭო? – ადმინისტრატორი თითქოსდა განგებ, ირგვლივ მყოფთა გასაგონად ლაპარაკობდა. – რა სიკვდილად მინდა ცარიელი ნომერი. ვის შევუნახო, სასტუმრო იმისია, რომ კაცმა იცხოვროს შიგ. არ ყოფნის ამხელა ქალაქს ეს ორი კინკილა სასტუმრო. ყველას აქანა უნდა მაინც, გოდუაძესთან არავინ მიდის. ცარიელია მთელი სასტუმრო. წაიყვანე, ორი ფეხის ნაბიჯზეა. რითაა ის სასტუმრო ამაზე ნაკლები?

– გოდუაძესთან წასაყვანი კაცი არაა-თქვა, გაგიმეორო მეათეჯერ? ჩახედე კარგად საქმეს. ვანო მატარაძე ვარ მე, არ დაგავიწყდეს! – რაკი აქედანაც უარით ისტუმრებდნენ, ხმას აუწია ვანომ, – გავივლ-გამოვივლით ჩვენ პატარას და გაგინთავისუფლდება ამასობაში, რაღაც გამოჩნდება. მთლად ნუ გადაგვიწურავ წყალს.

– თუ რამე გამოჩნდა, აგერაა, ბატონო, სახლში არ წავიღებ, – დააწია ადმინისტრატორმა კარისკენ წასულებს.

გარეთ ახალი უსიამოვნება ელოდათ.

რამაზის „ჟიგულთან“ სქელკისერა, დათვივით მრგვალი ავტოინსპექტორი ჩამუხლულიყო და არასწორი დგომისათვის წინა ნომერს ხსნიდა.

– სად გაჩნდა ეს წიფურია, ასე ხელად, ეს უპატრონო! – ჩაილაპარაკა მანქანის პატრონმა, – სხვა მაინც იყოს, გამოდი აქეთ, ვანია, მოხსნას, სულ ერთია, მაგას მაინც ვერაფერს შეაგნებინებ.

მაგრამ ვანო უკვე ავტოინსპექტორის გვერდით იდგა და ესაუბრებოდა:

– ნუ შეგვარცხვენ, წიფურია, ახლა. სტუმარი გვახლავს, ერთ წუთს შევირბენთ სასტუმროში. არ მოხსნა თუ ღმერთი გწამს.

წიფურიამ ამოხედა, ცოტა ხანს უყურა ვანოს და ისევ განაგრძო დაწყებული საქმე.

– არ გესმის, კაცო, შენ? – ვანოს ხმაში ტირილი გაერია, – ეს კაცი პირველადაა ძელქვიანში. რას იტყვის, რა ამბავს წაიღებს. მეტი არა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის?

წიფურიამ უხმოდ მოხსნა ნომერი, გაიმართა და მოტოციკლეტისკენ რომ შეტრიალდა, სწორედ მაშინ მოხვდა საბერველივით დაჩუტულ უკანალზე ვანო მატარაძის გამეტებული პანღური.

* * *

ძელქვიანში ყოფნის ორი დღის მანძილზე კიტა სალუქვაძეს სამჯერ ჩამოართვეს ჩვენება – კიტამ სამჯერვე სხვადასხვანაირად უამბო გამომძიებელს, თუ რა იცოდა სასტუმროს წინ ვანო მატარაძესა და ავტოინსპექტორ წიფურიას შორის „მომხდარი ინციდენტის“ თაობაზე.

წინასწარმოფიქრებულად კი არ სცვლიდა ჩვენებებს. ამაზე არც უფიქრია. უბრალოდ, რაც ნახა, ყველაფერს ამბობდა, მაგრამ რატომღაც ჩვენება სამივეჯერ სხვადასხვანაირი გამოუვიდა.

ვანო მატარაძე მხოლოდ თხუთმეტი დღით ჩასვეს.

ნამუსის ქუდი

ყვავილების მაღაზიის კუთხეში ობობასავით მიყუჩულმა მესაათემ დარაბები რომ ჩამოუშვა, ნოე კაკაბაძემაც აალაგა თავისი „დუქანი“ – სკამი დაკეცა და სპორტლოტოს ყუთი იღლიაში ამოიჩარა.

– რა ჰქენი? – უხალისოდ ჰკითხა მესაათემ, ყუთი ჩამოართვა და მიწისძვრაში მოხვედრილივით დალეწილი კარადის ხახაში შეაგდო.

– არ ყიდულობენ, აღარ უნდა ხალხს. აღარც შენი ლოტო უნდათ და აღარც ლატარია. უწინ გეგმას მაინც ვასრულებდი. ახლა ესეც აღარაა. არ გეთამაშება ის კაცი. არ ლატარიობს შენთან და ძალაა?!

მესაათემ ხმა აღარ გაიღო. ამ ბოლო დროს სპორტლოტოს ბილეთების გამყიდველი ნოე კაკაბაძე წუწუნს მიეჩვია.

– მთელი დღე ხომ აქ ვიყინები, სახლში მივალ და მერე იქ მელის ერთი პანაშვიდი.

– რავა?

– გამწარებული იქნება ჩემი დედაბერი. შინ თუ შემიშვა, აღარაფერს დავეძებ. ისე კი არ ვამტყუნებ, რავარი დასაჯდომია ცივ ღუმელთან დილიდან საღამომდე.

– რატომ?!

– არ მომიტანა. ეს მეშვიდედ მომატყუა პარმენია თავსივამ. ორი კვირაა შეშას ვეხვეწები, თუ არ მოგაქვს, რას მპირდები, შე კაი კაცო. ტყვილად ხომ არ მინდა, ფულს გაძლევ ეს ოხერი და მუდრეგი-მეთქი.

– შეშის იმედზე ხარ კიდევ, ნოე? – დაინტერესდა მესაათე, – ვინღა ხმარობს შეშას ახლა, შე მამაგანათლებულო?

– რა ვქნა, აბა. ქვანახშირს ვერ მივეჩვიე, სუნი აქვს, იმ ოხერს. რაღა სიცივეს მოვუკლავარ და რაღა გაზს გამოვუხუთივარ.

– ნავთის?

– ნავთის ღუმელზე ამბობენ, არა უშავსო, მარა, ჯერ ერთი, – არ იშოვება არსად და მეორეც, – მეშინია რაღაცა. კატუშას ამბავი არ იცი? ზეზეურად სძინავს ხანდახან ცხენივით, რომ ჩაკიდოს თავი და გამომეწვას ეს ბებერი ქალი თაგვივით სახლში, სირცხვილს სად წავუვალ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებო.

ვერც ამ მუსაიფში იპოვა რამე ჭკუისთვის სახეირო მესაათემ, კარს ურდული დაადო და მესპორტლოტოე ქუჩას შეატოვა.

ცივი, უგემური ამინდი იყო.

ისე თეთრად და გრძლად ცრიდა, რომ ვერ გაიგებდი – თოვდა თუ წვიმდა.

ცა რუხ-შავი ღრუბლებით ისე იყო თავიდან ბოლომდე ამოლესილი, რომ იფიქრებდით, მზე ამ წელიწადში გამომხედავი არ არისო.

ქუჩისპირა კედლები ცხენიანი კაცის სიმაღლეზე საიმედოდ იყო დამბალ-დანესტიანებული, ლეყეპი და ხავსი მოდებოდა ჭიშკრებს და ეზოებს.

სოკოებივით ჩანდნენ ქუჩაში თავზე ქოლგაჩამომხობილი, მობუზული მგზავრები.

კარგა ხანს იდგა ნოე გაჩერებასთან. ორჯერ ჩამოიარა ავტობუსმა და არც ერთჯერ რომ არ გაჩერდა, დაასკვნა: სულ ერთია, აქ კაცი ვერ ჩაჯდება, სტალინის მოედანზე გავალ და იქ უფრო თავისუფლად ვიშოვი ადგილსო, ყურებზე ომიდან ჩამოყოლილი დაბამბული ქუდი ჩამოიფხატა და ოპერის თეატრის წინ გზა გადაჭრა.

ნოე კაკაბაძე წელში მოხრილი, კაფანდარა მოხუცი იყო. წვეტიანი გრძელი ცხვირი მზიან ამინდშიც სულ მოწითლებული და მოსველებული ჰქონდა. ბრტყელტერფასავით განგან დგამდა ფეხებს და შორიდან რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ, ამ კაცს ორზე მეტი ფეხი აქვსო.

განუყრელი მოლურჯო მოსასხამი ისე მორგებული და ჩამომდნარი ჰქონდა ბეჭებზე, იფიქრებდით, ამ ტანსაცმელს ლოგინშიც არ იცილებსო.

ნაფრონტალ ქუდს ვარსკვლავი კარგა ხნის წინ ააძრო, მაგრამ გამოხუნებულ ქსოვილს ხუთქიმიანი ანაბეჭდი უფრო ეტყობოდა.

თეატრის გვერდით, პარკის კოლონებთან შეჯგუფულ ხალხს მოჰკრა თვალი და იქით გადაუხვია.

ხარხარ-ღორღოცი რომ მოესმა, აპამპულავებენ ალბათ ვიღაცასო, გაიფიქრა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მოზრიალე ბრბოს შეერია.

ამ ქალაქისათვის უჩვეულო და გაუგონარი რამ არც ახლა ხდებოდა. ლერი იოსებაშვილისთვის ქუდი წაერთმიათ და მეძველმანის თავნესვა ბიჭი სამ „მწვალებელს“ შორის ბუზღუნითა და ხვეწნით მიმოდიოდა.

უცნობები არც ისინი იყვნენ. ხარლამპია გოგავას, მურთაზ ცუცქირიძეს და კიჭია უჩანეიშვილს მთელი ქალაქი იცნობდა. ნოეს შეტყობით, ლერის ქუდით მოთამაშენი შეზარხოშებულები უნდა ყოფილიყვნენ.

– მომეცი, კიჭია, ჩემი ქუდი! – ლერი იოსებაშვილი სიცივისგან აკანკალებული, გასავათებული იდგა ორმოცდახუთიოდე წლის კაცის წინ, რომელსაც შავი, ხელოვნური კრაველისაგან შეკერილი ბოხოხი ეჭირა და უაზროდ იცინოდა.

კიჭიას ყავისფერი ტყავის სერთუკი ეცვა. შავი, სქელი წარბები და ქვემოთ ჩამოვარცხნილი შეთხელებული ჭაღარა თმა ორ ადგილას გაჩეხილ შუბლს უფარავდა. საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა იყო. მსხვილი კისერი და ბზიკის ნაკბენივით დასიებული, წყალმანკიანივით მოყვითალო სახე ჰქონდა. უფერული, მსხვილი ტუჩებიდან დროდადრო საზარლად გამოაჩენდა ხალვათად ჩალაგებულ, თოხივით შავყვითელ კბილებს.

ბოხოხის პატრონიც არ იყო მთლად ბავშვი, მაგრამ ასაკი, ჭკუაზე რომ არაფერი ვთქვათ, საბერველივით დაბერილ თეთრყირმიზ ლოყებზეც არ ეტყობოდა. სიმსუქნე ისე მორეოდა, რომ ფეხსაცმლის თასმებს სხვის დაუხმარებლად კარგ ნიძლავზეც ვერ შეიკრავდა. იმოდენა ღაბაბი ედგა ნიკაპს ქვემოთ, რომ პერანგის მეოთხე ღილს თუ დახედავდა,

თორემ პირველი სამი ღილის დანახვა მისთვის შეუძლებელი რამ იყო.

– მომეცი, კიჭია, ქუდი! – წაიწია ლერი, მაგრამ კიჭიამ ბოხოხი თავს ზემოდან აიქნია და შადრევნის კიბეზე შემდგარ მურთაზ ცუცქირიძეს ესროლა.

ლერი ახლა მურთაზისკენ წავიდა.

– გეყოფათ ახლა, მურთაზ ბიძია, მომეცი ქუდი!

– რომელი ბიძაშენი მე ვარ, ლერიკონა მუდუ, სამი წლით ხარ ჩემზე უფროსი. – დაიღრიჯა მურთაზი და ბოხოხი საჩვენებელ თითზე დაატრიალა.

– მომეცი ჩემი ქუდი, მურთაზია! – ტირილი გაერია ხმაში იოსებაშვილს.

– მითხარი, ვის შეაკერინე და, კი. –შეევაჭრა მურთაზი.

– მომეცი ჩემი ქუდი! – ბუტბუტებდა ლერი.

– რად გინდა ქუდი? – ჰკითხა საცოდავ ბიჭს ვიღაცამ.

ნოემ ხმა ვერ იცნო. შეკითხვის მიმცემი უკანა რიგში იდგა.

– მცივა თავზე. – განმარტა ლერიმ.

– მიეცი, მურთაზია, ტვინი არ გოუცივდეს, თვარა დაიღუპა ქვეყანა. – სვეტს მიყრდნობილმა ხარლამპია გოგავამ დაიძახა.

– ჩემნაირი გამოგეზარდა შვილი, – დალოცა ხარლამპი ბოხოხის პატრონმა. – მომეცი, მურთაზია, ქუდი!

– უთხარი, ბიჭო სად შეაკერინე და მოგცემს. – ურჩია კიჭია უჩანეიშვილმა.

– არ მომიპარავს, ლიას გეფიცები, ბაბაიამ მიყიდა.

– ლია ვინაა, ბიჭო? – დაინტერესდა მურთაზი.

– არ იცი, ვითომ. – თავი გვერდზე შეაბრუნა და მორცხვად ჩაიცინა ლერიმ.

– კიდო გიყვარს ლია, ლერიკო? – ძალად დასერიოზულდა ხარლამპი.

– კიე, – ამოიხვნეშა ლერიმ.

– რომ გათხოვდა, მაინც გიყვარს?

– მიატოვებს ახლა მალე ქმარს და ჩემთან მოვა. – ღრმა რწმენით თქვა უბედურმა ბიჭმა.

ბრბო ახარხარდა.

– როდის მივატოვებო, რა თქვა? – სიცილისაგან ცრემლს ძლივს იკავებდა კიჭია.

– უშაფათო კვირეში. მომეცი, მურთაზია, ქუდი თვარა, წავალ ასე სახლში და ნახე მერე შენ! – დაემუქრა ქუდის წამრთმევს ლერი.

სელაპს რომ თავზე სქელი, უხეში თმა ჰქონდეს, მურთაზ ცუცქირიძის ტყუპისცალი გეგონებოდათ. სელაპის პირი ხომ გინახავთ, ზუსტად ისეთი პირი ჰქონდა და ხმაც სელაპს მიუგავდა. მაღალი იყო, უწარბო, წაქისფერი თვალები ისე ბოროტად უელავდა, მსახიობი რომ ყოფილიყო, განგსტერების და სამშობლოს გამყიდველების როლებს არ მოაცილებდნენ.

აბღავლებული ლერი იოსებაშვილი წრეს მიაწყდა, მაგრამ გააკავეს.

– ჰა, კარგი, წაიღე! – უთხრა მურთაზმა და ქუდი გაუწოდა.

– არ მომცემ შენ, მატყუებ. – მუშტით შეიმშრალა ცრემლი სისხლგამშრალმა.

– არ გატყუებ, ჰა, წაიღე, დამეღალა ხელი, – სთხოვა ცუცქირიძემ.

გახარებული ბიჭი ხელებში ეცა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, ბოხოხი ხარლამპისკენ გაფრინდა.

– მომეცი ჩემი ქუდი! – სასოწარკვეთით იყვირა იმედდაკარგულმა ბიჭმა.

– გადაშენდი იქით. ნუ გააწყალე გული, თვარა გაგაყოფიებ იმ რკინებში თავს. – ღობე დაანახა მურთაზმა. – მე მაქვს შენი ქუდი? გაიგე, ვისა აქვს და იმას ეღრიჯე.

ლერიმ ხარლამპს გახედა და თვალის დახამხამებაში მასთან მიბლაყუნდა.

– მომეცი, ხარლამპია, ქუდი!

– რომელი ქუდი? – მზრუნველი კაცის იერით ჰკითხა ხარლამპმა.

– რომელიცხა გიკავია ხელში, – არ დაიბნა ლერი.

– შენია მერე ეს ქუდი?

– ჩემია, აბა, შენია?

– რაზე ატყობ?

– სიფართეზე, – წამოეშველა ლერის ვიღაც. – მაგხელა თავი სოფრომაძის ბულდოგსაც არა აქვს.

ისევ გაირბინა სიცილმა სვეტებს შორის.

– ცხელია ეს ბოხოხი ნამეტანი, შენ არ გამოგადგება, თავს გაგიხურებს. – ურჩია ხარლამპმა.

ხარლამპ გოგავას წითურ ტურას ეძახდნენ. მსუქანი და დაბალი იყო. ნაყვავილარი, ჩოფურა სახე და წვრილი, თაფლისფერი, ერთმანეთს ზომაზე მეტად დაშორებული თვალები ჰქონდა. გატეხილი, ბრტყელი ცხვირი ძლივს აჩნდა სახეზე. ღიპზე შემოწკეპილი მეზღვაურის მაისურს ნეილონის ქურქი უფარავდა. ჯინსის უკანა ჯიბეში სანახევროდ ამოწეული „პრიმა“ უჩანდა.

– მომეცი, ხარლამპია, ჩემი ქუდი, კაცი არა ხარ? – შეევედრა ლერი.

– სად გიყვარს ლია გვითხარი და მოგცემთ, – უთხრა ხარლამპმა და ასეთი ულტიმატუმი წაუყენა.

– აქანა! – სახე გაებადრა ბოხოხის პატრონს და ყელზე მოიკიდა ხელი.

– იმას სად უყვარხარ?! – ჰკითხა კიჭიამ.

– გულში, – საერთოდ, როცა ლიაზე ლაპარაკობდა, ლერის გასაოცრად სერიოზული და ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონდა.

– თუ ნახულობ, რაც გათხოვდა მის შემდეგ? – ჩაერია მურთაზი.

– კიე.

– სად ნახულობ?

– სიზმარში.

– სიზმარში გითხრა, ქმარს ვშორდებიო?

– კიე.

სეირის მაყურებელთა ღრიანცელი მუზეუმის ფანჯრებს მიაწყდა და საფიჩხიის აღმართზე გაიშალა.

ლერიმ ქუდის დაბრუნების უფრო აქტიურ მეთოდს მიმართა, გადაწყვიტა, ქუდი წაერთმია ხარლამპისთვის, მაგრამ გოგავა ისე ოსტატურად უცვლიდა ბოხოხს ადგილს, ისე სწრაფად გადაჰქონდა ხელიდან ხელში, რომ იოსებაშვილის დათვური ბაჯბაჯი და უშედეგო კონწიალი სიცილის მეტს არაფერს იწვევდა.

უეცრად წრეში ვიღაც შევარდა. ხარლამპს ბოხოხიანი ხელი დაუჭირა, ძირს დააწევინა და მკაცრად აუწყა:

– მიეცი ახლავე ქუდი, შენ გელაპარაკები!

ხარლამპმა გადაწყვეტილების მიღება ვერც კი მოასწრო, ნებით თუ ძალით დაშვებულ ხელში ლერი ეცა, ქუდი გამოგლიჯა და გაუჩინარდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გაოგნებული გოგავა შემოტრიალდა, რათა არამკითხე ჩამრევისთვის ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ მის წინ სიბრაზისგან აკანკალებული ჩია მოხუცი რომ დაინახა, გესლიანად ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:

– ნოე ბატონო, შენ ხარ? რა შეგვაშინე, შე კაცო!

და როდესაც ნოე წასასვლელად გატრიალდა, ხარლამპმა თვალის დახამხამებაში ააძრო ქუდი თავიდან და კიჭიას ესროლა.

ამას კი აღარ ელოდა ნოე კაკაბაძე. თითქოს ვიღაცამ ყელში წაუჭირაო, სული ვეღარ მოითქვა, ასი ფუთი ქვა დააწვა გულზე და წელში გაიდრიკა. ყურებმა შუილი დაუწყო და თვალებზე მრუმე, ნისლიანი სიბლანტე აეფარა.

უკანდახევა გვიან იყო.

იგი წრეში იდგა და თუ რამეს არ იღონებდა, სულ მალე ჩავარდებოდა ლერი იოსებაშვილის დღეში.

ცოტა ხანს გაჩერდა, იქნებ ამდენ ხალხში ერთი ქომაგი მაინც გამომიჩნდესო, მაგრამ „შესანიშნავ სამეულთან“ ურთიერთობის გამწვავებას ვერავინ ბედავდა.

ნოემ შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა და კიჭიას მიუახლოვდა.

– კიჭია, პატარა ჭკუას ჩახედე, ნუ აყვები იმ ხვადაგს (ხარლამპისკენ გაიშვირა ხელი), არ ვარ თქვენი ტოლი მე.

– ჩემთან რა გინდა, ნოე ბიძია? – მეჩხერი კბილები გადმოეყარა და გულისამრევად ხითხითებდა კიჭია.

– მომეცი ჩემი ქუდი. ნუ აგლახავებ ჩემზე ამ ხალხს, არ ვარ მე შენგან მაგის ღირსი.

– მე წაგართვი ქუდი? ვინცხამ წაგართვა, იმას მოკითხე. შენ რომ რამე ჩაგაბაროს კაცმა, მიცემ სხვას?

ამასობაში ნოე თანდათან უფრო უახლოვდებოდა კიჭიას და როცა გაიფიქრა, ახლა კი მივწვდები ქუდს და წავართმევო, კიჭიამ მშვიდად მოისროლა ქუდი მურთაზისკენ და ნახტომგაცუდებულ, ხელებგაშვერილ ნოეს ხმამაღლა ჰკითხა:

– რას შვრები, ნოე ბიძია, ლოცულობ?

– შენც ამგენის ჭკუის ხარ, მურთაზ?

ახლა ნოე მურთაზ ცუცქირიძესთან ეძებდა გზებს.

– არა, მე უფრო ჭკვიანი ვარ ამგენზე. – გაიცინა სელაპადამიანმა და ბრბოდან რამდენიმე სუსტი ნერვების პატრონიც აიყოლია.

– არ ისროლო, გელაპარაკები, მომეცი ჩემი ქუდი!

მურთაზმა ქუდი ხელში შეატრიალა.

– ვარსკვლავი გასარემონტებლად ხომ არ მიგიტანია?!

ნოემ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ სეირის მოყვარულთა ყოველი ახარხარება ხანჯალივით ესობოდა გულმუცელში.

– მომეცი ქუდი, გირჩევნია!

– რეჰანით რომ გამოგიგზავნო დილას, არ მიიღებ? – ვითომ გაიხუმრა მურთაზ ცუცქირიძემ.

– ერთხელ მაინც იყავი კაცი, შე საწყალო! – ხმა აუკანკალდა მოხუცს. – რა გინდა ამ ძველ ბიჭებს რომ ეტორღიალები. ვინ ხარ, ვინ გამოგგზავნა, ვის ადგილზე ხარ, რას იბოხებ ხმას, ხომ ხედავ, არ გიხდება ძველბიჭობიას თამაში.

– მე დამანებე, ბატონო, თავი. მე წაგართვი ქუდი, ა?! – მურთაზმა ქუდი ხარლამპს ესროლა, – მიდი და იმას ელაპარაკე. არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი, მე არავის არაფერს ვუშავებ. ჩემთვის ვარ, ნუ დამაჯექით ყველა თავზე. – მურთაზის ხმაში სასოწარკვეთის სიმი აჟღერდა.

ნოე ამასობაში ხარლამპია გოგავას დაუბრუნდა.

– გეყოფათ აწი... გევიცინეთ ხომ? მომეცი ახლა ქუდი.

– ქუდი რომ გდომოდა შენ, იქნებოდი წყნარად შენთვის. – ნიშნის მოგებით უთხრა გოგავამ.

– ვის რა დავუშავე, ხარლამპია, მე?

– აბა, რას ჩამიხტი ბუზანკალიან ძროხასავით შუაში, ვინ გკითხავდა ლერიკონა შტერის ამბავს შენ?

– რომელი ლერიკონა არ ჯობია შენნაირ პარაზიტს! – იყვირა ნოემ.

ხარლამპმა გაიცინა.

– როდიდან გახდი ასეთი მყრალი, ნოე ბიძია, შენ? ომი ხვარ დეიწყო? ვის ეშინია თვალების ქაჩვის აქანა?

– ახლა იმალება მილიცია მაინცდამაინც, ახლა არ ჩანს არც ერთი... – ატირებას ცოტა აკლდა ნოეს.

– მილიცია ჩვენთან გამოწერითაა. დღეს თუ გამოიწერ, ხვალ მოვა, ისე, სადმე სამართალი რომ იყოს, ერთი მომცრო მილიციელი ქე გეკუთვნის შენ წამყოლ-წამომყოლად.

– მომეცი, შე პარაზიტო, ჩემი ქუდი!

ნოეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

– ჰა, კიჭია და, მიეცი ამ კაცს მისი ქუდი, მე სუსტი გული მაქვს და მეშინია, ქუდის დაბრუნების დროს გლახა არაფერი ვაკადრო, – ხარლამპმა კიჭიას ესროლა ქუდი და ნოეს ზურგი შეაქცია.

– კიჭია, არ მაძლევ ქუდს? – სანამ ახლოს მივიდოდა, კიდევ ერთხელ მოსინჯა ნოემ კიჭიას პოზიცია.

– მოდი ახლოს და ვილაპარაკოთ.

– რა უნდა გელაპარაკო, ბიჭო, შენ?

– რაც გაგეხარდება.

– გამაგებინე, სად გაიზარდე. ვინ აგიშვათ ასე. რამ გაგათამამათ.

– ხალხო, – მიუბრუნდა კიჭია ბრბოს მართალი კაცივით, – ჩვენ და ლერია იოსებაშვილი ვთამაშობდით ჩვენთვის. მევიდა ეს კაცი და კბენა დაგვიწყო. ვართ ახლა ჩვენ რამეში დამნაშავე?

„ხალხმა“ კიჭიას გულწრფელი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

– კიჭია! – ნოე ციებიანივით ცახცახებდა, – შე გამყიდველო, კიჭია. არ ხარ ახლა შენ ღორივით დასაკლავი?

– რაის გამყიდველი ვარ, რა გავყიდე? ეგება „სპორტლოტოს“ ვასუხარებ შენსავით და ხალხს ვატყუებ

– სპორტლოტოს მე, ქე მაინც ჩემს დაბეჭდილს არ ვყიდი, მადლობა ღმერთს, და შენ შენი ძმაკაცების ცოდვა გადევს.

– რომლების? – ხმას აუწია კიჭიამ.

– რატომ სხედან, აბა, ახლა ხინგავა და მარღანია ციხეში და შენ რატომ ხარ გარეთ?

– არ ვიყავი იმ საქმეში და იმიტომ...

– ხომ ყველამ იცის, ამდენმა ხალხმა, მთელმა ქალაქმა, შენ რომ იქ იყავი, მარა გამოძვერი თუ გამოგაძვრინეს. ახლა კაცი ხარ ვითომ შენც და ჭკუა გეკითხება?

– კი მარა, ამდენი ბოღმა თუ გქონდა გულში, გამარჯობას რატომ მეუბნებოდი, ნოე ბიძია?

– ბიძაშენობას ბიჭო, გველის ქვისლობა სჯობია. გამარჯობას მტერს არ დაუკავებენ.

– რატომ მეჭიდები, ხომ იცი, ვერ მომერევი, ნოე ბიძია, შენ. – ამ უკანასკნელ სიტყვებს გამომწვევად ამბობდა კიჭია.

– მორეული არ ვარ? ჩაიხედე სარკეში. შეხედე შენს თავს, ხომ ხედავ, არც ღმერთი გაყრის კარგ დღეს მაინცდამაინც.

– იმედი გაქვს, ხომ? ამ ხნის კაცს რომ ვერ ჩამოგკიდებთ სარზე, ხელს რომ არ გავისვრით, ამიტომ უნდა მოდგე და ანთხიო ბალღამი წინ და უკან, ხომ? ნუ გამოგვიყვან მოთმინებიდან, თვარა მოგიწევს ბანაობა ცივ რიონში, მამაჩემსა აქვს ცხონება! – წონასწორობას კარგავდა კიჭია.

...ნოე კაკაბაძემ წრე გაარღვია და ქუჩას მიაშურა. თამაში უადგილო ადგილას შეწყდა. ბრბოს აშკარად არ უნდოდა ეს დიდებულად დაწყებული ომი ასე უბრალოდ დამთავრებულიყო. ბევრი უძახეს ხარლამპმა და მურთაზმა მოხუცს, დაბრუნდი, წაიღე ქუდიო, მაგრამ ნოე კაკაბაძეს უკან აღარ მოუხედავს.

გაჩერებასთან მისულს ცუცქირიძე წამოეწია და ქუდი ძალით ჩამოამხო თავზე, მაგრამ ნოე კაკაბაძემ ცეცხლმოკიდებულივით იშვლიპა თავსაბური და ტალახში მოისროლა.

თარჯიმანი

– გადავრჩით? – ჩაულაპარაკა მინისტრმა ლევან ხვედელიძემ თავის თარჯიმანს, გია ყუბუსიძეს, როცა დამსწრეთა ტაშის გრიალში ტრიბუნას მოშორდა და კულისებში სული მოითქვა.

– დღეს კი. – გაუღიმა მთარგმნელმა.

– სადაც გინდა გამომიყვანე და ასეთ ჯამაათში ნუ გამომიყვან. საქმეზე აქ ვერ ილაპარაკებ, სტუმარი ხარ. რაღაცა ისე ხომ უნდა თქვა, რომ ხალხს თავი დაახსომო.

– რასაკვირველია.

– შენ წარმოიდგინე, თავმჯდომარემ ჩემი გვარი რომ გამოაცხადა და რომ წამოვდექი, ერთი სიტყვაც არ მახსოვდა, რა უნდა მეთქვა.

– ხომ გითხარით, სიტყვას წინასწარ გადახედეთ-მეთქი.

– გადავხედე კი არა, მთელი ღამე ვიზეპირებდი, მაგრამ... ბავშვი კი აღარა ვარ. მე მგონია, მაინც მოვაბი რაღაცას თავი.

– კარგი იყო, არა უშავდა!

– მეტი რა უნდა მეთქვა. თუმცა სადღეგრძელოსავით გამომივიდა, მაგრამ არც ესაა სწორი, ჩემ წინ გამოსულმა პროცენტებით რომ წაიღო ტვინი.

– რა თქმა უნდა, დაწვრილებით ლაპარაკს აზრი არა აქვს, მაგრამ ერთი უნდა შეგნიშნოთ.

– მითხარი, აბა! – მინისტრმა ყურს ხელი მიახმარა.

– დაწყებისას არ გინდათ ეს ერთნაირი ფრაზები. მე მზიური რაიონიდან ჩამოვედი და მზე ჩამოგიტანეთო, თუ დააკვირდებით, ვინც სამხრეთიდანაა, თითქმის ყველა ასე იწყებს, ან მზიურ ქვეყანას ახსენებენ პირველად, ან თოვლიან-ყინულიან მწვერვალებს.

– მერე ეს ცუდია?

– ცუდი როდია, მაგრამ მზით გავაკვირვებთ ჩვენ ამათ? თქვენ უფრო ორიგინალური სიტყვა შეგფერით. სხვათა შორის, მზე და ზღვა, ან თოვლი და მწვანე ხოდაბუნი ჩვენი დამსახურება სრულიადაც არ არის – ბუნების მადლია. თავი იმით უნდა მოგვქონდეს, რაც ჩვენ შეგვიქმნია, რითაც სხვებისაგან გამოვირჩევით.

– სწორი ხარ.

– მე მგონი, არც ის იყო საჭირო, ეს ამდენი ხალხი შინ რომ დაგვიპატიჟეთ.

– ვიხუმრე, შე კაცო!

– იხუმრეთ. რასაკვირველია, მაგრამ ხომ ნახეთ, ყველას გაოცება გამოეხატა სახეზე. ნუ დაგავიწყდებათ, ვისი სტუმრები ვართ: მუმუმიის კუნძულებზე ბოლო ადამიანი ოთხმოცი წლის წინათ შეჭამეს, კი, მართალია, ახლა კულტურული განვითარების გზას ადგანან, მაგრამ იუმორის გრძნობა ჯერ კიდევ შორსაა მათგან.

– ერთი სიტყვით, შენ უფრო იცი ამათი ამბავი და როცა ისეთს ვიტყვი რამეს, არ თარგმნო, თუ კაცი ხარ, გამოტოვე. გაგიჭრდა თარგმნა?

– სრულიადაც არა.

– ჩქარა ხომ არ ვლაპარაკობდი?

– არა, ბატონო.

– ყველაფერი თარგმნე?

– თითქმის. მარტო ერთი ადგილი გამოვტოვე, გითხრათ სიმართლე, – გემიდან რომ ჩამოვედი და თქვენს კლდეებს რომ შევხედე, გულმა რეჩხი მიყოო, რომ თქვით.

– რატომ?

– „გულმა რეჩხი მიყო“ ვერაფრით ვერ ვთარგმნე.

მინისტრს გაეცინა.

– მართლა, რა სასწაული ენა გვაქვს. რას უნდა ნიშნავდეს ახლა ეს „გულმა რეჩხი მიყო“, ვერაფრით ვერ თარგმნე, ხომ?

– ეს სიტყვები მუმუმიის ენაზე კი არა, მე მგონი, არც ერთ სხვა ენაზე არ ითარგმნება.

– ჰოდა, კარგი გიქნია, რომ გამოტოვე. ხმამაღლა რომ გაიცინეს, რაზე გაიცინეს, თუ გახსოვს?

– სცენაზე ხვლიკმა გაირბინა და რეპროდუქტორის ხახაში შეძვრა.

– არ გამაგიჟო!

– ნამდვილად.

– კიდევ კარგი, რომ არ დამინახავს, თორემ ბრინჯივით დავიბნეოდი.

– ??

– ხვლიკის მეშინია ძალიან. ახლა რა უნდა ვქნა. აქ ვიდგე?

– არა. შებრძანდით ახლა პრეზიდიუმში.

– ახლა, ამ წუთას?

– ორატორი რომ დაამთავრებს, ტაშის დროს შებრძანდით და მესამე რიგში დაჯექით. ა, იმ სათვალიანი ზანგის გვერდით.

– შენ სად იქნები?

– მე აქ დაგელოდებით.

– კარგი, აბა. შორს არ წახვიდე, გია, თუ კაცი ხარ.

– არა, ბატონო.

როცა მარტო დარჩა, გია ყუბუსიძემ ერთხანს კულისებში დაჰყო, მერე დახვეულ კიბეს ჩამოყვა და ქუჩაში გავიდა, მიტინგი ჯერ არ დამთავრდება და თვალს წყალს დავალევინებო.

მუმუმიის დედაქალაქში ცხელოდა.

ქუჩაში კანტიკუნტად თუ გაივლიდა თეთრ მიტკალში გახვეული მოქალაქე, რომელსაც თავზე წყლით სავსე უზარმაზარი ჭურჭელი ედგა.

გიამ პიჯაკი გაიხადა, ჰალსტუხწაჭერილ ყელს ცოტა შვება მისცა და მაგნოლიის ხეს შეეფარა.

თარჯიმანი ბედს არ უჩიოდა. მართალია, იგი პირველად იყო საზღვარგარეთ, მაგრამ მუმუმიის ხალხის ცხოვრების თაობაზე იმდენი იცოდა, რომ ამ უთავბოლო ქალაქშიც უმეგზუროდ გაიკვლევდა გზას, თავისუფალი დრო რომ ჰქონოდა.

იცოდა გიამ, რა საპასუხისმგებლო საქმისთვის ეკიდა ხელი. ამ უცხო ქვეყანაში მინისტრის თარჯიმნობა ხუმრობა საქმე ხომ არ იყო.

ყუბუსიძე ოცდაათს მიღწეული, სანდომიანი სახის, წელში მოხრილი, გამხდარი, სათვალიანი კაცი გახლდათ. ზუსტად ისე – კინოფილმებში ზედმიწევნით პატიოსანი, მაგრამ ოდნავ დაბნეული, თავისი საქმის ღრმად მცოდნე, მაგრამ გაუბედავი პერსონაჟები რომ გამოჰყავთ.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ კარგა ხანს იარა უმუშევრად, რადგანაც იმ ქალაქში, სადაც გია ცხოვრობდა, ყოველმა მეორე კაცმა იცოდა ინგლისური და თუ რომელიმე ენის მთარგმნელი სჭირდებოდათ, ყველაზე ნაკლებად ეს ინგლისურის სპეციალისტი გახლდათ.

ერთხანს აბითურიენტები ამზადა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ რეპეტიტორობა მისი მოწოდება არ იყო. ოთხი მოწაფიდან სამს მაინც ცოდნის შეძენა კი არა, მისაღებ გამოცდებზე დახმარება უნდოდა. გიას კი ეს არ შეეძლო და რომც შეძლებოდა, არ ჩარგავდა თავს ამ საეჭვო და ბინძურ საქმეში.

რეპეტიტორობას თავისი შნო და მარიფათი უნდა.

სამსახურის საძებნელად ინსტანციებში ამაო ხეტიალით დაღლილს, ვიღაც ღვთიან-მადლიანმა ურჩია, ქალაქში მუმუმიის ენის მცოდნე არავინაა, ისწავლე ეს ენა და პურს გაჭმევსო.

შექსპირის ენამ ვერ მიშველა და მუმუმიის ენა რა ხეირს დამაყრისო, ხელი ჩაიქნია გიამ, მაგრამ როცა იმ კეთილმა კაცმა დააიმედა: რა გინდა, კაცო, შენ ოღონდ ეს ენა ისწავლე და სამსახურში მოწყობის პირობას მე გაძლევო, ყუბუსიძეს ჭკუაში დაუჯდა, ერთი წლის თავზე მუმუმიური ურთულესი ენა ისე დასძლია, რომ არა მარტო კითხულობდა და თარგმნიდა, რადიოგადაცემებსაც უსმენდა და ამ განვითარებადი ტომის დიალექტებშიც გაიწაფა ენა.

მუმუმიის კუნძულებთან ურთიერთობას დიდი მომავალი უჩანდა და, ერთ მშვენიერ დღეს, გია ყუბუსიძე ტაშისკვრით დანიშნეს კანცელარიის მოხელედ კი არა, მიმოწერის განყოფილების სტილისტად კი არა, – მინისტრის თარჯიმნად.

დანარჩენს მკითხველი უკვე ხვდება.

მინისტრი ბავშვივით დამჯერე და ტკბილი კაცია. გიას ნიჭს ძალიან აფასებს და მუმუმიის ტომის თავისებურ ხასიათზე თავისი თარჯიმნის აზრებს ანგარიშს უწევს.

ხომ ხედავთ, რა უფლება მისცა ახალგაზრდა მთარგმნელს – რაც არ მოგეწონება, ნუ თარგმნიო.

თეატრის შენობიდან გამოვიდა თუ არა, გიამ შენიშნა, რომ ვიღაც გამოჰყვა. ახლა იგი, შავ კოსტიუმში გამოწყობილი, უზარმაზარი მუმუმიელი შორიახლო დააბიჯებდა შეწუხებული სახით ხან თარჯიმანს შესცქეროდა, ხანაც კისერზე ოფლს იწმენდდა თეთრი ცხვირსახოცით.

გიამ გაუღიმა. ეს ღიმილი მუმუმიელმა გასაუბრების ნებართვად ჩათვალა, მიუახლოვდა და ბოდიშის მოხდით ჰკითხა გამოსვლის მიზეზი.

თარჯიმანმა აუხსნა, გულის უკმარისობა მაქვს და ერთი წუთით გამოვედი, ჰაერს გადავყლაპავ და შევბრუნდებიო.

თუ სხვა არაფერი გნებავთ, შენობაში ყოფნა გირჩევნიათ, იქ კონდიცირებული ჰაერია და გრილა კიდეცო, მორცხვად აუწყა მასპინძელმა.

გიას შერცხვა. რა ღმერთი გამიწყრა. უფრო დამაჯერებელი მიზეზი რად ვერ მოვიგონეო, თავის თავს გაუწყრა, პიჯაკი ჩაიცვა და თავაზიან გამყოლს შეჰყვა პართენონის სტილზე აშენებულ, მუმუმიის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში.

ის იყო კულისებში შერგო თავი და შეფს გახედა, რომ სხდომის თავმჯდომარე – ჭრელი ხილაბანდით თავწაკრული, დაბალი კაცი წამოდგა და დარბაზს მიტინგის დამთავრება აუწყა.

ტაშის გრიალი და ფეხების ბაკუნი კარგა ხანს არ დამცხრალა.

გია კულისებიდან გასცქეროდა: მუმუმიის მოქალაქეებს არაჩვეულებრივი სიხარული და კმაყოფილება ეხატათ სახეზე.

თარჯიმანს მოეჩვენა, რომ დარბაზს სხვა რამეზე უფრო მეტად ამ გაჭიანურებული და მოსაწყენი სხდომის დამთავრება უხაროდა.

გასასვლელებში და პარტერის წინა რიგში თეთრხელთათმნიანი პოლიციელები იდგნენ და დარბაზს იდუმალი ყურადღებით ათვალიერებდნენ, რათა ამ აჟიოტაჟსა და ღრიანცელში ვინმეს სიყვარულით სცენისაკენ ქვა არ ესროლა.

პრეზიდიუმში მსხდომნი სათითაოდ, დარბაზისთვის ზურგისუჩვენებლად, ჰაეროვანი კოცნის გზავნითა და ყურებამდე ღიმილით გამოლაგდნენ კულისებში.

მინისტრმა გიას უხმო და ოთხად გაკეცილი ქაღალდი გადასცა.

– რა წერია, ერთი ნახე.

გიამ უსტარი გაშალა და ჩაიკითხა:

„ბატონო მინისტრო, საღამოს შვიდ საათზე თქვენ მიწვეული ბრძანდებით მუმუმიის კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრთან მიღებაზე“.

– კი, მაგრამ, ეს ხვალ არ იყო? – შეიცხადა ლევან ხვედელიძემ.

– პროგრამით ხვალ იყო გათვალისწინებული, შეცვალეს ალბათ.

– რომელ საათზე?

– შვიდზე.

– ეს ჩვენი დროით რომელია?

გიას გაეცინა.

– ბატონო ლევან, ჩვენი დროითაც შვიდი საათია.

– რანაირად?

– ხომ გითხარით, ჩვენსა და ამათ დროში განსხვავება ოცდაოთხი საათია. ჩვენ ოცდაოთხი საათით წინა ვართ.

მინისტრმა საათზე დაიხედა.

მზე კარგა ხნის გადასული იყო და ქუჩის ორსაჟენიანი თერმომეტრი მხოლოდ ორმოცდაცხრა გრადუსს უჩვენებდა, როცა მინისტრი და თარჯიმანი ბამბუკის ხუთსართულიანი სახლის კიბეს მიუყვებოდნენ.

გიამ დათვალა: გრძელ დერეფანში ერთიმეორის მიყოლებით შვიდი კარი გაიღო. თითოეულ კართან მიახლოებისას ორი ფრაკიანი მუმუმიელი გამოხტებოდა, სტუმრებს თავს დაუკრავდნენ და შემდეგი კარის გასაღებად ტყაპატყუპით გარბოდნენ.

თარჯიმანს გაეცინა. ლაქიებს ფეხებზე ხის ქოშები ეცვათ. იმისათვის ხომ არა, გრძელ დერეფანში მათს თავაწყვეტილ დოღს მეტი ხმაური რომ გამოეწვია?

როგორც იქნა, მიაღწიეს კულტურის და მეტალურგიის მინისტრის კაბინეტამდე.

მასპინძელი კარშივე შეეგებათ. გიას გაუკვირდა. მუმუმიის მთავრობის წევრს ყვითელი აბრეშუმის გრძელი სარაფანი ეცვა. წითურ, ხუჭუჭა თმაში ლურსმნისხელა ბრჭყვიალა ქინძისთავები ჰქონდა გარჭობილი, ხოლო ტუჩები ხუთჯერ უფრო სქელიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ დაფარავდა მის ჯანმრთელსა და ბასრ კბილებს, ავის მაუწყებლად წინ გამოშ-

ვერილთ. გიას მოეჩვენა, რომ ეს კაცი პროვინციულ თეატრში ოტელოს როლის შემსრულებელს ჰგავდა.

თარჯიმანი უკუდგა და ლევანი წინ გაატარა, ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, მასპინძელმა გულზე ხელები აიფარა და თავი მუხლებთან მიიტანა, „კოცნა არ გინდათ“, – წასჩურჩულა გიამ ხვედელიძეს, მაგრამ უკვე გვიან იყო, ლევანს კისერზე შემოეხვია ხელი დაბნეული მასპინძლისთვის და გაშმაგებით კოცნიდა ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ლოყაზე.

კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრი უხერხულობისგან იშმუშნებოდა. ვერაფრით აეხსნა სტუმრის გულაჩუყების მიზეზი. უშველებელი ტუჩებით რაღაცას ბურტყუნებდა და ხანდახან თავის გვერდზე შებრუნებით აგრძნობინებდა სტუმარს, რომ იგი ამდენი ფერებისა და გულში ჩახუტების ღირსი სრულიადაც არ იყო.

მისალმების ცერემონიალი რომ დამთავრდა, ლევან ხვედელიძემ თარჯიმანს ხელი დაუქნია.

მასპინძელმა ირგვლივ ოთხი ბალიში შემოიწყო და სტუმარს ერთ-ერთ თავისუფალ ბალიშზე მიუთითა.

მინისტრმა შენიშნა, ფართოტუჩება დამხვდური სულს ძლივს იბრუნებდა.

თუ მეტი გამძლეობა არა აქვს, ვინ დანიშნა ამოდენა უწყების უფროსადო, გაიფიქრა ხვედელიძემ და გვერდზე აწეპებულ თარჯიმანს ჩუმად (ისე რომ მასპინძელს არ გაეგონა) ჰკითხა: რა ვქნა ახლა?

– დაბრძანდით ამ შემოთავაზებულ ბალიშზე. კედელთან რომ ორი მუთაქაა, ერთით ზურგი გაიმაგრეთ, მეორე მუხლებზე დაიდეთ, რათა იდაყვებით დაეყრდნოთ.

მინისტრმა თარჯიმნის რჩევა უშეცდომოდ შეასრულა. მერე, ბალიშზე მოკალათებულმა, თავის ჭკვიან მთარგმნელს ამოხედა და ჰკითხა:

– სწორად ვზივარ?

გიამ თავი დაუქნია.

მუმუმიის მხარის წარმომადგენელმა ხელის მტევნები ერთმანეთს მიატყუპა, თვალები ჭერს მიაპყრო და სიტყვა წარმოთქვა.

იგი შეუჩერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ გია ყუბუსიძე

თარგმნას თავისუფლად ასწრებდა, რადგანაც კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრი ყოველ მესამე წინადადებაში პირველ წინადადებას იმეორებდა.

„თქვენი ჩამოსვლით უაღრესად ბედნიერი ვარო. გზაზე ხომ არ დაიღალეთ, კუჭის მოქმედება ხომ ნორმალური გაქვთო, თქვენი ჩამოსვლა ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენი ხალხების ისტორიაშიო, ძალიან გვიჭირს, მაგრამ თქვენი დახმარების იმედი გვაქვსო. მუმუმიელი კაცი უღალატო და გამტანია, მაგრამ როგორც კი შეატყობს, რომ ატყუებენ, მართალსაც კი აღარ დაიჯერებსო. ერთცოლიანობის ლიკვიდაცია უკვე მოვახდინეთ, მალე საყოველთაო დაწყებით განათლებაზე გადავალთო. შავი მეტალურგია, მართალია, ჯერ არა გვაქვს, მაგრამ თქვენი სახელმწიფო დახმარების ხელს გვიწვდის და, იმედია, მალე მეტალურგიული ქარხნების კომპლექსი გვექნებაო. შავი მეტალურგია მრეწველობის პურიაო. შავ მეტალურგიას და საფეიქრო მრეწველობას თუ თავი მოვაბით, მერე ფერად მეტალურგიაზეც ვიფიქრებთო“.

ჯერი ლევან ხვედელიძეზე მიდგა. სტუმრის საპასუხო სიტყვა მოკლე და დაბნეული, მაგრამ გულწრფელი იყო.

ორ მარტივ წინადადებას რომ იტყოდა, ღრმად ამოისუნთქავდა და იმედიან მზერას ესროდა თავის თარჯიმანს. სანამ ყუბუსიძე იმ ორ წინადადებას თარგმნიდა, მინისტრი ახალ ფრაზას აკოწიწებდა თავში. კაცმა სიმართლე უნდა თქვას და, გიას ცოტა ჯაფა როდი ადგა ლევან ხვედელიძის აბდაუბდა ნათქვამში ლოგიკის ნაპერწკალი შეემჩნია და ასატან დონემდე მაინც შეელამაზებინა.

მუმუმიელი ყურადღებით უსმენდა. ხანგამოშვებით კმაყოფილებით ჩაიკრუსუნებდა და მიწის თხილს დაწვდებოდა.

სიტყვათა ოფიციალური გაცვლა-გამოცვლა რომ დამთავრდა, მასპინძელი გაიზმორა და განმკლავმიღებულმა ხვედელიძეს გაუღიმა, რითაც აგრძნობინა, ჩვენი შეხვედრის ეს პირველი ეტაპი ხომ წარმატებით დავამთავრეთ, ახლა შინაურულ მუსაიფზე გადავიდეთო.

– რა უნდა? – ჰკითხა თარჯიმანს მინისტრმა.

– თავისუფლად ვიყოთო. რაზეც გინდათ, ვისაუბროთო. შემეკითხეთ, რაც გაინტერესებთ და სიამოვნებით გიპასუხებთო.

– აგაშენა ღმერთმა-თქო, – გული მიეცა მინისტრს, – შენ ეს მითხარი, გია, ხომ შეიძლება ეს მიწის თხილი რომ ავიღო?

– კი, ბატონო.

– რომელი თეფშიდან, თვითონ რომ იღებს იმიდან, თუ აქეთ რომ დგას?

მასპინძელი, თითქოს ნათქვამი გაიგოო, თეფშს დაწვდა და მინისტრს გაუწოდა.

ხვედელიძემ ერთი ცალი აიღო და თეფშთან ნახევრად მოკეცილი ხელის მიტანით გულუხვ მასპინძელს მადლობა გადაუხადა.

– ჰკითხე ერთი პროტექციონიზმი თუ არის თქვენში-თქო, – სერიოზული სახით უთხრა მინისტრმა თარჯიმანს.

გია გაწითლდა.

– უხერხულია, ბატონო ლევან, ჯერ ესენი ამ დონემდე არ მისულან. შეიძლება ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ იცოდეს.

ლევანი შეიშმუშნა.

– მაშინ ასეთი რამ ჰკითხე: ჩვენ პირველი რომანი ათას ხუთასი წლის წინ გვქონდა და თქვენ რომელი საუკუნიდან გაქვთ-თქო. კულტურის მინისტრია, უნდა იცოდეს.

გიამ არც ეს შეკითხვა მიიღო სათარგმნელად.

– ბატონო ლევან, ამათ რომანი ახლაც არა აქვთ.

– ვიცი, რომ არა აქვთ. – მინისტრი აიმრიზა, – სწორედ მაგიტომ ვეკითხები, რომ გავაგებინო, ჩვენ ვინა ვართ და რას წარმოვადგენთ.

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ლევან, – ყურებამდე გაწითლებულ თარჯიმანს ტუჩები უთრთოდა: – შეურაცხყოფად მიიღებს ამ შეკითხვას. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. თქვენ გგონიათ, ძალიან ესიამოვნება, ჩვენ რომ ათას ხუთასი წლის რომანი გვაქვს და, ესენი რომ გუშინ გამოვიდნენ ჯუნგლებიდან?

– კი მაგრამ, აბა, რაზე ველაპარაკო შენი ჭკუით? – წყრომა გაერია ხმაში ლევანს.

– რაზეც გნებავთ, თქვენი ნებაა. მე, თუ მიბრძანებთ, ამ კითხვებსაც ვთარგმნი, მაგრამ უხერხულია. – თავი დახარა ყუბუსიძემ.

კულტურისა და შავი მეტალურგიის მინისტრი ხან ლევანს

შეჰყურებდა და ხან გიას. იგი ხვდებოდა, რომ მინისტრი და მისი თარჯიმანი რაღაცაში ვერ რიგდებოდნენ.

– ჯამნომუმოკივოპუტა? – სიჩუმე დაარღვია მასპინძელმა.

– რაო? – ყუბუსიძეს მიუბრუნდა ლევანი.

– ხომ არ დაიღალა ჩვენი სტუმარი? ხომ არ სურს, ყავა მოვატანინო, ან ბაღში გავისეირნოთო.

– გმადლობთ, ახალი ნავახშმი ვარ-თქო, მოახსენე.

– ბუბუტოჩანოკანა – დაუმარცვლა თარჯიმანმა მუმუმიელს.

მასპინძელი დამშვიდდა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

– ისტორიული ძეგლების რესტავრირებისა და მოვლა-პატრონობის საქმე რა დონეზე გაქვთ დაყენებული-თქო, კითხე ერთი, თუ კაცი ხარ, – მორიგი შეკითხვა მოიფიქრა ლევან ხვედელიძემ.

გიას სიჯიუტეს ბოლო არ უჩანდა.

– ვერ ვკითხავ ასეთ რამეს, ბატონო ლევან!

– რატომ ვითომ?! – ცოტა არ იყოს, ხმამაღლა მოუვიდა ნათქვამი მინისტრს.

– ამათ ისტორიული ძეგლები საერთოდ არა აქვთ და, რა რესტავრირებაზეა ლაპარაკი!

მინისტრს ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა. მესამე შეკითხვაც უვარდება. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება.

– კაცო, შენ რასაც გეუბნები, ის უთარგმნე და ჩემს ჭკუის სწავლებას დაანებე თავი, ბიჭო!.. – ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკაო, განზე გაიხედა ლევანმა.

* * *

გია ყუბუსიძე მუმუმიიდან დაბრუნებისთანავე გაანთავისუფლეს სამსახურიდან. თარჯიმანი ვერაფრით ვერ მიხვდა, რა შეეშალა მუმუმიის კუნძულზე თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

თუ მკითხველიც ვერ ხვდება, მაინც აღარ ყოფილა საშველი და ეგაა.

გზა

იღბალი არ გინდა? ამ დედაბერმა წელან ვაგონის ნომერი მკითხა, სათვალე არ მივარგა და ვერ ვხედავო. იმ ერთი წუთის განმავლობაში, სანამ კიბეზე ამოჩოჩდებოდა, მოასწრო ეთქვა ჩემთვის: დასთან ვიყავიო ულგოროდში სტუმრად, ქალიშვილი გაათხოვა და დაბრუნების პურ-მარილი გადაიხადაო. ჩემმა კაცმა ღამის მორიგეობა მოიმიზეზა და არ წამოვიდა. აღარაფერი აღარ უხარია, ოღონდ სახლიდან ნუ გაიყვან და, რა გინდა შენო. კაცი ასე დაგლახავებულიყოს, არ მინახავსო. ავდექი და მარტო წამოველ, აბა, რას ვიზამდიო. ტანია ჩვენს ხელში გაიზარდა სანახევროდ, ქორწილში ვერ წავედი და ახლა დაბრუნებისას შევირცხვენდი თავსო?

ბოდიში მომიხდია ყველა ამ ხნის ქალის წინაშე, მაგრამ, სამოცის ახლომახლოს რომ ეძახიან, იმ ასაკის ქალბატონებს, ვიღას დავუმალო და, ბევრი ლაპარაკი უყვართ, ღვთის წინაშე, თუ გულდაგულ მსმენელი შეხვდათ. ნეტავ იმას, ვის კუპეშიც შენ მოხვდები-მეთქი და მაინცდამაინც ჩემს კუპეში არ აღმოჩნდა?

მეთერთმეტე ადგილი ჩემია, მეცხრე ამ დედაბრისა, დათვისქურქიანმა ყმაწვილმა შემოიხედა. იქნებ ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ შეზარხოშებული ნამდვილად იყო. ჩვენთვის ყურადღებაც არ მოუქცევია, ზედა საწოლზე შეხტა და ქურქგაუხდელად დაიძინა, ფშვინავს გემრიელად. ბედნიერი კაცია, აბა, რა არის.

ვაგონრესტორანში მოწამვლის თავი არა მაქვს. მე შენ გეტყვი, სუფთა თეფშზე დასხმულ წესიერ კერძს მოგაწვდიან. დერეფანში გავიდე? რამდენ ხანს ვიდგე მერე ფეხზე ცხენივით? სხვა გზა არა მაქვს, უნდა ვუსმინო. თითქოს საკულტო რიტუალს ასრულებდეს, რა კარგად ეწყობა, როგორ ემზადება სამუსაიფოდ, ეს დალოცვილი. ლეიბ-საბანი გაშალა, წელზე

თავშალი შემოიხვია. ბალიშს ზურგით მიეყრდნო. პირსახოცი ოთხად გაკეცა და ლეიბქვეშ ამოდო. ჩანთიდან შალის წინდები ამოიღო და ჩაიცვა. მერე ჩემკენ გამოიხედა და წყნარი, მშვიდი ხმით, თითქოს ძველთაძველ ნაცნობს ელაპარაკებაო, დაიწყო:

– საკუთარი ქმრის ძვირს როგორ უნდა ვამბობდე, მაგრამ გავმწარდი, შვილო, და წამომცდა. სიბერის ბრალია ალბათ. აღარც ჩემიანი უნდა და აღარც მისიანი. გამომიშვა ეს ინვალიდი ქალი. ბრმაზე საცოდავი არის რამე, ბატონო, ამ ქვეყანაზე? ბრმა ვარ, აბა, რა ვარ! ამ თვალით სულ ვერ ვხედავ და აქეთა თვალში მარტო ოცი პროცენტი მაქვს მხედველობა. გართულებული კატარაქტიაო, თუ რაღაც ჯანდაბა, საოპერაციოდ მაქვს საქმე. ა, თქვენ ახლა ბუნდოვნად გხედავთ. შავი ულვაში გაქვთ, მგონი, და აქცენტზე გეტყობათ, რუსი არ უნდა იყო. ბრმა კი არა, თვალახელილი ძლივს აგნებს ახლა, ამ ორომტრიალში. ზოგ კარს მარტო „შესასვლელი“ აწერია, ზოგს – „გამოსასვლელი“. კარი იმიტომაა კარი, რომ თუ ღიაა – გინდა შეხვალ და გინდა გამოხვალ. არაო, მაინცდამაინც აქედან უნდა შეხვიდე და იქედან უნდა გამოხვიდეო. სალაროს მე ვერ მივაგენი. მიაგენი, თორემ ერთბაშად ურიგოდ არ გაგიშვან. ბრმა ვარ, ინვალიდი ვარ-მეთქი, მართლა ინვალიდი ვარ მესამე ჯგუფის, პირველი მეკუთვნის, მაგრამ შეგნებულად არ ვღებულობ. ვმუშაობ ჯერ კიდევ, პენსიაზე გახლავართ, მაგრამ მაინც ვმუშაობ, ღამის ტელეფონისტად ვარ ფოსტაში. პირველი ჯგუფისას რომ ავიღებ, მერე მუშაობა აღარ შეიძლება. სახლში ჯდომას მე ვერ გავუძლებ. მაშინვე მოვკვდები. მთელი ცხოვრება შრომაში და წვალებაში გავატარე. თუ ბრმა ხარო, აქამდე როგორ მოხვედიო. არაფერი ბრმა შენ არა ხარ, ნუ მაიმუნობ, თვარა მილიციაში მიგაბრძანებთ ახლავეო. ბრმები ქალაქიდან ქალაქში უპატრონოდ არ მოგზაურობენ, სახლებში სხედანო. ჩამოვწყდი ფეხზე. ჩვენი რიგის ამბავი ხომ იცი. წამომყევი, შე კაცო, თვალი მაინც გიჭრის, კაცი ხარ, რაც არ უნდა იყო. მეტი გამავლობა გაქვს, მეტ ყურადღებას მოგაქცევენ-მეთქი,

არა! არ უნდა და მოკალი. მთელი ცხოვრება ასე სიჯიუტეში გაატარა. მის ჭკუაზე უნდა ყველაფერი. ქმრის ძვირს როგორ უნდა ვამბობდე, მაგრამ ოცი წელიწადია მაგის მოტანილი მანეთი არ მინახავს. სვამს. თავისი ხელფასი ფლანგოს არაყში, ჯანდაბას მაგის თავი და ტანი, მაგრამ ჩემსასაც რომ ზედ აყოლებს?! რაღაც ორ კაპიკს მოვიჩუმათებ კუთხეში შავი დღისთვის. რა იცი, რა დღე გელის ადამიანს, სიბერემდის სიქაჩლეო. ველოდი დაბრმავებას? ქორის თვალები მქონდა, ახლა ვაგონის ნომერსაც ვერ ვხედავ. ესეც არ იყოს, ხან გზა შეგხვდება კაცს, ხან ჭირი, ხან ლხინი, მომსვლელ-წამსვლელი. ვერსად ვერ დავუმალე! მიაგნებს და მომპარავს. მომპარავს და მოვა გალეშილი. შეაყარე კედელს ცერცვი, არ მეჩხუბოსო და, აქეთ იბღვირება, მერე ლაპარაკის საღერღელს აიშლის და ლაქლაქებს გაუთავებლად. რაღაცას მედავება, რაღაცით უკმაყოფილოა, რაღას მემართლება, ვერ გავიგე. დავიცობ ყურებში თითებს, გავალ სამზარეულოში, იქნებ რამეს გული გადავაყოლო-მეთქი. მოგეშვება? ფეხდაფეხ მოგდევს. ყურში ჩაგჩხავის ყვავივით. სანამ თვითონ არ გასავათდება და შენ ჭკუიდან არ შეგშლის, თავს არ დაგანებებს. ერთი ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის: როგორ შემიყოლია, როგორ გამაბრიყვა: შვილი არ მოგვცა გამჩენმა, ავიყვანოთ და გავზარდოთ-მეთქი. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და ამასობაში ქე დავბერდით. ახლა რაღა დროსია. ჩემი ბრალიც არის. არ უნდა დამეჯერებინა.

მე თვითონ ულგოროდში ვარ დაბადებული. მართლმადიდებელი გახლავარ. საეკლესიო გლეხები ვიყავით. საწყალი მამაჩემი მიწის მუშა იყო, ჩვენი ხუტორი – ოგოროდნაია უკვე გავიარეთ. ბოლო დროს ცხენების მომვლელად დანიშნეს მამაჩემი. კანტორის ცხენებს უვლიდა. კოლმეურნეობის და საბჭოს თავმჯდომარეები გვერდიდან არ იცილებდნენ. იმ ღამესაც იმათ წაჰყვა, მერე თვალით აღარ მინახავს. შემოვიდა, მაკოცა და მითხრა, კატია, არ შეგეშინდეს, ხვალ, შეიძლება, გერმანელები მოვიდნენ და მე უფროსებს მივყვებიო ტყეში, პარტიზანებთან. შენთან იმათ საქმე არ ექნებათ,

იყავი შენთვის. კარტოფილი და პურის ფქვილი ცოტა ხანს გეყოფა, ამასობაში ჩვენც შემოვალთო. ჩემი დები (ხუთნი ვიყავით) უკვე ევაკუირებულები იყვნენ. სულ თორმეტი წელია, რაც ერთმანეთი ვიპოვეთ გაზეთებით. მე ცოცხალი აღარ მეგონა არც ერთი. მე რატომ არ წავედი? ჩემი სიარული არ შეიძლებოდა. ახალი ნამშობიარევი ვიყავი. ქმარი, რა თქმა უნდა, ფრონტზე იყო. ვინერვიულე თუ რა მომივიდა რა ვიცი, უდღეური გოგო გამიჩნდა და ერთ კვირაზე მეტ ხანს ვერ იცოცხლა იმ უბედურმა. მე ვთქვი, მგლები ხომ არ არიან, შემოვლენ, წაიღონ, რაც უნდათ, მე რა საქმე მაქვს გერმანელებთან, მე რა დავუშავე ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შემჭამენ-მეთქი.

დილით მოვიდნენ. მოტოციკლეტის ხმა რომ გავიგონე, გული ამიფართხალდა. ორი ჯარისკაცი და ოფიცერი შემოვიდა. კარი გავაღე და ლოგინში ჩავწექი, არ შემეძლო ფეხზე დგომა. ჩაწოლილი რომ მნახეს, სიცილი აუტყდათ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მელოდებიან. ოფიცერმა ჯარისკაცები გაისტუმრა, თვითონ ჩემს საწოლს მოადგა, საფეთქელთან ორი თითის მიტანით მომესალმა და მითხრა: „უჟე ვრემია, ვსტავაი, ვსტავაი!“ ავუხსენი ავად ვარ, ჩემი ადგომა არ შეიძლება-მეთქი. ვერ დაგტოვებ, უფლება არა მაქვსო, ჩანთიდან ქაღალდი ამოიღო და ცხვირწინ ამიფრიალა. თვითონ გამოაქვს კარადიდან ჩემი ტანსაცმელი და ლოგინზე მიყრის, ეს ჩაიცვი, ეს ჩაიცვი, დაბამბული შარვალი ჩაიცვი, თბილად იქნები და ნუ გეშინიაო.

კოლმეურნეობის კანტორის სარდაფში შეგვრეკეს მე, ტელეფონისტი გოგონა ნატაშა და საბჭოს თავმჯდომარის ცოლი – ვერა. ამ ვერას, ამ უბედურს, ბარგის ჩალაგება და გაქცევა ვერ მოესწრო. სოფლის ბოლოს დაეჭირათ. ნატაშა სად წავიდოდა, დღედაღამ ტელეფონთან უნდა მჯდარიყო, ასეთი ბრძანება ჰქონდა. მთელი ღამე დაკითხვაზე გავატარეთ. გამომძიებელს და მის რუს თარჯიმანს თვალი არ მოუხუჭავთ. სად არიან პარტიზანებიო, მე თვითონ არ ვიცოდი და რომც მცოდნოდა, როგორ ვეტყოდი, შვილო. რომელი

სულელი ეტყვის – ეგერაა მამაჩემი და დაიჭირეთო. ვერასა და ნატაშასას ვერაფერს გეტყვი. სარდაფში რომ შემოგვაბრუნეს, ორივე იმას ამბობდა – არ ვიცი, ღმერთი, რჯულიო. მერე, ეტყობა, დაკითხეს სხვებიც. სოფელში ვინც იყო, ყველას გამოჰკითხეს ჩვენზე. ყველა კი არ ებრძოდა, შვილო, გერმანელებს. ზოგი პურ-მარილით ხელდამშვენებული ეახლა, ხომ იცი, დათვი თუ მოგერია, ბაბა უნდა უთხრაო, ასე ფიქრობს ზოგიერთი. მოკლედ, მესამე დღეს ნატაშა და ვერა ჩამოახრჩეს, მე გამანთავისუფლეს. ალბათ, გაიგეს რომ მეჯინიბის ქალიშვილი ვიყავი და მთავრობის საქმეები ნაკლებად მეკითხებოდა. გამათავისუფლეს, სახლში ღამის გათევის უფლება მომცეს. დილით უნდა გამოვცხადებულიყავით ყველა – მოხუცი თუ ახალგაზრდა, ვისაც ფეხზე დგომა შეგვეძლო. გერმანელი გაგვანაწილებდა: ზოგს სამზარეულოში გვიკრავდა თავს, ზოგს – სამრეცხაოში, სხვებს გზაზე თოვლს გვაწმენდინებდა. ორი თვე ამ ყოფაში ვიყავით, ორი თვის თავზე გამთენიისას, გამოგვრეკეს სახლებიდან, ხაზზე გაგავამწკრივეს, გადაგვარჩიეს და დახურულ, შავ მანქანებში ჩაგვსხეს. დანარჩენებს უბრძანეს, სახლში შებრუნდითო. სად მივყავართ-მეთქი, თარჯიმანს ვკითხე: ნუ გეშინიათ, სამუშაოდ სხვა რაიონში გაგანაწილეს, იქ უკეთეს პირობებში იქნებითო.

რა ვიყავი მაშინ? ოცი წლის გოგო. თვრამეტი წლისა გავთხოვდი. შესახედავადაც არა მიშავდა, მაგრამ ცოდვას ვერ დავიდებ, შვილო, ორი თვე ხომ ასე ვიყავით, სამი წელი და ხუთი თვე მაგდებურგში, კონცლაგერში გავატარე. კონცლაგერიო, მერე გავიგე ეს სიტყვა ომი რომ დამთავრდა, თორემ რა ვიცოდი, რა იყო. მტერს ნუ ანახოს ის დღე, რაც ჩვენ გავიარეთ. მუშაობა ვირის. ჭამა – ბეღურისა. გაძელი თუ ბიჭი ხარ. რას მოვაყოლე ახლა ეს? ჰო, ოცი წლის გოგო ვიყავი-მეთქი, და რატომღაც ყველამ ასე ვიცოდით ქალებმა: გერმანელები რომ შემოვლენ, თუ ცოცხალი დაგვტოვეს (რაც ძალიან საეჭვო იყო), ნამუსის ახდა ხომ ხელში გვაქვს დიდიან-პატარიანადო. ჩვენ, ქალები, კონცლაგერში, რა თქმა

უნდა, ცალკე ყაზარმაში ვყავდით, ჩვენს მეთვალყურეებად ძირითადად ხეიბარი ოფიცრები და ბებერი გერმანელები იყვნენ. ვისაც ჯანი და სიმრთელე ჰქონდა, ფრონტზე იბრძოდა. იყო ჩვენთანაც, როგორ არ იყო, გაუპატიურების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ, ახლა რომ ვუფიქრდები, იქ არც მთლა ჩვენი დაი იყო მამა აბრამის ბატკანი.

ომის დამთავრებისას გაცოფდნენ უფრო გერმანელები. კრაზანებივით იკბინებოდნენ. ღორებს და მუქთამჭამელებს გვეძახდნენ. სამი წლის განმავლობაში გარჩინეთ, შეგინახეთ და მადლობელიც არა ხართო. შიმშილით დაწყდებოდითო. წარმოგიდგენია? მადლობელი თურმე ჩვენ უნდა ვყოფილიყავით. ომის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს ქექეს ჩვენი საბუთები. გვეკითხებოდნენ: ტყვედ რანაირად ჩავარდით და გერმანელებს რა სამსახურს უწევდითო. რა სამსახურს ვუწევდით, ვირის მუშებად ვიყავით. ვუთხარი ყველაფერი, რაც ვიცოდი და რაც გადამხდა. ტყუილის მოფიქრების თავი მაქვს კი არა, მართალსაც ვერ ვამბობ ხშირად. ერთი წელი გერმანიაში გვამსახურეს, მერე აქეთ დაგვაბრუნეს.

ჩემი ქმარი ომის ქარცეცხლს გადარჩენოდა, დაბრუნებულიყო სოფელში. ჩემი ასავალ-დასავალი გაეკითხა. ვინ ეტყოდა? ვინ რა იცოდა. ომი რომ დამთავრდა და არ გამოვჩნდი, დაღუპული ვეგონე და ცოლი შეერთო. რომ ჩამოვედი, უკვე შვილიც ჰყავდა. ორი თვის ბიჭი ეჭირა მის ცოლს. რას ვიზამდი? ახალმა ცოლმა თავში წაიშინა ხელი, ნუ გეშინია, არ წაგართმევ ქმარს, ცოტა ხანი გამომყვეს სალაპარაკოდ-მეთქი. არყიანში გავედით სოფლის ბოლოს. დავჯექით და ვიტირეთ ორივემ. ღილები დაიგლიჯა და დაჭრილი ნადირივით ბღაოდა. გავამხნევე, დავამშვიდე, კოცნით ამოვუშრე ცრემლი და გავუშვი სახლში. ახლა მივხვდი, არ უნდა გამეშვა. ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით დაბადებულნი. სიყვარულში დათმობა არ შეიძლება. ჩემთან რომ მყოლოდა, ახლა ცოცხალი იქნებოდა. ორი წელია რაც აღარ არის. მთვრალი მოსულიყო და ცოლს გარეთ გაეგდო – გამოფხიზლდები და შემოგიშვებო. კიბეზე ჩამომჯდარიყო, ჩამოსძინებოდა და

ასევე მიებარებინა ღმერთისთვის სული. დასაფლავების მესამე დღეს, შუაღამისას მივედი საფლავზე, ვიტირე და ვიტირე, მეტს რას გავუკეთებდი, სხვა რა შემეძლო.

ეს ჩემი ქმარი ათი წლით უმცროსია. უცოლო ბიჭი იყო, მე კარგა ორმოცს მიტანებული ვიყავი. გადამეკიდა. საშველი არ მომცა. თუ არ გამომყვები, თავს მოვიკლავო. ავდექი და გავყევი. განა მიყვარდა? ხათრის გულისთვის გავყევი. თავს არაფერი მოსწიოს-მეთქი, შემეცოდა და გავყევი. კარგა ხანს იყო ჭკვიანად. ამ ბოლო დროს აურია, კი არაფერს აშავებს, მაგრამ სმა უყვარს. ეს მომგონდაწყევლილი არაყი კი ისეთი რამაა, მშობელ მამას დაგავიწყებს.

ორი დღის წუთისოფელი დამრჩა და ღმერთს სამდურავს როგორ ვკადრებდი, გავაჩოჩიალებდი ჩემს წუთისოფელს, მაგრამ ამ ბოლო დროს გული გამიტყდა, შვილო. ოთხი წელია საოპერაციოთ მაქვს თვალი. ოთხი წელია მატყუებს ჩვენი საავადმყოფოს მთავარი ექიმი. არადა, ჩემი თვალი არ იცდის. დღითი დღე უარესდება. ოთხი წლის წინათ რომ გაეკეთებინათ ოპერაცია, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ჯერ მიძახა: არ გჭირდება ოპერაცია, თავისით გაივლისო. მერე რიგში უნდა ჩადგე, სტაციონარში ადგილები არა გვაქვსო. ოთხი წლის განმავლობაში აღარ მოვიდა ჩემი რიგი? ავდექი და რაიონის ცენტრში ვიჩივლე. მე, ომის მონაწილეს, ასე აბუჩად მიგდებენ, საავადმყოფოში ადგილი ვერ მომიძებნეს-მეთქი. რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ჩემი საჩივარი იმასვე გამოუგზავნა, ვისაც ვუჩიოდი. ხომ გაგიგონია, ვის უჩივი და ბატონსაო, ვისთან ჩივი და ბატონთანაო. მივედი: ოჰ, შე ასე და ისეთო, საჩივრების წერა დამიწყეო? ინტრიგანი და დამსმენი გახდიო? რა ოპერაციას და მკურნალობასაც შენ მაგ ჩივილით მიაღწიო, ჯალაბში დაიტრაბახეო. პრინციპის გულისთვის არ გიკეთებ ოპერაციას, ურტყი თავი კედელსო. ნერვები მომეშალა, ავკანკალდი, მე ვთქვი, თავში სისხლი არ ჩამექცეს-მეთქი და გავეცალე. ის დღე და ის დღე, ექიმთან აღარ მივსულვარ. რავარცხა იქნება, გავძლებ, სანამ მთლად დავბრმავდებოდე გული მიგრძნობს, მალე წავიღებ

წერილს. მისვლით კი, ტკივილით ხორცს რომ ვიგლეჯდე, იმ ექიმთან არ მივალ.

მოგაწყინე, ალბათ, ჩემი ლაქლაქით თავი. შენ შენი საფიქრალი და გასაჭირი გეყოფა, ყველას თავისი საქმე აქვს. რამდენჯერ დავიფიცე, არ მოვყვები ამ ჩემს ამბავს-მეთქი, მაგრამ რომ დავიწყებ, თავს ვეღარ ვიკავებ. სიბერის ბრალია, ზოგი რომ მოყვება, გულზე მოეშვება, მე პირიქით ვარ, გადმოვალაგებ ჩემს გასაჭირს და მერე მთელი ღამე ვეღარ ვიძინებ. ყურები მიშუის და თავის ქალა მიხურს. მაპატიე, შენი ჭირიმე. გავჩუმდები. ხმას აღარ ამოვიღებ. ძილი ნებისა.

* * *

გათენებისას რაღაც უსიამოვნო გრძნობამ გამომაღვიძა, პერანგის საყელოში ჩაუვლია ჩემთვის ხელი და მანჯღრევს. წამოვხტი.

– ცუდად ვარ. ბოდიშს ვიხდი. პალტოს ჯიბეში ვალიდოლი მაქვს! – მითხრა მილეული ხმით.

სინათლე ავანთე, ადამიანის ფერი აღარ ადევს. ვალიდოლი რომ მოვუძებნე, გავვარდი და წყალი მოვურბენინე. არ დალია. სუნთქვა უჭირს. ეტყობა, წამალმა არ იმოქმედა. შუბლზე და ცხვირის ნესტოებთან ოფლმა გამოჟონა.

მაჯა ხელში მიჭირავს, ხელის ზურგს ვუსრეს. ასე ჩემს ცხოვრებაში არ დავბნეულვარ.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო.

– ჯანდაბას ჩემი თავი. მე იმას ვწუხვარ, თქვენ რომ შეგაწუხებთო. არ უნდა წამოვსულიყავი, ჩემი წოწიალი აღარ შეიძლებაო.

მობოდიშების დროა ახლა?

ხელი რომ გაუცივდა და სუნთქვას მოუხშირა, ვაგონის გამცილებელთან შევვარდი. ორმეტრიანი, ზონზროხა ქალი იყო.

– მერე რა ვქნა მეო. მატარებელზე ექიმი არ გვყავს, ერთ საათში კალინინსკაიაში ვიქნებით და სანიტარულ სამსახურს

ვაცნობებო. – ამით ჩემთან საუბარი დამთავრებულად ჩათვალა და კედლისკენ გადაბრუნდა.

– ძალიან ცუდად არის. იქნებ ერთ საათს ვეღარ გაატანოს! – გავცოფდი.

წამოჯდა და დამიბღვირა.

– რამდენი მგზავრიც ავად გახდება, მატარებელი გავაჩერო? ხომ არ მიბრძანებთ, ასე მოვიქცე?

ამასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.

აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, კარს ბრახუნი ავუყენე. სხვებმაც გაიღვიძონ. იქნებ ჩვენ შორის ექიმია, იქნებ რამე ვუშველოთ ამ უბედურს.

...კალინინსკაიაში საკაცით რომ ჩაყავდათ, მატარებელი დაიძრა და ავადმყოფი კინაღამ მატარებლის ბრობლებში ჩაუვარდათ.

ფრთხილად-მეთქი ისე ვიყვირე, რომ მთელი სადგური მომაჩერდა.

– Чтож вы выступаете, кто вам она такая? – უკან ვაგონის გამცილებელი მომდგომია.

– Мать! – უკანმოუხედავად მივუგე და თვალის ფსკერზე მოწოლილი ცრემლი რომ შემეკავებინა, ტუჩზე ვიკბინე.

ქვევრი

სიდამონ ხერხაძე მანქანის ღმუილმა გამოაღვიძა.

თავი ასწია. ერთხანს მოტორის გუგუნს უსმინა და მერე კედლის საათს შეხედა.

ახალგაღვიძებული კაცი ხომ გინახავთ, ძილ-ბურანში რომ არის და საგნებს ყეყეჩივით დიდხანს რომ აკვირდება.

ექვსის ნახევარი იყო.

– გადაგიშენდა გამომგონებელი. ეს მაკლდა ახლა! დღეს კაცად აღარ ვივარგებ, მე ვთქვი, წავიძინებ პატარას-თქვა!

მანქანის ხმა ცოტა ხნით შეწყდა და მალე, გაორმაგებული, ზედ ყურის ძირში გაისმა.

– ჩემს ეზოშია, მგონი, ეს უპატრონო!

სიდამონმა თასმები წვივებთან შეიკრა და ფეხშიშველა გამოვიდა აივანზე, საბარგოს ცხვირს მოჰკრა თვალი და როდესაც მანქანა შემობრუნებისას ღობის მესერს მიაწვა, სიდამონი აივნიდან გადაფრინდა და ყვირილი მორთო.

– ოუ! ოუ! რას შვრები, დაგექცა ოჯახი! არ დამღუპა კაცი?! არ ამომაგდო?!

შოფერმა ყვირილი გაიგონა თუ ღორღონჯივით მოფარფატე კაცი შენიშნა, ძრავი გამორთო და გადმოხტა. მონგრეული ღობე და გაგიჟებული მასპინძელი რომ დაინახა, ისევ კაბინაში შეხტა, მანქანა ეზოს მოაშორა და დამდუღრულ სიდამონს მიუახლოვდა.

თქმით არაფერი უთქვამს. დოინჯშემოყრილი შეჰყურებდა ფეხშიშველა გლეხს, საბურავის მიერ გასრესილ ყვავილებსა და ქლიავის ნერგებს ფეხზე რომ აყენებდა.

დამნაშავე რომ დაინახა, სიდამონმა რაღაც ჩაიბუტბუტა, ორი ნახტომით შევარდა სამზადში, იქედან ნამგალმომარჯვებული გამოვარდა შოფერს წინ დაუდგა.

– არ უნდა წაგაცალოს ახლა ამ ნამგლით კაცმა თავი?!

სტუმარი მიხვდა რომ ნამგლიანი არ ხუმრობდა და მოჩვენებითი სიმშვიდით მიუგო:

– რა მოხდა, შე კაი კაცო, ამ დამპალ ღობისთვის და ორიოდე ნერგისთვის მკლავ? ძალით ხომ არ მიქნია, შემთხვევამ მოიტანა.

– რას ჰქვია შემთხვევა! – სიდამონს სიბრაზისაგან ადამის ვაშლი აღმა-დაღმა უხტოდა და ნამგლიანი მარჯვენა უკანკალებდა.

– მითხარი რამდენად გიღირს ეს ზარალი და აგინაზღაურებ, ბატონო, ყველაფერს, გამქცევი ხომ არა ვარ!

– რას ამინაზღაურებ, ბიჭო შენ? ამ ქლიავს დამირგავ და გამიხარებ თავიდან? იაპონურ გეორგინას დამითესავ და მომირწყავ დღეში ორჯერ? ზარალი და ოხრობა არ მოშორდა, ვინც შენ მანქანა განდო. თუ არ იცოდი, წაყვანა, გდებულიყავი სახლში!

პირველმა ელდამ გაიარა. შოფერს უკვე აღარ ეშინოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის რამდენჯერმე მიიხედა უკან, თუ გამომეკიდა, ამ თხრილზე გადავხტები და გავიქცევიო.

ჯახზე გამოსული მოზვრებივით ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. სიდამონი პატარა ტანის იყო, სამოცს მიტანებული, ფეხებგაფარჩხული, ნასხვისარივით სრულ პერანგში ჩაკარგული საფრთხობელას ჰგავდა. ახალამოწვერილი მზის სხივი ელამ თვალებში ურტყამდა და წამწამებს კონტუზიანივით ახამხამებდა. შოფერი ორმოცი წლისა არც კი იქნებოდა. წაკაპიწებულ სახელოებქვეშ მსხვილი, ტატუირებული მკლავები უჩანდა. შავგვრემან სახეზე უძილობის კვალი აჩნდა. დოინჯი არც მაშინ მოუცილებია, გამწარებული სიდამონი ნამგლიანად რომ მიეახლა და შეჭმა დაუპირა.

– რა ეშველება ახლა ამას?! – მასპინძელმა ნამგალი წაქცეულ ღობეს და გადათქერილ ეზოს მიაშვირა.

– შენს მტერს დაემართა უსაშველო. რა იყო, შე კაცო, დავიანგარიშოთ აგერ და გავსწორდეთ. შენ რომ დაგმართოდა ეს ამბავი, რას იზამდი?

– ზარალზე არ მაქვს მე საქმე. საქმე შენს სიგლახეზეა. ვერ მიხვდი, აქ რომ ვერ მოაბრუნებდი ამხელა მაშინას?

– ვერ მოვზომე, მომკალი ახლა. – შოფერმა გაიცინა. – დაუძახე მეზობლებს, ერთ-ორ კაცს, გავსწორდებით და წავალ ჩემს გზაზე.

სიდამონმა არ უპასუხა. ამრეზილად ახედ-დახედა, ხელი ჩაიქნია, შეტრიალდა და ნალიას მიაშურა. ცოტა ხანში ბოსტნის ალაგესთან გამოჩნდა მისი მელოტი თავი – ქამარში წალდი გაერჭო და გაშლილ მკლავებში რომ დაეტევა, იმდენ თხმელის წკნელს მოათრევდა. მონგრეულ ღობეს მიაყარა წკნელი და შოფერი ძველ ადგილზე რომ დაინახა, უფრო გაბრაზდა.

– კიდევ აქ ხარ, ბიჭო, შენ?! სანამ ცოდვას არ შემამთხვევ, არ მომშორდები თავიდან?!

შოფერმა კაკლის ხეს ფოთოლი შეაწყვიტა და ფოთლის ყუნწი კბილით გაკვნიტა.

– მითხარი რამდენია საჭირო და ვიზამ ჩემს ანგარიშს. მერე, შეიძლება, აქეთ გზა აღარ დამირჩეს.

– წადი ძმაო, გადადი გადაღმა. არ მინდა შენი არაფერი. – სიდამონმა კუნძი მოაჩოჩა და ჯოხებს წვერს უთლიდა.

– არსად არ წავალ. რაღაცა ორი კაპიკის გულისთვის მე შენ მკვდარ დედას არ შეგაგინებინებ, – გაჯიუტდა შოფერი.

– არ გაგინებ, ძმაო, არაფერს. შარზე ხომ არა ხარ შენ ამ დილით? ღობე დამინგრიე და არ ვიყო ნაწყენი? წადი, მიყევი შენს საქმეს. მოვუვლი მე ამას როგორმე!

შოფერი წავიდა კი არა, უფრო ახლოს მივიდა, წვერწათლილი ჯოხები აიღო და გადათელილ ნერგებს დაურჭო, შემოღობვაშიც წაუკრა მასპინძელს ხელი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სიდამონი სდუმდა, სტუმარს კი ენა არ გაუჩერებია.

შროშელი ვარო, კოლმეურნეობის შოფრად ვმუშაობო. ქვევრები მაქვსო გასაყიდად წამოღებული. მამაჩემი ძველი მექვევრეა და არ იშლის თავისას, თორემ გაკეთებად და წამოღებად არ ღირს ახლა ეს საქმეო. მე ვთქვი, გავუყიდი ბერიკაცს ერთ-ორ ქვევრს-მეთქი, მაგრამ სულ ტყვილად დავაღამე ხაშურში გუშინო. სადაა ქვევრის მყიდველი. ვინღა ყრის ახლა ქვევრებს. ფასიც კი არ უკითხავს არავისო. გამოპარული ვარო, ჩვენი თავმჯდომარე (ერთი თავქარიანი კაცია), იბდღვნის ახლა თმა-წვერს, ალბათ, ჩემს ძებნაშიო. სად მქონდა ამის დრო, მაგრამ მოხუცი კაცის ამბავი მოგეხსენება,

მოჰყვება წუწუნს, არაფრად არ მიგაჩნივარ, თავკერძა კაცი ხარ, ამხელა ამაგს წყალში მიყრიო. წუხელის ღამის თორმეტ საათზე გადმოვედი ხაშურიდანო. ადრე შემეძლო წამოსვლა, მაგრამ გზაზე ინსპექცია დამიჭერდა, არც საგზური მაქვს გამოწერილი და არც ქვევრების საბუთები მაქვს რამეო. ჩემნაირი კაცი აღდგომაა ახლა ინსპექტორისთვის, ერთ ას მანეთს ისე ამაფცქვნის, რომ სიტყვას არ შემაბრუნებინებსო. გომის გადასასვლელით წამოვედიო, გორისასთან წავუძინე ერთი საათი, თვარა მეტი თვალი არ მომიხუჭავსო. ამ თქვენს სოფელში ადრიანად იმიტომ შემოვედი, რომ სანამ ხალხი ყანაში გაიკრიფებოდეს, ეგება ერთი-ორი ქვევრი მაინც გავყიდოვო. სამი ქვევრი მაქვს წამოღებული. შვიდშვიდ კოკიანებია. ისეთებია, მამა შვილს არ დაუთმობსო, ხუთი თითის დადება მარტო კედლის სისქე აქვთო. ქვევრის მოხელეა მამაჩემი და ვეღარ ისვენებს, თვარა მე მილიონი რომ მომცე, ამის გამკეთებელი არ ვარო. რაც იმას თიხის ზელვა და ჩარხის ტრიალი ჭირდება, სად მაქვს დასაწყვეტი მკლავებიო. ახირებული მამა მყავს, თორემ ორი რეისი ხრეშის ფული ღირს თითო ქვევრი, მეტი კი არაო. თუ გნებავთ ქვევრი, აგერ მოტანილი მაქვს ბარეღამო. ამ ზარალის ფულს გამოგიბრით და რაც მეტი იქნება, გადამიხადეთ, ჩამოვიღოთ ბარემო. უმაღლესი ქვევრებია, სამ შვილს გეფიცები, კაკული შველიძის ქვევრი მთელს იმერეთში ცნობილიაო.

სიდამონი არც ახლა გაეპასუხა. მეურნე კაცისთვის ამდილანდელი მარცხი ასე ადვილი მოსანელებელი არ იყო. გულს ურევდა ამ უხეირო შოფრის გაუთავებელი ლაქლაქი. „არც ამის მოხმარება მინდა და არც დანახვა, რას მეჩხირება თვალში, ჩაიგდოს მუცელში ენა და გაუტიოს თავის გზასო“.

ნერგები სარებს მიამაგრეს, ეზო სახელდახელოდ შემოღობეს და საქმეს რომ მორჩნენ, ხელების ფერთხვით და აშკარა გაგულისებით უპასუხა სიდამონ ხერხაძემ მექვევრე შველიძის ვაჟის წეღანდელ შეკითხვას:

– რათ მინდა ქვევრი?! რა ჩავასხა შით! – მეტი არაფერი უთქვამს, წალდი და ნამგალი ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა და აივანზე ააბიჯა.

შოფერი კარგა ხანს იდგა ეზოში. სიდამონის გამოსვლას საშველი რომ არ დაადგა, ჭიშკარი ფრთხილად გაიხურა და მანქანას მიაშურა. ძრავი რომ აათუხთუხა, კიდევ ერთხელ გაიხედა აივნისაკენ, ერთხანს ამაოდ ელოდა მასპინძელს, მერე ნელ-ნელა დაძრა მანქანა და მონაცრისფრო ბუღი გაიყოლია.

სიდამონმა მჭადი და ყველი წაიტეხა, თიხის დიდი ჯამი წყალღვინით გაავსო, დალია, იმერული ქუდი შუბლზე აიკეცა, შარვალ-ხალათი ჩაიცვა და ეზოში ჩამოვიდა. კიბის ქვევიდან ცელი გამოიტანა, კარგა ხანს ლესა ქლიბით და მხარზე ცელგადებული ჭიშკრამდე რომ მივიდა, სათიბში წასვლა უკვე საბოლოოდ გადაფიქრებული ჰქონდა. „მოვიშალე ნერვებზე. სულ ერთია თიბვას გულს ვეღარ დავუდებ დღესო. ბადეს ავიკიდებ და მდინარეზე ჩავალ. წუხელის მთებში გრგვინავდა, იწვიმებდა კიდეც, ეგების ჩამოჰყვა თევზიო“. ცელი კახაბლის გამხმარ ტოტზე დაჰკიდა, სამზადის სხვენიდან რეზინის ჩექმები ჩამოიღო, ძველი, გაუქმებული საწნახელიდან ბადე ამოათრია, კოინდარზე გაშალა, რათა შლამ-ღორღის მიერ დაწყვეტილი ადგილები ძაფით ამოეკემსა.

სოფლის ბოლოში, ნაკალოვართან ჩაუხვია და მდინარეზე რომ ჩადიოდა, მანქანა შენიშნა, მძღოლს ძარასთვის ბრეზენტი აეხადა, გზის პირას თავდაღმართში ისე გაეჩერებინა, რომ გამვლელი უსათუოდ ქვევრებს დაინახავდა. თვითონ ცაცხვის ჩრდილში მოწოლილიყო და მუშტარს ელოდა.

* * *

ისე შემოეფცქვნა დღე ხელში, არ გაუგია.

ლაქაშებში ღამემ რომ დაიბუდა, მაშინ გაახსენდა, რომ მთელი დღის მშიერი იყო.

ღილებიანად დამბალ-დასველებული ამოვიდა წყლიდან, ჩექმები გაიხადა, და წყალი გადმოღვარა, შარვალი ტანზევე გაიწურა, ბადე დაფერთხა, მხარზე გადაიგდო და აღმართს შეუყვა.

რა შორს წამოსულა, ამ ჩამოტეხილში მაინც რაღამ ჩამოიყვანა. ამ მეჩხერზე რა გააჩერებს თევზს. ახლა თადას ნასახ-

ლარზე აუხვევს და ნავენახარზე ბილიკს აჰყვება, ასე უფრო ახლოა სახლამდე.

ქარაფზე რომ ამობობღდა და ბილიკი მოძებნა, მუხლებს ცოტა ქარი ამოაღებინა, ბადეს მხარი შეუნაცვლა და უკან, ნაკალოვარისაკენ წამოვიდა.

„ასე მძიმეა ვითომ ეს ბადე და ოციოდე წვერა, მონადირის დაჩვრეტილ ჩანთაში რომ ხვანცალებენ? ამ მუხლებს რაღა წისქვილის ქვა მოეკიდა, ძლივს რომ მოვათრევ? არა, არა ვბერდები ნამდვილად, თავს არ ვუტყდები, თორემ ვბერდები. რა იყო აბა, რა ამბავი დავათიე ორი ძირი ნერგისთვის ამ დილით იმ კაცს. იფიქრებდა, ვინაა ეს დამთხვეულიო. რა ჰქნა ნეტავი, გაყიდა? გამიგონია? ვინ იყიდდა ქვევრს ჩვენს სოფელში. სადაა ქვევრში ჩასასხამი ღვინო. ხელში გაჭყლიტავენ ყურძენს. ჭაჭამ და წყალ-შაქარმა დაწამლა ხალხი. ამდენ ხანს რას მოუცდიდა, წასულია ალბათ, წავიდოდა, არ უნდა ამას ლაპარაკი“.

სერზე შემდგარს სიხარულისაგან გული აუტოკდა, მანქანის ფარები გაღმა, ჩლაიძის ალვის ხეებს ურტყამდნენ შუქს. შოფერი ძარაზე ასულიყო და ბრეზენტს ჭიმავდა.

სიდამონმა ფეხს აუჩქარა, სანამ ჩავაღწევდე, არ გამასწროსო.

– საღამო მშვიდობისა!

მექვევრის ვაჟმა ჩამოხედა და ხელი აუწია.

– იცოცხლე.

– რა ქენი?

შოფერი გადმოხტა, კაბინის კარი გამოაღო და ჩვრით ხელები გაიწმინდა.

– ვერაფერი, სადაა ქვევრის მუშტარი!

– ხომ გითხარი – სიდამონმა მხრიდან ბადე ჩამოიღო და ხელში ისე დაიჭირა, რომ ტყვიის გირჩები ბალახს ეხებოდა.

– არის რამე? – შოფერმა ბადეზე ანიშნა.

– ცოტა, რაცხა. იმდენი სადაა, რომ იყო. მარა მაინც დავიჭირე პირის გასასველებელი რაღაცა. წამლავენ, რომ არ წამლავდნენ, ქე იქნება. რას იზამ აბა ახლა?

– რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა. – შოფერმა გაიღიმა – წავალ ახლა, ასე, აღმა შევუყვები, ამაღამ ჭალაში გავათევ

ღამეს, ყვირილის პირას, თუ ხვალ შუადღემდე ვერაფერი გავაწყე, მეტი მე აღარ მცალია. ჩავუტან ამ ქვევრებს მამაჩემს უკან და რავარცხა უნდა, ისე ჰქმნას.

– რას ჰქვია ჭალაში გაათევ, ამოწყვეტილები კი არ ვართ. – სიდამონ ხერხაძემ ბადე ძარაზე მოისროლა და კაბინის კარი გამოაღო.

– მადლობელი ვარ, ჩემო ბიძია, მარა არ ეწყობა ჩემს საქმეს ეს ამბავი. ხვალ შუადღემდე რაღაც უნდა ვიღონო.

– დაჯექი, დაჯექი, ნუ გამამწარებ მეორეჯერ. აგერ ამ თევზს შევაწვევინებ ოჯახობას. ვივახშმებთ და წახვალ შენს გზაზე, აბა რას იზამ. კი არავინ დაგაკავებს ძალით.

ისე კატეგორიულად იყო ნათქვამი, რომ შოფერი მიხვდა, ახლა აქ თავპატიჟის გადების ადგილი არ იყო.

...შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, თამადამ საყოვლათწმინდო რომ დალია და სუფრა დამთავრებულად გამოაცხადა.

სტუმარს სასტუმრო ოთახში გაუშალეს ლოგინი, მაგრამ იუარა: თუ შეიძლება აივანზე დავიძინებ, მიჩვეული ვარო. მთვრალი იყო, მაგრამ იმის აზრი კი ჰქონდა, აივანზე დავწვები, ასე აჯობებს, ნამეტანი დავლიე და არ შევრცხვე ჩემს მასპინძლებთანო.

ბოლო სიმღერა ხერხაძემ და შველიძემ აივანზე თქვეს ხელიხელგადახვეულებმა. მათ სიმღერას ეტყობოდა, ფხიზლებიც რომ ყოფილიყვნენ, თქვენს მოსაწონს ვერც მაშინ იმღერებდნენ.

* * *

...დილაუთენია გაბურბუსალებული სიდამონი აივანზე რომ გამოვიდა, სახტად დარჩა: სტუმრის საწოლი ალაგებული იყო, ჭიშკართან მანქანა აღარ იდგა, ეს კიდევ არაფერი – მსხლის ძირში, კოინდარზე ულამაზესი, ნარინჯისფერი, შვიდკოკიანი ქვევრი მოჩანდა.

ურჩი

ხონის გადასახვევთან წრე დაარტყა და სტალინის ქუჩას გამოუყვა თუ არა, მაშინვე მოესმა:

– გოგია ბიძია!

მოიხედა, ბიჭები უგამყიდველო მაღაზიის წინ იდგნენ და ხელს უქნევდნენ.

– არ მცალია ახლა, უფროსი გარეთაა!

– ერთ წუთს მოიწი, საქმე გვაქვს! – არ მოეშვნენ ბიჭები.

ტროლეიბუსმა გაბმული საყვირი მისცა და მისალმების ნიშნად შოფერმა ტროტუარზე აახტუნა ეს ამოდენა მანქანა.

ასეთ ხუმრობას ვერ იტანდა გოგია, მძღოლს მუქარის ნიშნად მუშტი დაუქნია და მოტოციკლეტი დაძრა.

გოგია კი არა გრიგოლი ერქვა, მაგრამ ნათლობის სახელს კარგა ხანია არავინ ეძახდა. მთელს ქალაქში „გოგია ინსპექტორის“ სახელით იყო ცნობილი. მეხუთე წელი გადიოდა, რაც ორწლიანი კურსები დაამთავრა და ავტოინსპექციაში დაიწყო მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მის სამხრეებს თუ არაფერი მიმატებია, მიზეზი თავად იყო: დღეს რომ ათი კაცის საქმეს შეეჭიდებოდა და მწყობრის წინ მადლობას გამოუცხადებდნენ, ხვალ ისე მოიქცეოდა, ან ისეთ საქმეს ჩაიდენდა, რომ ყველაფერს წყალში გადაყრიდა. „არაა ინსპექტორობა ჩემი საქმეო, აქ სხვანაირი კაცია საჭირო, ნამეტანი რბილი ვარ მეო“, – იტყოდა ხანდახან, მაგრამ წასვლით კი, ორგანოდან წასვლა არასოდეს უფიქრია, ეტყობოდა, სხვა საქმეს მაინც ეს ერჩივნა.

ქალაქის ავტოინსპექციის ქვეგანაყოფის უმცროს სერჟანტს – გრიგოლ აბაკელიას, დათვის ტორები და მეტრიანი ბეჭები დაჰქონდა. ყოფილ მოჭიდავეს ამ ბოლო დროს სიმსუქნე მოძალებოდა და კი არ დადიოდა, დაგორავდა. ტყავის შარვალი და სერთუკი ტანზე ასკდებოდა. წვივ-ბარძაყში თანაბრად მსხვილ ფეხებს სკაფანდრიანივით აბიჯებდა. მაჯაზე გამობმულ

საჩვენებელ ჯოხს ერთთავად დააკონწიალებდა. რად უნდოდა ჯოხი, მე შენ გეტყვი, ურჩობას გაუბედავდა შოფერი.

სანამ უგამყიდველო მაღაზიასთან მიაღწევდა, ნინოშვილის ქუჩიდან გამომხტარ „მოსკვიჩს“ კინაღამ დაეჯახა. სასტვენს ისე მაგრამ ჩაბერა, საკონსერვო ქარხნის საყვირი შემირცხვენია.

მანქანიდან ოციოდე წლის, თმაწვერიანი ბიჭი გადმოვიდა და მოტოციკლეტამდე ორჯერ აიწია ჯინსი გაფერთხილ მუცელზე.

– რაზე გამაჩერე, გოგია?

– ისე, ტყვილად, მომწყინდა მარტო დგომა და დამელაპარაკე პატარა ხანს.

– არა, მართლა?

– გადააყენე გვერდზე მანქანა და საბუთები მომიტანე, ნუ იწმარწნები გლახად. – ცოტა არ იყოს მკაცრად გაუმეორა გოგიამ, არ ესიამოვნა ამ უცნობი ყმაწვილის გაშინაურებული, შეთამამებული კილო, თორემ სხვას იქნებ ასე არ მოქცეოდა.

– მასე ჩვენ შორის გოგია? – არ დაიბნა „მოსკვიჩის“ პატრონი.

– მიცნობ შენ მეე? – ასეთი უცნაური კითხვა დაუსვა ავტოინსპექტორმა გაწბილებულ ბიჭს.

– რავა არ გიცნობთ.

– მასე მე ამერიკის პრეზიდენტს ვიცნობ, მარა თვითონ კი არ მიცნობს.

ჯინსიანმა გაიცინა და წვერები ააცანცარა.

– ვისია ეს მანქანა? – საქმეზე გადავიდა წესრიგის დამცველი.

– ვალოდია ზარნაძის.

– მერე, შენ?

– რა მე, სიძეა ჩემი. დეიდაჩემი არ ითხოვა მეორე ცოლად ამ ორი კვირის წინ ვალოდიამ?

გოგიას სახე გაებადრა. თვალები მოჭუტა და გვერდულად გახედა მძღოლს.

– ნარგიზა შენი დეიდაა, აბა?

– აბა რაი! – ამაყად ასწია თავი წვერცანცარამ.

– წადი და ფრთხილად იყავი. მანქანაა ბიძია „მოსკვიჩი“, შენ ასე კი ნუ უყურებ. რომ გამოვარდი ქუჩაზე კურდღელივით, რა იღბლის იმედი გქონდა? „პრავა“ გაქვს?

– ახლა მინდა ავიღო.

ავტოინსპექტორს ეს ბოლო სიტყვები არ გაუგონია, მოტოციკლეტს გადააჯდა და უგამყიდველო მაღაზიასთან მობუზულ ბიჭებს გახედა.

ოთხნი იყვნენ. უფროსი მათ შორის თორმეტიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩანთები მკერდზე აეხუტებინათ და ფეხებს აბაკუნებდნენ. მოტოციკლეტს შემოეხვივნენ და ყოველ შემთხვევისათვის ფეხები შემოაწყვეს.

– თქვენ დღეს გაკვეთილები არ გაქვთ? – აშკარად ჩანდა, ავტოინსპექტორი, ამჯერად, მათს გასეირნებას არ აპირებდა.

– გაგვიცდა. – სერიოზული სახით განუცხადა ქერათმიანმა, მაღალმა ბიჭმა და მისაბმელის სავარძელში მოკალათდა. სხვებმაც მიბაძეს.

– ხელი მაგრად მოკიდეთ, იმ დღესავით მაიმუნობა არ დაიწყოთ. თქვენი გულისათვის მთელი ქალაქი დამცინის. მანჭვა-გრეხა არ უხდება მოტოციკლეტს. გადმოვარდებით და თქვენ კი არაფერს გეტყვიან; ჭკვიანმა რატომ ჩასვაო, იკითხავენ.

– შენ ხარ ჭკვიანი? – წამოცდა მეჩხერკბილება, ცხვირგაბუშტულ მგზავრს და თავში გემოიანი წათაქებაც მიიღო.

გოგიამ განზე გადაზნექილი მოტოციკლეტი დაძრა თუ არა, მოესმა, ვიღაც ეძახდა. მუხრუჭს ხელი მოუჭირა. ავტოინსპექციის „ჟიგულიდან“ უხმობდნენ.

– აბაკელია, მობრძანდი აქეთ!

ძველთაძველი ვილისი გაატარა, წრე გადაჭრა და ურჩი მგზავრებით დახუნძლული მოტოციკლეტი „ჟიგულს“ მიაყენა.

– რა იყო, რა გაბღავლებს?! – ჩასძახა ფანჯარაში სიცილშეგუბებულ ლეიტენანტს.

– სალდაძე გეძახის.

– რა უნდა?

– არ ვიცი, ამ წუთში აქ გაჩნდესო, – დაუგდო კოლეგამ და მანქანა დაძრა.

ბიჭებმა იგრძნეს, რომ გოგიას რაღაც აუცილებელი საქმე გაუჩნდა, არც უკითხავთ, მოტოციკლეტიდან გადახტნენ, „ქრონიკასთან“ დაგიცდითო მიაყოლეს მოწყენილ ავტოინ-

სპექტორს და ასკინკილით დაადგნენ ტროტუარს.

მოტოციკლეტი ავტოინსპექციის შენობასთან მიაგდო და კიბე აირბინა.

– მარტოა? – ჰკითხა ქაღალდებში თავჩარგულ მორიგეს და ხელისგულზე ჯოხის ტყაპუნით უფროსის კარებისკენ წავიდა.

– კიე, – თავი დაუქნია მორიგემ.

– რაზე მეძახის თუ იცი?

– ჩჩეეემთვის არ უუუუთქვამს. – ამაოდ გაიწვალა მორიგემ თავი, გოგია აბაკელია უკვე უფროსის კაბინეტში იყო.

– მე დამიძახე უფროსო?

სალდაძეს ყურადღება არ მიუქცევია, რაღაცას წერდა, ქიმიურ ფანქარს წვერს ენით უსველებდა და რასაც წერდა, ბუტბუტებდა კიდეც.

უმცროს სერჟანტს ფეხზე დგომა მოსწყინდა, სკამი გამოსწია და მაგიდას მიუჯდა.

– ერთს გეტყვი, აბაკელია, მე შენ! – როდის-როდის აიღო თავი სალდაძემ, ცხვირსახოცი ამოიღო, სათვალე მოიხსნა, და გაწმენდას შეუდგა.

გოგია სმენად იქცა.

– ბაბუა მყავდა მე – ბაჭულია სალდაძე, იქნება გაგიგონია. ბალახვანში თავის დროზე იმაზე ლამაზი კაცი არ გამოდიოდა. კაი მოქეიფე, კაი პურის მჭამელი, ქალებს და დროსტარებას გადაყოლილი. მის ცხოვრებაში არ უმუშავნია. თოხი დასანახავად ეზარებოდა, ქე გვარჩენდა მაინც. ხუთი შვილი დაზარდა და ჩვენც მოგვწვდა მისი პატივისცემა, შვილიშვილებს. რა მაქინაციით შოულობდა სარჩოს, ამას მე ვინ მეტყოდა, და არც ვიკითხავდი. მე რაც მახსოვს, იმას გეტყვი. ომამდე იყო ეს ამბავი, რვა წლის ბავშვი ვიყავი; ბაბუაჩემმა ეზოში, გზის პირას პატარა ჯიხური ჩადგა და დიდი თეთრი ასოებით დააწერა – „მეულვაშე“. როგორ ფიქრობ, რას აკეთებდა? შენ გგონია სამართებელი დაიჭირა ხელში და პარიკმახერობა დაიწყო? შენ არ მომიკვდე. ჯიხურს პატარა ფანჯარა გაუკეთა. შეყოფდა კლიენტი თავს, ბაბუაჩემი ერთს დახედავდა მის ცხვირ-პირს და ეტყოდა: „ბუდიონი!“ ე. ი. შენს სახეს ბუდიონის ულვაშები მოუხდებაო. ყველამ კი არ იცის რანაირი ულვაში მოუხდება.

ხან გაიპარსავს, ხან ასე მოუშვებს, ხან ისე – არის ერთ წვალებაში. ბაბუაჩემმა თავისი ახალი ხელობით ქვეყანა აალაპარაკა. მახსოვს უშველებელი რიგი იდგა ჩვენს სახლთან. საიდან არ მოდიოდნენ – ცხენით, ფეხით, ურმით, რა მოსაკითხი არ მოჰქონდათ. დადიოდა მთელი ქუთაისი მაშინ ბაბუაჩემის ნარჩევი ულვაშებით. ხალხს ნერვები დაუწყნარდა, ბაბუაჩემმა კი ხუთი შვილი გამოზარდა.

გოგიას ერთი სული ჰქონდა გაეცინა, მაგრამ თავს იკავებდა. ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ უამბო უფროსმა ბაბუამისის ამბავი;

– რატომ მოგიყევი ახლა ეს ამბავი თუ იცი შენ? – ჰკითხა სალდაძემ და პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო – რატომ მოგიყევი გოგი, ბიძია და – ფულის შოვნა ათასი გზით შეიძლება. იმ ათასი გზიდან ავტოინსპექტორობა ყველაზე ნაკლებსარფიანი გზაა. ეს საქმე თუ არ გიყვარს, ტყვილად თავს გაიწვალებ.

„ახლა მაინც რა დავაშავე, დაგვიანებით არ დამიგვიანია, შოფერი არავინ ამიყვირებია, რომ ეჩივლა“ – ამაოდ ცდილობდა გოგია გამოეცნო უფროსთან მისი დაბარების მიზეზი.

– რავა მამა აბრამის ბატკანივით მიყურებ. არ იცი ვითომ, რაზე დაგიბარე? ან დაწერე განცხადება და წადი, ან იმუშავე, ძმაო, წესიერად. ქვეყანა შენ მოგჩერებია, ავტოინსპექტორი, ხომ იცი სცენაზე გამოსული კაცივითაა, დაანებე ამ ბავშვებს თავი. მოიშორე რამენაირად. შენ გგონია სხვებს არ აწუხებენ? უნდა დაუბღვირო ერთხელ და მერე აღარ მოგეკარებიან. სამმა კაცმა მაინც დამირეკა დღეს – „გოგია მორიგეობის საათებში მოტოციკლეტით ბავშვებს დაასეირნებსო“, მერამდენე შემთხვევაა ახლა ეს? შენ რომ გგონია, ვერავინ მიყურებსო, მაშინ გხედავენ სწორედ. რატომ გვჭრი თავს, ათასი ლაზღანდარა და ოხერი დადის ამ ქვეყანაზე. მერე ჩემზე გული ნუ დაგწყდება, ბავშვი აღარა ხარ. მე ჩემი მხრივ გამიფრთხილებიხარ და შენი საქმე შენ იცი. წადი ახლა...

მორიგემ პირი დააღო, რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ გოგიას მოღრუბლულ სახეს რომ შეხედა, ხელი ჩაიქნია.

უმცროსმა სერჟანტმა კიბე ორი ნახტომით ჩაათავა, ჭიდან

წყალი ამოქაჩა და რომ დალია, ხელისგულები დაისველა და შუბლზე მოისვა. ხელთათმანები გაიკეთა და ისეთი ღმუილით გამოახტუნა მოტოციკლეტი ავტოინსპექციის ეზოდან, რომ შუაგზაზე გამწკრივებული იხვები საშინელი ვიხვიხით მიაწყდნენ ღობეს.

„ისე სწორი კია ეს ხალხი, ვინ გაიგონა ბავშვები და ავტოინსპექცია. დაუბღვირე ერთი-ორი და მოგცილდებიანო. სწორია სალდაძე. მე რომ ვიყო მაგის ადგილზე, ასე არ ვიზამდი მეეც?“

– გამიჭირვეს საქმე ამ ბავშვებმა. ხათრი – ხათრია და სამსახური – სამსახურია. საკატაო მეტი ვერაფერი ნახეს? ათასი ღადო და ჯაშუში დადის ამ ქვეყანაზე. ნეტავი ახლა „ქრონიკასთან“ არ დამხვდებოდნენ და რა უნდა გამჩენს. დოუბღვირე და მოგშორდებიანო. კი, მასე ვიზამ“...

„ქრონიკას“ ისე ჩაუქროლა, მარჯვნივ არც გაუხედავს და რომ ეგონა სამშვიდობოს ვარ გასულიო, სწორედ მაშინ მოესმა:

– გოგია ბიძაა!

ოთხი პატარა ბიჭი, ოთხი ალალი კაცი, ერთგულად უცდიდა.

თვალში ცრემლი მოაწვა, გული შეეკუმშა და არ იყო ქვეყანაზე ისეთი ძალა, ახლა რომ გოგიას თავის განზრახვას გადაათქმევინებდა.

სამჭედლოსთან მოუხვია, მიიხედ-მოიხედა, ხომ არაფერი მოდისო, თეთრი ხაზი გადმოჭრა და „ქრონიკის“ კარებთან მობუზულებს გაუღიმა:

– მოდით.

ბიჭები უთქმელადაც გამორბოდნენ.

ყაყანი

საპნის ქარხნის სკვერში საქანელა სკამზე საპნის გამშვები ლეო მახათაძე იჯდა და მშვენიერი ქალებით სავსე ზღვის პლაჟზე ფიქრობდა. თვალები მიელულა, და ფეხებს არც კი ამოძრავებდა, რომ არ გამორკვეულიყო და ლამაზი ფეხებით სავსე პლაჟიდან საპნის ქარხნის ეზოში არ გადმობარგებულიყო. სხვა დროს ამ ადგილას მჯდომი ლეო მახათაძე თეთრ სპილოზე უფრო იფიქრებდა, ვიდრე ზღვაზე, მაგრამ ამჟამად იგი მეაგარაკეთა სანუკვარ ოცნებასთან ყველაზე ახლოს იყო. ჯიბეში დედათა და ბავშვთა პანსიონატის საგზური და შვებულების ფული ედო. ხვალიდან იგი ოცდაოთხი დღით ემშვიდობებოდა საპნის ქარხნის სპეციფიკურ, მაგრამ ადვილადმისაჩვევ სუნს. ლეო მახათაძე სამოცს მიღწეული, დაბალი, ჯანსაღი მამაკაცი იყო, არასოდეს არ ავადმყოფობდა. ავადმყოფობა მის სხეულზე ფეხს ვერ მოიკიდებდა, რადგანაც ლეოს ყველაფერი ახლოს ჰქონდა; კიდურები ტანის შესაფერისად მოკლე, მხრებზე პირდაპირ უკისროდ დადებული, ლამაზი, მელოტი თავი და კეფაზე საგულდაგულოდ აწეპებული ყურები. ლეო ერთიანი, შეკრული კაცი იყო. მას ყელ-კისერი და წელი არასოდეს არ ატკივდებოდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ორი უკანასკნელი საერთოდ არ გააჩნდა. რაც შეეხება სახადს, მაინცდამაინც არც ამის საშიშროება ემუქრებოდა, რადგანაც საპნის გამშვები უაღრესად ფაქიზად და წესიერად ცხოვრობდა. ამ მიზეზთა გამო ახლობლები ვარაუდობდნენ, რომ ლეოს სულ მცირე ასი წელი მაინც უნდა ეცხოვრა.

უეცრად ლეო მახათაძე საეჭვოდ ახვანცალდა. ჯერ ჯიბეები მოიქექა, მერე საქანელადან ჩამოხტა და ბალახი გადაქექა. ერთხანს სალაროს ჯიხურში გაუჩინარდა. იქედან აქოშინებულმა მოირბინა, ერთხელ კიდევ მოიქექა ჯიბეები, ერთხელ კიდევ გადაქექა ბალახი, მერე სათვალე მოიხსნა და

ისე საგულდაგულოდ ჩაჩურთა გულის ჯიბეში, თითქოსდა აღარასოდეს დასჭირდებოდა. დოინჯი გაიკეთა და წყნარად, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– გასამდა.

არეული ნაბიჯით გაემართა ქარხნის გასასვლელისაკენ, მეკარეს განწირული კაცის იერით თვალებში ჩააშტერდა და მრავალმნიშვნელოვნად აუწყა:

– ნელ-ნელა მივდივართ, ნელ-ნელა ბოლო გვეღება.

არასაუწყებო დაცვის წარმომადგენელმა შუაზე გახლეჩილი ქლიავი მაგიდაზე დატოვა და ლეო მახათაძეს თავი ისე მიმხვედრიანად დაუქნია, თითქოს საიდუმლო შეთქმულებაში მონაწილეობის დასტურს აძლევდა.

საპნის გამშვები ქუჩაში არ გასულა, ჭიშკრიდანვე უკან დაბრუნდა, თავის სამუშაო ოთახს მიადგა, ჯიბიდან ხელებისამოუღებლად, ომწაგებული სარდალივით გაიარა კაბინეტი, მაგიდასთან მსხდარ მოსადილე პერსონალს გადახედა და სააქაოდან დაბრუნებული კაცის ხმით ამოილაპარაკა:

– გასამდა.

გამშვები საამქროს მუშა-მოსამსახურეებს ლუკმა პირში შეაცივდათ, ყველამ ერთბაშად იგრძნო, რომ ლეო მახათაძის საქმე მთლად კარგად ვერ იყო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ლეომ შეკითხვას არ დაუცადა, არც შესვენების ოქრო წუთები მოახმარა თავის ერთგულ თანამშრომლებს, ჯენტლმენობისთვის დრო აღარ რჩებოდა.

– გასამდება-მეთქი და გასამდა. დღეს დილიდან თითქოსდა ვიღაც დამსდევს. სახლში ცოცხალი მივიდოდე, თორემ არაფერს დავეძებ. ცუდ ფეხზე ვარ ამდგარი. განგებას არ უნდა ჩემი დასვენება, ან რაღაც საშინელებაა ჩემს თავს. ამ დილით, ათის ნახევარზე გამოვედი სახლიდან. ხელფასი და შვებულების ფული უნდა ამეღო. მოლარე თორმეტამდე ფულს მაინც არ გამოიტანს ბანკიდან, მოდი ერთი კინოში შევიდეთო, დაიჟინა შორენამ (შორენა ლეოს ცოლს ერქვა), როდის იყო კინოში დამყავდა, მაგრამ დავთანხმდი, საქმე მაინც არაფერი მქონდა. ავიღეთ ბილეთი, ჩემო ბატონო, დავჯექით

ამფითეატრში, კარგად, მშვენივრად. მთელი ჟურნალი ტაშის კვრა იყო. რაღაცას დღესასწაულობდნენ, აღარ მახსოვს, მომეშალა ნერვები. ეგებ ფილმმა მაინც გაამართლოს-მეთქი. გათავდა ჟურნალი და ეს ჩემი კნეინა მეუბნება: ლეო, მე ამ დილას უთო გამოვრთე თუ გახსოვსო? მე რა ვიცი, შენ არ გახსოვს-მეთქი? ჩემს პერანგებს აუთავებდა. მივაჩერდით სულელებივით ერთმანეთს. მგონი გამოვრთეო, პატარა ხნის მერე მითხრა. „მგონის“ მოუკვდა პატრონი. „მგონი“ მინდა ახლა მეე? მტრისას ხანძარი. შენი რაცაა, კარგი, დაიწვას, მაგრამ სხვებს რაღას ემართლები. ჩვენს სახლში ოთხმოცდაათი ოჯახი ცხოვრობს. დავტოვე შორენა კინოში და გამოვიძურწე გარეთ. სად მიხვალო, კარისკაცმა მომაძახა. მოვალ პატარა ხანში, ცოტას გავისეირნებ-მეთქი, აბა შენ იცი, აბა შენ იციო, მომაძახა. ავადმყოფი ვეგონე და შევეცოდე ალბათ, არიქა, ტაქსი, კიდევ კარგი, ახლა ტაქსში თუ ძალიან არ გაუჭირდა, კაციშვილი არ ჯდება.

გარეკე, მე ვუთხარი, მგონი სახლი მეწვება, უთო დარჩენია ჩემს ჭკუის კოლოფს-მეთქი. აშენდა მისი ოჯახი, მართლა მოუმატა სიჩქარეს. ვზივარ და შიშით ვკანკალებ. არის ალბათ ჩვენს სახლში ახლა წივილ-კივილი. სასწრაფოები და სახანძრო მანქანები, გაგიჟებული მეზობლების ყვირილი – მახათაძეებმა, მახათაძეებმა დაგვღუპეს! შორიდან რომ შევხედე სახლს, ცოტა დავმშვიდდი, ეტყობა ჯერ ყველაფერს არ მოდებია ცეცხლი, მთლად დაღუპული არ უნდა ვიყო-მეთქი. სანამ ლიფტით მეათე სართულზე ავიდოდი, ჩემი დამემართა. ვეცი უთოს – გამორთულია. გადავრჩენილვართ. ჩამოვედი, ისევ ტაქსს ველოდები. ტაქსის ფულს დავეძებ? ისე ვარ გახარებული, თითქოს ეს ჩემი ბინა, თავის ყველაფრიანად ახლა, ამ წუთში, ეჩუქებინოს ვიღაცას. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შევედი კინოში, სიბნელეში ძლივს მოვძებნე ჩემი ცოლი. მაყურებელთა საალერსო სიტყვებს წავუყრუე და ის იყო გვერდით მოვუჯექი, რომ „დასასრულიც“ გამოჩნდა. „ნუ იდარდებ, ფილმი კაპიკად არ ვარგოდაო“, მანუგეშა შორენამ. ეს ჩემი ნერვების გლეჯა ვითომ არაფერი. ახლა მეორე: ჩამოვდივართ კიბეზე. რაც მე კინო „სინემას“ კიბეებზე დაშვება მეზარება, გააკეთე

კიბე ქრისტიანული. თავბრუ დაგეხვევა წინ და უკან ტრიალით. ქვედა სალონს რომ გამოვცდით, ვასილ ამაშუკელის ბიუსტი რომ დგას, ზუსტად იმ ადგილას, ფეხი ფეხს გამოვდევი და ცხვირით წავედი თავდაღმართში. შორენამ იკივლა. ასე უხერხულად და გამეტებით ჯერ არ წავქცეულვარ. თითქოს ვიღაცამ ფეხი შემიბორკა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გადამაგდო. მივფრინავ და ვფიქრობ: „რას შვრები ახლა? ეს კი ნამდვილად ბოლოა“. დავეცი. ხელები კი მოვასწარი ცემენტის იატაკს, მაგრამ ხელები გიშველის?

ვწევარ, მაშველად გამოქცეული ფეხების ბრაგუნი მესმის. ესე იგი ცოცხალი ვარ-მეთქი და სანამ ჩემამდე მოაღწევდნენ, თვითონ ავდექი, სასწაულით გადავრჩი. არც მოტეხილობა, არაფერი, ცოტა მუხლები ავიღლიტე და იდაყვი შემიშინდა, რაც მთავარია, თავი არაფერს მივარტყი. თქვენ წარმოიდგინეთ, სათვალე ორ მეტრზე გადავარდა და ისიც მთელი აღმოჩნდა. გასამდება-მეთქი და ა, გასამდა. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი. პორტმანი მეჭირა ხელში, ჩემი საბუთები – მესაპნეთა კავშირის წიგნაკი, პირადობის მოწმობა, საგზური, ფული, რაც მქონდა. დღეს ფული რომ ავიღე, ვთქვი პატარა ხანს სკვერში დავჯდები-მეთქი, ესეც ჩემი სისულელე, წადი თურმე სახლში. როდის იყო, სკვერში რომ ვიჯექი. წყალი მომწყურდა. გაზიან წყალს დავლევ-მეთქი და ნედლეულის საწყობთან რომ ავტომატებია, იქ მივედი, თურმე დალიე უბრალო წყალი, როდის იყო გაზიან წყალზე რომ სული მიმდიოდა. ავტომატებთან, როგორც ჩანს, ხელცარიელი მივედი, ეს იქედან ვიცი, რომ კაპიკიანს ვეძებდი ჯიბეში და კარგა ხანს ვერ ვიპოვე. ესე იგი პორტმანი სკვერში დამრჩა. დავბრუნდი, ისევ იმ ადგილას დავჯექი და ასე დაახლოებით ნახევარი საათის მერე გამახსენდა პორტმანი. აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, მარა შენც არ მომიკვდე. ჩემი წყლის დალევაში გააქრო ვიღაცამ. დავრჩი ასე უსაბუთოდ და უკაპეიკოდ.

– საბუთები არაფერია, – ყრუდ ჩაილაპარაკა მხარშავმა, თხელცხვირა შავტუხა ბიჭმა, – დაწერ განცხადებას და ახალს მოგცემენ, ფულია საქმე.

– ფული რამდენი იყო? – იკითხა მესაპნე მერაბ კვახაძემ.

– რაც მქონდა ერთად – შვებულების ფული და ხელფასი ოთხას რაღაცა იყო.

გამოჩნდება, ვიღაცა იპოვნიდა. ვინ არის ახლა ისეთი უსინდისო, ბოლოს და ბოლოს, ქუჩაში ხომ არ იპოვა. შენს გვარს და სახელს რომ ნახავს, არაფრით არ წაიღებს. ლეო მახათაძე ამ ქარხანაში ყველამ იცის – ცოტა წაიოპტიმისტ-წაიმლიქვნელა ნორმადარმა შურა კობახიძემ.

– მე ფული მაფიქრებს, ცოტა რომ ყოფილიყო, შეიძლება დაებრუნებინა, მარა ოთხასი მანეთი ერთად ძნელი დასაბრუნებელია. შეაცდენს კაცს. – განუცხადა მხარშავმა.

– ახლა ამას დაყოვნება არ სჭირდება, სანამ თონე ცხელია, ლავაში უნდა ჩაიკრას, ჯერ ეგება არც კი გასულა თქვენი პორტმანი ქარხნის ტერიტორიიდან. ჩავიდეთ ადგილკომში, მილიციაშიც დავრეკოთ და რადიოშიც უნდა გამოვაცხადოთ. „ვინც იპოვა ამა და ამ ადგილას მოიტანოსო“ – ერთმანეთს მიაყარა მერაბ კვახაძემ, სტაცა დაზარალებულს ხელი და თითქმის სირბილით გაიყოლია.

მილიციის სამორიგეოდან უპასუხეს: „ქურდობის შემთხვევასთან რომ გვქონდეს საქმე, სხვა ამბავია – ახლავე ოპერჯგუფს გამოვგზავნითო. თქვენ თვითონ დაგიკარგავთ და თქვენს თავს დააბრალეთო. თუ ეჭვი ვინმეზე გაქვთ, გვითხარითო. ლეოს ეჭვი არავისზე ჰქონდა და ამიტომაც მილიციის მხრივ მხოლოდ იმის იმედიღა დარჩა, რომ დაკარგვის აქტს შეადგენდნენ და საბუთებს აღადგენდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქარხნის რადიო წამდაუწუმ აცხადებდა – ლეო მახათაძის ფული და საბუთები ვინც ნახა, ადგილკომში მოიტანოსო, გავიდა საათზე მეტი, მაგრამ მიმტანი არ ჩანდა და ლეო მახათაძეს იმედის წყალი საბოლოოდ რომ გადაეწურა, სწორედ იმ დროს შემოიტანა დამლაგებელმა საპნის გამშვების დიდი შავი პორტმანი. ლეო უკითხავად ეცა დაკარგულ ავლა-დიდებას. პორტმანში ყველაფერი თავის ადგილას იდო (საგზურიც კი), ფულის გარდა, დამლაგებელმა ქალმა დინჯად ახსნა: საპარიკმახეროს გვერდით, სანაგვე ყუთს ვასუფთავებდი და შიგ აღმოჩნდაო. რადიოს ხმა არც კი გამიგონია, ბატონი ლეო სურათით მაშინვე ვიცანი და ძებნა დავუწყეო.

ფულის შესახებ რომ გაიგო, შეშინდა და ტირილი დაიწყო. ნეტავ მე არ მეპოვა. შეიძლება ვინმემ ჩემზე იფიქროსო, მაგრამ დაამშვიდეს და მადლობით გამოისტუმრეს.

* * *

საამქროში ლეო მახათაძეს მერაბ კვახაძეზე ახლობლები სხვები ჰყავდა, მაგრამ საპნის გამშვების ზარალი გულთან ყველაზე ახლოს მერაბმა მიიტანა. სანამ ლეო ადგილკომში სინდისის ქენჯნისგან შეწუხებულ თავის დამღუპველს ელოდებოდა ოთხასი მანეთით ხელში, მერაბი საამქროს შინაურ მიტინგზე საპნის გამშვების სასარგებლოდ პროპაგანდას ეწეოდა.

– ყველას შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს, – ამბობდა მერაბი, – შემთხვევისგან დაზღვეული არავინ ვართ. ლეოს ამბავი ყველამ იცით, კაცი ხელფასით ცხოვრობს. არამია ვინც ის ფული ჩაიჯიბა. არ შეერგება, არ უნდა ამას ლაპარაკი, მაგრამ იგი უკვე ფულის დამბრუნებელი აღარ არის.

– რა იცი შენ! – გააწყვეტინა ვიღაცამ.

– რა დიდი ცოდნა უნდა. ხომ ხედავთ, საბუთები იპოვეს. ურნაში იდო. ესე იგი ფული ამოღებულია პორტმანიდან.

– იქნებ ფული სხვა ურნაში ჩაყარა – ისევ ის ხმა იყო.

– კაია მასხრობა, მაგრამ ახლა ლეო მახათაძეს ვკითხოთ, ემასხრება?

– ნამდვილად არა, – გამოეპასუხა ხუმრობის მოყვარული, მაგრამ მესაპნეთა მოკუმულ ბაგეებზე შეატყო, რომ ეს ნომერი არ გამოუვიდა და სანამ ძალით გამაჩუმებდნენ, ჩემით გავჩუმდებიო, გაიფიქრა.

მერაბმა პაუზით ისარგებლა და საქმეზე გადავიდა.

– შევაგროვოთ ფული, არ დაიქცევა ქვეყანა. დავდოთ ყველამ. შევეშველოთ კაცს. დასვენებას რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, მის ცოლ-შვილს ამ ზაფხულზე რჩენა ხომ უნდა. მე ასე მოვიფიქრე. კაცებმა თუმან-თუმანი დავდოთ. ქალებმა ხუთ-ხუთი მანეთი. ანდა ისე, როგორც თქვენ გადაწყვეტთ. როგორც სჯობია, მე თქვენ საამქროში ახალი კაცი ვარ. ყველგან ასე აკეთებენ. მე ასე მგონია.

– რა ამბავია ხუთი მანეთი! – ქვაბის სარქველზე ჩამომ-ჯდარი სამი ქალიდან ერთ-ერთმა დაიძახა.

– ვისაც რამდენი შეუძლია, ვისაც როგორ უღირს აქ, ძალას არავინ გვატანს, – დაიბნა მერაბი.

– ახლა რამდენიც დაკარგა, იმდენს ვერ შევუგროვებთ. ამ საამქროში ორმოცდახუთი კაცი ვართ. ქალებს რომ თავი დავანებოთ, ყველამ რომ თუმან-თუმანი დავდოთ, კაი ოთხასორმოცდაათი მანეთი გამოვა.

– ვუყიდოთ მაშინ ერთი ჟიგული და ის იქნება. – ხელსაყრელ შემთხვევას ხუმარა მესაპნე ხელიდან როგორ გაუშვებდა.

– ყველა კი არ მოიტანს. ნახავთ აგერ, ორასამდეც ვერ მოვაგროვებთ – უკან არ იხევდა მერაბი.

– თუმანი ნამეტანია, ცხრა თუმანს ვღებულობ, მეტს კი არა მე! – გამოაცხადა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც შუბლზე ბერეტი ჩამოეფხატა და თვეში მართლა ცხრა თუმანს აძლევდნენ.

– არ დალევ ერთ ბოთლ კონიაკს და ეს იქნება. რა ბევრია, შე კაი კაცო! – მერაბს პასუხი თვითონვე ესიამოვნა, მაგრამ ვერ წარმოიდგინა რა ხალხში ჰქონდა საქმე და რა სიტყვა ელოდა.

– თუ მასეა, ორ ბოთლ კონიაკს არ დავლევ, და ოც-ოცი შევკრიბოთ – დასძახა ბერეტიანმა და მუშების ხარხარში ბერეტი შეატრიალა.

– მოკლედ, რა ვქნათ, გინდათ ამ კაცს დავეხმაროთ თუ არა? – ილაჯი გაუწყდა მერაბს და გაიფიქრა, ვინ მავალებდა, რა ხათაბალაში შევრგეო თავი.

– გვინდა! გვინდა! – ერთხმად დაიძახეს.

– აბა მოვიტანოთ, ხვალ დილით, რავარც ვთქვით ისე, და ჩავაბაროთ ვინმეს. ჩამოწეროს სია ერთმა რომელიმემ.

– რომელმა?

– ვთქვათ, ქალბატონმა შურამ.

– არა, გენაცვალე, მე მოვიტან ჩემ წილ ხუთ მანეთს და ჩაბარებით სხვამ ჩაიბაროს – ქვა ააგდო და თავი შეუშვირა შურა კობახიძემ.

– რატომ? – გულუბრყვილოდ ჰკითხა მერაბმა.

– არ მინდა ფულთან მქონდეს საქმე. შენ ახალგაზრდა ხარ, შვილო, ჯერ, და არ იცი, რას ჰქვია ფულთან საქმის დაკავება.

– კარგი, ბატონო, მაშინ კალე ჩაფიძემ ჩამოკრიბოს, ბრიგადირია მაინც – გამოსავალი იპოვა მესაპნემ.

– ერთხელ გავყავი ამნაირ ხათაბალაში თავი და დაბადების დღე ვიწყევლე. მაგის თავი მაქვს მეე? – სხვამ ითავოს და ჩემსას გავაკეთებ.

– კი მარა, ასე ძნელია ახლა ვითომ ეს საქმე? არ ვენდობით ერთმანეთს, თუ რაი? შენ ვერ აკრიბავ, ბიჭო, მაგალითად? – მიუბრუნდა მერაბი შავტუხა მხარშავს.

– ვერა, ვერა, დამებნევა ფული და ხლაფორთში გავებმები. ვიცი ჩემი უბედური თავის ამბავი. რათ უნდა ამას ამდენი ჭიჭყინი. შენ წამოიწყე ეს საქმე და ფულიც შენ უნდა ჩამოკრიბო.

– კაი, ბატონო, რაკი დაიქცა ქვეყანა, მე ჩამოვწერ სიას, – კეფა მოიფხანა მერაბმა და ღვთის წინაშე სიმართლე უნდა ვთქვა, ფულთან საქმის მიცემა მერაბსაც არ უნდოდა.

– კი მარა, ერთს ვიტყვი, ახლა მე. ამ ფულს რომ ვკრიფავთ, იცის იმ კაცმა? – იკითხა შურა კობახიძემ.

– არ იცის – თქვა მერაბმა.

– აბა თუ არ იცის, ეგება არაა თანახმა. ყველა კი არ მიიღებს ასე ჩამოკრეფილ ფულს. თქვენ ლეოს ხასიათი არ იცით. არ ეწყინოს, კაცო, შეურაცხყოფად არ მიიღოს.

– ახლა წინასწარ ვერ ვეტყოდი, შურა დეიდა, ფულს გიკრიბავთ-მეთქი. ლეო თავმოყვარე კაცია. მივცემთ ისე მოხერხებულად, დაუმადლებლად. ასეა ყველგან, არა მგონია უარი თქვას – განუმარტა მერაბმა.

– არ ვიცი მე. მე, მაგალითად, ასე შეგროვილ ფულზე უარს ვიტყოდი. მტრის ვალს დავიდებდი და სამოწყალოდ არ გავიხდიდი საქმეს – თავისი თქვა შურა კობახიძემ და წამოდგა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– არ უნდა აჩქარება ამ საქმეს. მილიციამ იცის უკვე. იქნება დაიჭირონ, ვინც ლეოს ფული მოიპარა – დაიწყო მხარშავთა ბრიგადის თავმა, კალე ჩაფიძემ.

– მოიპარა კი არა, იპოვა – გაუსწორა მხარშავმა.

– მოიპარა, მოიპარა, დიახაც. პოვნა ჰქვია, რომ იპოვი და ირგვლივ რომ არავინაა. აქ, შე კაი კაცო, ჩვენს ოჯახში, პორტმანი დარჩა კაცს სკამზე, გახსნა ვიღაცამ, ნახა ვისიც იყო. საბუთებს ურნაში გადაუძახა და ფული ქე დაიტოვა. მოპარვაა, აბა რა ჯანდაბაა ეს. მილიცია თუ მოინდომებს, ერთ საათში იპოვის იმ ფულს.

– როგორ, მაინც, რანაირად? – არ მოეშვა ბრიგადირს შავტუხა.

– რა ვიცი მე რანაირად, მაგენს სპეციალურად ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში. მე, მაგალითად, ჩემი მოკლე გაგებით, ასე ვიზამდი: ჯერ შემოსასვლელში გავარკვევდი, ვინ შემოვიდა დღეს უცხო კაცი. მაგრამ აქედანვე ვიცი, რომ ეს საქმე შინაურის გაკეთებულია. გარედან მომსვლელი, სკვერში არ გავა. იმას ან დირექციაში აქვს საქმე, ან პარტკომში. ბაღში ჩვენ გავდივართ. ახლა წესიერი, ღმერთო შეგცოდე და, მაგის გამკეთებელი არ არის. ის ფული წაიღო ცოტა იმნაირმა კაცმა, ლოთმა, უბედურმა, ან მთლად ახალგაზრდამ და უჭკუომ. ასეთი ახლა ბევრი არაა ჩვენს ქარხანაში, ისედაც რა ვართ, ცოტა ვმუშაობთ. პორტმანის დაკარგვა თორმეტიდან პირველამდე – შესვენების დროს მოხდა. კარისკაცმა ხომ იცის, ვინ გავიდა იმ დროს კარებში. უმეტესობა, ხომ სწორია, აქვე ვსადილობთ. ერთი ხუთი კაცი თუ გავიდოდა. იქედან ოთხი მართლა სასადილოდ გავიდა, ერთმა კი შეიძლება ფული გადამალა, აქ არ მიპოვონო. ხუთივეს უნდა უთხრას გამომძიებელმა, დაგინახეთ პორტმანი რომ იპოვე და ჩუმად დააბრუნე, არ დაგიჭერ-თქვა. უეჭველად დააბრუნებს.

– კი, კი იმ წუთას – სასაცილოდ არ ეყო ეს ვარაუდი შურა კობახიძეს – იმას, ვისაც ფულის წაღების თავი აქვს, იმის შნოც აქვს, უარი თქვას.

– არა, ქალბატონო შურა, – დინჯად განაგრძო ბრიგადირმა, – გააჩნია რანაირი გამომძიებელი იქნება და რანაირად ეტყვის. ახლა ხომ ფაქტია, რომ ეს საქმე პროფესიონალი ქურდის გაკეთებული არ არის. პროფესიონალი ქურდი საპნის ქარხანაში არ დაგიწყებს მუშაობას.

– ვთქვათ, გარეთ არ გაუტანია და აქვე აქვს ფული, მაშინ რა ვქნათ? – იკითხა მერაბმა.

– მაშინაც ეშველება რაღაც. გამომძიებელმა უკეთ იცის, ის რამდენიმე ეჭვმიტანილი ცალ-ცალკე უნდა გაიყვანოს საამქროდან, ვითომ სალაპარაკოდ, და ამასობაში იმათი სამუშაო ადგილი ან ტანსაცმლის კარადები უნდა გაჩხრიკოს ვიღაცამ.

– შენ ხომ არ გაგიჟდი! – არ დაეთანხმა კედელს მიყრდნობილი უზარმაზარი შავწვეროსანი მესაპნე, – კაცის გაჩხრეკა შენ ხუმრობა ხომ არ გგონია. უსანქციოდ თავს ვინ გაგაჩხრეკინებს.

– მე იმ გაჩხრეკას კი არ ვამბობ. მე ვიძახი ისე, ჩუმად, გაუფრთხილებლად კარადებში შეხედვას. შე კაი კაცო, ყველა დამლაგებელს აქვს ჩვენი გასაღები და დილას რომ მოვდივარ ამოყირავებული მხვდება, ჩემი უჯრები. გაჩხრეკა არ არის ეეს? აბა რაია!

– მერე ამდენი თუ იცით, ვერ დაუძახეთ მილიციას? – ნოდარმა კვლავ მიიქცია ყურადღება.

– დაუძახეს, მაგრამ ასე უბრალო საქმეზე ჩვენ არ დავდივართო. მაგი თქვენ თვითონ გაარკვიეთო. ეჭვი თუ გაქვთ, ვინმეზე, გვითხარით და კი ბატონოვო – ჩაერია მერაბი.

– ესე იგი, თუ მოძებნით თქვენ თვითონ ქურდს, მერე დაჭერა ჩვენზე იყოსო, არა? – გაიცინა შავტუხა მხარშავმა.

მოკლედ, იმ დღეს საპნის მხარშავთა საამქროს საქმე გაუჩნდა. სხვაც ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ნოველის ავტორს მიაჩნია, რომ დანარჩენი მოსაყოლადაც არ ღირს. კიდევ მეტი, მას ეჭვი ეპარება, განა რაც აქამდე გიამბოთ, ასე მნიშვნელოვანი იყო ამ პატარა ნოველისათვის?

* * *

მეორე დღეს მერაბ კვახაძე ქაღალდ-კალმით ხელში საამქროს ხან ერთ კუთხეში გაიელვებდა და ხან მეორეში. ფული ძალიან ნელა გროვდებოდა. ზოგიერთი ჯერ სიას ჩამოართმევდა, მაჩვენე აბა რამდენმა მოიტანაო, მერე ცოტა ხანს

დაფიქრდებოდა და მშვიდად ეტყოდა: ხვალ მოგიტანო. – მე კი ნუ მომიტან, ჩემთვის კი არ მოგაქვს, ლეო მახათაძეს ვუგროვებთ და ამაღამ მატარებლით მიდის ის კაციო. – გაწიწმატდებოდა მერაბი. – არ გამომყვა ჯიბეზე და ჩამომკიდე ახლაო – შარზე იყო მესაპნე, – თუ გაქვს დადევი ჩემ მაგივრად შენ და როცა მექნება, გაგისწორდებიო. ფული ძაღლი არ არის, მისით რომ გამოგყვეს. უნდა წამოგეღო და გექნებოდაო, – ამ ცოტა არ იყოს გაცვეთილი ფრაზით ნესტრავდა უპასუხისმგებლო მესაპნეს მერაბი და გაეცლებოდა.

შესვენებამდე წუთები იყო დარჩენილი, შურა კობახიძემ მაგიდასთან თავდახრილ მერაბს მხარზე რომ დაადო ხელი და განზე გაიყვანა.

– რა იყო, შურა დეიდა?

– მერაბ, გენაცვალე, შენ დარწმუნებული ხარ, რომ ლეო მახათაძემ მართლა დაკარგა ფული?

მერაბი შეცბა.

– როგორ გეკადრებათ, შურა დეიდა!

– რა იცი? მე კი არ მეკადრება მარა, დღეს კაცი არ ინდობა. გაფუჭდა ხალხი. ვინ იცის იქნებ დასასვენებლად ფული დაჭირდა და...

– მე იქ ვიყავი, დამლაგებელმა პორტმანი რომ შემოიტანა.

– ჰოდა, დაგდებულს ჰგავს ის პორტმანი.

– ვის დაგდებულს?

– პატრონის, რა ამბავია ოთხასი, შე კაი კაცო, იქნებ ორასი დაკარგა და ოთხასს ამბობს. შემიგროვებენ მაინცო. შვილებს ვფიცავარ, მე რომ დამეკარგა, ხმას არ ამოვიღებდი. ვითომც არ მქონია, მორჩა და გათავდა.

– კი მაგრამ... ეს რანაირად... მე ახალი კაცი ვარ... ასე იცნობთ თქვენ ლეო მახათაძეს?

– ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ, მაგრამ ხომ გითხარი დეიდა, გაფუჭდა ხალხი, აღარაა ის ძველი სინდის-ნამუსი.

– გუშინ ვერ თქვით ასე?

– მე არც დღეს არ უნდა მეთქვა, გენაცვალე მაგრამ ყურები გამომიჭედეს. მთელი საამქრო ასე ლაპარაკობს: არაფერი ფული არ დაკარგულა, მახათაძემ თავი მოისაწყლაო.

შურას პასუხისთვის არ დაუცდია, ვიღაცას ჰკიდა თვალი და მერაბს სწრაფად გაეცალა.

თეთრ, ქათქათა საპირფარეშოში, შესვენებისას ხელს რომ იბანდნენ, მერაბი შავტუხა მხარშავმა დაიმარტოხელა.

– ნეტავი შენ არ გარეულიყავი ამ საქმეში.

– რა საქმეში? – ჰკითხა მესაპნემ.

– მახათაძის ფულის საქმეში. დღეს ერთ-ორს ქე ვაგინე შენი გულისთვის და ვიღაცას იქნება მოვუქცევ ყბას გვერდზე.

– რა უნდათ?

– რა და, ხომ იცი, ბნელი ხალხია, რას ხტუნავს მაგიო, ერთმა თქვა, ვითომ თავს აყვარებს ახლა მახათაძესო? ვითომ ეგ გამოგვივიდა ყველაზე კეთილი და ყველაზე კაი ბიჭი ამ საამქროშიო. ლეოს აქ უფრო ძველი ძმაკაცები ჰყავს და იმათთვის უნდა ეცლიაო. ვინ ჰკითხავს მაგას, ჩვენ ფულს შევუგროვებთ თუ ყავარს მივუტანთ სახლშიო.

– მთელი საათი არ ვყვიროდი გუშინ, ვინ შეაგროვებს, ვინ ჩამოწერს სიას-მეთქი? იქ არ იყო სუყველა?

– უბედური ხალხია. გაგება არა აქვს ნახევარს. ეგ კი არა, ასე მითხრა ერთმა, მაგ რაღაცა ისე წრიალებს, თვით ხომ არ იპოვა ის ფული ნეტავიო.

მერაბს ჯერ გაეცინა, მერე ერთბაშად მოიღუშა და შავტუხას სახელოში სტაცა – მითხარი ვინ გითხრა და, რუმბივით გავუხდი ცხვირ-პირს! ეს ყიამყრალები! კაცმა კაი საქმე არ უნდა გააკეთო? ისე ნახა ხეირი მაგის გვარმა და ჯილაგმა, რავარც მე ის ფული ვიპოვე.

– ყოფილიყავი შენთვის. არ გამოდის, წინ გამოსვლა და ცანცარი ამგენთან. იმიტომ იყო, ფულის შეკრებაზე ყველამ უკან რომ დავიხიეთ. რა უნდოდა მაგ საქმეს, მაგრამ ვიცი მე აქაური ამბავი.

ნაშუადღევს ლეო გამოჩნდა, მერაბმა ფული გადათვალა, ას სამოცდახუთი მანეთი შეგროვილიყო. დაღონებული საპნის გამშვები დერეფანში გამოიყვანა და სიიანად ჩაუჩურთა ფული ხელში. ლეომ ბევრი იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც მიიღო „მეგობრული დახმარება“ (მერაბმა ასე აუხსნა). კარგა-

დაც მოიქცა. მის მდგომარეობაში კუდაბზიკობა და „ღმერთო კი მომკალის“ თამაში სისულელე იყო.

საპნის ქარხანაში კიდევ ერთი საინტერესო დღე ჩაბარდა წარსულს.

საშვთა ბიუროს რომ გამოცდნენ, კალე ჩაფიძემ ხელი გამოსდო მერაბს.

– რომლით მიდიხარ?

– ოთხი ნომრით.

– ჰო, ერთი გზა არ გვქონია, მე იქით ვარ წასასვლელი. რა ქენი, მიეცი ფული?

– კი.

– რამდენი იყო?

– ას სამოცდახუთი.

– თქვა რამე?

– დიდი მადლობაო.

– სიაც მიეცი?

– აბა რას ვიზამდი.

– სიაც გამოგართვა?

– კი.

– კაია, ნახავს ვინ რა კაცია. ვის ყოფნის კაცობა, გასაჭირში მყოფს ხელი გაუწოდოს.

– სწორია.

– ასე რომ იცოდე, ვინც არ მოიტანა, არც ისაა გასამტყუნარი. ეგება გულით უნდოდა დახმარება, მაგრამ არ ქონდა და რა ექნა.

– ჰო, – თავი დაუქნია მერაბმა და გაიფიქრა, ბრიგადირს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, ამისთვის არ გამომყვებოდაო. არც შემცდარა.

– ჩვენ შორის დარჩეს და ვინც მოიტანა, არც ისაა ყველა ერთნაირი. გლახა იმათშიც ურევია. რა თქვა ერთმა თუ იცი?

– რაო?

– მერაბ კვახაძემ ფული გადაუღუნა ლეო მახათაძესო. სია არ მიუცია და ვინ გაიგებს რამდენი შეგროვდაო.

მერაბი რაღაც უსიამოვნოს ელოდა, მაგრამ ასეთ საშინელებას თუ დასწამებდნენ, ვერ წარმოედგინა.

– აგერ მაქვს სია! მეორე ცალი გადავწერე, ყოველ შემთხვევისათვის! ეს რამ აფიქრებინათ! ფულის გადამღუნავს ვგავარ მეე? ხვალ მოშავდებიან სამსახურში და გავარკვევ ყველაფერს. მოდი, თუ კაცი ხარ, შენ დაურეკე ლეოს ამაღამ ნუ წავა და იმ სიიანად ხვალ მოვიდეს.

– კაი კაცო, სალაპარაკოდ არ ღირს.

– რა თქვი?! – გალურჯდა მერაბი – ამას მოვითმენ მეე?! ახლავე ჩემ თვალწინ დაურეკე, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა!

ორკაპიკიანი მოძებნეს და ტელეფონის ჯიხურისაკენ წავიდნენ.

* * *

მეორე დღეს ყველაფერი გაირკვა. შესვენებაზე ლეო მახათაძემ წაიკითხა სია და იკითხა: ხომ არავინ ხართ შემთხვევით გამორჩენილიო. მერე მერაბ კვახაძემ წაიკითხა თავისი სია, ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, მერაბი ყველაფერში სწორი აღმოჩნდა.

– დიდი მადლობა დახმარებისათვის, მაგრამ ფული უკვე ვისესხე და გთხოვთ ამ სიით ყველამ უკან დაიბრუნოთო, – თქვა ლეო მახათაძემ, ფული მაგიდაზე დადო და გავიდა.

– ჩემდა თავად თქვენს გვერდით მე აწი ვეღარ ვიმუშავებ, სხვა საამქროში გადავალ, ან სულ წავალ აქედანო, მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა მერაბ კვახაძემ და საპნის მხარშავს მიჰყვა.

ახლა ჩვენ ვიკითხოთ – მთელ ამ ამბავში ყველაზე მეტი დამნაშავე კალე ჩაფიძე არ არის? კალეა, დააჭირე ენას კბილი, იყავი შენთვის. რაღაზე უმღვრევ გულ-მუცელს ამ ისედაც დაღლილ ხალხს.

ფათუშა

კიბე ჯეირანივით მოხდენილმა ქალმა ჩამოირბინა. მიწას ფეხი დაადგა თუ არა, თითქოს ბალახის სირბილემ შეაკრთო, შედგა. დარაია ნიკაპქვეშ ამოიკეცა. ეშმაკებითა და სიხარულით სავსე თვალებში სიმკაცრე ჩაიგუბა და ისე, ნელა, ღირსეულად გააბიჯა, თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო, იმასთან, წუთის წინ კიბეზე კისრისტეხით რომ ჩამორბოდა.

აივანზე კლუბის გამგე ვანო აბაკელია გადმოდგა და ჭიშკარში გასულს დაადევნა:

– ფათუშა, მოიწი ერთი აქეთ.

ქალი შედგა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. ერთ წამს გაუნძრევლად იდგა შემკრთალი შველივით. მერე მობრუნდა და აივნისაკენ წელმოწყვეტილივით წამოვიდა. კიბეზე არ ასულა. კლუბის გამგეს ეზოდანვე ჰკითხა.

– რა იყო, ვანო?

– სულ დამავიწყდა მეკითხა, შენმა ქმარმა თუ იცის ეს ამბავი?

ფათუშას გაეცინა ანგელოზის უცოდველი და სუფთა სიცილით.

– იცის.

– მერე?

– რა მერე?

– შარში არაფერში გადამაგდო, თუ ქალი ხარ, ხომ იცი შალიკო ვაწაძის ფხუკიანი თავის ამბავი.

– ასე გეშინია?

– შიში რა შუაშია, – ხმა დაიბოხა კლუბის გამგემ – არ ეწყინოს კაცს. ეს ჩემი ცოლი კონცერტზე რომ გამოგყავს, ეგება არ მსიამოვნებს მეო. ხომ იცი, კაცია და გუნება.

– შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, პატარაზე ქე ახტა პირველად მარა, რომ აღარ მოვეშვი, ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

– აბა, ხვალ რვა საათზე, რავარც მოვილაპარაკეთ.

– კი, ბატონო.

– ბავშვებს ვის უტოვებ? – აშკარად ფეხს ითრევდა კლუბის გამგე, თორემ, კაცმა რომ თქვას, რაში აინტერესებდა, ვის დაუტოვებდა ხვალ საღამოს ბავშვებს ფათუშა ვაწაძე.

– დედამთილს. არაფერი უჭირს. ერთ საღამოს მიხედოს თავის შვილიშვილებს, მე ცხრა წელიწადია სახლიდან ფეხი არ გამომიდგამს.

– უმცროსი რა ხნის გყავს?

– წლის არაა ჯერ.

– მერე, გოგო? – მოიღუშა კლუბის გამგე.

– შვიდ საათზე ვაჭმევ და დავაძინებ. ნეტავი მაგაზე ადვილი მოსავლელი ის დიდი ვირები იყვნენ.

– ძუძუზე გყავს?

– აბა რას იზამს, სამ-სამი წელიწადი სწოვდნენ მაგის უფროსი ძმები. სისხლი გამიშრეს, ჯიში აქვთ ასეთი თურმე.

– კაი აბა. კარგად იყავი. – ვანო აბაკელია მოაჯირს მოშორდა.

– კარგად, ჩემო ბატონო.

– ერთი სიტყვით, შალიკოს მხრიდან ყველაფერი გარკვეულია.

– რავა გეკადრება. აბა შალიკოს უმისოდ გავბედავდი კონცერტზე გამოსვლას?

ვანო აბაკელიას წასვლა მაინც არ უნდოდა.

– კი მარა, შენს დედამთილს რომ ტოვებ ბავშვებთან, თვითონ არ უნდა კონცერტზე წამოსვლა?

– გადაირიე, ჩემი მტერი? საწყალი ჩემი მამამთილის მერე აგერ ოცი წელი გავიდა, შავები არ გაუხდია.

– აბა, მშვიდობით ახლა, ხვალამდე.

ფათუშა ვაწაძემ შეატყო, რომ გამგე უსაქმოდ ენას ისველებდა და ისე გაშორდა კლუბის ეზოს, როგორც ლამაზმა ქალებმა იციან ხოლმე, როცა თავიანთი მოხდენილი ტანისა თან ეამაყებათ და რცხვენიათ კიდეც, რადგანაც მათრახივით გრძნობენ ზურგში დამიზნებულ უტიფარ მზერას.

იქნებ სისულელეს სჩადის? რაღა დროს ფათუშას სიმღერაა, ოთხი შვილის დედამ კონცერტისთვის და ხალხის გასარ-

თობად სად მოიცალაო, ხომ არ იტყვის ხალხი? ჭორიკანა დედაკაცების ყბაში არ ჩავარდეს, შალიკოს ვინმემ ალმაცერად არ შეხედოს, თორემ რაღად უნდა მერე სიცოცხლე, ბევრი ებრძოლა თავს ფათუშა. ათასჯერ გადაწყვიტა და დაიშალა, მაგრამ წლების მანძილზე გულის კუნჭულში მიძინებულ და ამ ბოლო დროს საბედისწეროდ ახმაურებულ სურვილს ვეღარ მოერია, ხელოვნების სამსახურის დაუოკებელი გრძნობაა ეს თუ შინაგანი მოწოდება – ამქვეყნად თავისი სათქმელი მარტო დედობით კი არ თქვას, სიმღერითაც გააოცოს დღეს სოფელი.

ცხრა წლის წინათ დაამთავრა ფათუშამ კულტმასობრივი სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრება და გათხოვება ერთი იყო. სანამ ოჯახის უღელს შეიდგამდა, ხვალინდელი დღე სულ სხვანაირად ესახებოდა, აბსოლუტური სმენა, რბილი, ხავერდოვანი ხმა და ესტრადის ცნობილ მომღერალთა მიბაძვის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა. სასწავლებელი ყველაზე მეტ იმედს ფათუშაზე ამყარებდა, გავამხელ და ხშირად დასიზმრებია თავი გრძელ კაბაში, გაჩახჩახებულ, უზარმაზარ სცენაზე „ორერას“ ბიჭებს შორის. მურმან ნიკუშაძემ გიტარაზე დაკვრაც ასწავლა და საქალაქო კონცერტებზე (დეპუტატთან შეხვედრა, საზეიმო სხდომა, ტუნგოს პლანტაციების ვეტერან მუშებთან შეხვედრა, ქალთა ემანსიპაციის დღე) ხშირად გამოდიოდა. ფათუშას ყველა იცნობდა. ყველა აფასებდა მის ნიჭს და უფრო მეტად მის ლამაზ ყვავილობას.

ფათუშას გათხოვება ქალაქში მეხის გავარდნასავით გაისმა. შეიქმნა ერთი მითქმა-მოთქმა. ზოგი ამბობდა, – მოიტაცეს და ცხრაკლიტულში ჰყავთო, სხვანი ამტკიცებდნენ, ამხანაგმა გოგომ უღალატა, ვიღაც შოფერს შეატოვა ხელში და დაღუპა საწყალი გოგოო, ქალაქს პირს ვერ აუკრავ. არცაა გასამტყუნარი, ქუთაისის თვალი – ლამაზი ფათუშა გასათხოვრად და დასაკარგავად არავის ემეტებოდა. მერე ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ოკრიბელ ვაწაძეს გაყოლია თავისი სურვილით, სიმღერას თავი გაანება და აკვანს უზისო. ეს უკანასკნელი ხმა მართალი იყო. თუმცა, ფათუშა თავისი შემოქმედებითი კარიერის ასე უცბად დამთავრებას არ ელოდა, მაგრამ ჭკვიანმა

და მრისხანე ქმარმა ქორწინების მესამე დღესვე გაუცხადა – სცენობია და ჯღანაობა არ დამიწყო აქანა, ფილარმონია სადაცაა, იქ მეზარება, მე ბოვშები მინდა და ცოლი მინდაო. აწი სხვის კონცერტზე ვიაროთ, შენი კონცერტი შენი სახლიაო, დაჯდები სოფელში და კერიას მიხედავო.

მეტი რა გზა ჰქონდა. ხელოვნების ნაკვერჩხლები კარგა ხანს ღვიოდა ფათუშას გულში, მაგრამ როგორც კი დედა გახდა, არტისტობის ჟინი ნელ-ნელა მიინავლა მის არსებაში. კედელზე ჩამოკიდებულ ფოჩიან გიტარას, თვე გავიდოდა, ზედაც არ შეხედავდა.

ცხრა წელიწადმა ცხრა დღესავით გაიარა. ფათუშამ ოთხი ბიჭი აჩუქა ვაწაძეების ოჯახს. მუყაითი, გამრჯე, შვილებზე გადამკვდარი დედა შეიქნა. სოფლის თვალიო რომ იტყვიან, სწორედ რომ ფათუშაზე იყო ზედგამოჭრილი. ღმერთო შეგცოდე, გათხოვებამდე რომ ვინმეს ეთქვა, ოთხი შვილი გეყოლებაო, წყალში გადავარდებოდა, თავი ხელოვნებისათვის შეწირულ არსებად წარმოედგინა და მრავალშვილიანი დედის როლი პროვინციული ქალების საქმედ მიაჩნდა.

ოთხივე ერთმანეთს მიჰყვა. ოთხი სიცოცხლე, ოთხი სიხარული. უნეტარესი წლები იყო ფათუშასათვის ეს ცხრა წელიწადი. მისი თვალები, მისი სისხლი, მისი პატარა ანგელოზები, მათი პირველი სიტყვა, პირველი ნაბიჯები, დედიკოს ჩასახუტებლად გამოშვერილი პატარა ხელები. ღამეებს როგორ არ გაათენებდა, გულს როგორ არ ამოიგლეჯდა თავისი ბიჭებისათვის.

ეს რამდენიმე თვეა ავი ფიქრები მოეჯარა. წონასწორობას კარგავს, სცენა ეძახის. ტაში მოენატრა. რისთვის მინდოდა ან ეს სიმღერის ნიჭი, ან ეს დიპლომი, თუ სახლში უნდა ვმჯდარიყავი მთელი ჩემი ცხოვრებაო. სადღაც გამოქექა – ლოლიტა ტორეზსაც ოთხი შვილი ჰყოლია, მაგრამ სიმღერისთვის თავი არ დაუნებებიაო. რაღა მე შევიქენი ასეთი უიღბლო. ათასში ერთხელ კონცერტზე ჩემი გამოსვლა ვის შეუშლის ხელსო. იქნებ, რა ნიჭს ვმარხავ ჩემი ნებით, მაქვს ამის უფლება მეო?

იმდენი უჩიჩინა ქმარს, რომ, როგორც იქნა დაიყოლია და ხვალ საღამოს, რვა საათზე, მოსავლის უდანაკრგოდ აღების აღსანიშნავ კონცერტზე, ხანგრძლივი შემოქმედებითი შეს-

ვენების შემდეგ, ფათუშას ნიჭის თაყვანისმცემლები კვლავ იხილავენ თავიანთ საყვარელ მომღერალს. ვანო აბაკელიას პროგრამაში სამი სიმღერა ჩააწერინა – „ციცინათელა“, „ბოშური რომანსი“ და „ავე მარია“.

* * *

კონცერტი კარგა ხანია დაიწყო.

მამალაძის პანტომიმაზე ხალხმა ტაშით ჭერი კინაღამ ჩამოანგრია, თვით ფათუშასაც კი ეცინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პანტომიმა (კაცი რომ ქლიავის კურკას გადაყლაპავს და კუჭი რომ აეშლება) სცენის უფრო გამოჩენილი ოსტატების შესრულებით ათასჯერ ჰქონდა ნანახი სხვადასხვა კულტურის სახლის სცენაზე.

ხანდახან ფარდას გასწევს და „პარტერს“ ათვალიერებს.

შალიკო მესამე რიგში ზის გაქვავებული, დანა პირს არ უხსნის. არც იცინის და არც ტაშს უკრავს.

„რა ვქნა, ჩემო შალიკო. ათასში ერთხელ ჩემიც უნდა გაიგონო. ჩემი ახირებაც უნდა აიტანო. ოთხ ვაჟკაცს ხომ გიზრდი. თავს მირჩევნიხარ და შენს ღალატს სიზმარშიაც კი არ გავიფიქრებ. რა მოხდა ასეთი? არ გაჭმევ სირცხვილს, ნუ გეშინია. სიმღერისათვის ვარ გაჩენილი. ნიჭის დაკარგვა ღმერთის წინაშე ცოდვად ითვლება. ათასში ერთხელ გამოვალ ასე კონცერტზე და ჩემს ჭიას გავახარებ. გახსენი წარბი, ნუ იღრუბლები, თუ კაცი ხარ“.

ახლა დეისაძე და ქავთარაძე იცეკვებენ ქართულს, მერე ვაჟა ალხაზიშვილი წაიკითხავს „ბაკურს“ და ფათუშას ჯერია.

რა ემართება ამ გიტარას. გაიტანს დერეფანში ააწყობს, შემოიტანს და მესამე სიმი ისევ აშლილია.

ეტყობა ხრახნია მოჟანგული და ნელ-ნელა იშვებს.

ღმერთო გადამარჩინე!

რა ღმერთი გამიწყრება, ამათ მოსაწონს როგორ ვერ ვიმღერებ, რა ესმის ახლა ამათ „ავე მარიის“ და „ბოშური რომანსის“. აქ ძირითადად, სკეტჩის მოყვარულები არიან. რა ვქნა ახლა, მე ჩემსას ვეცდები და თუ არ დაუკრავენ ტაშს, ნუ დაუკრავენ.

შუა სიმღერის დროს ვინმემ რომ დაუსტვინოს?

არა, ღმერთმა დამიფაროს. ამას ვინ გაბედავს. შალიკოს შიშით მაინც ვერ გაბედავს ვერავინ.

ის იყო ვაჟა სცენაზე გავიდა, ჩაახველა და რიხით დაიწყო: „გვიამბე ელიზბარო, რა ამბავ მოხდა ეღოსაო“, რომ სცენის სიღრმიდან ბავშვის ტირილი გაისმა. დეკლამატორი შეჩერდა, რადაგანაც ბავშვის თავგანწირულმა ჭყვირილმა ხალხი გააცინა.

ფათუშამ კულისებიდან გაიჭყიტა. ბავშვი გვარამაძეების იყო. ლეილას დედამთილს გულზე აეხუტებინა ჩვილი და ტუჩებმოკუმული, გაკერპებული არწევდა. ეტყობა მოხუც ქალს თან რცხვენოდა თავისი შვილიშვილის „ხულიგნური“ საქციელისა და თან კონცერტის მიტოვებაც ენანებოდა.

„ამ ერცახე ბავშვის წამოყვანა კონცერტზე გამიგონია? რანაირი ჭკუისაა მაინც ზოგიერთი“ – გაიფიქრა ფათუშამ.

„გვიამბე ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ეღოსა.
როგორ დაეცნენ ლეკები
ბაკურის ციხე-ეზოსა“.

ეს ერთი სტროფიც მოამთავრა ვაჟამ და ისევ ატირდა ბავშვი. დეკლამაციის ოსტატი კვლავ შედგა და კულისებისაკენ გამოიხედა. ამით პროგრამის წამყვანს ანიშნა, „თუ შეგიძლია დაამყარე დარბაზში წესრიგი, თორემ მივანებებ ლექსის კითხვას თავს და იყავი მარტო ამ უნიჭო ცეკვა-სიმღერის და უხეირო სკეტჩების იმედზეო“.

ფათუშამ თავისი სახელი რომ გაიგონა, თვალი დახუჭა და ტანზე ბუსუსები დააყარა. გულმა უგრძნო – რაღაც კარგი ამბავი ვერ იყო მის თავს. მოიხედა. ვანო აბაკელიას მუდარით სავსე თვალებს წააწყდა.

– ფათუშა უნდა გვიშველო!

– მერე ჩემი ნომერი?

– გადავწევ იქით. ვიღუპები, კონცერტი მეშლება. ბაბალიკაშვილის სპორტული ნომრის მერე გამოვაცხადებ.

– კაი აბა.

ფათუშამ დერეფანი გაირბინა. მარცხენა კარებიდან შევარდა დარბაზში. ლეილას დედამთილს ბავშვი გამოართვა, გვერდით მიუჯდა, მკერდზე თავსაფარი ჩამოიფარა და აღნავლებულ თოთოს ძუძუ ჩასჩარა პირში.

რა შელოცვა გააჩუმებდა ასე პატარა გვარამაძეს!

„დისციპლინის დამრღვევი“ დამარცხებულია. კონცერტი გრძელდება.

„მაინც რა ღონიერია ეს გასაზრდელი. ძუძუს პატარა თითები შემოაჭდო და სულმოუთქმელად თქლაფავს. არ უჭმევიათ დღეს ნეტავი არაფერი?“

ფათუშამ ორჯერ სცადა მოეშორებინა ბავშვი ძუძუზე და ბებიამისისათვის დაებრუნებინა, მაგრამ ბავშვმა ისეთი ბღავილი მორთო, რომ მაყურებლების წყრომით სავსე შეძახილები დაიმსახურა და ფათუშამ თავი ჩაქინდრა.

„არ ვიცოდი ჩემი იღბალი მეე?“

ბაბალიკაშვილმა ბოლო გირი რომ მოისროლა კულისებში, ფათუშა აკანკალდა, „ახლა მე გამომაცხადებენ, გიტარა სად მივჩურთე ნეტავი? ბავშვს ნელა გამოუცურა ძუძუ პირიდან და ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ ღონეზე მოსულმა გვარამაძეების ნაშიერმა იქაურობა გააყრუა.

– სად გეჩქარება ფათუშა, შე ქალო, გააჩუმე ეს ბოვში, პატარა ხანს, ღმერთი არა გწამს?! – მოესმა ფათუშას ვიღაცის უკმაყოფილო ხმა.

უკან არ მოუხედავს.

კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა.

ესთეტიკურად დამტკბარ მაყურებელთა დარბაზში ერთადერთი უკმაყოფილო ქალი იჯდა.

ფათუშას გულზე აეხუტებინა ჯიუტი გვარამაძე და თავსაფრის ბოლოთი ცრემლებს იწმენდდა.

რა ატირებდა?

ნადია

ტელეფონმა მამლის მესამე დაყივლებაზე დარეკა. დავით ისაკაძე, მისი ცოლი და სიდედრი ერთად შემოცვივდნენ ტელეფონთან „ახლავე ბატონო“ – ჩასძახა სიდედრმა, ყურმილი დადო და თავისი ოთახისაკენ გაიქცა. „ვინ უნდათ“ – დაადევნა ცოლმა, სიდედრმა შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დავითს ურეკავდნენ. იმ დღეებში დავითი სიდედრს ხმას არა სცემდა, ამიტომაც მისი სატელეფონო აფრთხიალება გულზე შემოეყარა, ყურმილი დაახეთქა და დაიქუხა: „ხომ ვთქვი მე, როცა სახლში ვარ, ტელეფონთან არ მივიდეს, არავინმეთქი! ისე, კაცმა რომ გკითხოთ, ავადმყოფები ხართ და ძლივს დადიხართ ორივე! ტელეფონთან ჩემპიონი მეხანძრე ვერ მიგასწრებთ სად სიკვდილში წავიდე! არ მეცხოვრება ამ ჩემს სახლში და ეგაა. აქ ჩემი არაფერი გადის. ვის მივადგე კარზე, სადმე წასასვლელი მქონდეს თორემ, თქვენთან გამჩერებელს გაუთენდა, ჩემდა თავად, შავად და ბნელად!“ დავითი ხელმეორე ზარის მოლოდინში სასტუმრო ოთახში ბოლთას სცემდა.

ტელეფონი ისევ აწკარუნდა. „გაგიმარჯოს, კარგად, რომელი ხარ? რასი ნამთვრალევი, თვე-ნახევარია ხელში ჭიქა არ ამიღია, რომელი ხარ? სიდედრმა მომკლა, თორემ ვიცოცხლებდი ცოტა ხანს, რომელი ხარ? შვიდს უკლია თხუთმეტი წუთი, რომელი ხარ? რა საქმე გაქვს ამ დილაუთენია, რომელი ხარ? რა ჩაცმა მინდა, ათ წუთში ქვევით ვიქნები, კაცო, არ იტყვი რომელი ხარ, რომელი?.. შენ გადაგიშენდა თავი, რას დაგვაფეთე ამ სისხამზე, რა გინდა? კაი ხო, ჩამოვალ“.

შოთა დეისაძე ურეკავდა. სასწრაფო საქმე მაქვს და ძირს ჩამოდიო.

სანამ დავითი პირს დაიბანდა და ჩაიცვამდა, შოთა უკვე მოსულიყო და თავისი კვამლისფერი ჟიგულით ჭიშკართან ელოდებოდა.

– გამარჯობა, ხომ მშვიდობაა? – დავითმა მანქანის კარი გამოაღო, მოსასხამის კალთები აიკეცა და ჩაჯდა.

ჟიგული დაიძრა. შოთა დეისაძე პასუხს აგვიანებდა.
– სერგოს საქმე ვერ არის კარგად.
– სერგო?
– ჩვენი.
სერგო ცინცაძე საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში მომნიკელებლად მუშაობდა. ბალახვანში, აბრეშუმკომბინატთან ცხოვრობდა, ფარცხანაყანებელი ცოლი ჰყავდა, დავითი, შოთა და სერგო განუყრელი მეგობრები იყვნენ,
– რა მოუვიდა? – შოფრისკენ მთელი ტანით შემოტრიალდა დავით ისაკაძე.
– ნადიამ დამირეკა წუხელის, მიშველეთ, მემეხმარეთ, თუ მიჭირს ახლა მიჭირს მეო, რა მოგვიდათ, ბავშვი ხომ კარგადაა-მეთქი, შევეკითხე. ბავშვს რა უჭირს, სერგო მეღუპებაო. რა იყო, რა მოხდა? ცეცხლი წამეკიდა. მაგან ამ ბოლო დროს „ლევი“ ნიკელი მიიღო, და ხომ არ ჩავარდა-მეთქი, გული გამისკდა. არაფერი მაგის მსგავსი, მეცლება კაცი ხელიდანო, ავადაა? – გავუმეორე შეკითხვა, მეტი ავადმყოფობა რა იქნება – გალოთდაო. პატარა მომეშვა გულზე მარა, რომ მომიყვა ნადიამ მაგის ამბავი, გელაპარაკები, არაა კარგად საქმე, რა ცოლი მოითმენს შენ გენაცვალე, ორი თვეა თურმე ყოველდღე მთვრალი მოდის. ბევრი უჩიჩინეს ცოლმაც და შვილმაც მაგრამ არ მოიშალა, ახლა არც ერთი ხმას არ სცემს. დადის თურმე თვალებდასიებული, თუ ძაან არ შეაწუხა, პერანგს არ გამოიცვლის და ფეხს არ დაიბანსო, ნადიამ. რა ბიჭი მერე, ჩვენი სერგო, რა მოსიყვარულე, რა ტკბილი კაცი.
– რამ გადარია ნეტავი? – დავით ისაკაძეს მეტი არაფერი უთქვამს.
– ჩემთან იცოდა საღამოობით შემოვლა, ეს ერთი ხანია არ გამოჩენილა, თურმე რას გამოჩნდება, წასულა კაცი ხელიდან.
– ეშველება ვითომ რამე? – ყრუდ იკითხა დავითმა.
– რა ვიცი, თუ ვინმესას დაიჯერებს, თქვენსას დაიჯერებსო, ნადიამ. უნდა მიშველოთ რამეფრადო. თქვენი შერცხვება, ვიცი მეო.

– კი, თუ გალოთებულა მოგჭამა ჭირი, მაგას არავისი არ შერცხვება.
– ჯერ არ იქნება მთლად ხელიდან წასული, ადრეც სვამდა, მაგრამ ლოთი არასოდეს ყოფილა, ეს ორი თვის ამბავია. უნდა მოვკიდოთ მაგრად ხელი და შემოვაბრუნოთ კაცი, ხომ იცი ჩვენ მეტი პატრონი მაგას არა ჰყავს.
– თუ რამეს ვუშველით, თავს როგორ დავზოგავ, მაგრამ ეჭვი მეპარება. ჩვენსას მაგი აღარ გაიგონებს, თავისი წრე ეყოლება, ხომ იცი, ლოთებმა ერთმანეთის მოძებნა იციან.
– ჰოდა, იმათ უნდა გამოვგლიჯოთ.
– თუ მოგვყვა ხელში კი.
– ჭკვიანურად უნდა მივუდგეთ, შუაში უნდა ჩავიყენოთ, არც აქეთ მივცეთ გასაქანი და არც იქეთ. დავკარგოთ დღეში ორი საათი. არაფერი გვიშავს, სამაგიეროდ დიდ სამადლო საქმეს ვუზამთ მაგას და მის ოჯახს.
– კაი დაგემართოს, კაი საქმეა. თუ შევძელით. ხომ გახსოვს ხუთ თვეს ყავდათ შარშან მაშიკოს ბიჭი– გიგლაია ლოთების და მორფინისტების საავადმყოფოში, მარა ზედ მეხუთე თვეზე ისე დამთვრალიყო, ექიმებს და ექთნებს აივნიდან ყრიდა.
– გიგლაია სხვა ამბავია, შე კაცო, გიგლაია „იქ“ მიეჩვია სიგლახეს. მაგი მორფსაც უნდა იკეთებდეს ჩუმ-ჩუმად.
– ჩუმ-ჩუმად ხო, აბა, შენი რცხვენია.
ამ ლაპარაკში ბალახვანში აუხვიეს და სერგოს მწვანედ შეღებილ ჭიშკარს მიადგნენ.
აპრილი ახლად დაწყებული იყო, ციოდა.
– რა ვქნათ ახლა, ჩავიდე, დავუძახო; ამ რიბირაბოზე რაზე მომადექითო, არ იტყვის?
– არ უნდა დაძახება. თვითონ ჩამოვა, კი არა იმის შიში მაქვს ხომ არ გაგვასწრო-მეთქი. შვიდ საათზე გამოდისო ნადიამ სახლიდან, თუ დილით სახლთან არ დაიჭერთ, მერე ფხიზელს ვეღარ ნახავთო.
– დილიდან სვამს, დილიდან? დავღუპულვართ აბა და ეგაა.
– დილიდან რომ სვამს ისაა ლოთი, თვარა აბა ნამუშევარი კაცი საღამოს ორ-სამ ჭიქას რომ გადაკრავს, ის რა ლოთია, შე კაცო, მაგნაირი ლოთები ყველა ქე ვართ.

– დაწიე აბა მანქანა ცოტა უკან, თორემ ჩვენ რომ დაგვინახავს, შეიძლება შერცხვეს და დაგვემალოს.

შოთა დეისაძემ მანქანა უკან დასწია და კაკლის ხეს ისე მოხერხებულად მიაყენა, რომ სერგოს ჭიშკარი მშვენივრად ჩანდა, იქედან გამომსვლელი კი ეჭვსაც ვერ აიღებდა, რომ ხის ქვეშ, ჟიგულში მსხდომნი მისი სტუმრები იყვნენ.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირდათ. სერგო ცინცაძემ ჭიშკარი გააღო და აქეთ არც გამოუხედავს, პირდაპირ წერეთლის ქუჩისაკენ გაუყვა გზას, გვერდით მანქანა რომ დაუმუხრუჭეს, არც მაშინ მოუხედავს, თავის ფიქრებში იყო.

– სერგო! – კარი გააღო დავითმა.

სერგო შეჩერდა, მინებთან დაიხარა, ჯერ დავითი იცნო, მერე შოთას მოუბრუნდა.

– სად იყავით ამ სისხამზე, რა გინდათ აქ?! – ისე თბილად უთხრა სერგოს, რომ აქ იგულისხმებოდა „გამარჯობათ, როგორა ხართ, სად დამეკარგეთ, მომწყინდა უთქვენოდ, ხომ არაფერი გიჭირთო“.

შოთამ უკანა კარი გამოაღო.

– დაჯექი.

სერგო შეყოყმანდა.

– საით მიდირხართ? მე სამსახურში მაგვიანდება.

– დაჯექი, დაჯექი მიგიყვანთ!

სერგომ ერთხელ კიდევ საეჭვოდ შეათვალიერა ორივენი და ჩაჯდა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

მანქანა დაიძრა. შოთა სარკიდან გახედავდა უკანა სავარელში მობუზულს, სერგომ პირწმინდად თეთრი, გვერდზე გადავარცხნილი, ლამაზი თმები ჰქონდა. გაუპარსავი იყო და იქნებ ამის გამოც ცოტა მობერებული ჩანდა. თითქოს რაღაცას ხვდებაო, უპეებდაწითლებულ, წაქისფერ, ფართო თვალებს ხან შოთას მიაპყრობდა, ხან დავითს. დავითს მისკენ არც გამოუხედავს, ქუჩას გაჰყურებდა.

– სერგო, საქმე გვაქვს შენთან – ხვნეშით დაიწყო შოთამ, ეტყობოდა ძალიან უჭირდა საუბრის დაწყება. მეგობრებს ასეთ თემაზე არასოდეს ულაპარაკიათ.

სერგომ თავი ასწია.

– ცუდად იქცევი, სერგო, შენს თავს ვფიცავარ. არ მოგვწონხარ არც მე და არც დავითს.

– შენგან ამას ველოდით? – ვითომ წააშველა დავითმა სიტყვა, მაგრამ იგრძნო, რომ არ გამოუვიდა და კვლავ ქუჩას მიუბრუნდა.

სერგო ხაფანგში მოხვედრილივით აწრიალდა, სახელური დაატრიალა და მინა დასწია, თავი გაჰყო და ღრმად ჩაისუნთქა, შემოჰყო თავი და მინა ისევ ასწია.

– რა გჭირდა შენ გასალოთებელი, სერგო? საქმეს არ ადგიხარ, ოქრო ცოლ-შვილი არ გყავს, სახლი არა გაქვს თუ კარი? – განაგრძობდა შოთა.

– ნადიამ გითხრათ ხომ? – ყოვლისმცოდნის იერით თქვა ლოთმა – არ შემიყარა ქვეყანა? მოვკლა ეგ უპატრონო, ციხეში წავიდე მაგის გულისთვის ამ სიბერეში?!

ნადია ჩვენ არც გვინახავს, რად უნდა ნადია, შე კაცო, მთელი ქალაქი შენს გალოთებაზე ლაპარაკობს.

– ვის რას ვუშავებ? – თავი მოისაწყლა სერგომ – მაგენის ნამუშევარს ვსვამ თუ რაი? არ გამოდის! აბა იმუშავე ჩემს ადგილზე და ნახავ, თუ გამოდის, გული ხელით მიკავია; შენ გგონია, მინდა დალევა? მე ხელოსნებში მაქვს საქმე, თქვენი ხელობა სხვანაირია, თქვენ მარტო მუშაობთ. დაღლილები, გასავათებულები ვკეტავთ საამქროს; დავდოთ ხუთ-ხუთი მანეთი და გადავკრათ თითქო ჭიქაო, იტყვის ვიღაცა, რა ვთქვა მე, ნადიამ დამაბარა არ დალიო-თქვა, ვერ მოვაკლებ ცოლ-შვილს ხუთ მანეთს-თქვა, დევიხურო ქუდი და გამოვიძურწო? რას ეძახიან ხომ იცი, ამნაირ კაცს.

ისე დამაჯერებლად ჩამოაყალიბა სერგო ცინცაძემ თავისი გალოთების მიზეზები, რომ მეგობრებმა ცოტა ხანს აზრიანი ვერაფერი დაუპირისპირეს.

– რას ვსვამ, კაცმა რომ თქვას? რა დავლიე ამისთანა? ქუჩაში წავიქეცი, ქვეყნის საქილიკო გავხდი თუ რა? – ისევ სერგომ წამოიწყო – სამი-ოთხი დღე გადავაბი, ერთხელ, წაეწყო ერთმანეთს. ხომ იცი, შეგხვდება, მივედი სახლში და ცოლმა დაწყნარების და მოფერების მაგივრად სისხლი

გამომწოვა ყელიდან, გავბრაზდი და მეხუთე დღეს ჯინაზე დავლიე, კიდევ არ გამცა ხმა, მეექვსე დღესაც დავლიე... შეიძლება? მითხარი, სახლში შედიოდე დ ცოლი ხმას არ გცემდეს? ნორმალური ამბავია? მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, გამიჩერე ერთ წუთს!

– რა გინდა? – შოთამ სიჩქარეს უკლო.

– საქმე მაქვს აგერ პატარა.

– კაცო, სალობიე გვინდა ჩვენ ამ დილას? ამის გულიზა მევედით აქანა? შენ ხომ არ გადაირიე, სერგო! – შეიცხადა დავითმა.

– სადაა ლობიო, ვინ გაძალებთ ლობიოს, ჩავალ ერთ წუთას, საქმე მაქვს, გითხრათ ყველაფერი? ვალი მაქვს ამ კაცის და უნდა მივცე. ისე ნასაუზმევი არც თქვენ იქნებით ასე ადრიანად, გადმოდით და თითო ხაში შევჭამოთ.

– ჩვენ არაფერი გვინდა – სულმოუთქმელად მიაყარა შოთამ. – გადადი და ამ წუთში გამობრუნდი, თორემ შენ რომ ახლა რამე დალიო, თუ აქედან პირდაპირ მილიციაში არ წაგიყვანო და ლოთების კოლონიაში არ ამოგაყოფინო თავი, ცოლ-შვილს ვფიცავარ! – მტკიცედ გააფრთხილა დავითმა.

– რა დალევა, რისი დალევა, თქვენ ჭკუაზე აფრაკად ხომ არ ხართ? ამ დილას თუ დავლიე, ვინ გამიკეთებს ჩემს საქმეს. – აშკარად იცრუა სერგომ და მანქანის კარი გაიჯახუნა.

ჟიგულში დარჩენილებმა ერთმანეთს შეხედეს.

– დალევს, – სიჩუმე დაარღვია შოთამ.

– არ უნდა გაგვეშვა.

– ჩავიდეთ ჩვენც და დავადგეთ თავზე. პატარა ხანს ასე თუ არ ვუდარაჯეთ, მაგის გამოსწორება არ იქნება! – შოთა მართალი იყო.

სერგო დახლთან იდგა და მებუფეტეს რაღაცას უმტკიცებდა. სალობიე ნივრის სუნით გაჟღენთილიყო. ხალხს ფეხს ვერ აუქცევდი, მაგრამ გასაოცარი სიჩუმე სუფევდა. ისინი შეთქმულებივით ჩუმად ისხდნენ და ხაშს შეექცეოდნენ.

– სამი ხაში! – გასძახა სამზარეულოს ფანჯარას მებუფეტემ, როცა სერგოს დავითი და შოთა აქეთ-იქით ამოუდგნენ.

– თითო-თითოც! – მუდარის კილოთი თქვა სერგომ.

– რა ვთქვით ჩვენ! – თითი დაუქნია დავითმა.

– კაი, ბატონო, რავარც გინდათ. უხდება ამ უპატრონოს გადახუხვა, თვარა თუ არ გინდათ, ვხვრიპოთ ეს აქოთებული ნიორწყალი და ვიყოთ – ლამის ტირილით თქვა სერგომ.

დახლის ბოლოს მიდგნენ. ცხელმა ხაშმა ყელი ჩაუწმინდა და დავითი ლაპარაკის ხასიათზე დადგა.

– ამას ყოველ დილით უნდა ჭამდეს კაცი. კუჭ-ნაწლავისათვის მისწრებაა, ხაშის ფასი არაფერი არ არის.

სერგო, პირისახეზე ეტყობოდა, უგემურად ჭამდა. ხაშის სამკურნალო თვისებებზე საუბარი სრულებითაც არ აინტერესებდა, უარაყოდ რჩებოდა და ლამის გაგიჟებულიყო.

– ხაბურზანიამ მოართვა დავით ისაკაძეს! – მებუფეტემ ერთი ბოთლი არაყი ჩამოდო დახლზე.

დავითმა თავი ასწია. დუქნის კუთხიდან პაპიროსის ბოლში გახვეული ხაბურზანია ხელს უქნევდა.

– გმადლობთ, ჩემო ლერი, მარა რომ არ ვსვამთ?

– ნუ დალევთ, ბატონო, დატოვეთ. ღმერთმა წაღმა გატაროთ. მაგი მწარეა, თქვენ ტკბილად დაგაბეროთ გამჩენმა! – შაქრად დადნა ხაბურზანია და თავის მაგიდას მიუბრუნდა.

სერგო სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. ილუზიონისტის სისწრაფით მოაძრო თავი ბოთლს და სამი ჭიქა პირთამდე შეავსო.

– მხოლოდ ას-ასი, მეტი არ დავლიოთ. რაღაცა მუცელი ამატკივა ამ ხაშმა. არ რეცხავენ წესიერად, მოწამლავს კაცს, პატარა დეზინფექცია უნდა კუჭს. – იხვეწებოდა სერგო.

ცდუნება დიდი იყო. შოთამ და დავითმა ერთმანეთს გადახედეს. „მართლაც ასე პირველ დღესვე ხომ არ გამოსწორდება კაციო. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ერთ ჭიქაზე მეტს გადაკრავდა, და აქამდე რომ დავიყვანთ დღეს, ესეც საქმეაო“, თითქოს უსიტყვოდ გააგებინეს ერთმანეთს ეს აზრი მეგობრებმა და გადაკრეს.

ხატზე დავიფიცებ, მეტი არ დაულევიათ.

სერგოს სახელოსნოს რომ მიუახლოვდნენ, შოთა დეისაძე მოტრიალდა და მენიკელეს საჩვენებელი თითი ცხვირწინ გაუქნია – ხომ გესმის, ახლა სერგო, სიტყვა სიტყვაა. ჩვენ ბავშვები არ ვართ, შენი გასაჭირი ჩვენი გასაჭირია. წვეთის

დალევა და სამუდამოდ დაგვკარგავ იცოდე. რომელ საათზე ამთავრებ მუშაობას?

– ექვსზე – განწირულივით ჩაილაპარაკა სერგომ.

– ექვსზე მოგაკითხავ და ჩვენ წაგიყვანთ სახლში. დაგველოდე, ფეხი არ მოიცვალო:

– კაი, ბატონო, დაგიცდით, – ხაფანგში მომწყვდეულივით ამოღერღა სერგომ, რაკი სხვა გამოსავალი არა ჰქონდა.

ექვსი საათი რომ გაიჭიმა, შოთა და დავითი დაუგვიანებლად მოგრიალდნენ. სერგო ქუჩაში გამოსულიყო და სამ უცნობ მამაკაცთან იდგა.

ჟიგული რომ დაინახა, ხელი ასწია და გამოიქცა.

– დავით, ერთი წუთით გადმოდი.

– რა იყო? – კარი გამოაღო დავითმა.

– გადმოდი ერთ წუთას, შენც გადმოდი შოთა. კაი ბიჭებია, ჩემთან მუშაობენ. ლატარიაში მაცივარი მოიგო იმ მაღალმა გუშინწინ, ფულად გამოიტანა და მაღარიჩს კისრულობს. ვეუბნები, წვეთს არა ვსამ-თქვა და არ მიჯერებენ. გადმოდით თქვენ და დაელაპარაკეთ, ხალხი არა ხართ? უთხარით ასე და ასეა მაგის საქმე-თქვა, ფეხდაფეხ დავსდევთ, რომ არ დალიოს-თქვა.

– შენ ვერ უთხარი ეს ყველაფერი? – იკითხა შოთამ.

– რავა არ ვუთხარი, მარა სჯერათ? თქვენ უცხოები ხართ და თქვენსას უფრო გაიგონებენ.

– კარგი, შენ აქ ჩაჯექი, ჩვენ მივალთ – თქვა დავითმა და მანქანიდან გადმოვიდა.

შოთა და დავითი რომ მიუახლოვდა, სამივე „ბიჭი“ უკუდგა და მოწიწებით შეაჩერდა მოსულთ. სალამ-ქალამის შემდეგ საუბარმა დაახლოებით ასეთი მიმართულება მიიღო:

– არ შეიძლება, მაგისთვის წვეთი არ შეიძლება.

– არც ჩვენთვის შეიძლება, ბატონო. ჩვენ აქ ლოთები კი არა ვართ.

– თქვენ, ღმერთმა ჯანი მოგცეთ, ახალგაზრდები ხართ. თქვენი გული ყველაფერს გაუძლებს.

– ისე წამოვიდეს, ბატონო. გულს ნუ ჩაგვგლიჯავთ. პურმარილზე ფეხს ნუ გვიკრავთ.

– დღესაც რომ მთვრალი მივიდეს სახლში, მაგის ცოლი თავს ჩამოიხრჩობს.

– მაცივარს მოუკვდა პატრონი, ეს კაი ხალხი რომ გაგიცანით, არ უნდა აღვნიშნოთ? სერგო წამოვიდეს და ისე ტყვილად დაჯდეს, ჩვენ ჩვენი ვუთხრათ ერთმანეთს და რაც მოგვიხერხდება, ფხიზლად დავიშალოთ.

– კაი აბა, ორ-ორი ჭიქა, იცოდეთ.

– მაგდენსაც ნუ დავლევთ, ბატონო.

– საით? – გეგუთში.

– წამობრძანდით აბა.

– ჩავეტევით?

– კი, ორი წინ და ოთხი უკან.

ხუთივენი მანქანისაკენ რომ წამოვიდნენ, სერგო ცინცაძე ყველაფერს მიხვდა, სარკეში თავის სახეს მოჰკრა თვალი და გაუცინა.

იმ ღამეს გვიანობამდე სვეს. შუაღამე გადასული იყო, ერთმანეთი რომ ძლივს აიტანეს სერგოს კიბეებზე.

ყველაზე ფხიზელი შოთა ჩანდა. დერეფანში გაიხმო შეძრწუნებული ნადია, ტუჩზე თითი მიიდო და მთვრალი კაცის დანჯღრეული ჩურჩულით აუწყა:

– სსსუ, ახლა ჩხუბი არ დაუწყო. საქმე კარგადაა, დღეს მთელი დღე ჩვენთან იყო. პირობა მოგვცა, აღარ დალევს, ჩვენ, ჩვენდა თავად, ნაბიჯზე არ მოვშორდებით, საშველს არ მივცემთ. სერგოია ჩვენი ძმაა. რავა გავუჭირვებთ რამეს, სადაა გასალოთებელი ძმაკაცი. მაგენს სერგოია ცინცაძე ის ჰგონიათ შენ არხეინად იყავი, აგერ ვართ ჩვენ.

დილით სახაშესთან შოთამ თვითონ გააჩერა მანქანა, – გუშინდელ გამოყოლილებს, თუ სადმე სამართალია, თითო ჭიქა მაინც უნდა დაელიათ.

იმ საღამოს სახელოსნოს მშვიდობიანად გამოაღწიეს, მოდით ბაზარში გავიაროთ და თითო საზამთრო გავიძღვანიოთ. სახლში, რავარც წესიერი ოჯახის კაცებს გვეკადრებაო, – აიჩემა დავითმა. ბაზარში გავლა საბედისწერო აღმოჩნდა, საზამთროს, მუზიანელი მელიტონ დეისაძე, შოთას ალალი ბიძაშვილი ჰყიდდა.

– შენთან უნდა წამოვსულიყავით ახლა. რა? შენ არა სვამ, ამ ხალხმა რა დააშავა. ავადმყოფები ვართ ჩვენ ყველა, თითო

რაღაცა ყველას გვტკივა დღესო. წახვალ და თუ ქუჩაში არ გადავყარო ეს ფული და ეს ხაბურზაკი, მე არ ვიყო კაციო: რა შავქვად მინდა ან ეს წვალება და ან ეს საზამთროში აღებული ფული, ბიძაშვილებთან თუ არ დავჯდები და არ ვიჭუკჭუკებ ჩემ გემოზეო.

...გაფითრებული ნადია ეზოში შეეგება მოსულთ. სერგო და დავითი ერთმანეთს საბიჯგელებივით მიჰყუდებოდნენ და გაურკვეველ სიმღერას მონდომებით გაჰყვიროდნენ.

შოთა დეისაძემ განზე გაიხმო ნადია და, თითქოს დიდ საიდუმლოს უმხელსო, უჩურჩულა: – კარგადაა საქმე. აგერ ვართ ჩვენ. შენ ახლა ჩხუბი არ დაუწყო. ჩვენთან იყო, სხვაგან კი არ დაულევია. სხვაგან ძალიანაც რომ უნდოდეს, ველარ დალევს, ნაბიჯზე არ ვშორდებით... სერგო ცინცაძე ხელწამოსაკრავი კაცი არავის ეგონოს, ლოთებთან შენს ქმარს აღარაფერი ესაქმება. სადაა გასალოთებელი სერგოია ცინცაძე. შენ ახლა ჩხუბი არ დაუწყო, გჯეროდეს, საქმე კარგადაა, აგერ ვართ ჩვენ...

ნადიამაც დაიჯერა, რომ საქმე კარგად იყო.

* * *

ორი თვის შემდეგ გაქვავებულივით იჯდა შუშაბანდში და ორი აღელვებული ქალის ლაპარაკს ისმენდა. შოთა დეისაძეს და დავით ისაკაძის ცოლები საიდუმლოდ ჰხლებოდნენ. „შენი ჭირიმეო, შენი იმედი გვაქვსო. შენ თუ არ გვიშველე, ვიღუპებითო. როგორმე სერგო უნდა დაიყოლიო, რომ ჩვენს ქმრებს ჩამოსცილდესო. რაც ყოველდღე მაგასთან სიარული დაიწყეს, იმ დღის შემდეგ ფხიზელი არც ერთი არ გვინახავსო. შენ ქალი ხარ, შენ გაგვიგებ, ნუ ჩადგება სერგო ჩვენს ცოდვაშიო. თუ ჩვენი აქ მოსვლის ამბავი შეიტყვეს, ჯვარზე გაგვაკრავენ ორივესო“.

ნადია ხედავდა ამ ორი უმწეო ქალის მაგიდაზე საცოდავად დაყრილ ხელებს და არაფერზე არ ფიქრობდა.

ნადიას რა შეეძლო.

ამ ქალაქს თავისი რკინის კანონები ჰქონდა.

პანაშვიდი

ვალოდია შემოვიდა და გამოაცხადა:

– შვიდი საათია, ბატონო უკვე, დაიწყო ხალხმა მოსვლა! – შაოსანი ქალები ერთბაშად წამოიშალნენ და სასტუმრო ოთახში გამოლაგდნენ.

ოჯახის მამა კედლის გასწვრივ ყვავებივით ჩამომსხდართ ფეხდაფეხ გამოჰყვა. მიცვალებულისთვის არც კი შეუხედავს.

– ასე დაჯექით? ასე იქნებით? კაი ბატონო, მაგრამ შენ თამარა (ვალოდიას უფროსი ქალიშვილი) ნამეტანი კიდეში ხომ არ ზიხარ? შუაში არ უნდა იჯდე? დედაშენი არ ადგება და აღარ გასწავლის აწი, შენით უნდა მიხვდე ყველაფერს. კაცი რომ შემოვა, ერთბაშად ნუ აჟღივლდებით ყველა. სათითაოდ იტირეთ, რა ვქნათ, ასე მოხდა, – მივიდა სამივე ქალიშვილს ერთად მოხვია ხელები – დედათქვენი ოთხ დღეს კიდევ გვეყოლება სახლში, ბავშვებო, და მერე წავა თავის გზაზე.

ძაძით მოსილი შვილების ზლუქუნს ვერ გაუძლო, ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა, ერთხელ კიდევ შეავლო ჭირისუფალთა განლაგებას თვალი და ოთახის კუთხეში გაჩერდა.

პანაშვიდი დაიწყო.

კარის მეზობელი კაკო ჭოღოშვილი შემოვიდა და ვალოდიას უჩურჩულა:

– მომღერლები შემოგვიყვანო?

– მოვიდნენ უკვე?

– რა ხანია აქ არიან.

– შემოიყვანე, კაკო, თუ კაცი ხარ... შემოიყვანე და სად დასვამ შენ ახლა მაგენს.. გმადლობთ მამია, გენაცვალე... შუშაბანდში? სკამები გაუტანეთ და ადგილი გაუნთავისუფლეთ... დიდი მადლობა, ჩემო ირაკლი... თუმცა სკამები რად უნდათ, ფეხზე უნდა იდგნენ... ერთი სიტყვით მიხედე შენ მაგ ამბავს.

– ახლა დაიწყონ პირდაპირ სიმღერა? – კაკომ თვალი მოჭუტა.

– ჰო, რა ვიცი... თვითონ იციან... მადლობა კირილე, ხომ ხედავ, რა მჭირს?.. მოგროვდება პატარა ხალხი და დაიწყონ. რვა საათზე მოაწყდება მომსვლელი.

კაკომ უსიტყვოდ დაუქნია თავი და გავიდა.

ვალოდიამ ნიკაპზე მოისვა ხელი: „ახლა არ იზრდება მაინცდამაინც ეს წვერი, ეს უპატრონო“. კედელს მოშორდა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა... „სად გაქრა ეს ხალხი, ახლა არ შემოვიდნენ ამ წუთში? არა, არა რაღაც ჭირს ამ ქვეყანას, სად გარბიხარ, შე ოჯახაშენებულო, პანაშვიდზე მოხვედი, დადექი ცოტა ხანს ეზოში, დაილაპარაკე, გარბი-გამორბიან, ყველაფრის მოსწრება უნდათ, ვითომ (მკვდარს გახედა) ყველაფრის ბოლო ეს არ იყოს. ვითომ მაგენის სიკვდილს სხვა წაიღებს“.

მიცვალებულისკენ წამოვიდა, ლანგარში ჩაწყობილი წითელი მიხაკები ამოიღო და სუდარაზე გაანაწილა. უკან დაიხია და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. ეს მართლაც კარგად მოიფიქრა – შავ სუდარას მოუხდა წითელი მიხაკები.

ამასობაში ცოლ-ქმარი სინაურიძეები შემოვიდნენ და ვალოდია ხარაბაძე თავის ადგილს დაუბრუნდა, რომ სამძიმარზე მოსულთათვის ხელი დროზე ჩამოერთმია.

„ნეტავი მე ვიწვე ახლა შენს ადგილას, ჩემო ფაცია. ახლა ღალატი იქნებოდა, შე ქალო? სამოცდაათი წლის კაცს ახლა მინდა ცოლი მე, პატარა მიგველაგებინა აქაურობა და თუ წასვლა იყო, მერე ერთად წავსულიყავით, ამ ძღაბების გამთხოვებელი ვარ და ამგენის ქორწილის გადამხდელი ვარ მეე? ვითომ არ იცოდე ჩემი ამბავი, ჩაი არ დამისხამს ჩემი ხელით მისდღემჩი, რა იმედი გქონდა, შე ცხონებულო, ჩემი ამნაირი, რომ შემატოვე ეს ამხელა ოჯახი და მიდიხარ?“

ოთახი კიდევ ერთხელ მოათვალიერა, კედელზე გაკრულ ნაოჭებიან შავ ფარდას გააყოლა თვალი და მიცვალებულის სურათს შეხედა.

კარგად მოიქცა, რომ ეს სურათი გაადიდებინა, მართალია, შვილები წინააღმდეგი იყვნენ, ოცდაათი წლის წინათ გადაღებული სურათი სირცხვილიაო, მაგრამ ვალოდიამ თავისი გაიტანა და სწორადაც მოიქცა.

ეკიდოს ამ კედელზე, არაფერი უჭირს, ფაციას ცოტა ადრინდელი სურათი, ლამაზი დედა გაიხსენონ შვილებმა, თორემ სამოცდაათის და ოთხმოცის ყველა ერთმანეთს ჰგავს.

„კუბოსი რა ჰქნეს ნეტავი? დაიჟინა მაქსიმემ, თორემ მე უნდა მივსულიყავი იქაც, სადაა, ვინ გაგიკეთებს შენს გემოზე კუბოს ახლა. მე რომ ავუხსნიდი, ასე ჰქენით, ისე ჰქენით-თქვა, იქნებ უფრო მოექციათ ყურადღება, კუბოა ახლანდელი კუბო? შეჭედავენ ქაღალდის ფურცელივით თხელი ფიცრიდან, გააპრიალებენ და მოგართმევენ, სამ დღეში ჩატყდება“.

შავი სატინის ხალათი უნდა შეიკეროს, მკერდზე ფაციას შავფოჩიანი სურათი უნდა მიიბნიოს და წვერი მოუშვას.

„ეს წვერი მაინცდამაინც ახლა არ იზრდება, ეს უპატრონო... ათასი უღირსი დადის ქვეყანაზე და რაღა ფაციას დაადგი თვალი, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი“.

ვალოდიას ერთი ანეკდოტი გაახსენდა და კინაღამ გაეცინა: მღვდელი კვდება და თავის მრევლს უხმო. მთელი სოფელი მოგროვდა მომაკვდავის სარეცელთან, ავადმყოფმა მიიხედ-მოიხედა, ხელები ცად აღაპყრო და დაიყვირა: „ღმერთო! ამდენი კაცია შენთვის ურგები და მე მკლავ?! მღვდელს მკლავ მაინცდამაინც?!“

ფაციას გახედა.

„ასეთ დროს ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ყველაფერს აკვირდება კაცი, ხომ უბრალო ამბავი გგონია შენ, მარა კუბოში რა ჩავაცვათ მიცვალებულს ესეც კაი თავსამტვრევი საქმეა“.

აქ ვალოდიას სიყმაწვილის დროინდელი ერთი სასაცილო ამბავი გაახსენდა და ცოტა გაწყდა, კინაღამ გადაიხარხარა.

ეს ამბავი ამ ორმოცდაათი წლის წინათ მოხდა. მაშინ ვალოდია უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი იყო, თანაკურსელს რაჭაში ბაბუა გარდაეცვალა. დასაფლავებაზე მეგობრები თან წაჰყვნენ, ცოდვა გამხელილი სჯობს, იმდენად ბაბუას ჯავრი არ აწუხებდათ, რამდენადაც რაჭის დათვალიერება სურდათ. კუბოს რომ მიუახლოვდნენ, ვალოდიას სიცილი წასკდა. რა აცინებდა? მიცვალებულს კუბოში ფეხბურთელის ბუცები ეცვა, თურმე

სოფლის მაღაზიაში მოხუცის სარგო ფეხსაცმელი ვერ ეშოვათ და ვიღაცას ეთქვა, უფროსი შვილიშვილის (ფეხბურთელი იყო) ფეხსაცმელი ჩაეტევაო, ადგნენ თურმე და არც აცხელეს, არც აციეს, ოთხმოცდაათის ბერიკაცს ახალთახალი ბუცები ჩააცვეს და ასე სპორტულად გამოწყობილს ისტუმრებდნენ იმ ქვეყნად. სხვებს ყურადღება არ მიუქცევიათ, ვალოდიამ კი მისკენ მიშვერილ „შიპებს“ მოჰკრა თუ არა თვალი ჰომერული ხარხარი ატეხა და ამის გამო მისი თანაკურსელი სამ თვეს არ ელაპარაკებოდა.

რამ გაახსენა ახლა ეს?

სიცილი მუცლიდან დაეწყო და სადაცაა მოედებოდა, ბუცებიანი მიცვალებული ვერაფრით ვერ მოიცილა თავალთაგან. თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა და აბაზანის ოთახისკენ გაიქცა. სახეზე ცივი წყალი შეისხა, ცოტა დამშვიდდა, სარკეში ჩაიხედა, მწუხარე სახე მიიღო და თავის ადგილს დაუბრუნდა.

პანაშვიდზე მომსვლელებს ხელს ინსტინქტურად უწვდის და გაზეპირებულივით ერთსა და იმავეს ჩიფჩიფებს: „გმადლობთ, ჩემო ბატონო“, „ხომ ხედავთ, რა მიქნა ფაციამ?..“ „დავიღუპე და დავიქეცი კაცი“...

ფიქრით კი ისევ თავის ფიქრებშია. ყოველ შემომსვლელს აკვირდება და სანამ თანამგრძნობი სტუმარი ცხედარს შემოუვლის და თვალს მიეფარება, ვალოდიას ფიქრიც მიაცილებს.

„კლიმენტი მარტო წამოსულა. მართა ვეღარ დადის ალბათ. მიკვირს ამდენ ხანსაც რომ იცოცხლა. კიბო არ იქნება, თორემ კიბო ამდენ ხანს არ აცოცხლებდა. ეს ახალგაზრდა ქალი ლავროსის რძალია, ალბათ, მეორე ცოლი ითხოვა მისმა ბიჭმა (ამ ჩემებს არ დაადგათ საშველი). გერვასი არაა ეეს? როგორ დაბერებულა, რას დამსგავსებია. ეს დღე მელის მეც ნეტავი? ადამიანისშვილს თურმე ვერ გაუგებ ვერაფერს. ა, ფესტვენიძის ბიჭი, ამისგან თუ კაცი დადგებოდა, მამამისსაც არ ეგონა. ქე ჩახვდა ჭკუას! ისე გამარჯვდა და გამოიჩოკნა, სახლის აშენებასაც აპირებს თურმე“...

ხანდახან თანამეცხედრეს გახედავს და ამოიოხრებს. ვერაფრით ვერ შეურიგდა გონება. ვერ იქნა და ვერ დააკავშირა ერთმანეთს ორმოცდაათი წლის მანძილზე თანშეზრდილი ცოლი და ეს გალიგვებული ცხედარი. მის განუზომელ მწუხარებას გაბრაზების გრძნობაც ახლავს. აშკარად ნაწყენია ფაციაზე.

შუშაბანდიდან მოგუდული სიმღერა მოისმა.

ნუ, ნუ სტირი, ნუ, ნუ ჰგოდებ, დედაო,
ნუ მინამავ თვალებს საფლავზედაო,
ავადა ვაარ, თვალით ვერა გხედავო,
ქვა და ლოდი მაფარია ზედაო.

სიმღერის გაგონებაზე სასტუმრო ოთახში ზლუქუნმა იმატა, ვალოდია ხარაბაძეს კი (ძველ მომღერალს და ქუთაისში ერთ-ერთ განთქმულ პურისმჭამელს) ეკალივით უჩხვლიტა გულზე – ბანი აშკარად ურევდა.

„დამღუპა კაკოია ჭოღოშვილმა. მოვიყვანდი, როგორც სხვა შვრება ისე, მაგნიტოფონის დამკვრელს და მუსიკა უფრო მოუხდებოდა პანაშვიდს. ამგენის არეული სიმღერა მინდა მეე? გავიხედო ერთი, რა ხალხია (ვალოდიამ ლოჯის კარებში გაჰყო თავი. ოთხი ბიჭი იყო. ოცდაათზე მეტის არც ერთი არ იქნებოდა. სუვოროვის სურათის ქვეშ, კედელს აჰკვროდნენ და ცოდვას ვერ ვიტყვი, მონდომებით მღეროდნენ). აჰ, ასე როგორ შეიძლება. მომეჭრა თავი და ეს არის. ბანი განზე მიდის, ცალკე მიერეკება, ბოლოში მაღლა უნდა ადიოდეს და ეს... გამჩენძაღლი პირიქით, დაბლა ჩამოდის“.

ვალოდიამ წონასწორობა დაკარგა. ჯერ ხელების ფშვნეტას მოჰყვა, და მერე წინ და უკან სიარული დაიწყო. შეძრწუნებული სახით გაიხედავს შუშაბანდისაკენ, თავს გადააქნევს და უკან ბრუნდება.

სამძიმარზე შემოსულ მოხუც ფინაგენტს – მიხეილ ჭინჭველაშვილს ხელი ჩამოართვა და მწუხარედ, მაგრამ დაბეჯითებით ჩასძახა:

– ბანი ურევს!

– რას იზამ, ჩემო ბატონო, – ანუგეშა მიხეილმა.

– ბანი ურევს! – მრისხანედ გაუმეორა ჭირისუფალმა.

– რა ბრძანე? – ფინაგენტს შიშისაგან თაგვისფერი დაედო, ხელი გაინთავისუფლა და უკან დაიხია.

– გაგვატარე, ბატონო – ზურგსუკან მოესმა შემცბარ ჭინ-ჭველაშვილს, მხრები აიჩეჩა, ერთხელ კიდევ შიშით გახედა ვალოდიას და გასასვლელისკენ გაემართა.

ჭირისუფალმა ვიღაცას გამოწვდილი ხელი ჰაერში შეატო-ვა და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. მომღერლები მის დანახვაზე ორ-ორად დაწყვილდნენ და გარდაცვლილის თან-ამეცხედრეს შუაში ადგილი გაუნთავისუფლეს. ვალოდიამ სწრაფად აღმოაჩინა ბანის მიმცემი. ჯერ ყური მიუტანა პირ-თან და ერთხანს უსმინა, მერე მხარზე ხელი დაადო და ტუჩე-ბით მის მარჯვენა ყურს თითქმის შეეხო.

– ოოოო... – ჩასძახა ყურში და თან ხელით ანიშნა. ესაა სწორი ამ ხმაზე გადმოდიო, იღბლად მობანეს ვალოდი-ას მიცემულ ხმაზე გადმოსვლა არ გასჭირვებია (იგი სულ რაღაც ნახევარი ტონით იყო აცილებული სწორ ხმას), მაგრამ ფაციას გულდამწვარმა მეუღლემ შუა გზაზე როდი მიატოვა მომღერლები, მათ შორის კედელს აეკრა და ბოლომდე იმ-ღერა.

„ვალოდია მღერისო“ შუშაბანდი თვალის დახამხამებაში ცნობისმოყვარეებით გაივსო. მეზობლები მდუმარედ, მაგრამ თვალებში დაურვებელი ათასი ეშმაკით (რომ არ გასცინებო-დათ) შეჰყურებდნენ ახირებულ და უცნაურ ჭირისუფალს.

სიმღერა რომ ჩათავდა, ვალოდიამ, თითქოს გამოერკვაო, შერცხვენილ ბანის მთქმელს უსიტყვოდ და მრავალმნიშ-ვნელოვნად დაჰკრა მხარზე ხელი, მერე ცხვირსახოცით შუბ-ლზე ოფლი მოიწმინდა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ზარი

დასასვენებელ სახლ „კომეტაში“ შორეულ ქალაქ დათვეთი-დან ინჟინერი ჩამოვიდა. „კომეტაში“ ყველანი ერთმანეთს იც-ნობდნენ, რადგანაც წლების განმავლობაში თითქმის ერთი და იგივე მოქალაქენი ისვენებდნენ. ორმოცდაათს მიღწეულ, წარ-მოსადეგ, წითურ ინჟინერს, თან თვრამეტი წლის მოხდენილი ქალიშვილი ჩამოჰყვა. დამსვენებელთაგან მამაშვილი მალე გამოირჩა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი პირველად იყვნენ „კომეტაში“, მეორეც დათვეთისთვის დამახასიათებელი თმისა და სახის ფერის გამო, მესამეც – ეტყობოდათ, რომ ძალიან შეხმატკბილებული მამა-შვილი უნდა ყოფილიყვნენ, სულ ერ-თად დადიოდნენ ხელგადახვეულნი, ჩამოსვლის მეოთხე დღეს ინჟინერმა ზღვაში შესცურა და დაიხრჩო. ნაპირიდან სულ რაღაც ექვსიოდე მეტრზე ერთი ამოტრიალდა და სწრაფად ჩაიძირა. ქალიშვილი ამ დროს „კომეტას“ მთავარ კორპუსში წყლის დასალევად იყო წასული. დამსვენებლებმა ყველაფერი იღონეს, რაც შეეძლოთ. მშველელთა ჯგუფმა ათი წუთის შემდეგ იპოვა გვამი. გვამს ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამ-ბობ, რომ ინჟინერი უკვე მკვდარი იყო და საათიან ხელოვნურ სუნთქვას და „სასწრაფოს“ ნემსებს შედეგი არ მოჰყოლია. ამ ყოფაში რომ იყვნენ, მიცვალებულის ქალიშვილი გამოჩნდა. იგი შეგროვილთაკენ გამოიქცა. დამსვენებლები შეჩქვიფდნენ. ინჟინრის მოხდენილი ქალიშვილი პირდაპირ მათკენ მოდიოდა. ვისაც სუსტი ნერვები ჰქონდა, ვერ გაუძლო ამ სურათს და უკან დაიხია თითქოს რაღაც იაზრაო, ნიმფასავით თმაგაშლი-ლი გოგონა, ისე ენერგიულად და გაფითრებული სახით მოაბი-ჯებდა, როგორც არაბულ ან ბერძნულ ფილმებშია. გეგონებო-დათ სადაცაა ხელებს ცისკენ აღაპყრობს და საშინელ კივილს ამოუშვებსო. „ჯერ, ასე უცებ ნუ ეტყვით, ელდა არ ეცეს!“ მოიფიქრა ვიღაცამ. სანამ უბედური კაცის პირმშო წრეს გაარ-ღვევდა, ერთმა მსუქანმა ქალმა ხელი სტაცა, განზე გაიყვანა და გულმოდგინედ აუხსნა – „არ შეგეშინდეს, მამაშენი ცოტა

შეუძლოდ გახდა. ნემსს უკეთებენ და მალე კარგად იქნებაო“, – რამე სერიოზული ხომ არ არის? ხომ არ მიმალავთ? – ტირილი გაერია ქალიშვილს ხმაში. – არა, სერიოზული არაფერიაო – დაამშვიდეს.

სანამ ცხედარს სასწრაფოთი წაასვენებდნენ, ქალიშვილი ვიღაც ღვთიან-მადლიანმა „ჟიგულით“ წაიყვანა, ფსიქოლოგიურად მოამზადეს, დაამშვიდეს და როცა პროზექტურის კარებს მიაყენეს განსვენებული ინჟინერი, ქალიშვილმა ერთი კი შეჰკივლა, მაგრამ თავი ღირსეულად დაიჭირა და ლოყების ხოკვას ან კედელზე თავის ხათქუნს არ შედგომია.

მეორე დღეს, დილით დათვეთისაკენ გააფრინეს თუნუქის სახელდახელო კუბოში ჩასვენებული ინჟინერი. ცხედრის გადასვენების ხარჯი (ბილეთი ჩვეულებრივზე ორჯერ ძვირი ღირს) დასასვენებელი სახლის – „კომეტას“ დირექციამ გაიღო.

უბედურმა შემთხვევამ დამსვენებლებს გუნება გაუფუჭა. გაუგონარი კი არაფერი მომხდარა, ზღვა იმიტომაა ზღვა, რომ ათასში ერთხელ კაცსაც ახრჩობს, მაგრამ მაინც საშინელებაა იმის გაფიქრება, რომ შორეულ ქალაქიდან დასასვენებლად, როგორც გაზეთები იტყვიან, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ჩამოვიდა კაცი და ყველაფერი ერთბაშად დაკარგა.

საექიმო ექსპერტიზის დასკვნას მე ვინ წამაკითხებდა. ზოგი ამბობდა, ნაინფარქტარი ყოფილა და გული გაუსკდაო, ზოგი ამტკიცებდა სასულეში გადაცდენია წყალი, სული ვერ მოუთქვამს და გაგუდულაო. ამას მნიშვნელობა მხოლოდ ცოცხლებისთვის აქვს. კაცი მკვდარია – მორჩა და გათავდა.

მეორე დღეს, როგორც მოგახსენეთ, ცხედარი გაასვენეს, მესამე დღეს დილით კი გაუგონარი ამბავი მოხდა: „კომეტას“ სასადილოში გარდაცვლილის ქალიშვილი გამოჩნდა. მშვიდად (თითქოს არაფერი მომხდარიყო) გაიარა მან დამსვენებელთა მაგიდებს შუა, ნაცნობებს მიესალმა, თავისი სკამი გამოსწია და დაჯდომისთანავე მენიუ აიღო ხელში, რომ სადილის შეკვეთა მიეცა. „კომეტაში“ ასეთი წესი იყო (მე მგონი სხვაგანაც ასეა), საუზმეზე უნდა აღგენიშნა მენიუში, თუ რას მიირთმევდი სადილად, არჩევანი რასაკვირველია, მდიდარი არ იყო, მაგრამ კატლეტსა და შნიცელს შორის შეგეძლო თავისუფლად გეჯირითა.

ახალშემოსულმა მენიუს საქმე მოაგვარა, ჩაი დაისხა, პურის ნაჭერს თავისი წილი კარაქი წაუსვა და ჭამას შეუდგა.

მთელი სასადილო მას შეჰყურებდა. დამსვენებელთა მდუმარე, განცვიფრებულ სახეებზე ათასი რამის ამოკითხვა შეიძლებოდა.

როგორც ჩანს, ინჟინერი იმ დღესვე დაასაფლავეს, ქალიშვილმა კი დრო არ დაკარგა, დაჯდა მატარებელზე და მეორე დილით უკვე აქ იყო. საგზური ოცდაოთდღიანი გახლდათ. მამის დამკარგავს წინ დასვენების მთელი ჩვიდმეტი შინაარსიანი დღე ელოდა.

* * *

ზიგფრიდ არველაძე (ქალაქში ზიპრიტიას სახელით ცნობილი) „კომეტაში“ შემთხვევით მოხვდა. ჭაჭებმა შეაწუხა და საირმის საგზური ითხოვა, მაგრამ ხოხბეთის მეიხვეობის საბჭოთა მეურნეობას ამ წელს ხელმძღვანელობამ საირმის საგზური ვერ გამოუყო. რაკი საირმის საგზურით ვერ „აკმაყოფილებდნენ (იმ ადგილკომის ხელმძღვანელთა ტერმინი გახლავთ), კომისიამ პირი მთლად არ შეირცხვინა და „კომეტის“ საგზური „გამოუყო“ (ესეც იქაური ტერმინია). „იყოს მაშინ, არ მინდა არც ერთი, გულ-სისხლ-ძარღვებს არ ვუჩივი მეო“, ამტკიცებდა ზიგფრიდი. „წადი, წადი, მამაჩემსა აქვს ცხონება, ესეც არ დაკარგო, „კომეტას“ გულისთვის ხალხი თავს იკლავს. ერთხელ ვინც წავიდა, აღარ მეშვება „კომეტას“ გარდა აღარაფერი უნდათო“, აუხსნა ადგილკომის თავმჯდომარემ და დაიყოლია.

ხუთი დღეა ჩამოვიდა ზიგფრიდი და თვალი გაქცევისკენ უჭირავს. ვერ შეეგუა. ვერ ისვენებს. ოთახში ვიღაც მშვილდოსან მეირმესთან შეასახლეს. მეირმეს წვრილი თვალები აქვს და სმით გახეხილი ყელი, საიდანაც უსიამოვნო, ჩახლეჩილი ხმა ამოდის. ჩამოუჯდება ზიგფრიდს საწოლზე და ღამის სამ საათამდე შესჩივის – „ცოლი მღალატობსო. მე რომ ირმებს დავსდევ, საყვარელი მოჰყავსო სახლში. დარწმუნებული ვარ ახლა ამ წუთში, იმ უნამუსოს, ჩემს ლოგინში თავისი კურო უწევსო. შევცდი, არ უნდა წამოვსულიყავიო. მე როცა შინ

ვარ, ჩემი მეუღლე ასეთ რამეებს ვერ ბედავსო“. ზიგფრიდი, რაც გაეწყობა, ამშვიდებს, „იქნებ გეჩვენება, იქნებ მთლად ასე არ არისო“, მაგრამ რა შეუძლია ზიგფრიდს, რა ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მან სვეგამწარებულ მეირმეს, რომელიც რაკი თავის ბედთან ვერაფერს აწყობს, ნაღვლის გასაქარვებლად ყოველდღე სვამს და უწმაწურ სიტყვებს აბოდებს. მეიხვეობის წარმომადგენელმა მალე აუღო ალღო თავის თანამეოთახეს. თითქმის აღარ ელაპარაკება. ოთახში, ამ ბოლო დროს, მაშინ შეიპარება, მეირმეს რომ დაძინებულს დაიგულებს, მაგრამ მის უგუნებობას ვერც ეს შველის. ზიგფრიდი მარტოა. არავის არ იცნობს, საქმე არაფერი აქვს, სადილისა და ვახშმის მოლოდინში „კომეტას“ ირგვლივ დააბიჯებს. ზღვა ხშირად ღელავს და დამფრთხალი მშველელი რუპორს წამდაუწუმ ჩაჰყვირის – „ბანაობა სასტიკად აკრძალულიაო“. დრო ჩვეულებრივზე უფრო ნელა გადის.

ინჟინრის დაღუპვამ და მისი მოხდენილი ქალიშვილის საქციელმა ხომ სულ გააოგნა ზიგფრიდი. ადგილს ვერ პოულობს. წამდაუწუმ თითებს ატკაცუნებს და სანატორიუმის თეთრი შენობის ირგვლივ სწრაფად დააბიჯებს. თავის თავს ელაპარაკება, ხელებს შლის, თითქოს სურს აბეზარ ფიქრებს გაექცესო, თავს გადააქნევს და შემოტრიალდება, მაგრამ ამაოდ. უამური ფიქრი ქინქლასავით ახვევია და ვერ იცილებს. ზიგფრიდი საშუალო ტანისაა. უპეებჩამობერილი, ნაღვლიანი თვალები და თოხივით კბილები აქვს. ვერტიკალურად დაშვებულ ფართო შუბლს ხუჭუჭა ქოჩორი კარგა ხანია აღარ უფარავს. თმამ ეს ერთი ხანია უკან გადაიწია და მოპრიალებული ნახევარი თავი მზეს შეატოვა. ზიგფრიდი როცა იცინის, ისე აბრიალებს თვალებს და აელვარებს თეთრი სიმინდის მარცვლებივით უზარმაზარ კბილებს, რომ საქმეში ჩაუხედავი იფიქრებს, ეს კაცი კი არ იცინის, ვიღაცას აშინებსო. თერძივით მოკლე და მსუქანი ხელები აქვს. ცალი ხელი (მორიგეობით მარჯვენა ან მარცხენა) ყოველთვის ფართო ქამარზე უდევს, ცალ ხელს რომ ქამარზე ასვენებს, სამაგიეროდ, მეორეს ისე ჩქარა და თანაბრად ამოძრავებს, გეგონება ცელს იქნევსო. ლოკოკინას ნიჟარებივით პატარა და დახვეული ყურები აქვს. მიზეზს რომ ჰკითხავენ, პასუხი მზადა აქვს, ბავშვობაში სამ-

ბოს ვსწავლობდი და ყურები დამამტვრიესო. სინამდვილეში სამბოს სექციაზე ზიგფრიდს არასოდეს უვლია, დაბადებით ასეთი ყურები დაჰყვა, ფეხის ტერფები ოდნავ შეტრიალებული აქვს, ამიტომაც გან-განზე დადის. დაახლოებით ჩარლი ჩაპლინის სასაცილო კაცუნას მსგავსად, ოღონდ გაცილებით უფრო ნელა.

ზიგფრიდს გული გაუსკდება ახლა რომ ვინმეს არ დაელაპარაკოს. შინაარსიანი სადილის შემდეგ კვიპაროსების ხეივანში ბამბუკის გრძელ სკამზე მთვლემარე კაცს გვერდით დაუჯდა და ყურადღება რომ მიექცია, ჩაახველა. მთვლემარემ თავი ასწია, ზიგფრიდს უოცნებო, ზღვისფერი თვალები მიაპყრო და ისევ კარგად დაწყებულ თვლემას უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მეიხვემ არ დაანება.

– ჭრელია ქვეყანა! - აჯახა ზიგფრიდმა და მთვლემარე კაცის რეაქციას დაელოდა.

– მე მითხარით რამე? – უხალისოდ ჰკითხა მასპინძელმა და აშკარად შეეტყო, მარტო ყოფნა ერჩია.

– ნახე, კაცო, რა მოხდა?

– სად? – დაინტერესდა დამსვენებელი, ფეხი ფეხს შეუნაცვლა და კოტიტა თითები ერთმანეთში ისეთი ძალით შეხლართა, რომ უცბად განთავისუფლება, გაუჭირდებოდა.

– ინჟინრის ამბავზე ვამბობ.

– რომელი ინჟინრის?

– რომ დაიხრჩო.

– კიდევ დაიხრჩო ვინმე, კაცო? – გამოცოცხლდა კოტიტა თითებიანი.

– არა, იმაზე ვამბობ.

– ახალი სხვა არაფერი გაგიგია?

– არ იცი შენ? – ზიგფრიდი გაიზმორა და ისეთი სახე მიიღო, ახალი ამბის მთქმელმა რომ იცის ხოლმე, სენსაციის შეტყობის სიამოვნება რომ გაგიხანგრძლივოს. – ამ დილით იმ ინჟინრის ქალიშვილი ჩამოვიდა.

– რა მინდაო?

– არაფერი არ უნდა, დასასვენებლად ჩამოვიდა.

– კაი, თუ ღმერთი გწამს.

– დედის სული არ წამიწყდეს.

– ასე უცებ დაასაფლავეს? თვითმფრინავიდან ხომ არ ჩამოაგდეს ნეტავი, ის საწყალი, სასაფლაოზე?

– ეგ კი არ მიკვირს, მე. ამ გოგოს საქციელი მაგიჟებს.

– რომელი გოგოს?

– რომელიც ჩამოვიდა.

– სად ჩამოვიდა?

ზიგფრიდი მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ მას ახლა სხვა გამოსავალი არ გააჩნდა. ჰაერივით სჭირდებოდა მოსაუბრე.

– ინჟინრის გოგომ გუშინ მამა დამარხა და დღეს დასასვენებლად ჩამოვიდა.

– ეგ არაფერი, კაცი არ უნდა დამხრჩვალიყო, თორემ დასვენება, რა ვუყოთ, შე კაცო. ცოტა ინერვიულა ეს დღეები? ადამიანია და უნდა დაისვენოს.

– მერე?! – ყბა აუკანკალდა ზიგფრიდს – მაინცდამაინც იქ უნდა ჩამოსულიყო, სადაც გუშინ მამამისი დაიხრჩო? მე ხომ კაცი ვარ და მე ვერ შევიდოდი კაი ხანს ზღვაში, მამაჩემი რომ აქ დამხრჩვალიყო.

– იქნებ პირიქითაა, მამამისის ხსოვნას სცემს პატივს და უნდა კარგად დაიმახსოვროს ეს ადგილი.

– რა ადგილი?

– სადაც ინჟინერი დაიხრჩო.

– ზღაპარს ნუ ჰყვები, თუ ძმა ხარ. შენ არ გინახავს როგორ ცეკვავდა წუხელ ბარში.

– კარგად ცეკვავდა? – დაინტერესდა დამსვენებელი.

– მალაყებზე გადადიოდა. კარგად ცეკვავდა თუ უბედურად, რას გაუგებ ამგენის ცეკვას. იმანჭებოდა, იგრიხებოდა, გული ამერია, მივატოვე ორი ბოთლი შამპანური და გამოვიქეცი.

– შენ, მარტო შეხვედი?

– სად?

– ბარში.

– ჰო, მარტო შევედი. შეიძლება ვინმე ნაცნობი გამოჩნდესმეთქი და ადგილი დავიკავე. აქანა ასეთი წესი ყოფილა, თუ ერთი-ორი ბოთლი შამპანური მაინც არ იყიდე, სკამზე არ დაგსვამენ.

– მერე?

– რა მერე. გული ამერია-მეთქი. ამისთვის ვწვალობთ, ამისთვის ვზრდით შვილებს, კაცო?

– რომელ შვილებს?

– ჩვენ – ჩვენ შვილებს, ნუთუ ერთი ფიორი ხათრი, სიყვარული, პატივისცემა არ ჰქონოდა მამამისის, აქ როგორ ჩამოვიდა, ამ ადგილას. აქოთებული კატლეტის და ბორშჩის საჭმელად. სხვაგან წავიდოდი სადმე.

– აძლევდნენ სხვაგან საგზურს და არ წავიდა? იმათთან სხვანაირადაა საქმე. იმათ ზღვის საგზური პრემიასავით ეძლევათ. ასე ადვილი საშოვარი კი არ არის.

– რავა, ჩვენთან ადვილია თუ?

– ყოველ შემთხვევაში, ჩვენ „კომეტაში“ დასვენებისთვის თავს არ მოვიკლავთ, წელს არ იქნება, გაისად მოგვცემენ.

– რომ გაივლიდნენ, ერთ ნახვად ღირდა. მეხარბებოდა პირდაპირ. აი, ტკბილი მამა-შვილი-მეთქი გულში ვამბობდი. ისე ეხუტებოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს.

– შეიძლება ასეც იყო. იქნებ მართლა ძალიან უყვარდა ამ გოგოს მამამისი.

– უყვარდა და მეორე დღესვე მიწაში ჩატენა, ხოლო მესამე დღეს სატანცაოდ და დროის გასატარებლად ჩამოვიდა? რაღაცა არ ეწყობა ერთმანეთს, არ გამოდის, ამნაირი სიყვარული არ არსებობს.

– მე გეტყვი აბა შენ, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში და მათ შორის ევროპისა და ამერიკის მაღალკულტურულ ქვეყნებში დილის 9 საათზე რომ მოკვდება კაცი, 12 საათზე უკვე გასვენებულია. დამკრძალავი ბიურო მოდის და ასვენებს. შეიძლება კარის მეზობელმაც კი ვერაფერი გაიგოს. კულტურული ხალხია. ჩემი მწუხარება სხვას რატომ უნდა მოვახვიო თავზეო.

– კაი, სხვას არა, მაგრამ მეტი არ უღირთ ადამიანი, კაცო? დაიბნა ზიგფრიდი – ერთ-ორ დღეს არ უნდა გააჩერო შენი მკვდარი სახლში? რა დაგიშავა ასეთი. ეგება ქე ცოცხლდება. არ მომხდარა თუ?

– მეტი არ იქნა ჩემი მტერი, მკვდარი არ გაცოცხლდეს. რად გინდა გვამს – გაყინულს, გაციებულს, სამ დღეში სუნი რომ მიეცემა, იმნაირს რომ უყურო. გულის ხეთქვის მეტი რა ყრია ამაში.

- რა და სიყვარული ყრია. აბა რავა გინდა. პატარა უნდა შეგაწუხოს ახლობლის სიკვდილმა.

– მიაბარე მიწა მიწას და მერე ითავცემე რამდენიც გინდა.

– გაცივდა ხალხი. ამ ქალაქმა არია ყველაფერი. აღარ უნდა... აღარც მამა უნდა ახლა კაცს და აღარც დედა.

– არაა მთლად ეგრე, შენ გგონია ყველაზე მეტად ჩვენ გვიყვარს დედ-მამა?

– რაში ჩანს თუ უყვართ?

– შენ გგონია, ვინც ერთ წელიწადს რადიოს და ტელევიზორს არ ჩართავს, კინოს არ უყურებს და გაზეთს არ წაიკითხავს, ნამდვილი მგლოვიარე ის არის!

– აბა მეორე დღესვე ტანცი უნდა ვქნათ, რავარც ინჟინრის გოგო შვრება?

– არც ეგაა კარგი, მაგრამ არ შეიძლება დარდს გადაყვე ადამიანი. შენს თავს უნდა მოერიო. ის გოგო, როგორც ჩანს, მოერია.

– რას?

– თავის თავს.

– როგორც ჩანს, არც ნამეტანი „თავის მორევა“ ვარგა, თავმორეული კაცი მამამისის სიკვდილის მეორე დღეს ცეკვას იწყებს?

– მე თუ მკითხავ, იქნებ არც იყოს საჭირო ისეთი გადარევა, ჩვენ რომ ვიცით ახლობლის სიკვდილზე. დღეს ის წავიდა, ხვალ ჩვენ წავალთ. ერთი დღით გვიან წახვალ თუ ერთი დღით ადრე, რა დიდი მნიშვნელობა აქვს. საბოლოოდ ხომ ყველანი სიკვდილის შვილები ვარ.

– რა იოლად ამბობ, შე კაი კაცო, კაცი მიდის ამ ქვეყნიდან. ადამიანი, რომელსაც ელაპარაკებოდი, ხელს ჰკიდებდი, ეფერებოდი, რომელსაც შენზე ამაგი აქვს, ან შენა გაქვს ამაგი იმაზე – სამუდამოდ გშორდება, აღარასოდეს მობრუნდება, ველარასოდეს იხილავ ცოცხალს. ეს პატარა საქმეა?

– ყველანი მივდივართ.

– ეგ პასუხი არ არის. მკვდარი კი ვერაფერს გავიგებ, მარა ცეცხლი წაკიდებია ახლავე ყველას და ყველაფერს, რასაც ჩემი სახელი ჰქვია, თუ ჩემი შვილი ჩემს კუბოსთან არ დადგება და მეორე დღესვე დამივიწყებს. მე ისინი ტროლეიბუსში კი არ გამიცვნია. მე შევქმენი, სიცოცხლე მივეცი და გავზარდე. დიახაც რომ მოვითხოვ ცრემლებს მათგან.

– აფრიკაში ერთი ტომია.

– სად?

– აფრიკაში, კაცი რომ მოკვდება, ტაშ-ფანდურას მართავენ. მთელი ღამე როკავენ და სიხარულის ყიჟინით იქაურობას აყრუებენ. რა უხარიათ? განთავისუფლდა კაცი საამქვეყნო ტანჯვისგანო. ეტყობა იმდენი დაიმსახურა, რომ ღმერთმა ზეცაში წაიყვანაო. იგი ახლა ჩვენზე ბედნიერიაო.

– ველურების ამბავი გაქვს, იმანო? მასე, შე კაი კაცო, სწორედ იმ შენს აფრიკაში ველურები ადამიანის ხორცსაც კარგად გეახლებიან.

– მე ახლა სიკვდილზე ვამბობ, ღრმად რომ დაფიქრდე კაცი, სიკვდილის შეფასებაში, შეიძლება ის ველურები გვჯობდნენ.

– შენ თვითონ ღმერთმა გაშოროს იმ ინჟინრის ბედი, მაგრამ ის გოგო რომ შენი ქალიშვილი იყოს, ისურვებდი?

დამსვენებელი გაჩუმდა.

– იმისათვის გამოვიარეთ ადამიანის სიყვარულის, სწავლის ასი საუკუნე, რომ ველურების მაგალითზე გველაპარაკნა და პაპუასების მაიმუნობა სამაგალითოდ გაგვეხადა ერთმანეთისთვის? შე კაცო, ერთმანეთის სიყვარულია, რასაც უნდა ჩავებღაუჭოთ, რაც გადაგვარჩენს, მშობლიური გრძნობა გამოაკელი ადამიანს და ნახავ რა დაგრჩება. იცი, რას იზამს ინჟინრის გოგოსთანა ფეხებზემკიდია და დროჭამია ადამიანი? იცი რას იზამს? მტრისას. ვაი ჩვენ მაშინ, თუ იქითკენ მიდის კაცობრიობა, ვაი ჩვენ მაშინ...

ზიგფრიდი პასუხს არ დაელოდა. თავის გულში მას უკვე ყველაფერი გარკვეული ჰქონდა და უცნობთან კამათი ნერვების აშლის მეტს არაფერს უქადდა. წამოდგა და ზედა ფიჭვების ტყეს მომდგარ, უშველებელ, სავსე ზღვისკენ წავიდა.

* * *

ამ ამბის შემდეგ არ გასულა ხუთი თვე და ზიგფრიდს მამა გარდაეცვალა.

სამოცდაათსგადაცილებული კაცი იყო. უავადმყოფოდ, ჩიტივით მიიცვალა, დილით საწოლში მკვდარი იპოვეს.

დეკემბრის სუსხიანი ხუთშაბათი იდგა.

გასვენების დღეს ზიგფრიდის ეზოში ტევა აღარ იყო. შაოსანი ქალები კუბოს ირგვლივ შემოსხდომოდნენ და მორიგეობით მოთქვამდნენ. ზიგფრიდი და მისი ძმები (და ერთი-ორი ახლო ნათესავი) მარცხნივ, კედელთან ჩამწკრივებულიყვნენ ხელდაჭდეულნი. სამძიმარზე მოსულთ ქვითინით ართმევდნენ ხელს და ჭირის გაზიარებისთვის მადლობას უხდიდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ასაფლავებდნენ მამაპაპურად, ყოველგვარი წეს-ადათის დაცვით.

ზიგფრიდს პირი გაუშრა. ჩამოწყდა ფეხზე. საშინლად მოსწყურდა. საათს დახედა, ექვსი სრულდებოდა, „ზუსტად ექვსზე არ გაასვენებენ, იქნებ პირის გასველება მოვასწროვო“ – გაიფიქრა და ქუჩაში გამოვიდა, იქვე, მესამე სახლის პირველ სართულზე სასადილო იყო.

მიცვალებულის გამოსვენების დრო რომ დადგა, ზიგფრიდი მოიძიეს, კუბოს შვილებმა უნდა მოკიდონ პირველად ხელიო, ვიღაცამ თქვა: ახლახან სასადილოში შედიოდაო. ორი კაცი გაიქცა. შევარდნენ სასადილოში და თვალს არ დაუჯერეს, ზიგფრიდს ქარვისფერი ბლის კომპოტით სავსე ჭიქა ეჭირა და დინჯად მიირთმევდა.

– ზიპრიტია, მამაშენს წუთი-წუთზე გამოასვენებენ და შენ აქანა, კომპოტს წრუპავ, შე კაცო?

– ამ წუთას, – უპასუხა ზიგფრიდმა, მაგრამ ჭიქა მაშინვე კი არ დადგა, კომპოტი ბოლომდე დალია, ქაღალდის ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა და წინ წასულთ გამოუდგა.

– მომეჭრა თავი, რაღა ახლა ავიტეხე კომპოტის დალევაო, – ფიქრობდა ზიგფრიდი და მამამისის კუბოსკენ გზას მიიკვლევდა.

ზიგფრიდს ცხოვრებაში პირველად შერცხვა საკუთარი თავისა.

სპირიდონი

როგორც მინდოდა, ისე მოეწყო საქმე, მანქანა ქვევით, გზის პირას გავაჩერე (იმ აღმართზე მისი ამყვანი არ ვიყავი) და ჭიშკარს მივადექი თუ არა, სპირიდონის ხმაც შემომესმა.

სანამ ვუპასუხებდი, მიმოვიხედე, ხმა ნამდვილად მისი იყო. ამ ხმას რა დამავიწყებდა, ბოხი, ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ გასაოცრად ძლიერი, ხაფი ხმა ჰქონდა სპირიდონს. ვერაფრით ვერ გავიგე, საიდან მეძახდა.

– მოიწი აქეთ! – ყურის ძირში ჩამესმა უცებ.

მივბრუნდი, ბიძია სპირიდონი ღობეს მოსდგომოდა, ლეღვის ფოთლებში თავი გამოეყო. შუბლი ხაკისფერი ხილაბანდით წაეკრა და საბავშვო ჟურნალებში ერთ დროს გამოცანა-სურათებს რომ ხატავდნენ (უნდა მოგეძებნა – ხეზე სად იჯდა მონადირე, რომელ ტოტზე იმალებოდნენ ციყვი, ჩხართვი, სინდიოფალა და ფარშავანგი), დაახლოებით იმას ჰგავდა მთელი ეს სურათი.

– თამაზი ვარ მე, სპირიდონ ბიძია, ვაშაკიძე, სოსოს ძმაკაცი.

შემეშინდა, ვაითუ ვერ მიცნოს-მეთქი, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი. შარშან, სოსოს დღეობა თბილისში გადაუხადა. თვითონ გვითამადა და ამ ხნის კაცმა ისე დაგვათრო ბიჭები, ერთმანეთს ძლივს ვცნობდით.

ხელებით ფოთლები გასწია, აიწია და გადმოხტა, ჩემთან მოირბინა, გადამეხვია, ხელი არ გაუშვია, ღობესთან მიმარბენინა, მოფარებულში მორზე დამსვა და თითქოს გულის გაგლეჯას აპირებსო, პერანგის ღილები გაყარ-გამოყარა.

– გლახა ამბავია, ხომ?

– არაფერი ისეთი, სპირიდონ ბიძია, დამშვიდდით.

უეცრად მის შიშველ ფეხებს დავაჩერდი. ეტყობა ფეხშიშველა თოხნიდა, შარვალი მუხლებამდე აეკაპიწა და მუხლებთან გრძელი ნიფხვის თეთრი თასმები ეკიდა. არასოდეს მინახავს

ასეთი დიდი, თითქოს უფორმო, უხეში ფეხები. ზოოპარკში ნანახი ბებერი არწივის ჭვანგები მომაგონდა. შავი მიწა წვივებამდე მოსდებოდა. ტერფამდე ჩამოყოლებული, გაბერილი ლურჯი ძარღვი ფეხის ზურგზე შავ მტვერში ისე იტოტებოდა, გეგონებოდათ, ფეხზე ტყავის თასმებით შეკრული ფეხსაცმელი აცვიაო, ძველეგვიპტელი მხატვრების ნახატებში რომ მინახავს, ისეთი. ახლა, ჩემ წინ რომ იდგა, სპირიდონის ფეხები თითქოს ამ მიწიდან იყო ამონაყარი, მისი ფერი ჰქონდა და ნახტომისათვის შეკუმშული თითები ბებერ ფესვებს უგავდა.

– ცოცხალია? – ჩამძახა მასპინძელმა და ოდა სახლისკენ გაიხედა. თითქოს იქედან უფრო საინტერესო და ახალ ამბავს ელოდა.

– კი, – თავი დავუქნიე და შემრცხვა, რომ ამდენ ხანს მისი ფეხების თვალიერებით გავერთე და ჩამოსვლის მიზეზი ვერ ავუხსენი.

წელში გავიმართე და ხახაგამშრალ მასპინძელს წვრილად ვუამბე ყველაფერი. რაც შემეძლო, ვალამაზებდი საქმეს და ჩემი დამამშვიდებელი კომენტარებით მსურდა სპირიდონის თვალებში დანთებული ცეცხლი გამენელებინა. მალე შევატყვე, რომ მასპინძელს ჩემი აზრები ნაკლებად აინტერესებდა.

– შენ ეს მითხარი, – გამაჩერა, – ოჯახში ატყდა ჩხუბი?

– არა, ქუჩაში.

ამ კითხვას არ ველოდი. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ოჯახში იჩხუბეს, თუ ქუჩაში, მაგრამ შევატყვე, რომ ჩემმა პასუხმა ცოტა დაამშვიდა.

– როდის მოხდა ეს ამბავი?

– წუხელის.

– სხვა ხომ არავინაა დაჭერილი?

– არა.

– მაგრადაა ნაცემი?

– „მსუბუქი“ ჩაუწერიათ. მე არ ვიცი, არ მინახავს, მაგრამ წინა ორი კბილი აქვსო ჩამოღებული.

– კი მარა, არავინ გამოჩნდა, ე ჩემიც რომ ეჟეჟა ხეირიანად? ვერ დაესიეთ ყველა და ვერ გაუხადეთ სიგრძე სიგანედ?

გაჩუმება ვარჩიე.

– არ ვარგიხართ, არა. გითხარით მე იმ ღამეს, მარა არ შეუშვით ყურში არც ერთმა. არაფერი თქვენი არ უქნია ღმერთს. კაცმა ოჯახში მიგიღოთ, დაგპატიჟათ, გაქეიფათ, გასვათ, გაჭამათ, გამოხვედით და კბილები ჩამოუღეთ ერთმანეთს? რა კაი ამხანაგები ყოფილხართ? ასე უნდა, აპა არა!

– სოსოს ბრალი არ იყო ის არ მოეშვა, შენაო, სუფრაზე „შპილკებს“ მესროდიო.

– რას მესროდიო?

– „შპილკებს“.

– რა „შპილკებს“?

– დამცინოდიო, ერთი სიტყვით.

– ჰო, ვიცი მე... ასე იქნებოდა, ამ ჩემს ვირს ჰგონია, ყველასთან შეიძლება ხუმრობა და ღლაბუცი. იჯექი შენთვის. დამიწყებდა გლახა მამალივით ფაფხურს იქანა და არ მოეწონა ალბათ, იმ კაცს. კიდევ კარგი, სუფრაზე რომ არ დაუშვა ბოთლი თავში და ოჯახი რომ არ შეარცხვინეთ, კაცს სუფრა რომ არ ჩააშხამეთ!

კარგა ხანს ილაპარაკა სპირიდონ ბიძიამ ჩვენს სიგლახეზე. არ იქნებოდა სუფრა წესრიგში, თორემ „შპილკების“ სასროლად სად ეცალა ჩემ გადარეულსო. არ იცით არაფერიო. თამადა არ გივარგოდათ ალბათ, ან საერთოდ გყავდათ თუ არა თამადა, ღმერთმა იცის ისიცო. არაფრის სწავლა თქვენ არ გინდათო. თქვენხელა რომ ვიყავით, ქვეყნის საქმეს გვენდობოდა მთავრობაო, ბავშვებივით საპატრონო ხართ ეს ამხელა კაცებიო. მეოთხე კურსიდან ქე დაანებეს ილიამ და ვაჟამ უმაღლესს თავი და სახალხო ბრძოლის ბედი შეიდგეს მხრებზეო (აქ მთლად მართალი არ იყო, მაგრამ არ ჩავერიე). უეცრად შეჩერდა, მომიბრუნდა და მკითხა.

– მე რა ვქნა ახლა?

– უნდა წამობრძანდეთ თბილისში. იმ ბიჭის მშობლებთან უნდა მიხვიდეთ. ხომ იცით, დაზარალებული როგორც იტყვის, მილიციაც ისე იმოქმედებს. ამ დილით მივედით სამი ბიჭი, სოსოს კურსელები, მაგრამ არ მიგვიღო მამამისმა – უფროსი თუ ჰყავს და პატრონი თუ ჰყავს ვინმე, ის მოვიდესო.

– სწორია ის კაცი. პატრონიც მაგისნაირი ხვადაგი იქნებაო, ფიქრობს ალბათ. არა, ბიძია, მე იქ წამომსვლელი არ ვარ!

– გაასამართლებენ და მერე გვიან იქნება! – ჩავილაპარაკე და ცერად გავხედე.

სპირიდონ ბიძიას სახე გათეთრებოდა. შავ წვერზე ნერვიულად ისვამდა ხელს.

– რა ვუყო ახლა. გაასამართლებენ და გაასამართლონ.

– გარიცხავენ! როგორი მოსაწყობია მერე თავიდან კაცი ჩვენს ფაკულტეტზე, ხომ იცით თქვენ?

– გარიცხონ, ყველა კი არაა საკაცოდ გაჩენილი, მე ვერ დამემდურება: მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავუკეთე, აწი თავის თავს დააბრალოს.

– როგორ გეკადრებათ, სპირიდონ ბიძია, შვილია თქვენი. რა ვუყოთ, პატარა მარცხი მოუვიდა. მისი ბრალი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო...

– რა მარცხი, ბიჭო, პატარა მარცხია ეეს?! მე მაგის გულისათვის აქ მიწაში მივძვრები, ა, ჩემი ხელები, რავარია დღე და ღამე გასწორებული მაქვს, პერანგს ვიხდი და მაგას ვუგზავნი, არ გყავს შვილი, ბიძია, და არ იცი, გეყოლება და გაიგებ. აწი აქეთ ვარ მოსავლელი და საპატრონო. ახლა მილიციას ვსდიო მე? ამ ხნის მოვიყარე და მილიციის კარები არ ვიცი. შვიდი გაგვზარდა მამაჩემმა. მაგის მეათედი ხელშეწყობა არ გვქონია არც ერთს. ვერ წამოვალ, მორჩა და გათავდა! რაც იქნება, იქნება!

– შვილია თქვენი, – ხმა ჩამიწყდა და ესღა ვთქვი, იქნებ მშობლიურმა გრძნობამ მაინც მოაბრუნოს-მეთქი.

– უბედური და ქვეყნის შემაწუხებელი არც შვილი მინდა და არც ძირი!

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ვიფიქრე, ამ ცხელ გულზე კამათის გაგრძელება არ ღირს, დაფიქრდება და თვითონ მიხვდება, რომ წამოსვლა აუცილებელია-მეთქი, არც შევმცდარვარ.

– შემოდი, ბიძია, ეზოში, შენ რას გერჩი, გავმწარდი კაცი თვარა, შენთან საჩხუბარი რა მაქვს, მადლობის მეტი რა მეთქმის. – ჭიშკარი გააღო და ხელით დაიჭირა, თან შესაგებებლად გამოქცეულ ქათმებს აუქშია, – ხომ არავინ გინახავს? – შიშით გაიხედა სახლისკენ.

– არა, იმ წუთის ამოსული ვიყავი. თქვენს გარდა როგორ ვეტყოდი ვინმეს.

– ქალებს არაფერი აგრძნობინო, თუ კაცი ხარ. მაგენის ვაი-ვიშის თავი არა მაქვს, ტყვილად ინერვიულებენ და მოხმარებითაც ვერაფერს მოგვეხმარებიან. რას ეტყვი, რაზე ჩამოვედი-თქვა, თავი კი აღარ მუშაობს, ეს ოხერი?

– მოვიფიქრებ რამეს, ყამირზე გვგზავნიან ზაფხულში და სოსოს გასანთავისუფლებლად დეკანს მამამისთან მოლაპარაკება უნდა-თქვა, ასე ვიტყვი.

– ოო, მაგი მშვენიერია, – გაეცინა, – რაკი დედისერთაა ვითომ, მე შევეღმერთები დეკანს, ზაფხულში უმაგისოდ მოსავალს ვერ მოვიყვანთ-თქვა. ასე აჯობებს, კი!

* * *

იმ ღამეს სუფრაზე ჩამომეძინა, არ ვიცი, ვინ გამხადა და ვინ ჩამაწვინა ლოგინში. დილაუთენია გამომეღვიძა და პირველად იატაკს მოვავლე თვალი, ხომ არ შევრცხვი კაცი-მეთქი. კიდევ კარგი, ამჯერად, ღვინო დედის რძესავით შემრგებოდა, ცოტა თავი მტკიოდა და ყურებში შუილს ვგრძნობდი. ფეხსაცმელებში ფეხი წავყავი და ნიფხავ-პერანგისამარა გამოვედი აივანზე, საგარეოდ გამოწყობილი სპირიდონი ბოძს მიყრდნობია და მელოდება.

– ადექი? ხომ არ გაწყინა, ბიძიკო ღვინომ? გულზე წვა იცის, მეტი არაფერი, ჩვენებური ღვინო ცოტა მჟავე დგება, სხვამხრივ წამალია.

ქათმის ბულიონმა და გუშინდელმა კუჭმაჭმა გამომაკეთა. ქვევით რომ ჩამოვედით და მანქანის კარს გასაღები მოვარგე, სპირიდონის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

– შენია მანქანა?

– არა, სპირიდონ ბიძია, ვინათხოვრე, ბიძაშვილმა მათხოვა.

ეჭვიანად შემომხედა. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ჩაჯდა.

სანამ ადგილიდან დავძრავდი, ყოველ შემთხვევისათვის მკითხა:

– იცი წაყვანა?

– ნუ გეშინიათ, თბილისამდე მშვიდობით ჩაგიყვანთ.

– მე რაის მეშინია, ბიძია, მე შიში და ამისთანაობა კაი ხანია გავათავე. ახლა თქვენ უნდა გეშინოდეთ. ერთ წამისაა კაცი. ხომ ხედავ, რავა წააგო ჩემმა სულელმა თავი.

– ღმერთმა მაგაზე დიდი გასაჭირი ნუ შეგვამთხვიოს, ხდება, რას ვიზამთ, აი, ნახავთ, ჩახვალთ თქვენ, მოელაპარაკებით და ყველაფერი რიგზე იქნება.

– ჯერ ერთი, ეგება არც მიმიშვას იმ ხალხმა სალაპარაკოდ და მეორეც, წუხელი გითხარი, იმისი არ იყოს, ჩემო თამაზ, თუ გლახა საქმე აქვს ჩადენილი, ჩემი იმედი ნუ გექნებათ. მე თავს ვერ გევიბითურებ, შეიძლება იქით დავამატებინო, ბინძურ საქმეზე ღრეჯვას ვერავის დავუწყებ.

– რაა ბინძური, ბატონო, ახალგაზრდობაში არ გიჩხუბიათ?

სპირიდონი გაჩუმდა, მანქანა ტინის ხიდს ქვემოთ ფონს მივაყენე.

– ხიდზე ვერ გაიყვან? – მითხრა.

– რომელ ხიდზე?

ნიკაპით მანიშნა.

– ამ ხიდზე რა გაიყვანს მანქანას?

– კი, ბიძია, თავისუფლად გადის. აქეთობას წყალში გამოხვედი?

– დიახ?

– არა, შენ არ მომიკვდე. ეს ჩვენი წყალი არაა სანდო. ასი წლის მაინც იქნება ეს ხიდი. ამან არც რემონტი იცის და არაფერი. მუხის მორებითაა გაჭედილი. მართალია, საურმე ხიდი ჰქვია, მაგრამ მანქანები თავისუფლად გადადიან, მიდი თამამად, არ შეგეშინდეს.

მანქანა მოვატრიალე და სანამ ხიდს გავლევდი, ჩემი დამემართა.

ერთხანს ვილაპარაკეთ, მერე სპირიდონს ჩასთვლიმა და მეც აღარ შევაწუხე. შორაპანს გამოვცდით და სანამ სურამის უღელტეხილი დაიწყებოდა, სამოცდაოთხზე დაბლა არ ჩამოვსულვარ. გზა თავისუფალი იყო და მივერეკებოდი.

ხანდახან გავხედავდი და ვფიქრობდი: „ამისთანა მამებია, ყველაფერს რომ იტანენ. მამაჩემს რომ ჩემი დაჭერის ამბავი

გაეგო, ხელი აუკანკალდებოდა, ენა ჩაუვარდებოდა და წნევა აუწევდა. თვითონ გახდებოდა მოსავლელი, რა ოსტატურად ითამაშა წუხელის, ამ ხნის კაცმა, გახარებული მამის როლი! სიმღერით და ცეკვით სიქა ამოგვართვა. ან რა ენერგია აქვთ, როგორ უძლებენ. კარგა ბლომად დავლიეთ და არაფერი ეტყობოდა. მე კი ისე გავსავათდი, რომ ნიკაპის ჩამოსადებად მაგიდაზე ადგილი ვერ ვიპოვე. გუშინ ამბავში ჩემთვის ახალი ის იყო, რომ სპირიდონი, ცოტა არ იყოს, გულქვა კაცად მეჩვენა. ერთი პირობა უარიც მითხრა წამოსვლაზე. ამას ჩემს გულში ვერასოდეს ვაპატიებ. როგორ? შვილს უჭირდეს და შენ რაღაცა ბავშვური სიამაყის თუ პატივმოყვარეობის გულისთვის უარს ამბობდე შველაზე? რა მოასვენებდა, რა დააძინებდა ახლა რომ არ წამოსულიყო? არა, ეტყობა, რაღაც პირველყოფილი, ველური, მკაცრი ჯერ კიდევაა შემორჩენილი სოფლელთა მშობლიურ გრძნობაში. ქალაქელები ამ მხრივ უფრო მგრძნობიარენი არიან“. – მერე ოთარაანთ ქვრივი გამახსენდა და ჩემი ეს უკანასკნელი ფილოსოფიური დასკვნა ყირაზე დადგა. ამასობაში შროშის ბოლო აღმართზე წყაროს მივადექით და კაცობრიობისათვის ამ უსარგებლო ფიქრებისაგან თავი გავინთავისუფლე.

ამ ადგილს მანეთიან ბაზარს ვეძახი. ფულზე გაწუწკებული ბავშვები მანქანაში გაჩრიან ჭყინტ სიმინდს, ლეღვს, ახალ კაკალს, მჟავე კიტრს, ცხელ მჭადებს, ჭყინტ ყველს. აქ ყველაფერი მანეთი ღირს, ისე აქვთ ჯამებზე გაზომილ-განაწილებული და ისე ენერგიულად გაჰყვირიან „მანეთი, ბიძია, მანეთიო“, რომ შევაჭრებას ვერ გაბედავ, და კიდეც რომ შეევაჭრო კაპიკს არ დაგიკლებენ. მე შენ გეტყვი, ვერ ასაღებენ. რაღაც სერიოზული უნდა ჭირდეს შოფერს. ამ ადგილს რომ არ გააჩეროს და, სხვა თუ არაფერი, მჟავე კიტრით მაინც არ გაისველოს პირი.

მანქანა გზიდან გადავაყენე. სპირიდონს ტკბილად ეძინა და აღარ გავაღვიძე. ვაჭრობით გული რომ ვიჯერე და ლობიანი ჭადით დატვირთული მოვბრუნდი, სპირიდონი მანქანაში აღარ დამხვდა, მწვანე ტოტებით დაწნულ კალათიან ორ ბავშვს წინ დასდგომოდა და რაღაცას ხმამაღლა უხსნიდა. მოკამათეთა ირგვლივ სწრაფად ჩნდებოდა ცნობისმოყვარე მგზავრთა რკა-

ლი. მივედი, სოკოს გამყიდველები და-ძმა უნდა ყოფილიყვნენ, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ბიჭი თოთხმეტ წლამდე იქნებოდა, გოგონა უმცროსი ჩანდა. ბიჭს წინ წამოწეული შუბლი და გამოკვეთილი, მამაკაცური ყბები ჰქონდა, ლარივით სწორ მხრებზე საწვიმარი ლაბადა შემოეჭირა და ჯიბეში ხელჩაყოფილი გულმოსული შეჰყურებდა სპირიდონს. გოგონა დიდრონ ცისფერ თვალებს აბრიალებდა, ხელით თავის ქერა, ღონიერ ნაწნავს ათამაშებდა და გაკაპასებული ლაპარაკობდა.

– დამიჯერეთ, ბიძია, მე თქვენი ინტერესი კი არ მაქვს. მესმის ეს საქმე და იმიტომ გეუბნებით, – მერამდენედ იმეორებდა სპირიდონი.

სოკოს გამყიდველებს გაგონებაც არ სურდათ.

– რა ღირს სოკო? – იკითხა ხანშიშესულმა შარვლიანმა ქალმა, რომელიც უბოდიშოდ შეექცეოდა მჟავე კიტრს და ჭამის დროს კიტრის წვენისაგან პერანგის მოსარიდებლად წინ სასაცილოდ იხრებოდა.

– ეს დიდი კალათა ხუთი მანეთია, დეიდა, ეს (პატარაზე ანიშნა) სამი.

– არ იყიდო, ქალბატონო, შხამიანი სოკოა, მოგწამლავს. – არ დააყოვნა სპირიდონმა.

და-ძმამ მოსისხლე მტერივით შეხედა, არამკითხე მგზავრს.

შარვლიანი ქალი, ეტყობა, სპირიდონის ამ სიტყვების გარეშეც არ აპირებდა სოკოს ყიდვას, მას, უბრალოდ, ფასის გაგება სურდა.

– რა არი, ბიძია, შხამიანი? ესაა შხამიანი? – ტირილი გაერია ხმაში გოგონას.

– დამიჯერე, ბიძიკო, – თავისას არ იშლიდა სპირიდონი –ქამა სოკოს ასეთი ყვითელი ზურგი არა აქვს. შენ კი არა, შენზე უფროსებსაც ბევრს ეშლება. თქვენ ეს სოკო, გაიხსენეთ აბა, ხის ქვეშ კი არ მოგიკრეფიათ, მშრალ ადგილზე, ჭონჭყოზე აკრიფეთ. ჭონჭყოზე უფრო ხშირად ამ ოხერმა იცის მოსვლა. ხომ ხედავთ, ძირი რომა აქვს მოშავებული, ქამა სოკოს ძირი არ უშავდება.

– არ არი შხამიანი, შხამიან სოკოს მოვიტანდით აქანა? – პოზიციას არ თმობდა გოგონა.

ბიჭი ჩუმად იყო. მას, ეტყობა, რაღაცაში ეჭვი ეპარებოდა.

სპირიდონის მზერა რომ დავიჭირე, მაჯის საათზე თითი დავიკაკუნე, ვანიშნე, – გვაგვიანდება-მეთქი. ხელი ჩაიქნია და ჩემკენ წამოვიდა, მაგრამ შუაგზა არც კი ჰქონდა გამოვლილი, რომ შებრუნდა და სოკოთი მოვაჭრე და-ძმას რაღაც უთხრა. ბავშვები მორჩილად გამოჰყვნენ მანქანისაკენ, სპირიდონმა გაზეთები გაშალა, ორი კალათა სოკო მანქანის საბარგულში გადააპირქვავა, სოკოს გამყიდველებს ფული მისცა და თან დაადევნა: – შხამიან სოკოს ვყიდულობ, იცოდეთ, და თქვენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვა, მეორეჯერ ამნაირი სოკო არ გაყიდოთ, ბიძია, თვარა თავს დაიღუპავთ.

ხელის დაცლით გახარებული და-ძმა უკანმოუხედავად გარბოდა თავდაღმართზე.

– რად გინდოდა სოკო, სპირიდონ ბიძია, ვინაა მაგის გამკეთებელი? – ვკითხე ჩემს უცნაურ თანამგზავრს.

– ახლავე გაიგებ, – ეშმაკურად მოჭუტა თვალები, – ერთი ქვევით რომ ჩავალთ, ძირულას პირას გამიჩერე.

გავუჩერე.

მანქანიდან გადმოვიდა, საბარგული გააღო, სოკო გულმოდგინედ ამოკრიფა და თავის გაზეთიანა გადაუძახა ხრამში.

მერე ხელი გაიფერთხა, გვერდით მომიჯდა და სანამ მანქანას დავძრავდი, ღიმილით მითხრა:

– შხამიანი სოკოა. შეშლიათ ბავშვებს, ვასწავლე, მაგრამ ჩემი არ გაიგონეს. არადა ამდენი მტკიცების დროც არ იყო. იყიდდა ვიღაცა და მოიწამლებოდა. ასე არ სჯობია? მართალია, რვა მანეთი გადავაგდე, მარა ვიღაცას ხიფათი ავაცილე, ვიღაც გადავარჩინე, საქმე არაა ეეს?

– აგაშენა ღმერთმა.

მივდივარ და ჩემს თავს ვეუბნები: „ეჰ, ჩემო თამაზ, რამდენი რამ არ იცი, რამდენი გეშლება ჯერ კიდევ. შენ გულქვაობაც კი დასწამე. კაცის გასაჭირში მიმტოვებელია სპირიდონი? ხომ ხედავ რა გააკეთა. ზის ახლა და თვლემს, მისთვის ეს არაფერია. შეიძლება არც კი გაახსენდეს“.

ხაშურს რომ გამოვცდით, გაწვიმდა.

მწვრთნელი

ონისიმე ლეკვს წვრთნიდა.

გადააგდებდა ონისიმე ჯოხს, დაოთხილი გაიქცეოდა, პირს დაავლებდა, მოარბენინებდა, და მთქნარებისაგან ყბაატკივებულ ლეკვს წინა ფეხებთან დაუგდებდა. ლეკვი იდგა და თავისი ლეკვური თვალებით შესცქეროდა, როგორ გადააგდებდა ონისიმე ჯოხს, მერე როგორ გაიქცეოდა დაოთხილი, რათა პირი დაევლო და მოერბენინებინა.

ონისიმე დაიღალა.

ერთხელ კიდევ გადააგდო ჯოხი, ერთხელ კიდევ გაიქცა და, რადგან ოთხზე დგომა ვეღარ შეძლო, ხოხვით მოუტანა თავის ერთადერთ მოწაფეს.

მოწაფე კი სრულიად ჩვეულებრივი ლეკვი იყო და ვერაფრით ვერ გაეგო, რომ მას წვრთნიდნენ, რათა გადაგდებული ჯოხის მოტანა ესწავლებინათ. ლეკვს უკვირდა კიდეც; რა საჭირო იყო ჯოხის გადაგდება, თუ ისევ უკან უნდა მოეტანა.

ონისიმემ ერთხელ კიდევ მოისროლა ჯოხი და მუდარით სავსე თვალებით ლეკვს შეხედა. ონისიმე ნანობდა, რომ ლეკვის გაწვრთნა დაუგვიანდა. იგი ფიქრობდა, რომ მისი ლეკვი სალეკვო ასაკს მალე გადაცდებოდა და მერე და მერე უფრო გაძნელდებოდა მისთვის გადაგდებული ჯოხის მოტანის რთული ილეთების სწავლება; მაგრამ მოხდა საოცრება: ლეკვი ჯოხისკენ გაიქცა, პირი დაავლო, ორფეხზე შეიმართა, ტაატით მოუტანა სიხარულისგან ენაჩავარდნილ პატრონს და ფეხებთან დაუგდო.

მხოლოდ ძაღლების ღმერთს ეცოდინებოდა, რატომ ჩაიდინა მისმა უმრწემესმა ლეკვმა ყოველივე ეს. ნუთუ საბოლოოდ გატეხა მისი ნებისყოფა წვრთნის ენერგიულმა გაკვეთილებმა? მაგრამ თვალსაჩინოების აქტს ონისიმე ხომ ოთხზე მდგარი ასრულებდა; ლეკვმა რატომღა დააგდო თავისი მამაპაპური წესი და მისთვის საკმაოდ უხერხული – ორფეხზე სიარული არჩია?

ფიქრის დრო არ იყო. ონისიმემ სწრაფად გაიკრა ჯიბეზე ხელი და ლეკვს წახალისების ნიშნად შაქრის ნატეხი გაუწოდა.

ლეკვმა შაქრის ნატეხს პირი არ ახლო.

გაწბილებულმა ონისიმემ გაიფიქრა, ლეკვს შაქარი ეცოტავაო, და წვრთნისათვის წამოღებული შაქრის მთელი მარაგი გადმოიპირქვავა ხელისგულზე.

ლეკვმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ონისიმემ ჯოხი ცხვირთან მიუტანა ლეკვს, – მიდიო, უთხრა და გადააგდო.

ლეკვმა კვლავ წინანდებური ერთგულებით მოარბენინა ჯოხი.

ონისიმემ ისევ გაუწოდა შაქრის ნატეხი.

ლეკვმა ისევ არ ახლო პირი.

ონისიმემ რამდენჯერმე გადააგდო ჯოხი და რამდენჯერმე შესთავაზა ნიჭიერ ლეკვს ქრთამად შაქრის ნატეხები.

ლეკვმა იმდენჯერვე მთელი სერიოზულობით მოურბენინა ჯოხი და იმდენჯერვე უარი თქვა შაქარზე.

ლეკვს რომ ადამიანური ლაპარაკი შეძლებოდა, მოურიდებლად ეტყოდა თავის პატრონს:

– განა შაქარშია საქმე, ონისიმე ბატონო?

თავისი წვრთნის შედეგებით აღფრთოვანებულმა ონისიმემ დაუძახა ცოლ-შვილს, მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს. პატრონი წამდაუწუმ ისროდა ჯოხს. ლეკვს უკვე აღარ სჭირდებოდა დამამცირებელი „მიდი“. მიდიოდა და ცირკის ძაღლივით ორფეხზე შემდგარი, კუდის რხევით მოარბენინებდა ნერწყვით დამბალ ჯოხს.

ონისიმემ წვრთნა დაამთავრა და ჯოხი გადააგდო.

ლეკვმა, რა თქმა უნდა, მოურბენინა.

ცოლ-შვილს, მეზობლებს, მეგობრებს და ნათესავებს მოსწყინდათ და წავიდ-წამოვიდნენ თავიანთი მეზობლური, მეგობრული და ნათესაური საქმეების მოსაწესრიგებლად.

ონისიმემ ლეკვს კატეგორიულად განუცხადა, დღეს ამით დავამთავროთო და ჯოხი შორს გადააგდო.

ლეკვმა მაშინვე მოურბენინა.

ონისიმემ მამაშვილურად სთხოვა ლეკვს; კარგი ბიჭი ხარ, ოქრო ხარ, მაგრამ ახლა რომ ჯოხს გადავაგდებ, ნუღარ მომიტანო.

ლეკვმა თავი კი დაუქნია, მაგრამ ჯოხი მაშინვე უკან დაუბრუნა.

ონისიმე გაბრაზდა და ძალიან შორს გადააგდო ჯოხი.

ლეკვი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გაიქცა და ძალიან შორს გადაგდებული ჯოხი თვალის დახამხამებაში ფეხებთან დაუდო სიბრაზისგან აკანკალებულ პატრონს.

...ზის ახლა ჯირკზე ონისიმე, თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლი, კბილებში თავისი დამღუპველი სასწავლო ჯოხი უჭირავს და ენერგიულად ღრღნის ისედაც მოფამფალებული კბილებით.

ნადირობა

– სვამ?

– არა, შენ?

– არც ერთ წვეთს...

მიაბიჯებენ ისინი ნაცნობებით სავსე ქუჩაზე. მიაბიჯებენ მოწყენილი სახეებით, იცქირებიან ოდნავ მაღლა და პირდაპირ. ერთმანეთს იმაში ჰგვანან, რომ დაბერილ თვალთა უპეებში ორივეს კეთილი ღიმილი უკრთის, ნიკოს უშველებელ კაშნეს შიგნით მოუჩანს თეთრი პერანგის გაცვეთილი საყელო. კოტეს – გულმოდგინედ დაჭმუჭვნილი პიჯაკის გულისჯიბიდან გაურკვეველი ფერის ცხვირსახოცი. საუბრობენ რბილი, ხავერდოვანი, ოდნავ ხრინწიანი, მაგრამ ვაჟკაცური ბარიტონით, ნაცნობებს სიყვარულით უღიმიან და გულისამაჩუყებელ სალამს აძლევენ, მაგრამ როდი უჩერდებიან. მიდიან მძიმე და გრძელი ნაბიჯებით, ერთხელაც არ გაიხედავენ მაღაზიების კოპწია ვიტრინებისაკენ. იცქირებიან წინ და ოდნავ მაღლა და ამიტომაც საუბრის დროს ერთმანეთს არ უყურებენ.

– დაინახე? – ყოველთვის კოტე იწყებს.

– ვერა.

– ლიზამ ჩაგვიარა.

– რა მნიშვნელობა აქვს, – თავს არ აბრუნებს ნიკო, მაგრამ ხმაში ეტყობა, რომ მისთვის სულერთი არ არის, ვინ ჩაიარა.

– ალბათ დგას და გვიცდის, მივბრუნდეთ?

– არა.

– დაბერებულა.

– ჰოო?

მიდიან ჩუმად, გრძელი საქმიანი ნაბიჯებით. ორივეს დამამშვიდებელი ბუნებრიობის ელფერს აძლევს უკან, კისერში ჩასული თმა და მოშვებული მხრები. კოტეს ეჩვენება, რომ

ირგვლივ არანორმალურად ჩქარა და გულმოდგინედ დადიან. დადიან სერიოზული ფუსფუსით საოცრად წვრილმან საქმეებზე. და ამ ზრუნვით დამუხტული ადამიანების ფონზე უფრო თვალშისაცემი ხდება ორი მეგობრის ძალდაუტანებელი, მშვიდი მანერები.

– გული რას გიშვება? – სიჩუმის ეშინია კოტეს.

– მუშაობს.

– „სტუკს“ არ გაძლევს ხანდახან?

– რა მნიშვნელობა აქვს.

– არ უნდა დალიო.

– ვიცი.

– არაფერი არ უნდა დალიო.

ნიკო ერთბაშად გაჩერდა და გველნაკბენივით შემოტრიალდა.

– წუხელის... ვწევარ ფხიზელი ბუღალტერივით, რამ უნდა დაგაძინოს, მითხარი. საათი ხომ მუშაობს, მითხარი. ცოლს ხომ სძინავს, მითხარი ქვეყანა ხომ ტრიალებს, მითხარი. ჩემმა ქვისლმა მეზობელს უჩივლა სარეცხის თოკს მპარავსო... რამ უნდა დაგაძინოს, მითხარი. წამოვჯექი, ათასნაირად ამუშავდა ტვინი. ყველაფერი აგერ მოვიდა; კისერში მომაწვა, გულში დამიწყო ფათური და ვიფიქრე ვიგუდები-მეთქი. ასე ჩუმად არ გავგიჟდე-მეთქი და ვიყვირე, სხვა რა უნდა მექნა, მითხარი? – ამ სიტყვებს ნიკო ხმის კანკალით ამბობს, ახველებს და სამ თითში მოქცეული დალეული სიგარეტი ტუჩებისკენ მიაქვს.

– ხომ იყვირე? – კარგა ხნის შემდეგ ეკითხება კოტე.

– კი.

– კარგი გიქნია.

– ჩემი ცოლი მეუბნება ამ დილით, მიდი და რუბენას ეჩხუბეო.

რუბენას რა ველაპარაკო, მითხარი? ძვლებს მიწონისო. მე საკატლეტე ხორცს ვეუბნები და ის საბორშეს მაძლევსო, რა გაცინებს, მითხარი. მივსულიყავი რუბენასთან და მეთქვა: რუბენ, ეს ქალი ჩემი ცოლია, თუ კაცი ხარ, ძვლებს ნუ დაუწონი-მეთქი? მივსულიყავი, მითხარი?

– დალევ რამეს? – თითქოსდა ნებისყოფის შესამოწმებლად ეკითხება კოტე.

– არა, შენ?

– არც ერთ წვეთს...

მოსახვევიდან დაგუდული ღიღინი ისმის. ტროტუარზე ამოდის მთვრალი მოქალაქე და პირდაპირ მოირწევა. იგი კისერგაშეშებული ათვალიერებს გამვლელებს და უნდა ყველას გააგონოს გაუგებარი სიტყვები სიმღერისა, რომელსაც უაღრესი მონდომებით გაჰყვირის. იგი როდი მღერის, იგი ყურში ჩასძახის ყველას, ვისაც ავადმყოფურად ფხიზელი სახეებით და სუფთად გაპარსული ყბებით მიეჩქარება თავის წვრილმან საქმეებზე.

მეგობრები შეჩერდნენ. ისინი დიდხანს დაკვირვებით აჩერდებიან მთვრალს და თავებს აქნევენ.

– ვინ არის? – ისე კითხულობს ნიკო, თითქოსდა ბოდიშს იხდის, რომ ამ ქუჩაზე მისთვის უცნობმა მთვრალმა გაიარა.

– ეშმაკმა იცის.

– მთვრალია – დაასკვნა კოტემ.

– არ არის ახლა ის საცემი? – მითხარი! – თითქოს მთვრალს პირველად ხედავსო, გაიკვირვა ნიკომ.

– მთვრალია, – შორიდან, მშვიდად მიუგო კოტემ.

– რამ გააგიჟა, მითხარი? – არ ისვენებს ნიკო.

– მთვრალია...

– თუ არ შეუძლია, ვინ აძალებს, მითხარი.

– მთვრალია. – მსოფლიოს ყველა მთვრალი კაცისადმი არაჩვეულებრივი მოწიწების და თანაგრძნობის იერით ამბობს კოტე.

– დავეწიოთ და სახლში მივიყვანოთ, ცოდოა, – მოლბა ნიკო.

– ტაქსის ფული გაქვს?

ნიკომ ჯიბე მოიქექა.

– მაქვს.

და ისინი მიდიან.

* * *

ეს იყო წინა პარასკევს. მთვრალი მოქალაქე, რომელიც ნიკომ და კოტემ სახლამდე მიაცილეს (და ამით ვინ იცის, რა ხიფათს ააცილეს. იდეალურ შემთხვევაში მას გამოსაფხიზლებელში მოხვედრა მაინც ელოდა), აღმოჩნდა ლომბარდის თანამშრომელი, ბესარიონ თელია. ბესარიონი მთელ ქალაქში განთქმული მონადირე იყო და, თუმც იმ საღამოს ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც მოახერხა კვირა დილით ნიკოსა და კოტეს დაპატიჟება კურდღელზე სანადიროდ. დილის ხუთ საათზე ჩემთან იყავით, არ მომატყუოთ, სინდისს გაფიცებთო, დაანამუსა მეგობრები ბესარიონმა. შინ რომ ბრუნდებოდნენ, ნიკოს თოფის და კურდღლის ხსენებაზე ეცინებოდა, მაგრამ კოტემ, როგორც იქნა დაიყოლია, მაინც არ ვსვამთ, რა უნდა ვაკეთოთ, მოდი წავიდეთ, ერთხელ მაინც ვნახოთ ნადირობა, ფიცში ჩასაყოლებლად მაინც გვექნებაო.

1976 წლის 11 სექტემბერი იდგა. ოდნავ შეთენებულზე ბესარიონ თელია მეგობრებს ჭიშკართან შეეგება. „ვაჟკაცები თქვენ ყოფილხართ, არ მეგონა თუ მოხვიდოდითო, შეაქო დამწყები მონადირენი, თითო თოფი ხელში შეაჩეჩა, ზურგჩანთა მოირგო, გრძელყურება ბებერი პოინტერი მოკლე საბელით დაიჭირა და სადგურის გზას დაადგა.

– მატარებლით მივდივართ? – ისე გაიოცა ნიკომ, თითქოს მონადირეთათვის ტრანსპორტის სახეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

– კიე. თხუთმეტ წუთში გადის ახლა ფოთი. აჯამეთამდე ჩავყვებით და იქიდან ფეხით წავალთ. წუხელის პატარა წამოწვიმა და დაყრიდა მწყერს, კურდღელიც არის. სხვათა შორის, წინა კვირას წამოაგდო ამან, მაგრამ ახლოს მისდევდა ძაღლი და არ ვესროლე, შენ მასე მოდიხარ? – ნაბიჯის შეუნელებლად ჰკითხა ბესარიონმა კოტეს.

– ჰო, რავა რა უჭირს?

კოტეს საგარეოდ ეცვა – შავი დაჭმუჭვნილი პიჯაკი და ფირმა „სხვის“ მიერ გამოშვებული უშველებელი ჰალსტუხი.

– არაფერი, მარა ჩაგეცვა უფრო ხალვათად, სანადიროდ გალსტუკით წასვლა გამიგონია?

– გალსტუკს მაგი ლოგინშიც არ იცილებს, – ჩაიქილიკა ნიკომ, თუმცა არც მის ჩაცმულობაში იყო რაიმე სპორტული და მონადირული.

ტილოს თეთრი ტუფლები ეცვა, ჭრელი ფართხუნა შარვალი და პარუსინის თეთრი პიჯაკი, თავზე ჩაჩი არ ეხურა, თორემ სხვამხრივ ზუსტად ისე ეცვა, ორმოცდაათიან წლებში კლოუნები რომ იცვამდნენ. ხელში სანოვაგის ჩანთა ეჭირა, ეტყობოდა, ჩანთა მძიმე იყო, რადგანაც ნიკოს იგი სიარულის დროს ხელიდან ხელში გადაჰქონდა.

მატარებელმა მონადირენი აჯამეთის ბაქანს შეატოვა, ბესარიონმა ძაღლი აუშვა. თოფი ყოველ შემთხვევისათვის ბუდიდან ამოიღო და არხის სანაპიროს ჩაუყვა. გაღმა ნასიმინდარში უნდა გავიდეთ, თვარა აქეთ არაფერი არ არის, ყველა მოხალისე აქედანვე იწყებს თოფის ბათქუნსო. ყურშა ერთი ორჯერ გაშლიგინ-გამოშლიგინდა ნაყანევში, მაგრამ პატრონმა შეუძახა „უკანო“ და მორჩილად მიჰყვა ბესარიონს იმ იმედით, რომ სარბენი და საქიჩმაჩო დღეს საკმაოდ ექნებოდა.

კოტე და ნიკო ასე ჩქარ სიარულს არ იყვნენ მიჩვეულნი. სირბილით მიჰყვებოდნენ განთქმულ მონადირეს. მერე სუნთქვა რომ აუჩქარდათ და მუხლებში დაღლა იგრძნეს, ერთიმეორეს თვალი უყვეს და ჩვეულებრივი ნაბიჯით მიუყვებოდნენ გზაწვრილს. ამაოდ ემუდარებოდა ბესარიონი, გამოადგით ფეხიო.

– კაი ახლა, ბესარიონ ბატონო, იმ ერთი კურდღლის და ხუთი მწყერის გულიზა ნუ დაგვხოცავ დღეს, რაც შეგვიძლია მოგყვებით – დააწია კოტემ.

ბესარიონი წინ გაიჭრებოდა, მაგრამ კოლეგებს ხომ ვერ მიატოვებდა და მოსახვევთან კბილების კრაჭუნით უცდიდა ჩამორჩენილებს.

– რა გაცინებს? რა გიკვირს, შე კაი კაცო. როდის იყო, რო დავრბოდით, ამას რომ თავი დავანებოთ, ბავშვები კი აღარ

ვართ, ორმოცდახუთის გავხდი, მე, ახლა ოცდაორ გიორგობისთვეს. კოტე უფროსია ჩემზე ორი წლით – ქოშინით და ცოტა საყვედურითაც უთხრა ნიკომ ნადირობის ტრფიალს, როცა ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ახალბედა მონადირეებს ნაბიჯის აჩქარებისკენ.

– მე რაღა უნდა ვთქვა მაშინ. ორმოცდამეთვრამეტეში გადავდექი.

– შენი ამბავი სხვაა. შენ ამ საქმეს ადგიხარ შენი დღე და მოსწრება. ჩვენ თოფი მარტო ახალ წელს თუ გვისროლია აივნიდან. ვის ქონდა ნადირობის დრო და თავი. თითო ცისტერნა ღვინო გვაქვს დალეული.

– „სუხოი ზაკონზე“ არც მე ვარ მარა, ეს ნადირობა ძაან მშველის. მუხლს გავმართავ კაცი. სუფთა ჰაერს გადავყლაპავ. თვარა დაულევლად ვინ გაგაჩერებს.

– სვამთ თქვენც? – გაიოცა კოტემ.

– აბა რას შვრება – კვერი დაუკრა ნიკომ მონადირემასპინძელს და ამით კოტეს აგრძნობინა – „შენც ეკითხები რაღა. ამის დალევა და ჩვენი დალევა ერთიაო? ჩვენ რო გადავაბამთ ორთვიანს ხანდახან, იმის გამძლებია ესო?“

სველი მიწის სუნი ცხვირში უღიტინებდა მიმავალთ. ნიავი არ იძვროდა. მზე ჯერჯერობით არ იკბინებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ დღეს გვარიანი სიცხე იქნებოდა.

არხზე გადებულ ორ მორზე პირველად ნიკომ გადაიარა და პირდაპირ შუა ყანაში განმარტოებით მდგარი ცაცხვისაკენ გაემართა. როცა დანარჩენები მოახლოვდნენ, ნიკო პირაღმა იწვა ბალახზე და ლურჯ, სუფთა ცას შეჰყურებდა.

ბალახზე კოტეც მოწყვეტილივით დაეშვა. ბესარიონმა ყურებიდან ბირკა ჩამოაცილა აქლოშინებულ ძაღლს და ჩაილაპარაკა, – შეიკლავს ეს ბირკა ამ საწყალს ხელში დღეს. არა და ისე გემოიანად ეხვევა ბალანში, რომ ვაი დედას აძახებინებს.

ძაღლმა, თითქოს პატრონის სიტყვებს მიხვდაო, ვაჟკაცურად აიტანა ბირკის გამოცლის ტკივილები და ხმა არ ამოუღია.

– ჰე, რავა წამოგორდით მხარ-თეძოზე, რამ დაგღალათ ჯერ. წოლის დროა ახლა? – ბესარიონმა რეზინის ჩექმის თასმები შეიხსნა და მუხლს ზემოთ შუა ბარძაყებზე შეიკრა.

– სამოთხეა გელაპარაკები, რამე სჯობია აქ ყოფნას? – ცისთვის თვალი არ მოუშორებია ნიკოს.

– შევუყვეთ ახლა, თვარა დაგვაგვიანდა ისედაც. მზე რომ მაღლა აიწევა, კეტი რომ ურტყა ვერ ააგდებ მწყერს.

– რატომ? – ზარმაცი კაცის ინტონაციით იკითხა კოტემ.

– ვერ იპოვის ძაღლი. ახლა დილაა და ყველაფერს ღამინდელი სუნი ასდის. ძაღლი კვალს ადვილად აგნებს. მზე რომ გაახურებს და გამოაშრობს ყველაფერს, მერე სუნი ისე აღარ იგრძნობა. ძაღლი ადვილად კარგავს გეშს.

– რას ლაპარაკობ? – სიტყვის მასალად იკითხა ნიკომ და დაკვირვებული ყური ადვილად შეატყობდა, რომ მწყრის აფრენის პრობლემით იგი ნაკლებად იყო დაინტერესებული.

– ახლა არ გეწყინოთ არც ერთს და უნდა დამიჯეროთ. მე მეტი კი არაფერი ვიცი. თოფთან გვაქვს საქმე და თოფს, გაგონილი გექნება, შეთამაშება არ უყვარს. სამივემ ერთ მწკრივზე ვიაროთ. გვერდი-გვერდ, ასე სჯობს. მარცხის საშიშროება ნაკლებია. ერთი მეორეს ოთხი-ხუთი მეტრით დავშორდეთ. ჩახმახი ფეხზე გქონდეთ. ვის მხარეზეც გააკეთებს ძაღლი ნაბუღს, პირველად იმან უნდა ესროლოს. ნელა ვიაროთ. ძაღლს დევნა არ დაუწყოთ. იცის იმან თავის საქმე. ჯერ პატარა შორს გავარდება, წრეს დაარტყამს და მერე თანდათანობით ჩვენს ახლოს შემოიტყუებს მწყერს. ეშმაკს თვალი არა აქვს. აფრენისთანავე არ ესროლოთ. მაღალი სიმინდია. სათოფე მანძილი კარგად არ ჩანს. აცადეთ, ცოტა, აიწიოს მწყერმა მაღლა და მაშინ ესროლეთ. მე უფრო კურდღლის მეშინია. კურდღელმა ხანდახან უძაღლოდაც იცის გამოვარდნა. თუ მოხერხებულ ადგილზე არ ხართ, არ ესროლოთ ჯობია. მარცხი ერთ წამსაა – დამოძღვრა ბესარიონმა მონადირენი, სავაზნედან ოთხ-ოთხი ვაზნა ამოიღო და წამოწოლილებს ბალახზე დაუყარა, ჯიბეში ჩაიწყვეთ, უცებ გამოცვლამ რომ მოგიწიოთ, მზად იყავითო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ნიკო უკან გადაიხარა, წამოუდგომლად მიწვდა ცაცხვის ძირში დადგმულ სანოვაგეს, ახლოს მოაჩოჩა და არყით სავსე გრაფინი ამოიღო.

– რას შვრები?! – ელდა ეცა ბესარიონს.

– ბესარიონ, ბატონო, – შეევედრა ნიკო – თითო ყლუპი არ გადავკრათ?

– რავა გეკადრება. ნადირობის წინ დალევა ჯერ კაცს არ გაუგია. ჩადევი მაგი უკან და წავიდეთ ახლა, დადგება მაგის დროც.

ნიკოზე ამ სიტყვებს დიდი გავლენა არ მოუხდენია. იგი მრგვლად მოხარშულ დედალს გაზეთს აცლიდა და სათითურის მსგავს ჭიქებს ბალახებში მოხერხებულად დგამდა.

– ახლა თუ მე ვარ უფროსი დამიჯერეთ. თვარა და წავიდეთ სახლში. არაფრით არ გამოვა მაგ ამბავი!

– რა არ გამოვა? – გულწრფელად იკითხა ნიკომ.

– დალევა.

– ვინ სვამს მერე? – ჩაერთო კოტე – რას უძახი შენ ბესარიონ ბატონო, დალევას? თითო სათითურით ჩვენი დღევანდელი ნადირობის სადღეგრძელო რომ დავლიოთ. პატარა ხასიათზე მევიდეთ. დალევას ეძახი ამას შენ?

– მე წავედი აბა და, რავარც გინდათ თქვენ! – ყანისკენ გააბიჯა ბესარიონმა.

ნიკომ და კოტემ ერთმანეთს შეხედეს.

– ნუ გვიზამ ამას, ბატონო. შენი ხათრით და პატივისცემით, თვარა, მწყერი ვნახე დამწვარი და ამოდაგული. მწყრის სადევნად წამოვიდოდით ჩვენ?

– არ შეიძლება-თქვა გელაპარაკებით. იარაღთან გვაქვს საქმე.

– რა არ შეიძლება? – საჭიროზე უფრო მიამიტად იკითხა კოტემ.

– დალევა. – მწყრალად მიუგო ბესარიონმა და განზე გაიხედა.

– ვინ სვამს მერე? სმა და უბედურება რომ გვდომოდა, აქ წამოვიდოდით? ვისაც დალევა უხარია, შავად ექცეს ეს დღე. ლოთობა და გადარევა სხვისი მეზარება.

– დალიეთ, აბა, თითო ყლუპი და ადექით. წამევიდა შუადღე. მე წვეთს არ გავსინჯავ ტყვილა. ვფიცავარ გამჩენს! – მტკიცედ განაცხადა ბესარიონმა.

– ვინ გასმევს კაპლს, ბატონო ბესარიონ? – გაეცინა ნიკოს. – სადაა ჭიქებით სასმელი კაპლი. თუ დაგალევიო დღეს კაპლი, ცოლ-შვილი გამიწყდეს.

– დალიეთ და მორჩით ჩქარა. წამევიდა შუადღე! – ხუმრობის გუნებაზე სულ არ ჩანდა ბესარიონი.

ნიკომ სათითური გაავსო და ბესარიონს გაუწოდა.

ბესარიონმა ხელები გაასავსავა და ზურგი შეაქცია.

– ბატონო ბესარიონ, – წინიდან შემოუარა კოტემ – რავა გეკადრებათ, ბატონო ბესარიონ, გამოწვდილ ჭიქას მტერს გამოართმევენ.

– გითხარით, არ დავლევ-თქვა.

– რას ეძახით დალევას, გადავირევი ახლა, ბატონო ბესარიონ, ეს ერთი სათითური, გინდა იქით ყოფილა, გინდა აქეთ. ამაზეა ლაპარაკი?

– წესი არაა, წესი!

– დამეღალა ხელი, ბატონო ბესარიონ, – ლამის ტირილით უთხრა ნიკომ.

ბესარიონი გულმოსული შემობრუნდა. ნიკოს ჭიქა გამოგლიჯა, ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოსო, თქვა და გადაჰკრა. არაყი მაგარი გამოდგა. ბესარიონი მარჯვენა ხელით ჭიქას უბრუნებდა ნიკოს, ხოლო მარცხენას ღია პირთან მარაოსავით იქნევდა.

– მიაყოლეთ რაღაცა, – უთხრა ნიკომ და დაასხა.

– არ მინდა.

– წეიტეხე პური, თვარა დაგწვავს, სამნახადია – გაუღიმა კოტემ და ჭიქას სამი თითი შეაგება.

– კოტემ მაღლა აიხედა და სადღეგრძელო დაიწყო.

– ადამიანი გუნებაა – მეტი არაფერი. ისე, რომ დავუკვირდეთ, ის ჩიტი გვჯობია, ეგერ ე, ხის წვერზე რომ ზის. „ცხოვრება გაილამაზეო“ ომარ ხაიამი იტყოდა. რა ვართ? მეტი არაფერი. რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი? ვინ დაგვწყევ-

ლა ასე? დედამიწაზე მცხოვრები ოთხი მილიარდი კაციდან სამი-ოთხის გარდა დილიდანვე იწყებს ფიქრს იმაზე, რითი გაიმწაროს ცხოვრება. გამოვუგონეთ ჩვენს თავს ათასი სატკივარი; კარიერა, ბინა, პოლიტიკა, ფული, რა უსუსურები, რა მასხრები გამოვჩნდებით, ალბათ, სხვა პლანეტიდან ჩამოსული კაცის თვალში. ჩამოჯექი ერთ წუთს, ბატონო ბესარიონ, ნუ გეჩქარება ყოველთვის. არსად წაგივა, ნუ გეშინია, შენი მოსაკლავი კურდღელი. იცოცხლოს ერთი ნახევარი საათით მეტი, არ დაიქცევა ქვეყანა. ამ სიჩქარემ დაგვღუპა ჩვენ. სად გავრბივართ, სად მივერეკებით ისედაც დაწყვეტამდე მისულ ნერვებს? იცოდეთ ყველამ – ერთადერთი ხასიათზე ყოფნაა. მოდით ამდილანდელ ჩვენს კარგ გუნება-ხასიათს გაუმარჯოს.

– გაუმარჯოსო, – დაუდასტურა ნიკომ და დალია.

ბესარიონს გულის სიღრმეში ძალიან მოეწონა სადღეგრძელო, მაგრამ არ შეიმჩნია, ცაცხვის ძირიდან მაყვლის ბუჩქებამდე ნერვიულად მიმოდიოდა.

ძაღლი დაიღალა ლოდინით, ბალახებში წამოწვა და დიდი, წითელი ენა გადმოაგდო.

კოტემ ქათამი ოთხად გახლიჩა.

– ერთს მე ვიტყვი და წავიდეთ. – საქმიანად თქვა ნიკომ და სავსე ჭიქა ბესარიონისკენ გაიშვირა.

ბესარიონმა მოიხედა და მისკენ გამოწვდილი ჭიქა რომ დაინახა, ყანაში შეჯლიგინდა. კოტე ელვის სისწრაფით მოწყდა ადგილს, გაქცეულს გამოუდგა, დაეწია და თითქმის ძალით მოაბრუნა.

– ისე გამომართვი, ნუ დალევ.

– რა არის ახლა ეს. არ შეიძლება-თქვა, რომ გეუბნებით, ძაღლი ვარ მე? თუ ამ საქმეზე წამოხვედით, მე რაზე მაცდენთ, შე კაი კაცო.

კოტემ ჭიქა მიაწოდა და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გაუმეორა. სიტყვა გვითხარი, მარტო, დალევით ნუ დალევო.

ნიკომ დაიწყო:

– ჩვენ ახლა შუახანს გადაცილებული გვეთქმის. რას ველით, რაღას ვეიმედებით? დაყაჭდნენ უკვე ჩვენი პეპლები.

ახლა მალე დაგვეწყება სიბერის გრძელი ღამეები. ეს ყოფილა, რაცაა. ჩვენ რომ სხვა რამ გვეგონა ცხოვრება, ა, ეს ყოფილა სულ. ახლა ქე ვიცით, ახლა ქე ვხვდებით. ბევრმა ჩვენზე უარესადაც იცხოვრა, იმგენმა რაღა თქვან მაშინ. კი, მართალია, ჩემგანაც ბევრი დავაკელი, მარა არც ჩემმა წილმა იღბალმა ამაყვავა მაინცდამაინც, რა მოვასწარ? ვერაფერი. მე ჩემს სიბერესაც კარგად ვხედავ. ნუ გეშინია, არავინ ამიტალახებს კარს, აგერ ბრძენი მოხუცია და ჭკუა ვკითხოთო. თურმე რაც ახალგაზრდა ხარ, იგი ბერდები. ჭკუას არავინ გამოგიცვლის. მარა, კაცი იმიტომ ჰქვია, რომ იმედით ცოცხლობს თურმე, მოლოდინით უდგია სული. რაღაცა კაი მოჩანს იქეთა მხრიდან, რაღაცა კაი გეჯღანება. მოდი, ჩვენს ხვალეს, ჩვენს იმედებს, ჩვენს მოლოდინს გაუმარჯოს.

სადღეგრძელოს წყალი არ გაუვიდოდა. „გენაცვალე სიტყვაშიო“, თქვა კოტემ და დასცალა. ბესარიონიც ააღელვა ამ სადღეგრძელომ, სხვა გზა არ ჰქონდა, უსიტყვოდ დალია, კბილებში ქათმის ფრთა გამოისვა და წამოდგა.

– ახლა ერთი შენ გვითხარი, ბატონო ბესარიონ. სამობითაა ღმერთი. გვითხარი, რაც გაგეხარდება და მერე, თუ გინდა, ჯოჯოხეთის კარამდე ვდიოთ კურდღელს. ასე არ ჯობია? – თვალებში არაჩვეულებრივი შუქი ჩაღვროდა ნიკოს.

ბესარიონმა ძაღლს ძვალი გადაუგდო და ჭიქას მიწვდა.

– დაბრძანდით.

– არა, ასე ვიტყვი.

– სადღეგრძელოს სიჩქარე არ უყვარს. დაბრძანდი და ერთად ავდგეთ სამივე – არ მოეშვა კოტე.

ბესარიონმა ასეთი სადღეგრძელო თქვა:

– ახლა, ამ წუთში სადღაც გემის ბოლო ფიცარს ებღაუჭება სასწაულით გადარჩენილი მეზღვაური და კაცმა არ იცის დაადგება თუ არა საშველი. ახლა, ამ წუთში, სადღაც, უბედური დედა ზის მომაკვდავი შვილის სასთუმალთან და თავისი უმწეობის გამო ძუძუს იხოკავს, გაურკვეველი მოლოდინით, უდიდესი ტკივილის თმენით მუშტისხელა თვალები ჭერისთვის მიუპყრია მშობიარე ქალს და კვნესის. ახლა, ამ წუთში

რომელიღაც პლანეტას კომეტა უახლოვდება და საშინელი ჯახანი გააყრუებს კოსმოსს. ჩვენ აქანა ვერაფერს გავიგებთ, მარა ადვილი შესაძლებელია შუაზე გახლეჩილ პლანეტაზე ცოცხალი არსების ნატამალი ერთ წუთში გაქრეს. ღმერთო! შენ მოუმართე ხელი ყველა გაჭირვებულს, ღმერთო, შენ შეენწიე ყველა წყალწაღებულს. ღმერთო, შენ მოჰგვარე საწაღმართო ჭკუა ყველა გონდაკარგულს და გზასაცდენილს.

ბესარიონმა თანამესუფრეებს შეხედა. კოტე და ნიკო საოცარი მოწიწებით და სიყვარულით შეჰყურებდნენ.

განთქმულმა მონადირემ დალია და ჰორიზონტს გახედა. არემარე ესხვაფერა. ძაღლს პურის ნაჭერი გადაუგდო. სანადირო ბადე მოიხსნა და ბალახზე დადო.

სანამ მზე გადაიხრებოდა, ცაცხვის ძირიდან ულამაზესი სადღეგრძელოები ისმოდა. როცა ხვატი განელდა და ცოტა დაუბერა, სიმღერა აგუგუნდა. მონადირეთა პირობაზე მღერითაც გვარიანად მღეროდნენ.

* * *

აჯამეთის ბაქანს რომ მოადგნენ, ახალი შეღამებული იყო. ფეხზე ძლივს იდგნენ. დროდადრო ერთმანეთს მკლავებს შეაგებებდნენ. ფერხულის მოცეკვავეებივით წრეს შეკრავდნენ (ამით ერთმანეთსაც ამაგრებდნენ) და მღეროდნენ.

– თოფებს მოკიდეთ ხელი. აბა ჰე... ერთად... ცას დოუმიზნეთ და გავისროლოთ სამივემ. აბა ჰე. სირცხვილია, სუფთა თოფებს ვერ მივიტან სახლში. აბა ჰე... ერთი, ორი... სამი!..

აჯამეთის ბაქანზე სამმა თოფმა ერთდროულად დაიგრიალა.

ახლომახლო არავინ იყო, რომ გაკვირვებით მაინც გაკვირვებოდა.

სტუმარი

ომარ ჯეჯელავამ ჯერ ჭუჭრუტანაში შეიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ კარი შიგნიდან იყო დაკეტილი, ზარის ღილაკს თითი დააჭირა. გვერდით მდგომ შუახანგადაცილებულ გრუზათმიან ათლეტს გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

– შინ არის.

– რას შვრება? – დაბნეულად იკითხა სტუმარმა.

– შინ არის-მეთქი?

– ვინ?

– ჩემი ცოლი.

სტუმარი დამშვიდდა. ომარს მოეჩვენა, რომ კარის გაღება დაუგვიანეს და გრძელი, გაბმული ზარი დარეკა.

– რომელი ბრძანდებით? – მოისმა შიგნიდან და ქალბატონმა კირამ კარი იმხელაზე გამოაღო, რა საშუალებასაც რკინის მოკლე ჯაჭვი აძლევდა.

– რა მოხდა, ხანძარია? – ჰკითხა ცოლმა, – აბაზანაში ვიყავი შესული ერთწამს.

– კაცი მახლავს, გააღე ჩქარა, – საქმეზე გადავიდა ომარი.

– უი, ჩემი სიკვდილი, ახლავე ხალათს მოვიცვამ! – იყვირა კირამ და გაუჩინარდა.

– რაო, რას ამბობს? – დაინტერესდა სტუმარი.

– ახლავე ჩაიცვამს და გააღებს. ბოდიშს ვიხდით ძალიან შილიფად იყო. ცხელა, ხომ იცით... – მოიბოდიშა მასპინძელმა.

– არა უშავს, არა უშავს. მე ვთქვი ჩემი მოსვლა ხომ არ ეწყინა-მეთქი, – თქვა გრუზათმიანმა ათლეტმა, მხრიდან ზურგჩანთა მოიხსნა და ხელში დაიჭირა.

– თქვენთან კოღოები არის? – ჰკითხა სტუმარმა ომარს და გაეხარდა, რომ სანამ კარს გაუღებდნენ, საუბრის ასეთი საინტერესო თემა მოძებნა.

– საერთოდ კი, მაგრამ წელს რაღაც ნაკლებად ჩანან. ისე, ნუ გეშინიათ, ჩემს ცოლს, ყოველ შემთხვევისათვის, ფანჯარაზე მარლას ჩამოვაფარებინებ.

– თქვენ წარმოიდგინეთ, მაგ მხრივ თავი ქუდში მაქვს. – გაიღიმა ათლეტმა, – კოღოები ახლოსაც არ მეკარებიან, რეზუს უარყოფითი!

– აგაშენა ღმერთმა, – დალოცა მასპინძელმა, თუმცა გადაჭრით ვიტყვით, რომ სტუმრის სისხლის ხარისხი (თუ მიმართულება) ომარს შეხარბებით არ შეხარბებია.

ომარი ნახევრადტექნიკური ინსტიტუტის უახლესი ისტორიის კათედრის წევრი იყო და თან საზოგადოებრივი მეცნიერების შემსწავლელ მეორად ფაკულტეტზე, დეკანის უხელფასო მოადგილედ მუშაობდა. თავისი ლექციები და კათედრა იმდენ დროს არ ართმევდა ომარს, რამდენსაც საზოგადოებრივ საწყისებზე დეკანის მოადგილეობა, მაგრამ პროფესორი ვინც ამ ფაკულტეტის შექმნას გადაყვა, ომარის ახლობელი კაცი იყო და მისი ახალგაზრდა ასისტენტი გარდაცვლილის ხსოვნას არ ღალატობდა. თანაც ამაოდ ფიქრობდა უახლესი ისტორიის სპეციალისტი, რომ ამ მეორად ფაკულტეტს ოდესმე ნამდვილ ფაკულტეტად გადააკეთებდნენ, ხოლო ომარის და მისი მსგავსი ენთუზიასტთა ღვაწლი მაშინ მაინც სათანადოდ დაფასდებოდა.

ომარი შეთხელებულ თმას კარგა ხანია მაღლა აღარ ივარცხნიდა. ნანობდა კიდეც, რომ სკოლიდანვე უკან გადავარცხნას მიაჩვია თმა. „თმა საითაც თვითონ მიდის, იქით უნდა გამეშვა, მიმართულება რომ შევუცვალე და ძალით ავქაჩე მაღლა, სწორედ მაგან გამაცვინა, მეტმა არაფერმაო“, ფიქრობდა ომარი და ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო. ცისფერი ფართო თვალები ჰქონდა, სწორი, ლამაზი ცხვირი და წინ წამოწეული, ცოტა არ იყოს, დიდი პირი. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, ლამაზი და წვრილი, შავი წარბები ჰქონდა, გაბზარული ხმით, უმეგრულაქცენტოდ ლაპარაკობდა. მშობლიური ენის გარდა, არც ერთ ენას არ ფლობდა საფუძვლიანად. წესიერი ჯინსი ვერ იშოვა და რომელიღაც უპატენტო ფირმის მიერ შეკერილი ფართხუნა ჯინსი ეცვა, ოდნავ წამობერილ ლოყებზე და ჯიუტ ღიპზე ეტყობოდა, რომ ფიგურას მაინცდამაინც არ უფრთხილდებოდა და დიეტით თავს არ იწუხებდა.

– მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! – კარის გაღებისთანავე ისეთი გაბადრული სახით და დაშაქრული ხმით (ცოტა არ იყოს ხმამაღლა) თქვა ქალბატონმა კირამ, რომ უცნობს ჯერ შეეშინდა, რა მოხდა ნეტავიო, პირველად ომარს შეხედა და უკან დაიხია, მაგრამ ომარმაც რომ ხელები გაშალა, თავი დახარა და შესასვლელისაკენ მიუთითა, ეტყობა კარგადაა საქმეო, ივარაუდა ათლეტმა და დიდხანს და გულმოდგინედ უსვამდა ფეხებს მავთულის ბადეზე დაფენილ სველ ტომარას.

ზურგჩანთით ხელში სასტუმრო ოთახში შევიდა, მასპინძელი ნამეტანი არ შევაწუხოვო, სკამზე შემოუთავაზებლად ჩამოჯდა და ზურგჩანთა ფეხებშუა ჩაიდო. ომარმა ძალიან სთხოვა, თუ შეიძლება ამ ზურგჩანთას შემოსასვლელში დავკიდებ, ხელი რომ არ შეგიშალოთო და სტუმარიც დათანხმდა. შემობრუნებისას მასპინძელმა ტელევიზორი ჩართო, გრუზათმიან ათლეტს თვალი ჩაუკრა, ერთი წუთით გამანთავისუფლეთ, ახლავე ყველაფერი იქნებაო და რაკი სტუმარი ამ უკანასკნელ თხოვნას ვერ მიუხვდა, სახეგაბადრული გავარდა სამზარეულოში. იქ კი ღიმილი ელვისსისწრაფით მოიცილა და უსერიოზულესი სახე მიიღო.

– მთელი საათი თავდაღმა იდგა, ბალახზე თავქვეშხელამოდებული, აგერ ზევით, ტბაზე რომ გამოველაპარაკე, ხმა არ გამცა. ვუყურე კაი ხანს და წავედი ჩემს გზაზე. ვხედავ, აგერ არ მორბის? ბოდიშს ვიხდი ბატონო, წეღან ხმა რომ არ გაგეცით, მარა იოგის ვარჯიშს როცა ვაკეთებ, ლაპარაკი არ შეიძლებაო. არა უშავს, მე ვუთხარი. თუ შეიძლება მითხარით ცისქვეშ მუზეუმი რომ გააკეთეს, რანაირად მივიდე იქო. მოსული ხართ და ესაა, მე ვუთხარი, მარა ახლა დაკეტილია, ექვსი საათია უკვე და ვინღა შეგიშვებთ აწი-თქვა. ამხელა კაცმა კინაღამ იტირა, არ ვიცოდი ექვსზე რომ იკეტებოდა, თორემ ვიჩქარებდიო. შე კაი კაცო, გულში ვთქვი, ერთი საათი თავდაღმა რომ იდექი, ჯერ მუზეუმი გენახა და მერე გეკეთებია ეს იოგი-მეთქი, თითქოს მიმიხვდაო, ტყიბულიდან მოვდივარ, მატარებელი გვიან ჩამოვიდა, თანაც ვარჯიშის გადაწევა არ შეიძლება, თორემ დღესვე ვასწრებდი დათვალიერებასო.

– ტყიბულელია? – ჰკითხა ცოლმა ქმარს.

– ტყიბულელს რა უგავს. ვერ ხედავ რა ხუჭუჭა ფაფარი აქვს და ცოცხივით სქელი ულვაშები? ყვავეთიდან არის.

– აუჰ, – შეიცხადა ცოლმა – იმ სიშორიდან რამ ჩამოიყვანა, არ გაილახებოდა გზაში საწყალი? – ქალბატონმა კირამ ფარდა ოდნავ გადასწია და სტუმარს შეხედა. გრუზათმიანი ათლეტი სავარძელზე თითებს ათამაშებდა, ტელევიზორს თვალს არ აცილებდა და სულ არა ჰგავდა გზისგან გალახულს.

– მოგზაურობს, დადის, აბა ჩვენსავით კი არაა მიბმული სახლზე. ჭკვიანი ხალხია. თავის ორი დღის წუთისოფელს შინაარსიანად ატარებს.

– რა უნდა ნახოს მერე, რაა იმ მუზეუმში. ცარიელი სახლებია, მეტი ხომ არაფერი.

– რატომ არაა, ათასი საინტერესო რამეა. ჯერ სახლები მარტო. სად ნახავს სხვადასხვა კუთხის უძველეს საცხოვრებლებს ასე ერთად თავმოყრილს. ასეთი მუზეუმი თურმე მსოფლიოში ცოტაა.

– ა კაცი, იმ სიშორიდან ჩამოვიდა და მე, ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ კი არ ვარ ნამყოფი. დღეს ვნახავ, ხვალ ვნახავ-მეთქი და ქე მიმრჩა ისე.

– არ გაამხილო, ქე მაინც, ამ უცხო ადამიანთან შენი სიგლახე. რას იჭვრიტები, კაცი არ გინახავს? ჩქარა ახლა, საქმეს მიხედე, მშიერი იქნება, მთელი საათი თავდაღმა იდგა.

– რა ვქნა ახლა? – შეშფოთდა კირა, – რა გვაქვს ამ უცხო სტუმრის გასაბედი.

– ჭადი გამოაცხვე, შაშხი მოხარშე, უყვართ მაგენს შაშხი, ლობიო გაათბე, ბადრიჯანი უნდა იყოს ქვევით ერთი ქილა, გაგვიხსენი, ჩემო ბატონო, ყველი, მწვანილი... თქმა გინდა? რაც მოახერხო, ყველაფერი. ბოლოს კვერცხი და კარტოფილიც შეგვიწვი, რა ვქნათ აბა. ფული მომეცი და მე გავვარდები, ღვინოს მოვიტან.

– რა ფული მაქვს? – გაიკვირვა ცოლმა, – იმას მოვაკლო?

– მოაკელი აბა რავა, ხელფასამდე მოითმენს. თვრამეტში ევიღებ და დავამატოთ. არ ეჩქარება ახლა, არა აქვს ისე საქმე.

ქალბატონი კირა საწოლ ოთახში გავარდა და ფული გამოიტანა. ამასობაში ომარს ბოთლები ჩაელაგებინა და ჭუჭრუტანაში სტუმარს შესცქეროდა. ახლა იდგა ყველაზე რთული მომენტი. ომარი ბოთლებიანი ბადურით ხელში ისე უნდა გაპარულიყო სახლიდან, რომ სტუმარს არ დაენახა. კირამ კარი ოდნავ გამოაღო, მასპინძელი კედელს აეკრა და გამოცდილი დეტექტივივით გაჩოჩდა კარებისაკენ. სახელური ფრთხილად გადასწია და წამში უკვე სამშვიდობოს იყო. სტუმარი ტელევიზორს თვალს არ აშორებდა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი დიქტორი ლაპარაკობდა და გრუზათმიან შავგვრემან ათლეტს აბსოლუტურად არაფერი გაეგებოდა. რაც მთავარია, სტუმარს მასპინძლის წასვლა არ შეუმჩნევია. ომარი მალე დაბრუნდა. შეუმჩნევლად დაბრუნების ოპერაციამაც კარგად ჩაიარა.

ქალბატონი კირა ცომს ზელდა. ხანდახან თითქოს რაღაც გაახსენდაო, თითით ფრთხილად გადასწევდა ფარდას და სტუმარს შეხედავდა. სტუმარს ძირს დაშვებული კეხიანი არწივისებური ცხვირი ჰქონდა. დაძარღვული ხელები ნიკაპქვეშ ამოედო და ლომის მაჯებიდან ძალა იღვრებოდა. ნეილონის თეთრი პერანგი ასკდებოდა ბეჭებზე. ფართო მოხმარების მაღაზიაში ნაყიდი ძველმოდური შეკერილი ბორდოსფერი შალის შარვალი ეცვა და შარვალზე ორფერში დაწნული ქამარი ეკეთა. ფეხზე უწინდებოდ ეცვა იაფფასიანი სამამულო რეზინის სპორტული წაღები, რომლის თეთრი თასმები საგულდაგულოდ ბანტისებურად გაენასკვა და ფეხის ზურგზე, იქეთ-აქეთ, კოხტად, თანაბრად გაენაწილებინა.

ომარი ღვინოს ბოთლებიდან პატარა კერამიკულ დოქში ასხამდა. იგი სამართლიანად ფიქრობდა, სუფრაზე დოქით მიტანილ ღვინოს სხვა ეშხი და ლაზათი აქვსო.

– მერე? – წელან დაწყებული საუბარი განაგრძო კირამ.

– მე ვთქვი, სტუმარი კაცია, კაი საქმეზეა ჩამოსული, შენი ქვეყანა აინტერესებს. ზოგს ფეხებზე ჰკიდია შენი მუზეუმი. ჩამოვა და „შაშლიკს“ იძახის მაშინვე. მე ვთქვი, წამევიყვან სახლში და დაველაპარაკები ცოტას-თქვა, ამის გაფიქრება და თვითონ მკითხა, თუ იცი სასტუმროში ადგილს ვიშოვიო?

რად გინდათ, სასტუმრო, მე ვუთხარი, წამობრძანდით ჩემთან-თქვა. ბავშვები სოფელში მყავს, არავინ შეგაწუხებთ, მარტო ვართ სახლში-თქვა. გაეხარდა, სხვათა შორის, თავპატიჟი არ გაუდვია, ა, ეს იყო სულ.

– რა მოხელე ვარო?

– არ მიკითხავს.

– რა ჰქვია?

– არც მაგი მიკითხავს, ხომ იცი შენ!

– კი მარა, სახელი არ კითხე კაცს? აბა „იმანო“ ვუძახოთ ახლა მთელი საღამო? არ იცი მაინც, არაფერი შენ არ იცი. ჯერ მე რომ კარი გაგიღეთ, ვინ ვგონივარ აწი. არ უთხარი ცოლია-თქვა?

– როგორ არა.

– მაგენს ასე უყვართ: უნდა წარმადგინო, გააცნო ჩემი თავი. მეუღლეა ჩემი-თქვა. მე ჩემს სახელს ვეტყვი და იქნებ იმან თავისი სახელი მითხრას. აბა, ჰე, გავედით.

კირამ წინსაფარი მოიხსნა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა, სტუმარმა მისკენ წამოსული გაღიმებული ცოლ-ქმარი რომ დაინახა, ეტყობა რაღაც რიტუალს ასრულებენო და ფეხზე წამოხტა.

– გაიცანით, ჩემი მეუღლეა! – თავაზიანად უთხრა ომარმა და მარჯვენა ხელით ქალბატონ კირაზე ანიშნა.

– კირა. – ხელი გაუწოდა და თავი დაუკრა დიასახლისმა.

– სასიამოვნოა, სასიამოვნოა, – მასპინძლის ცოლს ხელი ღონივრად ჩამოართვა სტუმარმა.

ცოტა ხანს ერთმანეთს ღიმილით შესცქეროდნენ. ვინ იცის რამდენ ხანს იქნებოდნენ ასე რომ, მდგომარეობიდან გამოსავალი თვით კირას არ ეპოვა.

– დაბრძანდით, – სთხოვა მან სტუმარს.

ათლეტმა სკამი ოდნავ უკან დასწია და მორჩილად დაჯდა.

ცოლ-ქმარი ზურგშებრუნებულად და ღიმილმოუშორებლად დაბრუნდნენ სამზარეულოში. სტუმრის სახელის გაგების ამ ხერხმა არ გაჭრა.

– რა ვქნა ახლა, სუფრაზე რომ დავჯდებით მერე ვკითხავ, რა მნიშვნელობა აქვს რაცხა ჰქვია. მაგენს უმეტესობას თითქ-

მის ერთნაირი სახელები აქვთ, – საბა, ამბროსი, კვირიანე, ფოცხვერა და შავლეგო. ამ სახელებიდან ერთ-ერთი ერქმევა.

– ვარდუა მკითხავთან ხომ არ გავიქცე? – იხუმრა ცოლმა.

– მაგი ქენი, მაგი. დაუჩქარე ცოტა, დაღამდა კაი ხანია.

მასპინძელთა შიში ამაო გამოდგა. ქალბატონმა კირამ სანაქებო სუფრა გაშალა. გაზი ბუუტავდა და მართალია, სარეკორდო სიჩქარით ვერ დაამზადა კერძები, მაგრამ რაც გააკეთა, ყველაფერი გულმოდგინედ და მაღალხარისხოვნად.

ზუსტად ათის ნახევარზე სტუმარს სუფრასთან უხმეს. სტუმარი წამოდგა და პირდაპირ სასადილო ოთახისაკენ გამოიქცა, მაგრამ „ხელის დაბანას ხომ არ ინებებთო“, ომარმა რომ ჰკითხა, მასპინძლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, აბაზანაში შევარდა და ისე სწრაფად გამოვარდა, რომ ვეჭვობ, იმ მოკლე დროში ხელების საპნით საფუძვლიანად დაბანა მოესწრო.

სუფრასთან ყველაფერი გაირკვა. სტუმარი ენაწყლიანი აღმოჩნდა. მასპინძელთაგან მოულოდნელად მას აბლოთი რქმეოდა. ორმოცდაცხრამეტი წლისა ვარ, მაგრამ ორმოცზე მეტს არასოდეს არ მაძლევენო. სისტემატური წვრთნით და წესრიგიანი კვებით მივაღწიე ამ ამბავსო. ესთეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვარო, საკანდიდატო უკვე მზადა მაქვს და რიგს ველოდებიო. სტატიები კი მაქვს დაბეჭდილი, მაგრამ წიგნის გამოცემა ჯერ ვერ მოვასწარიო. არც ვჩქარობ, სხვათა შორის, ჩემი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარო. ცოლს ამ წელიწად-ნახევრის წინ გავშორდი. ძალიან კარგი მეუღლე მყავდა, მაგრამ სეირნობა უყვარდა და თავისი დაჟინების გამო ბევრჯერ ამომაგდო ფორმიდანო. საერთოდ ადამიანი დამოუკიდებელი უნდა იყოვო. დილით ადგომისას, პირველ რიგში, ნახევარ ჭიქა ცივ წყალს ვსვამო. მერე ვვარჯიშობ, ტანს ცივი ტილოთი ვიზელ და ვსაუზმობო. ერთი კვერცხი, ერთი ჭიქა მაწონი, ერთი ნაჭერი შავი პური და ცოტაოდენი ნადუღია ჩემი საუზმეო. ზუსტად თორმეტ საათზე ერთ ჭიქა მაწონს გეახლებითო. შუადღისას ბოზბაშით (წვნიანი), ზეთში მოშუშული კომბოსტოთი, დღეგამოშვებით თევზის კერძით, ორი ნაჭერი შავი პურით და კომპოტით ან კისელით ვსადილობო. ხორცს კვირაში ერთხელ მივირთმევ და

ისიც მხოლოდ ძროხის ხორცს ცივად მოხარშულსო. ექვს საათზე უშაქრო ჩაის ვსვამ კარტოფილის ან ნადუღის ღვეზელით და ექვსი საათის მერე საკვებს არ ვეკარებიო. მაგარ სასმელებს არ ვსვამ, არ ვეწევი და ღამეს არასოდეს არ ვათენებო. დაწოლილი კითხვა თვალებისათვის მავნებელიაო. პეტიტის კითხვის დროს ასპროცენტიანი მხედველობის პატრონებმაც კი ოდნავგამადიდებელი სათვალე „+05“ უნდა გაიკეთონო. ძილი ენერგიის აღდგენის უპირველესი საშუალებაა – ეს და სხვა ათასი რამ სასარგებლო უამბო აბლოთიმ იმ ღამეს მასპინძლებს. ღმერთმა შეარგოს, მადიანად ივახშმა და დალევითაც კარგად დალია, რომ შეზარხოშდა, სიმღერაც წამოიწყო, კარგა ხანს წამოწითლებული სახით, ხმამაღლა მარტომ იმღერა, მაგრამ მასპინძლებმა მის ხმას გასაღები რომ ვერ მოუძებნეს, ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა.

ვახშამმა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. როცა დღიური შთაბეჭდილებებით გადაღლილმა სტუმარმა პირველად ჩაჰკიდა თავი, ომარმა თვალით ანიშნა და ქალბატონმა კირამ სასტუმრო ოთახში ლოგინი გაშალა. მასპინძლები მხარში შეუდგნენ და სტუმარი მისთვის განკუთვნილ საწოლზე ჩამოსვეს. სასთუმალთან სკამი მიუჩოჩეს, სკამზე „ბორჯომი“ და ჭიქა დაუდგეს, სინათლე ჩაუქრეს და თვითონ ვალმოხდილები საწოლ ოთახში გაიკრიფნენ.

აბლოთი ცოტა ხანს უაზროდ მისჩერებოდა გამორთულ ტელევიზორს, მერე სწრაფად გაიხადა და საბანი თავზეც წაიფარა. ცოტა ხნის შემდეგ სასტუმროში ომარი შემოვიდა. საბანში ჩაკარგული სტუმარი არ დაიხრჩოსო, ცხვირპირი გამოუჩინა, ზეწარი ზურგთან შეუკეცა და გავიდა.

– გძინავს? – კარგა ხნის შემდეგ ჰკითხა კირამ ქმარს.

– რა იყო? – ომარმაც ვერ დაიძინა.

– მაინც უცნაური კაცი ხარ, რომ გითხრა გეწყინება.

– რა მოხდა? – ომარი თავდაღმა იწვა და ცოლისთვის პასუხი რომ გაეცა, ტუჩები გვერდზე სასაცილოდ უნდა მოეღრიცა, თანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ შუაღამეგადასულზე მუსაიფის დრო სრულებითაც არ იყო.

– რომ მოგყავს ეს უცნობი კაცი ოჯახში, ეგება ბანდიტია,. ადგეს შუაღამისას და გამოგვჭრას ყელი ორივეს, არ ყოფილა შემთხვევა თუ?

– კაი, შე ქალო, რა უგავს ყელის გამომჭრელს, ხომ ხედავ რა წესიერი და კულტურული კაცია.

– საწყალი. ყაჩაღი კი ვერ მოგაჩვენებს თავს ორი საათით წესიერად.

– რაღაცაში მაინც გაიყიდება. ხომ ხედავდი, რა კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში. ზეპირად ჩამოთვალა მიქელანჯელოს და ლეონარდოს ნახატები.

– და აქედან დაასკვენი, რომ დიდი მომზადებული კაცია?

– არა, ახლა, ქურდი, მეტი არა აქვს საქმე, შენი გაძარცვის გულისთვის მსოფლიო ცივილიზაციას ეზიარება.

– რავა ჩამორჩი მთლად. შენ ქურდი მარტო კალისტრატე მამაგეიშვილი გგონია, სარდაფებში რომ დაძვრებოდა და კვერცხს იპარავდა საბუდრიდან.

– ერთს ვიტყვი ახლა მე. – გადმობრუნდა ომარი.

– თქვი.

– რატომ თვითონ არ შეეშინდა? მე, უცხო კაცს, რომ მომყავს სახლში და მომყვება ცხვარივით, ეგება მე ვარ ბანდიტი და მე ვჭრი ყელს.

– შენ ბანდიტიც რომ იყო, რისი ხათრით გამოჭრიდი ყელს. – კირას გაეცინა – დაწნული ქამარი რომ უკეთია? თუ კედები რომ აცვია უწინდებოდ?

– ნუ იკრიჭები. კაცია ქვეყანაზე და იმიტომ გვენდო. ხალხის ცნობა იცის და იმიტომ წამომყვა. იცის მაგან – ჩვენმა კაცმა სტუმრად თუ მიგიღო, თავს განაცვალებს.

– მაინც არ შეიძლება ასე, უცხო კაცის შემოშვება სახლში, რომ რამე მოუვიდეს! ეგება ბნედიანია. ეგება ღვინომ აწყინოს და ჩაგვაკვდეს ხელში, მერე? ამტკიცე შენი სიმართლე.

– კაი ქალო. დამაძინე. საქმე არაფერი გაქვს? არ წამჭამა ყურები? – ომარი ისევ მუცელზე დაწვა, რითაც ცოლს აგრძნობინა, საუბრის საათი დამთავრებულიაო.

ოჯახის მამას მალე ჩაეძინა. კირამ კი ერთხანს იწრიალა ლოგინში. მერე როცა დარწმუნდა, რომ ქმარს ღრმად ეძინა,

ფრთხილად, ფეხაკრეფით წამოდგა და საწოლი ოთახის კარები ყოველ შემთხვევისათვის, შიგნიდან გადაკეტა.

დილით ცოლ-ქმარს ადრე გაეღვიძა, მაგრამ კაი ხანს არ ამდგარან, სტუმარს კარის ჭრიალზე არ გაეღვიძოსო. ცხრა დაწყებული იყო, კირამ რამდენადაც მოუხერხდა, შეუმჩნევლად რომ შეაღო სასტუმრო ოთახის კარი, რაშია საქმე, რომ არაფერი ისმისო. სტუმარი საწოლსა და სერვანტს შორის კედელთან თავდაღმა იდგა. მან მორცხვად გაუღიმა დიასახლისს, აქაოდა ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთ უხერხულ პოზაში შემომისწარით, მაგრამ რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვსო. შეცვლით კი, რაც მართალია თავისი სხეულის მდგომარეობა არ შეუცვლია. კირამ ბოდიში მოიხადა და კარი გაიხურა. რაკი ყველაფერი რიგზეა და სტუმარიც კარგად არის, რა ვქნა, ახლა, როგორც გაეხარდება, ისე იდგესო.

კირამ ახალი ხორცი მოარბენინა. სუკები შეწვა. გუწინდელი მონარჩენიც შეათბო-შეალამაზა და გემრიელად ისაუზმეს. სტუმარმა ნასაუზმევს ომარის ბინის გულმოდგინედ დათვალიერება გადაწყვიტა. ომარს სამოთახიანი დაბალჭერიანი საუწყებო ბინა ახალი მიღებული ჰქონდა. აბლოთი კმაყოფილი დარჩა. რა სჯობია ცალკე ბინას, ამდენი წელია ყვავეთში ვცხოვრობ და იზოლირებულ ბინას ვერ ვეღირსე, ოთახი მაქვსო. როგორ მსიამოვნებს, რომ თქვენ ასეთი კარგი ეკონომიური პირობები გაქვთო, როცა კაცს ბიუჯეტი საშუალებას აძლევს, სტუმარიც მაშინ უხარია, თორემ გაუთვალისწინებელი ხარჯები ოჯახს წელში ტეხავსო. ამაზე მასპინძელს გაეცინა და თავის მხრივ მიუგო, მართალია ბინას არა უშავს, მაგრამ ქუჩის პირასაა და ხმაური ძალიან გვაწუხებსო. სტუმარს სახე გაუნათდა, ხმაურის პრობლემა უკვე გადაიჭრაო, თქვა მან. ჩვენთან, ყვავეთში, ყველა მაღაზიაში შეიძლება იყიდოთ ყურსაცობი. ეს გახლავთ რბილი, ხმაურგაუმტარი ქაღალდი, ოცდათოთხმეტი კაპიკი ღირს ორმოცდაათი ცალი. დაწოლის დროს შეიტენეთ ყურებში და გარეთ ბომბიც რომ გავარდეს, ვერ გაიგონებთო. ცოლ-ქმარს გაკვირვება და მუდარა ერთად რომ გამოეხატათ სახეზე, აბლოთმა მაშინვე დაუმატა: ერთ კვირაში ყვავეთში ვიქნები.

ჩავალ თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნითო. მასპინძლები ამ დაპირებით უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ.

ომარმა სამსახურიდან თავი გაინთავისუფლა და მთელი დღე არ მოშორებია ძვირფას სტუმარს. რისი ჩვენებაც ერთ დღეში შეიძლებოდა, ყველაფერი აჩვენა, მოატარა მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები, მატერიალური კულტურის ძეგლები. გოგირდის აბანოებშიც ჰყავდა. მზე კარგა გადასული იყო, როცა შინ დაბრუნდნენ, ისადილეს. სტუმარმა ერთ საათს წავიძინებო, განაცხადა და მასპინძელს სთხოვა, რვა საათზე გამაღვიძეთ, ყვავეთის მატარებელს უნდა მივუსწროვო.

გამომშვიდობებისას ქალბატონმა კირამ მისამართი და ყურსაცობის ფული გამოუტანა სტუმარს, აბლოთმა მისამართი გამოართვა, ფულზე კი უარი თქვა, რაღაც კაპიკები ღირს, ერთი სამი ცალი ჩემს ხარჯზე იყოს, თუ მოგეწონათ, მერე გამოგზავნეთ ფული და რამდენიც გაგეხარდებათ, იმდენს გიყიდითო. ომარმა ლიფტით ჩააცილა სტუმარი და როცა ამობრუნდა, ცოლი კარებთან ელოდებოდა.

– კი მარა თავისი მისამართი არ დატოვა? – იკითხა კირამ.

– არა.

– ვერ უთხარი?

– თვითონ არ გაახსენდა და მე ხომ არ ვეტყოდი. ყურსაცობებს რომ გამოგვიგზავნის, ალბათ მისამართსაც მაშინ გაგვაგებინებს.

კირამ გაიფიქრა, რაკი ფული არ გამოგვართვა, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგან ყურსაცობი არ გამოგზავნოსო, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, იქნებ ვცდები და რატომ დავიდო ცოდვა, რატომ გავლანძღო ეს პატიოსანი კაციო.

* * *

ამის შემდეგ ორი წელი გავიდა.

– მომკლა პირდაპირ ამ ხმაურმა, აღარ ვარ ქალი – ლოგინში წამოჯდა სისხამ დილით ქალბატონი კირა – ჩაკეტავ ყველაფერს და უჰაერობა მოგკლავს, არადა ეს გრუხუნი გაგაგიჟებს. გადავცვალოთ, გადავიდეთ აქედან, თუნდაც ამის ნახევარი ბინა იყოს, ოღონდ წყნარად, ჩემს გემოზე დავიძინო.

– გახსოვს, კაცი რომ მოვიყვანე და რომ დაგვპირდა, ყურსაცობს გამოგიგზავნითო?

– კი.

– რა ერქვა?

– აღარ მახსოვს, ისე შეურცხვა ცხვირი, მაგი კაცი იყო და ქუდი მაგას ეხურა?

– სულ ვფიქრობ, ალბათ, რაღაცით არ მოვეწონეთ, ალბათ, რაღაცაში შევცდით. ვერ ვეცით იმ კაცს ისეთი პატივი რავარც ეკადრებოდა და გულნაკლული წავიდა-მეთქი.

– რაც შეგვეძლო, არ დაგვიკლია და თან ვერ გადავყვებოდით.

– არა, რატომ მოიქცა ასე ღორულად? იმ წუთში მივხვდი ყველაფერს, თავისი მისამართიც რომ არ დატოვა.

– რა მისახვედრი ეგ იყო, შე კაცო. იფიქრა იმ კაცმა – გადამაყოლებენ ახლა ამ ერთ პატივისცემასო. რამდენჯერაც ყვავეთში ჩამოვლენ, მე მომაკითხავენ და გაიხდიან ჩემს ბინას სასტუმროდო. არ უნდა დღეს შემწუხებელი, არავის არ უნდა.

– ვინ იყო, ქალო, მაგის შემწუხებელი. პირიქით, იქით ვცემდი პატივს. სასტუმრო გაწყდა ყვავეთში, მაგის ერთ ოთახში რომ არ შევტენილიყავით? მეტი არ გვესმის ჩვენ?

– იმან რა იცის შენ რა გესმის, იმ კაცს ასე ეგონა.

– ჩვენ მაინც ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ჩვენ ასე უნდა მოვქცეულიყავით. დღეს რომ შემხვდეს ჩამოსული, უბინაო კაცი დღესაც ასე არ ვიზამ? აბა რაი, სად ვარკვიო, ვის ეკუთვნის და ვის არა, ღმერთმა ყველას თავის ჭკუაში და გაგებაში მოუმართოს ხელი.

პერანგისამარა ქალბატონი კირა იჯდა საწოლზე და ტანსაცმლის კარადის თავზე დადგმულ ღვთისმშობლის ხატს შეჰყურებდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული რომ უსაზღვროდ კეთილი, მაგრამ მაინც ცოტა გულუბრყვილო და უცნაური ქმარი ჰყავდა.

დარდი

– თქვენი რომელია? – ჰკითხა კარლო კილურაძეს ბორდოსფერთმიანმა, ცისფერთვალება, ლამაზმა ქალმა, რომელსაც ხელში ბავშვის მოსასხამი და ბოტები ეჭირა.

– კუთხეში, სკამთან რომ დგას.

– მწვანეშარვლიანი? რა კოხტა ბიჭია!

– არა, ჭრელსვიტრიანი.

კარლო ისე ღელავდა, რომ არც კი შეუმჩნევია, როდის დაჯდა ეს მომხიბვლელი ქალი მის გვერდით. სოცდაზღვევის აგენტი უყურადღებო კაცი არ იყო და სხვა დროს ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა; თუ უცნობი გულცივი აღმოჩნდებოდა, კარლო თავისას მაინც ეცდებოდა, მაგრამ ახლა კილურაძეს სხვა ცეცხლი სწვავდა. პიონერთა სასახლის გრძელ დერეფანში, ხის ლურჯ მერხზე ჩამომჯდარ მშობლებს იგი სხვა თვალით უცქეროდა. კონკურენციის უძველესი კანონი კარლოს თავის თავზე ასე მწვავედ არასოდეს გამოუცდია. ცეკვის წრეში ჩაწერის მსურველი ბევრი იყო. ამ პატარა ანგელოზთაგან ქორეოგრაფ ტრისტან მანჯგალაძეს ხელოვნებისათვის დაბადებული რამდენიმე ბავშვი უნდა შეერჩია.

– თქვენი გოგონაა თუ ვაჟი? – ისე, ზრდილობისათვის ჰკითხა კარლომ გვერდით მჯდომს.

– გოგონა, აბა თუ გამოიცნობთ, რომელია? – თვალები ააჟუჟუნა ქალმა.

„გამიჩნდა საქმეო“, გაიფიქრა კარლომ და უხალისოდ დაუწყო დარბაზს თვალიერება. აგერ დგას მისი გოჩა, მისი იმედი. სახლში დიდი რომ ეჩვენებოდა, აქ ამ ბავშვებში, ერთი ციცქნა ჩანს. თანაც რა უმწეოა. სხვები ვერცხლისწყალივით იცვლიან ადგილს, გოჩას კი ჩაუვლია სკამისთვის ხელი და დგას. მამამისისკენ ისე საწყლად გამოიხედავს ხანდახან, თითქოს თვალებით ეუბნება: „შენ რა გითხრა მამაჩემო, სად მომიყვანე, რა მჭირდა ამგენის გამოსაცდელი მეო“.

მიღებით უსათუოდ მიიღებენ. გოჩასთანა აზრიანი და ნიჭიერი აქ ვინ იქნება, ნეტავ ჩქარა დამთავრდეს ეს მძიმე წუთები. შენ წაიყვანე, კაცი ხარ და ყურადღებას მოგაქცევენო. ზედაც ვინ გიყურებს. მშობლებს შიგნით არ გვიშვებენ და არაფერი. წამოეყვანა თვითონ. კაცი რომელია ახლა აქ, ჩემ გარდა.

ერთი სიტყვით, კარლო კიღურაძე ამ ახალ ამპლუაში თავს უხერხულად გრძნობდა.

– ვერ მიხვდით? – გამოაფხიზლა ცისფერთვალებამ. „ნეტავი შენ, თამაშის ხასიათზე ხარ“, – გაიფიქრა კარლომ.

– ახლავე, ქალბატონო, ჯერ ვეძებ, ბიჭია?

– ხომ გითხარით, გოგონაა – გაბუტული ხმით შეახსენა ლამაზმა დედიკომ.

– ოჰ, უკაცრავად, მე ბიჭებში ვეძებდი, თქვენი შვილი, ქალბატონო, მე თუ რამე მესმის, ეს წითელფეხსაცმლიანი ჩიტი უნდა იყოს.

– რომელი? წითელფეხსაცმლიანი იქ ორია, – დატკბა ქალი.

– წინ რომ მიდის, ბანტიანი.

– სწორია! – ტაში შემოჰკრა ქალმა.

მშობლებმა მოიხედეს.

კარლოს შერცხვა და თავი ჩაქინდრა. გამოსაცნობი აქ, კაცმა რომ თქვას, არა იყო რა, გოგონა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა დედამისს.

დარბაზში დოლი აბრაგუნდა.

ცნობისმოყვარე მშობლები წამოხტნენ და კარს მიცვივდნენ, მაგრამ წყალგადასხმულივით უკანვე გამოტრიალდნენ და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. კარში მდგომმა ქორეოგრაფის თანაშემწემ თავი გამოჰყო და გამოაცხადა: „მშობლებს ვთხოვთ კართან ნუ გაჩერდებით, თორემ იძულებული გავხდებით შევწყვიტოთ კონკურსი. ნუ გეშინიათ, ნიჭს არავის დავუკარგავთ, ჩვენთვის ყველა ბავშვი ერთია!“ თანაშემწემ პასუხისმგებლობა თავის თავზე სულ ტყუილად აიღო, ტრისტან მანჯგალაძე მას ბევრს არაფერს ეკითხებოდა. ამ მზარდი ქორეოგრაფის მოვალეობა გახლდათ კარში მდგარიყო და აღტყინებული მშობლებისათვის გზა გადაეღობა.

– რა ხდება შიგნით, ქალბატონო? – მიუბრუნდა კარლო ცისფერთვალება მზეთუნახავს, რომელიც ეს-ეს იყო, კარზე

მორიგი შეტევიდან მობრუნდა და უკმაყოფილო ბუზღუნით მოკალათდა ძელსკამზე.

– ათ-ათად ამწკრივებენ. ჩემსას, როგორც გადავთვალე, მესამე ჯგუფში უწევს, თქვენი, შეიძლება, ამის შემდეგ გავიდეს, უფრო ახლოსაა. აღარ შემიძლია ამდენი ნერვიულობა, ა, ნახეთ, ხელები გამიცივდა.

კარლომ თითებში მოიმწყვდია ქალის თეთრი, ფუნჩულა ხელი და მანამ არ გაუშვა, სანამ თვით ცისფერთვალებას არ გაახსენდა, რომ უცხო მამაკაცთან ასეთ მდგომარეობაში ყოფნა სხვა თვალისათვის ცოტა უხერხული იყო.

– „ახლა გაფასებთ მამაჩემო და დედაჩემო, – ფიქრობდა კარლო კიღურაძე, – რანაირად გაგვზარდეთ ეს ოთხი შვილი. მე ერთი კინკილა ბავშვისთვის ვერ მომივლია, ამის გამძლები ვარ მეე? ყელი გამიშრა დარდისაგან. ჯერ სირცხვილი სირცხვილად. ამხელა კაცი ვგდივარ და იმაზე ვიხეთქავ გულს, მოეწონება თუ არა ტრისტან მანჯგალაძეს ჩემი შვილი. კაი, ჩემი თუ გინდა, ნიჭიერია და მიიღებენ, მარა სხვები? ყვავსაც თავისი ბახალა უყვარს. ყველას თავისი ჰგონია ქვეყნის უკეთესი. არ გინდა ამგენის ბოღმით სავსე თვალებს შეხედო, როცა გამოაცხადებენ – კიღურაძე მიღებულია, ხოლო ამას და ამას უარი ეთქვაო? რა დააშავეს ბავშვებმა? აქ ცეკვაზე კი არაა საქმე. დღევანდელი აქ დამარცხებით საკუთარი შვილისადმი და საკუთარი თავისადმი რწმენას ჰკარგავ. რავარ ჭკუაზე მივა ის მშობელი სახლში, ცხოვრებაში პირველად რომ გამოიყვანა არენაზე თავისი პირმშო და პირველ დღესვე რომ დაუბრაკეს. აქ ძაღლების გამოფენა კი არ არის. თუ მედალი ვერ მიიღო, მეორე დღესვე რომ გაყიდი და უკეთესი ჯიშისას შეიძენ. აქ, ჩვენ, ჩვენი შვილებით ვართ მოსული. ტრისტან მანჯგალაძეს ალბათ ყელში აქვს ამოსული ბავშვები. რა ცივი ხმით უღრიალა წეღან კედელთან თიკნებივით მობუზულებს, აქეთ გამოდითო, ერთი აბა ჩვენ გვკითხოს? ესენი ჩვენი ბარტყებია, ყველაზე სუფთა, ყველაზე ძვირფასი, რაც კაცს გააჩნია ამ ქვეყანაზე, ტრისტანის დაღრიალება და წაჯიკავება მინდა ახლა მეე? იმნაირს წავუჯიკავებ, რომ დედამისმა ველარ იცნოს!“ – კარლომ თვითონვე იგრძნო, რომ ნერვებს აჰყვა და ღრმად შეტოპა, ამიტომაც უკან დაიხია და სხვა არხში გადააგდო ფიქრთა მდინარება.

– ნუ იჭიმები გლახათ, – უსაყვედურა თავის თავს. – არა, ახლა, რაკი შენი შვილია, ხელის გულზე დაისვამენ. ნუ გეშინია, კიდეც თვალებს გადმოუქაჩავენ და თავშიც კარგად წაუტყაპუნებენ, როცა საჭიროა. წინასწარ რად ითხრი თვალებს თხუნელასავით. ჯერ გითხრა უარი ვინმემ? ჯერ სადა ხარ! არ გახსოვს, საბავშვო ბაღში მიღებაზე შენმა ცოლმა ცა და ქვეყანა რომ ააწრიალა? შენ მაშინ თავი არ შეგიწუხებია, ვერ მოიცალე, ა, იჯექი ახლა და იწვნიე რას ნიშნავს შვილი. ამნაირ დღეში ბევრჯერ აღმოჩნდები. ჯერ პატარაა, წამოიზარდოს და მერე ნახე, თუ მეტი ვაჟკაცი არ ხარ და მეტი თავდაჭერა არ შეგიძლია, რად გინდოდა შვილი? ყოფილიყავი ქვეყნის სასაცილო „ხალასტიაკი“, რავარც იყავი ოცდათვრამეტ წლამდე“.

სოცდაზღვევის აგენტმა თავი შეაკანკალა, ამ უსიამო ფიქრთაგან რომ განთავისუფლებულიყო. ბოლოს თავისი თავი დაარწმუნა: „მიღებით ჩემს შვილს კი მიიღებენ, მაგრამ მე ახლა იმაზე ვწუხვარ, გამარჯვებული სახით აქედან როგორ გავიდე, ამ უსათნოესი დედების შურით ავსებულ თვალებს სად დავემალო, დამარცხებული მშობლები ხომ უსათუოდ იფიქრებენ, კაცია და ჩააწყო, ალბათ, თავისი შვილის საქმეო“.

– ოჯახობამ არ მომასვენა თორემ კი არ მინდოდა ჯერ მაგის ცეკვა, კონკურსში გასვლა – განაღდებული კაცის იერით უთხრა კარლომ მუჭის სარკით გართულ მეზობელს.

– რატომ, რამდენი წლისაა? – სარკე ჩანთაში ჩადო და საკეტი დაატკაცუნა ცისფერთვალებამ.

– ექვსისაა ჯერ, გაისად ნოლ ჯგუფში მიდის. მეშინია, არ დაიჩაგროს ამდენი დატვირთვით.

– არა, რატომ? – ყოვლისმცოდნის იერი მიიღო ქალმა, – სწორედ რომ დროა – საერთოდ, ცეკვას ბავშვი, რაც ადრე ისწავლის, უკეთესია. მერე საბალეტო სკოლაში არ გაუჭირდება. ჩემიც ექვსისაა...

– თქვენი დიდია ტანად, ქალბატონო, და ჩემი რაღაც დაკოინებულივითაა.

– ჩემი მამისკენაა, მამა ყავს მაღალი.

კარლოს ძალიან აინტერესებდა, ვინ იყო და რა მოხელე იყო ამ მშვენიერი ქალის ქმარი, მაგრამ ამ ხაზით საუბრის

გაგრძელება ეუხერხულა და ისევ ბავშვების მომავლის ნაცად თემას დაუბრუნდა.

– საბალეტო სკოლაშიო, თქვენ ბრძანეთ?

– დიახ.

– ბალერინად აპირებთ თქვენი ქალიშვილის გაზრდას? – სინანულგარეული ხმით, დინჯად ჰკითხა კარლომ.

– აბა რა, როგორ, თქვენი არ გაჰყვება ცეკვას?

– არა, ქალბატონო, გოგოსთვის კიდევ ჰო და ბიჭს ბალეტში ვერ მივიყვან. ეს ერთი მყავს, სხვაც რომ მყავდეს, კიდევ ჰო. ბალეტისთვის გავაცდენ ბავშვს?

– თქვენ რა იცით, რას იზამს. იქნებ ისეთი ნიჭი აღმოაჩნდეს, რომ ქვეყანა გააოცოს. ნიჭს წინ რა დაუდგება! იქნებ დღეს თქვენი შვილის სახით დიდი მოცეკვავე იბადება! – პათეტიკურად თქვა ქალმა.

კარლო, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, ნეტავ ფეხი მომტეხოდა და აქ არ მომეყვანა. ვაითუ, ბალეტის მოცეკვავე გამომივიდეს და დავღუპო ბავშვიო.

მართალია, ამ საუბრიდან მკითხველს კარლო კიღურაძე ჩამორჩენილი კაცი ეგონება, მაგრამ დაბეჯითებით ვარწმუნებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბალეტის საკითხშია კარლო, ცოტა არ იყოს, გაუნათლებელი, სხვა მხრივ, მისი მდგომარეობის შესაფერისად, კულტურულიცაა და განათლებულიც.

ცისფერთვალება ვერ ისვენებს. ადგება, კართან მივა, ერთხანს მომავალ მოცეკვავეებს ათვალიერებს, თავის გოგოს მოუხმობს, ცხვირს მოსწმენდს, თმას გადაუვარცხნის, ერთ-ორ გასამხნევებელ სიტყვას ეტყვის, წელს ქვემოთ ხელს მოუტყაპუნებს და ისევ არენაზე დააბრუნებს. მერე ხელების ფშვნეტით ვიღაცას გამოელაპარაკება, ამასობაში თითქოს რაღაც აუცილებელი საქმე აქვსო, კარლოსაკენ გამოიქცევა და გვერდით მოუსკუპდება.

კარლოს თავი ისე ღრმად დაუხრია, თითქოს გრძელ, გამჭვირვალე ცხვირს უბეში მალავდეს. ერთმანეთზე გადაბმულ ხშირ, შავ წარბებქვეშ შემუდრულ თაფლისფერ თვალებს ხანდახან მზვერავივით, თავის აუწევლად მოავლებს იქაურობას, მერე ისევ თავის წალმის მსგავსად თხელ და მოქნილ თითებს დაუბრუნდება.

როცა მცირე შესვენების შემდეგ, დოლი ახალი ძალით აბრაგუნდა, მზეთუნახავმა ხელი სტაცა – ახლა თქვენი ბავშვის რიგიაო, ჩაჰყვირა და გაოგნებული კარლო დარბაზისაკენ გაარბენინა.

ქორეოგრაფის თანაშემწის კატეგორიულ უარს ყურადღება არ მიაქციეს, ნახევრად ღია კარში ჩადგნენ და ყურადღებად იქცნენ.

გოჩამ მამამისი შენიშნა, გაუცინა და ხელი დაუქნია.

– რატომაა ასე გამხდარი? – დაინტერესდა ცისფერთვალება მშობელი.

– არ ჭამს არაფერს – განზე გაიხედა კარლომ. რადგანაც ეს ყურადღებიანი დედიკო წინ, საკმაოდ საშიშ მანძილზე ედგა და მისი რბილი, საყვარელი თმების სურნელი პირდაპირ ტვინში სცემდა.

– იცის ბავშვმა ასე ხანდახან. ჩემი გოგო ზამთარში სუქდება და ზაფხულში ისე გახდება ხოლმე, რომ ლოყებში ლანდი გასდის.

ვერც მოზარდის გასუქება-გახდომის თემით დააინტერესა ქალმა კარლო, ლამაზი ყელი გაბუტულივით მოიღერა და კვლავ დარბაზს დაუბრუნდა.

ტრისტან მანჯგალაძემ „შემდეგი ათი“ გამოიყვანა, ხაზზე ჩაამწკრივა, თვითონ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია, მედოლეს ხელი აუქნია და შეშინებულ პატარებს ილეთი უჩვენა. ილეთი, კაცმა რომ თქვას, ძნელი არ იყო. ქართული ცაკვის რიტმზე გაშლილი მარჯვენა მკლავით და მკერდთან მოხრილი მარცხენით, ცეკვის ხვალინდელ ჯადოქრებს წრეზე უნდა ევლოთ.

– მივიღოთ ყველამ საწყისი მდგომარეობა! – ბრძანა ქორეოგრაფმა და დოლს ისევ აუქნია ხელი – სამამდე რომ დავითვლი, დავიწყებთ!

„საწყისი მდგომარეობა“ ყველამ მოხდენილად ვერ დაიჭირა. მარჯვენა ხელის საკითხი შედარებით იოლად გადაწყდა, მარცხენა კი ზოგს მაღლა ეჭირა, ზოგს კი ნაშურდულევი ბელურას ფრთასავით ჩამოეგდო ძირს.

– ერთი! ორი! სამი! – დაიღრიალა ტრისტან მანჯგალაძემ და ბავშვები ერთბაშად მოსწყდნენ ადგილს.

გოჩა მამამისს შესცქეროდა და დოლის უეცარმა ხათქა-

ხუთქმა თითქოს თავზარი დასცაო, დააბნია. ჯერ მარცხენა ხელი აიწეპა მკერდზე და მარჯვენა მიაყოლა. ბოლოს ორივე ხელი უმწეოდ აიხუტა გულზე და ამასობაში წინ საკმაო მანძილზე წასულებს დაედევნა. გაქცევა ვერ მოზომა და უკანა ბავშვს დაეჯახა. დოლი შეუბრალებლად ბრაგუნობდა. გოჩა თავისი პატარა ნაბიჯებით თავდაუზოგავად მისდევდა მოცეკვავეებს და თან მამამისს თვალს არ აცილებდა, მაგრამ უეცრად ტრისტან მანჯგალაძის ღონიერი ხელი მოხრილ მკლავში სწვდა და შეაჩერა. გოჩამ ღიმილით ამოხედა ქორეოგრაფს და თავისი ფართო, ცისფერი თვალები მადლიერებით მიაპყრო.

– დაისვენე! – მკაცრად უთხრა მანჯგალაძემ და კედლისაკენ წაიყვანა. კონკურსის ცხრა მონაწილე კიდევ დიდხანს დარბოდა წრეში. გოჩა კი ბედნიერის იერით იდგა კედელთან და მამამისის გაფითრებულ სახეს რომ ხედავდა, უკვირდა.

* * *

...თავზე დოლჩამოხეული ქორეოგრაფი, ტრისტან მანჯგალაძე – „მილიცია“, „მილიციას“ ბღავილით კიბეზე კისრისტეხით რომ ჩარბოდა, მშობლები საშინელმა პანიკამ შეიპყრო. იმდენად ტრისტან მანჯგალაძე არ ეცოდებოდათ, რამდენადაც კონკურსის ჩაშლის ამბავი აშფოთებდათ.

გულადუღებულმა კარლო კიღურაძემ კი ყველას თვალწინ, თითქოს უჩვეულო არაფერი ჩაედინოს, აუჩქარებლად ჩააცვა თავის შვილს და უკანა გასასვლელით ქუჩაში გაიყვანა.

მისთვის ახლა სულერთი იყო, რა ელოდა ამ „ხულიგნური საქციელისათვის“. გოჩასთვის ხელი მაგრად ჩაევლო და ფერწასულ ბავშვს თითქმის ძალით მიათრევდა. გოჩას ხელი სტკიოდა, მაგრამ თავის ახირებულ მამას შიშით ვერაფერს ეუბნებოდა.

კარლო კიღურაძეს ბოღმისაგან გულ-მუცელი ეწვოდა.

გუჯუ

გუჯუ მაისურაძე ალაყაფის კართან იდგა და ღრიჭოდან მწვანეში ჩამჯდარ, თეთრ, ოთხსართულიან შენობას შეჰყურებდა. გაბარჯღულ ჭადრებს შორის რას დაინახავდი. დაკეტილ ფანჯრებს მიღმა კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გუჯუს ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა ხდებოდა იმ სახლში. ნახევარი წელი მალე შესრულდებოდა, რაც დობორჯგინიძის ქუჩაზე ეს ახალი დაწესებულება გაჩნდა და დანამდვილებით ვერავინ უთხრა გუჯუს, რა დაწესებულება იყო. დღეს შესვლაც სცადა, პირდაპირ, უცერემონიოდ შეაღო ჭიშკარი, მაგრამ ჯიხურიდან ხაკისფერშარვლიანი, სათვალიანი მოხუცი გამოვიდა და საშვი მოსთხოვა.

– უსაშვოდ არ შეიძლება?

უკან გაბრუნებას არ აპირებდა გუჯუ.

– არა, ბატონო. საიდან ბრძანდებით?

– ამ ქუჩაზე ვცხოვრობ, მეხუთე მოსახლე ვარ აქედან.

კარისკაცი დამშვიდდა.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უსაშვოდ მაინც არ შეიძლება.

– საშვს ვინ იძლევა? – დაინტერესდა გუჯუ.

– დირექტორი, ან მოადგილე. თქვენ ვისთან მიბრძანდებით?

– ჩემთვის სულერთია. საქმე კი არაფერი მაქვს, ისე მაინტერესებდა, რა ხდება შიგნით.

– შე კაცო, – ყურებიანი, დაბამბული ქუდის ქვეშ კეფა მოიფხანა დარაჯმა, – ფარსაგი არ მეგონა? მაგის გასაგებად მოხვედი ამ ყიამეთში?

მართლაც რომ უსიამო ამინდი იყო. თებერვალი ხვამლეთში საერთოდ თბილი იცის, მაგრამ, თუმცა ზამთრის ეს ბოლო თვე დღეებს ითვლიდა, თვით ზამთარი კი გვერდის შექცევას არ

აპირებდა. მზე მხოლოდ შუადღისას გამოიჭყიტებოდა და ისიც ნახევარი საათით, ქარი ძვალ-რბილში ატანდა. მართლაც და, თუ აუცილებელი საქმე არ ჰქონდა, ახლა ჭკუათამყოფელი კაცი თბილ ღუმელს არ მოშორდებოდა. ამიტომაც ქუჩაში იშვიათად თუ გაირბენდა ქარსიცივისაგან ლოყაალეწილი მგზავრი.

– აბა, ვერ უნდა გავიგო, რა კეთდება ამ ჩემს ქუჩაზე? – გულწრფელად იკითხა გუჯუმ.

– რად გინდა, ჩემო იმანო, ამის გარდა ყველაფერი იცი ამ ქვეყანაზე? – დაამშვიდა კარისკაცმა მოცლილი მეზობელი.

– რაც არ ვიცი, არ ვიცი, მარა მთლად ასეც ხომ არ შეიძლება. თუ არ შეიძლება, ესეც გვითხრან და გვეცოდინება, რომ არ შეიძლება და არ ვიკითხავთ, ბატონო. აგერ ვცხოვრობ-თქვა, ქე გითხარით, მეხუთე მოსახლე ვარ.

– რა მოხელე, ბრძანდებით?

– რა მნიშვნელობა აქვს. უბრალო კაცი ვარ მე, მეწაღე გახლავართ. იმისი არ იყოს, ოთხი მოსახლე აყარეს ამ ადგილას. ბინა გლახა ადგილას კი არ მიუციათ, მარა ჩვენ გული დაგვწყდა. ხომ იცი, რას ნიშნავს შეჩვეული მეზობლები. მერე, ჩემო ბატონო, ჯერ ეს უშველებელი ჭიშკარი მოიტანეს და დადგეს. რა საჩქარო იყო ჭიშკარი. ჭიშკარს ჩვენში სახლს რომ ააშენებენ, მერე შეჭედავენ ხოლმე, თვალისწამას ააშენეს ეს შენობა და შეიბუდრნენ შიგ ქათმებივით. არც ამბავი, არც ხაბარი. ვიღაც პორთფელიანი კაცები მოგრიალდებიან დილას ავტობუსით, ერთმანეთს ასწრებენ კარში, მოვა ხუთ საათზე ისევ ის ავტობუსი და წაიყვანს უკან. კითხვა ხომ არაა სირცხვილი? ამდენი ხანია ვყარაულობ და აქედან გამოსული ვერავინ გამოვიჭირე, რომ შეკითხვა მივცე, ლოთიანად რას შვრებით, რა ხდება შიგნით-მეთქი.

– არაფერი საინტერესო არ ხდება, შიგნით, ბატონო. ოთხ შვილიშვილს ვფიცავარ, თუ რამე ვიცოდე და დაგიმალო. დასათვალიერებელი ნამდვილად არაფერია.

– მაინც, მაინც? – ყურს ხელი მიახმარა გუჯუმ.

– ოთახებია პატატრვანი. მაგიდებს უსხედან. ზოგი ახალგაზრდა, ზოგი ასე, ჩემი ხნისაც ქეა და წერენ. რას სწერენ,

რა ვიცი. მე ვინ მეტყვის. რაცხა კვლევითი ინსტიტუტიაო, მეცნიერები მუშაობენ შით. ესაა სულ.

– აგაშენა ღმერთმა, – გუჯუმ ტყავის ჯუბაჩა გაიხსნა, გალიფეს შარვლის ჯიბეში მარცხენა ხელი ჩაიყო და მარჯვენათი ბოხოხი შუბლზე ჩამოიწია, – მერე ამას დარაჯობ ეს თოფიანი კაცი?

– მეც მიკვირს, სიმართლე გითხრა. უსაშვოდ არ შეიძლება შესვლაო და რა მენაღვლება მეც.

გუჯუმ წაქისფერი თვალები ჯერ ფართოდ გააღო, მერე მოჭუტა და ირონიული ღიმილით გახედა დარაჯს.

– დავიჯერე ახლა ყველაფერი, რავარც იტყვი, იმ წუთში. – ბოხოხი იშვლიპა, – შემხედე თავზე, არც მე ვარ გუშინდელი ბჟიტი, კაი ჩოჩორი ვარ მეც. ნუ გეშინია.

– ოთხი შვილიშვილი დავიფიცე, ბატონო, და ჩემს ბოვშებს შემოევლო ეს ინსტიტუტი თავის დირექტორიან-მეცნიერებიანად. ამგენის გულისთვის ჩემს ჩიტებს დავიფიცებ ტყუილზე?

– შემიშვი, აბა. მივივლ-მოვივლი პატარას და გამოვალ გარეთ.

– აიღე საშვი და შებრძანდი, – ცოტა არ იყოს ნაწყენი კაცის იერით უთხრა მოხუცმა.

– საშვს ვინ იძლევა? – უკან დაიხია გუჯუმ და ჭიშკრის რკინის მოაჯირს ტალახიანი ჩექმა დაუსვა.

– ხომ გითხარი, დირექტორი ან მოადგილე.

– მერე? მომცენ, აბა.

– რომელს იცნობ შენ?

– არც ერთს.

– ჰოდა, გამარჯობა შენი. ჯერ ერთი, პასპორტი გაქვს?

– რათ მინდა პასპორტი? – გუჯუმ დოინჯი გაიკეთა.

– ასეა წესი, ბატონო. ეს წესი ჩემი მოგონილი კი არაა. ჯერ უნდა დაურეკო დირექტორს ან მოადგილეს. თუ არ იცნობ, უნდა უთხრა, ვინ ხარ და რა საქმეზე. რომ დაუშვებენ საშვს, პასპორტს წარადგენ ეგერ იმ ფორტოჩკაში და გამოგიწერენ ქაღალდს, იმ ქაღალდს მაჩვენებ მე და მიბრძანდი-თქვა გეტყვი.

გუჯუს გაეცინა.

– არ გეკადრება ამხელა კაცს. შენი ლაპარაკიდან ხომ ჩანს ახლა, რომ ჩემისთანა უბრალო კაცი ამ ზღურბლს ვერ გადააბიჯებს.

– რა შუაშია უბრალო და ბრალიანი?

– რავა რა შუაშია. ჯერ ერთი, გითხარი, არავის ვიცნობ-თქვა. შენ მეუბნები, დაურეკეო. რომ დავურეკო და ვუთხრა: მე, მეწაღე გუჯუ მაისურაძეს მაინტერესებს, რასაკვირველია, რა ხდება ჩემს ქუჩაზე ამ თქვენს შენობაში-თქვა. არ მეტყვის ის კაცი – შეაყოლე, კუტუნია აქედანო? მითხარი, ხომ მეტყვის?

– რა ვიცი მე! – მხრები აიჩეჩა კარისკაცმა.

– გასაგებია, ბატონო, ყველაფერი. თქვენ ყოფილხართ, აბა აქანა და თქვენი ყოფილა ეს ქვეყანა. მოგეხასიათებათ – ჩვენც აგვყარეთ და გადაგვასახლეთ სადმე. ჩუმად ვიყოთ, არაფერი ვიკითხოთ, არაფერი ვიცოდეთ. ვუცადოთ ასე, ბრმა ქათამივით, როდის გვესვრიან ჭოლოკს ან როდის დაგვიგებენ ილინჭას?![1] – ამ სიტყვებს გუჯუ ჭიშკრის გადაღმა, ქუჩაში ამბობდა. იგი აღელვებული იყო და ხმას უწევდა, მაგრამ ქუჩაში არავინ იყო, რომ მეწაღის აღშფოთებისთვის ყურადღება მიექცია.

გუჯუმ ერთხელ კიდევ მოიხედა ჭიშკრისკენ. გულში ლაზათიანად შეუკურთხა ამ „საიდუმლოებით მოცული“ დაწესებულების ამ ქუჩაზე ჩამომთესლებელს, ჯუბაჩის შიგნით, ზურგზე შემოიწყო ხელები და დობორჯგინიძის ქუჩას აღმა, ხიდისკენ გაუყვა.

* * *

კარიკაცმა მალე დაივიწყა ეს ახირებული მთხოვნელი.

ჯერ გაზეთები ათვალიერა, მერე ცოტა წაუძინა კიდეც და მზის ჩასვლას მტკაველიღა აკლდა, როცა კვლევითი ინსტიტუტის ბუფეტიდან დამლაგებელ ქალს ძეხვი, პური და ლიმონათი მოატანინა. შავ პურს ქერქი შემოაცალა (კბილები ღალატობდნენ), ძეხვი წვრილად დაჭრა, ლიმონათს თავი უწყა და სადილობას შეუდგა. იღმურძლებოდა სვენებ-სვენებით, უგემურად.

1 ილინჭა – მახე.

დოლ-გარმონის ხმა ყურის ძირში რომ მოესმა, ვინ მოცლილი ქეიფობს ამ ყინვაშიო, გაიფიქრა და ფანჯრის დაძონძილი ფარდა გადასწია.

ეტლი ალაყაფის კართან გაჩერდა.

კოფოზე, მეეტლის გვერდით, გახეთქილი მთვრალი გუჯუ მაისურაძე იჯდა. სავარძელში მედოლე და მეგარმონე მოკალათებულიყვნენ.

„აბადა ბიჭო ალმასხანაა

ხან კაცი ხარ, ხან მასხარაა!“ – იჭაჭებოდნენ დამკვრელები. გუჯუ კი თითქოს ცაში აფრენას ლამობსო, ორივე ხელით მაღლა იწევდა და შიგადაშიგ გასამხნევებლად ჩაურთავდა: „რამპატა, რამპატა, რამპატა, რამპატა...“

გუჯუმ ჭიშკარს რომ შეხედა, კოფოდან ისკუპა და ცხვირის გატეხვას სასწაულებრივად მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ მთვრალი იყო და სასხლავივით იკეცებოდა.

– გადააყენე გვერდზე და ფეხი არ მოიცვალო, – შეუბღვირა მეეტლეს, წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში თეთრ სახლს გაუშტერა თვალი, მედოლე-მეგარმონე წინ გაიგდო და დასჭექა:

– შევედით! შენ დაუკარ!

დამკვრელებმა გაუბედავად გადააბიჯეს ზღურბლს. რა მეტი გზა ჰქონდათ, სათვალიანმა დარაჯმა, ესენი არ ხუმრობენო, ჭამა შეწყვიტა, თოფს სტაცა ხელი და მოქეიფეთა სამეულს წინ გადაუდგა:

– არ შეიძლება, მიადგით ფეხითქვა!

მუსიკოსები შედგნენ და ჯიუტ დამქირავებელს საწყლად შეაცქერდნენ.

გუჯუმ შუბლზე ხელი მოისვა. კარისკაცისკენ წაბარბაცდა, იდაყვით განზე გასწია და გამეტებულად ჩაახვნეშა:

– გადაშენდი იქით!

დამკვრელებს იქეთ-აქეთ ჩასჭიდა საყელოში ხელები, ჩაბნელებულ დერეფანში სული მოითქვა, ამაყად გახედა ინსტიტუტის ჩამქრალ ტალანებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

– შენ დაუკარ, თვარა მევიდა ვითოჟირი!

ატკრაცუნდა დოლი, აჭიკჭიკდა აკორდეონი.

„სასიდედრომ დამიწუნაა!“

„რამპატა, რამპატა, რამპატა, რამპატა“, – მოხდენილად ჩაურთავდა გუჯუ და ხელებს მაღლა ისროდა.

„დამიწუნა და მითხრა ვარი!
ჩემს შვილს არ გამოადგება
შენისთანა-და, ლოთი ქმარი!“

მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა კარი და დერეფანში გამოლაგებულ მეცნიერებს ჯერ სასოწარკვეთა ეხატებოდათ სახეზე, მერე გაოცება და ბოლოს გაუბედავი, შემკრთალი ღიმილი. სათვალიანი და უსათვალო, წვერიანი და უწვერო, ახალგაზრდა და ბებერი, სატინის სამკლავიანი და ლურჯხალათა – ყველა, ხარისხიანი თუ უხარისხო, გუჯუსკენ მოიწევდა. რკალი ნელ-ნელა ვიწროვდებოდა.

დამკვრელები კარს დაჟინებით შესცქეროდნენ. თითქოსდა იმის თქმა სურდათ, რომ რაც ახლა კვლევით ინსტიტუტში ხდებოდა, მათი ბრალი სრულიადაც არ იყო. გუჯუ კი, ექსტაზში შესული გუჯუ, წრეში დააბიჯებდა და ცეკვის დაწყებამდე ცოტაღა აკლდა.

„ნეტავ იმ დღეს მოვსწრებოდე,
სასიდედრო მოკვდებოდეს,
სასიმამროც მიყვებოდეს,
ქალიშვილი-და, დამრჩებოდეს!“

„რამპატა, რამპატა, რამპატა, რამპატა“ – ტაშით დაქროდა გუჯუ.

გრიალებდა დოლი, იჭაჭებოდა აკორდეონი.

ამაოდ ირჯებოდა ინსტიტუტის კაფანდარა დირექტორი; იგი „ამხანაგო, ამხანაგოს“ ძახილით უკან დასდევდა ექსტაზში შესულ გუჯუს. მეექვსე წრეს რომ ურტყამდა, ფეხი წამოჰკრა ნოხს და კინაღამ გაიშოტა, ამიტომაც ხელი ჩაიქნია და ადგილკომის თავმჯდომარეს შეუძახა:

– სწრაფად აღკვეთე ეს უმსგავსობა, რას მიკეთებ, აბა, მეტს!

ადგილკომის შეფი, პეპელაჰალსტუხიანი, ქოსა მამაკაცი ენერგიულად შეუდგა საქმეს. ჯერ დამკვრელებთან მივიდა და საჩვენებელი თითი ცხვირწინ გაუქნია, მაგრამ დამკვრელებმა თითქოსდა უსიამო სუნი ეცათო, მაღლა და შორს გაიხედეს. მერე გუჯუს მივარდა, ვერც მუქარით გააწყო რამე და ვერც ხვეწნა-მუდარით.

ინსტიტუტის თანამშრომლები სიცილით იგუდებოდნენ და ახლა ადგილკომის თავმჯდომარეს დირექტორის რისხვა იმდენად არ აშინებდა, რამდენადაც თავის დაკარგულ ავტორიტეტს სტიროდა.

ბოლოს თვით „მთავრი დამნაშავე“ მოეგო გონს. დამკვრელები კარისკენ შეაბრუნა, ახლა თვით გაუძღვა წინ, ჭადრის ძირში ერთი საპატიო წრეც შემოატარა და მუსიკის შეუწყვეტლად ეტლისაკენ გააბიჯა.

კვლავინდებურად კოფოზე მოკალათდა, დოლ-გარმონის ოსტატები რბილ სავარძელში ჩაასვენა, ხელები აღაპყრო, ჭიშკარს მომდგარ მეცნიერულ პერსონალს მოხედა და დაიჭექა:

– ხეირი თქვენს საქმეს. წავედით!

ეტლი თვალს რომ მოეფარა, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ტელეფონს ჩაციებულ დარაჯს თავს წაადგა:

– რეკავთ?

– ვერ გავედი ვერაფრით, სად სიკვდილში გაიკრიფა სუყველა.

დირექტორმა ყურმილი გამოართვა და თავის ადგილას დადო.

– არ ღირს. არ გვინდა. ნუ გავახმაურებთ. ბოლოს და ბოლოს, რა დაგვიშავა. ქეიფობდა კაცი, მეტი ხომ არაფერი.

– კი, ბატონო, რავარაც თქვენ გაგეხარდებათ, – დარაჯმა თოფი, რომელიც რატომღაც ჯერ კიდევ მუხლებს შორის ედო, კედელზე ჩამოჰკიდა.

დირექტორი კიბეზე ადიოდა და ფიქრობდა – „ნეტავ მსოფლიოს სამართლებრივ კოდექსებში თუ არის სადმე ისეთი მუხლი, რომელიც ამგვარ სიტუაციაში დამნაშავის დასჯას ითვალისწინებს და თუ არის, რატომ უნდა იყოს“.

ძველი

1980 წლის 18 ივნისს, დაახლოებით ასე თერთმეტ საათზე, ერმინე სახამბერიძის ჭიშკარს შუახანსგადაცილებული, შავმოსასხამიანი კაცი მიადგა. ჯერ ეზოში გადაიხედა და კარგა ხანს უყურა ბატის ჭუკებს, რომლებიც კოინდარს ციცქნიდნენ და თავიანთ ბატურ ენაზე თავისმომაბეზრებლად ყიპყიპებდნენ, მერე მზის მხრიდან, კისერზე ტყავის საქაღალდე მიიფარა და თითქოს თავისივე ხმისა ეშინიაო, გაუბედავად დაიძახა:

– მასპინძელო!

წაქცევაზე მისული, კარმოღლეტილი ჩეჩმიდან ხუთიოდე წლის თავბურძგლა ბიჭი გამოვიდა და ჭიშკართან, უცნობის შორიახლოს, უხმოდ გაჩერდა. სარდაფიდან ნიფხვისამარა კანჭებჩაშავებული გოგო გამოხოხდა და ბიჭს გვერდით დაუდგა. გოგონა დიდი-დიდი ორი წლით იქნებოდა უფროსი ძმაზე (უცნობმა ძმად იმიტომ მიიჩნია, რომ ბავშვები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს). ყავრით დახურულ საქათმეზე წითური, ჭორფლიანი, ათიოდე წლის ბიჭი გადმოდგა. ერთხანს შორიდან ზვერავდა უცნობს, მერე კატის ნაბიჯებით მოახლოვდა და შუაში ჩადგა. სამივენი კარგა ხანს უნდობლად, შიშნარევი მზერით, თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდნენ შავმოსასხამიან კაცს. ბოლოს, ისე რომ უცნობისთვის თვალი არ მოუცილებიათ, სამივემ ერთდროულად დაიყვირა:

– დედაააა!

ამ ძახილმა ერმინე სახამბერიძის მეუღლეს – პისტის სხვენზე მოუსწრო. ძველთაძველი სკივრი ეს-ესაა ამოასუფთავა და ჟანგისგან შეჭმულ, მამაპაპურ იარაღს სხვენზე ალაგებდა.

– მოვდივარ! – კრამიტის ღრიჭოს გასძახა, უშველებელ კაჟიან თოფს დაეყრდნო და სხვენიდან ჩამოხტა.

სტუმარმა მისკენ წამოსული, თავწაკრული, თოფიანი ქალი რომ დაინახა, გაეცინა.

– ნუ გეშინიათ ქალბატონო, მტერი არა ვარ. – იარაღს დააკვირდა, – ამის იმედზე ხართ? რაღა დროის კაჟიანი თოფია!

ბავშვებმა მრისხანედ ტუჩებმოკუმულ დედას შეხედეს და ერთად გადაიხარხარეს.

– მაპატიეთ, ბატონო, – თოფი გამხმარ ბალს მიაყუდა პისტიმ, თავსაფარი მოიხსნა და ყბებქვეშ ამოიმაგრა, – სხვენზე ამქონდა და ხელში შემრჩა.

სტუმარი ვერ იცნო, მაგრამ ჭიშკარი მაინც ფართოდ გაუღო და შინ შეიპატიჟა.

– ხომ მშვიდობაა, პატივცემულო?

– კი, ბატონო, მშვიდობაა. თქვენ ერმინე სახამბერიძის მეუღლე ბრძანდებით, ალბათ?

– კიე, ფარსაგი ხომ არაფერია?

– არაფერი-თქვა, ხომ გითხარით. სალაპარაკო მქონდა პატარა თქვენთან, თუ გცალიათ. თუ არა და სხვა დროს მოვალ.

– მოცლილი კუბოში წევს, ბატონო. ვინ მოგაცლის დღეს. შემობრძანდით.

პისტიმ შემოგებებულ ბებერ ძაღლს წიხლი წაჰკრა და უცნობს მორყეულ ხის კიბეზე აუძღვა.

გაზეთებაკრულ ხის ფარღალალა ოთახში შმორის სუნი იდგა. საწოლები ისე იყო ახირხლული, რომ დევების ნაომარი გეგონებოდათ.

– გვაპატიეთ, ბატონო. ამათ ხელში დაალაგებ რამეს? – ბოდიშობდა პისტი და ოთახის მოწესრიგებას ამაოდ ცდილობდა.

– იყოს, ქალბატონო. ამ წუთში გეახლებით მე. – სტუმარი ჭილოფისძირიან სკამზე დაეშვა, მაგრამ საეჭვო ჭრაჭუნმა შეაშინა და ისევ წამოდგა.

– ლოგინზე დაბრძანდით, არა უშავს, ჩემო ბატონო. – შეაშველა მასპინძელმა.

მალე დედა-წულნი შეზლონგზე გამწკრივდნენ და ერთნაირად იდაყვდაყრდნობილები უცნობს მიაჩერდნენ.

– თუ არ გეწყინებათ. მარტო მინდა დარჩენა თქვენთან, – ძლივს ამოღერღა მოსულმა, მაგრამ ქალბატონ პისტის გაფითრებულ სახეს რომ შეხედა, სწრაფადვე დაუმატა: – ნუ გეშინიათ, ქალბატონო. მე გიგა ხაჩიძე გახლავართ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვმუშაობ. ბალახვანში ვცხოვრობ, ხიდს

რომ გახვალ, იქვე, მარჯვნივ, პურის მაღაზიასთან მესამე მოსახლე ვარ. მავნეს და უბედურს ვგავარ მეე?

– უშანგი გეცოდინებათ, აბა ჭედია. – ჩაილაპარაკა პისტიმ, მაგრამ ეჭვის ნაპერწკლები არ გამქრალა მისი თვალებიდან.

– როგორ არ ვიცი, ცალთვალა უშანგი – მექუდე. გოგო გაათხოვა ახლა, ერთი კვირის წინ.

– ქვისლად მეკუთვნის უშანგი. ჩემი ქმრის გარე მამიდაშვილია, – ცოტათი დამშვიდდა პისტი, – არ უნდოდათ ეგ საქმე. არ არიან მაინცდამაინც კმაყოფილი სიძის. – ჩამოხტა და ბავშვებს შეუძახა:

– გადით გარეთ, ერთწამას!

ბავშვების მოცილება არც ისე იოლი აღმოჩნდა. დიდი ჩხუბის და ქაქანის შემდეგ ისინი, მართლია, კარს მილმა აღმოჩნდნენ, მაგრამ სტუმარს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ ჭუჭურუტანიდან არ უთვალთვალებდნენ.

– აქეთ მოიწით, ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი, თქვენი სახელი?

– პისტი, – ოჯახის დიასახლისმა ოდნავ გამოაჩოჩა შეზლონგი.

გიგა ხაჩიძემ ტყავის საქაღალდე გაშალა, ქაღალდის შეკვრა ამოიღო, მიიხედ-მოიხედა და გაუწოდა.

– აქ ორი ათასი მანეთია, ქალბატონო პისტი.

პისტიმ დაუფიქრებლად გამოართვა.

– დათვალეთ თუ შეიძლება, ფულს დათვლა უყვარს. – გაუღიმა გიგამ.

სახამბერიძის მეუღლე დიდხანს, ბუტბუტით, ტუჩების ცმაცუნით, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ითვლიდა. ერთი შეშლა შეეშალა. თავიდან დაიწყო. ოცდახუთმანეთიანები და თუმნიანები ცალ-ცალკე დაალაგა თვლის გასაადვილებლად, სტუმარს მუხლისთვის თითები შემოეჭდო და შეჰყურებდა. ქალს კეხიანი ცხვირი და ფოსოებში ღრმადჩამჯდარი, წაქისფერი თვალები ჰქონდა. ძველი, გაცრეცილი თავსაფრიდან (რომელსაც ბოლოებზე რატომღაც ღუზები ეხატა) ალაგ-ალაგ დაუვარცხნელობისგან აჩეჩილი თმა გამოსჩროდა. ფეხზე ყელწაჭერილი ჩექმები ეცვა და მღელვარებისგან, პირწმინდად ფრჩხილებმიჭრილი, უხეში თითები უკანკალებდა.

თვლას რომ მორჩა, ფული ისევ იმ გაზეთში შეახვია, ლეიბის ქვეშ საიმედოდ შეჩურთა, თავსაფარი შუბლზე ჩამოიქაჩა და სტუმარს მიაჩერდა.

– ქალბატონო პისტი, – გიგას ხმა უკანკალებდა, – ეს ფული თქვენია და მოიხმარეთ როგორც გაგეხარდებათ. ჩემი არ იყოს, არც თქვენ ყოფილხართ მაინცდამაინც ხელმომართული. ცოტათი მაინც წინ წაგწევთ ეს ფული.

– არ დაიჯეროთ, ბატონო, მაგ ამბავი. ორი ათასი მანეთი უშველის ჩვენს გაჭირვებას? – პისტი განზე იხედებოდა და ისე ხმადაბლა და მღელვარებით ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, სტუმარს ჰბაძავსო, – ხუთი შვილი როგორი გასაზრდელია დღეს. ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ. რვა წელი ვიმუშავე აბრეშუმსაქსოვში. რვა წელიწადი მდულარეში მეწყო ხელები და ყაჭს ვფურცქნიდი. ა, ნახეთ რას ჰგავს ჩემი ხელები. ახლა, ვიმუშავებ კი არა, პურზე რომ გავალ, ბავშვებს სახლი თავზე აქვთ წამოცმული. ჩემი ქმარია და გეცოდინებათ, ალბათ, რაც ავარია შეემთხვა, მანქანას აღარ ანდობენ და არასაუწყებოში კარისკაცად მუშაობს. ორი ათასი მანეთი კი, რასაკვირველია, ცოტას შეგვეწევა, მაგრამ გვეყოფა-მეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. შეხედეთ, რას ჰგავს ჩვენი ჭერი? წვიმა რომ მოვა, საბანზე გვასხამს პირდაპირ.

გიგამ პირი გააღო და რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ მასპინძელი ისე ჩქარა ლაპარაკობდა, რომ ვეღარ გააწყვეტინა.

– ის ავარიაც, გეცოდინებათ ალბათ, ჩემი ქმრის ბრალი კი არ იყო. მაგერ, კაცხის გადასახვევთან, აღმართზე გააჩერა მანქანა, თქვენთან ბოდიში მომიხდია, თავის კაცურ საქმეზე მიეფარა ხეს ერთწამს და მოგეხსენებათ მარცხის ამბავი, მანქანა მისით დაგორებულა, ეს უპატრონო, და ხრამში გადავარდნილა.

სტუმარი წამოდგა, ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ფანჯარასთან მივიდა. შავ მუყაოსაგან გამოჭრილივით მოჩანდა უკნიდან მისი სუფთად გაპარსული, ლამაზი თავი და კეფაზე აწებებული ფართო ყურები.

– გაგიკვირდებათ, ალბათ, ქალბატონო პისტი, ამ ფულის ამბავი. – ყრუდ გაისმა ოთახში.

პისტი თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა. გიგას

მოეჩვენა, რომ ერმინეს მეუღლეს გაკვირვებითაც მაინცდამაინც აღარაფერი უკვირდა.

– ეს ფული, – განაგრძო გიგამ, – ჩემი საჩუქარია. თქვენს ოჯახს ვაჩუქე. ისე, უბრალოდ, ხელისგასამართავად. მეტი არ მქონდა, თორემ მეტს მოგართმევდით. განა არ ვიცი, ეს ფული არაფერი არ არის დღევანდელ დღეს. – შემობრუნდა, საქაღალდე აიღო და კარისკენ გაიქცა, შეჩერდა, დიასახლისს ღონივრად ჩამოართვა ხელი, ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროსო, უთხრა და ეზოში გააბიჯა.

წვერწამახული ნაგვერდულების ღობეზე ოთხი თავი გადმოეკიდა. პისტი და მისი შვილები დიდხანს შეჰყურებდნენ უცნაურ სტუმარს, რომელსაც პლაშის ქამარი მიწაზე მისთრევდა და აბაშიძეების ღელისკენ ისე მიეფარა თვალს, რომ ერთხელაც არ მოუხედავს.

* * *

გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ორმოცდასამი წლის იყო. ისევ მუზეუმში დანიშნეს ექსკურსიათმძღოლად. მამაპაპეული ოროთახიანი სახლიც დაუბრუნეს. თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს. თითქოსდა არც არსებობდა ის ცხრა ჯოჯოხეთური წელი მის ცხოვრებაში. შეცდომა იყოვო, უთხრეს და ურჩიეს, მაინცდამაინც აღარ დაინტერესებულიყო იმ შეცდომის მიზეზებით. მამა ბავშვობაშივე ტვინის ანთებით დაეღუპა, დედა – დაპატიმრების მეორე წელს. და-ძმა არ ჰყავდა. ამ გაღლეტილ სახლში ვინ მოვიყვანო, ცოტა ფულს დავაგროვებ და ცოლს შევირთავო, იმთავითვე გადაწყვიტა. ხელფასზე გადარჩენილ მანეთებს პატიმრის გაკეთებულ ცხენისთავიან ყულაბაში ყრიდა. ისე შემოეფცქვნა წლები ხელში, რომ არც გაუგია. გუშინწინ ორმოცდათვრამეტის შესრულდა. შაბათი იყო, იჯდა შუშაბანდში და საოჯახო ალბომს ათვალიერებდა. ნერვები მოეშალა. ფოტოსურათებზე თავის გაღიმებულ სახეს რომ დახედავდა, ეგონა, რომ იმ გულუბრყვილო ყმაწვილს აღარაფერი ჰქონდა საერთო ორმოცდათვრამეტი წლის გიგა ხაჩიძესთან, გაგულისებულმა ყულაბას ბლაგვი დანით წაღიჯნა თავი და იატაკზე გადმოაპირქვავა. ორი ათას თერთმეტი მანეთი და

რვა კაპიკი შეგროვილიყო. რატომღაც უფრო მეტის იმედი ჰქონდა. ფულის დანახვამ სიხარული კი არ მოჰგვარა, თავის უმწეობაში დაარწმუნა. პირველი, რამაც გაუელვა გონებაში, – ის იყო, რომ ამ ფულით სახლს ვერ აიშენებდა და მანქანას ვერ იყიდდა. ცოლის შერთვის ხალისი მაინცდამაინც აღარც ჰქონდა. მარტო მყოფს მოეჩვენა, რომ ახლა ყველაფერი გვიან იყო. თითქოსდა ფუჭად, ზედმეტ კაცად ეცხოვრა ამ ქვეყანაზე და ახლა აზრიც აღარ ჰქონდა ყველაფრის თავიდან დაწყებას. მკლავებზე ხელის სმით და უცნაური ლუღლუღით დააბიჯებდა წინ და უკან. კატას რძე რომ დაუსხა, ერთი აზრი დაეუფლა – ამდგარიყო და ეს ფული ეჩუქებინა იმისთვის, ვისაც წვრილშვილი ჰყავდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა. ვისაც ზუსტად ეცოდინებოდა, რაში დაეხარჯა. ამ ფიქრმა ისე გაახალისა და გაამხნევა, სტვენაც კი წამოიწყო. ეგონა, რომ ყველაზე ჭკვიანური გზა ახლა უპოვა წლების განმავლობაში კაპიკ-კაპიკ ნაგროვებს. ტანში აჟრჟოლებდა იმ სიამოვნებისაგან, რასაც ორი ათასი მანეთის ჩუქებით გახარებული კაცის სახე მოჰგვრიდა. წვრილშვილიანი და ხელმოკლე კაცის მოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ორი დღე იარა ქალაქის განაპირა უბნებში. არ უნდოდა ნაცნობისათვის მიეტანა. წეღან პისტის რომ არ შეშინებოდა, არც თავის ვინაობას გაუმხელდა, უცნობისთვის უცნობისგან ორი ათასი მანეთის ჩუქებას მეტი ეფექტი ექნებაო, ფიქრობდა. დავუტოვებ ფულს, კარგად ყოფნას ვუსურვებ და გავეცლებიო. ამ დილით ვიღაცამ მიასწავლა, ერმინე სახამბერიძე ცხოვრობს ხიდსგაღმა, ანდრია სინაურის ქუჩის ბოლოში და ხუთი შვილი ჰყავსო. გვერდზე გადაქაჩულ, ხის, ფანჯრებჩაშავებულ სახლს რომ შეხედა, მეზობლებში გამოკითხვა აღარ დაუწყია, მაშინვე მიხვდა, რომ იპოვა, ვისაც ეძებდა, დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

გახარებული და ნასიამოვნები როგორ არ იყო, ფრთაშესხმული მიაბიჯებდა თავისი სახლისკენ გიგა ხაჩიძე, მაგრამ გულს მაინც რაღაც აკლდა. თითქოსდა ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მოელოდა. „მადლობა მაინც ეთქვა ამ მამაცხონებულსო“, – ფიქრობდა პისტის მისამართით. ბოლოს დაასკვნა, ალბათ მოულოდნელმა სიკეთემ, სიხარულის ელდამ დააბნია ქალიო და თავისი თავიც დატუქსა, მე ხომ იმისთვის

არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი, სამაგიეროდ ხელზე საკოცნელად გამოშვერილი ტუჩები და მასპინძლის ყბებამდე გახეული ღიმილიანი პირი მენახაო. მინდოდა ხელმოკლე კაცს დავხმარებოდი, მორჩა და გათავდაო. დღეს თუ არა ხვალ ხომ გაიგებს, არაფრისთვის რომ ჩავიდინე ეს სიკეთეო.

ერთი სიტყვით ჩვენი გმირი ვალმოხდილი კაცის იერით, დამშვიდებული და სულდამცხრალი დაბრუნდა შინ და იმ ღამეს რომ ეძინა, რაც თავი ახსოვს, ისე ტკბილად არ სძინებია.

დილით ნასაუზმევი და ჩაცმულ-დახურული ეზოში რომ გამოვიდა, ონკანთან სარზეჩამოცმულ პატარა სარკეს ჩაჰკრა თვალი, შეჩერდა, ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, გასაპარსი ვყოფილვარო, დაასკვნა და შუშაბანდში შებრუნდა.

პიჯაკი ლოგინზე მიაგდო, ჩაიდნით თბილი წყალი გამოიტანა, ყელთან პირსახოცი ჩაიფინა და საპნის ქაფვას შეუდგა. ელექტროსაპარსს ვერ იქნა და ვერ მიეჩვია. მანქანის ღუღუნი ნერვებს მიშლისო, მამაპაპური სამართებლით უფრო ჩქარა და საფუძვლიანად ვიპარსავო. თავღრანჭიანად გასაპნულმა აივნის ბოძზე სამუდამოდ მიჭედებულ ძველ ქამარს სამართებელი რომ დაუსვა, შენიშნა, რომ ჭიშკარს ზემოდან გადმოუყო ვიღაცამ ხელი და ასასხლეტს დაუწყო ძებნა.

– ქვევით! უფრო ქვევით და მარჯვნივ! – შეეხმიანა მასპინძელი.

ღია კარში მარჯვენა თვალზე შავი ტყავის რიდეაკრული, დაბალი, თითქმის უკისრო კაცი იდგა, რომელსაც თავზე ულაზათოდ გრძელკეპიანი ბუკლეს ქუდი ეხურა.

– ამობრძანდით ზევით! მე ბოდიში, ვერ გეახლებით ერთწუთს!

სტუმარი დაუპატიჟებლადაც მშვენივრად მოიკვლევდა გზას. პარმაღს რომ მოადგა, გიგამ მაშინვე იცნო უშანგი ჭედია და ბავშვობიდანვე ვერც ერთი შემთხვევა ვერ გაიხსენა, რომ ეს ბუსთავა მექუდე მის ეზოში შემოსულიყო.

– მაპატიე, უშანგი ბატონო, ამ წუთში ჩამოვიბან, – გიგა წამოდგა, მაგრამ სტუმარმა ორივე ხელით დაიჭირა და თითქმის ძალით დასვა სკამზე.

– რავა გეკადრება. შენ მშვიდად იპარსე. რაღაცა ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, დამჯდარს გეტყვი თუ გაქცეულს, სულ-

ერთია ჩემთვის, – გიგამ ფანჯარაში გადაიხედა, – ისე, ხეხილი შენც დაგბერებია, ჩემი არ იყოს, ის გადაბელილი – ქლიავია? ონკანთან, მარჯვნივ.

– კორკიმელი. – გიგა პარსვას განაგრძობდა.

– გახმა?

– სანახევროდ. გადაბელეო მირჩიეს.

– რაია კორკიმელი, არაფერი არაა. მე შენ ადგილას ამოვძირკვავდი და თეთრ ბალს ჩავრგავდი, ან ატამს. მარა ატამიც გლახა მოსავლელია, ეს ოხერი. სამი ძირი მიდგას და ტანი ვერ აიყარეს, დაკოინდა სამივე.

– მოვლა უნდა, უშანგი ბატონო. სულ აქ უნდა ტრიალებდე და სასხლავ-სარწყავი გეჭიროს ხელში. ახლა ისეა წამხდარი მიწა, რომ უპატრონოდ ბალახიც კი აღარ იზრდება. დრო გინდა კაცს და ხალისი. მე, სიმართლე გითხრა, არც ერთი მაქვს და არც მეორე. – ნელ-ნელა სამართებლის ჩამოსმასა და ჩამოსმას შუა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო მასპინძელმა, თუმცა მშვენივრად ხვდებოდა, რომ მისი გადაბელილი კორკიმელის ბედი ამჯერად უშანგი ჭედიას ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა.

– უკანაც ხომ გაქვს შენ ეზო?! – კვლავ შორიდან უვლიდა სტუმარი.

– არა, კაცო, სადაა, უკანა ეზო ახლა წაიღეს?!

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ. გიგამ პარსვა რომ დაამთავრა და წამოდგომა დააპირა, სტუმარმა მოსამზადებელი პერიოდი დამთავრებულად ჩათვალა და საქმეზე გადავიდა.

– ფულის დარიგება დაგიწყია, გიგა ბატონო, – ამ კითხვაში ბევრი რამ იგულისხმებოდა და სხვათა შორის ისიც, რომ მე შენ მხარეს ვარ და ამ საიდუმლოს ჩემგან ვერავინ გაიგებსო.

გიგას გაეცინა.

– კი დავიწყე, უშანგი ჩემო. რა მექნა აბა.

– გამოდის რამე? – მექუდემ ცალი თვალი მოჭუტა და წინ გადმოიხედა.

– ძალიან სარფიანი საქმეა, – გიგამ სიცილს უმატა, და პირსახოცი მხარზე გადაიგდო, წამოდგა და სტუმრის შეთქმულივით დაყურსულ სახეს რომ შეხედა, სწრაფადვე დასერიოზულდა.

– ხომ ვთხოვე იმ ქალს, არ გაახმაურო ეს ამბავი თქვა.

– ჩემი იმედი გქონდეს, გიგა ბატონო, – გულზე ხელი მიიდო მექუდემ, ირგვლივ მიმოიხედა და ხმას დაუწია, – სახამბერიძეები ჩემი შორებლები კი არ არიან. ერმინეს და მე ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი.

– რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ მინდა ქვეყანამ გაიგოს. არ მიყვარს გახმაურებული საქმე, – გიგა ფანჯარას გადაეყუდა და ხელისგულზე ჩაიდნის წყალი დაისხა. უშანგი წამოხტა და ჩაიდანი გამოართვა.

– იყოს, იყოს, მე თვითონ... რაზე წუხდები... დიდი მადლობა... – მასპინძელმა პირისახე შეიმშრალა, პიჯაკი ჩაიცვა და კიროვის სურათს მიშტერებულ მექუდეს გვერდით დაუჯდა.

– რასაკვირველია, ერთხელ ვთქვი იმისი არ იყოს... გახმაურებული საქმე ეშმაკისაა... მაგრამ ერთი კაცი მაინც გჭირდება ამ საქმეში. მარტო გაგიჭირდება... მე ასე ვფიქრობ, ჩემი ჭკუით, – უშანგის ხელები ბარძაყებში ჩაეწყო და გაქვავებულივით იჯდა.

– რა კაცი?

– შენიანი... ვინმე... ერთგული... უღალატო... ვთქვი მისი არ იყოს.

– ხუმრობ, უშანგი?

უშანგიმ ხმა არ გასცა.

– რად მინდა კაცი. მე ფულს კი არ ვჭრი, შე კაი ადამიანიშვილო!

უშანგი ჭედიას არც ამ პასუხმა შეუცვალა იერი. იცოდა, რომ მასპინძელი ასე ადვილად არ ენდობოდა.

– დამიჯერე, გიგა, ჩემზე ერთგულ კაცს ვერ იშოვი. არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი.

– რა ლაპარაკი! შენ ხომ სრულ ჭკუაზე ხარ, თუ ძმა ხარ, ამ დილით! – გიგას სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დაასხა.

– რა გაყვირებს? – უშანგიმ ჭიშკრისკენ გაიხედა, – მე შენთვის გეუბნები. რომ ჩავარდე, ხომ უნდა გყავდეს კაცი... ჭირისუფალი ვინმე... პერედაჩის მომტანი. თუ გინდა წილშიც არ გამოვალ, სამ პროცენტზე ვიქნები.

– რა წილი, რის წილი... – გიგას ჭიანჭველებმა დაურბინეს სხეულზე, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და თითები ერთბაშად გაუცივდა, – რა მაქვს საწილო. შე კაი კაცო. შენ იცი, რომ მე ის ორი ათასი მანეთი თხუთმეტი წელი ვაგროვე?

– ვისთვის? – უშანგიმ სხვათა შორის ჩაუგდო.

– ჩემთვის.

– თხუთმეტი წელი შენთვის აგროვე და მერე სახამბერიძეს მიართვი საჩუქრად, ხომ? – მექუდემ საზარლად ჩაიცინა და ხელები მუხლებზე დაიწყო, – ვინ ჭამს ამას, ჩემო გიგა. რაღაც მართალს ხომ უნდა ჰგავდეს, ვთქვი მისი არ იყოს.

– მკვდარი დედის სულს გეფიცები, თუ ასე არ იყოს. – გიგას ხმაში მუდარა ისმოდა და ცალთვალამ მთელი საუბრის მანძილზე პირველად შეხედა მასპინძელს.

– რავა გინდა, აბა აწი?

– რა აწი?

– ხვალიდან ისევ დაიწყებ ფულის შეგროვებას? თუ შეეშვები ამ საქმეს. დიდი დრო კი უნდა, მართალი ხარ, ახლა ერთი თხუთმეტი წელი უნდა ელოდოს ერმინე სახამბერიძე სანამ კიდევ ორი ათას მანეთს მიუტანდე, ხომ?! – გიგას არასოდეს არ სმენია ასეთი სიცილი. მექუდე კი არ იცინოდა, თითქოსდა ყეფდა. თოხივით კბილებს აელვებდა და მთელი ტანით ძიგძიგებდა.

– არ გჯერა, ხომ? – ლამის ტირილით ჰკითხა მასპინძელმა.

– რავა არ მჯერა. მაგისთანები მჯერა? მჯერა, აბა, არა?.. შენ თუ გჯერა, მეც მჯერა... – უშანგიმ თვალთან ორი თითი მიიტანა, ჯერ უპეები მოიფხანა, მერე მსხვლი დაფანჩული წარბები გაისწორა და წამოდგა.

– მე ჩემი გითხარი და აწი შენ იცი. კარგად იყავი, აბა... თუ რამე გადაწყვიტო, ისევ იქ ვმუშაობ, მწვანეყვავილაზე. იცოდე, კარგი მინდა შენთვის, – ამ ლაპარაკით ჩავიდნენ ეზოში და ჭიშკარს რომ მიადგა, მექუდემ სინანულგარეული ხმით ერთხელ კიდევ ჩაუკაკუნა მასპინძელს... – ამხელა საქმეს მარტოკაცი ვერ მოერევა... ვთქვი მისი არ იყოს; შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ. სანერვიულო საქმეა ეს... არ მეგონა, თუ მეტი არ ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის. მეტს არ მენდობი, შე კაცო?

გიგა ხაჩიძეს ჭიშკრის მიგდებაც დაავიწყდა, ერთხანს გადაბელილ კორკიმელს დაეყრდნო სულის მოსათქმელად, სახეზე წყალი შეისხა და ქუჩაში რომ გამოვიდა, თავიც არ აუწევია მუზეუმამდე.

მთელი დღე უგუნებოდ გაატარა. დანა პირს არ უხსნიდა. თორმეტ საათზე ორ ბებერ გერმანელს მოემსახურა და ისე

ჩქარა გარბოდა ექსპოზიციიდან ექსპოზიციისაკენ, რომ სტუმრები ძლივს ეწეოდნენ. მოხუცი ცოლ-ქმარი უბოდიშოდ მიატოვა და თავის მაგიდას რომ მიუჯდა, მაღალმა, სახედამჭკნარმა სათვალიანმა გერმანელმა დამტვრეული რუსულით გააგებინა: დიდი მადლობა ასეთი საინტერესო საუბრისთვის, მაგრამ, თუ ნებას დაგვრთავთ, ცოტა ხანსაც დავრჩებით მუზეუმში. ზოგ რამეს უთქვენოდ დავათვალიერებთო. გიგას შერცხვა, წამოდგა და ტურისტებს ბოდიში მოუხადა, უქეიფოდ ვარ და მაპატიეთ, რომ ვჩქარობდი, რა თქმა უნდა, რამდენ ხანსაც გაგეხარდებათ, შეგიძლიათ აქ ბრძანდებოდეთო. კაფანდარა გერმანელი დიდხანს ართმევდა ხელს და მადლიერი სახით ეგერმანულებოდა. კიდევ კარგი მთელი დღის განმავლობაში სხვა არავინ შემოსულა. დოსტოევსკის „იდიოტი“ გადმოიღო, მაგრამ გული ვერ დაუდო.

ხუთიოდე გვერდი წაიკითხა და, რაც არასოდეს დამართნია, მისი საყვარელი მწერლის კითხვისას, სიბრაზემ შეიპყრო, ყველაფერი, რაც იქ ეწერა, ავადმყოფურად და გაჭიანურებულად, ცოტა არ იყოს ყალბადაც მოეჩვენა.

აღარც კი ახსოვს, შინ როგორ მოვიდა. დახუთული საღამო იყო და ადრე დავწვები, იქნებ, ჩამეძინოსო, გადაწყვიტა. როგორც იქნა, ჩაეძინა, მაგრამ მაშინვე გამოეღვიძა.

– გიგა! გიგა-თქვა! არ გესმის შეენ! – ჭიშკართან ვიღაც იძახდა.

– ახლავე!

ფოსტლებში ფეხი ტუცა და ფანჯარას ხელი ჰკრა:

– ამ წუთში, ბატონო. რომელი ხარ?!

– გვნახე ერთი აქეთ, თუ შეიძლება.

გარეთ ბნელოდა და კოკისპირულად წვიმდა, ნიფხავ-პერანგზე საწვიმარი წამოიხურა და ეზოში ჩაფშლატუნდა. მალე თავიდან-ფეხებამდე გაწუმპულ, მაღალ-მაღალ, თაგვისფერსვიტრიან, წვერულვაშგაბურძგნულ კაცს შემოუძღვა. სინათლეზეც ვერ იცნო და შარვალს რომ იცვამდა, ერთხელ კიდევ მოუბოდიშა.

– ჩამძინებია, ეს ოხერი. ვერ ვარ რაღაც კარგად, დიდხანს იძახეთ? დაბრძანდით, – სკამი მიუჩოჩა.

უცნობმა გრუზა თმაწვერიდან წყალი ჩამოიწურა და ტაბურეტის სკამზე ცალმხრივ ჩამოჯდა.

– ერმინე გახლავართ მე, სახამბერიძე.

– რას ლაპარაკობ?! – გიგას თვალები გაუბრწყინდა და ხელი ღონივრად ჩამოართვა, – კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ბატონო ერმინე.

– მადლობელი ვართ გუშინდელი ამბის, რასაკვირველია, – ღერღავდა ერმინე და ხელებს იფშვნეტდა – მაინტერესებდა რაღაც ჩემთვის... ვითომდა ბოდიშს კი ვიხდი ასე გვიან შეწუხებისთვის. მე ვთქვი... ასე გვიან რავა დაწვებოდა-თქვა.

– პატარა თვალს მოვატყუებ-მეთქი და მიმძინებოდა, ბატონო. რაღაცა ვერ ვიყავი ხასიათზე, თორემ სადაა ძილი. გამოვყრუვდი ამ სახლში მარტო. ე, იმ კატის მეტი არ მიჭყავის არაფერი.

– ჰო... რა ვიცი... ზოგი, აბა, მე გეტყვი შენ, პირიქითაა, ერთი მარტო დამტოვა და ამ ბოვშების ჯიჯღინი არ გამაგონა და არ მინდა არაფერი-თქვა, ჩემთვის ვიტყვი, ხანდახან.

– რავა გეკადრებათ, ხუთი ბავშვის ფასი რაა ოჯახში, – მასპინძელმა იგრძნო, რომ იმას მაინც არ ლაპარაკობდნენ, რაც უნდა ეთქვათ და ერთბაშად მოიწყინა.

– გიგა, ბატონო, თქვენ რომელი ხაჩიძის ხართ? – სტუმარმა ისე ამოიხვნეშა, თითქოს გული ამოაყოლაო.

– არ გეცოდინებათ. მამაჩემი ადრე დაიღუპა. რაში გაინტერესებთ, ერმინე ბატონო?

– არაფერი... ისე... – ერმინემ ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე გაისვა.

– სულ არაობას, რად უნდა ლაპარაკი, ორი ათასი მანეთი სჯობია, მაგრამ...

– რა მაგრამ, ერმინე ბატონო? – მასპინძელი სმენად იქცა.

– რა და... კი არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, გითხრათ სიმართლე, ცოტა მეტს ველოდი.

– რატომ ელოდით ცოტა მეტს? – გიგა აიმრიზა.

– მეკუთვნის და იმიტომ. ჩემი ცოლი რვა წელიწადი ძაფსაღებში ჯახირობდა. რავარი ჩასაწყობია, აბა, ნახეთ ერთი, ცხელ მდუღარეში ხელები. საკეცესაც ვერ იკავებს წესიერად ახლა ნაკვერცხლის ასაღებად. მე ვარ და კარში დამაყენეს საღ-სალამათი კაცი. თუ მაგენი მანქანაზე დასმას არ მიპირებენ, მეტი უნდა გამოეგზავნათ.

– ვინ მაგენი?

– მთავრობა.

– რა შუაშია მთავრობა?!

– კი, ახლა ასე ითქმის. კაცის გადაგდებაზე ადვილი არაფერია. ორი ათასი მანეთი მირჩენს ხუთ ბავშვს?

– ჩემგან რა გნებავთ, ბატონო ერმინე? – გიგა ხაჩიძეს კეფა აეწვა და ყურებმა შუილი დაუწყო.

– შენგან არაფერი. მე იმასთან მაქვს საქმე, ვინც ფული გამოგატანა. მე, შე კაი კაცო, ყრუ კი არა ვარ, ახლა რაკი შოფერი ვარ, არ მეცოდინება ვითომ ამ ქვეყნის არაფერი? ვინ სულელი გააჩერებდა სიჩქარეში ჩაუგდებლად აღმართზე მანქანას. სიჩქარეშიც იყო და ხელის მუხრუჭიც ამოჭიმული მქონდა, იქვე არ სწერია ექსპერტის დასკვნაში? ილბალია ყველაფერი ამქვეყანაზე. რაღა მე უნდა მომსვლოდა მაინცდამაინც.

– ჩემო ერმინე. მე არაფერი არ ვიცი. მე მთავრობასთან საქმე არა მაქვს. ჩემი ფული მოგიტანე და გაჩუქე. ჩემი ნაგროვები ფული. არ გითხრა მეუღლემ?

– კი, ბატონო, ჩვენ ასე გაუგებრები კი არ ვართ. გვესმის ყველაფრი, მაგრამ მე იმაზე მწყდება გული, რომ რატომ, კაცო, სხვას უარესი ემართება და ახალ მანქანაზე სვამენ. მე რა ქვა გავტეხე. მე თვითონ გავარემონტებდი. რამა მთელია და ძრავასაც არაფერი სჭირს ისეთი. რადიატორია მარტო გამოსაცვლელი.

– რატომ. რატომ... ალბათ, ცოტა ხანს კარისკაცად გამუშავებენ და მერე მოგცემენ მართვის უფლებას. თვითონ იციან თავის საქმე. კი არ ვიცი, როგორია წესი.

– მე რაკი ახლა ამ ორი ათას მანეთს დამაჯერეს, მაგენი ჩემთვის საბუთების დამბრუნებლები და საჭის მნდობლები აღარ არიან.

– რატომ არ გინდათ გაიგოთ, ამ ორი ათას მანეთს არავისთან არა აქვს კავშირი. ჩემი ჯიბიდან მოგეცით. ღმერთმა ალალად მოგახმართო.

– ერთს ვიტყვი მე. – მცირე პაუზის შემდეგ თავი ასწია ერმინემ.

– ბრძანეთ.

– იმ ორი ათას მანეთს არ უნდა მოყოლოდა რამე საბუთი?

კვიტანცია, სიტყვაზე, მაგალითად? ხელი არაფერზე იყო მოსაწერი? – ისევ თქვენსას ამბობთ?! – გიგას ნერვები მოეშალა, – თქვენ ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდათ. რა კვიტანცია. ჩემი ჯიბის ფული მოგართვით. წადით და იკითხეთ სადაც გინდათ!

– რას მიყვირი, თუ ძმა ხარ, შენ?! – ერმინე წამოდგა – თვალში ხომ არავის ვეპატარავები აქანა. ჯერ წესიერად გელაპარაკებით და მერე ვიკითხავთ, აბა, რას ვიზამთ. ჩვენ გზაც ქე ვიცით და კვალიც. ტყიდან გამოვარდნილი არავინაა დღეს.

– ვირო მადლიო, ასეა, ხომ, ბატონო ერმინე? – გიგა ძლივს სუნთქავდა. ნესტოები დაბერვოდა და ცხვირი გათეთრებოდა.

– კი ნუ გწყინთ, პირდაპირი ლაპარაკი, თქვენ, ნასწავლ ხალხს. ნერვები ჩვენც გვაქვს. ნუ გეშინიათ, ანგელოზები არა ხართ არც თქვენ. მე არაფერს არავის ვაბრალებ, მაგრამ არის შემთხვევები, არ არის?

– რა შემთხვევები?

– რა და ოთხასი მანეთი რომ გამოუყვეს კაცს და ორასი მომტანმა რომ გადაღუნა. ფული მწარეა. მე თქვენ კი არაფერს გაბრალებთ, მაგრამ გარკვევა უნდა ყველაფერს, კი არ გეწყინოთ. ძმებშიც კი მოდის ანგარიში და ჩვენ რა ვართ ერთმანეთისთვის? არაფერი.

– მიბრძანდით და გაარკვიეთ, სადაც გაგეხარდებათ! – გიგამ თავისი ხმა ვერ იცნო. საფეთქლის ძარღვები უხტოდა და ნესტოები დასკდომაზე ჰქონდა.

კიბეზე რომ დაეშვნენ, ერმინე შეჩერდა და სიბნელეში ცხვირი ყურთან მიუტანა მასპინძელს.

– ერთი ეს მითხარი. ჩემს ცოლს იცნობდი ადრე?

– რომელ შენს ცოლს?

– რომელსაც მიუტანე ფული. აბა, სხვა არ მყავს მე.

– პისტის?

– ჰო.

– არ ვიცნობდი, პირველად ვნახე, – გიგა ხაჩიძე მიხვდა, საითკენ გადაუკაკუნა სტუმარმა, – არ გრცხვენია, ერმინე? კაცი მგონიხარ შენ მე.

– ვინცაა ჩვენ შორის კაცი, იმას გაარკვევენ, სადაც ადგილია. მე კაცი ვარ თუ პროპკა, არავის საქმე არაა მაგი. არაფერი არ დაიმალება ქვეყანაზე, იცოდე ეს... არ დაიმალება

არაფერი, – გაცრით, სისინით, დაქადნებით ჩაილაპარაკა ერმინემ და სიბნელეს შეერია.

თავსხმაში თავის ჭიშკართან დიდხანს იდგა გიგა ხაჩიძე და წყვდიადს გაჰყურებდა. გული ხელით ეჭირა. ცრემლი და წყალი ჩამოსდიოდა ღაწვებზე.

ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ერთ კვირას აღარავის შეუწუხებია.

იმ დღეს მუზეუმის თანამშრომლები ჩაის საკრეფად წაიყვანეს და ვახშმობა კარგა ხნის გადასული იყო, შინ რომ დაბრუნდა.

ეზოდანვე შენიშნა, შუშაბანდის კარი ღია იყო. შეშინებით არ შეშინებია (რა ჰქონდა მოსაპარავი), მაგრამ ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ დილით კარი გამოიკეტა (გასაღები მოეშალა და ახლის შეძენა შეუგვიანდა). სიბნელეს შესძახა.

– რომელი ხარ?!

წყვდიადს ლანდი გამოეყო და კარს შიგნიდან მოადგა.

– სტუმარი ვარ, არ შეგეშინდეს, თუ კაცი ხარ.

ახალგაზრდული, უცნობი ხმა იყო.

გიგამ კიბე სწრაფად აიარა და სიბნელეში ხელის ფათურით, ძლივს მოძებნა ღილაკი.

მის წინ ლამაზად თმაგადავარცხნილი გამხდარი, ცხვირნისკარტა, ტანმორჩილი სათვალიანი ბიჭი იდგა. ოცდახუთიოდე წლის იქნებოდა. თეთრ პერანგზე მსხვილად განასკვული კოპლებიანი ჰალსტუხი ეკეთა და პიჯაკის გულის ჯიბეშიც ჰალსტუხისფერი, განგებ ამოწეული ცხვირსახოცი ედო.

– არ გეწყინოს, თუ გიყვარდე, ხუთი საათია გიცდი, ჩამოვწყდი ფეხზე ეზოში. პატარა რომ წამოწვიმა, მე ვთქვი, გადახურულში კიბეზე დავდგები-მეთქი. ზურგით მივაწექი კარს და არ გაიღო? ეტყობა ღია დაგრჩენია ამ დილით. ქე შემოვედი და ვდარაჯობ აგერ შენს სახლს, პატარა საქმეა?

– კარს არ ვკეტავ საერთოდ. ვის დავუკეტო? ქურდს, ჩემთან ქუდი რომ შემოუგდო არ შემოვა.

– სწორი ხარ. ქურდმა იცის, ვის მიადგეს კარზე.

გიგას არ მოეწონა ღამეული სტუმრის გაშინაურებული კილო, მაგრამ ყმაწვილმა პირადობის მოწმობა რომ აჩვენა, გაუკვირდა, ხელის დაბანაც კი გადაიფიქრა, ოთახიდან დაწნუ-

ლი სკამი გამოიტანა და სტუმარს დაუდგა. თვითონ ტაბურეტზე ჩამოჯდა და სმენად იქცა.

– მიხვდებოდით, ალბათ, რა საქმეზე ვარ მოსული. – ყმაწვილმა სათვალე მოიხსნა, დაიორთქლა, ცხვირსახოცით გულმოდგინედ გაწმინდა და გაიკეთა.

– ვერა? – მასპინძლის უარში უფრო მეტად კითხვა ისმოდა.

– ერმინე სახამბერიძე იყო ჩვენთან.

– მიჩივლა?

– ჩივილი რა შუაშია. აინტერესებს იმ კაცს, რა, რატომ, რანაირად. შენ რომ იყო მის ადგილას, შენც ასე არ იზამდი?

– რა აინტერესებს?

– არ გინდა ახლა ჩემთან ასეთი ლაპარაკი. გუშინდელი არც შენ ხარ და, მადლობა ღმერთს, ჩვენს საქმეშიც კარგად ერკვევი. მე პატარა კაცი ვარ, ქე იცი შენ. დამავალეს გაარკვიეო და ხუთი საათია ვყურყუტებ შენს კიბეზე. ძალიან კარგად იცი, რაც აინტერესებს სახამბერიძეს.

– ხომ ავუხსენი ყველაფერი. თქვენთან რა უნდოდა?

– ჩვენთან რომ მოვიდა, უნდა გიხაროდეს. აბა, ის გირჩევნოდა, მილიციაში და სასამართლოში წასულიყო? გავარკვევთ აგერ ყველაფერს, მოვახსენებ უფროსს. დაიბარებენ სახამბერიძეს, აუხსნიან საქმის ვითარებას და მორჩება საქმე. ასე არ სჯობია? – სათვალიანმა ეს ბოლო სიტყვები არაჩვეულებრივი ექსტაზით წარმოთქვა და გახარებულმა ტაშიც კი მოაყოლა.

– მე გასარკვევი არაფერი მაქვს. ჩემი დანაზოგი, ხელფასზე გადანარჩენი ორი ათასი მანეთი მივუტანე წვრილშვილიან, ხელმოკლე კაცს ერმინე სახამბერიძეს და ვაჩუქე. არ შეიძლება?

– რა?

– ჩუქება.

– ვთქვი მე, არ შეიძლება-მეთქი? რა ნიშნისმოგებით მელაპარაკები, შე კაცო. რატომ გაქვთ ყველა რეაბილიტირებულს ერთნაირი ტონი.

– თუ მიცნობთ მე თქვენ, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რისთვის ვარ რეაბილიტირებული.

– კი მაგრამ, რატომ გგონიათ რეაბილიტირებულებს, რომ ხელმეორედ თქვენი დაჭერა არ შეიძლება, თუ რამეს დააშავებთ, რასაკვირველია.

– ჩვენ უკვე ვიჯექით სხვის მაგივრად კაი ხანს და შენ ცოტა სიტყვებს დაუკვირდი, თუ ძმა ხარ. შენნაირი კაგებეს ინსტრუქტორებიც მინახავს ოთხზე გაკრული.

– რა ვთქვი ახლა მე ისეთი, – ინსტრუქტორმა ჩაიცინა და ფეხი ფეხს გადაადო, – ჩემი შეცდომა რა არის იცი? მე რომ მოვედი ჩემი ფეხით. უნდა გამომეგზავნა მანქანა, უნდა ამომეყვანე იქ და მაშინ სხვანაირ ხმაზე ილაპარაკებდი.

– შენ კრუხის თავი ხომ არ გიჭამია, თუ ძმა ხარ, დღეს. შარს არაფერს შემამთხვიო, საშენო ნერვები კაი ხანია დამაწყვიტეს. თქვი, რა გინდა და გაათავე! – თავი ვერ შეიკავა გიგამ და იმწამსვე დაასკვნა, არ ვიქცევი კარგად, ამ ლაწირაკს ლაპარაკში არ უნდა გავყვე, ვინ იცის, რა უდევს გულშიო.

– ესე იგი დანაზოგი ფული მიუტანე ერმინეს?

– დიახ.

– საჩუქრად?

– საჩუქრად.

– თუ იცნობ სხვას ვინმეს, ვისაც ასე შენსავით ფული ეგროვებინოს და მერე სხვისთვის ეჩუქებინოს?

– არა.

– შენი ძმაკაცებიდან ხომ არავინ აპირებს ამის გაკეთებას?

– არ ვიცი.

– აბა, კარგად გაიხსენე.

– ვერ ვიხსენებ.

– შენ თვითონ გადაწყვიტე, სახამბერიძეს დახმარებოდი, თუ გირჩია ვინმემ?

– მე თვითონ.

– რაღა ერმინე ამოარჩიე.

– ვერ გავიგე?

– რაღა ერმინე სახამბერიძეს მიუტანე მაინცდამაინც ფული და არ მიუტანე ვთქვათ, ვასო ხურცილავას. შენგან მეხუთე მოსახლეა ამ ქუჩაზე. იმასაც ხუთი შვილი ჰყავს.

– არ მინდოდა ნაცნობთან მიმეტანა. თანაც ვასო ხურცილავას ღმერთმა მისცეს და არაფერი უჭირს ჩემი დასახმარებელი.

– ერმინეს იცნობდი ადრე?

– არა.

– მის ცოლს?
– არც მის ცოლს.
– ვინ მიგასწავლა ერმინესთან?
– არ ვიცნობ. ქუჩაში მიმავალს ვკითხე, თუ ცხოვრობს აქ ვინმე წვრილშვილიანი, ხელმოკლე კაცი-მეთქი.
– რას ეძახი ხელმოკლეს?
– ერმინე სახამბერიძისთანა ოჯახს.
– რომ მიხვედი, მისმა ცოლმა თვითონ გითხრა გვიჭირს და დაგვეხმარეო?
– არ უთქვამს.
– არ გვიჭირსო გითხრა?
– მე არ მიკითხავს.
– აბა? მიიხედ-მოიხედე, რაკი შეატყვე, რომ ჭერზე ძვირფასი ჭაღი არ ეკიდა, დაასკვენი, ამ ოჯახს უჭირსო, შეუკუშნე ორი ათასი მანეთი ლეიბსქვეშ და გამოიქეცი?
– ლეიბსქვეშ თვითონ შეკუშნა. მე ხელში მივეცი.
– დათვალა?
– კი.
– ნაჩუქარ ფულს რა დათვლა უნდოდა. ვთქვათ ათი მანეთი აკლდა, არ მოკიდებდა ხელს?
– არ ვიცი.
– არც იმ კაცის სახე გახსოვს, ვინც ერმინესთან მიგასწავლა?
– მახსოვს.
– ?!
– ცხვირზე მეჭეჭი ჰქონდა და ცალი ულვაში მწვანედ შეღებილი.
– მე სერიოზული კაცი მგონიხარ, რას გლახაობ.
– არ დავკვირვებივარ... რა ვიცი... ხელმეორედ რომ შემხვდეს, შეიძლება ვიცნო.
– რატომ უთხარი, მარტო მინდა თქვენთან დარჩენაო?
– ვის?
– პისტის.
– არ მინდოდა, ბავშვებს ფული დაენახათ.
– მადლობა გითხრა პისტიმ?
– არ უთქვამს.

– რატომ არ უთქვამს თუ იცი?
– არ ვიცი. ეს მისი საქმეა.
– თუ გაინტერესებს, მე გეტყვი. რაც შენ გააკეთე, სიკეთე არ არის. ან, უფრო სწორად, გულუბრყვილო, სულელური სიკეთეა. მე ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ შენ მართლა და მართლა უბრალოდ, არაფრის გულისთვის ხელისგასამართავად აჩუქე ფული სახამბერიძეს, მაგრამ ვერ ვიჯერებ. შენ კარგად იცი რატომ. ეს ყველაფერი შეთხზულს და მოგონილს ჰგავს. ადამიანები კარგა ხანია გადაეჩვივნენ ასეთი „სიკეთეების“ ჩადენას. შენ თუ სახამბერიძის პატივისცემა გინდოდა, რაღაც სხვა ფორმით უნდა გეცა. მე ახლა ისე გელაპარაკები, თითქოს შენ რაც მითხარი, ყველაფერი მართალი იყოს. არ გიფიქრია იმაზეც, რომ პისტი და ერმინე ჩათვლიდნენ, თითქოს შენ ეს ფული კი არ აჩუქე, არამედ მთავრობამ დააჯილდოვა და შენი ხელით გაუგზავნა?
– არ მიფიქრია.
– ჰოდა, ის კაცი, ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ შენ მისი ფულის ნაწილი არ მიგითვისებია.
– ეგ ყველაფერი მის კისერზე იყოს. მე არ მაინტერესებს, რას იფიქრებს ჩემზე ერმინე სახამბერიძე.
– არა ხარ მართალი. შენ მას ფული სწორედ იმიტომ მიუტანე, რომ ძალიანაც გაინტერესებს, რას იფიქრებს შენზე ერმინე სახამბერიძე.
– ეგ თქვენი აზრია.
– რა ხნის ბრძანდებით?
– ორმოცდათვრამეტის.
– მერე ამ ხნის კაცმა როგორ არ იცით, რომ თქვენს უაზრო ხელგაშლილობას დღეს ვერავინ გაიგებს. ახლა სხვა დროა.
– რა დროა?
– რა დროა და ხალხოსნური ქველმოქმედება მოდაში აღარ არის. კაცისთვის ორი ათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შეურაცხყოფის ელფერიც ახლავს.
– ეგეც თქვენი აზრია, სიკეთეს მოდა არ გააჩნია.
– აბა, კარგად დაფიქრდით. ხომ შეუძლია თავმოყვარე კაცს – ერმინე სახამბერიძეს – გითხრათ, ვინ არის შენი ორი ათასი მანეთის მათხოვარიო.

გიგა გაჩუმდა. მან ჩათვალა, რომ ამ ენაჭარტალა ყმაწვილთან კამათს აზრი არ ჰქონდა. თუ რამეს მკითხავს – ვუპასუხებ, თუ არა და ვიქნები ჩემთვისო.

სტუმარი წამოდგა.

– საერთო სურათი ჩემთვის ნათელია. ცოტა რაღაცებია კიდევ დასაზუსტებელი და შეიძლება ჩვენთან შემოვლამ მოგიწიოთ ერთხელ. კარგად ბრძანდებოდეთ. – თქვა მან, კარს უკან კუთხეში მიდგმული პატარა, შავი ჩემოდანი აიღო და კიბე მსუბუქად ჩაირბინა.

რამდენადაც წელან იმ კაცის ფამილიარული ტონი არ მოეწონა, იმდენადვე არ ეხამუშა ახლა მასპინძელს მისი უეცარი გაუცხოვება და „თქვენობაზე“ გადასვლა.

* * *

ღამის სამ საათზე თეთრ ხიდს წულუკიძის ბაღის მხრიდან კაცი მოადგა.

ქარის სისინი და რიონის ღრიალი ერთმანეთში ისე არეულიყო, რომ სხვისას კი არა, საკუთარ ხმასაც ვერ გაიგონებდი.

ქალაქი მიტოვებულს ჰგავდა.

აბანოს კარის თავზე ბჟუტავდა მარტო ერთადერთი ყვითელი ნათურა და იქვე, ასფალტზე ფეხებწაშვერილ, თავზე ყაბალახჩამოფხატულ, უთოფო დარაჯს ეძინა.

კაცი დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩაჰყურებდა რიონს.

მერე წელში გაიმართა.

ქუდი მოიხადა და გადააგდო.

სწრაფად მიაყოლა მოსასხამი, პიჯაკი, ჰალსტუხიც კი.

მოაჯირს გადააბიჯა და...

თითქოს ვიღაცამ დაქაჩაო, შემოტრიალდა, უკან გადმოიწია და გადმოხტა. შუახიდზე გაიქცა და კარგა ხანს ისმოდა სიბნელეში მისი ფეხების ტაკატუკი.

ის უხილავი ძალა არ მოგეშალოს, ძვირფასო მკითხველო, შენი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში...

ლუიზა

ახალგაზრდა გინეკოლოგი ბახვა კანთელაძე სამსახურში მიდიოდა. ცვლა ოთხზე ეწყებოდა. ამ ერთ საათში, იქნებ ბენზინის ჩასხმა მოვასწროო, ელბაქიძის დაღმართზე ჩაუხვია. „ივერიასთან“ გოგონამ გამოირბინა გზაზე და ხელი დაუქნია. ექიმს ნაცნობი ეგონა, ჯერ სარკიდან გახედა, მერე უკანსვლით დაძრა მანქანა და გოგონას ცხვირწინ დაამუხრუჭა. დიდად არ გახარებია ნაცნობის გამოჩენა, ბენზინის ჩასხმას ველარ მოვასწრებ, ვინ იცის, სად ცხოვრობსო. ქალიშვილმა უკანა კარი რომ გამოაღო და დაჯდა, ბახვა დარწმუნდა, რომ პირველად ხედავდა, ინანა, რატომ გავაჩერეო.

– გამარჯობათ.

– გაგიმარჯოთ?! – კითხვა გაურია სალამში ბახვამ.

ქალიშვილი სავარძელში არხეინად მოკალათდა და ბახვას მოეჩვენა რომ დაუპატიჟებელმა მგზავრმა სარკეში ენაც გამოუყო. ლამაზი იყო. მრგვალი მუხლისთავები, ცისფერი თვალები და ცისფრადვე ამოღებილი, მაღალი ქუთუთოები, სწორი ცხვირი, პომადაწასმული ვნებიანი ტუჩები და გრძელი, სწორი, ყვრიმალებზე დაშვებული ფერფლისფერი თმა ჰქონდა, იაფფასიანი ბუკლეს ჭრელი პალტო და ალუბლისფერი ჩექმები ეცვა.

– მაპატიეთ, ნაცნობი სახე გაქვთ და კი ვერ მოგიგონეთ. – როგორც ჩვეულებრივად იწყებენ ხოლმე საუბარს უცნობ ქალიშვილთან, ბახვამაც ისე დაიწყო.

– არაფერიც, მე თქვენ პირველად გნახეთ. – ქალიშვილმა, ცოტა არ იყოს, ყალბი კეკლუცობით უპასუხა და გაუცინა.

– რაკი ასეა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, ბახვა. – ბახვამ მარჯვენა ხელი უკან გადასწია და გოგონას მუხლებზე დაადო. – ლუიზა, – ბახვამ თავის ხელში ქალის გრილი, რბილი თითები იგრძნო და მოუჭირა.

„არაგვთან“ მაღლა ამოუხვია და გმირთა მოედანს წრე დაარტყა.

– საით წავიდეთ, ლუიზა?
– გცალიათ? – ლუიზა წინ გადმოიხარა.
– ახლა რომელია?
– მე არ მაქვს საათი.
ბახვამ ჯიბიდან საათი ამოიღო და გაუწოდა.
– ნახე. მოსამართს თითი დააჭირე და გაიღება.
– ოთხის თხუთმეტი წუთია.
– ოთხზე სამსახურში უნდა ვიყო, ლუიზა, თორემ რა სჯობია შენთან გასეირნებას.
ლუიზამ მოიწყინა.
– თუ დათვლილი წუთები გქონდა, რა ძალა გადგა, რას მიჩერებდი მანქანას, შე კაცო.
– ნაცნობი მეგონეთ.
– ნაცნობებზე მეტი ვიქნებოდით დრო რომ გქონდეს.
ბახვას ჯერ გული აურია ლუიზას კდემაგამოცლილმა პირდაპირობამ. მერე, კაცმა რომ თქვას, მოეწონა კიდეც ქალის შეულამაზებელი სითამამე. „არ მალავს, რაც არის; მორჩა და გათავდა. მაინცდამაინც მთვარეზე უნდა დაგიწყოს ჯერ ლაპარაკი, ნერვები მოგიშალოს და მერე შეცდენილი ქალის ნიანგის ცრემლები ღვაროს?“ – გაიფიქრა მან.
– სხვა დროს, სად შეიძლება შენი ნახვა, ლუიზა?
– სხვა დრო რად გინდა, ჩემს შეყვარებას ხომ არ აპირებ? – არა. ისე... ტელეფონი თუ გაქვს-მეთქი.
– ტელეფონი კი არა, ბიჭო, ღამის გასათევი არა მაქვს. ხან ერთ დაქალთან ვათევ და ხან მეორესთან.
ხომ ასე ჰაიჰარად, უდარდელად პასუხობდა ლუიზა, მაგრამ ბახვამ მაინც შეამჩნია მის გამოხედვასა და საუბრის იერში შეფარული ღრმა სევდა.
– „ივერიასთან“ მიმიყვანე ისევ, თუ არ შეწუხდები, და წავალ ჩემს გზაზე, – ბოლო სიტყვები გოგომ თითქმის ტირილით თქვა.
ბახვას შეეცოდა იგი და გაიფიქრა, მოდი, სოსო კვახაძეს მივუყვანო.
– ჩემს ძმაკაცთან რომ მიგიყვანო, ლუიზა?
– სიმპათიურია? – ლუიზამ სხვისი ხმით იკითხა.
– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, კაი ბიჭია, პატივს გცემს.

– პატივისცემაში ხომ არაა საქმე, ადამიანი ცოტა ხომ უნდა მოგეწონოს. მე ისე არ შემიძლია.
– მოგეწონება, მოგეწონება.
ჩელუსკინელების ხიდს გასცდნენ და წერეთლის პროსპექტზე, მარჯვნივ, ვორონინის შესახვევში, ქუჩის პირას მდებარე ერთსართულიან სახლთან გაჩერდნენ. ბახვამ ფანჯარაზე დააკაკუნა.
თითქოს დაკაკუნებას ელოდაო, იმ წამსვე გადმოყო თავი წითური სახის, თმაჭაღარა, გრძელცხვირა, ოცდაათიოდე წლის ბიჭმა. სოსო უცოლო იყო და ნაქირავებში ცხოვრობდა.
– რა იყო? – უცერემონიოდ ჰკითხა სოსომ.
– გოგო მიზის მანქანაში, რომ გაგეხარდება, ისეთია შესახედავად.
– რა გიყო ახლა, მოწაფეები რომ მყავს. ორი მოწაფე ძლივს ვიშოვე. იმ კვირაში გამიცდინეს, ერთი საათის მერე მოდით და გავალ. – შეწუხდა სოსო.
– ჩემთვის კი არ მინდა, შენ მოგიყვანე. სამსახურში გავრბივარ.
სოსოს გაეცინა და ცალი თვალი მოჭუტა.
– როდის იყო, ჩემზე ზრუნავდი, შენ მატყუებ რაღაცას.
– მართლა, ბავშვს გეფიცები.
სოსო დასერიოზულდა.
– ერთი საათის მერე რომ მომიყვანო?
– კი, ბებიაშენისამ, ერთ საათს გაგირთობ სადმე და მერე სინით მოგაწვდი ფანჯარაში, არ გინდა? დასვი მან სადმე, სანამ მოწაფეებს გაისტუმრებდე.
– გაგიჟდი, ბიჭო? იმ წუთას მიხვდებიან ყველაფერს. თავი გინდა მომჭრა?
– წავედი აბა, არ მცალია ამდენი.
– ერთი საათის მერე! – ყველის ვაჭარივით დაეღრიჯა სოსო მეგობარს.
– გადაშენდი იქით! – ბახვამ მანქანა სიჩქარიდან ამოუღებლად დაქოქა და წითელი პარტიზანების ქუჩაზე გავიდა. გაახსენდა, გივი ბაჩაძეს ცოლ-შვილი ფასანაურში ჰყავდა გაგზავნილი და თუ შინ დამხვდა, გავახარებო, გაიფიქრა.
კიბე აირბინა და აქლოშინებულმა დარეკა ზარი.

გივის გრძელი ხალათი ეცვა. მოტვლეპილ თავზე ჩაჩი ეხურა.
– ვაჰ, ბახვა? შემოდი.
– შემოსასვლელად არ მცალია. სახლში ხარ დღეეს?
– აბა, სად უნდა ვიყო, შაბათია.
– ბედნიერი ხალხი ხართ. ჩვენთვის შაბათი კი არა, კვირაც არ არსებობს, კვირასაც გვამუშავებენ. გივი, გოგო მოგიყვანე, ა, ასეთი, – ბახვამ ცერი მაღლა აიშვირა.
– სსს, ნუ ყვირი, – გივიმ უკან გაიხედა, – რა გოგო?
– გოგო, ჩვეულებრივი.
– მაგას რა სჯობია, მაგრამ, – გივიმ ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა – სიდედრი რომ მყავს სახლში? რაღაცას მოვუგონებ და სადმე გავგზავნი. ერთი საათის მერე ვერ მოიყვან? ჰქენი სიკეთე.
– ერთ საათს რომ მეცალოს, შენ მოგიყვანდი? ოღრაშობა კი არ დამიწყია. ოთხზე საავადმყოფოში უნდა ვიყო. ჩაიცვი ახლა, გაატარ-გამოატარე ქუჩაში და მიხედე საქმეს.
– კარგი, – გივი ოთახში შებრუნდა და დაფაცურდა. მალე გამობრუნდა, კვლავ ხალათი და ჩაჩი ეხურა.
– არ გამოდის არაფერი. არ წავა არსად, ვიცი მაგის ხასიათი მე.
– კარგი, აბა, წავედი! – ბახვამ კიბე ჩაირბინა.
– ბახვა! – გივი მოაჯირს გადმოეკიდა.
– ჰა.
– ისე... ჩემთვის... აწი კი აღარ შეიძლება, მაგნაირი რამეები, – თვალების სრესით გაუტყდა გივი.
– ნუ მასხარაობ რაღაცას. – დატუქსა ბახვამ ძმაკაცი.
ერთი თვეა, რაც გივი რაისაბჭოს აღმასკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს და მორალს რომ დააწვებოდა, როგორ ვერ ვიფიქრეო, თავის თავზე ბრაზობდა ბახვა.
– რაო? – მოწყენილად იკითხა ლუიზამ.
– სიდედრი ჰყავს სახლში, ამ უპატრონოს.
– „ივერიასთან“ გამიჩერე და ჩამოვალ. შეგაწუხე დღეს, – ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და თავი ჩაქინდრა.
– მოიცა, კიდევ ერთ ძმაკაცთან მივალ, ნახე, აბა, რომელია? – საათი გაუწოდა.
– ოთხს თხუთმეტი აკლია.

– არა უშავს, ცოტას დავაგვიანებ.
კამოს ქუჩაზე კახა მეძველია ცხოვრობს, გამოუსწორებელი უცოლო. ორმოც წელს კარგა ხანია გადაშორდა. რომ ჰკითხავენ, უშვილძიროდ რატომ ბერდებიო, პასუხი მზადა აქვს: – ვინც მომეწონა, ყველა გათხოვილი აღმოჩნდა და ჩემნაირი უბედური რად მინდა ავიკიდოო. ჩემი ხნის ქალი გაუთხოვარი რომ დარჩება, ის ივარგებს რამედო?
„პლაზმებში“ მუშაობს. საკანდიდატო შარშან, ოქტომბერში დაიცვა.
ჯერ ფანჯარასთან უძახა, კახა პირველ სართულზე ცხოვრობს, რომ ვერ გააგონა, სადარბაზოში შევიდა და კარს აუტეხა ბრახუნი.
– ამ წუთას! ვინ არის? – იკითხა კახამ.
– მე ვარ, ბახვა ვარ. გძინავს?
კახა ნიფხავპერანგისამარა იდგა კარში.
– გძინავს ამ შუადღეზე? იმიტომაა შენი საქმე წინ.
– შენს ხმას მივამსგავსე. ვიწექი ისე, ფანჯარაში გამოვიხედე, არა ხარ, ვერც მანქანას მოვკარი თვალი.
– ბევრი ლაპარაკის დრო არა მაქვს, – ბახვა ადგილზე ხტოდა, – გოგო მოგიყვანე.
– ახლა რა დროსია. ასე გაბურძგნული ხომ არ ვნახავ, ჩავიცვამ, გავიპარსავ და გამოვალ, სადაც გინდა.
– გადასასინჯად კი არ მომიყვანია.
– აბა?
– იმნაირი გოგოა. ახალ გამოვიჭირე ქუჩაში. ისე არ უნდა იყოს ცუდი გოგო, ლამაზი თვალები აქვს და კაი ლაპარაკი იცის.
– ოჰ, შენ რა გითხრა. მე სხვა რაღაც მეგონა, თორემ ერთი მაგნაირი ქე მიწევს ეგერ ლოგინში. არც მაგაში ყრია არაფერი. მომწყინდა. აწი ცოლი უნდა ვითხოვო.
– ფილოსოფიას მოეშვი ახლა. შენ ეგრე ამბობ ყოველთვის. არაფერი ცოლის მთხოვნელი შენ არ ხარ. რა ვუყო ამ გოგოს?
კახამ კეფა მოიფხანა.
– რა ვქნა, ბიჭო. ესეც ახლა მოვიდა. რომ გავაგდო, წავა და სულ დაიკარგება. ხანდახან წამლად რომ გჭირდებოდეს,

გაწყდებიან ეს ოხრები. ხანდახან დაიყრებიან. ერთი საათის მერე რომ მოვიდეს?

– წავედი, დამაგვიანდა სამსახურში! – ბახვა კარისკენ გაიქცა.

– ბოდიში, ბახვა, არ გეწყინოს, – დაადევნა კახამ და გასაღები ორჯერ გადაატრიალა, კიდევ ვინმემ არ შემაწუხოსო.

„იღბალი მაქვს ახლა მეო? – ფიქრობდა ბახვა, – რაღა ახლა დაჭკვიანდნენ ეს ჩემი ძმაკაცები ყველაო. ოქროს წვიმა რომ მოდიოდეს, მე რკინა დამეცემა თავში, ხომ ვიცი მეო. ხომ იფიქრებს ახლა ეს გოგო; რას მაგლახავებს ამდენ ხანს ან გაჩერებით რაზე გამიჩერა, ან რას დამაპროწიალებს კარდაკარო“.

სანამ „ივერიასთან“ გავიდოდნენ, ბახვას მურმან ნაცვალაძე გაახსენდა. კოჭლი ბიჭია, მერეტუშედ მუშაობს სადღაც, რედაქციაში. სოსომ გააცნო ერთხელ სახინკლეში. ბავშვისთვის შარშან კედლის გაზეთი გააფორმებინა. აქ უნდა ცხოვრობდეს, ნაღვარევის შესახვევში.

ჭიშკართან უზომოდ გასუქებული ქალი ხალიჩას ფერთხავდა.

– ქალბატონო, მურმანი ცხოვრობს აქ სადღაც.

– მურმანი? – ქალმა ჯოხი დაუშვა და მაღლა აიხედა, თითქოს ჰაერს ყნოსავსო.

– ჰო, კოჭლობს ცოტას.

– აგრე გეთქვა, შე კაცო. მურმანი ჰქვია მაგას? ასე გადით, ეზოს ბოლოში, პირდაპირ კარებია.

– სახლშია თუ იცით?

– ვერ გეტყვით, ისე დღეს გამოსული არ მინახავს.

– გმადლობთ, – ბახვამ პარმაღს გადააბიჯა და ქვაფენილით მოკირწყლულ ეზოში გაიქცა.

მურმან ნაცვალაძე შინ იყო. სახეზე შეეტყო, რომ ბახვას მოსვლა გაეხარდა. სტუმარმა ამოსუნთქვა არ აცალა; „კიდევ კარგი, რომ სახლში ხარ, მანქანაში გოგო მიზის და შემოვიყვან ახლავე, მე გავრბივარ, დამაგვიანდა, მომხსნიან სამსახურიდანო“, პასუხს არ დაელოდა, გატრიალდა.

– მოიცა, გამაგებინე, ვინ გოგოა, რა გოგო?! – უკან მისდევდა მურმანი და კითხვებს აყრიდა.

– გოგოა რა. მე კი არ ვიცნობ წესიერად. „ივერიასთან“ ჩამიჯდა.

– გასაგებია. მარა მე, დამელაპარაკება იმ საკითხზე? მოინდომებს ჩემთან? როგორ ფიქრობ? – მურმანი ცდილობდა დასწეოდა.

– შენ ფიქრი ნუ გაქვს. არ ჩანს წუნია გოგო.

– ნუ შემარცხვენ, თუ ძმა ხარ. არ ვარ მაგის კაცი მე. სხვას მიუყვანე ვინმეს.

– კაცო, მე გეუბნები – ნაღდი ამბავია. ნათქვამი მაქვს წინასწარ; ასეთი და ასეთი ბიჭია თქვა, – იცრუა ბახვამ.

– მერე?

– კიო. თანახმაა. გაბრუნდი შენ, ოთახში დაგველოდე.

მურმანმა ასკინკილით გამოირბინა ეზო.

შემოვიდნენ. გოგონა კარებთან გაჩერდა თითებგადაჯვარედინებული. ბახვა ალაპარაკდა.

– გაიცანი, ჩემო მურმან, ლუიზა. ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი გოგოა, – ლუიზას მიუბრუნდა, – მურმანზე უკვე საკმაოდ გელაპარაკე. დიდი მხატვარია!

– რეტუშიორი, – გაუსწორა მურმანმა.

– რაი? – იკითხა გოგომ.

– სურათებს რეტუშს ვუკეთებ. თქვენ არ გეცოდინებათ. ერთი სიტყვით, თუ მკრთალი ხაზია ვამუქებ. გაზეთში დასაბეჭდად რომ გამოდგეს.

– მოკლედ, კარგად იყავით. არ აწყენინონთ ერთმანეთს! – ეს ბოლო სიტყვები ბახვამ ღია კარებში თქვა და უკანმოუხედავად გაიქცა.

– პალტო გაიხადე.

მურმანმა პალტო ჩამოართვა და იქვე, ლურსმანზე დაკიდა.

– დაჯექი, – სკამზე მიუთითა, – ახლოს მოიწი ღუმელთან.

– გმადლობთ, არ მცივა, – გოგოს ხელები კალთაში ეწყო და იატაკს დასცქეროდა.

– ეს... ახლა არ გცივა, გარედან შემოსული რომ ხარ. პატარა ხანში გაიყინები, – თუნუქის ღუმელს ხელი დაადო – ესეც გაცივებულა, ეს ოხერი.

გავიდა. შეშა შემოიტანა. ღუმელთან ჩაცუცქდა და შეუკეთა.

– რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?
– ნოლზე მეტი არ იქნება.
– მერე ასე უნდა ციოდეს? ძვლები გამეყინა.
– აქ ნესტიანი ჰავაა და იმიტომ, – აუხსნა გოგომ, – ჩვენთან, აბა, ათ გრადუს ყინვაშიც არ ცივა ასე.
– სად თქვენთან?
– ხაშურს ზემოთ სოფელია, ბრეში.
მურმანმა იგრძნო, რომ საუბარი სხვა მიმართულებას იძენდა და არც გაკვირვებია. „სხვებს რა იოლად გამოსდით ყველაფერი. ნეტავ ისინი როგორ იწყებენ! არ შემიძლია გოგოსთან ლაპარაკი. რას მივედებ-მოვედებიო“, – გაიფიქრა.
– აქ, თბილისში სწავლობ, ლუიზა?
– ვსწავლობ? – ლუიზას გაეცინა, – სულ ჩემთვისაა ღია უმაღლესები. ოღონდ მივბრძანდე და ვისწავლო.
– რატომ? საშუალო ხომ გაქვს დამთავრებული? – მურმანმა ტუჩზე იკბინა, ვინ მკითხავს მეო.
– რად გინდა მერე. ვაშლიჯვარში ვმუშაობდი მეურნეობაში და დილომში პატარა ოთახი მქონდა დაქირავებული. მამაჩემს სოფელში ფილტვების ანთება გაურთულდა და დამაგვიანდა ჩამოსვლა. სამუშაოდანაც ბრძანებით მოვუხსნივართ და ჩემს მასპინძელს ამ ერთ თვეში იმდენი უმარჯვია, ბინიდან ამოვუწერივარ. ჩამოვედი და ჩემი ბარგი კიბის ქვეშ დამხვდა.
– ახლა სადა გაქვს?
– დაქალთან მივიტანე გუშინწინ. ჩვენებური გოგოა. ხილიანზე, ისიც ნაქირავებში ცხოვრობს.
ცეცხლი აგუგუნდა. ლუიზას ღაწვები შეუწითლდა. ხელები, როგორც იქნა, დააშორა ერთმანეთს და ღუმელს მიუშვირა, იჯდა ღუმელთან ღვთისმშობელივით ლამაზი და უმწეო. მურმანს მუხლზე შემოედო ხელი და ქალს დაჟინებით შესცქეროდა. ლუიზა გრძნობდა მზერას და ხან ჭერისკენ ააპარებდა, ხან კი მურმანს გაუსწორებდა თვალს ერთი წამით, რათა ისევ ჩაექინდრა თავი და იატაკს ჩაშტერებოდა.
– ღუმელს მაინც სხვა ძალა აქვს. რადიატორთან ასე ვერ გათბები, – ყრუდ ამოილაპარაკა ქალმა.
– სწორი ხარ, მაგრამ ამ ოთახში სითბო არ ჩერდება. სულ ბამბა და დანა მიკავია ხელში. ვითომ დავგმანე ყველგან

ყველაფერი. ჩაქრება თუ არა ღუმელი, განსაკუთრებით როცა მძინავს, ფეხები მეყინება.
– ეს კედლები კაპიტალური არაა ხომ?
– არა, კაცო, ცალფა აგურის კედელია. თავიდან საკუჭნაოდ ჰქონიათ ჩაფიქრებული და მერე გააქირავეს.
– ჰოდა, კიდეც იმიტომ ცივა. ფარღალალა კედელი სითბოს ვერ ინახავს.
„ახლა მე უნდა ვთქვა, – „ოღონდაც, ოღონდაც, ჩემო ლუიზა, ფარღალალა კედელი სითბოს ვერ ინახავს“ და ერთი ფილოსოფიურად ამოვიხვნეშო. რა მშვენიერი თემაა გოგოსთან სალაპარაკოდ? არ უნდა გაჩნდეს, არა, ჩემისთანა უნდილი და უგერგილო ამ ქვეყანაზე. ადგება ახლა ეს გოგო, პალტოს ჩაიცვამს, დიდი მადლობა, ღუმელთან რომ გამათბეო, მეტყვის და წავა. კი, ასე იზამს“.
მაგრამ ლუიზა წასვლას არ აპირებდა. თავის თითებს დასცქეროდა და მურმანს მოეჩვენა, რომ ქალიშვილი თვლემდა კიდეც.
– სხვა. და-ძმები, ლუიზა?
– მყავს. მაგ მხრივ მდიდარი ვარ. სამი ძმა და ოთხი და.
– სულ შვიდნი ხართ?
– რვა.
„დასწყევლოს ღმერთმა, რვამდე თვლაც დამავიწყდა“.
– შენ?
– ნაბოლარა ვარ.
– დები დიდები იქნებიან.
– გათხოვილია ოთხივე.
„ახლა არ ჰკითხო, ისინი ხომ კარგ ბედ-იღბალში არიან ჩავარდნილიო, თორემ წამოვიდა ნაკვერჩხალი ენაზე“.
კარგა ხანს ჩუმად იყვნენ.
– ლუიზა, – მურმანი წამოდგა, – სულ ვეღარ მოვიფიქრე. მოშიებული იქნები. ჩავალ, ძეხვს და პურს მაინც ამოვიტან.
ქალს არაფერი უთქვამს.
აღარ ახსოვს, როგორ ჩაირბინა გასტრონომამდე. თითქოს ფეხებში ქარი ჩაუდგაო, აღმართიც ხელად ამოათავა.
ლუიზას ტაფა გაეწმინდა და ღუმელზე დაედგა.
– ხორცი სადაა. უშველებელი რიგი უკვე დგას. მოიტანენ –

არ მოიტანენ, ღმერთმა უწყის. მანდ კარადაში კვერცხი უნდა იყოს. შენ მაცალე. ამ წუთში შევწვავ. კვერცხი და ძეხვი შემწვარი კარგი გამოდის. გიყვარს, თუ არ გიყვარს – ეს უნდა ვჭამოთ, ღარიბი კაცის სადილი ეს არის. – კვერცხები თეფშზე დააწყო და ლუიზა რომ წამოდგა, შემკრთალმა გახედა, წასვლას ხომ არ აპირებსო.

– ხელს სად იბან ხოლმე?

კაცმა განჯინიდან სუფთა პირსახოცი ამოიღო და მხარზე გადააფინა.

– პირდაპირ და მარჯვნივ.

– ახლავე მოვალ, – ლუიზამ გაუღიმა, – შენ მოეშვი, მე შევწვავ. მარილი მომიმზადე.

მხარზე რომ აკოცა, ლუიზამ კვერცხის თქვეფა წუთით შეწყვიტა და გაყუჩდა. მურმანი ღუმელთან იჯდა და მაგიდას მიმდგარი ქალის სწორ ფეხებს და ლამაზ ზურგს შესცქეროდა. იყო რაღაც ენით აუხსნელი, გასაოცრად თბილი და უჩვეულო ამ წუთში და მურმანს უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. მარტოობით გამწარებულ კაცს შეეძლო ვიღაცასთან ელაპარაკნა. ეთქვა, თუნდაც ათასი სისულელე, მაგრამ დიდსულოვნად ეპატიებინათ. მერე დამდგარიყვნენ ასე მაგიდასთან და ერბოკვერცხი ეკეთებინათ. ასეთი რამ სხვა დროს არ დამართნია; ლამის ტირილი დაიწყო; სახლში ქალი იყო.

უხმოდ ისადილეს.

კაცი ფიქრობდა იმაზე, თუ რა ეთქვა სადილის შემდეგ, ქალიც ამას ფიქრობდა. ქალს ეშინოდა, ვაითუ დაირღვესო ის იდილია, სული რომ გაუთბო და სადღაც ნანახი თუ წაკითხული ოჯახური ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე მოაგონა.

მთელ სიცოცხლეს მისცემდა ქალი, ოღონდ ყველაფერი ისე არ დამთავრებულიყო, როგორც ჩვეულებრივ მთავრდება ხოლმე.

სადილის შემდეგ ქალმა თეფშები დარეცხა, ოთახი მიალაგ-მოალაგა და ისევ ღუმელს მიუჯდა.

მურმანს გაეცინა.

– რა გაცინებს? – ლუიზა მთელი ტანით შებრუნდა მისკენ.

– ხელში საქარგავი გაკლია. თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს.

ქალი, ეტყობა სხვა პასუხს ელოდა და ერთბაშად დამშვიდდა.

ღუმელში შეშა ტკაცუნობდა. ვიწრო ფანჯრიდან დაღვრილ სხივს ნელ-ნელა აკლდებოდა ძალა.

– ქმარს რატომ გაშორდი, ლუიზა?

– ვინ თქვა?

– ყველა ასე ამბობს.

– ვინ ყველა? – შეშფოთება გაისმა ქალის ხმაში.

– რა ვიცი, – მურმანი დაიბნა, – საერთოდ... გოგონებს უყვართ ხოლმე თქმა; ქმარს ახლა გავშორდი, იმიტომ რომ მომიტაცა და არ მიყვარდაო. პირველი კაცი, რომელიც ქმართან განშორების შემდეგ გავიცანი, თქვენ ხართო... ასე იციან ხოლმე თქმა.

მურმანმა იგრძნო, რომ სისულელე წამოროშა. მაგრამ უკვე გვიან იყო.

– არა, მურმან. მე ქმარი არასოდეს მყოლია. არც იმის თქმას ვაპირებდი: „გოგონებმა რომ იციან ხოლმე თქმა“.

ლუიზა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მხრები უცახცახებდა, ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მიიფარა.

– კარგი ახლა, შე ქალო... ისე ვთქვი... ხუმრობა არ იცი?..

მურმანმა გადაწყვიტა; აწი აღარაფერს ვიტყვი, არ გამოდის ჩემგან რომეო, თვითონ თუ რამეს მკითხავს, ვუპასუხებ და ის იქნებაო.

...შუაღამე წამოვიდა. ისხდნენ ღუმელთან უსიტყვოდ.

მერე ლუიზა წამოდგა.

– რა დრო გასულა, – გამშრალი ხმით თქვა, – ხომ ხედავ: რა უსინდისო გოგო ვარ. ჩემით ვერ ვხვდები წასვლას. რატომ არ მეუბნები, წადიო. გამაგდე, გეხვეწები, წადი-თქო, მითხარი! აქამდეც უნდა გეთქვა, ხომ ხედავ, რა სულელი გოგო ვარ! – ლუიზა თანდათან ხმას უმატებდა და ეს ბოლო სიტყვები ანტიკური ტრაგედიის გმირის მონოლოგივით ხმამაღლა და კატეგორიულად თქვა.

მერე ერთბაშად მოეშვა, სახე ხელებში ჩამალა და ისევ ატირდა.

მურმანს მუხლისთავებისთვის ხელები არ მოუცილებია. ჯერ ტირილი აცალა გოგოს და, მერე, როდის-როდის, ამოილაპარაკა.

– დარჩი, სად წახვალ აწი. გვიანაა. სძინავს, ალბათ, შენს დაქალს.

წამოდგა. კარადის უკნიდან შეზლონგი გამოათრია, ძველთ-აძველ, მაუდგაცვეთილ დივანს თავი ახადა, ლეიბი და საბანი ამოიღო და დივანის თავი ფრთხილად დაუშვა, თითები არ მოვიჭეჭყოო.

– მე შეზლონგზე დავწვები, შენ დივანზე. დავეტევით რო-გორმე.

ფანჯარას მუქლურჯი ბურუსი ადგა, მურმანს თავზე რომ დაადგა ღამის პერანგში, თეთრად, სინათლესავით ჩამოშვებუ-ლი, თმაგაშლილი ქალი და მკლავზე შიშველი მუხლით შეეხო: – გძინავს? დავწვები რა შენთან? შემცივდა.

მურმანს, რა თქმა უნდა, არ ეძინა.

* * *

საუზმის შემდეგ მურმანმა ხელში მწვანეყდიანი საქაღალდე დაიჭირა და კედელზე მიკრულ მრგვალ სარკეს გაუსწორდა.

– ლუიზა... მე სამსახურში გავვარდები. ერთი-ორი საა-თი დამაგვიანდება. შენ, თუ სადმე გახვიდე, გასაღები, კარ-თან რომ ფეხსაცმლის ტილოა, იმის ქვეშ დადე. საერთოდ... ყოველთვის მანდ ვინახავ გასაღებს. ვეცდები, უფრო ჩქარა დავბრუნდე. შეიძლება საქმე არაფერი დამხვდეს.

სარკეში თავის თავს არც უყურებდა, მაგრამ არ შეეძლო თვალი გაესწორებინა და ისე ეთქვა ლუიზასათვის ის, რაც უთხრა.

ლუიზა კი არა, გულუბრყვილო ბავშვიც იგრძნობდა, რომ მურმანს ტკივილამდე სურდა, სამსახურიდან დაბრუნების შემ-დეგ ლუიზა კვლავ შინ დახვედროდა, ღუმელთან უხმოდ მიმ-ჯდარი და ლოდინით დაღლილი.

ურო

ვუძღვნი ალექსანდრე ებანოიძეს

გაერთიანება „ობუჯის“ ალაყაფის კართან მოწყენილი სახის, იხვისცხვირა, მწვანეპერანგიანი კაცი შეჩერდა. კარგა ხანს იდგა იგი ჭიშკართან და ქარხნის ეზოდან ერთმანეთის მიყოლებით გამოღრიალებულ, მძიმედ დატვირთულ მანქანებს შეჰყურებდა.

წითელსახვევიანმა დარაჯმა, ვისთან ხარო, რომ ჰკითხა, უცნობი ერთბაშად გამოერკვა და დარაჯს კეთილი თაფლის-ფერი თვალები შეანათა.

– უფროსი მოსულია?

– აქ არის, შედი, – დარაჯმა ბამბუკის ჯოხი გამოსწია.

– რა მინდა, რომ შევიდე. – თავი ჩაღუნა სტუმარმა და განზე გადგა.

– კაცო, ასე არ მკითხე, უფროსი თუა მოსულიო? რა ვიცი მე, რა გინდა. – დარაჯს გაეცინა და ბამბუკის გრძელ ჯოხს მოაწვა.

– ვიცი, უარს მეტყვის. ტყუილად ვარ მოსული, – იხვისცხ-ვირამ ჯოხს გადააბიჯა და კარისკაცს სევდიანად დაუგდო, – არ მიმართლებს, მორჩა და გათავდა.

დარაჯს თავისი საფიქრალი და საწუხარიც ბლომად ჰქონდა და აღარაფერი უკითხავს.

საზოგადოებრივი კვების ტექნიკუმის კურსდამთავრებულს გივი ბილიხოძეს, რომელიც ახლა „ობუჯის“ დირექტორის კაბინეტისკენ მიაბიჯებდა, მართლაც არ გაუმართლა.

მიდგომ-მოდგომის ნიჭი არ აკლდა, ენერგიული ყმაწვილიც იყო, მაგრამ რა საქმესაც დაადგა, ყველაფერში ხელი მოეცარა.

ჯერ იყო და ტექნიკუმი რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ სწორედ იმ წელს, მისდაიღ-ბლად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალს სამი ახალი ფაკულტეტი დაუმატეს და ერთი გააუქმეს. სწორედ ის მუხუ–დო-სოიოს დამუშავების ფაკულტეტი გააუქმეს, სადაც გივი

აპირებდა საბუთების შეტანას. ბილიხოძემ პროტესტის ნიშნად საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ დამპალი პამიდვრის სუნზე ალერგია დაემართა და ექიმების რჩევით თავი გაითავისუფლა.

ამ ხუთი წლის წინ, შემოდგომაზე, თავის ეზოში ყველა ხე ამოძირკვა და დაფნის ნერგები ჩაყარა, ორი წლისთავზე დაფნამ რომ ტანი აიყარა, საფიჩხიაზე ხმა დაირხა, დაფნას აღარ იბარებენ, ვატიკანმა უარი გვითხრაო. გივიმ ჭორს არ დაუჯერა, დაკრიფა, დაახმო და მეექვსე წელი ჩამოდის, რაც თოთხმეტი ტომარა დაფნა აივანზე უწყვია. გაგულისებულმა დაფნაც ერთხელ და სამუდამოდ ამოფესვა თავისი პატარა ნაკვეთიდან და ამ გზით გამდიდრების ფიქრიც, რასაკვირველია, სამუდამოდ დაასამარა.

იმედს მაინც არ კარგავდა. ერთხელ სახეგაბადრული დაბრუნდა სახლში და, – ვიპოვე, რასაც ვეძებდიო, სარკეში თავის თავს ახარა. მეორე დღესვე სამი ქალი დაიქირავა და საიდუმლო სახაჭაპურე გახსნა. ორი აცხობდა ოთხკუთხედ, იაპონურ ხაჭაპურებს, მესამე – თეთრ ხალათში გამოწყობილი, ურიკით ქუჩა-ქუჩა დაატარებდა და ასაღებდა. ურიკა თვითონ გივიმ შეჭედა, ლურჯად შეღება და ეჭვი რომ არავის აეღო; თეთრი, ბატიფეხური ასოებით „საზკვების გაერთიანება № 2“ წააწერა. სახაჭაპურემ გაამართლა. გივი ბილიხოძემ, ცოტა არ იყოს, ფეხი წამოიდგა და წელში გაიმართა. არც ფინგანს დაუბეგრავს და არც მილიციას შეუწუხებია. ხაჭაპურის გამყიდველი ქალის თეთრ ხალათს და ურიკაზე წარწერილს იმ ქალაქში მცხოვრებთათვის დამაჯერებლობის მაგიური ძალა ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ორმანეთიანი ყველი ერთბაშად გაქრა ქალაქ ძელქვიანის მაღაზიებიდან, ბაზრის ფასად ყველის შეძენა კი მიწისქვეშა არტელის პატრონისთვის სარფიანი საქმე არ გახლდათ და სახაჭაპურემ არსებობა შეწყვიტა.

ოპერაცია „ხაჭაპურის“ კრახის შემდეგ გივი ბილიხოძემ ერთხანს უსაქმოდ იარა. მისი მაძიებელი გონება ახალ სვლებს ეძებდა გამდიდრების რთულ გზაზე და ალბათ კიდევ კარგა ხანს ივლიდა უსაქმოდ, იმ საბედისწერო დღეს ფოსტაში რომ არ შეევლო და პალიკო ცერცვაძეს არ შეხვედროდა.

ძმას უნდა დალაპარაკებოდა ოკრიბაში. ძმა კბილის ტექ–ნიკოსი ჰყავდა და ცოლ-შვილით ოკრიბაში ცხოვრობდა. გივის ძალიან უყვარდა ძმა და ორ კვირაში ერთხელ მაინც მოიკით–ხავდა ტელეფონით.

ფოსტაში ხალხმრავლობა იყო. გივი „ლელოს“ კითხულობდა და ელოდა ნაცნობ ხმას – „ოკრიბა მეორეში!“ ოკრიბა დღეს რა-ტომღაც იგვიანებდა. ფეხებზე მაღალმა, თეთრშლაპიანმა კაცმა გადააბიჯა და №3 ჯიხურში ტუცა თავი. ჯიხურის კარი ღია იყო და ხმა გარკვევით ისმოდა: „პალიკო ვარ, პალიკო, კი. ათ დღეში მზად იქნება. პარპრიზზე ნიკელები დავუყენო? როგორც გაგე–ხარდება, რაი? რას ჰქვია, ფული არ გვყოფნის. შენი გულისთვის მმართველის საქმეზე მოვაცდინე ხალხი. ხომ იცი, მუშას ფული მაშინვე უნდა მივცე. მე იმ ხალხთან პირს ვერ შევირცხვენ. არა, არა, არავითარ შემთხვევაში! გავყიდი დღესვე! ვინ არ იყიდის გაწკრიალებულ „ვოლგას“ სამი ათასად. ასე ვიზამ. დღესვე ვყი–დი, იცოდე. არ ყოფილხარ შენ პირიანი კაცი!“

პალიკომ კარი გამოიჯახუნა, გივის ფეხებზე ისევ გადააბი-ჯა და გასასვლელისკენ გაემართა.

ბილიხოძემ ფოსტის მორიგესთან მიირბინა. არ დააჩქარო ოკრიბა, ერთი საათის მერე შემოვივლიო და პალიკოს დაე-დევნა. საყვავილესთან დაეწია.

– ბოდიში, ერთ წუთს!

პალიკომ მოიხედა, ასანთი მიაწოდა და გზა განაგრძო.

– გმადლობთ, ასანთი არ მინდა, – გივი მისდევდა და ყურში ჩასძახოდა, – ძალიან გეჩქარებათ?

– მეჩქარება, რა იყო? – პალიკომ პლაშის საყელო აიწია და უცნობი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– ფოსტაში ვიყავი წელან, რა მანქანაზეა ლაპარაკი?

– შენ რა, სხვის ლაპარაკს უსმენ? საქმე არა გაქვს მეტი არაფერი? – პალიკომ გაიღიმა, ასანთი გამოართვა და გზა განაგრძო.

გივი არ მოეშვა.

– მაპატიეთ, ყური მოვკარი, მანქანას ვყიდიო და ვთქვი, იქნება მოვრიგდეთ-თქვა.

– დამანებე თავი თუ კაცი ხარ, – პალიკომ ნაბიჯს შეუნელა

– რამდენი უპირო და უნამუსოა ამ ქვეყანაზე. გულზე ვარ გამსკდარი. ისე, ღირსი კია, რომ გავუყიდო მანქანა, მაგრამ ვერ ვიზამ. გლახას სიგლახით ვერ გადავუხდი.

– მისია?

– რა არის, იცი? სათქმელად არ გეუბნები. მუშები მყავს დაქირავებული ხაშურში და ჩამოწერილ ტაქსს კაპიტალურ რემონტს ვუტარებთ. იმ ჩამოწერილსაც ფული უნდა. თვეში სამ-ოთხ მანქანას ვასწრებთ, ვაახლებთ თავიდან ბოლომდე. ახალ ძრავს ვუდგამთ, ახალ საბურავებს, ვღებავთ. ერთი სიტყვით, ახალი მანქანაა, აბა, რა არის. ვყიდით სამი ათას მანეთად. არ წამოგცდეს, თუ კაცი ხარ, არსად.

– ჩამოწერილი ტაქსი მოპარულია?

–როგორ გეკადრებათ. მაგას ვინ სულელი იზამს. ოფიციალურად გამოგვყავს. პასპორტი, ყველაფერი როგორც წესი და რიგია. მუშებიც სახელმწიფოსაგან მყავს მომაგრებული. შარის თავი ვის აქვს. შინაურულად იმიტომ გეუბნები, რომ რემონტი მანქანიანად სულ ორი ათას შვიდასი მანეთი გვიჯდება და ჩვენ სამად ვყიდით. უცხო კაცს ამას ვერ ეტყვი. რა ვქნათ, ცოლ-შვილს დიდი პირი აქვს, მოგეხსენებათ, ასე თუ არ ვიწვალეთ, ვინ რას მოგვცემს. ხომ იცი – მწოლარე ლომს მაწანწალა მელამ აჯობაო. ახლა ჩემს ქვისლს ვურეკავდი. შემეხვეწა, გამაკეთებინა სასწრაფოდ მანქანა. ხომ იცი, ქვისლისთვის როგორ მოვინდომებდი. ხვალ დილით ფული უნდა მივცე მუშებს. მე მარტო რომ ვიყო, ჯანდაბას ჩემი თავი. რას მეუბნება იცი? ფული არ მყოფნისო. გავბრაზდი. შე კაი კაცო, სამი ათას მანეთად ახალთახალ მანქანას გაძლევ და კიდევ აქეთ მელაპარაკები? რას ჰქვია, ფული არ გყოფნის. ისე რავა უნდა გაფუჭდე, სამი ათასი ვერ მოისესხო კაცმა. ერთი სიტყვით, კია ღირსი რომ გავუყიდო ის მანქანა, მაგრამ ქვისლია, ხომ იცი, ვერ ვუზამ მაგას.

ამასობაში ჯაჭვის ხიდთან ზევით აუხვიეს. გორკის ქუჩაზე აგურის ორსართულიან სახლთან შეჩერდა პალიკო, კარგად იყავი, ამ ლაპარაკში ქე მოვსულვარ სახლშიო, დაემშვიდობა გივის და ჭიშკარს რომ ხელი გადაუყო, მუდარით სავსე ხმა მოესმა.

– მომყიდე მე ის მანქანა, თუ კაცი ხარ.

პალიკო შეჩერდა.

– ვერა, შენი ჭირიმე, ქვისლისაა.

– აბა, გამიკეთე ერთი ტაქსი.

პალიკოს გაეცინა.

– ასე რომ იყოს, ჩემო, შენი სახელი?

– გივი.

– ასე რომ იყოს, ჩემო გივი, რა გვიჭირდა მაშინ. სადღაა ჩამოწერილი ტაქსები. შარშანწინ იქეთ ვეხვეწებოდი ხალხს. ახლა იმდენი მომაწყდა, რომ ორი წლის რიგი უკვე ჩამოწერილი მაქვს. მერე როგორი ხალხი – სულ დოცენტები და აღმასკომის მუშაკები. კარგად იყავით.

– არ გამაწბილო თუ კაცი ხარ, ჩემზე უკეთეს მეგობარს ვერ იშოვი. მეცი პატივი.

– როგორ გავუკეთო ქვისლს ეს ამბავი? – შეყოყმანდა პალიკო.

გივიმ შეატყო, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა და არ მოეშვა.

– სამი ათას ხუთასს გაძლევ.

– როგორ გეკადრება. ვინ გგონივარ მე შენ. სამი ათასზე ძვირად თუ გამეყიდოს, ოთხ შვილს ვფიცავარ. ისიც, ხომ გეუბნები, წესით ორი ათას შვიდად უნდა გაძლევდე, მაგრამ სამასი მანეთი წვრილ-წვრილ ხარჯებს მიაქვს.

როგორც იქნა, დაიყოლია გივი ბილიხოძემ პალიკო ცერცვაძე. იმ საღამოსვე მიუტანა სიმწრით ნაგროვები სამი ათასი მანეთი და ტაქსის შემკეთებლისაგან ხელწერილი მიიღო. „მე, პალიკო ცერცვაძე ვალდებული ვარ გივი ბილიხოძისგან მიღებული სამი ათასი მანეთის საფასურად გადავცე მას ავტომანქანა ვოლგა, ჩამოწერილი ტაქსი კაპიტალურად გარემონტებული“.

გივიმ განცხადება ჩაიკითხა და მორცხვად იკითხა:

– ნიკელები?

– არა, ძმაო, ნიკელებს ვერ დაგპირდები. საერთოდ, ჩვენ ნიკელებს არ ვაკეთებთ. მარტო ქვისლისთვის ვშოულობდი. მე თვითონ ხელზე უნდა მეყიდა.

ნიკელებისთვის ასი მანეთი დაუმატა გივიმ და ჭიშკრიდან რომ გადიოდა, მასპინძელმა შეაჩერა.

– როგორც ვთქვით, შვიდ დღეში მიიღებ გაწკრიალებულ ვოლგას. ეს მისამართი ხომ სწორია? სახლში მოგაყენებს კაცი კართან. დღეს რა დღეა?

– ოთხშაბათი, – შეაშველა გივიმ.

– მოკლედ, იმ ოთხშაბათს. დღეის სწორ ოთხშაბათს. სახლში იყავი დილიდან. მე ვერ ჩამოვალ, საქმეები მაქვს. სხვა ჩამოგიყვანს მანქანას და მოგცემს ხელში გასაღებს. თუ კაცი ხარ, ჩამომყვანთან სირცხვილი არ მაჭამო. ხომ იცი, მაგენი ქართლელებია – სხვანაირი ხალხია. პატარა პატივი ეცი. უსადილოდ არ გამოუშვა, თორემ შევრცხვებით ძელქვიანელები. ფული არ შეაძლიო, თორემ გაბრაზდება. ფულს არ კიდებენ ხელს ჩემი მუშები. პატარა წაახემსე – ერთი ბოთლი ღვინო, ჭადი, ყველი. არ გაგიჭირდება მაგი შენ, თავი არ მომჭრა იმ უცხო კაცთან...

– რავა გეკადრება, გვეშლება მაგი ჩვენ, ძელქვიანელებს? – გაუღიმა გივიმ.

ხელი ჩამოართვეს, გადაკოცნეს ერთმანეთი და ღვიძლი ძმებივით დაშორდნენ.

პალიკომ ქუჩაში მიმავალს ერთხელ კიდევ მიაძახა.

– ჩამომყვანი მშიერი არ დამიტოვო, თუ კაცი ხარ! – ხელი დაუქნია და ჭიშკარი მიიკეტა.

მესამე თვე გადის ამ ამბის შემდეგ. ათი დღის თავზე შინ მიაკითხა გივიმ პალიკოს, მაგრამ სახლის პატრონმა სანუგეშო ვერაფერი უთხრა: ზედა პატარა ოთახი დაიქირავა, ერთ კვირაზე მეტი არ უცხოვრია. ერთი თვის ფული წინასწარ მომცა. პასპორტი არ გამომირთმევია. თბილისიდან ვარ, წყალსადენის მუშაობას ვამოწმებ და სასტუმროში იმიტომ არ გავჩერდი, ღვინოს ვერიდებიო. რა ვიცოდი, აფერისტი თუ იყო. პასპორტშიც რომ ჩამეხედა, რას მივხვდებოდი, „აფერისტი“ პასპორტში არავის უწერიაო.

შენ ახლა მეხუთე კაცი ხარ, ვისთვისაც მანქანის ფული აუღლეტიაო.

რა ექნა გივის? სიმწრისგან ტუჩზე იკბინა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის. „არ მიმართლებს და ეგ არიო“, – ერთხელ კიდევ დაასკვნა და უქიმერიონზე წელმოწყვეტილივით დაეშვა.

– ახლა კიბეზე კაცი არ შეგხვედრია? – უთხრა „ობუჯის“ გენერალურმა დირექტორმა, საშუალო ტანის, კითხვისნიშანივით მოხრილმა, წრიპა, სათვალიანმა კაცმა, იმის შემდეგ, რაც გივი ბილიხოძის სათხოვარი მოისმინა.

– არა? – უპასუხა გივიმ.

– ახლა გავიდა, ა, ამ წუთში. სამი წუთიც არაა. გეტყვი გვარსაც, – ქაღალდს დაწვდა, – წერეთელია ჭომელი; ახლა დავწერე ბრძანება. სად იყავი აქამდე? ორი თვეა მომმარაგებელს ვეძებ. შენნაირ კაი ბიჭს უარს ვეტყოდი? ის წერეთელი დონდლოა ვიღაცა. ივარგებს? ეშმაკმა უწყის.

– ვიცოდი, ასე იქნებოდა. – ყრუდ ჩაილაპარაკა გივიმ.

– რაი?

– არ მიმართლებს საერთოდ. კიბეზე რომ ამოვდიოდი, უკვე ვგრძნობდი, რომ სხვა გეყოლებოდათ დანიშნული და სიმართლე გითხრათ, უკან გაბრუნება მინდოდა. კარგად ბრძანდებოდეთ.

– მოიცა, – დირექტორს გული აუჩუყდა, – არ მინდა შენი გაშვება ასე. რაღაცა მომეწონე, ხომ იცი, კაცია და გუნება. რა მაქვს ახლა ისეთი... ჰო... სპორტის ინსტრუქტორ-ორგანიზატორის ადგილი მაქვს. მოდი აქ იმუშავე ცოტა ხანს. მერე გამოჩნდება რაღაცა, სპორტის გესმის რამე?

– ზოგადად კი, – დაუფიქრებლად მიუგო გივიმ, – ახლა ისე... როგორც ყველას ესმის, არაა სპორტი ჩემი საქმე. მადლობელი ვარ. კარგად იყავით.

– მოიცა. არ წახვიდე! – გენერალური დირექტორი ლამის უკან გამოდგომოდა, – წესიერი ბიჭი ჩანხარ. პატარა ხანს იყავი სპორტში. სულ არაობას ქე სჯობია. მერე გადაგიყვან. კვირაში ორჯერ ფეხბურთს ითამაშებენ მუშები და შენ იჯექი და უყურე. ფეხბურთი ვის არ ესმის. მართალია, ხელფასი ცოტაა, მაგრამ არც საქმეა ბევრი. ხანდახან პრემიასაც გამოგიწერ. დამიჯერე, არ წააგებ, იცოდე.

გივი ბილიხოძემ განცხადება დაწერა და დღეს პირველად დაიჭირა თავი იმაში, რომ საერთოდ დამყოლი ხასიათი ჰქონია.

პარასკევს, პირველი ცვლის შემდეგ, ოთხ საათზე გაერთიანება „ობუჯის“ ცალკარიან სტადიონზე (მეორე კარი თა-

ვის ბადიანად მოეპარა ვიღაცას) სავარჯიშოდ ბარე ჩვიდმეტი მუშა-ფეხბურთელი მოგროვდა. მეორე კარის ნაცვლად ქვები დააწყვეს თვითონვე, ტანსაცმელი ძელსკამზე მოაქუჩეს და ბურთის მოსატანად წასულ ინსტრუქტორს ელოდებოდნენ. გივი ბილიხოძე მალე გამოჩნდა. დარცხვენილი ჩამოდიოდა კიბეზე და ბურთის ნაცვლად სპორტულ ურის მოათრევდა.

– დღეს ურის ტყორცნაში ვივარჯიშებთ. – განუცხადა მან ცნობისმოყვარე მუშა-სპორტსმენებს, ურო ძელსკამთან მიაგდო და სტადიონის ღობეზე ეულად მოსეირნე მამალს გახედა.

მძლეოსნური სპორტის სახეობათაგან თუ რამეში სრულებითაც ვერ ერკვეოდა გივი ბილიხოძე, ეს ურის ტყორცნა გახლდათ, მაგრამ ამჯერად სხვა გზა არ ჰქონდა, მთელი დარბაზი გადაქექა და ბურთი ვერ იპოვა. წინა ინსტრუქტორს მოხსნისადმი პროტესტის გამოსახატავად ბურთი (და სხვა სპორტული ინვენტარიც, რაც აბგაში ჩაეტია) შინ წაეღო. სასოწარკვეთამდე ცოტა აკლდა გივის, რომ კარს უკან ურო შენიშნა და პირველი მეცადინეობის ჩაფუშვისაგან ხსნის იმედი ჩაესახა. ურის ხელი დაავლო და დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

მუშა-ფეხბურთელთაგან ურის ტყორცნის მოყვარული მხოლოდ ერთი აღმოჩნდა – გეგუთელი ზაზა სინაურიძე. უკისრო, ჩაფსკვნილი ბიჭი იყო ოციოდე წლის. მსხვილ მკლავებზე ლურჯი მაისური ასკდებოდა, კორიდაზე გამოსული მოზვერივით გაუნძრევლად იდგა განზე და მუჭისსისხო ნესტოებითღა სუნთქავდა.

თექვსმეტი მუშა-სპორტსმენი, მიუხედავად ახალი ინსტრუქტორის საყვედურისა, უსიტყვოდ იცვამდა და გასასვლელისაკენ დაუმშვიდობებლად გარბოდა. შეგნებულობის ხელყოფით და დამამცირებელი მზერით მეთექვსმეტე „სპორტსმენი“ რომ გააცილა, გივი გეგუთელ გოლიათს მიუბრუნდა.

– ურის ტყორცნის გესმის რამე?

– კი, – თავი დაუქნია ზაზამ.

– გისვრია? – მწვრთნელმა ყოველ შემთხვევისთვის კითხვა დაუზუსტა საეჭვო სპორტული ინტელექტის მქონე თავის აღსაზრდელს.

– არა, – ზაზამ სიმართლე ვერ დამალა.

– სხვისთვის თუ გიყურებია? – ამასობაში გივიმ სცადა თვითონვე მოეგონებინა, სად ენახა ურის სროლა, ნანახი რომ ჰქონდა, ფაქტი იყო, რადგანაც ცხადად ახსოვდა უცნობი ურის მტყორცნელი, რომელსაც გამართულ ხელებში ეჭირა მავთული და ორჯერ შემოტრიალებით ისროდა ურის (რომელიც „ობუჯის“ ინსტრუქტორს, ასე მძიმე თუ იყო, არ ეგონა).

– ტელევიზორში. – სინაურიძემ თავზე ჩამოისვა ხელი, ურო აიღო და გივის მიუახლოვდა.

– იდექი მანდ, – გივიმ წკირი აიღო და სპორტსმენის ირგვლივ დიდი წრე შემოხაზა, – ამ წრეს არ უნდა გადაცდე.

– ვიცი, – დაბეჯითებით მიუგო ზაზამ.

– აბა, ჰე.

– ვისროლო?

– ისროლე. ვნახოთ ერთი რანაირად ისვრი.

ზაზამ დათვის ტორებში მოიმწყვდია სახელური, დატრიალდა და შხუილით მოისროლა. ურო კარგა შორს, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დაეცა.

გივი ბილიხოძემ გაიცინა. ეს გაცინება თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული. აქაოდა, ჯერ კიდევ რამდენი ხარვეზი აქვს ურის ტყორცნაში თქვენეულ ტენქიკას, ყმაწვილოვო.

– წადი ახლა, მოიტანე ურო და გაზომე რამდენ ნაბიჯზე გადაგიგდია, – მშვიდად უთხრა მწვრთნელმა.

ზაზამ ქოშინით მოარბენინა ურო და მორჩილად დადგა წრეში.

– რამდენია?

– სამოცდაერთი.

– ასეც ვიცოდი, – მწვრთნელს იდუმალი ხმა ჰქონდა და ყოვლისმცოდნის იერი, – დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი. ურო ოდნავ მოხრილ მკლავებში უნდა დაიჭირო. ხელები მხრების სისწორეზე უნდა გქონდეს, არც მაღლა და არც დაბლა. ტყორცნის დროს ურო ცოტა მაღლა უნდა აიქნიო. გამიგე?

– კი, – ზაზამ თავი დაუქნია.

– აბა, ჰე.

ზაზამ თითქმის ზუსტად შეასრულა მწვრთნელის დავალება, მაგრამ ამჯერად ორმოცდაჩვიდმეტ ნაბიჯს ვერ გადააცილა ურო.

– არ ვარგოდა, – დატუქსა გივი ბილიხოძემ დებიუტანტი და თავისი ახსნა-განმარტებითა და პედაგოგიური ტაქტით თვითონვე კმაყოფილი დარჩა.

– ბრუნი არ გივარგა. პირველი ბრუნი ნელა უნდა გააკეთო, მეორეზე სიჩქარეს უნდა მოუმატო. მეორეა მთავარი. თუ შეატყვე, რომ მეორე ბრუნმა საკმარისი ინერცია არ მოგცა, წადი მესამეზეც, ორი ტრიალი დოგმა კი არ არის. ურო ს პირდაპირ ნუ უშვებ. რაც მაღლა წავა, მით მეტ ტრაექტორიას მოხაზავს.

– რას იზამს? – ზაზა სინაურიძე რთულ, უცხოურ ტერმინებს შეჩვეული არ იყო.

– ტრაექტორიას მოხაზავს, შორს გადავარდება.

– მესმის, – თავი დაუქნია ზაზამ და წრეს მიაშურა.

– ჩემს კამანდას უსმინე – მწვრთნელმა ხმას აუწია, – გაისწორე ხელებში, ამოისუნთქე თავისუფლად, პირველი წრე, ორი და სამი, წავიდა!

გივი ბილიხოძემ თვალი მოჰკრა, ტარაბუასავით რომ დატრიალდა მისი აღსაზრდელი და უეცრად მუცლის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო. თითქოსდა მეხი დაეცა და გულმუცელი შეუნგრია.

საკაცით სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ რომ მიარბენინებდნენ, გონს მოვიდა, ზაზა სინაურიძის ათლეტურ, დაძარღვულ-დაბერილ ზურგს მოჰკრა თვალი და მიხვდა, რაც სჭირდა. „იმ სიფართე სტადიონია, რაღა მუცელში დამიმიზნა ამ უპატრონომ“ – გაიფიქრა ბადროს ტყორცნის „სპეციალისტმა“, თავქვეშ მარჯვენა ხელი ამოიდო და სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა: „არ მიმართლებს, მორჩა და გათავდა“.

თვითმკვლელობა

ჩხრეკა დიდხანს არ გაგრძელებულა. შავ კოსტიუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილ „ოპერატორებს“ ჰალსტუხებიც კი ერთნაირი ეკეთათ. სერიოზული სახეებით დააბიჯებდნენ ისინი ოთახში, და ჯიმის მოეჩვენა, რომ სევდაც კი ეხატათ სახეზე. უხეშად არ იქცეოდნენ. უჯრას რომ გადმოაპირქვავებდნენ იატაკზე, ერთს გადაჰკრავდნენ თვალს, გულმოდგინედ ჩაალაგებდნენ ისევ და უჯრას თავის ადგილას რომ შეაცურებდნენ, სამივენი ერთად გამოხედავდნენ მასპინძელს. ჯიმი მშვიდად და გულგრილად შეჰყურებდა სტუმრებს. არც მაშინ გატოკებია წარბი, ქაღალდების უთავბოლო ჯღრდეში უბის წიგნაკები და ძველი დღიურები რომ ამოჩხრიკეს, თითქოს ბოდიშს იხდიანო, მონაფეებივით გარსშემოეწყვნენ მასპინძელს და სთხოვეს, ესენი უნდა გვათხოვოთო ცოტა ხანს. ჯიმის არაფერი უთქვამს. თვითონაც უკვირდა; ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეს ყოველივე მას არც კი ეხებოდა, თითქოსდა შემთხვევით შემოესწრო ვიღაცის ოთახის ჩხრეკას და ახლა ზრდილობის გულისთვის იდგა კარში. „თუ ყველაფერი ასე იწყება, სულ არ ყოფილა ძნელიო“, გაიფიქრა, როცა ჩხრეკის ოქმზე ხელი მოაწერინეს და ხაზგასმული მოწიწებით სთხოვეს, მართალია ცოტა გვიან არის, მაგრამ ერთი საათით ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ, შერიფი გიბარებთო.

ისე გამოეწყო, როგორც ექსკურსიაზე წასვლისას იცოდა. ხავსისფერი სვიტერი, ლაჯებში ტყავგამოკერებული ჯინსის შარვალი და ბუკლეს ჭრელი პიჯაკი ჩაიცვა. საბუთები და ოცი დოლარი ჩაიდო ჯიბეში. ფეხზე – მაღალყელიანი ფრანგული „შიბლეტები“. გასვლისას სარკეში ჩაიხედა, თმა გადაივარცხნა და ბიჭებს გაუღიმა, – თუ შეიძლება, გასაღებს მეზობელს დავუტოვებ, ვინ იცის, როდის დავბრუნდებიო.

ორმა ბიჭმა, მესამეს, ჰალსტუხმოჯორჯალებულ, გრძელხელება პოლიციელს შეხედა.

– უხერხულია ამ შუაღამისას მეზობლის შეწუხება. გასაღები თქვენთან იყოს, – განზე გაიხედა.

მანქანის უკანა კარი გამოაღო. თითქოსდა სულ ამ ტრანსპორტით მგზავრობსო, კიბეც თვითონვე გადმოსწია, ავიდა და კუთხეში მიჯდა. კარი გარედან დაუკეტეს და სამივენი კაბინაში მოკალათდნენ.

„ახლა კი ყველაფერი დამთავრდა“, გაიფიქრა და გასაოცარი შვება იგრძნო. თითქოს ძელიდან ჩამოხსნესო. ამ დღეს ერთი კვირაა ელოდა. უკვირდა კიდეც, რომ ასე დაგვიანებით „გაიხსენეს“. ზუსტად ერთი კვირის წინ, იმ ოთხშაბათს კარლი დააპატიმრეს. დედამისმა დაურეკა გამთენიისას აკანკალებული ხმით. მთელი დღე ყურებში უწიოდა მოხუცი ქალის შეშფოთებული ხმა: „შვილო ჯიმი, რა მოხდა, მე რატომ დამღუპეთ?“ მეორე დღე პერკინს კლერი წაიყვანეს სამსახურიდან. ღამით მისი ბინაც გაჩხრიკეს, ვილი სან-ფრანცისკოდან დააბრუნეს, სადგურიდანვე აიყვანეს ჩემოდნით და ბავშვის ველოსიპედით ხელში. ეს ერთი კვირაა სახლიდან არ გამოსულა, ელოდა რომ მოაკითხავდნენ და ეს მოლოდინი ნერვებს უშლიდა. ოთახში ადგილს ვერ პოულობდა. მის ფანჯარასთან ფეხათრევით ჩავლილ უცნობს გაუღიმა კიდეც ერთხელ, პასუხად უცნობმა ნაბიჯს აუჩქარა და თხუთმეტ წუთში სხვა კაცი „დასეირნობდა“ ჯიმის ფანჯრებთან.

„მაშ, ასე, ღმერთო, რა მალე გაირკვევა ყველაფერი. მზად როგორ არა ვარ, მაგრამ ის საზარელი სიმართლე მაშინებს, გამცემის თვალებს რომ წავაწყდები. დანარჩენი ყველაფერი ჩვეულებრივად წავა. როცა ამ საქმეზე მივდიოდი, მე ხომ უკვე ვიცოდი, რაც მელოდა. ალბათ ამიტომ ვარ ასე მშვიდად. ავად თუ კარგად მე ჩემი გავაკეთე. დამწყების ბოლო ხშირად ასეთია. ახლა ალავერდი თქვენზეა. მანქანამ ამსტრონგის ქუჩაზე არ შეუხვია, ეტყობა ორმოცდამეორე ავენიუზე მივყავართ, პოლიციის მთავარ სამმართველოში.

საათს დახედა. ორს წამები აკლდა. მძღოლის ზურგიდან გაჰყურებდა ცარიელ ქუჩას. ყვითლად გაჩახჩახებულ ტროტუარებზე მარტო მენაგვეები და სამ-სამად მოსეირნე პოლიციელები ჩანდნენ.

მძღოლის გვერდით მჯდარმა ახალგაზრდა პოლიციელმა მიკროფონს ჩასძახა და უწარწერო, შავი ალაყაფის კარი მეყვსეულად გაიღო. მერე დიდხანს მიდიოდა მანქანა პოლიციის ჩაბნელებულ ტალანებში. საპატიმრო ჯიმის სხვაგვარად წარმოედგინა. მას ეგონა, რომ ბორკილდადებულს მოუწევდა გავლა გრძელ დერეფანში და იქეთ-აქეთ რკინის გალიებს მომდგარ პატიმართა მისალმებებში ამაყად თავაწეული მივიდოდა თავის საკნამდე. მსგავსი არაფერი მომხდარა. მესამე კიბეზე ჩადიოდნენ ახლა ის და მისი გამყოლი და ჩამიჩუმიც არ ისმოდა, კაციშვილი არ შეხვედრიათ, ავად დაგმანულ გისოსებიდან კვნესა რაა, პატიმრის ერთი ამოოხვრაც კი არ გაუგონია. ჯიმის ეჩვენებოდა, რომ ეს ამოდენა პოლიციის დეპარტამენტი ცარიელი იყო და ცოტა არ იყოს რცხვენოდა კიდეც თავისი თანამგზავრისა, რომ ასე უდროო დროს აიძულებდა მასთან ერთად ევლო ულიფტო შენობაში აღმა-დაღმა.

– სერ! – პირტიტველა პოლიციელმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

ჯიმიმ ქამანდნასროლივით მოღრიჯა კისერი.

– მგონი, მოვედით, ერთ წუთს დამელოდეთ, – ტყავგადაკრულ კარს მიაწვა.

ჯიმი კედელს მიეყრდნო, დოინჯი გაიკეთა და მოცლილი კაცივით ფეხიც კი შეუბიჯგა სხეულს.

ხუთიოდე წუთში იგი ხანშიშესული ზანგის წინაშე იჯდა. ზანგს ჯიუტ, ხუჭუჭა თმაში ჭაღარა შერეოდა. მოკლესახელოებიანი თეთრი პერანგი და ემპაიერ ბილდინგის გამოსახულებიანი ჰალსტუხი ეკეთა. გამხდარი იყო და ჯიმის მოეჩვენა, რომ ზანგისთვის სრულიად უჩვეულო, წვრილი მაჯები ჰქონდა.

– მე ფოკლენდი მქვია, – უცერემონიოდ დაიწყო ზანგმა, როცა მარტონი დარჩნენ, წამოდგა, კარადა გამოაღო, „ომი და მშვიდობაზე“ უფრო სქელტანიანი წიგნი დაითრია და მაგიდაზე დაატყაპუნა, – ეს კი თქვენი საქმეა.

– ოჰო?! – გაიკვირვა ჯიმიმ, – კარგად გიმუშავნიათ.

– მინდა იცოდეთ, მისტერ ჯიმ, რომ ირონია ჭირივით მძულს. ამ დეპარტამენტში მე უფრო დიდი თანამდებობა მი-

ჭირავს, ვიდრე თქვენი ტომის შედგენა გახლავთ. მე ეს საქმე (გაიღიმა) – თქვენი მოღვაწეობის ნუსხა მხოლოდ გუშინწინ გადმომეცა.

– შეიძლება, გკითხოთ? – ჯიმი წინ გადაიხარა და ხელები მუხლებზე დაიწყო, – რამდენი დრო დაჭირდათ?

– მე ამის თქმის უფლება არა მაქვს, მაგრამ ჩვენ შორის თუ დარჩება, გეტყვით, თქვენ დამუშავებაში ხართ უკვე ორი წელია. მაპატიეთ „დამუშავებაში ხართ“ მთლად გამართული ინგლისური ვერ არის, შინაურული, პოლიციური ტერმინია.

– ჩემგან რაღაა საჭირო?!

ჯიმიმ იგრძნო, რომ შეკითხვების მიცემის ინიციატივა იგდო ხელთ და ეუხერხულა თავისი საქციელი.

– გეჩქარებათ სადმე? – ზანგმა ყანაოთივით თეთრი, ქათქათა კბილები გააელვა.

– არა, სერ, ჩვენი შეხვედრის აზრს ვერ ვხედავ. მე ხომ ვიცი, თქვენ როცა აპატიმრებთ კაცს, მისი საქმის გამოძიებაც დამთავრებული გაქვთ და მისი ბედიც გადაწყვეტილი.

– სახელდობრ?

– ზუსტად იცით, რამდენი უნდა მისცეთ. ასე, რომ, მადლობა პოლიციას ასეთი გულმოდგინე მუშაობისათვის ჩემი მოკრძალებული ორი წლის გამო. ჩემს ჩვენებებს აზრი არა აქვს. თუ რაიმე ხელმოსაწერი გაქვთ, მოგიწერთ. რაც შეეხება დანარჩენს, თუ არ შეწუხდებით, ჩემი კამერა მიჩვენეთ, გამოვიძინებ და ხვალ ვილაპარაკოთ.

– ნუ ცხარობთ, – მისტერ ფოკლენდი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, – თქვენ პოლიციის დეპარტამენტში ბრძანდებით და ნება გვიბოძეთ თქვენი ძილის საათებში ჩავერიოთ.

– ოჰ, უკაცრავად, გარეთ მყოფი კაცის თვისებები, ალბათ, ცოტა ხანს კიდევ გამყვება და არ გაგიკვირდეთ, თუმცა გაწვალებით არ გაგაწვალებთ. მალე გამოვსწორდები.

– ?!

– თქვენ კარგად იცით, მისტერ ფოკლენდ, რომ „თავისუფალი“ კაცი პატიმრისაგან ჩვენში მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს, როცა მოეხასიათებათ, მაშინ გააღვიძებენ.

– თქვენ გინდათ თქვათ...

– დიახ, მე ბავშვობიდანვე პატიმარი გახლავართ ამ პოლიციურ სახელმწიფოში, მარტო ის მიკვირდა, ორმოც წლამდე როგორ მოვედი ისე, რომ ჩემი ოთახის გასაღები მე მედო ჯიბეში.

– თქვენ შეგეძლოთ მთელი ცხოვრება გარეთ გაგეტარებინათ.

– რა მნიშვნელობა აქვს. თქვენ გარეთ ყოფნას რას ეძახით? დატკბობას ხომ არა იმ თავისუფლებებით, ამერიკის ქარტია რომ სთავაზობს თავის მოქალაქეს. ხომ ხედავთ, თურმე მე რომ ობსლენდის პლაჟზე მზეს ვეფიცხებოდი, ან ჩიკაგოს ტრასაზე მივქროდი მოტოციკლით, მარტო არც მაშინ ვყოფილვარ. თქვენი შტატიანი თუ უშტატო თანამშრომლების მზრუნველობა და ყურადღება განსაკუთრებით ამ ბოლო ორი წლის მანძილზე წუთითაც არ მომკლებია. ვერ გეტყვით, რომ არ ვგრძნობდი პოლიციის ზურგში დამიზნებულ მზერას.

– უნდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც არ გეტყობოდათ, ყოველ შემთხვევაში თქვენ, ამ წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე არაფრთხილი კაცი ჩანხართ იმ პოლიტიკურ დამნაშავეთაგან, ვისაც მე შევხვედრივარ.

– ნება მომეცით, არ ვუწოდო ჩემს თავს პოლიტიკური დამნაშავე, მაშინაც კი, როცა ჩემი სასამართლოს ფარსს ჩაატარებთ და გაზეთებს ააჭრელებთ ჩემი „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ დამამტკიცებელი დეტექტიური სიუჟეტებით.

ზანგი მაგიდას დაუბრუნდა და მშვიდი, ხორხისმიერი ბარიტონით ჩამოღერღა:

– ხომ არ გინდათ, თქვათ, რომ დანაშაული არ მიგიძღვით ამერიკის ხელისუფლების წინაშე? მე მგონი მე და თქვენ ბავშვები არა ვართ.

– ხელისუფლებას სახელმწიფოს მნიშვნელობით ხმარობთ?

მისტერ ფოკლენდი დაიბნა.

– ეგ სულერთია.

– მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების გამოთქმა თქვენ რომ ქვეყნის ღალატად მიგაჩნიათ, ეგ გასაგებია. თუ ამ პოზიციიდან გამოვალთ, ალბათ, დამნაშავე ვარ. მაგრამ ყოველ

შემთხვევაში იმდენად არა, როგორც ამ ოცკილოგრამიანი წიგნიდან ჩანს.

– თქვენ რა იცით, რა წერია ამ წიგნში?

– ვხვდები, იცით რა, მისტერ ფოკლენდ. მე კონსპირაციის საბურველით არ ვფარავდი ჩემს საქმეებს, თორემ არც ისეთი ჰოტროველა ვარ, თქვენს ბიჭებს ბულკივით ჩავვარდნოდი პირში. რას ვაკეთებდი მე? გაფიცულების დასაცავად პეტიციას ვუგზავნიდი მთავრობას, მამხილებელ სტატიებს ვწერდი, მიტინგებზე სიტყვებით გამოვდიოდი ადამიანის უფლებების დასაცავად, ხელმოწერებს ვაგროვებდი უდანაშაულო „დამნაშავეთა“ დასახსნელად, შემოწირულობებს ვაგროვებდი აფრიკის ჯუნგლებში დაღუპულთა ოჯახებისათვის. ვიბრძოდი ისე, როგორც ყველა პატიოსანი კაცი უნდა იბრძოდეს.

– და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს არ არის მთავრობის საწინააღმდეგო ქმედება?

– არავითარ შემთხვევაში, მე დივერსიებს არ ვაწყობდი, ტერორს არ მივმართავდი და უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი არ მქონდა.

– შორიდან დავიწყოთ, – მისტერ ფოკლენდმა კონდიციონის ღილაკს თითი დააჭირა, – თქვენ ჩვენი მთავრობა გიყვართ?

– რომელი ჩვენი მთავრობა?

– ამერიკის.

– მთავრობა ძალიან ფართო ცნებაა, სერ. შეკითხვა კი თუმცა ცოტა ბავშვური გახლავთ, მაგრამ ბავშვურადვე გიპასუხებთ, – არ მიყვარს, უფრო სწორად მთავრობის ზოგი წევრის საქმიანობა რადიკალურად არ მომწონს.

– მაინც?

– გრძელი ისტორიაა. მეც იმიტომ არ მომწონს, რატომაც თქვენ არ მოგწონთ. თქვენ რომ არ მოგწონთ, ეს იმაზე გეტყობათ, რომ ბრიყვი არ ჩანხართ. თუ სიმართლე გინდათ, თქვენ ჩემზე მეტი ოპოზიციონერი იქნებით გულის სიღრმეში, რადგანაც პოლიციაში მუშაობთ და მეტი საბუთი გაქვთ იყოთ უკმაყოფილო.

– მადლობელი ვარ გულახდილობისათვის, მაგრამ, თუ არ შეწუხდებით, ერთი სიტყვით მაინც მითხარით თქვენი გაარჯლების მიზეზი.

– მიზეზი? – ჯიმმა გულხელი დაიკრიფა და გამომძიებელს თვალებში შეხედა. – თუკი ეს ოქმისთვის საჭიროა, გეტყვით, დავლპით. დიდი ხანია რღვევა და დაშლა დავიწყეთ.

– საეჭვოდ დიდი ხანი ხომ არ არის?

– არა, ყველაფერი კანონზომიერად მიდის. რღვევის პროცესი მხოლოდ იმიტომ ჭიანურდება, რომ ერთი მხრივ უწიგნური ადამიანების გარემოცვაში ვართ, მეორე მხრივ თქვენნაირი შენიღბული და გაორებული მოხელეების.

– კარგი იქნება, თუ შიგადაშიგ პირად შეურაცხყოფას არ გაურევთ, – ჩაიდუდუნა ზანგმა.

– ყველა საღად მოაზროვნე ამერიკელი ხედავს, რაც გვჭირს, მაგრამ პირში წყალი აქვს დაგუბებული.

– ნება მომეცით, გკითხოთ. თქვენ „საღად მოაზროვნე ამერიკელების“ რომელ ელიტას წარმოადგენთ?

– ვინც პირში წყალი არ დაიგუბა. ვინც დაინახა და თუ ქმედითი ვერაფერი გააკეთა, თქვა მაინც.

– გამოსავალი?

– დახავსებულ ცხოვრების წესზე უარი უნდა ვთქვათ. მოყირჭებულ „იდეებს“ უნდა შევეშვათ და ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ.

– სამიტინგო ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ხომ არ ხარჯავთ, იქნებ ცოტა უფრო პრაქტიკულად ილაპარაკოთ?

– უფრო პრაქტიკულად? მაღალ მატერიებს მოვეშვათ, ნურაფერს ვიტყვით ჩვენს საარჩევნო სისტემაზე და პიროვნების თავისუფლებაზე, რისთვისაც მთელი ქვეყანა დაგვცინის. ნუთუ არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩვენს ქვეყანაში ბენზინის ფასი ყოველწლიურად იზრდება და ამხელა სახელმწიფოში ენერგეტიკის უიმედო კრიზისი სუფევს?

– კლიმატს გამორიცხავთ?

– ეგ გაზეთური მაიმუნობა აქ რა მოსატანია.

– ბრძოლის მომხრე ხართ? იქნება მითხრათ; შეიარაღებულ ბრძოლის თუ შეხედულებების ჯახაჯუხის?

– მე თქვენ სერიოზული კაცი მგონიხართ, მისტერ ფოკლენდ, სახუმროდ სულაც არა გვაქვს საქმე. ბრძოლა სინდისის თავი-

სუფელბისათვის დიდი ხანია დაწყებულია და ყველა პატიოსანი ამერიკელის ვალია, როგორც შეუძლია შეეწიოს ამ ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისათვის.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ. ზანგი სპილოს ძვლის დანით ფრჩხილებს იწმენდდა და თან ჯიმის გამჭოლ მზერას არ აცილებდა. მერე საბრალდებო დასკვნის წიგნი შუაზე გაშალა, ერთხანს იკითხა თავისი სქელი ტუჩების ცმაცუნით, ერთბაშად დახურა და მარჯვენა ხელი დაადო:

– თქვენ წელან „იდეები“ ახსენეთ, იქნება არ მოგწონთ ის ზნეობრივ-სამართლებრივი პრინციპები ჩვენს კოდექსებსა და ამერიკის კონსტიტუციაში რომ წერია?

– საქმე იმაშია, რომ თეორიული საფუძველი ურიგო როდი გვაქვს, მაგრამ ეგ ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, ჩვენ კი სხვა გზით წავედით.

– მაინც?

– ჩვენი უბედურების თავი და თავი სწორედ ეგ არის. უპრეცენდენტო დაშორება სიტყვასა და საქმეს შორის.

– ?!

– ერთს გავყვირით და მეორეს ვაკეთებთ, ამიტომაცაა, რომ, თუ ხედავთ, ხელისუფლების წარმომადგენლები თანდათან მარტო რჩებით, მასამ კარგა ხანია ზურგი შეგაქციათ.

– მაგრამ ჩვენ ხომ მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ქვეყნის სახელით ვართ ცნობილი.

– ამაზე მხოლოდ თქვენ და თქვენი მარიონეტები გაჰყვირიან. ისინიც მხოლოდ მაშინ იწყებენ გლახა ძაღლივით ყეფას, როცა ოსპის წვენს დაუდგამენ. გულის სიღრმეში მათაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ხედავდე, როგორ მცირდება დღითიდღე შეერთებული შტატების ერთგულთა რიცხვი?

– მიზეზი?

ჯიმის გაეცინა.

– თქვენ ხომ არ დამცინით, მოწყალეო ხელმწიფევ, განა მთელი საათი მიზეზზე არ გელაპარაკებით?

– ეგ ზოგადი მსჯელობაა. ზოგადად თქმა ადვილია.

– ისევ კონკრეტულად გნებავთ? კი ბატონო, პოლოვჩაკების

ოჯახი ცხოვრობს ვაშინგტონში. ერთ მშვენიერ დღეს ამ ოჯახმა მოისურვა მოსკოვში გამგზავრება, ე. ი. სამშობლოში დაბრუნება მუდმივ საცხოვრებლად. თქვენ როგორ მოიქეცით? 1980 წლის 13 ივლისს პოლოვჩაკებს მოსტაცეთ 17 წლის ქალიშვილი ნატალია და 12 წლის ვაჟი ვლადიმერი. ბავშვების მოტაცება სანქციონირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ხელისუფლების, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

– ეს თქვენ რუსულ გაზეთში ამოიკითხეთ. ეჭვი არ დაგებადათ ამ სენსაციის სიზუსტეში?

– სხვათა შორის ამაზე რვა აგვისტოს მსოფლიოს რამდენიმე დიდმა გაზეთმა დაწერა და უნდა გამოგიტყდეთ, არაკომუნისტურმა გაზეთებმაც.

– როცა ამას ამბობთ, რატომ არ ფიქრობთ ორ გარემოებაზე: ჯერ ერთი, ჩვენ საყოველთაო კეთილდღეობის ნანატრი დღეები ჯერ წინა გვაქვს, მეორეც, განა ვერ ხედავთ, ადამიანის სულის გაჯანსაღების გზაზე მომხდარ გასაოცარ ძვრებს. დღეს ხომ მთელი მსოფლიო ლაპარაკობს ამერიკული ცხოვრების წესზე.

– ო, მისტერ ფოკლენდ, – ჯიმმა ასანთის კოლოფი გააგორა მაგიდაზე, – ნეტავ, ამ პრობლემას სულ არ შეხებოდით. ყველაზე ადვილი დასამარცხებელი სწორედ სუპერმენზე კამათის დროს ხართ.

– რატომ?

– ალიბის უქონლობის გამო. სტატისტიკა თუ დაინტერესდება; ამერიკის მოქალაქეთა უმეტესობა ბიზნესმენობს ამ სიტყვის უკიდურესი მნიშვნელობით, ესე იგი ან თაღლითობს, ან იპარავს, ან თავისი ჯანმრთელობის საზიანოდ ზედმეტად ტვირთავს თავის ტვინსა და კუნთებს. გახსოვთ, რა დიდის ამბით გავყვიროდით ახალი ამერიკელის, სუპერმენის აღზრდაზე. მოდით და იხილეთ ჩვენი აღზრდის პროდუქტი. აბრამ ლინკოლნი რომ გაცოცხლდეს ახლა და გადახედოს შეერთებულ შტატებში დანაშაულობათა ზრდის ნუსხას, უეჭველად თავს მოიკლავდა. საზოგადოების დიდი ნაწილი რწმენაშერყეულია, ხოლო საგრძნობი ნაწილი აშკარა დანაშაულობათა

გზას ადგას. შორს რომ არ წავიდეთ და რიგითი ამერიკელები არ შევაწუხოთ, უკანასკნელი დღეების ორ მაგალითს შეგახსენებთ, როგორ უცქერით იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტის ძმა – ბობი კარტერი ლიბიის ხელისუფალთაგან ქრთამად იღებს მეოთხედ მილიონ დოლარს და სანაცვლოდ თავისი გავლენიანი ძმის მფარველობას ჰპირდება? ხოლო თვით პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ერთ-ერთი არაბული ქვეყნის ელჩისაგან ძღვნად იღებს ოქროთი ინკრუსტირებულ, ორმოცდაათი ათას დოლარად ღირებულ უნაგირს?

– სწორედ ჟურნალისტთა მონაჭორზე ბრძანებდით ახლახანს. ამ „ფაქტებს“, როგორც თქვენ უწოდებთ, ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება.

– გამოძიებამ კორექტივი შეიძლება მხოლოდ უნაგირის ზუსტ ფასში და ბობი კარტერის მიერ ქრთამის აღების თარიღში შეიტანოს.

მისტერ ფოკლენდმა თითები ერთმანეთში გაუყარა და ერთბაშად მოიწყინა.

– თქვენ საშიში კაცი ხართ!

– მხოლოდ იმათთვის, სერ, ვისაც სიმართლის ეშინია.

– ხსნა?

– კვლავ დაჟინებით გიმეორებთ, ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას ნუ შეეცდებით. ჩვენმა სახელმწიფომ თავისი მისია ამოწურა.

– იქნებ ერთხელ კიდევ დაფიქრდეთ, ჯიმ. ჩვენ შეგვიძლია დრო მოგცეთ. ამერიკის სასამართლო ჰუმანურია.

– ოღონდ ჰუმანიზმზე ნუ ილაპარაკებთ. მე უკვე მზადა ვარ მორალურადაც და ჩაცმულობითაც. თქვენი ბიჭების ვიზიტს რომ ველოდი, ამ ერთ კვირაში, ყველა ვალი გავისტუმრე, ბინისა და გაზის ხარჯებიც გადავიხადე, ბიზნესმენები უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეყენებინა, რაც შეეხება დაფიქრებას, ჩემი აღზრდა უკვე გვიან არის, მე ხომ ზოგი ჩვენი საერთო ნაცნობივით ისე სუსტი არა ვარ, ათ წელიწადს საკანში დავფიქრდე და მერე საჯაროდ გამოვაცხადო – ღრმად ვცდებოდიო. ჩემს შეცდომაში კიდეც რომ დავრწმუნდე, რაც არასოდეს არ მოხდება, ჩემი ლაჩრული უკანდახევით მაინც არ გაგახარებთ.

– რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენ გარდა ასეთი მშვიდი დარწმუნებისა, სხვა საშუალებებსაც ვფლობთ.

– ნება თქვენია.

ზანგი წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა, ზურგზე ხელები დაიწყო და მოუხედავად ჰკითხა პატიმარს:

– ჯიმ, თქვენ ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდით?

– შემრცხვებოდა იმ სკამზე ჯდომისა, რაზეც ახლა ზიხართ. გააჩნია, ვის იცავთ და ვისგან იცავთ. მე თქვენ ადგილას როგორც გაკოტრებული სახელმწიფოს დამქაში გადავდგებოდი სამსახურიდან.

– ცოლ-შვილი?

– ცოლ-შვილის რჩენა, გარდა პოლიციაში სამსახურისა, სხვა ათასი გზითაც შეიძლება.

მისტერ ფოკლენდი ერთბაშად შემობრუნდა და ენერგიული ნაბიჯით წავიდა კარისაკენ. ღია კარში შეჩერდა:

– თუ შეიძლება, ცოტა ხანს დამელოდეთ.

– სიამოვნებით არ დაგელოდებოდით, რომ შემეძლოს, – ჯიმის გაეცინა.

პოლიციის მთავარი გამომძიებელი დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ჯიმის იგი უფრო ნაღვლიანი და დამძიმებული ეჩვენა. სტუმარს ბოდიში მოუხადა დაგვიანებისათვის და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

– აი, რა ჯიმ, თქვენმა საუბარმა დაგვარწმუნა, რომ თქვენს დაპატიმრებას აზრი არა აქვს. ციხე იმისთვისაა, ვისი სწორ გზაზე დაყენება ჯერ კიდევ შეიძლება. თქვენ კი არ გაგაბედნიერებთ ციხეში ჩასმით. მე ვიცი ციხეში ყოფნა ახლა თქვენთვის ჯილდო იქნებოდა. თქვენ – პოლიტიკურ დამნაშავეებს გიყვართ წამებულის ნათელში თავის გაყოფა და გაზეთის გმირად ქცევა. ეს არ მოხდება, ამაში ხელს არ შეგიწყობთ.

– კი მაგრამ, მე ხომ დამნაშავე ვარ, – ჯიმიმ სქელტანიან წიგნზე მიუთითა, იგი აშკარად შეძრწუნებული ჩანდა. – თქვენ კანონის ძალით უფლება არა გაქვთ, არ დამაპატიმროთ!

– დიახ, თქვენ დამნაშავე ხართ და უფრო მეტადაც ვიდრე სხვა თქვენი მეგობრები, ვისაც ხვალ-ზეგ სასამართლოს ზარი ელოდება, თქვენ ხომ ფაქტობრივად მოთავე ბრძანდებით

მათი. მაგრამ ჩვენი პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, – მისტერ ფოკლენდი დაიხარა, – საიდუმლოდ უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენს საუბარს ამაღამ ოცამდე კაცი ხედავდა და ისმენდა, – ჩვენი პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით თქვენი დაპატიმრების ორდერი ძალაში არ შევა. თქვენ თავისუფალი ხართ.

– მისტერ ფოკლენდ, ღვთის გულისათვის! – ჯიმის ხმაში მუდარა გაერია, ასეთ დასასრულს იგი აკშარად არ ელოდა.

– დიახ, სერ, სამწუხაროდ, მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია. თქვენი წრეგადასული პოლიტიკური თავხედობისთვის დაისჯებით გამცემის მანტიით. ძმათა გამყიდველად თქვენი გამოცხადებისათვის ჩვენ არ ვიზრუნებთ, თქვენს გარეთ ყოფნას საზოგადოება თვითონ მონათლავს ჯაშუშისა და გამყიდველის სახელით. თქვენ თავისუფალი ხართ.

ზანგი ღილაკს მისწვდა და მიკროფონს ჩასძახა:

– მოქალაქე ჯიმი თომასი გააცილეთ, გეთაყვა.

გამშრალი, გაფითრებული, სასოწარკვეთილი მოაბიჯებდა დილის ექვს საათზე ჯიმი კაცთაგან მიტოვებულ ქუჩაზე, როგორც ერთი ვინმე ბოგანო და ამბოკარი.

* * *

არ გასულა ორი კვირაც ამ ამბიდან, ნიუ-იორკის საღამოს გაზეთის 1980 წლის 25 სექტემბრის ნომერში, მეოთხე გვერდზე ასეთი განცხადება დაიბეჭდა: „გუშინ თავის საცხოვრებელ სახლში თავი ჩამოიხრჩო ორმოცდაერთი წლის უცოლო მამაკაცმა ჯიმი თომასმა, რომლის სოციალური მდგომარეობა და საქმიანობა პოლიციის დეპარტამენტის ქვეგანყოფილებისათვის უცნობი იყო“.

მამა

გიყვართო? თქვენგან მაინც არ ველოდი ამ შეკითხვას, ბატონო. რას ჰქვია, გვიყვარს. გვიყვარს კი არა, ხანდახან, რომ დავფიქრდები, შიში გამკრავს გულში – ჩემს საკუთარ შვილებზე მეტად ხომ არ მიყვარს-მეთქი. მაინც ცუდად ვთქვი – შვილია, აბა რა არის. რომ მოვიყვანე, იმ წუთიდან ჩემ წინაშე არ დამდგარა კითხვა – ჩემი სისხლი და ხორცი რომ არ არის-მეთქი? თქვენ არ გამოგიცდიათ, ალბათ, ეს გრძნობა და ამიტომ მკითხეთ – საკუთარი შვილები უფრო გიყვართ, თუ ომარიო. სხვისგან არ გამიკვირდებოდა ეს კითხვა. სხვამ შეიძლება ვერ გაიგოს, ვერ დაინახოს. ხომ ცოდოს ვამბობ, მაგრამ, მე მგონი, იმათზე უფრო თუ მიყვარს, თორემ ნაკლებად არა. სიმართლე გითხრათ, ჩემი ცოლისა მეშინოდა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ორი ბიჭი გაგვიჩნდა. ერთ დღეს არ გავაჩერებდი სახლში, ოდნავი სიცივეც რომ ეგრძნობინებინა. გადამკვდარი დედაა. ამას წინათ ავად გაგვიხდა ომარი და, იცით, რა მითხრა ნანულიმ (ჩემს ცოლს ჰქვია)? ხანდახან ისეთი ჭკვიანური თვალებით გადმომხედავს ლოგინიდან და ისე ეფერება ჩემს ხელს, ასე მგონია იცის, რომ მისი დედა არა ვარ და გულ-მუცელი მეწვისო. ამას რომ რამე დაემართოს, ერთ დღეს არ ვიცოცხლებ თავსო. ეს რაღაც სასწაული გრძნობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით. ხანდახან გავუჯავრდები და მერე სინანულით პირი მიშრება. ჩემს შვილებს, რომ იეშმაკებენ, ყურს ავახევ. მოგეხსენებათ, ბავშვი იმისია, რომ ხანდახან გაგაბრაზებს, აბა რა იქნება. ომარი რომ დააშავებს, გასალახავად აღმართული ხელი ჰაერშივე მიშეშდება. ლაპარაკიც არ შემიძლია ამ საკითხზე, ასე მგონია, უფლება არა მაქვს რომ ვცემო-მეთქი. რამდენჯერმე წამომცდა ახლაც, თუ დააკვირდით, ჩემი შვილები და ომარი-მეთქი. რად უნდა იყოს ასე? ეს ხომ სიცრუეა. გულისამრევი სიტყვებია. ჩემი შვილია, აბა

რა არის. თუ დაფიცებაა, პირველად ომარს ვიფიცებ. მე სამი შვილი მყავს – სამი ბიჭი, მორჩა და გათავდა. ახლა ხომ თორმეტი წლის არის? ისე გამორჩეულად ვუყვარვართ მშობლები, რომ ვერ წარმოიდგენთ, ხანდახან წავალთ სადმე, აბა რა იქნება, ისე მოიწყენს ეს ამხელა ბიჭი, რომ საჭმელს არ ეკარება. თვითონაც რაღაცნაირი ბუნებისაა, საოცრად თბილი და დამჯერე ბავშვია. ისე მეშინია, რომ იზრდება; დაკაცებას რომ იწყებენ, უცხოვდებიანო, წინანდებურად ალერსიანნი არ არიან და მედიდურები ხდებიანო. ათასი ყრანტალა კაცია ქვეყანაზე; ვინმემ რომ ჩაულაპარაკოს; – შენ მაგათი შვილი არა ხარო, სახლკარს გადავუწვავ. ჯერ ერთი, თვითონაც არ დაიჯერებს, მე ხომ მოხარშულს ვიცნობ, ომარი სხვა ტიპის ბავშვია, მაგრამ მაინც რატომ უნდა გაუფუჭდეს გუნება, რატომ უნდა შეეპაროს ეჭვის ჭია. სიცოცხლეს მირჩევნია-მეთქი, რომ გითხრათ, ცოტა იქნება. მე შვილის სიყვარული, მამობრივი გრძნობა პირველად მან მაგრძნობინა. არ დაიჯერებთ, რა მადლობელი ვარ მისი. ომარი რომ არ გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე, შეიძლება, ცოლიც არ შემერთო. ათასნაირია კაცის ხასიათი. მე ამ ბუნებისა ვარ. ორი წელიწადი ჩემს გულზე ვზარდე. ერთი წუთითაც არ დავღლილვარ. წუთითაც არ მომწყენია. ბოლოს, ლაპარაკს რომ სწავლობდა, სახლში შემოსულ ყველა ქალს „დედას“ ეძახდა და ამან დამაჩქარებინა ცოლის შერთვა. მე ვთქვი, რომ გაიზრდება და „დედას“ მკითხავს, რა ვუპასუხომეთქი. საერთოდ, ამ თემაზე ლაპარაკი ჭირივით მძულს, მე არც კი მახსოვს, რომ იგი ჩემი ღვიძლი შვილი არ არის და არც არავის ვუყვები, რაც მოხდა. სხვა სხვის ომში ბრძენია, ხომ იცით, მაგრამ მე სულ აღარ მაინტერესებს ამ საკითხზე სხვისი აზრი. მე ჩემი ჭკუით ვცხოვრობ და ამ ქვეყანაზე ჩემი ფუნქცია ნაპოვნი მაქვს. რაკი ასე ძალიან გაინტერესებთ, გიამბობთ, ოღონდ ეს ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს. დრო ხომ გაქვთ? ცოტა გრძელი ისტორიაა.

ოცდაოთხი წლის ვიყავი, უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და ამ დაბაში მილიციის ქვეგანყოფილების უფროსად გამამწესეს, ოცდაოთხი წელი რა არის, მაშინ დიდი მეგონა ჩემი

თავი და ახლა რომ ვუკვირდები ოცდაოთხი წლის ბიჭებს, ბავშვებად მეჩვენება ყველანი. თქვენ ბრძანდებოდით ჩვენი განყოფილების შენობაში. ჯერ ახლა რა არის და მაშინ რა იქნებოდა. ახლა ოთხმოცა კაცამდე ვართ, მაშინ ცხრანი ვიყავით მდივან ქალიანად. ის იყო საწყალი (ტანია ერქვა) კანცელარიის გამგეც, მბეჭდავიც და თუ დაგვჭირდებოდა, ოპერატიულ საქმეზეც ვგზავნიდით. ჩვენ – მიქელთაძეები სოფელ სარეკელადან ვართ, აქედან საათ-ნახევრის სავალია მანქანით. მაშინ ჩემი უფროსი და გათხოვილი იყო (ვეტექიმ სიხარულიძეს ჰყავს აბაშაში) და ბებრები მარტო ცხოვრობდნენ. შემეძლო სახლიდანაც მევლო სამსახურში – ახალთახალი ვილისი მემსახურებოდა, მაგრამ ხომ იცით ახალგაზრდა, უცოლო კაცის ამბავი, შენი ოთახის გასაღები რომ შენს ჯიბეშია, იმას არაფერი გირჩევნია. ნაქირავებში ვცხოვრობდი. ათმეტრიანი ოთახი იყო. მე ქე მყოფნიდა, თანაც დიასახლისი მყავდა, აცხონოს ღმერთმა, უკრაინელი ქალი იყო, მოხუცებული, შვილივით მივლიდა, კვართ-შარვალის დარეცხვა-დაუთოვებას თავი დაანებე; ჩაი არ დამისხამს ჩემი ხელით იმ ორი წლის განმავლობაში.

ერთ საღამოს (რა დამავიწყებს, 9 ოქტომბერი იყო) გვიანობამდე შემოვრჩი სამსახურს. კაბინეტში ვზივარ და შეტყობინებებს ვათვალიერებ. ჩვენი საქმე, მოგეხსენებათ, ცოტა სხვანაირია. არ დაიტრაბახოს არავინ; რვა საათს წავიმუშავებ და გავიქცევი სახლშიო. თუ ნამდვილი იურისტი ხარ და გული შეგტკივა, ღამესაც კარგად გაათევ ტალახიან ორღობეში, ცხენივით, ფეხზე.

ცხრა საათი ჯერ არ იქნებოდა და არც არაფერი უკლდა, კარს დაუკაკუნებლად მოაწვა ვიღაც. თავპირშეხვეულმა დედაბერმა შემოყო თავი. ათასი უპატრონო, ლოთი დედაბერი დაეხეტებოდა მაშინ მილიციის ირგვლივ. ზოგი ისეთ დიპლომს და ისეთ საბუთს გიჩვენებდა, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდა, მაგრამ რად გინდა, იმათი არც ჩაწერის ნება გვქონდა და არც დასასაქმებლად გამოდგებოდნენ. თავთავიანთ სახლებიდან ათასი მიზეზით გამოქცეულნი ისე იყვნენ გალოთებულ-

გაუბედურებულნი, რომ ორ ბატს ვერ ჩააბარებდი. ხელში ძველთაძველი, დაძონძილ შალის ზეწარში საგულდაგულოდ გახვეული ბავშვი რომ არ სჭეროდა გავაგდებდი, ისე ვიყავი დაღლილი, რომ მაწანწალასთან კი არა, მამაჩემთან ლაპარაკსაც ვერ შევძლებდი.

სანამ ჩემს მაგიდასთან მოვიდოდა, ორჯერ ისე დაბარბაცდა, რომ კინაღამ სკამზე ჩამოარტყმევინა ბავშვს თავი. აშკარად მთვრალი იყო. ბავშვი მაგიდაზე დამიდო და ალუღლუღდა:

– ჩაიბარეთ, მე ამის მოვლა აღარ შემიძლიაო, ჩემ მეზობლად, თავშესაფარში, ერთი გათახსირებული ნადია ცხოვრობდაო. მოსვენება არ გვქონდა პატიოსან მდგმურებს მისი „სტუმრებისაგანო“. რას აკეთებს მილიცია, რატომ უშვებს თავისუფლად ქუჩაში ნადიასთანა ლოთებს და ბოზებსო – ვითომ თვითონ მამა აბრამის ბატკანი მყავდა.

თავშალი მოიხსნა, მარჯვენა ხელზე გადაიკიდა, სული მოითქვა და განაგრძო:

– სამი თვის წინ შეეძინა ეს ბავშვი. რათ უნდოდა? საავადმყოფოდან მაინც რაღას გამოყავდა? დავტოვებდი იქ, როგორც, ალბათ, არაერთხელ გაუკეთებია. ვინ გკითხავთ თქვენო, თვალები გადმოგვიქაჩა. ბალღის საცოდაობით ვიწვებოდით ყველანი. ხანდახან ტირილით იჭაჭებოდა ეს უბედურ დღეზე გაჩენილი და დედამისი ამ დროს არყით გალეშილი ეგდო იატაკზე. გუშინწინ, დილით ასე შეხვეული, როგორც არის, მომიყვანა; თუ ქალი ხარ, ერთ საათს მიმიხედეო. უარის თქმა ვერ მოვასწარი, ხელში შემომაჩეჩა და გაიქცა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, თქვენც არ მომიკვდეთ, ვინ მოდის. არადა მე ჩემი გასაჭირი მაქვს. ბავშვის მოვლა შემიძლია მე? მეორე დღეს, ესე იგი გუშინ, მეზობლებს დავუძახე და მისი ჯიხურის კარი შევანგრიეთ. რა შენგრევა უნდოდა, ხვანჯრით იყო გაკრული. ლოგინზე ეს წერილი იდო.

უბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს ეძება, დაჭმუჭვნილი ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და გამომიწოდა.

„დუსია ბიცოლა, მე გავთხოვდი. იურას მიხედეთ თუ შეგიძლიათ, თუ არა და მილიციას ჩააბარეთ“, – ჩავიკითხე და

გული შემეკუმშა. არის ახლა ეს ძუკნა დედობის ღირსი? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი.

– ოთახი მივათვალიერ-მოვათვალიერეთ, – განაგრძობდა დედაბერი, – ყველაფერი წაუღია. ასანთის ღერიც არ დაუტოვებია, გაყვა ალბათ მასავით მაწანწალას, ვინ იცის, სად არიან. სდიე ქარს ტრამალზე. ა, ბატონო, მოგიყვანე ეს ბავშვი, მე ბავშვები რომ მდომებოდა, საკუთარი მეყოლებოდა. ორი დღეა გადიად გადავიქეცი. ვისაც მივუყვანე, არავინ ხელი არ მოკიდა. ვერავის შევატოვე, ჩემსავით შტერი და გულუბრყვილო არავინ აღმოჩნდა.

გატრიალდა და კარისკენ გაიქცა. გზა გადავუჭერი, რას მერჩითო, ხმას აუწია და მერე ისტერიკა დაემართა; მეყოფა, მე რაც მჯიჯგნეთო. მე პატიოსანი ქალი ვარ, უდანაშაულოდ ვიჯექიო. სანამ უნდა მსდევნიდეთ, საფლავის კარამდე ხომ არ ჩამყვებითო. კენიგსბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი მაქვს ფრიადზე დამთავრებული. რა თქვენი ხელწამოსაკრავი ქალი ვარო. რა ვუყოთ, დღეს რომ ასეთ დღეში ვარ, სიბერეში ვის რა ელის, არავინ იცისო.

ძლივს დავამშვიდე, თქვენ არავინ გერჩით, უბრალოდ, ამ ბავშვის დედის სახელი და გვარი ჩაგვაწერინეთ-მეთქი. გვარი, რასაკვირველია, ვერ გაიხსენა, ჩვენ გვარითა და მამის სახელით კარგა ხანია აღარ მივმართავთ ერთმანეთსო. მისამართი ჩავინიშნე. აქტი შევადგინე, ხელი მოვაწერინე და გავუშვი.

გავიდა თუ არა, ბავშვს ვეცი. პირზე აფარებული ჭუჭყიანი მიტკლის ნახევი გადავუწიე და დავხედე, ისე უცოდველი და მშვიდი ძილით ეძინა, თითქოს რომანოვების კანონიერი მემკვიდრე იყო და თავზე ცხრა მომვლელ-გადია დაჰფოფინებდა.

ღილაკს თითი დავაჭირე, არავინ გამომეპასუხა. საათს დავხედე, ტანია, რა თქმა უნდა, წასული იქნება. გარეთ გამოვვარდი და ყვირილი ავტეხე. მილიციაში ჩვენ გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სულელი მორიგეც სადღაც გაპარულიყო.

შევშინდი. რა ვუყო ახლა ამ ბავშვს? სხვათა შორის პირველად ავიყვანე მაშინ სამი თვის ჩვილი ხელში. არ დამძრახოთ, ბავშვის დაკავებაც არ ვიცოდი. ეტყობა იგრძნო, ტლანქმა

ხელმა უხერხულად რომ აიყვანა და ტირილი მორთო. თავქვეშ ამოვუდევი მეორე ხელი და რომ როგორმე გამეჩუმებინა, კაბინეტში სირბილი და გაუგებარი ჩიფჩიფი დავიწყე. შეისმინა ჩემი თხოვნა და დამშვიდდა. გარეთ გამოვედი, ჩემი მანქანაც არსად ჩანს. რა დაემართათ? მთელ დაბაში რაღაც შემაძრწუნებელი, მკვდრული სიჩუმეა. ოღონდ სახლამდე მივიდოდე და არაფერი მინდა. დიასახლისს ჩავაბარებ და დილამდე გააძლებინებს. დილით მოვუძებნი გზას. ბავშვთა სახლს ჩავაბარებ, ან რაიონის ცენტრში ჩავიყვან და ბავშვთა ოთახის გამგემ იმტვრიოს თავი.

რა ღვთისნიერი ქალი იყო, რანაირი სიხარულით შემხვდა კიბეზე. ბავშვი გამომართვა კი არა, ეს ამ ხნის ქალი ჯარასავით დატრიალდა. არც არაფერი უკითხავს, თავის ოთახში შეარბენინა, გაზზე წყალი შედგა გასაცხელებლად. ჯერ დაბანას ნუ იჩქარებ, მშიერია, რა ვაჭამოთ-მეთქი. რა დასაძრახია და არ ვიცოდი, რით იკვებება სამი თვის ბავშვი დედის რძის გარდა. სახლიდან მოვიყვანე მებუფეტე ქალი, გავაღებინე მაღაზია და მაწონი ხელად მოვარბენინე. ამასობაში ჩემს დიასახლისს ბავშვი დაებანა და თბილ ღუმელთან იატაკზე გაეშალა ლეიბი. დავხედე. ბადრი მთვარე რომ გინახავს სავსე და ქათქათა, თვალს ვერ მოწყვეტდი.

რომ დავაპურეთ და დავაძინეთ, როდის როდის შემოვიდა ჩემთან დიასახლისი, საწოლთან ახლოს მოაჩოჩა ტაბურეტი და მკითხა, როგორც დედა ჰკითხავს შვილს: – რას აპირებ ახლა, შვილო, როგორ გინდა მომავალში. მე არაფერი მიკვირს. რა ვუყოთ, ხდება. რაკი ბავშვი გაგიჩნდა, ანი ღმერთს მადლობა შესწირე და მამობა გაუწიეო. ვინ არის, რა ქალია, არ გიჩივლოს იმ მიწაგასახეთქმა, თორემ, ხომ იცი, შენი სამსახურის კაცისთვის ასეთ საქმეზე წახდენა აფსუსიაო.

ძლივს დავარწმუნე, რომ ბავშვი ჩემი არ იყო და დედამისიც თვალით არასოდეს მენახა. ასე და ასე მოხდა-მეთქი. ვიღაცა ლოთმა დედაბერმა მომიყვანა დღეს, ხვალ დილით საბავშვო სახლს ჩავაბარებ და მოგაშორებ-მეთქი.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეწყინა, სადღაც გულის სიღრმეში, რომ ბავშვი ჩემი არ აღ-

მოჩნდა. მე თუ მატყუებ, შვილო, ეგ ძალიან ადვილი საქმეა, მაგრამ, თუ ბავშვი შენია, ცოდვა არ ჩაიდინო და გულიდან არ ამოიღოო. კარგად ვხედავ, დედამისი რა ცხოველიც ყოფილა, ბავშვი მთელი კვირის დაუბანელი იყოო. მე რა მესაქმება, მაგრამ ღვთის გაჩენილი ანგელოზია და შენ ისე მიყვარხარ, კიტა, გენაცვალე, რომ შენი ხათრით ყველაფერს მივატოვებ და მიგიხედავო.

ამ სიტყვებმა ისე გამითბო გული, ცრემლი მომადგა. არა, დედილო, მე ვუთხარი, ჩემი რომ იყოს, რატომ დაგიმალავდიმეთქი. ეჭვიანად შემომხედა და ღრმად დაფიქრებული გავიდა ოთახიდან. რა არის მაინც ადამიანური ადამიანი. იმ უკრაინელ ქალს რომ ასე სიყვარულით არ მიეღო ბავშვი და თბილი სიტყვები არ ეთქვა, მე, შეიძლება, არც კი გადამედგა ეს ნაბიჯი.

პარასკევი იყო დილით, თვითონ გამომიყვანა მოვლილი ანგელოზი და მონატრებულ მამას რომ ჩაუწვენენ პირმშოს ლოგინში, ისე გამიგორა ბალიშზე. შეხედე, რა ბიჭიაო. სამი თვის ბავშვი, კაცო, ისეთნაირად ხითხითებდა, გეგონებოდა, რაღაც ესმის, რაღაცას ხვდებაო.

ვზივარ სამსახურში, ვერ ვისვენებ, სულ ეს ბავშვი მიტრიალებს თვალწინ, რაღაცამ შემიბორკა ხელ-ფეხი. ბავშვთა სახლში, ვინ იცის, რა მოუვა-მეთქი? რა საინტერესოა, რანაირ კაცად გაიზრდება, რისი მომქმედი იქნება-მეთქი. ამნაირ ფიქრებში ვარ. მერე ჩემს თავს გავუჯავრდი. ამ არამკითხე ძიძაობას შეეშვი, და როგორც კანონია ისე გააკეთე-მეთქი. ერთი სიტყვით მოვკიდე ტელეფონს ხელი, ბავშვთა სახლის დირექტორისთვის უნდა დამერეკა, მაგრამ ხელი გამიშეშდა, თითქოს რაღაც დანაშაულს ჩავდიოდი. ტელეფონის ნომერი ვერ ავკრიბე. დღეს პარასკევია, შეიძლება, საბუთების გაფორმება ვერც კი მოვასწროთ, იყოს ეს შაბათ-კვირა ბავშვი ჩემთან და ორშაბათს წავიყვან-მეთქი.

არა, ბატონო, არა არ ვიცი, შეიძლება, მარტო მე ვარ ასეთი, მარტო მე მაქვს ასეთი საწყალი გული. ხალხი ჭრელია. იმ შაბათ-კვირამ გადაწყვიტა ყველაფერი. ვერ მოვიგლიჯე ეს ბავშვი გულიდან. თვითონ ძაან იმარჯვა, გითხრათ სიმართლე.

სამი თვის ბავშვი, კაცო! შემოდიოდნენ მეზობლები, ზოგი ალმაცერად, ღიმილით მიყურებდა, ზოგი ეფერებოდა და იძახდა, – რა ჯანმრთელი ბიჭია, ბუღასავით არისო. ბუღობას მე ვერაფერს ვატყობდი, მაგრამ ერთი კი იყო; იმ ორი დღის განმავლობაში თუ ვინმემ მოკიდა ხელი იმწამსვე ჩხავილს იწყებდა, ავიყვანდი მე და მაშინვე ჩუმდებოდა. ბოლოს, ისე გათამამდა, დავაწვენდი თუ არა საწოლზე, ტირილს მორთავდა. ასე დავატარებდი გულზე ახუტებულს ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე. თურმე ჩვილს ერთხელ თუ შეავლებ ხელს, მერე ველარ მოშორდები. თანაც, რომ იცი, შენს მეტი არავინ ჰყავს, უმწეო და უპატრონოა და ასე მოგეჩვია. რა ნახა ჩემში ასეთი, ვის მიმამსგავსა ნეტავი? ავიყვანდი თუ არა ხელში, სიცილს იწყებდა და თავისი ცისფერი ჟუჟუნა თვალებით ცხვირზე მაკვირდებოდა. ეს ცხვირი მოეწონა ჩემი, ეტყობა, დიდი რომ მაქვს, იმიტომ. ხელებს გავუხსნიდი თუ არა, ცხვირზე მტაცებდა და ძლივს ვაშვებინებდი.

დიდხანს ვჭოჭმანობდი, გამემხილა თუ არა ჩემი მშობლებისთვის ეს ამბავი. არ ვიცოდი, რანაირად შეხედავდნენ. ხომ მაინცაა რაღაც უცნაური იმაში, რომ შენი ერთადერთი ბიჭი, რომელსაც ცოლი არა ჰყავს, ერთ მშვენიერ დღეს გულზე ახუტებული შვილით მოგადგეს კარზე. მთავარი კინაღამ დამავიწყდა – ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ აღმასკომს დადგენილება გამოვატანინე შვილად აყვანის შესახებ და ამ ქვეყანას შეეძინა პატარა მოქალაქე – ომარი კიტას ძე მიქელთაძე. შევიცვალე კაცი, მაგრამ როგორ შევიცვალე, არ დაიჯერებთ. მანამდე, თუ მიზეზს ვეძებდი, სად მომეკლა დრო და რაც შეიძლება გვიან შევსულიყავი ჩემს „ბუნაგში“, ახლა სულ შინისკენ მიმიწევს გული. ხანდახან შუადღისას გამოვიქცევი, მძინარეს რომ დავხედო და ფუმფულა, მარწყვისსუნიანი ხელები დავუკოცნო. მეზობლები ვერ მცნობენ. სამსახურს რომ დავამთავრებ, მკლავზე გადაწვენილ ბავშვს კარგა დაღამებამდე დავასეირნებ ტყის პირას. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებით ვაკეთებდი ამას. თუ მოწიფულობისას ჩვილით მოსეირნე მამებს ქალაჩუნებს ვეძახდი, ახლა ყველაზე ღირსეულ და ვაჟკაცურ საქმედ სწორედ ბავშვით ხელში სეირნობა მიმაჩნდა.

ხუთი თვის არც კი იყო, სარეკელაში რომ ჩავიყვანე. დედაჩემმა ჯერ შეიცხადა, მერე მოლბა და ბავშვი დიდი საჩუქარივით ჩამომართვა. ერთ საათში ისე შეუყვარდა, რომ ტანზე გახადა და ყველაფერი ჩაუკოცნა. თანაც ხან ომარს აკვირდებოდა და ხან მე. ბოლოს დაასკვნა – თითები, წარბები და ტუჩები შენი აქვსო. მამაჩემი ჩუმად იჯდა, არც შეშფოთება გამოუთქვამს და არც აღტაცება. ბოლოს წამოდგა, თითი დამიქნია და როგორც პატარაობისას იცოდა ჩემთვის – ნიშნის მოგებით მითხრა, – აი, რა მოსდევს, შვილო, მარტო ცხოვრებასო.

პირველმა ელდამ რომ გაიარა, ორივენი დავსვი და წვრილად ვუამბე ყველაფერი. ჩემი შვილი არ არის, დედამისი თვალითაც არ მინახავს-მეთქი. თქვენ გგონიათ, დაიჯერეს? არა და არა. ვის ატყუებ შენო, დედაჩემმა; შუაზე გაჭრილი ვაშლივით გგავსო ბავშვი. მერე, სიმართლე გითხრათ, სადღაც, გულის სიღრმეში გამეხარდა, რომ ბავშვი მე მიმამგვანეს და არც მიცდია უარყოფა. გადავწყვიტე, რომ ჩემს მშობლებს ეს ტყუილი ურჩევნოდათ. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო სცოდნოდათ, რომ თითქოს ომარი ჩემი ყმაწვილური შეცდომების ნაყოფი იყო.

მამაჩემი მაშინაც ავად იყო. კუჭის კიბო ჰქონდა საწყალს. ომარის მოყვანიდან ერთი წელიც არ უცოცხლია. სანახევროდ სარეკელაში გაიზარდა. ისე შეუყვარდათ ორივეს ბავშვი, რომ კვირაობით აღარ მატანდნენ უკან. მახსოვს, მამაჩემი სამი დღის გარდაცვლილი იყო, დასაფლავების დღეს, დილით სასტუმრო ოთახში თავის სამუდამო სასახლეში (იქავე იყოს) ჩავასვენეთ, თადარიგის დასაჭერად მეორე ოთახში გავედით და ბავშვი რომ მოვიძიეთ, აღარსად ჩანდა. სასტუმროში გამოვედით და ჭირისუფლებს კინაღამ სიცილი აგვიტყდა. ომარი კუბოზე აბობღებულიყო, მიცვალებულს გულზე დაჯდომოდა და ლოყებზე ხელს უტყაპუნებდა, თანაც საქმიანად ტიტინებდა, – ადექი, ბაბუ, ადექიო. ცრემლი მადგება ყოველთვის ამ სურათს რომ გავიხსენებ. მაპატიეთ, ბატონო.

მამაჩემის სიკვდილის მერე უფრო გამიჭირდა. დედაჩემიც ვერ იყო კარგად. ჩემს დიასახლისსაც კი არაფერი უგრძნო-

ბინებია, მაგრამ, ვატყობდი, ბავშვი ძალიან ღლიდა. სამ წლამდეა თუა საპატრონო და სადავიდარაბო. თვალს რომ ერთ წუთსაც ვერ მოაშორებ. თანაც დრო გადიოდა – ორი წლის ბავშვები ახლა ამბავს ყვებიან. დედა უნდა გამოჩენილიყო. სხვა გზა არ მქონდა, ცოლი უნდა შემერთო.

არც მთლად ადვილი ყოფილა ნანატრი გოგოს შერთვა ჩემს მდგომარეობაში. მაშვალთან საქმის დაჭერა ბავშვობიდანვე მძულდა, არა და მე თვითონ ვისაც მივადექი და ბავშვი მყავს-მეთქი ავუხსენი (დამალვას რა აზრი ჰქონდა), ყველამ მაშინათვე ცხვირი აიბზუა და ზურგი შემაქცია. თუ ბავშვი გყავს, მე რაღად გინდივარ, დედამისი მოიყვანეო, ასეთი პასუხით გამომისტუმრა ერთმა. მოკლე ჭკუის რომ იქნება ადამიანის შვილი.

ნანულისთან ცოტა ჭკვიანად მოვიქეცი, ჯერ ფლირტაობა დავუწყე, თავი შევაყვარე და ქორწილის დღე რომ უნდა დაგვენიშნა, მაშინ გავუმხილე ჩემი „ნაკლი“. ყურადღებით მომისმინა სხვათა შორის. სხვებივით არ შემხტარ-შემოტრიალებულა. მერე იტირა. რაღა მე შევიქენი ასეთი უბედურიო, ბოლოს (ვუყვარდი, რა ექნა!) დამთანხმდა, მივაცილე სახლამდე. ადამიანი შენ ყოფილხარ-მეთქი, დავუკოცნე თვალები თავის ჭიშკართან. მეორე დღეს სამსახურში მომადგა. თვალები დაწითლებული ჰქონდა მთელი დღის ნამტირალევი. „კიტაო, – ტირილით მითხრა, – ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო. წარმოუდგენლად მიყვარხარ, მაგრამ ჩვენი ქორწილი არ შედგებაო“.

„რატომ-მეთქი“.

– რატომაო და ჩემებს რომ გავუმხილე (დედ-მამის გარდა ერთი თავზეხელაღებული ძმა ჰყავდა), ქვა ააგდეს და თავი შეუშვირესო. რა გაგვიჭირდა, შუშაბანდში გაზრდილი ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი შვილიან კაცს არ გავატანოთ ცოლადო. მიუყვანოს (თუ მისი არაა) ბავშვი პატრონს, ან ჩააბაროს სადაც საჭიროა და მერე გვთხოვოს შენი ხელიო.

ავწონ-დავწონე ყველაფერი. ჩემი საშველი აღარ ყოფილამეთქი. რა ქვა გავტეხე ასეთი, ნუთუ არავინაა-მეთქი ჩემი გამგები ამ ქვეყანაზე. არადა უნდა გამოგიტყდეთ, ნანული

უკვე ძალიან მიყვარდა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ან ამას შევირთავ, ან, საერთოდ, უცოლოდ დავრჩები-მეთქი.

მოვედი სახლში გამშრალი. ჩავაცვი ომარს თბილად, ჩავაწყვე მისი ტანსაცმელი (რაც ჰქონდა ყველაფერი, მარტო ტყავის წითელი ფაჩუჩები დავიტოვე ბალიშქვეშ, ის ფაჩუჩები უკვე აღარ ერგებოდა) ხელჩანთაში და წავიყვანე. ბავშვთა სახლი ჩვენს დაბაში არ არის, თეთრხევშია. დირექტორს მოველაპარაკე, ჯერ აქ იყოს, უჩემოდ არ გააშვილოთ-მეთქი. ვკოცნე, კინაღამ დავახრჩვე კოცნით. გაოცებული მიყურებდა, მერე სხვა ბავშვებში გავურიე, სათამაშოები ირგვლივ შემოვუწყე, ცოტა ხანს აქ იყავი, მალე მოვალ-მეთქი და გამოვეპარე.

აღარ მახსოვს, ვილისი როგორ მომყავდა, ხევში რომ არ გადავიჩეხე, ძალიან მიკვირს. ოთახში შემოსულმა გაცვეთილი წითელი ფაჩუჩები გულში ჩავიხუტე და ავზლუქუნდი.

სასწრაფოდ დავნიშნე ქორწილი, რომ აღარ გადამეფიქრა ნანულის შერთვა. ბავშვთა სახლში ომარის წაყვანიდან ხუთ დღეში ქორწილი გვქონდა, ხელის მოწერასაც აღარ დაველოდე. კოშმარული იყო ის ხუთი დღე ჩემთვის. ცრემლგამშრალი დავდიოდი. გავხმი და ჩამოვდნი კაცი. რა სცოდნია დარდს. ჩემი დიასახლისიც ხმას არ მცემდა, ისე მიცქეროდა, როგორც კაცისმკვლელს.

ქორწილია. ორას კაცამდე გვყავდა დაპატიჟებული. სხვაგან ვარ ფიქრებით. სხვის ქორწილზე მგონია თავი. თამადამ ჩვენი სადღეგრძელო რომ დალია, სულიერ დეპრესიას განვიცდიდი, აღარაფერი მესმოდა. შუბლზე ცივი ოფლი მასხამდა, ნანულისკენ არც გამიხედავს, გლახა არტისტივით, ყალბად ვუქნევდი თავს, ლამაზი სადღეგრძელოებით ქანცგაწყვეტილ სტუმრებს.

ახლავე მოვალ-მეთქი, მგონი ნანულის ვუჩურჩულე და მაშინ გამოვფხიზლდი, როცა საჭე მეჭირა და ჯაჭვის ხიდზე მოხვევისას კინაღამ გადავბრუნდი. ამტყდარა თურმე ერთი ამბავი, დაუწყიათ ჩემი ძებნა (სამადლობელი მაქვს დასალევი), ამშვიდებს თურმე თამადას ჩემი სიმამრი, ახლავე მოვაო. მეძებენ თურმე სიმამრის ერთგული კაცები მაშხალებით სა-

სიმინდეში, სხვენზე, საქათმეშიც კი შეუხედავთ. სტუმრებმა არაფერი შეიტყონო და ცეკვა-თამაში გაუჩაღებიათ.

თეთრხევთან წყალი მოდიდებულიყო, ძლივს გავედი. თერთმეტი იქნებოდა, მეტი არა (იქედან მახსოვს, რომ ცხრაზე დავჯექით), ბავშვთა სახლის კარს ბრახუნი ავუტეხე. მორიგე გამდელი წინ გადამიდგა, ომარ მიქელთაძეს სად სძინავს-მეთქი. ვინ ხართო. მამა ვარ, იცის თქვენმა დირექტორმა ჩემი ვინაობა – მილიციის უფროსი გახლავართ, ბავშვს ერთს დავხედავ და წავალ-მეთქი. შემიყვანა დიდ ოთახში. ავაგლიჯე ჩემი ბიჭი საწოლს; აბა, ჩააცვით სასწრაფოთ-მეთქი, ჩავაცვით მძინარე ბავშვს, ასე ახუტებული გამოვიყვანე გარეთ. „მოიყვან უკანო?“ მომაძახა მორიგემ, „არასოდეს-მეთქი“, დავუყვირე. ცალი ხელით მიმყავს მანქანა. მარცხენაში მიჭირავს ბავშვი, სიჩქარის გადართვა რომ შევძლო. ხიდთან გაეღვიძა, ალბათ შესცივდა. ამომხედა და რაკი დარწმუნდა, რომ მე ვიყავი, ჩამიყო უბეში თავისი ლამაზი თავი და დაიძინა.

ა, ბატონო, ეს იყო სულ. წეღან მაიორი რომ ხუმრობდა, ჩვენი მილიციის უფროსი ბავშვით ხელში გამოცხადდა თავის ქორწილზეო, ამაზე ამბობდა. იმ ღამით, დაღლილმა და დასველებულმა, მაგრამ ყველაზე ბედნიერმა კაცმა მთელ ქვეყანაზე, ბავშვით ხელში შევაღე კარი და ჩემი ცოლის გვერდით დავდექი.

„ა, ჩემო ნანული, მე უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, თუ იქნები ამისი დედა, იყავი, თუ არა და არც ქორწილი მინდა და არაფერი-მეთქი“. ნანულიმ ერთ მწყრალად ამომხედა, მერე გამიცინა და ბავშვი გამომართვა. ის დღე და ის დღე, გვერდიდან არ მოუცილებია.

...სიმამრი როგორ შეგხვდაო? კიტას გაეცინა, რა მეტი გზა ჰქონდა. მობრუნებული სიძე ვიყავი, რაც იმ ღამეს შიში ვაჭამე, ბავშვით კი არა, ნიანგით ხელში რომ მოვსულიყავი, არ მიმიღებდა?

ამკლეგი

ხელმოცარული მონადირენი როგორ არ მინახავს, მაგრამ ჩვენ რომ დღეს დაგვემართა, ასეთი რამ, რაც თოფი ავიღე, სხვისგანაც არ გამიგონია. იანვარი იწურებოდა. თუ როდესმეა, სწორედ ახლაა იხვების გადაფრენის, კაკბებისა და გნოლ-ხოხობის დრო. დილის ექვს საათზე უკვე ჭალაში ვიყავით მე და ჩემი მეგობარი გოგი ნაყოფია. სანამ მზე ამოვიდოდა, ჭყანტობში, ტბის პირას ვუდარაჯეთ იხვებს, მერე ჭალა მოვიარეთ და სერებსაც შევუყევით. ქედანი რაა, ეულ ქედანსაც არ გადაუფრენია ჩვენს თავზე. ცნობისმოყვარედ კისერმოღრეცილ მელასაც არ გაუხაზავს ჰორიზონტი. კოდალას კაკუნიც არ გაგვიგონია. მკვდრული სიჩუმეო, რომ იტყვიან, სწორედ ის სუფევს ირგვლივ. სანამ შემეძლო, ვაჩუმე, მაგრამ ნადირობის იმედი რომ დავკარგეთ, მოუშვა ენა გოგიმ და გაუთავებლად ლაპარაკობს, მთასა და ბარს ედება. ტყუილია, ყბედი მუნჯმა დაღალაო, რაც მტკვარი გამოვტოპეთ და გაღმა გამოვედით, სიტყვა არ მითქვამს მისთვის, მაგრამ არც დაღლა ეტყობა და ენაზეც ჭალი არ მოჰკიდებია.

– რაშია საქმე? ფრინველის ჭირი ხომ არ გაჩნდა ნეტავ, წინა კვირას ამ დროისთვის შვიდ-შვიდი კაკაბი გვეკიდა, – ამბობს გოგი და ბირკებით სავსე, ენაგაქაფულ პოინტერს უკან აბრუნებს. პოინტერი ორიოდე წრეს დაგვარტყამს და მერე ისევ გაუწვება ხვლიკისფერ ჭალას. ეტყობა, თვითონაც შეძრწუნებულია, რომ მზე სადაცაა დაეშვება და ჯერ თოფიც არ გაგვისვრია.

– წინა კვირას ყოველთვის მეტს კლავენ. – წუწუნი გამერია ხმაში.

– ნუ დამიმწუთხდი, – გოგი მხარზე ხელს მადებს, – ხდება. ახლა მარჯვნივ შევყვეთ კვადაცის ბუჩქებს. იქ რომ რამე არ იყოს, არ შეიძლება.

დაღლილობისგან მუხლები მეკეცება. ჩემი ჩალისწონა „ზაუერი“ ტყვიასავით დამძიმდა.

– არა ღირს, ჩემო გოგი. დღეს გლახა ფეხზე შეგვხვდა ვიღაც ან მე და ან შენ.

– მაშინ, იცი რა, ტბასთან ჩავიდეთ. იქნებ თევზი მაინც დავიჭიროთ. ხელცარიელი როგორ გაგიშვა.

– ჯერაც არ მოვსულვარ ხელცარიელი ნადირობიდან. შე კაცო, ჩემთვის მთავარი იყო, ეს კვირა დღე მოგვეკლა და ერთად ვყოფილიყავით. ნადირობის ქალღმერთს ჯერ არ შევყვარებივარ. შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. სასიამოვნოდ დავიღალე, ამაღამ მშვიდად დამეძინება და ეს ცოტაა? ახლა მანქანასთან ჩავიდეთ (მანქანა მტკვრის პირას, კბოდეზე გვიდგას) და გავუყვეთ სახლისაკენ.

– ძალიან გთხოვ. იცი რა თევზი იცის? – კიდევ კარგი ქალად არ დავიბადე, ჩემზე ხათრიანი და დამყოლი ამ დუნიაზე არავინ მეგულება.

– კარგი, ვთქვათ ჩავედით. თევზი არაკის მგელივით კუდით ხომ არ დავიჭიროთ?

– რათა კუდით? ეგერ პატარა ჯიხური რომ ჩანს, წყალსაქაჩია. კოლონიას წყლით ამარაგებს. პატიმრები მორიგეობენ. არ შეიძლება ბადე არ ექნეთ, ვთხოვოთ, და, არა მგონია, უარი გვითხრან.

– კი მაგრამ...

– გაგვიშვებენ, ნუ გეშინია, მონკავშირის წიგნაკი ხომ თან გაქვს. ზონაში შესვლა მონადირეებს ნებადართული აქვთ.

ნამზღვლევს ჩავუყევით, ჩავივაკეთ და გზის გასაყართან ხერგილს მივადექით.

პირტიტველა, წითურმა ჯარისკაცმა საბუთები გაგვისინჯა და უსიტყვოდ გაგვატარა.

ჯიხურის ფარღალალა კარს მივუკაკუნეთ.

თუ შეგიმჩნევიათ, ნადირობაში გართული ცხრა მთას გადაივლის, ხოლო უმიზნო ყოყიალით მალე იღლება კაცი. მუხლებზე დოლაბები მკიდია.

ტოლით დახურულ გრძელ ჯიხურში არავინ ჩანს. ორი ძრავი მუშაობს. ტუმბოების გამაყრუებელმა წივილმა ტანზე ბუსუსებად დამაყარა, თითქოსდა ჩემი ნერვების ფანდურს უხეშად და გამეტებით აჟღრიალებს ვიღაც. გაზეთებით მოჩითულ ფიცრულში შევედით. ხის ტახტი, ზედ დაცრეცილი ნაბადი და ჭუჭყიანი დაბამბული, მაგიდაზე გამხმარი შავი პური, სამი თავი ნიორი და ნახევარ ბოთლამდე არაყი, – თუ ნახევრადშემოხვეული ეტიკეტის მიხედვით ვიმსჯელებთ.

– მასპინძელო! – ჭერს ასძახა გოგიმ.

ვინ დაგიკარგავს, ვის ეძებ.

– ჩამოჯექი. აქვე იქნება გასული. ტუმბოების მიტოვების უფლება არა აქვთ. – გოგიმ სკამი გამომიჩოჩა, დაბამბული სერთუკი განზე გასწია და ნარზე ჩამოჯდა.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდა. კარმა დაიჭრიალა და თავზე წაგვადგა მაჩვისფერ სვიტრზე უსახელოებო ფრენჩმოსხმული, ნიფხვისამარა ტანმორჩილი კაცი. გრუზა ჭაღარა თმით, შავგვრემანი, სახენაყვავილარი, ცხვირზე გარდიგარდმო ნახევრადღია იარით. ჩვენი დანახვა არ გაკვირვებია.

– გამარჯობათ უფროსებო, – შემოგვღიმა და კუთხეში მოწიწებით გაჩერდა – აბხოდზე ხართ? რაღაც არ მეცნობით. – მონადირეები ვართ, – გოგიმ კუთხეში მიყუდებულ თოფებზე მიუთითა.

– ოო, – სახე გაებადრა, – ყველაზე კარგი ხალხი. რა ინადირეთ?

– ვერაფერი.

– დილით აქეთ ჩაიარეთ?

– არა, გარდაბნიდან მოვედით.

– იმიტომაც არ მახსოვხართ. რომ დამენახეთ, არ გირჩევდით დღეს ნადირობას. ორი დღე საწვრთნელი ვარჯიში ჰქონდათ. გაყრუებული იყო აქაურობა. რა ფრინველი გაჩერდებოდა.

– კიდეც იმიტომ, – ნიშნისმოგებით შემომხედა გოგიმ.

– მეც არ გამიკვირდა? ფრინველი რაა, მისი ნარკტენიც ვერსად დავლანდეთ, – ჩავურთე.

წამოდგა, ფანჯრის რაფაზე გაქონილ, წელში გამოყვანილ ჭიქას მისწვდა, არყით ნახევრამდე გაავსო და მომაწოდა.

– დაილოცეთ, შეციებული იქნებით, ჩემი არ იყოს. ძრავა ცხელდებოდა. პრაკლატკას ვცვლიდი და წელი გამეყინა. ჩუმი, შემპარავი სიცივეა დღეს.

ჭიქა გამოვართვი. ღმერთმა ამის დალევის ჯანი ნუ მოგიშალოთ-მეთქი, გადავკარი და ნიორს დავწვდი.

– მაპატიეთ, ღარიბი მასპინძელი ვარ.

ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, პური თხლად დაჭრა და ჩვენკენ მოსწია.

– ცეცხლია. ჭაჭაა? – გოგიმ პირთან აიქნია ხელი.

– ჰო, მოაქვთ ხანდახან ბიჭებს. ისე აკრძალული გვაქვს ძალიან.

– პატიმარი ხართ? – ვკითხე.

– კი, ბატონო, – არაყი სულმოუთქმელად დალია და ნიორი დაყნოსა, – თხუთმეტში ვზივარ. ექვსი წელიღა დამრჩა.

– რაზე, თუ საიდუმლო არ არის.

– მკვლელობა.

გოგის მეტი არაფერი უკითხავს.

– ისე, კაცმა რომ თქვას, ურიგო ადგილას როდი იხდით სასჯელს, – ვთქვი მე, – ტბა, სუფთა ჰაერი, რცხილის და კიპარისის ტყე. საქმე ის იქნებოდა, ფეროში მუშაობა რომ მიესაჯათ.

– არც ეგ დამკლებია, – გაეცინა, – აქ სტუმრად ყოფნაა კარგი, თორემ დღედაღამ ძრავის წუწუნი სულ არ გახლავთ შესაშური. იცით, როგორ ვარ? მონაზონი მთაზე ცეკვავდა, არც იქეთა მხარე უმადლოდა და არც აქეთაო. არც გარეთ ვწერივარ და არც შიგნით.

– ამ ტბაში თევზი არის? – საქმეზე გადავიდა გოგი.

– რამდენიც გნებავთ, – მუხლზე შემოიწყო ხელი მკვლელმა და იატაკს დააჩერდა.

გოგის მეტი არაფერი უკითხავს.

შევყურებ ჩვენი მასპინძლის სუსტ მხრებს, წინ წამოწეულ შუბლს, შეერთებულ წარბებს და სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირს, უწესრიგოდ გაზრდილ ულვაშებში არამკითხედ ჩაჩხერილს. შევყურებ და ვფიქრობ, ეს აქ ტბის პირას

არხეინად დააბიჯებს, ხოლო ამის ხელით განგმირული მიწაში წევს. მკვლელი ვარო რომ თქვა, ეტყობა სხვა თვალით დავუწყე ყურება და მის გარეგნობაშიც ბევრი რამ ვიპოვე მკვლელისთვის დამახასიათებელი. კი, ასეთებს შეუძლიათ კაცი მოკლან. ამ დაფანჩული წარბების, ორად გაყოფილი სქელი შუბლის და ფოსოებში მიკარგული წაქისფერი თვალების პატრონები სიმფონიურ მუსიკას არ უსმენენ. ლექსებს არ კითხულობენ, ხელოვნებისადმი მათი ინტერესი სკეტჩის დონეს არ შორდება, სპორტი ჭირივით სძულთ და პატიება არ იციან.

– სახელი თქვენი? – გოგიმ დაარღვია სიჩუმე.

– ჟორა, ჟორა ჯინჭარაძე, ჯაყოს მეძახდნენ.

– ჟორა ბატონო, ბადე ხომ არსად გეგულებათ?

– ბადეს ვიშოვით, თქვენ მებადური იკითხეთ თორემ. თევზაობა გინდათ?

– ვცდიდით, თუ ღმერთმა გადმოგვხედა.

მეორე ოთახში გავიდა, სველი ბადე გამოათრია და ფეხებთან დაგვიგდო.

– ა, ბადე და მისი ჯანი. ამაზე გაწყენინებთ? ძეძვებთან ცოტა ფრთხილად. წმინდა ძაფია და ვერ უძლებს. წინა კვირას ჯარისკაცებს ვათხოვე და ისე დაგლეჯილი დამიბრუნეს, რომ თევზი კი არა უღლიანი ღორი გაძვრებოდა. სამი დღე მოვუნდი კემსვას. ჩექმები გაქვთ?

გოგიმ ფეხზე დაიხედა.

– ეგ მოკლეა. წყალში ვერ შეხვალთ, – ისევ გაფათურდა და წელზე შესაკრავი სათევზაო ჩექმები გამოიტანა. – საზიაროდ გვაქვს მე და ჩემს ამხანაგს ეს ჩექმები. ხომ ხედავთ, რა დღეშია. ხომ გაგიგონიათ, ზიარი ძროხა მგელმა შეჭამაო. მე მგონი, წყალი არ შედის.

– დიდი მადლობა. თუ რამე დავიჭირეთ, ლომის წილში ხარ, იცოდე, – გოგიმ მხარზე ხელი მოუთათუნა.

– თქვენ კარგად იყავით, – თეთრი, ოფიცრული ნიფხვის თასმები შეიკრა, დაგლეჯილ შარვალს დაწვდა და ღილი რომ ვერ იპოვა, ალუმინის მავთულით შეიკრა, კარში გამოგვიძღვა და ალვის ხეებისკენ გაგვახედა.

– ასე აუყევით, სათიბი რომ იწყება, იქ დაჰკარით და ქვემოთ ჩამოჰყევით. მარცხნივ, ბამბუკებში ამ დილით იყვნენ ვიღაცები. სათიბებთან დღეს არავინ დამილანდავს.

მადლობა მოვახსენეთ და ბილიკს დავადექით. ბადეს გოგი მოათრევს, მე ჩექმები დავიიღლიავე. ჩვენი ბებერი პოინტერი გაკვირვებული მოგვყვება.

ლერწმიანში დავეშვით. გოგიმ ჩექმები წელზე შეიკრა და შეჩქაფუნდა. ნაჭაობარში წყალი ააბუჟბუჟა, ბადის ზონარი მკლავზე დაიხვია, ტყვიის გირჩი პირში ჩაიდო, „ალეე, ჰოპ“ დაიძახა და დაიქნია. ბადემ იქვე, მის ფეხებთან მოადინა ჩხლაპანი. გოგიმ სერიოზული სახით დაქაჩა თოკი, ბადეს ხელი ჩაავლო, ნაპირზე გამოიტანა და ჩხრეკა დაუწყო. რისი თევზი, რა თევზი. პირველი ათი „სროლა“ ვაცალე, მერე ნერვებმა მიმტყუნა.

– ესაა ბადის სროლა ვიციო?!

– ეს სხვანაირი ბადეა. წინა კვირას ჩვენ თვითონ გვქონდა ბადე. ბოკუჩავას გამოვართვით.

– წინა კვირას?!

– ჰკითხე ჩხეიძეს თუ გინდა.

– მერე ვერ გიცნო ჟორამ?

– მაშინ სხვა მორიგეობდა.

გოგი შეტრიალდა და ისევ გაჭყაპუნდა წყალში, ძაღლმა თვალი გააყოლა და ზარმაცად შეჰყეფა.

– შენ მაკლდი ახლა, – შეუღრინა გოგიმ.

– ძალიანაც სწორია ეს ძაღლი. რაც არ იცი, ნუ შეეპოტინებიო, გეუბნება.

გოგიმ რამდენჯერმე კიდევ მოუნაცვლა ბადეს ხელი, მე ნაპირიდან ძველებურად ექიდნურ ქათინაურს ვესვრი და მოთმინების ფიალა საცაა ამევსება.

– რა ჰქენით?!

ვიწროდ გრეხილ ბამბუკებში ჟორამ შემოჰყო თავი. უკან სამხედროფორმიანი, შუახანსგადაცილებული, პეტრე პირველისულვაშა, ღაბაბიანი კაცი უდგას.

– აბა, ჩემს ბედზე ისროლე?! – გოგის ჩასძახა ჟორამ.

გოგიმ მოინდომა და გააჩხლაპუნა ბადე, ზუსტად ისე, როგორც იცის.

ჟორას მომყოლი ჩექმებზე წკნელს იტკაცუნებს.

მკვლელი თხრილს გადმოახტა, ზურგჩანთა ბალახებში მიაგდო და გაღმა უმწეოდ მდგარ თანამგზავრზე მიგვითითა.

– გაიცანით, ბატონი გივი, ციხის „ნადზორია“, მაგრამ კაი კაცი.

– არ გინდა ახლა... რად გინდა ეს ამბავი... – მორცხვად ჩაჰქინდრა თავი ბატონმა გივიმ, თხრილს შემოუარა და შემოგვიერთდა.

– ჩვენი ძმა! – ჟორამ გოგის მიმართა, – კი არ გეწყინოს, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირი თევზაობაა საჭირო. გამამაძაღლებულია თევზი, – ლერწმებს დაეჭიდა და დამპალ მორზე შეხტა – დაისვენე ცოტა ხანს, მე ვცდი. ღრმად შევალ, იქნებ რამე მოვიხელთო.

გოგისაც ეს უნდოდა. ბადე მორზე გადაკიდა, ჩექმები გაიხადა და ლამზე ისროლა.

* * *

გენიოსია გალაკტიონი, „გაცრეცილი ცა“ რამ ათქმევინა. მართლაც რომ გაცრეცილია ახლა ცა და ღრუბელთა ნაფლეთებში უჩუმრად დაიპარება შეციებული მთვარე.

ღამის ათი საათია. კოცონის სინათლე სახეში გვირტყამს, ტბის პირას ვზივართ ოთხნი და ვქეიფობთ. მოხარშულ თევზს ყინვაში ოხშივარი ასდის, ორნახადმა ძვლები გაგვითბო. ჟორას რა დამავიწყებს. ასეთ კაცებს ხშირად როდი შეხვდები. ჯერ იყო შეღამებამდე წყლიდან არ ამოსულა. სასროლი ბადით რომ არაფერი გამოუვიდა, მოსასმელი ბადე მოაძუნძულა. ჭყანტობში სელაპივით ხტოდა, ბადეს მოუსვამდა, თევზს ნაპირზე ისროდა და სანამ ჩვენ სიბნელეში ხელს ვაფათურებდით, ისევ წყალს მიარღვევდა. ერთ ადგილას ვერ მოზომა, მხრებამდე წყალში აღმოჩნდა და თავიდან-ფეხებამდე გალუმპული განაგრძობდა თევზაობას. ვეხვეწეთ, ვემუდარეთ; გაცივდები, ნუ დაგვადებ შენს ცოდოსო, მაგრამ ყურსაც არ

გვიგდებდა. ხალხი სათევზაოდ მოხვედით და გულნაკლულს როგორ გაგიშვებთო, „არ გინდა, რად გინდა ეს ამბავი“ – წამდაუწუმ ეძახდა ციხის ზედამხედველი, მაგრამ ჟორა თავისას არ იშლიდა.

ჭანარით, მურწით და ორაგულით ვედრო თითქმის სავსე იყო და დაჭერილ თევზს ბალახებში ველარ ვპოულობდით. მკვლელი რომ წყლიდან ამოვიდა, კბილის კაწკაწით დარბოდა, ფიჩხიც თვითონ მოძებნა, ცეცხლიც თვითონ დაანთო, ჩექმები ლერწებს ჩამოაცვა, ბოხჩიდან ბატინკები და შალის წინდები ამოიღო, ჩაიცვა. ცეცხლთან ცოტა რომ შეშრა, თევზის თადარიგს შეუდგა. გამოშიგნა, გარეცხა, დაამარილა, ვედროში ჩაყარა, ცოტა შაბი ჩაუმატა და ცეცხლზე შედგა. ამას ყველაფერს ისე დაუღალავად, დაუმადლებლად, გემრიელად აკეთებდა, თითქოს მისი თანშეზრდილი მეგობრები ვყოფილიყავით. თვალებში გვიყურებს, რითი გვასიამოვნოს არ იცის. სუფრას რომ მოვუსხედით, არაყსაც თვითონ გვისხამს და თევზსაც გვირჩევს, ეს მიირთვით, ეს უფრო გემრიელიაო.

შევთვერით. იმთავითვე გულს მიღრღნის ჩემი დამღუპველი ცნობისმოყვარეობა. მომენტი შევარჩიე, როგორც იქნა.

– რაზე შეგემთხვა, ჟორა ბატონო, თუ საიდუმლო არ არის, რასაკვირველია.

თავი აიღო და თვალები გამისწორა.

– რაზე მეკითხებით?

– იმაზე. მე ბოდიში, მაგრამ, მკვლელობაზე.

– არ გინდათ, ახლა, რად გინდათ ეს ამბავი, – ლუღლუღებს ბატონი გივი და ნაკვერცხლებს ჯოხით ჩინჩხლავს.

– გეტყვით, ბატონო, რატომ არ გეტყვით. ერთ პატარა სადღეგრძელოს გეტყვით და მოკლედ მოვაყოლებ ჩემ ამბავსაც.

– არ გინდა, რად გინდა ეგ ამბავი, თვარა კი... – აწყვეტინებს გივი.

– ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოს, გივი ბატონო, – ჟორამ თავი ასწია, შუბლზე წითელი აბრეშუმივით ახვევია ცეცხლის ათინათი, ხოლო არაყს ჭიქაში ლალისფერი დაჰკრავს, – მე ჩემი სიმართლით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. სულ არ

ვემდური ჩემს თავს, რომ იცოდეთ. მართალია, ერთი შეხედვით უბედური ვჩანვარ, მაგრამ ჩემი თავი ძალიან მიყვარს. უკისრებელი არ მიკისრია. რომ იცით ის, არასოდეს მიმიცია. ბოღმითა და შეურაცხყოფით გული არ გამიგლეჯია. რანაირი კაცი ვარ იცით? მაპატიეთ, ჩემს თავზე რომ ვლაპარაკობ, სახვალიოდ და საგაისოდ არაფერს რომ არ იტოვებს. ჩიტები ვართ ამ ქვეყანაზე, ჩიტები და ვინც ეს არ იცის, ვერაა მისი საქმე კარგად. შეიძლება კარგი არაფერი ჩამიდენია დღემდე, მაგრამ ყველაფერი გულის ძახილით მიკეთებია. მე დამნაშავე კაცს მეძახიან ამ ქვეყნად და ვარ კიდეც დამნაშავე, არ დაგიმალავთ, მაგრამ ახლა ცოტა მთვრალი ვარ და იმიტომ გეუბნებით, თუ ვინმეს ვაწყენინე ჩემი საქციელით, მხოლოდ იმ დროს, როცა სხვა გზა არ იყო; ან იყო და მე ვერ ვხედავდი. გამოგიცდიათ ხანდახან ასეთი წუთი? ახლა თუ ამ წუთში ეს არ გავაკეთე, გული გამისკდება ყუმბარასავით. ახლა ფიქრის დრო აღარ არის, ან ასე უნდა ქნა, ან უნდა მოკვდე. ჩემს სიკვდილს, ეტყობა, დედალიც ზის ჩემს არსებაში, ყოველთვის სხვისი ვარჩიე, ჩემი გულის გახეთქვას, სხვისი. ახლა თქვენ განსაჯეთ, რა კაცი ვარ. ერთში უნდა მენდოთ, ცოლ-შვილს გაფიცებთ, სხვანაირად მოქცევა რომ შემეძლოს, გულს გარეთ ცხოვრება რომ შემეძლოს, ბედნიერი კაცი ვიქნები, მაგრამ არ შემიძლია და მომკალი თუ გინდა.

– არ გინდა ახლა ეგ ამბავი, – ბატონი გივი განზე იხედება.

– მესამეჯერ ვარ ახლა ნასამართლევი, – განაგრძობს ჟორა, – პირველად რომ დამიჭირეს, თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი. არაფერი ისეთი. ჩემს ძმაკაცს სცემდა ვიღაც უცნობი. მაშინ უცნობი იყო ჩემთვის. რად გინდათ, ვინ იყო, რა მნიშვნელობა აქვს. ორმეტრიან ახმახს მოუგდია ფეხქვეშ ეს ჩემი ძმაკაცი და წიხლებით სცემს. რა იქნებოდა გალეული მეათეკლასელი ბიჭი. ხან აქედან მივუდექი იმ დევს, ხან იქიდან. ვეხვეწე, ვიტირე, ორჯერ იმნაირად მკრა ხელი, რომ ყირაზე გადამატარა, ძლივს წამოდგება თავპირდასისხლიანებული ეს ჩემი კლასელი, ორ ნაბიჯს გადაადგამს საწყალი განზე, მივარდება, დაარტყამს და დააგდებს. მოკლედ კლავს რა. მერე

კი ვისწავლე, რომ ასეთ დროს მილიციას უნდა უხმო, მაგრამ მაშინ, მაპატიეთ და, ასეთი რამ არ ვიცოდი. ფიქრის დროც არ იყო. მოვძებნე გადაჭრილი მილი, მოვარბენინე და ვრეკე იმ ახმახს თავში. მაშინ მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. მეორეჯერ „დინამოს“ სტადიონის შესასვლელში დამიჭირეს. მაშინ ბილეთებზე წყვეტა იყო. ორი თვის გამოსული ვარ ციხიდან. ნოემბრის სამი იყო. ოცდასამი წლის ბიჭი ვარ. ჭკუანასწავლი. მიჭირავს ჩემი ბილეთი ხელში და მივდივარ ფეხბურთის საყურებლად. ხალხის ტალღა ხან იქეთ აწყდება, ხან აქეთ. თუ გახსოვთ, მაშინ ცხენოსანი მილიციელები გამოჰყავდათ. ერთ ადგილზე ხალხი შეჩოჩოქოლდა. ერთიც ვნახოთ, ბავშვის განწირული ყვირილი ისმის. ქურთის ბიჭია ათი-თორმეტი წლის, უბილეთოდ გადადიოდა რკინის ღობეზე, დაინახა მილიციელმა და ცხენით მიაწვა. მიხვდით, რას ვამბობ?! ცხენი მუცლით აწვება ბავშვს მკერდზე, სადაცაა გულ-მკერდს შეუნგრევს. იძახე ახლა იქ, „არ გრცხვენია, მოქალაქე მილიციელო?“ სად არის ამის დრო. დავაძვრე ყამა და მუცელში გავურჭე ცხენს. ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე. ეს მეორედ გასამართლება. მესამედ, ახლა რაზეც ვზივარ...

– არ გინდა, რად გინდა ეგ ამბავი. ეგ ამბავი მინდა ახლა მეე? დალიე თუ სვამ, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისვრის გივი, მაგრამ ხელს ენერგიულად აღარ უშლის, შეიძლება იმიტომ ამბობს, რომ ასე უნდა თქვას. ეს სიტყვები სამსახურებრივად ეკუთვნის.

– ამ წუთში, გივი ბატონო, ორი სიტყვა და მორჩა. მე და ჩემმა მეზობელმა სახლი ავაშენეთ საზიარო. მამაჩემს გავაყიდვინე დიდუბეში სახლი და ვეძისში მანდ, ზემოთ ვაზისუბანზე ერთი პატარა ქოხი ზიარად ვიყიდეთ მე და ერთმა კაცმა. ფული აღარ მაქვსო, მითხრა, მერე რა, ფული არა გაქვს, რა მოხდა, აგერ ფული და მერე გავსწორდეთ-მეთქი. ეს რომ მითხრა, ქოხი დანგრეული და სახლის შენება დაწყებული გვქონდა. შუა გზაზე ხომ ვერ შევჩერდებოდით. მე ვაპირებ ამ კაცთან ძმობას და ერთად ცხოვრებას. თვითონ არ ჩანდა ცუდი კაცი, ნოტარიუსში მუშაობდა სადღაც, ვასესხე ფული ორამდე, ერთი სიტყვით, და ავაშენეთ სახლი. კარის მეზობელზე უფრო ახ-

ლობელს ხელწერილს გამოართმევ? არც მიფიქრია, თუ პირს მიშლიდა. მოკლედ, სასამართლომ საქმე არ მიიღო, ხელწერილი არა გაქვსო; უბნის რწმუნებულმა ვერაფერი შეასმინა. ნათესავ-მეგობრები შევკრიბეთ და უარი დამირტყა. ცილს მწამებს, ჩემთვის კაპიკი არ მოუციაო. ფული ჯანდაბას! ხომ გასკდი კაცი გულზე, რანაირად შეიძლება ასეთი რამ გიყოს კაცმა. ბნელა, კაცო? საღამოს გადავედი მასთან. მარტო იყო. „გერა, რატომ აკეთებ ამ საქმეს-მეთქი“ – „წადი, მიჩივლე, არ გაძლევ, მორჩა და გათავდაო“. „რანაირად, გერა, მართმევ ჩემს ფულს-მეთქი?“ „გართმევო“. „მერე, სულ არ გეშინია არაფრის-მეთქი?“ „არ მეშინიაო. „აბა, იცოდე, წყნარად გეუბნები, თუ ოც დღეში ფულს არ მომიტან, მოგკლავ, ჩემო გერა-მეთქი“. „ოცი დღე რად გინდა, ახლავე გეუბნები, არ მოგიტან და ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრიო“. ოცი დღე მაინც მივეცი, იქნებ გონზე მოვიდეს-მეთქი. ოცი დღის მერე მოვკალი. არ დაიჯერებთ, ბატონო, არც ერთი წუთით არ ჩამითვლია ჩემი თავი მკვლელად, სასამართლოზეც წელში გამართული ვიდექი. სხვა გზას ვერ ვხედავდი. ასეთმა კაცმა არ უნდა იცოცხლოს ქვეყანაზე-მეთქი და სრულიად ნერვებდამშვიდებულმა მოვკალი. ესაა სულ. ხომ ხედავთ, არაფერი მოსაყოლი არაა, მაგრამ შორიდან მე მაინც მკვლელი და საშიში კაცი ვჩანვარ. რომ იცოდეთ, რა სუფთა გული მაქვს. თუმცა რაებს ვჩმახავ, – თავი ჩაჰკიდა, – ამას ვინ დამიჯერებს, – თვალი ირგვლივ შემოატარა და რატომღაც მე მომიჭახუნა ჭიქა, – მოდი, ჩვენს სიმართლეს გაუმარჯოს. ჩვენ რომ სულში გვაქვს ჩვენი კანონი და სიმართლე, იმას გაუმარჯოს. ისე ყველას ვენაცვალე მე!

– არ მინდა, ეგ მინდა ახლა მეე? – ლუღლუღებს ბატონი გივი და ჩამქრალ ღადარში ჯოხით იქექება.

ვისი იყო გზა...

ლიფტი რომ გაჩერდა, კაცმა თავი გამოყო და მიიხედ-მოიხედა.

– გამოდი.

მაღალფეხება, ხუჭუჭთმიანი ქალი კატის ნაბიჯებით მოშორდა ლიფტს და კაცს მიაჩერდა.

კაცმა გაუღიმა.

– არ გაგიკვირდეს, ცნობისმოყვარე მეზობლები მყავს.

კარს გასაღები მოარგო და ქალი წინ გაატარა.

– შედი.

ქალი პირდაპირ სასტუმრო ოთახში შევიდა და „მეცხრე ტალღას“ მიაჩერდა.

კაცმა კარადას მიაშურა. გაიხადა. ბეჭებზე ხალათი მოიგდო, ქალს შეუმჩნევლად მიუახლოვდა და მხარზე ჩამოადო თავი.

– მოგწონს?

ქალმა არ უპასუხა.

კაცი საწოლ ოთახში გავიდა, ცოლის ჭრელი სარაფანი გამოიტანა და სკამზე გადაჰკიდა.

– გაიხადე, ეს ჩაიცვი, ცხელა.

ქალმა კაბა გაშალა, ერთხანს უყურა ტანის რწევით, მერე ერთბაშად გადააქნია თავი.

– არ მომერგება, დიდია.

კაცმა გაიცინა.

– მე თუ რამე მესმის, შენ და ჩემი ცოლი ერთი ზომისა უნდა იყოთ.

ქალი სავარძელში ჩაეშვა.

– არც ფეხზე გაიხდი? შენ მაგივრად მე მიწუხს გული ამ ლურსმნის ქუსლებზე რომ დგახარ.

ქალმა განზე გაიხედა.

– ფეხზე გავიხდიდი. ოღონდ შენი რამე მომიტანე, ძალიან გთხოვ.

– ჩემი?

კაცი მოსაცდელში გაფათურდა და ჩანთიდან „შლოპანცები“ ამოყარა.

ქალმა „შლოპანცები“ ჯერ ერთმანეთს გაუტყაპუნა და მერე ცხვირთან მიიტანა.

– შმორის სუნი ასდის.

– აუზის ჩანთაში მიდევს, დიდი ხანია აღარ ამომიღია.

– აღარ ცურავ?

– ვერ ვახერხებ ამ ბოლო დროს.

– ??

– ბავშვები, სამსახური, შენ?

– მე, რა თქმა უნდა... ამ თვეში მეორედ მხედავ...

– დაიწყე?

– არა... დღეს არ ვიჩხუბებთ. ხომ დაგპირდი.

ქალი შუშაბანდში გავიდა, ფანჯარა გამოაღო და მოაჯირს გადაეყრდნო. კაცმა მეორე ფანჯარა გამოაღო და გვერდით ამოუდგა.

– აქედან შენი სახლი არ ჩანს.

– რა იცი? – ყრუ ხმით ჰკითხა ქალმა.

– რა ცოდნა უნდა. აქ რომ გადმოვედით, პირველად შენს სახლს დავუწყე ძებნა.

– ახლაც, სამსახურიდან რომ დაბრუნდები, ტელევიზორის ცქერით დაღლილს ტელეფონთან მისვლაც რომ გეზარება, გადმოდგები ამ ადგილს და ჩემს სახლს ეძებ არა?

– ისევ...

– კიდევ კარგი, აქედან რომ არ ჩანს „ჩემი სახლი“. არ გეშინია?

– რისი?

– ხომ შეიძლება შენს ცოლს უთხრან, ხვალ დილით რომ ჩამოვა, გუშინ საღამოს, ფანჯარასთან უცხო ქალი იდგაო.

– უცხო ქალი...

– ჰო, იმათთვის მე უცხო ვარ.

– ხომ შეიძლება კაცს სტუმრები ჰყავდეს?

– და ერთ-ერთი მათგანი ჰაერის გადაყლაპვის მიზნით ფანჯარას მოადგეს, არა?

– ჰო.

– აი, ამდენი აღარ მიფიქრია. იცი, რა შეშინებული თვალები გქონდა, ლიფტიდან რომ გამოიხედე?

კაცმა წელზე გადასდო ხელი.

– გინდა? გაკოცებ ამ მეზობლების თვალწინ.

– არ მინდა. თორმეტი წლის თავზე ამხელა მსხვერპლს ნუ გაიღებ.

– ნუნუ!

– კარგი, კარგი... იცი, რა, რატომ მომიყვანე აქ?

– მინდოდა, გენახა, სად მძინავს, როგორ ვცხოვრობ.

– მართალი ხარ. საოცრად მაინტერესებდა. სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი შენი ბინა. საწოლი ოთახი მიჩვენე რა?

კაცი გაუძღვა.

ჩუმად იდგნენ და აბრეშუმის მწვანე ზეწარგადაფარებულ საწოლებს დაჰყურებდნენ.

კაცი გამოერკვა. სკამზე ჩამოჯდა და წინდების გახდა დაიწყო.

– არა. არა, ძალიან გთხოვ...

ქალი მკლავებზე ისვამდა ხელს და სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა.

– რა დაგემართა? – კაცმა ხალათის ქამარი შეიკრა.

– სად არ ვყოფილვართ მე და შენ. ვის ოთახს არ მიმაყენე. მგონი, შენც აღარ გახსოვს, მაგრამ ასე უცხოდ არსად მიგრძვნია თავი.

– არ მიყვარს, ხომ იცი, შენი სენტიმენტალობა.

– არა, გოჩა, დედას გეფიცები, არ შემიძლია. ასე მგონია, საშინელ დანაშაულს ჩავდივარ, ასე მგონია, კედლებიდან ათასი თვალი მიცქერის. ეს კედელი ასე იყო თავიდან კარადისთვის შეწეული?

– ძალიან გაინტერესებს? – კაცმა ოთახში გაიარ-გამოიარა, – ჩვენ გამოვანგრიეთ.

– ვინ თქვენ?

– მე. ყველამ ასე გააკეთა. ამოდენა ადგილი ცდებოდა. კარადაც ზუსტად ჩაეტია.

ქალმა კარადა გამოაღო და ყურადღებით ჩააცქერდა. მერე ერთბაშად შემოტრიალდა, კარი ღია დატოვა და საწოლი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

კაცმა კარადის კარი ფრთხილად მიხურა და გაჰყვა.

ქალი კაბინეტთან უცდიდა.

– შეიძლება?

– რა თქმა უნდა.

– გენიალური მაგიდა გაქვს.

„ბაროკოს“ სტილის ძველთაძველ ფრანგულ მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა წიგნები, ქაღალდები, მელნის შუშა, საშრობი და ქინძისთავებით სავსე მუყაოს ყუთი.

– ამ ათი წლის წინ ვიყიდე საკომისიოში კაპიკებად, ახლა თავისი წონა ფული ღირს.

ქალმა მინას ხელი გადაუსვა.

– რატომ მატყუებ?

– არ გატყუებ.

– ეს მაგიდა შენმა სიმამრმა გაჩუქა საკანდიდატო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით. უფრო სწორად, შენი ცოლის მზითევია, – ქალს ხმაში წყენა გაერია.

– ვთქვათ, ეგრეა, მერე?

– არაფერი. ბავშვებს სად სძინავთ?

– წინ, თავიანთ ოთახში.

– მარტო?

– არა, დედამისთან ერთად, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

– გოჩა, რატომ მეჩხუბები? – ქალს გაეღიმა.

– არ გეჩხუბები. ბავშვების ოთახს ხომ არ დაათვალიერებდი?

– არა, აქ ვიყოთ. ეს კაბინეტი შენია. შენს ტერიტორიაზე უფრო მშვიდად ვარ.

კაცმა თმაში შეუყო ხელი და მკერდზე მიიკრა.

– რა სულელი ხარ, ნუნუ.

– მაპატიე.

ქალმა ხელები მოიცილა, მაგიდას შემოუარა და არწივისცხვირებიან სკამზე მოკალათდა.

– ახალს წერ რამეს?
– ჰო, ვითომ... ჩემთვის ვგიჟობ.
– მაინც. შეიძლება? – ქალი ნაწერს დაწვდა.
– არ წაიკითხო, ძალიან გთხოვ, მერე ველარ დავუბრუნდები.
– რატომ?
– რა ვიცი... არ არის საინტერესო ეგ ამბავი, რაღაცას ვჯღაბნი, სისულელეს ვჩმახავ.
– დაგიწყო ახლა კამათი, – „რას ამბობ, როგორ გეკადრებას“ მოტივზე?
– არა. შენ რაც უნდა მითხრა, მე ხომ ვიცი: მეზღაპრე ვარ, ჭორიკანა, ტყუილებს ვიგონებ. მოვეშვათ რა, არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი.
– სულ მინდოდა მეკითხა: წერისას წვალობ? ბევრჯერ გიხდება გადაწერა?
– არა. არც ერთი ჩემი მოთხრობა მეორედ არ გადამიწერია. შენ მეტყვი ახლა – ეტყობა კიდეცაო, – კაცს გაეცინა.
– არაფერსაც არ გეტყვი. ეგ მუშაობის სტილია. შენ, ალბათ, სანამ დაწერდე, ათასნაირად სწონი.
კაცმა არ უპასუხა, დაიხარა და კისრის სიახლოვეს, მხარზე აკოცა.
– ტოლსტოიმ „ანა კარენინა“ შვიდჯერ გადაწერაო.
– ვიცი, – კაცი ყურში ჩასჩურჩულებდა, – ყოველი მეორე კრიტიკოსი ამ მაგალითით იწყებს ჩვენთან საუბარს, მაგრამ, იცოდე, ეგ მტკნარი სიცრუეა.
– ტოლსტოი, მგონი, თვითონ ამბობს.
– მერე რა, შენ გგონია ტოლსტოი არასოდეს ცრუობდა? „ანა კარენინას“ შვიდჯერ გადაწერა ერთი კაცის ძალ-ღონეს აღემატება. „ანა კარენინას“ ორჯერ გადაწერაც არ შეიძლება.
– რას ჰქვია, არ შეიძლება.
– ნერვები არ გეყოფა და საჭიროც არ არის, არ წერდა ტოლსტოი ისე, რომ ერთი რომანის შვიდჯერ გადაწერა დასჭირვებოდა.
ქალმა მაგიდას პირდაპირ ჭიკარტით გაკრულ ფანქრით დახატულ პორტრეტს დაადგა თვალი.

– ეს შენა ხარ?
– ჰო.
– არა გგავს. ვინ დაგხატა?
– პარიზში, მონმარტრზე, ქუჩის მხატვარმა ერთ ბოთლ კონიაკად.
– რა საინტერესოა, დიდხანს გხატავდა?
– ლოთი იყო, ხელები უკანკალებდა.
– თვალებით გგავს, იცი? მარტო თვალებით.
– მაშინ უფრო მგავდა. ეგ ათი წლის წინაა დახატული, რაც დრო გადის, უფრო ვშორდები.
– ჩემს თვალში შენ სულ არ შეცვლილხარ.
– შენს თვალში... ახლა მე ორმოცი წლისა ვარ.
– დედაა?! – გაიოცა ქალმა, – ორმოცი... ბავშვობაში რა ბევრი მეგონა.
– ბევრია.
– არაფერიც. შენ ორმოცი წლისა ჯერ არა ხარ. ოცდახუთ ოქტომბერს შესრულდები. სამი თვის შემდეგ.
– დიდი შეღავათი.
– ალბომი არა გაქვთ? – ქალმა მაგიდიდან სათვალე აიღო, გაიკეთა და სწრაფადვე მოიხსნა.
– რა ალბომი?
– საოჯახო, ფოტოალბომი.
– მგონი კი იყო, სადღაც.
– გეხვეწები, მოძებნე.
– თუ გოგის გადაურჩა.
– ცელქია?
– გადარეული. ჭაღზე ავა, რომ მიუშვა, – უფროსებიც არ აკლებდნენ ხელს, მაგრამ ეს ნამეტანია.
კაცი მაგიდის უჯრებს ერთიმეორის მიყოლებით აღებდა.
– არა უშავს, დაჭკვიანდება, – ამოოხვრით, გრძელი პაუზებით თქვა ქალმა და ალბომი მუხლებზე დაიდო.
– ეს ვინ არის?
კაცი სკამის ზურგს დაეყრდნო.
– ბაბუაჩემია.
– სამხარაძე?

– არა, დედაჩემის მამა.
– ესე იგი გვენეტაძე.
– ესე იგი. აბა, აქ თუ მიცნობ.
– ვერა, ბიჭო. აი, ესა ხარ.
– ყოჩაღ. – კაცმა ქალის ხუჭუჭა, საყვარელი თმა თითებში მოიქცია.
– სკოლაში მაინცდამაინც არაფერი.
– მაინცდამაინც კი არა ჭინკას ვგავდი. ყველა მასწავლებელს ვძულდი დასანახავად.
– მამაშენს რა თმა ჰქონია.
– მაშინ ოცდაექვსი წლის იყო. სკოლის დირექტორი გახლდათ დრანდაში.
– სად?
– დრანდაში. სოხუმთან ახლოს, სოფელია. იქ გაანაწილეს.
– შენ რომ ბაბუშერაში ხარ დაბადებული?
– ბაბუშერა დრანდის უბანია.
– ოჰო... ესენი?
– არ იცნობ შენ. ჩემი სიდედრის მეგობრებია.
– შენი სიდედრი მაჩვენე, რა?
კაცს გაეცინა.
– რად გინდა?
– გეხვეწები, რომელია?
– აი, ეს, ლომს რომ ჰგავს.
- სულაც არა. სიმპათიური ქალია. შენს ცოლს ახლა სჯობია.
– გმადლობთ.
– აქლემი! რამხელა დრუნჩი აქვს. როგორ ახვედი?
– არაბი, აგერ რომ დგას, ერთ სიტყვას ეტყვის და ეს ამხელა ცხოველი ოთხად მოიკეცება. მუცელზე წაწვება და სანამ კარგად არ მოკალათდები, ყურსაც არ გაიბერტყავს.
– რა ღირს ეს სიამოვნება?
– რა?
– აქლემით გასეირნება.
– ერთ დოლარამდე. მგონი. ზუსტად აღარ მახსოვს.
– ქორწინების სურათები არა გაქვთ?

– გვქონდა. ჩემს ცოლსა აქვს სადღაც შენახული.
– როგორ მინდოდა მენახა, – ქალმა ერთბაშად მოიწყინა.
– რატომ? რა სანახავია?
– მაინტერესებს, როგორი სახე გქონდა.
– ალბათ, როგორც ყველას. გულუბრყვილო, სულელური.
ქალი წამოდგა და კარისკენ წავიდა. სამიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, თითქოს შებარბაცდა, შუბლზე ხელი მიიდო.
– წავალ ახლა.
– ნუნუ!
– წავალ, ძალიან გთხოვ, არ გეწყინოს. ვერა ვარ კარგად.
– წამოწექი, ვალერიანის კაპლს დაგალევინებ.
კაცი ახლოს მივიდა. ასე შეწუხებული იგი მხოლოდ ერთხელ ნახა. მაშინაც ასე ჰქონდა საულვაშე და ცხვირი დაცვარული.
– რა ხდება, გამაგებინე.
– არაფერი. წავალ. აქ ერთ წუთსაც რომ დავრჩე, მოვკვდები, – კარი გამოაღო, შემოტრიალდა, კაცს გულში ჩაეკრა, – ძალიან მიყვარხარ, – კარი ღია დატოვა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.
– გაგაცილებ, მოიცა, ჩავიცვამ.
– არ მინდა. ტაქსით უფრო ჩქარა მივალ.
კაცი ღია კარში იდგა. „ცნობისმოყვარე მეზობლების“ უკვე აღარ ეშინოდა.
ნახევარი საათიც არ იყო გასული, ტელეფონი აწკრიალდა.
– შენა ხარ?
– ჰო, როგორა ხარ?
– ახლა არა მიშავს. არ ვიცი, რა დამემართა. გული მიჩერდებოდა და ჰაერი არ მყოფნიდა.
– სულელი ხარ.
– რას აკეთებდი?
– ვქარგავდი.
– ვისი სიცოცხლე ხარ?
– შენი.
– გოჩა, მომისმინე. სულ მეგონა, რომ მანდ სტუმრად ვიყავი. შენ ხომ იცი, არასოდეს არ მიფიქრია სერიოზულად იმაზე, რომ შენ სხვას ჩემზე მეტად სჭირდები. შენი ბუდე და შენი სამ-

ტრედე გაქვს. მაპატიე. არეულად ვლაპარაკობ. ვერ ავიტანე, იცი? არ უნდა მიგეყვანე მანდ. შემეშინდა, რომ ვნახე შენი ცოლის დაუთავებული თეთრეული, მშვიდად ჩაწიკწიკებული კარადაში, შენ მიერ გამონგრეული კედელი და სამუდამოდ გაკეთებული წიგნების თარო. ალბომში დიდი გულმოდგინებით, ქრონოლოგიის დაცვით ჩაწებებული სურათები. შენი მშვიდი კუთხე. შემეშინდა, იცი, როგორ შემეშინდა? კინაღამ გავგიჟდი.

– ხომ გითხარი, ჩერჩეტი გოგო ხარ.

– წარმოუდგენლად მიყვარხარ.

– კარგი, ხვალ დაგირეკავ.

– დილით დამირეკე რა?

– დილით არ მეცლება. ნახვამდის.

– მოიცა. აბა, როდის დარეკავ?

– თორმეტის მერე.

– წავედი, აბა.

– არ დადო, ყურმილი, ცოტა ხანს მელაპარაკე.

– წავედი, ჰოკეია.

– კარგი.

მატარებელმა ოცი წუთი დაიგვიანა.

ცოლი მეექვსე ვაგონის კიბეზე იდგა. კაცს იგი დაღლილი და გამხდარიც ეჩვენა.

– მუშას დავუძახო?

– რად გვინდა, მარტო ეს ჩემოდანი მაქვს, გამომართვი.

მანქანამდე უხმოდ მივიდნენ.

– რა გეჩქარებოდა?

– ვერ მოვისვენე, გოჩა. ბავშვი აღარ ვარ აწი მე. არ შემიძლია სოფლის ჩეჩმაში სიარული. სად მიხვალ?

– აქედან დაკეტეს. სადგურს ანგრევენ, ხომ ხედავ.

– უი, კი აღარ დავკვირვებივარ. როგორ მიყვარდა ეს შენობა. მშვენიერი იყო? რას ერჩოდნენ. ამაზე კარგს ააშენებენ ვითომ?

– ვნახოთ, ჭამდნენ?

– დიდი ვირები მგლებივით, დღეში თითო ცხვარი არ ეყოფათ, რომ მიუშვა. გოგის, არ ვიცი, რა ვუყო.

– არ ჭამს?

– თუ არ მიეძალე, ლუკმას არ ჩაიდებს პირში. ფერიც არ მომწონს რაღაცა.

– ნუ გეშინია.

– ჯაფარიძეებთან წყალი ხომ არ ჩაგიშვია?

– არა, – კაცმა გაიცინა, – არ გიკვირს?

– ყველაზე მეტად მაგის მეშინოდა.

– სად სადილობდი?

– რესტორანში.

– კუჭის მოქმედება როგორი გაქვს?

– ინგლისურ მარილს ვსვამდი ხანდახან.

– გშველის?

– ძალიან.

– არ შეიძლებაო ექიმმა ხომ გითხრა, ნუ მიაჩვევ ორგანიზმსო.

კაცი გაჩუმდა და სარკე შეატრიალა, რომ უკან მომავალი მანქანები უკეთ დაენახა.

– წითელია! არ გახვიდე! – იყვირა ქალმა.

გვიან იყო. პირდაპირ მიმავალმა ტაქსმა სიგნალით იქაურობა გააყრუა.

ძველ კინოსტუდიას რომ გაცდნენ, კაცმა სიჩქარე გამოცვალა.

– რა კარგად დაგყავდა უწინ. სულ გაგივიდა თავს, –უსაყვედურა ქალმა.

– ჩემი გზა იყო, – კაცმა თავზე გადაუსვა ხელი, – შეგეშინდა?

– ერთხელაც იქნება...

– ნუ გეშინია.

ელბაქიძის დაღმართზე მზე წვებოდა, თბილისური მწველი, მაგრამ მტვრიანი და ბენზინისსუნიანი მზე.

ჟურნალისტი

– ქუთაისელი ბრძანდებით?

– კი, ბატონო, თქვენ?

– მივლინებით მივდივარ.

– ხომ კარგ საქმეზე?

– კი, კარგზე, რასაკვირველია. აბრეშუმსაქსოვში ერთი ქალი მუშაობს, – უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაიხედა, – კვირკველია, გეცოდინებათ ალბათ.

– არა, არ გამიგია.

– გმირობაზეა წარდგენილი. ნარკვევი უნდა დავწერო.

– ნარკვევი კარგია, კარგი დაგემართოს. მოისვენებთ ჯერ თუ?

– ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. მატარებელში ასე ადვილად მაინც ვერ ვიძინებ. რა მეჩქარება.

– ქუთაისისკენ ხშირად ალბათ.

– ახლა მეორედ მივდივარ.

– ?!

– პირველად ამ ოცი წლის წინ ვიყავი.

ტანმორჩილი კაცია, სახენაყვავილარი. მარჯვენაზე ცერა თითი აკლია. ფეხსაცმელ-ტალავარი ბოდიშ-ბოდიშ გაიხადა, გულმოდგინედ დაკეცა კოსტიუმი და მაღლა შეაწყო. სპორტული პიჟამო ჩაიცვა და ფეხები ფლოსტებში წაჰყო. ხელჩანთიდან ორი ბოთლი ლუდი ამოიღო. მაგიდის ქვეშ ლურსმანს ჩამოჰკრა და გამომიწოდა.

– გმადლობთ.

– პირი გაისველე, თუ კაცი ხარ, – მეორე ბოთლიც გახსნა და მიიყუდა – „ბორჯომი“ გაწყდა რატომღაც, წამლადაც ვერსად იშოვი. რაშია ნეტავ საქმე?

– მოთხოვნილება გაიზარდა.

– დებეტი შემცირდაო?

– ამბობენ, მაგრამ არ იქნება სწორი. ყველა „ბორჯომს“ სვამს ახლა. ამხელა ქვეყანას რა „ბორჯომი“ გაუძლებს.

– ეს ფანჯარა?..

– შენ არ მომიკვდე, არ იღება.

– დავიხუთებით ამაღამ.

– ჯერ არ ცხელა მაინცდამაინც. ზაფხულშია ამ ვაგონში მგზავრობა ჯოჯოხეთი, – დავამშვიდე.

– ერთს ვიტყვი ახლა მე, – ლუდის ბოთლი ისევ მიიყუდა, – ყველაფერს დაადგა საშველი და ამ ვაგონებს – არა. კერენსკი რომ გაიქცა, იმ ტიპის ვაგონებით ვმგზავრობთ ახლაც. ვაგონში პატარა კომფორტი მაინც არ უნდა იყოს? ან ვენტილაციას გავაუმჯობესებ, ან რაღაცას მივხედავ. „საერთაშორისოში“ ადგილი რომ არ ყოფილიყო, მე ვუთხარი, ამისი არ იყოს, ჩემს რედაქტორს, წამომსვლელი არ ვიყავი. არ მსიამოვნებს ოთხი კაცის ნასკის სუნი ერთად და მომკალი ახლა.

– სწორი ბრძანდებით, აუტანელია ჩვენი ვაგონები. ეს მითხარით, სხვაგანაც ასეა ნეტა? ოთხკაციანია სხვაგანაც კუპეები?

– სად სხვაგან?

– საზღვარგარეთ, მაგალითად.

– მე მარტო ჩეხოსლოვაკიაში და ფინეთში ვარ ნამყოფი და იქ ასეთი ვაგონები არ შემხვედრია. ან ორადგილიანია იქეთ-აქეთ საწოლებით, ან კუპეებია მხოლოდ სავარძლებით. რბილი სავარძლებია. ზიხარ და მგზავრობ მშვენივრად. ეს ნარული სისტემა გულს მიკლავს. ციხეს მაგონებს ზევით-ქვევით საწოლები. ეგებ მოხუცი კაცი ვარ და არ შემიძლია ზევით-ქვევით ხტუნვა. ძალაა?

– ჩვენთან ბევრი მგზავრობს და ასეთ ვაგონებს, ალბათ, ადგილის ეკონომიის მიზნით აკეთებენ.

– ააა... ჰოოო... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა. პიჯაკის ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და დიდხანს სერიოზული გამომეტყველებით გადაჰქონდა სასწაულებრივად შერჩენილი რამდენიმე ღერი თმა მარჯვნიდან მარცხნივ კეფაზე.

სავარცხელს სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო. თაფლისფერი, სამკუთხედი თვალები მომაპყრო და ისე მადიანად ჩაიცინა, რომ კინაღამ გადამდო.

– დაფიცებული მქონდა, ქუთაისში არ წამოვსულიყავი მივლინებით, მაგრამ დრო თურმე ყველაფერს ჰკურნავს.

– რატომ, ჩემო ბატონო, რა გაწყენინეთ ქუთაისლებმა?

მუთაქით ზურგი გაიმაგრა, ფეხი-ფეხზე გადაიდო და დაიწყო:

– ამ ოცი წლის წინ მე ქუთაისში საქმე დამმართეს, რა ლამაზადაც არ უნდა მოგიყვე, მაინც არ დაიჯერებ, აი, მართლა ქუთაისური რომ ჰქვია, ისეთი კი არა, სიგლახის მეტი რომ არაფერია ხანდახან შიგ, ნიჭიერად მოფიქრებული ოინი იცი რას ჰქვია? თან რომ გწყინს და თანაც გიხარია. გშურს კიდეც იმ კაცისა, ვინც ეს ოინი გიყო. ახალი დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი და პირდაპირ „კომუნისტში“ გამანაწილეს. უკეთესს რას ინატრებს ახალგაზრდა ჟურნალისტი. იმით დავიწყე, რითაც სხვები ამთავრებენ. რამხელა გამოცდილება და ცხოვრების ცოდნა გინდა კაცს, რომ ჩვენი სეფე-გაზეთის დღიური მუშის ტვირთი გასწიო. იუმორი მეხერხებოდა, ცოტა არ იყოს, და ფელეტონისტობა დავიწყე. ხუთი თუ ექვსი ფელეტონი მაქვს გამოქვეყნებული „კომუნისტში“, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა – ქალამნად, ქვეყნის გასწორებას ვფიქრობ. ოცდაოთხი წლის ბიჭი ვიყავი. მაშინ თავი დიდი მეგონა, ახლა რომ ვუყურებ, რა არის ოცდაოთხი წლის ბიჭი! ყმაწვილია და მეტი არაფერი. რედაქტორმა (ცხონებული სალდაძე იყო მაშინ რედაქტორი) დამიძახა და ანონიმური წერილი წამიკითხა. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში დანაშაულობანი ხდება, „ლევი საქონელი“ მზადდება, მურაბის მაგივრად კომპოტს აბარებენ, შაქარს იპარავენ და დღისით-მზისით ჯიბეს ისქელებენო, უცნობი წერდა. აღარც მახსოვს ახლა კარგად, კონკრეტული გვარებიც იყო ჩამოთვლილი. ერთი სიტყვით, კარგა მსუყე ანონიმური წერილი გახლდათ. ჩვენს რედაქტორს საერთოდ არ უყვარდა ანონიმური წერილები, მაგრამ ეს ბარათი სამინისტროს მიერ იყო კონტროლზე აყვანილი და სხვა გზა არ გვქონდა, უნდა გამოგვეძია. აბა, შენ იციო, – სალდაძემ ცხონებულმა. გამბედაობა და სინდის-ნამუსი არ გაკლია, გაფრთხილდი, მწიკვლი არაფერი მოგეკაროს, შაქრის ქურდები ყველანაირად მოგიდგებიან, იმედი მაქვს, თავს არ შეირცხვენო. გაფრთხილება მინდოდა მეე? ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი. ისედაც, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩემს ადგილას, არა, არა, სხვა დრო იყო მაშინ ნამდვილად. ჟურნალისტს ქრთამს შეკადრებდი? გაზეთიდან კაცი ჩამოვიდა და ქრთამი აიღოო, გაუგონარი ამბავი იყო. წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა კაცი ამ ამბავს. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩამოვედი ქუთაისში. სადგურიდან პირდაპირ საკონსერვოს მივადექი. დირექტორი ჩიმაკაძე იყო, უშველებელი, მსუქანი კაცი. ცალი თვალი ჭიქის უნდა ჰქონოდა, ასე მახსოვს. კი აღარ ვიცი, ახლა, ცოცხალია, მკვდარია. მთავარი ინჟინერი მათხოჯელი კვერნაძე იყო. დაბალ-დაბალი სკვინჩასავით კოხტა კაცი. ამბავი-ხაბარი და პირდაპირ საქმეზე გადავედი. ესა და ეს კაცი ვარ, მე ვუთხარი, მივლინების ბარათი და პირადობის მოწმობა დავუდე წინ (ზედაც არ დაუხედავთ), ეს და ეს საქმე უნდა შევამოწმო, მომიტანეთ ახლავე საბუთები და უნდა შევუდგე შესწავლას-მეთქი. მიხვდნენ რაშიც იყო საქმე. ჯერ ფეხი აითრიეს, რასაკვირველია, დირექტორმა, როგორც ხდება ხოლმე, ნამგზავრი ბრძანდებით, ხომ არ დაისვენებთო, აპაპაპა, რა დროს დასვენებაა, ჯერ რა გავაკეთე, რომ ვისვენო-მეთქი. ჩაის მაინც არ დალევთ, სასტუმროში მაინც არ მოეწყობითო? კვერნაძემ. მადლობა მოვახსენე. ხომ ვიცი, რა მუცლის გვრემა აქვთ. ასე თათარიახნად მოტანილი ქაღალდები სულ სხვაა და მე რომ ამათ დრო მივცე, ისე ჩაგიჭიკჭიკებენ საბუთებს, რომ აქეთ დაგადებენ ვალს. რა მეტი გზა ჰქონდათ, ჩამოყარეს ყურები. ვიჩიჩქნები ქაღალდებში და ვარ ერთ ამბავში. დრო იყო და ასაკიც ისეთი მქონდა. ხომ იცი, თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს ამ დროს, ქვეყნის გასწორებას ფიქრობ. ბუმბულს ქარის დაქროლებამდე თავი მძიმე ეგონაო, ისეა ჩემი საქმე. მივლიან გარს დირექტორი და მთავარი ინჟინერი. ხან ამაზე ჩამომიგდეს სიტყვა, ხან იმაზე; შენც არ მომიკვდე. ერთ ყურში შემდის, მეორეში გამოდის. ვაჩხაკუნებ საანგარიშოს. შუადღემდე ერთი ცალხაზიანი რვეული გავავსე ჩანაწერებით. საამქროებშიც ჩამოვიარე, მურაბიან ქილებს ვითვლი. ახლა რომ ვყვები, მეცინება. რა საწყალი სახით მიყურებდნენ მაშინ. რა შეუვალი და მკაცრი იერი მქონდა. ხომ ჩამივარდით, წურბელებო, ხელში-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. დირექტორის

კაბინეტში ვზივარ ლუპამომარჯვებული. იმნაირი ქარსიცხეა, რომ სამივენი სულს ქვიშაზე ამოყრილი თევზებივით ვითქვამთ. რაკი თქვენ არ გვკადრულობთ, ჩაის დავლევთ და გეახლებითო, დირექტორმა. თავი მედიდურად დავუქნიე, ნება დავრთე, ერთი სიტყვით. გულში მაგინებდნენ ალბათ, წაარტყი ამ ლაწირაკს თავშიო, ვინ იცის, ფიქრობდნენ. შიმშილისა და სიცხისაგან თვალთ სინათლე დავკარგე, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ. უხეირო მაყარი ლხინსაც მოცდა და ძილსაცო, ისეა ჩემი საქმე. კარი გაიღო და მწვანემაისურიანი ბიჭი შემოვიდა. ხელში გასაღებს ათამაშებს. მძღოლებმა რომ იციან, იხვევს საჩვენებელ თითზე, წაღმა-უკუღმა და იღიმება. მე, ბატონო, შოფერი ვარ, არავითარი საქმე არა მაქვს დირექციასთან, თქვენი საცოდაობით დავიწვი, რამე რომ დაგემართოთ, ჩვენ მოგვეჭრება თავი, გარეთ ორმოცი გრადუსი სიცხეა, ხუთი წუთით გავიდეთ აგერ და ვიბანაოთ, რიონის ტოტი ჩამოდის, გავგრილდეთ და განაგრძეთ მერე თქვენი საქმეო. წყლის ცდუნებას ვერ გავუძელი. ჭყუმპალაობა ბავშვობიდანვე მიყვარდა. მდივან ქალს გასაღები გამოვართვი. კაბინეტი დავკეტე, უჩემოდ შიგ არვინ შევიდესმეთქი, დავუბარე და გავყევი. მართლაც იქვე იყო არხი, წულუკიძის ქუჩის ბოლოში, ზედ ქარხნის ეზოსთან ჩამოდიოდა. ახლაც იქ გადის ალბათ. ჯერ ტროლეიბუსის გაჩერებასთან რომ ჯიხურია, იმას მივადექით, ორ-ორი ბულკით და სიროფიანი წყლით გავისველეთ პირი, მე დავპატიჟე, ღვთის წინაშე თვითონაც არ გაუკრავს ჯიბეზე ხელი. გამხმარი თუთის ძირას მივყარეთ ტანსაცმელი და წყალში ჩავცვივდით. ერთი ხელის მოსმაა არხი. გავცურეთ-გამოვცურეთ. ერთი სიტყვით, და ტანზე შემოწურულ ნიფხავზე ვიცვამთ შარვლებს. ასე უკეთესია, ცოტა ხანს მაინც გრილად იქნები კაცი. მაჯის საათი მქონდა ახალნაყიდი „პობედა“, ვიქექები ჯიბეში, სადაა ჩემი საათი. არადა აშკარად მახსოვს, შევიხსენი და შარვლის უკანა ჯიბეში ჩავიდე. მარტო საათი არ იქნება მოპარული-მეთქი, გამიელვა. ფული მოვიჩხრიკე, მივლინების ფული და კიდევ რაღაცა ორი კაპიკი ჩემი ჰონორარიც გაუყოლებია ხელს ვიღაცას. საფისტონე ჯიბეში ოცდახუთმანეთიანი მედო შავი დღისთვის, ის კი ვერ უპოვია. ხომ არაფერი დაკარგეო, მძღოლმა შემატყო

ალბათ. არაფერი, მე ვუთხარი. არა, რაღაც შეწუხებული სახე გაქვს, მითხარი, თუ კაცი ხარო. არა უშავს, ჩვენი ჭირი წაუღია, საათი და ფული ამაფცქვნა ჩვენს ბანაობაში ვიღაცამ-მეთქი. შეწუხდა. გაიქცა-გამოიქცა. გაღმა, ბალახზე გაკოტრიალებული ტიტლიკანა ბიჭებს დაეტაკა. თქვენი წაღებულიაო, ბიჭებმა იუკადრისეს ცილისწამება და ქვების ისეთი სეტყვა დაგვაყარეს, ძლივს გამოვასწარით. რა ხალხია, არც სტუმარი იციან, არც მასპინძელი. ისედაც გამწარებული ხართ, მგონი, ჩვენს ქარხანაზე, გაგულისება გინდოდათ კიდევ თქვენო? მთელი გზა წუხდა ჩემი თანამგზავრი. ვთხოვე, დირექტორს და მოადგილეს არ უთხრა ეს ამბავი, გულით საყვარელს გაფიცებ-მეთქი, მაგრამ გაგიგონია, შოფერს რა დაამაგრებდა ენაზე. ახალდაბრუნებული ვიყავი, თმა ყურებთან ჯერ არ შემშრობოდა, ჩიმაკაძე და კვერნაძე გულგახეთქილები რომ შემოცვივდნენ. თქვენი გაძარცვის ამბავი გავიგეთ და მილიციას უკვე შევატყობინეთ, დღეს თუ არა ხვალ მაინც იპოვიან ქურდს და ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებენო. თქვენი ჭირიმე, ქუთაისზე წარმოდგენა არ გაგიფუჭდეთ, ხომ იცით, თითო უბედური ყოველ ოჯახს ჰყავსო. გამიკვირდა, ეს ხალხი კუდით მყავს დაჭერილი, სასწორზეა მათი ბედი და ესენი კი იმაზე სწუხან, როგორმე ქუთაისზე წარმოდგენა არ შემეცვალოს-მეთქი.

მეორე დღეს მილიციის გამომძიებელი სასტუმროში გამომეცხადა; ჯერჯერობით ვერ მივაგენით ქურდის კვალს, ბატონო, მაგრამ გამოძიება გრძელდება და უსათუოდ აღმოვაჩენთო. თუ ღმერთი გაწყრა და ვერ ვიპოვეთ, არ დაგვემდუროთ, ხომ იცით, ეშმაკს თვალები არა აქვსო. როგორ გეკადრებათ, მე ვუთხარი, რა სათქმელია, ჩემო კარგო, რა იყო ახლა ასეთი საგანგაშო, ძველთაძველი საათის (ვიცრუე) და რაღაც ორი კაპიკის გულისთვის თავს ნუ შეიწუხებთ-მეთქი. შუადღემდე თავი არ ამიღია, არაქათი გავაცალე დირექტორს და მთავარ ინჟინერს შეკითხვებითა და ქარხნის არქივში წამდაუწუმ სირბილით. რომ აღმოვაჩენდი რაიმე დარღვევას, თან აქტზე ხელს ვაწერინებდი ქარხნის უფროსებს და თან აღმზრდელობით საუბარსაც ვუტარებდი – როგორ მოგივიდათ ასეთი შეცდომა, ნუთუ არ იცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს

გამოგიჩხრეკდნენ და არ გაპატიებდნენ-მეთქი. თავჩაქინდრულნი მისმენდნენ, რაღა ეთქმოდათ. იქნებოდა ასე სამი საათი, კვერნაძემ შემომბედა, – თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ბალახვანში გავიდეთ, ბაღდათის გადასახვევთან კარგი საბანაო ადგილი ვიცი, გზაში პამიდორი და შავი პური ვიყიდოთ, თან ცოტა წავიხემსოთ და თან ვიბანაოთ, თქვენ მაინც ბანაობა ძალიან გყვარებიათო. ვიფიქრე, მთლად ინტრიგანი არ ვეგონო ამ ხალხს, ბოლოს და ბოლოს რესტორანში ხომ არ მივყვები, საბანაოდ წასვლაზე უარი როგორ ვუთხრა-მეთქი. ესეც არ იყოს, აქტებზე ხელი უკვე მოწერილი აქვთ, აწი რაღა უნდა მოხდეს-მეთქი. ერთი სიტყვით, წავედით ბაღდათისკენ. კვერნაძემ ბაზარში შეირბინა და, უნდა გენახათ ჩემი გაოცება, როცა მართლა შავი პური და ნახევარ კილოგრამამდე პამიდორი გამოარბენინა. ახია ჩემს თავზე, გულში ვამბობ. თხმელნარს მივადექით. მართლაც რომ საუცხოო საბანაო ადგილი იყო. რიონი უხვევდა და კბოდეს გასწვრივ მდორდებოდა. წყალი საკმაოდ ღრმა იყო. ქუთაისური მხარული თუ გინახავთ? მკერდამდეა ამოწეული მოცურავე წყლიდან და ისე ლაზათიანად უტყაპუნებს წყალს ხელებს, რომ შხეფიც კი არა ჩანს. დაცურავდნენ მზისგან გამურული ბიჭები. თავით ხტებოდნენ ქარაფიდან და ხარხარებდნენ. მანქანას ჩრდილში შევაყოფინეთ თავი, ჩიმაკაძემ და კვერნაძემ წყალში ჩასვლაზე უარი განაცხადეს, შეუძლოდ ვართო, ან რა ებანავებოდათ. გავცურე-გამოვცურე. ყელამდე წყალში ვდგავარ და ნაპირს გავსცქერი. მაღლა, მდინარის გასწვრივ მედიდურად დააბიჯებს თავზე ცხვირსახოცგადაკრული მსუქანი მილიციელი, თხმელების ჩრდილში ნაცნობ გამომძიებელსაც მოვკარი თვალი. ჯერ გამიკვირდა, აქ რა უნდათ-მეთქი, მერე მივხვდი და გამეცინა, ალბათ ქურდების ხელყოფისაგან მიცავენ-მეთქი. მერე ასეთმა აზრმა გამიელვა, ახლა ამოვალ ნაპირზე და ჩემი საათი და ფული ფეხსაცმელში დამხვდება. ამით ქუთაისის მილიცია ჟურნალისტურ მადლობასაც დაიმსახურებს და ჩიმაკაძე-კვერნაძის დუეტს ჩემს სტატიაში ჩაფიქრებულზე ოდნავ რბილად მაინც მოვეკიდები-მეთქი. გამოვედი ნაპირზე. ჯერ ხელით ჩამოვიწურე წყალი. მერე ცოტა ხანს ცალ ფეხზე ვიხტუნავე, ჩქარა რომ გავმშრალიყავ, და იმ ხისკენ წავედი, სადაც ტანსაცმელი მეწყო. ჩემს თანამგზავრებს მანქანის ოთხივე კარი გაეღოთ და მელოდებოდნენ. ბალახს ფეხები ავუსვდავუსვი და ფეხსაცმელს დავუწყე ძებნა. სადაა ჩემი ფეხსაცმელები. – ბალახებში ხელს რომ ვაფათურებდი, კვერნაძე და ჩიმაკაძე წამომადგნენ თავზე. – ხომ მშვიდობაა, – მკითხეს. – ფეხსაცმელი მომპარა ვიღაცამ-მეთქი. – შეუძლებელიაო! – ერთხმად იყვირეს და ორმეტრიან კამეჩისკისერა მილიციელს ხელი დაუქნიეს. მილიციელი ორი ნახტომით ჩვენთან გაჩნდა და საქმეს რომ გაეცნო, საკონსერვო ქარხნის უფროსებს უსაყვედურა: – აქვე ისხედით და ქურდი როგორ გამოგეპარათო. გავშრი კაცი. რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა. მილიციელმა ძაღლს მოვიყვანო და გზისკენ გაიქცა. კვერნაძემ გაზეთის ქაღალდზე შუაზე გახლეჩილი პამიდორები დააწყო და სხვისი ხმით მითხრა: – ცოტა მაინც დანაყრდით შიმშილით გული არ წაგივიდეთო. ვინ მოკიდა ხელი პამიდორს და შავ პურს. დანა პირს არ მიხსნის. ჩიმაკაძემ თავისი ორმოცდაოთხი ნომერი ტუფლი შემომთავაზა, სასტიკი უარი ვტკიცე. ფეხშიშველა ჩავჯექი მანქანაში და სასტუმროში წაყვანა ვთხოვე მასპინძლებს. მთელი გზა სწუხდნენ, ეს რა სირცხვილი ვჭამეთ; ეს რა დაგვემართაო. თქვენი დიდსულოვნების იმედი გვაქვს, ამ მცირე წყენას არ აყვეთ და ჩვენს ქალაქს ცუდი თვალით არ შეხედოთო. ხან ერთი ამბობდა ამას და ხან მეორე. სიმწრის ოფლი გამდიოდა, მანქანიდან რომ გადმოვედი და ქაღალდებით სავსე ჩანთით ხელში ფეხშიშველი ავუყევი სასტუმრო „ქუთაისის“ მარმარილოს კიბეებს. კიდევ კარგი, თექის ფაჩუჩები მქონდა ოთახში სასიარულოდ და მეშველა. იმ ფაჩუჩებით ჩამოვედი თბილისში. სადგურზე, ალბათ, გიჟად მიმიჩნიეს, რადგანაც ტაქსი ურიგოდ დამითმეს და მძღოლმა კინაღამ ფულიც კი არ გამომართვა.

– მერე? – ცნობისმოყვარეობამ ისე ამიტანა, რომ ხელები დამიბუჟდა, – ამით დამთავრდა ყველაფერი? არაფერი გაცნობათ მილიციამ?

– დამაცადე. მთავარი წინა გვაქვს. ჩამოვედი თბილისში და ვფიქრობ, მართალია დანაშაულს წყალი არ გაუვა და ჩი-

მაკაძე-კვერნაძე უნდა ამოიძირკვოს, მაგრამ ხომ არ იფიქრებენ ჩემი ფელეტონის გმირები, რომ მე, გაქურდვით გაგულისებული კაცი ვწერ ამას-მეთქი. არსებობს ასეთი გრძნობა, დამერწმუნეთ. მამლაყინწა ბიჭი ვარ, ვაჟკაცობაზე ვდებ თავს. მერე რა ვუყოთ, გამქურდეს, ხომ არ იფიქრებს ვინმე, რომ მე, საერთოდ, ქუთაისზე ვარ გამწყრალი-მეთქი. და თქვენ როგორ გგონიათ! არ დავწერე ფელეტონი. რედაქტორს ახსნა-განმარტებითი ბარათი ვაახლე, ანონიმურ წერილში მოტანილი ფაქტები არ დადასტურდა-მეთქი. ერთ თვეს ეჭვის თვალით მიყურებდა სალდაძე. ხედავთ, რა ხდება ქვეყანაზე? რომ არ გავექურდეთ, ის ფელეტონი უსათუოდ დაიწერებოდა და ჩიმაკაძე-კვერნაძეს ყურით დაჰკიდებდნენ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა „პაცნებმა“ გაგძარცვეს? – ვიყვირე.

– რომ აღარ მაცლით? – გაეცინა, – სამი თვის შემდეგ კვერნაძე მესტუმრა თბილისში, ჩემი ფეხსაცმელი, საათი და ფული დამიბრუნა და მითხრა: დაიხსომე ბიძია, ცუდ რამეზე უფრო ადვილი გასაკეთებელი არაფერია ამ ქვეყანაზე. კარგ საქმეზე გეჭიროს თვალი, კაცობის ნიშანი ეს არისო. შენ ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ლაფით გამომცხვარიო.

აწი დაგვიანებულია ფელეტონის გამოქვეყნება და იმიტომ გეახელითო. სხვანაირად ვერ მოგიდექით და შენს ვაჟკაცობაზე ვითამაშეთო. ვიცოდით, შენხელა ბიჭები თავმოყვარეობას ძვირად აფასებთ და ნამუსზე შეგაგდეთ. არ გვიწყინო, თექის ფაჩუჩებით რომ ჩამოგიყვანეთ თბილისშიო. სხვა დროსაც შევხვდებით ერთმანეთს და დაგარწმუნებთ, რომ ცუდი ხალხი არ ვართო. ხმა რომ ხმაა, არ გამიღია, მადლობაც არ მითქვამს, ხელი ჩამომართვა და კიბეზე დაეშვა. ახლაც თვალწინ მიდგას ოფლით დაცვარული მისი სახე; მორცხვი ღიმილი და დიდი შინაგანი ღელვის მაცნე თვალები. ორმოცდაათ წლამდე არც კი იქნებოდა კვერნაძე მაშინ.

ტვირთი

ვუძღვნი რევაზ თაბუკაშვილს

– ეს რა არის?! – ავსტრია-უნგრეთის საბაჟოს მოხელემ, ყელშეხვეულმა, ხმა-ცხვირიანად მჭლე ჩინოვნიკმა შიშით უკან დაიხია, როცა ოთხმა გიგანტმა ზანგმა სასწორზე ხვნეშით შემოდგა უშველებელი სპილენძის კუბო.

– კუბოა. – ღიმილით მიუგო რამაზ თაყაშვილმა და ნათქვამი უფრო დამაჯერებელი რომ გამოსვლოდა, კუბოზე თითები აათამაშა.

საბაჟოს მოხელემ პენსნე დაიმაგრა და არაჩვეულებრივ ტვირთს გარს შემოუარა. დიდხანს და ბუტბუტით კითხულობდა მარჯვენა მხარეს სპილენძზე ამოტვიფრულ იტალიურ წარწერას: „მამუკა უფლისაშვილი – 1545–1597“. თავაზიან მგზავრს პასპორტი ხელში შეატოვა და უკანმოუხედავად გაიქცა.

ფრაკის ბოლოები სასაცილოდ ეყოფოდა შუაზე, ფეხებს განზე დგამდა და შორიდან პინგვინს წააგავდა.

მალე ლაქიამ საბაჟოს დეპარტამენტის ჩუქურთმიანი კარი გააღო და რამაზისკენ ექვსიოდე შავმანტიანი მამაკაცი წამოვიდა.

რომ მოახლოვდნენ, ჯგუფს ერთი გამოეყო, ქუსლები გაატკაცუნა და საფეთქელთან ორი თითის მიტანით სტუმარს მიესალმა.

– მაქვს პატივი მოგესალმოთ, საბაჟოს უფროსი ჰანც კანცვერბერგი.

დანარჩენები უკუდგნენ და თავები დახარეს.

– მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, მოწყალეო ხელმწიფევ, – საბაჟოს უფროსმა ხელი მაგრად ჩამოართვა. რამაზმა მადლობა გადაუხადა და, მიუხედავად იმისა, რომ აქ დადგენილი ცერემონიალის მიხედვით, მისგან ზედმეტი სითა-

მამე იყო – უფროსის ამალასაც ჩამოუარა და „გმადლობთ, ჩემო ბატონო, გმადლობთ, შენი ჭირიმეს“ ბუტბუტით ყველას ჩამოართვა ხელი.

– ნება მიბოძეთ, გკითხოთ, კავკასიაში მიბრძანდებით? – საბაჟოს უფროსს რბილი, ხორხისმიერი ხმა ჰქონდა.

– დიახ.

– ჩემს ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს; გზაში ერთ კვირას მაინც იქნებით, მიცვალებული ხომ კარგად არის მოვლილი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბალზამირებულია თუ არა?

– ვერ გეტყვით, კუბო არ გამიხსნია, – რამაზმა საბაჟოს მოხელეს თვალებში შეხედა.

– ?!

– განსვენებული, სულ მცირე, სამასი წლის მკვდარი მაინც არის.

– გასაგებია, – საბაჟოს მოხელეს სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია, თუმცა ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა იყო ეს სამასი წლის მკვდარი ამ საშუალო ტანის, მკვირცხლთვალება, პირმრგვალი მამაკაცისათვის, ან რა მოსაზრებით შეეწუხებინა ნეშტი ამხელა გზაზე საჯაჯგუროდ.

– თუ თქვენში რაიმე ეჭვს იწვევს ჩემი ტვირთი, შეგიძლიათ გახსნათ სარკოფაგი, – სიჩუმე რამაზ თაყაშვილმა დაარღვია, მაგრამ მაშინვე ინანა, ჰანს კანცვერბერგს აღელვება მხოლოდ ხმის ათრთოლებაში შეეტყო. – თქვენ ხუმრობთ, ბატონო მგზავრო. მართალია, ავსტრია-უნგრეთს მკაცრი სასაზღვრო წესების სახელმწიფოდ თვლიან, მაგრამ ჯერ იქამდე არ მივსულვართ, მიცვალებული გავჩხრიკოთ.

საბაჟოს უფროსმა თეთრი ხელთათმანები გაიკეთა და მოაჯირს მიყრდნობილ ოთხ გოლიათ ზანგს საჩვენებელი თითის მოკეცვით უხმო.

– გთხოვთ, – კანცვერბერგმა რამაზი წინ ჩაიყენა და პროცესია მატარებლისკენ დაიძრა.

რამაზ თაყაშვილი ხელდაკრეფით მიჰყვებოდა კუბოს და ზურგს უკან საბაჟოს თანამშრომლების ფრთხილ, მოზომილ ნაბიჯებს გრძნობდა.

კუბო საფოსტო ვაგონში შეაცურეს, ჭირისუფალი თავის კუპემდე მიაცილეს, ერთხელ კიდევ ჩამოართვეს ხელი რუსეთის იმპერიის მოქალაქეს და მატარებლის დაძვრის მოლოდინში ქვემოთ, ვაგონის ფანჯრებთან დადგნენ.

ეს კი მეტისმეტი იყო. რამაზს უნდოდა ეთქვა; წაბრძანდით, არაა საჭირო, არ ვარ ღირსი ამდენი პატივისცემისაო, მაგრამ ეშინოდა, სამგზავრო ეტიკეტის ზუსტად დამცველ ავსტრიელთათვის ამითაც არ ეწყენინებინა. მატარებელი რომ დაიძრა, მარჯვენა ხელი გაარხია და მადლობის ნიშნად ერთ-ორი ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა საბაჟოს უფროსობას, რაზეც მასპინძელთა გაოცებულ მზერას წააწყდა და თავისი თავი დატუქსა – ეს ჰაეროვანი კოცნა ნამეტანი მაუბრალოებს და როგორმე უნდა მოვიშალოო.

ცუდად ეძინა.

არც ვაგონის ჭრიალმა დააძინა და არც იმაზე ფიქრმა, რომ მალე თავის ქვეყანაში ჩავიდოდა და არ იცოდა, როგორ შეხედავდნენ მის ნაბიჯს, სწორად გაუგებდნენ თუ არა.

როგორც კი ნარზე პირაღმა ამოტრიალდებოდა და გულზე ხელებს დაიკრეფდა, ეჩვენებოდა, რომ მამუკა უფლისაშვილიც ასე იწვა ახლა სპილენძის ჰერმეტულ კუბოში და ისევ მუცელზე წვებოდა, რომ უსიამოვნო შედარებისაგან განთავისუფლებულიყო.

მატარებელმა იმპერიის საზღვარს რომ მიაკივლა, ახალგათენებული იყო.

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული საბაჟოს წესების მიხედვით მგზავრებს ეკრძალებათ ვაგონიდან უნებართვოდ ჩამოსვლა!“ – მუხრუჭების ღრჭიალში ძლივს გაარჩია რამაზმა.

ერთსაათიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ კუპეში ულვაშგაწკეპილმა პორუჩიკმა შემოჰყო თავი.

– ბატონი თაყაშვილი?!

– დიახ, – რამაზმა ლოყებს ხელები მოაცილა და წამოდგა.

– თქვენი ბარგი სულ ეს არის?! – პორუჩიკმა ტყავის ყვითელ ჩემოდანზე მიუთითა.

– არა, თან კუბო მიმაქვს, – ყურები გაუწითლდა რამაზს.

– ვიცით, ვიცით. გთხოვთ წამობრძანდეთ, – პორუჩიკმა ჩემოდანს ხელი დაავლო, შეტრიალდა და გაიქცა.

ბაქანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

საბაჟოს მაღალჭერიან ოთახში შესვლისას რამაზმა ჯერ კუბოს და ჩემოდანს დაადგა თვალი, მერე სმენაზე გაჭიმულ ნაცნობ პორუჩიკს შეხედა და, ის იყო, სკამზე დაეშვა, რომ სწრაფი ნაბიჯის ხმა მოესმა და იძულებული გახდა, წამომდგარიყო.

კაბინეტში უკისრო, ვირთხისცხვირპირა ჩინოვნიკი შემოგრიალდა, ზურგზე ხელებშემოწყობილმა შემოურბინა კუბოს და რამაზს წინ დაუდგა ლახტის მოთამაშესავით ფეხებგაშლილი და გადასახტომად შემართული.

– თქვენი წოდება?!

საბაჟოს მოხელეს ცივი, ყიყინა ხმა ჰქონდა.

– ტახტის აზნაური, – რამაზს გაეცინა. – საგანგებო მინდობილობათა მესამე რანგის მოხელე ამჟამად.

– საქმიანობა?

– კომერსანტი გახლავართ. ევროპაში ფოტოსაქმის ლიტერატურის და ფოტოაპარატების შესაძენად ვიყავი წასული.

– ეროვნება?! – ხელისუფლების წარმომადგენელი სიცხიანივით ისროდა სიტყვებს, გეგონებოდათ, მგზავრის პასუხი არ აინტერესებსო.

– ქართველი. – მიუგო რამაზმა და არწივისღერბიანი პასპორტი კუბოზე დადო, – იმპერიის სრულუფლებიანი მოქალაქე.

– დაგვტოვეთ! – უკისრო მოხელე პორუჩიკს მოუბრუნდა და, როცა ეს უკანასკნელი ფეხების ბაკუნით გავიდა, თვალების ეშმაკური წკურვით მიუახლოვდა კომერსანტს.

– კიდევ კარგი, რომ ჩემი მორიგეობის დროს მოხვდით, თორემ შეიძლებოდა ეს საქმე ცუდად დამთავრებულიყო, – პასპორტი ხელისგულზე გაატყაპუნა, – რისკიანი ხალხი ხართ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ კუბო ვერაფერი კონსპირაციაა კონტრაბანდის გადმოსატანად?

– მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არათუ თქვენს მონამორჩილს, ჩემი გვარის ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ იხილავთ ვაჭრუკანა-კონტრაბანდისტის როლში, – რამაზ თაყაშვილი წელში გაიმართა.

საბაჟოს მოხელეს აშკარად შეეტყო, რომ ეწყინა. არც მგზავრის ამაყი კილო მოეწონა და არც იმის შესაძლებლობა, რომ კუბოში მართლა შეიძლებოდა მიცვალებული ყოფილიყო.

– გაფრთხილებთ, სანამ ამ ოთახში მესამე პირი არ არის, შეგვიძლია ერთმანეთს ვენდოთ, როცა ჩხრეკას დავიწყებთ, თუნდაც უმნიშვნელო საბაჟო ცუღლუტობისთვის უმკაცრესად დაისჯებით.

– მესმის.

ჩინოვნიკმა მაგიდასთან მიირბინა და ზარი ააჟღარუნა.

ჩხრეკა დიდხანს გაგრძელდა.

ჯერ რამაზი დააყენეს ოთახის შუაგულში და სთხოვეს ყველაფერი გაეხადა.

კვართ-საწმერთულის ამარა, ფეხშიშველი იდგა ცივ იატაკზე ტახტის აზნაური და მაგიდის გასწვრივ, კედელზე, ვიტტეს ლამაზ პორტრეტს შესცქეროდა.

რომ იტყვიან, საფისტონე ჯიბიანად გაჩხრიკეს, ლანჩასაც კი უტყაპუნეს ჩაქუჩი.

მერე ჩემოდანი გადმოაპირქვავეს და საეჭვო იქაც რომ ვერაფერი იპოვეს, გულდაწყვეტილმა პორუჩიკმა ხელები გაიფერთხა და უბრძანა, ჩაეცვა და ჩემოდანიც ჩაელაგებინა.

ჯერი კუბოზე მიდგა.

ფანჯარას მიმდგარ რამაზს დიდხანს ესმოდა სპილენძის ზარის რეკვა. კუბოს მოხვედრილი ჩაქუჩის ექო დიდხანს წრიალებდა ოთახში და, საჰაერო სარკმლიდან გამძვრალი, შორს, ჰორიზონტთან, თეთრი ეკლესიის გუმბათზე იშლებოდა.

ერთადერთხელ მოიხედა და ასეთ სურათს წააწყდა: საბაჟოს ვირთხისთავა უფროსი ტაბურეტზე შემდგარიყო და თავახდილ კუბოში ლუპით იხედებოდა.

რამაზი შეზარა ამ სანახაობამ. მიცვალებულის წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო, ცივ მინას შუბლით მიეყრდნო და სანამ არ უხმეს, არ შემობრუნებულა.

– ვინ არის განსვენებული?! – საბაჟოს მოხელე ბატის ფრთას ჩუქურთმიან სამელნეში წამდაუწუმ ასველებდა და რაღაცას წერდა.

– მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი მოღვაწეა, მამუკა უფლისაშვილი, – მშვიდად მიუგო რამაზმა.

– სად იყო დამარხული?

– ვენეციაში.

– რატომ?

რამაზმა შეკითხვა ვერ გაიგო.

– როგორ მოხვდა-მეთქი ვენეციაში?

– ვერ გეტყვით. მე პირადად მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცი. საეკლესიო გამოკვლევებს და საგალობლებს წერდა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, თუ იტალიაში იყო დამარხული. ერთ მისიონერს შემთხვევით წამოცდა, აქ, სხვათა შორის, ბოკაჩიოს მეოთხე წყალ-ქუჩაზე ქართველი კაცის საფლავიაო. დავინტერესდი, ხუთი დღე ველოდე ზღვის უკუქცევას. წყალმა რომ დაიკლო, ჯვარი გამოჩნდა. ჯვარზე, ქვემოთ ფირფიტა იყო გაკრული და „მამუკა უფლისაშვილი“ ეწერა. მამუკა უფლისაშვილის სახელი ყველა ჩემმა თანამემამულემ იცის. რაკი სამშობლოში მისი გადასვენების განზრახვა ჩავიდე გულში, არ მოვეშვი. ჩემი საქმეები განზე გადავდე და შევები. ნებართვის მისაღებად რომის პაპთან მისვლაც დამჭირდა, ბოლოს, როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

– რა ნათესაური კავშირი გაქვთ მიცვალებულთან?! – ეტყობოდა, რამაზის მიერ მოთხრობილმა ამბავმა საბაჟოს მოხელე სრულიადაც არ დააინტერესა.

– მე... – რამაზმა ხელისგული მოისრისა, – არაფერი.

– მაშ, რა მიზნით მოასვენებთ ცხედარს?

– უბრალოდ, ქართველი კაცია და...

– როგორ! – იმპერიის საზღვრის დამცველი ფეხზე წამოდგა. – დადიხართ ასე ევროპაში ქართველები და თუ სადმე ქართველის საფლავს ნახავთ, ამოთხრით და სამშობლოში მიარბენინებთ? კარგი გართობაა, ჩემმა მზემ!

– ეს უბრალო ქართველი არ გახლავთ, – რამაზს სიბრაზისაგან პირი გაუშრა, – დიდი ქართველი მამულიშვილი და მეცნიერია.

– მით უმეტეს! შენ გგონია, დიდი პატივი ეცი, მიწიდან რომ ამოთხარე?! – ვირთხისთვალებამ გაცინება სცადა და წინ გამოშვერილი სამი კბილი შემზარავად გამოაჩინა. – ვენეციაში დამარხვა ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათ? ვინ მოგცათ ნება, მიცვალებულის წინაშე ასეთი მკრეხელობა ჩაიდინოთ? საქართველოში დამარხვა რომ სდომებოდა, თვითონ იზრუნებდა ამაზე სიცოცხლეში. არ მიატოვებდა თქვენს ქვეყანას და ვენეციაში არ ამოჰყოფდა თავს. დამიხედეთ ამას! ახალი პროფესიის კაცი – მკვდრების შემგროვებელი!

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ საბაჟოს მოხელე შარზე იყო და გაჩუმება არჩია. სწორედ ამ სიჩუმემ გაჭრა. ვირთხის ნათესავმა წერა დაამთავრა, ვერცხლის ბუდეში ჩაგდებული კვერისხელა ბეჭედი დააძრო, ქაღალდს სამ ადგილას გაუტკაცუნა და ოთახიდან გასვლისას ქართველ კომერსანტს ყბის კანკალით აუწყა:

– არა, არა! თქვენ თქვენსას არ მოიშლით. თქვენ თქვენსას არ მოიშლით. ჩემი საქმე რომ იყოს, ჩემი საქმე რომ იყოს!.. – შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და სწრაფი ნაბიჯით გაყუნცულდა ოთახიდან.

1902 წლის 16 თებერვალი იდგა.

* * *

საუწყებო საქმეთა ვიცე-გუბერნატორს რაუშ ფონ ტრაუბენბერგს დილიდანვე მოეშხამა გუნება. როცა თანაშემწემ მოახსენა, კვლავ რამაზ თაყაშვილი გეახლათ და აუდიენციას დაბეჯითებით მოითხოვსო, ხელები გაასავსავა და ჩინოვნიკს მუდარით სავსე თვალები შეანათა.

– უთხარით, რომ არა ვარ.

თანაშემწეს გაეცინა.

– იცის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ეტლიდან გადმოსვლისას დაგინახათ. დღესაც აქ დააღამებს. იქნებ აჯობებს, მიიღოთ და მოიშოროთ.

„მიიღოთ, მამა გიცხონდება, შენთვის ადვილი სათქმელია!“

იცის, როგორ არ იცის ვიცე-გუბერნატორმა, რა საქმეზეა მოსული თაყაშვილი. მთელი ქალაქი მამუკა უფლისაშვილის ჩამოსვენებაზე ლაპარაკობს. სამი დღეა ემალება ქალაქის თავის ამხანაგი ამ უცნაურ მთხოვნელს. ასეთი მძიმე დღე ჯერ არ დადგომია. ხუთი წელია თბილისში მუშაობს და ასეთ შემთხვევას ჯერ არ წაწყდომია. ყველაფერი დაუზუსტეს – ეროვნული მოღვაწე ყოფილა, მწიგნობარი და პატრიოტი, მერე? რა შუაშია რაუშ ფონ ტრაუბენბერგი? რაღა მან უნდა გადაწყვიტოს ეს საჩოთირო საქმე? მიწერს მერე ვიღაც იმპერატორის კანცელარიას ამ ამბავს და კარგად მეყოლე! სამასი წლის მკვდარს უნდა გადააყოლო შენი კარიერა, ტრაუბენბერგო? არა და სანამ უნდა გადაუდოს აუდიენცია? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიიღოს?

– სთხოვეთ. – ვიცე-გუბერნატორმა თანაშემწეს მწყრალად შეხედა. შენგან მჭირს, რაც მჭირსო, თითქოს უნდოდა ეთქვა.

კარი რომ გაიღო, ტრაუბენბერგი წამოდგა და კომერსანტისკენ ხელგაშლილი წავიდა.

– ოო, მობრძანდით, ბატონო თაყაშვილო. თქვენ ახლა ყველაზე სასურველი სტუმარი ბრძანდებით. მაპატიეთ, რომ გალოდინეთ. თანაშემწემ დროულად არ მომახსენა. დაბრძანდით, მგზავრობამ ხომ არ დაგღალათ?

მამა არ შეხვდება ასე დიდი ხნის უნახავ შვილს.

გაბადრული თაყაშვილი უხერხულობის გასაფანტავად ხელებს მუხლებზე ისვამდა, გაეგონა, ვიცე-გუბერნატორი თვალთმაქციაო, მაგრამ თუ ამხელა მელა იყო, არ ეგონა.

– ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარეთ. თქვენ ნამდვილი გმირი ხართ. ჩვენი დღეების გმირი. სამასი წლის შემდეგ მამუკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს. ეს ხომ ზღაპრის ახდომას ჰგავს. ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. გაგიჭირდათ საფლავის მიღება?

რამაზმა გაიფიქრა, ამან თუ ასე ილაპარაკა, ისე გამიტყუებს კარისკენ, რომ სიტყვას არ ჩამაგდებინებსო და საქმეზე გადავიდა.

– ჩემი გაწვალება რა ანგარიშში ჩასაგდებია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. ახლა თქვენი შეწევნით, ამ ძვირფას ნეშტს სათანადო პატივისცემა და დაკრძალვა უნდა.

ვიცე-გუბერნატორს არ ესიამოვნა, რომ ასე ჩქარა ალავერდს მისკენ გადავიდნენ.

– რასაკვირველია, რასაკვირველია... კერძოდ რა გაქვთ მხედველობაში?

– ორი მთავარი საკითხი: თქვენო მაღალკეთილშობილებავ: საიდან გამოვასვენოთ და სად დაიკრძალოს.

– მე რა შუაში ვარ? – ეს უკვე აღარ იყო ტრაუბენბერგისეული ეშმაკობით ნათქვამი. ვიცე-გუბერნატორმა წყენა ვერ დამალა და წამოდგა, თუმცა იქვე სცადა ავყიად წამოსროლილი სიტყვის გამოსწორება – მე, რაც შემიძლია. ერთი სიტყვით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი...

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ გაიძვერა მოხელე ფონს ეძებდა და გზა გადაუჭრა:

– მოგეხსენებათ, დაკრძალვისა და ქორწინების საკითხები უშუალოდ თქვენს კომპეტენციაში შედის.

– საერთოდ კი... რასაკვირველია... მაგრამ ეს კერძო შემთხვევა გახლავთ... ეს უბრალო დაკრძალვა არ არის... სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო...

– ??

– როცა ასეთი საქმე გადაწყვიტეთ, უნდა შეგეთანხმებინათ, რომ იტყვიან, საქმის კურსში უნდა ყოფილიყო ქალაქის დეპარტამენტი. თქვენ ფაქტის წინაშე დაგვაყენეთ. ეს მთლად კარგი ვერ არის, – ვიცე-გუბერნატორი წყენას ვერ მალავდა.

– მართალი ბრძანდებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი. იქვე იტალიაში შემთხვევით გავიგე. მოგეხსენებათ, შეთანხმების და მოთათბირების დრო არ იყო. ახლა, ავად თუ კარგად, საქმის ნახევარი გაკეთებულია. უკანდასახევი გზა არა გვაქვს. – მიცვალებული მიწას უნდა მივაბაროთ.

– საქმეც ისაა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ უკანდასახევი

აღარ გვაქვს. ამას სხვანაირი განსჯა-დაფიქრება უნდა. დაკრძალვამ საშიში ფორმები რომ მიიღოს?! ხალხს ისედაც ბუნტისკენ უჭირავს თვალი. წუმწუმის ალიც საკმარისია და დემონსტრაციად გადაიქცევა თქვენი უფლისაშვილის დაკრძალვა, მერე თქვენ განზე დადგებით, პასუხს კი მე მაგებინებენ.

ორივენი სდუმდნენ.

– დაყოვნება იქნებ უარესი იყოს ამ საქმისათვის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. გარწმუნებთ, დაკრძალვას საშიში მიმართულება არ მიეცემა. ქალაქი დაიტირებს თავის წმინაპარს. იქნებ უკეთესიც იყოს. სამასი წლის ცხედართან გამართული პანაშვიდი საეჭვო პირებსაც კი სამიოდე დღით დაავიწყებს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საქმეს.

– თქვენ მხედველობიდან ერთი რამ გრჩებათ. სამაგიეროდ ეროვნულ გრძნობებს გააღვივებს. ნაციონალური დროშების ფრიალს მოჰყვებიან. არ გახსოვთ, რა ამაზრზენი ამბები მოჰყვა დავით ერისთავის ბალაგანს? მაშინაც ასე უმტკიცებდნენ, თურმე, გუბერნატორს, ეთნოგრაფიული სპექტაკლია, უმტკივნეულოდ ჩაივლისო.

რამაზი დარწმუნდა, რომ გამოქექილ ვიცე-გუბერნატორს გზა-კვალი ვერ აუბნია და უკანასკნელ ხერხს მიმართა.

– დაყოვნება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს-მეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მთელმა ქალაქმა იცის, რომ კუბო ჩემს სახლშია. მესამე დღეა, ყოველ საღამოს ჩემს ჭიშკართან უცნობებს ვხედავ. რაც დრო გადის, ემატება ხალხი. ჩემს სახლთან დემონსტრაციას გამართვას, სჯობს, დაკრძალვას სახელმწიფოებრივი ხასიათი მივცეთ. რომელიმე დაწესებულების შენობიდან გამოვასვენოთ. პოლიციასაც მეტი საშუალება ექნება წესრიგის დაცვის.

– თქვენ მაინც რომელ უწყებებზე ფიქრობთ? – ყრუდ იკითხა ვიცე-გუბერნატორმა.

– ყაფლან სარაჯოვის პანსიონატიდან, ან კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს შენობიდან გამოვასვენოთ, პოლიტიკისგან თავისუფალი უწყებებია.

ვიცე-პრეზიდენტი ფეხზე წამოდგა.

– ბატონო თაყაშვილო, უფლებას გაძლევთ, თქვენი შეხედულებისამებრ იმოქმედოთ. ჩვენი საუბარი არ შემდგარა. თქვენ ჩემთან არ ყოფილხართ და არც არავითარი თანხმობა მომიცია. ასე აჯობებს. მე ამ საქმიდან განზე გავდგები. თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ ყაფლან სარაჯოვს.

– მაგრამ ის უთქვენოდ, რასაკვირველია, არ გადაწყვეტს. ვერ გაბედავს.

– ეს უკვე სხვა საქმეა. როცა თვით რექტორი დააყენებს საკითხს ჩემ წინაშე, შევეცდები, ხელი არ შევუშალო. ოღონდ ცერემონიალი არ უნდა გაშორდეს საეკლესიო მოღვაწის დაკრძალვის ფარგლებს. საშიში რეციდივების შემთხვევაში პირად პასუხისმგებლობას თქვენ გაკისრებთ.

– ვემსახურებით იმპერიას! გმადლობთ, თქვენო მაღალტლიაკეთილშობილებავ. – რამაზ თაყაშვილი წამოდგა.

„ობერფლიდი ვინმე ხარ, მაგრამ არ გადგია კარგი დღე. სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიც არ დაგავიწყდეს. სამი დღე სისხლი გამიშრე, მაგრამ მაინც მოგიმწყვდიე კუთხეში. შენგან სწორედ ეს ნებართვა მინდოდა. აწი მე ვიცი“, ფიქრობდა კომერსანტი და ქალაქის დეპარტამენტის ნოხიან კიბეზე მისი ასაკისათვის საკმაოდ მჩატედ ჩამორბოდა.

ყაფლან სარაჯოვი, ტანდაბალი, ცისფერთვალება, უდროოდ გამელოტებული, ახალგაზრდა მსუქანი კაცი რამაზ თაყაშვილს დერეფანში შეხვდა. ცალ ხელში განიერი შავი ჩანთა ეჭირა, ხოლო მეორეში – წიგნების შეკვრა. დაინახა თუ არა რამაზი, ტვირთიანი ხელები მაღლა ასწია, მომიცადე ერთ წუთსო, სთხოვა, ფანჯრის რაფასთან მიირბინა, ბარგი ზედ დააწყო და კომერსანტისაკენ გამოფრინდა. ისე დიდხანს იკრავდა გულში ყაფლანი სტუმარს, რომ დერეფანში მათ ირგვლივ ცნობისმოყვარეთა წრე შეიკრა.

– შენთან ვარ სტუმრად! – ძლივს მოახერხა რამაზმა და ყურში ჩასძახა გულაჩუყებულ მასპინძელს.

– აბა ვისთან იქნები. მაგას ლაპარაკი უნდა? – ვიღაცას ფანჯრის რაფაზე მიუთითა, წელზე ხელი მოხვია და კაბინეტიდან წაიყვანა.

– ეს რა გააკეთე, რომ იცოდე. რა ბიჭი ხარ, რომ იცოდე. სადაც კი მოვხვდი ამ ბოლო დროს ოჯახებში, ყველგან შენს სადღეგრძელოს სვამენ. მეხარბება, ძმაო, შენი, – ყაფლანი სავარძელში ტანაჯორივით ტრიალებდა.

– შენი პანსიონატიდან უნდა გამოვასვენოთ, – რამაზმა სიხარულისგან ატროკებულ ყაფლანს ქამანდივით ესროლა.

სარაჯოვი გაქვავდა.

– ჩემი თავი გენაცვალოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აქედან? – ეს უკვე დამფრთხალი, გატეხილი კაცის ხმა იყო.

– სახელიანი დაწესებულებაა, ეროვნული.

– მაგ საკითხზე ცოტა დავფიქრდეთ, რამაზ ჩემო, – პანსიონატის გამგე შორიდან უვლიდა და რამაზი უკვე მიხვდა, რომ ამ კაცს უარის თქმა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, – არ ავჩქარდეთ და საქმე არ გავაფუჭოთ. იმ უწყებასთან, საიდანაც გამოვასვენებთ, რაღაც კავშირი ხომ უნდა ჰქონდეს.

რამაზი დარწმუნდა, რომ საუბარის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.

– როგორ? პანსიონატთან მამუკა უფლისაშვილს კავშირი არა აქვსო, შენ ამბობ, ყაფლანი ამბობ ამას?

– ახლა ასე თუ ვიმსჯელებთ, ვისაც ერთი სტატია დაუწერია, რაღაც კავშირი ყველასა აქვს ჩვენთან, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი თანამშრომელი არ ყოფილა და არც ამ პანსიონატში მიუღია განათლება.

– რას გეტყვი, იცი? – რამაზი წამოდგა და შარვლის ჯიბეში ხელები ჩაიწყო, – არ შეიძლება, ძმაო, ასე. ასე აწყობილად და თავაუტკივრად ნუ ცხოვრობთ. სირცხვილია. მაშინ გადადექი ამ პოსტიდან, თუ ერთი ბეწო გაბედულებაც არ გაგაჩნია და დაჯექი სახლში. შენი ჩრდილისაც გეშინია და კაცმა რომ გკითხოს, თავს დადებ შენი ქვეყნისთვის. ეს შენი პროფესორობა და მსოფლიო სახელი იმიტომ უხარია ქვეყანას, რომ რაღაცაში შეეწევი, რაღაცაში გამოადგები. ილიას თქმისა არ იყოს, ერთ-ორ გულმოსაფხან სიტყვას მაინც ეტყვი, შე კაცო.

ყაფლანი დატუქსვას დიდი ხნის გადაჩვეული იყო და აიმრიზა.

– შენ შენსას მიერეკები და ახლა ჩემიც მოისმინე. რომ იცოდე, არც ეგრეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. შენ რა იცი, რას ვაკეთებ მე და რა ცეცხლში მაქვს თავი შეყოფილი ყოველდღე. შენ რა იცი, რა კბილებით მიჭირავს ჩვენი ენა ამ პანსიონატში... გააკეთებთ პატარა რაღაცას და მაშინვე გმირის ნათელს დაიდგამთ თავზე. რა ნახე ასეთი, შე კაი კაცო, ჭკუას რომ მარიგებ, შენი ნაფიცი მოწაფე ხომ არ გგონივარ? როგორ შეიძლება მამუკა უფლისაშვილის ამ კედლებიდან გამოსვენება. ათასი ბუნტოვშჩიკი მყავს. იტყვის რომელიღაც თავგახურებული ახალგაზრდა რამეს და სულ დაგვიხურავენ ამ პანსიონატს. შენ გაეცი მერე ქართველ ერს პასუხი.

ისეთი ექსტაზით, ისე პათეტიკურად ლაპარაკობდა სარაჯოვი, უცხო კაციც ადვილად დაასკვნიდა, რომ ქართველი ერი ამ გამოჩენილ მოღვაწეს ფეხებზე ეკიდა. კარგად ბრძანდებოდეთო, – სხვათა შორის დაუგდო და პანსიონატის გამგეს თავისი გრძელი მონოლოგი პირში შეატოვა.

მეორე დღეს რამაზ თაყაშვილს აუდიენცია ჰქონდა კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს მარშალთან. თავადი ნოშრევან ამილახვარი, ოთხმოცს გადაშორებული ყრუ მოხუცი სავარძელზე გადაწოლილიყო, გენერლის ბრჭყვიალა ქამარი ისე ღონივრად შემოეკრა, რომ სულს ძლივს ითქვამდა, ყბებსმიჭერილ მაღალ საყელოში წამდაუწუმ ორ თითს იყოფდა, რომ ჰაერი გადაეყლაპა.

ცუდ დღეში იყო გენერალი ნოშრევან ამილახვარი. იგი ტიროდა.

– პირველად რომ მითხრეს, ყურებს არ დავუჯერე. არ იქნება-მეთქი მართალი. ბატონო კომერსანტო, ამ სიბერეში ცოტა ურწმუნო გავხდი, მაპატიეთ, მე აღარც კი მეგონა, თუ ასეთი მამულიშვილები კიდევ არსებობდნენ. დღეს ყველას თავისი თავი უჭირს, რომელი ჭკუათამყოფელი წამოიღებდა-მეთქი კუბოს იტალიიდან, მაპატიეთ, ბატონო კომერსანტო (ამილახვარს რამაზის სახელი უკვე მესამედ დაავიწყდა), მე დღეს ბედნიერი კაცი ვარ. ნუთუ ეს მართალია, ნუთუ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სასწაული ერი ვართ ჩვენ. აი, ნახავთ ის-

ტრიის ამ მოსახვევსაც გავივლით და გაღმა გავცურავთ. ნუთუ მამუკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს?! ეს... ეს... ეს ხომ ჩემი საშვილიშვილო ოცნება იყო!

ამილახვარს სიტყვები აღარ ეყო, თვალებზე ჭრელი აბრეშუმის ცხვირსახოცი მიიფარა და ისევ აქვითინდა.

– თქვენო უმაღლესობავ, თქვენი შეწევნა სჭირდება ამ საქმის დაგვირგვინებას! – ჩასძახა რამაზმა მხრებაკანკალებულ თავადს.

– რა სჭირდება?! – მოხუცმა ყურს ხელი მიაფარა.

– დახმარება!

– არ დაიჯერებთ. – ამილახვარმა ჯერ გულისჯიბეზე დაირტყა ხელი და მერე მუხლებზე, – კაპიკის მოხერხებას არა ვართ, ჩვენი სალარო ასე ცარიელი არასოდეს ყოფილა.

– ფული არ გვინდა.

– რა არ გნებავთ? – მარშალმა ისევ მიიფარა ყურზე ხელი.

– ფული, თქვენი დასტური გვინდა.

– რაზე?

– ამ შენობიდან უნდა გამოვასვენოთ.

– რა უნდა ჰქნათ?!

– აქედან უნდა გამოვასვენოთ. სამოქალაქო პანაშვიდი აქ უნდა გაიმართოს!

– ვისი?!

რამაზ თაყაშვილს ნერვები დააწყდა.

– მამუკა უფლისაშვილის!

– ااااا... ოოოო. – როგორც იქნა, გაიგო საქველმოქმედო საკრებულოს მარშალმა, მაგრამ ვაი ამ გაგებას! – არ გამოვა ეგ საქმე. თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით. თქვენ არ იცით, ამას რა მოჰყვება. ძლივს წყალობის თვალით გამოიხედა იმპერატორმა ჩვენკენ. ახლა, გაზაფხულზე ალექსანდრ მიხაილოვიჩს ველით ბორჯომში. მაგ საქმეს ვერ ვიზამ. ხლაფორთში თავს ვერ ჩავიგდებ. თქვენ არ იცით, ბატონო კომერსანტო, თქვენ ოცდათორმეტ წელს დაბადებულიც არ იყავით. ნუ გვიწყენთ, ჩვენ სხვანაირი ცხოვრება გვქონდა. თქვენც რომ გეხეხათ მეტეხის ყაზარმები, სხვანაირად ილაპარაკებდით. მე

თვითონ ათი წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა ქაიხოსრო ელიზბაროვიჩ ამილახვარი შეიწირეს. მისი საფლავიც კი დაგვეკარგა.

მარშალმა ისევ აიფარა ცხვირსახოცი და ტირილით გული რომ იჯერა, კომერსანტი მის კაბინეტში აღარ იყო.

„შენ მაინც რამ დაგაბეჩავა. შენ მაინც რისა გეშინია. შენ მაინც რამ დაგიბნელა ასე გონება. ცალი ფეხი სამარეში გიდგას. ერთხელ მაინც მოიქეცი ვაჟკაცურად, ერთხელ მაინც გაიმართე წელში, შე უბედურო. რაღა ჩინტემლაკებს ელი კიდევ, ხვალ და ზეგ ოთხი კაცის წასაღები ხარ. ამ შენს ორ უკანასკნელ პარასკევში მაინც იყავი კაცი“. – ფიქრობდა გულამომჯდარი რამაზ თაყაშვილი და გალავინსკზე გამშრალი მიაბიჯებდა.

ამასობაში ერთი თვე გავიდა.

რამაზი ყოველდღე გადიოდა სახლიდან და საღამოთი პირდაღრეჯილი ბრუნდებოდა.

მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ფოტოსაქმის კომერსანტს ერთი თვეა შინ ედგა კუბო მამუკა უფლისაშვილის ნეშტით და დამარხვის ნებართვისთავის ვერ მიეღწია.

ამის თაობაზე გაზეთებში ცნობაც დაიბეჭდა. მამუკა უფლისაშვილის დამარხვის ხელშემწყობი საზოგადოებაც შეიქმნა, მაგრამ საქმეს დასასრული არ უჩანდა. ადიოდა და ჩამოდიოდა რამაზი ქალაქის სხვადასხვა დეპარტამენტის კიბეებზე. მას ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ, გულში იკრავდნენ, გმირად აცხადებდნენ, მაგრამ როგორც კი თაყაშვილი დაკრძალვაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ყველანი თოფნაკრავივით გაურბოდნენ. არავინ აღმოჩნდა, რომ კატისთვის ეჟვანი შეება.

და ბოლოს სასოწარკვეთილი კომერსანტი სახელმწიფო საათაბიროს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მეფისნაცვლის რწმუნებულის კარს მიადგა.

არ ეგონა, თუ რწმუნებულთან მოხვედრა ასე ადვილი იყო. თითქოს მის მოსვლას ელოდნენო, თანაშემწეს გვარი უთხრა თუ არა, მოხელემ თავაზიანად მიაცილა მაღალ, ტყავგადაკრულ კარებამდე და გაოცებულ რამაზს ღიმილით აუწყა.

– შებრძანდით, რწმუნებული გელოდებათ.

თაყაშვილს გაეხარდა კიდეც, რომ რწმუნებულს მის დანახვაზე ხელები არ გაუშლია და გულში არ ჩაუკრავს, საქმიანი კაცი ჩანს, ამას მაინც გავაგებინებ ჩემს გასაჭირსო, გაუელვა რამაზს და შემოთავაზებულ სკამზე არ დამჯდარა. პირდაპირ დაიწყო:

– არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. დამნაშავესავით დავდივარ და ქვეყანაზე თავი ვერ გამომიყვია. იყო დამარხული კაცი მშვენივრად, იტალიის მიწაში. არავინ აწუხებდა, არავინ ურღვევდა საუკუნო ძილს. მე მეგონა, კარგს ვაკეთებდი. მოვისისხლფასე ორიოდე კაპიკი და მამუკა უფლისაშვილის ნეშტი თბილისში ჩამოვასვენე. ერთი თვეა შინ მიდევს კუბო. ერთი თვეა ღამეები არ მძინავს, დილის ხუთ საათზე წამით ჩათვლემილს დამადგება მიცვალებული თავზე და ხელებგამოწვდილი მემუდარება: რა გინდოდა, რას მერჩოდი, ან შენი თავი რატომ ჩაიყენე ასეთ დღეში, ან მე რაღაზე ამომაგდე მიწიდანაო. თქვენს იქით გზა არა მაქვს. ილაჯი გამიწყდა, მოთმინება დავკარგე.

მხარზე ხელის დადება იგრძნო და გაჩუმდა. ვერც კი შეამჩნია, როდის წამოდგა რწმუნებული და როდის მოვიდა მასთან.

– შეგიძლიათ არ გააგრძელოთ – სათათბიროს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გაბზარული, ნერვიული ხმა ჰქონდა, – ეს ყველაფერი უკვე ვიცი, ერთი თვეა ველი თქვენს მოსვლას. რატომღაც გვიან გაგახსენდით. გელაპარაკებით როგორც სახელმწიფო მოხელე და არც ჩემი ქვეყნისადმი სიყვარულის დამტკიცებით ვაპირებ თქვენი გულის აჩუყებას. იფიქრეთ, როგორც გსურდეთ, მაგრამ მეც მოსვენება დავკარგე ამ ერთი თვის განმავლობაში. არ გიხმეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა თქვენ თვითონ გაგხსენებოდით და მოგეძებნეთ. ჩემი გაუხსენებლობა ძნელია, რადგანაც გაზეთები ყოველდღე მიხსენიებენ, – რწმუნებულს გაეცინა. – ხან კარგად და ხან აუგად. არც მოძებნაა ძნელი. უფლება მომეცით ვიფიქრო, რომ აქამდე თქვენი მოუსვლელობა მხოლოდ და მხოლოდ ჩემდამი თქვენი უნდობლობით იყო გამოწვეული. გასაგებია, თქვენ ფიქრობთ, მე საკმაოდ დიდი თანამდებობა მიჭირავს

იმპერატორის კარზე იმისათვის, რომ მამუკა უფლისაშვილის დაკრძალვაზე ვიფიქრო, ასე გადაწყვიტეთ თქვენ ყველამ. არ არის ასე, მოწყალეო ხელმწიფევ. ჩემი საიმპერიო სამსახური ხელს როდი უშლის საქართველოს მომავალზე ჩემს ფიქრს. შეიძლება სხვადასხვა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენი სამსახურის მასშტაბები და მის მომავალსაც სხვადასხვანაირად ვჭვრეტდეთ, მაგრამ დამერწმუნეთ, მე ჩემი ქვეყნის სიცოცხლისა და ბედნიერების სურვილით ვდგები ყოველ ცისმარე. ვიცი, თქვენთვის ახლა ძნელია ამისი დაჯერება. ჩემი სიტყვები, ცოტა არ იყოს, მევე მეჩვენება პათეტიკურად. ერთი შენიშვნა მაინც უნდა მოგცეთ: თქვენ თვითონ გამოიგონებთ იქ, ქვემოთ „პრობლემებს“ და თვითონვე ხართ გულმოსულნი. რა გინდოდათ მავანისა და მავანის კარს რომ აწვებოდით? განა არ იცით, არც ერთ მათგანს უჩემოდ ამ საქმის გადაწყვეტა არ შეეძლო? ჰოდა, ჩემგან დაგეწყოთ, ჩემო ძვირფასო, ვინ გაავრცელა ჭორი, თითქოს სახელმწიფოს სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს ასეთი საქმეებისათვის არ ეცალოს? განა ამგვარი წინადადებით მოსული რომელიმე თქვენგანისთვის აუდიენციაზე უარი მითქვამს?

კომერსანტი და მეფისნაცვლის რწმუნებული იმ ღამეს გვიანობამდე საუბრობდნენ.

* * *

არც ამ საუბარს მოჰყოლია შედეგი.

ბოლოს დრომ გაიტანა თავისი.

დაუმარხავი მკვდრის ჭირისუფალი ერი ყალყზე შედგა.

კარს მომდგარი სახალხო ამბოხებით შეშინებული მთავრობა იძულებული გახდა დაკრძალვის ნება დაერთო პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ.

...მამუკა უფლისაშვილის დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო.

წილი

კაცმა ქოშინით ამოირბინა კიბე. გრძელი დერეფნის პირველსავე კარს ეცა, მაგრამ არ შეუშვეს. მეორე კარისკენ გაიწია, იქაც უბოდიშოდ გადაუღობეს გზა. ბოლოს, უიმედოდ აწრიალებული, ვიღაცამ შეაჩერა:

– თქვენი მოსაწვევი?

კაცმა მოსაწვევი გაუწოდა. მაღალმა, სათვალიანმა, საგულდაგულოდ თმაგადავარცხნილმა ახალგაზრდამ აუჩქარებლად გაშალა მოსაწვევი, მერე სტუმარს ახედ-დახედა და თავი გადააქნია.

– რატომ აგვიანებთ, მომყევით.

ძლივს ეწეოდა. მაინცდამაინც ახლა ამოუვარდა ფეხსაცმლის თასმა. ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ფეხი დაადგა და კინაღამ გაიშოტა ლაქისაგან აპრიალებულ იატაკზე. სათვალიანი ბოლო კართან ღიმილით უცდიდა.

– შედით და დაბრძანდით. ორმოცდამერვე რიგია თქვენი, მეცხრე ადგილი. ფეხაკრეფით შედით. მოიცათ. მოსაწვევი აიღეთ. არ დაკარგოთ, თორემ საღამოს სხდომაზე აღარ შემოგიშვებენ.

ბოდიშ-ბოდიშით გაიკვლია გზა. კიდევ კარგი, სავარძლებს შორის გასასვლელი ფართო იყო. თავის ადგილს მიაგნო და ამოისუნთქა. ახლა შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. ტრიბუნასთან დაბალი, მელოტი კაცი იდგა და გულმოდგინედ კითხულობდა. ორივე ხელით ტრიბუნას ჩასჭიდებოდა და მხოლოდ მაშინ გაუშვებდა ხელს, როცა მოხსენება უნდა გადაეფურცლა, ან ჩაი მოესვა. მოსვამდა თუ არა ჩაის მომხსენებელი, კულისებიდან მოხდენილი გოგონა წამოვიდოდა, ტანის რხევით აივლიდა სამ საფეხურს, ნაკლულ ჭიქას წაიღებდა ორიოდე წუთში კვლავ გამოჩნდებოდა სავსე ჭიქით ხელში. კაცს მოეჩვენა, რომ მთელი დარბაზი სწორედ იმ გოგონას გამოჩენას ელოდებოდა.

როცა დარწმუნდა, რომ მისი დაგვიანება დარბაზში არავის შეუტყვია, ცოტა არ იყოს, გამხიარულდა კიდეც. საყურე-მიმღებს დაწვდა და თავზე ჩამოიმხო, მაგრამ მიმღები ხმას არ იღებდა და გაუკვირდა, სხვებს რომ დიდი ამბით ეკეთათ ყურზე და მომხსენებელს ისე შეჰყურებდნენ, რომ თვალსაც არ ახამხამებდნენ. საყურე-მიმღები თავის ადგილას დააბრუნა, მაგრამ ვეღარ დაამაგრა და ბრაგუნით დაეცა იატაკზე.

– მაპატიეთ, – ქართულად უთხრა გვერდით მჯდომ ქალს, რომელმაც ხმაურზე მოიხედა და ახალ შემოსულს მწყრალად შეხედა. ქალმა არაფერი უპასუხა, მას სწორი ლამაზი ცხვირი, პომადით შეღებილი თხელი ტუჩები ჰქონდა და ხელები მოწაფესავით ეწყო ტყავის შავ ხელჩანთაზე. ტყავისავე ალუბლისფერი ჩექმები ეცვა, წითელ სვიტერზე თაგვისფერი შარფი მოეხურა.

– ხელი შეგიშალეთ მოსმენაში, არა, ქალბატონო? – კაცმა ხელმეორედ სცადა ბოდიშის მოხდა.

ქალმა ორი თითით ტუჩის ბოლოები მოიწმინდა და გაუღიმა.

– არა უშავს. პირველად ხართ?

– დიახ. – კაცმა პასუხი არ დაახანა. რატომღაც ეგონა, რომ ყველანი პირველად იყვნენ.

– მე შარშანაც მქონდა ბედნიერება, – ქალმა ხელჩანთას ცალი ხელი ააცალა და კაცს შეხედა. კაცმა გვერდზე გაიხედა. კედლის სარკეში თავის თავს გაუღიმა. ლომის ფაფარივით სქელი და უხეში თმა ჰქონდა, აგურისფერი კოსტიუმი ეცვა და „გელათის“ პერანგზე ნეილონის შავი ჰალსტუხი ეკეთა. თმა რანაირად გამჩეჩვიაო, წაილაპარაკა და ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, მაგრამ ქალმა კატეგორიულად წასჩურჩულა:

– აქ არ დაივარცხნოთ, სირცხვილია.

სავარცხელს სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო.

ერთხანს წინ იცქირებოდნენ.

კაცს მოსწყინდა, ქალისკენ გადაიხარა და ტუჩები ყურთან მიუტანა:

– რომელ საათამდე უნდა ვიჯდეთ?

ქალმა მოიხედა და რაკი დარწმუნდა, სერიოზულად ეკითხებოდნენ, ისევ ჩამოისვა ტუჩზე ორი თითი.

– ადრე მოგწყენიათ. ორ საათამდე აქედან გასვლაზე ნუ იფიქრებთ. ორზე შესვენებას გამოაცხადებენ. დღის წესრიგის დამტკიცებაზე არ ყოფილხართ?

– არა, – დაბეჯითებით მიუგო კაცმა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ქალს ჰგონებოდა, აფსუს, რომ დღის წესრიგის დამტკიცებაზე არ იყო, თორემ ეს ისეთი ჯეელი ჩანს, უსათუოდ რაიმე ცვლილებას შეიტანდაო.

– ორ საათამდე მოხსენება იქნება, მერე სასადილო შესვენება ერთი საათი. სამზე კამათი დაიწყება.

– რა დაიწყება? – კაცმა ყურს ხელი მოახმარა.

– კამათი ჰქვია. გამოვლენ და ყველა თავთავის სიტყვას წაიკითხავს. მომხსენებელმა საათ-ნახევარი მოითხოვა.

– ბევრია. – ჩაურთო კაცმა.

– კამათის მონაწილეებს ნახევარი საათი მიეცათ, განცხადებისათვის ხუთი წუთი.

– ცოტაა. – თქვა კაცმა და გაეცინა.

– შემოსვლის დროს ხომ გატარდით რეგისტრაციაში?

– რაში? – კაცმა ისევ მოახმარა ყურს ხელი.

– თუ აჩვენე ვინმეს შენი მოსაწვევი?

– რა თქმა უნდა. – კაცს მაღალი, სათვალიანი, საგულდაგულოდ გადავარცხნილთმიანი ახალგაზრდა მოაგონდა, რომელმაც დარბაზში შემოიყვანა.

ისინი ტრიბუნას შესცქეროდნენ და თან მოხერხებულად, ცალი ყბით საუბრობდნენ, ამ ფრაზის ანატომიური და არა იდიომური მნიშვნელობით.

– კურდღელმა რაც იძინა, ის იხტუნაო, ჩემზეა ნათქვამი, – კაცი ჩურჩულს მიჩვეული არ იყო და ყელი უშრებოდა. – წუხელის ჯერ თვითმფრინავმა დაიგვიანა.

– რატომ „225-ს“ არ გამოყევით?

– ვერ ვასწრებდი. მატარებელი დილის შვიდ საათზე ჩამოდის. ჩემი საქმე ისე იყო, რომ გუშინწინ ვერ ჩამოვიდოდი თბილისში. „225“ რომ გამოფრინდა, დაიკეტა აეროპორტი და საღამოს რვა საათამდე გვაყურყუტეს.

– ჩვენი დროით? – ისე ყოველ შემთხვევისათვის ჩაურთო ქალმა, თორემ რა მნიშვნელობა ჰქონდა.

– მე სულ ჩვენი დროით ვლაპარაკობ, ქალბატონო. – მრავალმნიშვნელობის გარეშე, გულწრფელად მიუგო კაცმა, – თორმეტს გადაცილებული იყო, სასტუმროში რომ მოვედი – სადა ხართ აქამდე, თქვენები ყველანი ჩამოვიდნენ, ჯავშანი უკვე გავაუქმეთო, ჩხუბი არ დამიწყო ადმინისტრატორმა? ლოტოს კოჭივით მრგვალი ქალი იყო, ჩემსიმაღლე წითელი კოსა ედო თავზე. თქვენც იმან მიგიღოთ?

– არ მახსოვს, – ქალს მართლა არ ახსოვდა.

– კი მაგრამ, რა ჩემი ბრალია, ქალბატონო. მე რა, მფრინავი ვარ, თუ შტურმანი, – მე ვუთხარი. თვითმფრინავმა დაიგვიანა. ჩამოვწყდით ფეხზე აეროპორტში და კიდევ აქეთ მდებთ ბრალს-მეთქი? მეო, ბრალს არავის ვდებო, თქვენი ჯავშანი გაუქმებულია, მორჩა და გათავდაო. ქალბატონო, მე ეს კაცი ვარ და ამ საქმეზე ვარ ჩამოსული-მეთქი. ვიციო. აბა, რა ვქნა, გავბრუნდე უკან-მეთქი? ოთხასჩვიდმეტ ნომერში შტაბია და იქ მიაკითხეო. ოთხასჩვიდმეტში ორ ქალს ეძინა, მორიგეები ვართო. ახლა იმათ დამიწყეს ლანძღვა. თქვენი გულისთვის ადამიანმა წესიერად ვერ უნდა დაიძინოსო. თვითმფრინავი ხომ იცით, ჩემ გემოზე არ დადის-მეთქი. ნუ ლაპარაკობთ ბევრსო, შემომიბღვირა ერთმა. იჟღურტულეს ცოტა ხანს, მერე ერთი მათგანი ტელეფონს დაწვდა, ზმორებით აუწყა ვიღაცას, ესა და ეს კაცი დაგვიანებით ჩამოვიდა და როგორ მოვიქცეთო. იმან იქედან ისეთი რაღაც უთხრა, რომ ყურმილიანი კარგა ხანს ხითხითებდა. სული რომ მოითქვა, თავის მეგობარს დაუწია თავი და უჩურჩულა. ახლა მეორე ქალი აძიგძიგდა. ვდგავარ ფეხზე ცხენივით. არც დაბრძანდით, არც ბოდიში. ხუთას სამოცდახუთში მიდით, უფროსი მორიგეა და იმას მოელაპარაკეთ, კარგი კაცია, კავკასიელები უყვარს და იქნებ შევიდეს თქვენ მდგომარეობაშიო. ვფიქრობ, რა დავაშავე, რა ქვა გავტეხე ასეთი. ამასობაში ღამის ორი საათი შესრულდა. უფროსი მორიგე მართლაც ღვთისნიერი აღმოჩნდა. შევეცოდე, სადა ხარ, კაცო, აქამდეო. შენ რომ იქედან არ იყო, საიდანაც ხარ, არ

გიშველიდა არაფერიო. ჩემოდნიდან გაზეთში გახვეული ჭაჭის არაყი ამოვიღე და სულელის ღიმილით, ვითომ შეუმჩნევლად, დავუდე საწოლთან. თან მეშინია, ვაითუ გამლანძღოს-მეთქი; როგორ კადრულობ ამ საქმეზე ჩამოსული კაცი ამ ამბავსო, რომ მითხრას? შენც არ მომიკვდე. ბოთლს გაზეთი შემოახია, შეანჯღრია და ელექტრონის შუქზე გახედა. ერთნახადი ხომ არ არისო, მკითხა. როგორ გეკადრებათ-მეთქი. დამშვიდდა. ქაღალდის ნაგლეჯზე ხელი მოაწერა და ისევ ოთხას ჩვიდმეტისკენ მაქნევინა პირი. ჩემს ნაცნობ მორიგეებს უკვე ეძინათ. ჯერ კარგარედან მაყვირეს. ეს ვარ, თქვენთან თხუთმეტი წუთის წინ რომ ვიყავი და უფროს მორიგესთან რომ გამიშვით, ის კაცი ვარ-მეთქი. გამიღეს, როგორც იქნა. ვერ უნდა მოგიშოროთ შენ ამაღამო? ქაღალდი გამომართვეს და სასტუმროში ჩასახლების ორდერი გამომიწერეს. გაიქეცი ახლა ადმინისტრატორთან და ხვალ დილით ორი „პლიტკა“ შოკოლადი არ დაგავიწყდესო. რაც ადმინისტრატორმა ისინი ლანძღა, ჩემს ორდერს რომ დახედა, თუ ჰქონდათ ნომერი, მე რაღაზე მათქმევინეს პატიოსანი კაცისთვის უარიო. ერთი სიტყვით, სამი კაი ხნის შესრულებული იყო, ბალიშზე რომ მივდე თავი და, მთელი დღის განაწამებს, მკვდარივით დამეძინა. ძალიან მოვინდომე ამ დილით, მაგრამ მაინც დამაგვიანდა.

ქალი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ არც ერთხელ არ უთქვამს: „რას ლაპარაკობ, ნუთუ მართლაო“. ეტყობოდა, რომ ამ ნაამბობში მისთვის არც ახალი იყო რაიმე და არც გასაკვირი.

კულისებიდან ისევ წამოვიდა მოხდენილი გოგონა ჩაის ჭიქით ხელში.

კაცმა ამოიოხრა.

– ოჰ, თქვენ? – ბაგეებში შეფარული ღიმილით შეხედა ქალმა, – სახლიდან არ ხართ გამოსაშვები არც ერთი. შენს ცოლს ჰგონია ახლა, რომ საქმეზე ხარ ჩამოსული. ერთი ხართ ყველა, ერთ თარგზე მოჭრილი, რა აქვს ახლა ამოსახვნეში იმას, ერთი ფიცარივით გოგოა.

კაცმა საყვედური ქათინაურად მიიღო და გაეხარდა. მოეჩვენა, რომ ქალის ამ სიტყვებით სულ სხვა ეტაპი იწყებოდა მათს

ნაცნობობაში. თითქოსდა ეს უცხო ქალი ერთბაშად დაუთბა, უხილავი მაკრატლით გადაჭრა ზონარი, რაც აქამდე კაცს მისდაუნებურად ბოჭავდა და თავისუფლად ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

– რა ვქნა, შე ქალო. ადამიანიშვილები ვართ ჩვენც. – კაცმა ხელი გასწია ქალისაკენ, ჩანთაზე რომ ლამაზი, ფაფუკი ხელი უდევს, იმ ხელის ზურგზე მოვეფერებიო, ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ხელი შუაგზიდან უკან წამოიღო და ყურის ბიბილო მოიფხანა. ვინ იცის, იქნებ სწორადაც მოიქცა. იქნებ ამ მოუზომავი საქციელით ყველაფერი წყალში გადაეყარა.

ქალმა დაამთქნარა და პირზე ხელი სამჯერ რბილად მირტყა.

– ჩვენი ცხოვრების ნახევარი ამნაირ ფოკუსებზე მიდის, ვითომ რად უნდოდათ ახლა იმ სიშორიდან ჩვენი ჩამოყვანა? წყლის ნაყვა არ არის ახლა ეეს? რას ვაკეთებთ, გზის ფულის ხარჯვის მეტს. ბავშვები უპატრონოდ დავყარე, დავარდნილი დედამთილის ამარა.

– ქმარი? – კაცს ამ შეკითხვის მიცემა ადრე სურდა, მაგრამ ვერაფერს მოაყოლა.

– რა ქმარი? რას ეხმარები შენ შენს ცოლს? დილას გადავა სახლიდან და საღამოს შემოიძურწება, ან მთვრალი, ან ფხიზელი.

– ბავშვები რა ხნის გყავთ?

– მეშვიდეშია უფროსი. მესამე, პატარა, ნოლ ჯგუფში წავიდა წელს.

– უფროსი გოგოა?

– გოგოებია სამივე.

– აბა, არაფერი უჭირთ. უფროსი დიდი ყოფილა, მიხედავს ორივეს. გოგოების ფასი არაფერია ოჯახში, რომ იცოდე. ბიჭის ნახევარი მოვლა არ უნდა გოგოს, ტყუპები მყავს ათ-ათი წლის და შენ ისინი უნდა ნახო. ლომების მომთვინიერებელივით მათრახს ვატკაცუნებ ყოველ წუთს. ახლა წამოცმული ექნებათ ყველაფერი თავზე. დამწვარს არ დამახვედრებდნენ სახლ-კარს და სხვას არ დავეძებ არაფერს.

– ტყუპები? ყოჩაღ, ცოლი შენ გყოლია.

კაცს გაეცინა.

– მე არაფერი, ხომ? ვერ გავიგე, რატომ მიაჩნიათ ტყუპები ყოველთვის დედის ვაჟკაცობად.

– კაცი სტუმარია სახლში. დედაა ყველაფერი, არ იცი, აბა? – ქალმა პირველად ახლა შეათვალიერა კაცი. ცხვირზე შეხედა, ულვაშზე, თმაზე, მერე ჰალსტუხზე ჩამოუსვა მზერა და ბოლოს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მხოლოდ წამით შეხვდნენ მათი თვალები ერთმანეთს. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ქალმა სწრაფად დაიწყო ხელჩანთაზე ხელები და ორატორისკენ ისე ენერგიულად გაიხედა, თითქოს მოხსენებიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდეს.

– ახლაა ოჯახში საქმე. მე ვთქვი, პატარას მივიხედ-მოვიხედავ-მეთქი. თქვენი თქმის არ იყოს, აქ წამოსვლის დრო და თავი მქონდა ახლა მეე? ზამთარში თუ არ მიხედე პატარა სახლს, სხვა დროს ვის სცალია. წელიწადში ათი თვე მინდორში და ყანაში ვყრივართ.

– რა ჰქენით ყველის და ხორცის?

– შევასრულეთ, ისე... რა ვიცი...

ქალმა მოიხედა. ტუჩებზე ხელი მიიფარა და ყურში რაღაც უნდა ეთქვა კაცისთვის, მაგრამ უკნიდან ვიღაცამ ორივეს მოუთათუნა მხარზე ხელი და შემობრუნებულებს სათვალიანმა, ჭაღარა კაცმა ქვედა ყბის კანკალით სთხოვა:

– თუ შეიძლება, მოსმენის საშუალება მოგვეცითო.

ქალმა, ესეც შენო, ღიმილით შეხედა კაცს და საყურე-მიმღები მოიმარჯვა.

– სწორია ეს ხალხი, – ჩაილაპარაკა კაცმა და ისიც მიმღებს დასწვდა.

ორივენი თავიანთ ფიქრებში ჩაიძირნენ.

კაცს თვლემა მოერია, თავს მხოლოდ მაშინ იწევდა, როცა ჩაის გამომცვლელი გოგონა ორატორისკენ წავიდოდა.

ქალი შეჰყურებდა ტელეიუპიტერებით განათებულ სცენას, მაგრამ მოსმენით ისიც არ უსმენდა ორატორს.

როცა დარბაზში მოსაწვევების ტყე აღიმართა, კაცს მოეჩვენა, რომ ვიღაც შეეხო მხარზე, ჯიბიდან მოსაწვევი სწრაფად დააძრო და მანამ ეჭირა თავს ზემოთ ამართული, სანამ ქალმა არ დააწევინა, კაცმა გაკვირვებით შეხედა. ახლა შენიშნა, რომ ქალს მარცხენა მხარეს, ტუჩს ზემოთ, საულვაშეზე ხალი ჰქონდა და ღიმილიც ძალიან უხდებოდა.

გრძელ დერეფანში ერთად გამოვიდნენ.

– აქ... ისა... რა სათქმელია მაგრამ... სადღაც მაღაზია არისო... სპეციალურად ჩვენთვის... იქნებ რამე გვეყიდა ბავშვებისათვის. – კაცი სიტყვებს ვერ პოულობდა, გვერდით მიჰყვებოდა დერეფანში მიმავალ ქალს და ფიქრობდა: რა მაღალი ყოფილა. რა ლამაზი სიარული იცის.

ქალი მოტრიალდა და თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, იდუმალი ჩურჩულით აუწყა:

– ამ დერეფნის ბოლოშია, მეორე სართულზე, კიბიდან მარცხნივ. გამოადგი ფეხი. ახლა ყველანი იქ მივლენ.

ისინი თავაწეულნი, ღირსეულად, მაგრამ მოსეირნე წყვილზე გაცილებით უფრო ჩქარა მიდიოდნენ.

ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა დარბაზის კარი, სტუმრები, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად, დერეფანში გამოეფინებოდნენ, მიხედვ-მოხედვის გარეშე ჯერ ნელა, თითქოს გულგრილად მიდიოდნენ დერეფნის ბოლოსაკენ, კედლის უზარმაზარ სარკეს გაცილებულნი, მათი მდგომარეობის პირებისთვის სრულიად შეუფერებლად ერთბაშად იმჩატებდნენ ნაბიჯს, ხოლო კიბეს მიახლოებულნი, უკვე გარბოდნენ.

ბაგრატის ტაძარი

ნგუენ სიან სონგს ბავშვობის ოცნება აუხდა. რამდენიმე წუთიც და იგი ფეხს დაადგამს ქალაქ საფიჩხიის ბებერ მიწაზე. სისხამი დილაა. თვითმფრინავი ირაოს აკეთებს. სარკმელს მიჭიჭინებული სონგი ხარბად დაჰყურებს მწვანეში ჩაფლულ ქალაქს. სტუმარმა ბევრი რამ იცის საფიჩხიაზე. იცის, რომ იგი სამი ათას ხუთასი წლისაა, იცის, რომ არგონავტების ლაშქრობის ქალაქია, მოსალოდნელი ნეტარებისგან წამით თვალებს ხუჭავს და გონებაში ერთხელ კიდევ ჩამოთვლის საფიჩხიის ღირსშესანიშნაობებს: „გელათი“, „მოწამეთა“, „ბაგრატის ტაძარი“, „ვანის ანტიკური ანსამბლი“, „გეგუთის სასახლის ნანგრევები“, „სათაფლია“... ბევრი მისი თანამემამულე ვერ ეღირსება ასეთ ბედნიერებას: ნგუენ სიან სონგს გაუმართლა, ამ ქვეყნის განსაცვიფრებელი ცივილიზაციის აკვანთან ელის შეხვედრა. მართალია, პროგრამით გათვალისწინებული სამი დღე ცოტაა, მაგრამ სონგი თავს არ დაზოგავს, ღამე არ დაიძინებს, რათა ყველაფერი ნახოს, რაც ამ უძველესი ქალაქის შესახებ გაუგონია და წაუკითხავს.

ტრაპიდან ჩამოდგა თუ არა ფეხი, მისკენ ხელგაშლილი წამოვიდა მთასავით მოსული, შავულვაშა კაცი. ისეთი კეთილი ღიმილით უბრწყინავდა დამხვდურს სახე, რომ ჩია, კაფანდარა სონგმა გაიფიქრა, ალბათ ხელში უნდა ამიყვანოსო. მაგრამ მასპინძელი ერთ მეტრზე შეჩერდა, ჯიბიდან პატარა ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა:

– ნგუენ სიან სონგი ბრძანდებით, ხომ?

სონგმა ჩემოდანი და ნეილონის პარკი ასფალტზე დადო. ხელისგულები შეაერთა და წელში სამჯერ მოიხარა.

– დიახ.

მთაკაცმა ხელი ღონივრად ჩამოართვა და სტუმრის ბარგს დაწვდა.

მალე მოლისფერ „ვოლგაში“ ისხდნენ და საფიჩხიის ქუჩებში მიქროდნენ. „თქვენ ალბათ, შეამჩნიეთ, რომ აეროპორტი ჩვენთან ზედ ქალაქის შუაგულშიაო“, როგორც იქნა მიახვედრა მასპინძელმა დამტვრეულ-დალეწილი ინგლისურით. სონგი მიხვდა მის გასაჭირს და გამოსავალი იპოვა – „რუსულად ბრძანეთ, რუსული ვიციო“. მთაკაცს გულზე მოეშვა და რუსულზე გადავიდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ინგლისურზე ბევრად უკეთესად არც რუსული იცოდა. ყოველ შემთხვევაში სტუმარს გააგებინა: „დიმიტრი მქვიან, შინაურობაში მიტუშას მეძახიანო, სასიამოვნოა თქვენი ჩამოსვლა ჩვენს ქალაქშიო. საფიჩხიას სტუმარი ოდითგან უყვარდაო. მართალია, სამი დღე ძალიან ცოტაა, მაგრამ თქვენი აქ ყოფნის პროგრამა ისე დავგეგმეთ, რომ უკმაყოფილო არ დარჩებით და ძირითადად ყველაფერს გიჩვენებთო. თავი რომ არ მოგაწყინოთ, ყოველდღე სხვადასხვა მასპინძელი გეყოლებათ, ასე გადაწყვიტა ჩვენმა დირექტორმა. ხან ერთი დაწესებულების სტუმარი იქნებით და ხან მეორისაო. ჯერ ერთი, სხვადასხვა ადამიანებთან შეხვედრით ქალაქის ხასიათსაც უკეთ გაეცნობით და მეორეც, მოწყენისთვის დრო აღარ დაგრჩებათო“.

მოკლეხელება, თავსივა მძღოლმა ქუდის შიგნით თმა მოიქექა და ჩაილაპარაკა:

– „ნაძვებში?“

– არა! მეტი არ იცით ბიჭო, თქვენ? – დატუქსა მძღოლი მიტუშამ, – სტუმარ კაცს პირდაპირ რესტორანში უნდა უკრა თავი? შენნაირებია, თავს რომ ჭრიან საფიჩხიას. ჯერ სასტუმროში მივიყვანოთ; დავაბინავოთ, მერე ბაგრატის ტაძარი დავათვალიერებინოთ. ამას დაჭირდება საათ-ნახევარი. ამასობაში „ნაძვებიც“ გაიღება და მერე მივაყენოთ რესტორანს.

მძღოლს არაფერი უთქვამს, მიტუშამ კი სტუმარს ბოდიში მოუხადა. გვაპატიეთ საწვავის შესახებ ვმსჯელობდით, მძღოლმა რუსული არ იცის კარგად და იძულებული ვარ, ქართულად ველაპარაკოო.

– საწვავი ჭირს თქვენთანაც? – წამით მოაბრუნა თავი სონგმა.

– როგორ გეკადრებათ. საწვავი თავზე სასხამად გვაქვს, – წაიტრაბახა მიტუშამ და მაშინვე იგრძნო, რომ ლამაზად ვერ გამოუვიდა, მაგრამ ისე დაგრეხილი რუსულით თქვა ყოველივე ეს, რომ სტუმარს არ გაუგია.

ანკეტა რომ შეავსეს და ბარგი ნომერში აიტანეს, სტუმარმა ხელ-პირი მეყსეულად დაიბანა, ხოლო დასვენებაზე უარი თქვა, მაინცდამაინც არ დავღლილვარ, დასვენებას მერეც მოვასწრებო.

ბაგრატის ტაძრის ეზოში არავინ ჩანდა.

ჩიტები გამაყრუებლად ჟივჟივებდნენ და რიონისპირიდან თბილი, ალერსიანი სიო ჰქროდა.

ივლისის გამჭვირვალე დილა იყო. შორს, ცის კაბადონზე ლურჯ-მწვანე სივრცეში მცურავი გედივით ჩანდა გელათი.

ტაძარს ორჯერ რომ უხმოდ შემოუარეს, მიტუშას შერცხვა, რაღაც ხომ უნდა ვუთხრაო, და უბისწიგნაკმომარჯვებულ სტუმარს აუხსნა:

– ეს არის ბაგრატის ტაძარი. მეათე საუკუნის ძეგლი. ბაგრატის ტაძარი იმიტომ ჰქვია, რომ ბაგრატ მეფემ ააშენა. ბაგრატ... ბაგრატ...

– მეოთხემ, – შეაშველა სონგმა.

– ბაგრატ მეოთხემ. ამჟამად ტაძარი, როგორც ხედავთ, დანგრეულია, მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები.

– მიწისძვრამ დაანგრია თუ შემოსევებმა?

მიტუშა ჩაფიქრდა.

– ერთმაც და მეორემაც, – იპოვა გამოსავალი.

შიგნით რომ შევიდნენ, მიტუშა ჩამონგრეული სვეტის თავზე შემოჯდა და გაოცებისაგან პირდაღებულ სონგს ხელით ანიშნა: – იქ მოსასვენებელი ოთახი იყო, იქით მხარეს სასადილო; სტუმრებს, სადაც ჩვენ ვართ ახლა, ამ დარბაზში იღებდნენ. მოკლედ კარგად ცხოვრობდნენ მეფეები, არაფერი უჭირდათ.

– კი მაგრამ, – სონგი დაბნეული ჩანდა, – ეს ხომ რელიგიური დანიშნულების ტაძარი იყო? საცხოვრებლადაც იყენებდნენ?

– ვინ დაუშლიდათ? – მიტუშა ყურებიანად გაწითლდა და უხერხულობისაგან თავდასაღწევად მორცხვად გაიღიმა, – შენ მითხარი, დაუშლიდა ვინმე? მეფე თუ იტყოდა, აქ მინდა ცხოვრებაო, უარს ეტყოდნენ?

სონგმა უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

– ხომ აღადგინეს ერთხელ ეს ტაძარი? – იკითხა სტუმარმა.

– კი, მეთხუთმეტე საუკუნეში, – მიტუშამ განზე გაიხედა.

– გზამკვლევში კი შეცდომით მეთექვსმეტე საუკუნე წერია, – გაიოცა სტუმარმა.

– წიგნის ამბავი გაქვს? კიდევ კარგად წერებულა. ვინ ჩაგიწერს წიგნში სიმართლეს? შენ მე მკითხე ეგ ამბავი, – მიტუშამ მხარზე მოუთათუნა ხელი ნგუენ სიან სონგს და კიდევ არაფერი მკითხოსო, ეზოში გამოაბიჯა.

სონგი დარწმუნდა, რომ მისი მეგზურიდან მეტს ვერაფერს შეიტყობდა და დაფაცურდა, სამრეკლოზე აფორთხდა, სურათი გადაუღო უპატრონოდ დაყრილ ჩუქურთმებიან ქვებს, სვეტისთავებს უბის წიგნაკში იხატავდა. ჩუქურთმებს პატარა მტკაველს აზომებდა. ხანდახან აღტაცებისგან თავის ენაზე ჩაიღიღინ-ჩაიკრუსუნებდა. მერე გარეთ გამოვარდა, სამრეკლოს ნანგრევებთან გახედა ტაძარს, კარგა ხნის შემდეგ დაღლილი მობრუნდა, მიტუშას წინ დაუდგა, ხელისგულები შეაერთა, წელში ღრმად მოიხარა და მასპინძელს გულთბილი მადლობა გადაუხადა.

მანქანაში რომ სხდებოდნენ, სონგი წამდაუწუმ თავს აბრუნებდა, რათა ბაგრატის ტაძრის ნანგრევების კიდევ ერთხელ დანახვა მოესწრო.

თორმეტ საათზე ისინი უკვე „ნაძვებში“ ისხდნენ.

დღის დარჩენილი ნაწილი რესტორანში გაატარეს. საღამოხანს მათს სუფრას მიტუშას სამი საფიჩხიელი ძმაკაცი შემოემატა და რესტოარნი რომ არ დაკეტილიყო, დილამდე იქეიფებდნენ.

ღამის ორ საათზე, მთვრალი სტუმარი ორ მასპინძელს ხელგადახვეული რომ აჰყავდა კიბეზე, სონგს ეგონა, რომ მასზე ბედნიერი კაცი მთელ დუნიაზე არ მოიძებნებოდა.

გვიან გაეღვიძა. თავი სტკიოდა. პირსახოცით თავწაკრული კარგა ხანს წინ და უკან დააბიჯებდა ოთახში. რასაც კი წააწყდა

ნომერში, ტელევიზორის გარდა, ყველაფერს ძირი გაუსინჯა, ეს სონგის საყვარელი საქმიანობა იყო. აუცილებლად უნდა წაეკითხა, რა ეწერა ნივთს მეორე მხარეზე. მერე კარგა ხანს ცივი შხაპის ქვეშ იდგა და აბაზანიდან რომ გამოვიდა, სავარძელში მშვიდად მჯდომ ჩითის ჭრელპერანგიან კაცს წააწყდა, დაინახა თუ არა სონგი, კაცი ზეწამოიჭრა და მწვანე ტილოს შარვალზე ორივე ხელი ჩამოისვა:

– მაპატიეთ, ვაკაკუნე კარგა ხანს და რომ არ გამომეხმაურეთ, მე ვთქვი, შეუძლოდ ხომ არ არის-მეთქი, წუხელის, ალბათ, ცოტა დალევა მოგიწევდათ, მორიგემ მითხრა, არ გამოსულა, შიგნით არისო. მე და მორიგე ერთად შემოვედით. წყლის ჩხრიალი რომ გავიგონე, აბაზანაში ყოფილა-მეთქი და დავმშვიდდი.

სონგი პირმორღვეული უსმენდა. რა იყო სასაცილო ამ კაცის ნათქვამში, მაგრამ წუხელი იმდენი აცინეს სუფრაზე სტუმარი, რომ მას ეგონა, ამ ქალაქში ყველაფერს იუმორით ამბობენ და ყოველთვის უნდა იცინოდეო.

– კოტე ბუაჩიძე გახლავართ, კვების ტექნოლოგი განათლებით. ამჟამად სკოლაში ვმუშაობ შრომის მასწავლებლად.

სონგმა სიცილი შეწყვიტა. სწრაფად დასერიოზულდა. ხელისგულები ერთმანეთს მიატყუპა და ცოტა მუხლებში ჩაიკეცა კიდეც.

– ნგუენ სიან სონგი.

კოტემ სტუმრის სახელი კარგად გაიგონა, მაგრამ დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. ვერ გაარკვია, სამივე სახელი ერთად დაეძახნა სტუმრისთვის, თუ ერთი რომელიმე. „ნგუენ“ რომ დავუძახო უხერხული გამოსათქმელიაო, „სიანზე“ ვაითუ გაბრაზდეს, ხოლო მარტო „სონგით“ იქნებ არც მოიხედოსო.

– პატივცემულო, ოჯახში რას გეძახიან?

– საად? – სონგი კინაღამ გაიგუდა სიცილით.

– შინაურობაში, რასაკვირველია. ნამეტანი გძრელი სახელი გაქვთ და იქნებ შემცვლელი სახელი გვაჩუქოთ.

სტუმარი სიცილისაგან სულს ვერ ითქვამდა.

– ჩვენთან შინაური სახელი არ არსებობს. გუშინ სონგს მეძახდნენ. თქვენც შეგიძლიათ სონგი დამიძახოთ.

– აგაშენათ ღმერთმა. დიდი მადლობა.

თოჯინების თეატრამდე ფეხით მივიდნენ. იქ ნარინჯისფერი „მოსკვიჩი“ ელოდათ. მანქანაში მძღოლის გარდა ორი კაცი იჯდა. კოტემ გააცნო: ჩემი უახლოესი მეგობრებია. ერთი მძლეოსნობის მწვრთნელია, მეორე „საფვაჭრობაში“ მუშაობსო.

„მოსკვიჩი“ უქიმერიონის აღმართს რომ აუყვა, სონგი მიხვდა, რომ ბაგრატის ტაძრისაკენ მიდიოდნენ, მაგრამ მასპინძლებმა თავისი საქმე ჩემზე უკეთ იციან, ეტყობა ასეთია პროგრამაო, დაასკვნა და ხმა არ ამოუღია.

კვირა დღე იყო. ტაძრის ეზოში, მუხის ჩრდილში, ექსკურსანტებს სუფრა გაეშალათ და დილიდანვე საქმეს შესდგომოდნენ.

კოტე მიდგა-მოდგა, იქნებ ვინმე ექსკურსიამძღოლი მაინც ვიპოვო, ამ უცხო კაცს ორი სიტყვა მაინც უთხრას ძეგლის შესახებო. მაგრამ ვერავის წააწყდა და თვითონ იკისრა ეს ძნელი საქმე. რაიმე სისულელე არ წამოვროშოო, დადგა მემორიალური დაფის წინ და პირწმინდად ჩაიკითხა.

სტუმარი უხალისოდ უსმენდა.

არც აღტაცება გამოუხატავს, შეკითხვა რაა, ერთი შეკითხვაც არ დაუსვამს მასპინძლისთვის.

ეზოში გაიარ-გამოიარა. ერთხელ შემოუარა კიდევ ტაძარს. შიგნითაც შევიდა, მაგრამ მალევე გამობრუნდა და ხელისგულების შეერთებით (რაც, უნდა ვთქვა, ლამაზად გამოსდიოდა), მადლობა გადაუხადა კოტე ბუაჩიძეს.

– ახლა წავიდეთ და წავისაუზმოთ, – შეაპარა მასპინძელმა.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, შემკრთალმა ნგუენ სიან სონგმა იკითხა: – მაპატიეთ, თუ შეიძლება ვიცოდე, საუზმის შემდეგ რის დასათვალიერებლად მივდივართო.

ამ კითხვაზე ოთხივემ (შოფრიანად) გულიანად გაიცინა.

– ვნახოთ, ბატონო, ვნახოთ. თუ დრო დაგვრჩა, სადაც თქვენ გაგეხარდებათ, იქით წავიდეთო.

გამოტეხილად უნდა ვთქვა, თავისუფალი დრო არ დარჩენიათ. სასაუზმოდ შესულნი შუაღამემდე რესტორან „ვენეციაში“ ისხდნენ და ქეიფობდნენ.

კარგი სტუმრით გაბედნიერებულმა მასპინძლებმა სონგი უკანასკნელად რომ გადაკოცნეს, საფიჩხიის ღამეს პირველმა სულწასულმა მამალმა უკვე მიაყივლა.

ალიონზე ქარი ამოვარდა, მაგრამ გათენებულზე ჩადგა და ისეთი ჩუმი, იდუმალი დილა იდგა, რომ სონგს ეგონა, ფანჯარა რომ გამოვაღო, უსათუოდ გავფრინდებიო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ სწორედ ფანჯრის გამოღება ეზარებოდა, ისე იყო ღვინისგან გალახულ-დაჭმუჭვნილი.

„დღეს ბოლოს დღეა. უნდა მოვასწრო ყველაფრის ნახვაო“, ფიქრობდა და წამდაუწუმ საათს დასცქეროდა.

ახალ მასპინძელს შეაგვიანდა, თერთმეტის ნახევარზე მოვიდა.

რომ დააკაკუნეს, სონგი მაშინვე კარს ეცა, მაგრამ იქ არავინ დახვდა. გვერდით ნომერთან თეთრკიტელიანი სახენაყვავილარი, უწარბო კაცი იდგა და მოთმინებით აკაკუნებდა.

– თქვენ მე ხომ არ მეძებთ? – გაუღიმა სონგმა.

– არა, ბატონო, – უწარბომ ზურგი შეაქცია და კაკუნი განაგრძო.

– კი, მე მეძებთ ნამდვილად, – სონგი ხან პროფილში დაუდგა და ხან ანფასში.

– არა, ბატონო. ჩვენ სტუმარი გვყავს უცხოეთიდან. ბიჭო, არ გამიჭირა საქმე? – გაბრაზდა უწარბო და განზე გაიხედა.

– აბა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღეთ და წაიკითხეთ, ნგუენ სიან სონგი ხომ სწერია? მე ვარ, – ტაში შემოჰკრა სტუმარმა.

თერთკიტელიანმა მართლაც ამოიღო ქაღალდი და დამარცვლით ჩაიკითხა:

– „ნგუენ სიან სონგი!“ კაი ერთი, თუ ძმა ხარ. ორმოცდასამშიაო მე რატომ მითხრეს აბა?

– ორმოცდასამში ვარ! – სონგს ესეც ხუმრობა ეგონა და იცინოდა.

– აბა, მე რომელზე ვაკაკუნებდი? – კაცმა ნომერს შეხედა.

– ორმოცდახუთზე.

– აუჰ, გადაგიშენდა მომგონი, გამოშტერება მეტი იქნება?! მაინც როგორ მომივიდა ეს ამბავი მე?!

სონგი იცინოდა.

არ ვიცი, ძალიან მარილიან ხუმრობად მიიჩნია კაცის უნებლიე შეცდომა, თუ ეგონა, თუ არ გავიცინე, ეროვნული ფოლკლორის უპატივცემულობაში ჩამომართმევენო და იმიტომ იცინოდა.

კიბეზე რომ ჩარბოდნენ, მასპინძელმა ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის, ივლიანე მქვიაო, წყალჯომარდობის სადგურის უფროსი გახლავართო. ძალიან გაგვეხარდა თქვენი ჩამოსვლა; საფიჩხიისთვის სტუმარი, ვინც არ უნდა იყოს იგი, უმაღლესი კაციაო.

„ვილისში“ ხუთნი ისხდნენ. ჩემი თანამშრომლებია, შენ რომ გაგეხარდება, ისეთი ბიჭებიაო, ივლიანემ. ჩაიჩოჩ-ჩამოიჩოჩეს და როგორც იქნა, ჩაატიეს მანქანაში ივლიანე და უცხო სტუმარი.

– ჯერ კულტურული პროგრამა და შემდეგ საუზმე ხომ? – მეგობრულად დაჰკრა სონგს მხარზე ხელი ივლიანემ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – შეჰღიმა სონგმა თავისი ფართო, წინ წამოსული კბილებით.

როცა „ვილისმა“ უქიმერიონის აღმართი ღმუილით აათავა და ბაგრატის ტაძრის რკინის კართან შეჩერდა, სონგს თვალთ დაუბნელდა.

მწუხარე სახით გადმოვიდა მანქანიდან, ლასლასით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, რომ არ წაქცეულიყო, მოაჯირს მიეყრდნო და ბაგრატის ტაძრის თითქმის ჩაქცეულ გუმბათს შეხედა.

წყალჯომარდობის სადგურის ხუთი თანამშრომელი სწორ ხაზზე გაეწყო, ხოლო ივლიანემ სტუმარს ხელკავი გამოსდო და ტაძრის ეზოში თითქმის ძალით შეათრია.

სონგი ჯიბეში ხელჩაწყობილი იდგა და თავის თეთრ ფეხსაცმელებს დასცქეროდა.

– არ აინტერესებს არაფერი, ამ ოჯახქორს, – კარგა ხნის შემდეგ გასძახა ივლიანემ ბიჭებს.

– ჩვენ მოგვწონს, ჩვენი რომაა იმიტომ ივლიანე, თორემ რა აქვს ახლა გადასარევი და დასაფეთებელი ამ დანგრეულ კედლებს, – თქვა იმ ხუთიდან ერთ-ერთმა.

– ზრდილობისათვის მაინც გავიხედ-გამოვიხედავ. სტუმარი კაცი ვარ. მეტი პატივი არ უნდა სცე მასპინძელს?! – მაღლა იხედებოდა ივლიანე, აქაოდა სხვას ვამბობო.

– აუხსენი, ივლიანე, უთხარი სად ვართ, რა ტაძარია.

– მოდი შენ აუხსენი, თუ კაცი ხარ, – დაეღრიჯა ვიღაცას ივლიანე.

– მეც პირველად ვარ, რა ავუხსნა მე! შენ თუ გგონია აქ დავდივარ ყოველდღე, – თქვა იმავე ხმამ. და ხუთივემ გულიანად გაიცინა.

– ეგერ სწერია და წაიკითხოს. ხომ თქვა რუსული ვიციო, – დაასკვნა ვიღაცამ.

ამ ხნის განმავლობაში სონგი მოწყენილი იდგა, სეტყვაში მოყოლილი ვაზივით მოშვებული, მოჩვარული, უღიმღამო.

ივლიანემ ხელი მოჰკიდა და, სამარეში ჩაშვების წინ კუბოს რომ გამოარიდებენ ჭირისუფალს, ისე გამოარიდა სტუმარი ბაგრატის ტაძარს.

გოგისვანიძეების დუქანში მეშვიდე სადღეგრძელო „ექსტრად“ რომ დალიეს და ივლიანემ არღნის აკომპანიმენტით თეფშზე იცეკვა, მაშინ გახსნა წარბი სტუმარმა და გამხიარულდა. თვითმფრინავზე კინაღამ დააგვიანდათ.

...წყალჯომარდობის სადგურის გულაჩუყებული თანამშრომლები ტრაპზე დამსხდარნი გამოიყვანეს ბეტონის მინდვრიდან.

„ტუ-104“ მიწას რომ მოწყდა და ბაგრატის ტაძარს გადაუფრინა, ილუმინატორს შუბლმიდებულ ნგუენ სიან სონგს შეაჟრჟოლა და განზე გაიხედა.

ხიტია

შარშან პარიზში გახლდით ტურისტად. ოცდახუთი კაცი იყო ჩვენს ჯგუფში და რომ მკითხოთ ახლა, ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათო, ხიტია დაშნიანს დავასახელებ, სხვებისგან დიდად გამორჩეული ვინმე არ გეგონოთ. ახალ პარკში, შესასვლელთან, მარჯვნივ რომ ტირია, იქ მუშაობს. მომენატრება ხანდახან და მივალ. შემხედავს თუ არა, აუტყდება სიცილი. მე ჩემსას ვიცინი, ის თავისას. ასე სიცილ-სიცილით ჩავეხვევით ერთმანეთს. „შეისვენეთ პატარა, ხომ ხედავთ, კაცს ველაპარაკებიო“, შეუბღვერს თოფმომარჯვებულ ბიჭებს და ისევ გამიცინებს. „არ წავიდეთ, ხიტია, პარიზში?!“ – ვეკითხები და ვცდილობ ტუჩებს თავი მოვუყარო. „რა მინდა პარიზში? პარიზში არ ვარ დღე და ღამე? პარიზი, თორემ ტყვილად გაჭმევენ მოხრაკულს!“ მუდამ ერთნაირ პასუხს მაძლევს და მეჩხერ ყვითელ კბილებს დასათვლელად მიწვდის. „რატომ? არ მოგეწონა პარიზი, ხიტია?“ ვცდილობ დავსერიოზულდე. „რა ჭირს ჩემი დასაწუნი, მაგრამ რომ ირევიან პარიზი, პარიზიო, იმნაირიც არაფერია, კაცმა რომ თქვას, რავა იტყვი შენ?“ მე პასუხად ვიცინი, ხიტიას ჩემს სიცილზე ეცინება და ავტობუსის გაჩერებისკენ რომ მომაცილებს, უეცრად შედგება და შიშით მკითხავს: – „როდის გამოივლი ახლა? არ დაიკარგო, თუ ძმა ხარ“. „მოვალ, ხიტია, მოვალ, აბა ხეირი ნახე“, – ხელს ვართმევ. „კარგად მეყოლე კარგად“, გაჩერებასთან დგას და იცინის.

პარიზში წასვლამდე არ ვიცნობდი. სიმართლე გითხრათ, მატარებელში რომ შევგროვდით და ჩვენ-ჩვენს კუპეში გავნაწილდით, მაინცდამაინც თვალში არ მომივიდა. არც ჩაცმულობა მომეწონა მისი და არც სიტყვა-პასუხი. მაღალ, გამხდარ ხიტიას ვიწრო შარვალი და ბალახისფერი მოკლე პიჯაკი ეცვა. პიჯაკის შიგნით შავი სატინის ახალუხი უჩანდა და თავზე კრაველის ბოხოხი ეხურა. ფეხზე ყვითელი ლაკის დაჭრილი ტუფლები რომ არ სცმოდა, ჩვენი საუკუნის ათიანი წლების

დუქნის აბრიდან ჩამოსული გეგონებოდათ. ჩემს კუპეში მოხვდა. „პარიზში მოდიხართ ხომ თქვენცო“, არც გამარჯობა, არც ამბავი-ხაბარი, გაგიგონია?! შეაგდო მაღლა ოთხკუთხივ რკინებიანი, პატარა ჩემოდანი და გავიდა. შუაღამისას მობრუნდა მთვრალი. „ჩვენ ბოდიშიო“, გვანუგეშა, შეხტა მაღლა თავის ნარზე და მოსკოვში ჩასვლამდე არც გადმობრუნებულა. ღმერთო შეგცოდე და გავიფიქრე, ვინ შეარჩია საპარიზოდ, რა უნდა ამას პარიზში. თავის მოჭრის მეტს რა ხეირს დაგვაყრის ამნაირი „პერსონა“ საზღვარგარეთ-მეთქი; მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, ხიტიას გარეშე მოსაწყენი იქნებოდა ჩვენი მოგზაურობა; ხიტიამ თავისებური შნო და ელფერი მისცა ჩვენს ჯგუფს და ახლა პარიზული შთაბეჭდილებები რომ ნელ-ნელა იშლება ჩემი მეხსიერებიდან, ხიტიას ვერა და ვერ ველევი.

ხომ გითხარით, ჩემი საქმეების შემყურე, კაცი ხანდახან მოვიცლი, მივალ ტირში, ხიტიას ხმის გასაგონად და მისი ფართოდ მოღებული პირის დასანახავად. ხიტია ხმით კი არ იცინის, პირს დააღებს მარტო და თვალები ისეთი ბედნიერებით უბრწყინავს, რომ მარტო ხიტიას გაცინებული სახის ფოტოსურათი რომ განახათ, თქვენ თვითონვე იტყვით – კაცი, რომელსაც ასეთი სიცილი შეუძლია, არ შეიძლება ცუდი კაცი იყოსო. მე მგონი, ხიტიას უხარია შენ რომ იცინი და იმიტომ იცინის, თორემ არა მგონია სიცილის საგანი ასე ხშირად ეძლეოდეს. ისე იუმორის დიდი გრძნობა აქვს, როგორც ჭომელთა უმეტესობას.

მოსკოვს რომ ვუახლოვდებოდით, ჩემოდანი გახსნა, ერთი ბოთლი კონიაკი დადგა მაგიდაზე და სამი ცალი ხურმის ჩირი, კონიაკით თხის რქის ყანწი გააპიპინა და მომაწოდა. არ ვსვამმეთქი. ბევრი ხვეწნითაც რომ ვერაფერს მიაღწია და ყანწი ვერ შემომაჩეჩა ხელში, უეცრად მოიწყინა და მკითხა: „აბა, ფხიზელს რა გინდა მოსკოვშიო“. ყანწი თვითონ გადაჰკრა, მიყურა, მიყურა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. ვატყობ, სიცილს ყბებით იკავებს. „რა მოხდა, არ შეიძლება კაცი ავად იყოს? რა არის აქ დასაცინი-მეთქი“, ავიმრიზე. „არა ბატონო, ერთი ანეკდოტი გამახსენდა და იმაზე ვიცინიო“. „რა ანეკდოტი-მეთქი“, „რა და კაცმა რომ ბაქოს ბილეთი აიღო და ტყიბულის მატარებელში ჩაჯდა, იცით ესო?“ „არა-მეთქი“.

„ერთი დაბნეული კაცი იყო. ბაქოში მიდიოდა, ბილეთი აიღო, მაგრამ მატარებელი შეეშალა. ზის ტყიბულის მატარებელში და არის არხეინად. შუაღამისას თანამგზავრს ჰკითხა. თქვენ შიგ ბაქში მიბრძანდებითო? არა, ტყიბულშიო, რომ უპასუხეს, დაბნეულმა კაცმა კეფა მოიფხანა – რა წინ წავიდა ტექნიკა, ერთ კუპეში ვზივართ და მე ბაქოში მივდივარ, თქვენ კი ტყიბულშიო. ასე ხომ არაა, თუ ძმა ხარ, ჩემი საქმეც. სხვადასხვა მხარეს ხომ არ მივდივართ მე და შენო“, მითხრა და ჯერ მე მაცალა სიცილი, მერე გაებადრა სახე და კარგა ხანს მიცქეროდა თავისი უხმო, სანიღაბე სიცილით.

თავისებური რომ გამოვა ადამიანისშვილი. პარიზი ყველას მოგეხსენებათ და მე რომ ახლა თქვენთან პარიზის ქებას მოვყვე, შეურაცხყოფად უნდა მიიღოთ. ღამეები არ გვეძინა. ყველას უნდოდა იმაზე მეტი ენახა და გაეგო, ვიდრე ჩვენი ტურისტული პროგრამით იყო გათვალისწინებული. შუაღამემდე დავდიოდით ქუჩებში. დილამდე ვუყვებოდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. პარიზი, ხომ იცით, მაინც პარიზია. ერთადერთი კაცი იყო მშვიდად – ხიტია. თავი ისე ეჭირა, თითქოს პარიზში კი არა, ქუთაისიდან სამტრედიაში იყო ჩასული: არაფერი უკვირდა, არაფერი აღელვებდა. ავტობუსში ხიტიას უკან ვიჯექი. გვერდით, აღარ მახსოვს, ვინ ეჯდა, ამ შუა პარიზში ქუთაისის ამბებს უყვება. გვერდით მჯდომიც ცალი ყურით უსმენს, რა ჰქნას.

– რა იყო, რას ეფეთები, მე ვუთხარი. მთვრალი კაცი არ გინახია? შენ რომ იყო მის ადგილზე და გალახვა მოგინდომოს ვინმემ, რავარია, მე ვუთხარი. გაუშვი თავის გზაზე. ხვალ გნახავს, ბოდიშს მოგიხდის. მთვრალი კაცი – კაი კაცი არ გაგიგონია-თქვა? ვიცნობდი, ბალახვნელი ბიჭი იყო. რომც არ მცნობოდა, რა უნდოდა მის მოძებნას. ბალახვანი ერცახეა, – გატაცებით ჰყვება ხიტია, მაგრამ მხარზე ხელს დავკრავ და გავაწყვეტინებ:

– ხიტია! ლუვრი, გაიხედე გვერდზე!

ხიტია შემობრუნდება. ლუვრს გახედავს.

– აუჰჰ... მარტო აშენება არ გინდოდა? – იტყვის ხიტია და გვერდით მჯდომს მიუტრიალდება, – ბალახვანში რა უნდა

კაცის მოძებნას. თუ პატარა გამოსული ბიჭია, ლითოფონის კლუბში მოვა საღამოს ყველა. იქ თუ არ შეგხვდა, სახინკლე რომაა სადგურთან, იქ მაინც შემოივლის. სად წავა, აბა, რა გზა აქვს მეტი. გაუშვი, დაანებე თავი, რას ეპორწიალები, ძლივს დგას ფეხზე-მეთქი. შენი ქიჩავი უნდა მაგას-მეთქი? ეგიც კაი უბედური ყავს, ეს ჩემი ძმაკაცი, გამჩენს.

– ხიტია! – გული არ მითმენს, არ გავაწყვეტინო, – შეხედე, ხიტია, ეიფელის კოშკი!

– აუჰჰ... მარტო აშენება არ გინდოდა?! – იტყვის ხიტია და ისევ თავისას განაგრძობს, – ტანად დიდი კი არაა, მაგრამ გული აქვს იმნაირი, რომ ლომს შეუყოფს ღრანჭში თავს; ერთი სალობიე ხალხი გამოყარა შარშან, ბარბალობა დღეს, წითელ ხიდთან რომ სალობიეა, იქედან. ცოდვას ვერ ვიტყვი, მთლად ამისი ბრალიც არ იყო. მაგიდების მიდგმა რომ იციან ჩამოსულმა ქაჯებმა, მიუდგიათ ისე მაგიდები და ერთი ათი-თხუთმეტი ბიჭი მიჯდომია, ჩვენ სამი ვიყავით. ფეხბურთზე მივდიოდით და დრო არ გვქონდა, ლობიოზე შევედით ერთწამს. იმგენს სამი მაგიდა ჰყოფნიდათ. ორი მაგიდა ცარიელი აქვთ. ტყვილად აქვთ დაკავებული. ბიჭებო, თუ არ გეწყინებათ, ამ ერთ მაგიდას ავიღებო, წესიერად სთხოვა. კი მარა, ჩვენ ვერ გვიყურებ აქანაო? იმან დაიძახა, სუფრის თავში ერთი მოზვერა ბიჭი იჯდა. მე მგონია ზედმეტია ეს მაგიდაო. ზრდილობიანად უთხრა. ზედმეტია თუ რაღაცაა, ჩვენ ვიცით მაგი და შეაყოლე ახლა, სანამ მთელი გაქვს ცხვირიო – იმან, იმ უკისრომ, ხვადაგი რომ გამოვა კაცი. ზრდილობიანად გეკითხება ადამიანი, ზრდილობიანად გაეცი შენც პასუხი.

– ნოტრდამი, ხიტია! – კიდევ ერთხელ ხვდება ჩემი ხელი მხარზე.

– აუჰჰ! – მოწყენით გახედა ხიტიამ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, – ჯერ მარტო აშენება არ გინდოდა? – და მერე ისევ სალობიეში მომხდარ ამბავს განაგრძობს.

ვერ იქნა, ხუთი წუთითაც ვერ მოვაშორეთ ხიტია ჭომას, ვერ გავაოცეთ, ვერ გადმოვრთეთ სხვა ცხოვრებაში.

რა დასამალია და ვინც პარიზში მოხვდება, ყველას სურს რაიმე პარიზული იყიდოს, ჩამოუტანოს სუვენირად რამე თავის

ახლობელს. ჩვენი ჯგუფიც არ იყო გამონაკლისი. თავისუფალ საათებში მაღაზიებს დავედებოდით. ხიტიასთვის ქუდი რომ შეგეგდო, მაღაზიაში არ შევიდოდა. კარამდე მიგვაცილებდა და გარეთ გვიცდიდა. მერე ჩვენს ნავაჭრს ათვალიერებდა და კვდებოდა სიცილით: – რა იყიდეთ ახლა ვითომ, რა ტუფლია, ან რა შარვალია ამისთანა, ქუთაისში რომ ვერ იშოვი? ესაა? ამის გულისთვის წამოხვედი პარიზში? მეტი არა მაქვს საქმე, ლუდს მოვიკლებ და პარიზულ ბინტის პერანგს ვიყიდი. ლუდი მართლა არაა ამნაირი ჩვენთან და ჭინჭებს, რანაირსაც გინდა, იმნაირს იყიდი კულაშში. ჭინჭი ვნახე დამწვარი, ჭინჭს ელაპარაკა ტიფა.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ის საკმაოდ სოლიდური თანხა, ტურისტს რომ უხურდავებენ, ხიტია დაშნიანმა პირწმინდად ლუდში დახარჯა.

ერთხელ საპარიკმახეროში შევიდა. ჩვენს სასტუმროს ქვემოთ საპარიკმახერო ჰქონდა. შევალ აბა, ერთი რანაირად პარსავენ პარიზში კაცსო. ველოდებით ავტობუსში ყველანი. ხიტია არ ჩანს. ბოლოს გამოვიდა და ჯგუფის ხელმძღვანელს სთხოვა: თუ შეიძლება დავრჩები, რაღაც ვერ ვგრძნობ თავს კარგადო, – მონმარტრზე მივდივართ, მხატვრების ქუჩაზე, მერე აღარ გექნებათ იქ წასვლის დროო, გააფრთხილა ხელმძღვანელმა, რა ვქნა ახლა, აქამდე გამიძლია უმონმარტროდ და აწიც იოლად გავალო, – თავი ჩაჰკიდა ხიტიამ და სასტუმროში შეტრიალდა. საღამოს რომ დავბრუნდით, თავის ნომერში არ დაგვხვდა, – ოთახში არც კი შემოსულა, მთელი დღეა პარიკმახერს ჭადრაკს ეთამაშებაო; იცინოდა სართულის მორიგე. ძლივს ავაგლიჯეთ ჭადრაკის დაფას, სავახშმოდ წამოსვლაც არ სურდა.

იმ საღამოს, ვახშმის შემდეგ ერთმა პარიზელმა ქართველმა რესტორან „ოქროს საწმისში“ დამპატიჟა. არ უთქვამს მეგობრებიც წამოიყვანეო და ბუნებრივია, ვერც მე შევკადრებდი, თორემ ხიტიას წაყვანა მართლა გულით მინდოდა. „ოქროს საწმისი“ პატარა ქართული რესტორანია პარიზში – თათარხან ანთაძის და მისი ძმის კუთვნილება. ვერ დავმალავ, კარგი პურმარილი გაგვიწყვეს. მწნილი, ლობიო და შავი ალადასტურიც არ აკლდა სუფრას. ასე, ერთი საათის დამჯდარი ვართ და

სიმღერა მოგვესმა. კარგი, ტკბილი იმერული მრავალჟამიერი. ხიტიას ხმაა, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებ. ხიტიას აქ რა უნდა. „კიდევ კარგი, სიმღერა რომ ასე კარგად შემოგინახავთ-მეთქი, აქაურ ქართველებს“, – ჩემს მასპინძელს ვეუბნები. „კიდევ ერთი სტუმარი გვყავს და თუ წამობრძანდებით, გაგაცნობთო“ გამიყვანეს მეორე ოთახში. ვხედავ ათკაციანი სუფრაა გაშლილი და აგერ არაა ხიტია! ჩამჯდარა პარიზელ ქართველებში, გადაუდვია ფეხი-ფეხზე და მღერის, მაგრამ რას მღერის. – „რა გინდა შენ აქ ხიტია-მეთქი“. დააღო პირი მისებურად. „შენ ვერ გაგიტყდი, თორემ ამ ხალხმა ჯერ კიდევ გუშინ დამპატიჟაო. ხიტიას საქეიფო ადგილი შეეშლება პარიზში? როგორ ფიქრობ შენო“. ერთი სიტყვით, მივადგით მაგიდები და შუაღამემდე კარგა მოვულხინეთ.

პარიზიდან რომ ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ჩემ გვერდით იჯდა. – როგორ მოგეწონა, ხიტია, პარიზი? – ვკითხე. ჯერ უპასუხოდ დატოვა ჩემი შეკითხვა, მერე სხვა რაღაცაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მოაყოლა: – ისე, ქამი ხალხი აქანაცაა. ცხრა ხელი მოვუგე იმ პარიკმახერს, სამი ნიჩია გამიკეთა და ორი მომიგო მარტო. პარიზელი უძახე შენ.

სიცილისაგან ყბები მეტკინა. ხიტია მიყურებდა და უკვირდა, რა იყო სასაცილო იმაში, რომ კაცი მონმარტრზე არ წამოვდა, რათა პარიზელი პარიკმახერისთვის ჭადრაკი მოეგო.

მართალია, ხიტია სამოგზაუროდ არ არის დაბადებული, მაგრამ რაცაა, ურიგო ყმაწვილი არ გახლავთ. ხომ გითხარით, იმ ოცდაოთხი კაციდან (ჩემიანად ვიყავით ოცდახუთი) ყველაზე მეტად ხიტიამ დამამახსოვრა თავი; დამამახსოვრა და შემაყვარა კიდეც. მომენატრება ხანდახან და მივაკითხავ ტირში. შევყურებთ და შევცინით ერთმანეთს. მერე ავტობუსის გაჩერებამდე გამომაცილებს და სერიოზულად მკითხავს: – „როდის გამოივლი ახლა, არ დაიკარგო, თუ ძმა ხარ“.

ასეთია ხიტია.

გალიაში რომ გაგზარდე...

ეზეკიმ კარგა ხანს უყურა ქაღალდებში თავჩარგულ დირექტორს, მერე კედელზე გაკრული ლოზუნგები ათვალიერა და ესეც რომ მოსწყინდა, ყრუდ ჩაახველა.

სავლე ჟორჟოლიანმა თავი ასწია, ერთხანს უაზროდ შესცქეროდა მოსულს, ახალი გაზეთები მიუჩოჩა და ქაღალდებს დაუბრუნდა.

– დამიძახე? – სიჩუმე სტუმარმა დაარღვია.

– იჯექი ერთ წუთს. ამას ჩავამთავრებ, საქმე მაქვს შენთან, – სავლეს თავი არ აუწევია.

ეზეკი შესცქეროდა ვეებერთელა მაგიდასთან მიყუნცულ კაცს, რომელსაც ამოწეულ მუხლზე ორივე ხელი შემოეხვია და ხანდახან თითქოს მხოლოდ იმისთვის წამოიქსუტუნებდა, ქანდაკება რომ არ ჰგონებოდათ.

ასეთი ახსოვს სტუდენტობაშიც. ტანმორჩილი, კაფანდარა, წაკულუმბურებული ცხვირ-პირით. ვეებერთელა სათვალე მაშინაც წამდაუწუმ უვარდებოდა, ქოჩორი შეთხელებია მხოლოდ, სავლეს განთქმული წითელი ქოჩორი, მეხამრიდივით სიმაღლეზე რომ იდგა ყოველთვის და სისხლგამშრალი პატრონი ვერც მარჯვნივ გადააწვენდა და ვერც მარცხნივ, მომტყდარა, მოთვინიერებულა, მორბილებულა „რიჟა სავლეს“ ქოჩორი. ცოტა არ იყოს, შეშავებულა კიდეც სიბერისკენ.

მასპინძელმა კითხვა დაამთავრა, ხელები ნიკაპქვეშ ამოიდო და ეზეკის მიაჩერდა, მოსულიც თვალებში შესცქეროდა და ახლა მინისაგან გადიდებული, წაქისფერი თვალების მეტს ვერაფერს ხედავდა.

– ეზეკი, რა ამბავია შენს თავს? – ეუცხოვა ეს ხმა სტუმარს, სავლე თითქოსდა სხვისი ხმით ესიტყვებოდა.

– არ ვიცი? – კითხვა შეუბრუნა ეზეკიმ, თუმცა, როგორ არ იცოდა, მშვენივრად იცოდა, რისთვის უხმო დირექტორმა.

– ეზეკი, ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ. – სავლემ მაგიდას შემოუარა და წინ დაუჯდა.

– კი, ბატონო.

– არ გინდა, არ გჭირდება ეს ამბავი, ეზეკი, შენ, არ არის ახლა იმის დრო.

– რისი დრო? – ეზეკიმ გაიფიქრა. მთლად ხომ არ გავიაბდლე თავიო.

– ვილაპარაკოთ გულახდილად, თუ ძმა ხარ. მიამიტობის თამაში მინდა ახლა მეე?

– პირდაპირ მითხარი, რაშია საქმე და მეც პირდაპირ გაგცემ პასუხს.

– საამქროს კრებაზე გამოსულხარ, – პაუზის შემდეგ ამოღერღა სავლემ.

– გამოვედი.

– მერე? – სავლემ სიგარეტს თავი მოუსრისა და ასანთი გაატკაცუნა.

– რა მერე?

– სწორად მოიქეცი?

ეზეკის გაეცინა.

– ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, სავლე, მე და, პირველად ვთქვი სიმართლე.

– როგორ ამბობ მაგას, არ გრცხვენია მაინც? აბა, დაფიქრდი. ორმოცდაათი წლის კაცი აქამდე სიცრუით ვცხოვრობდიო, ეს გინდოდა გეთქვა? მერე არ იმასხარავებ შენს თავს ამით, წყალში არ ყრი მთელს შენს ნამოქმედარს? არის ახლა ამის საჭიროება?

– სავლე, სწორად გამიგე, თუ ძმა ხარ, მე ვიღაცას კი არ ვბაძავ, რასაც ჩემი სინდისი მკარნახობს იმას ვაკეთებ.

– თავი დავანებოთ იმას, რომ მართალი არა ხარ. როგორ ფიქრობ, დაგვიანებული არ არის? ახლა რომ აკვინტილდი, შენ არ იყავი, მთელი ცხოვრება ამას, ამას და ამას ტაშს რომ უკრავდიო, არ გეტყვიან? ახლა რა ბზიკმა გიკბინაო, არ გეტყვიან? მთელ შენს ცხოვრებას არ დაგიდებენ მაგალითად?

– ვინ მეტყვის?

– ვისაც ახლა ვითომ ექომაგები, ვისთვისაც ახლა გმირობანას თამაშობ.

– მე არაფერს არ ვთამაშობ, კიდევ გიმეორებ, სავლე ჩემო. მეტი ველარ გავუძელი, ზოგი შეიძლება ისე მოკვდეს, ერთხელაც არ წამოსცდეს სიმართლე.

სავლემ იგრძნო, რომ იმ „ზოგიდან“ დირექტორამდე ერთი ნაბიჯი იყო და ხმას დაუყვავა.

– ჩემზე სულ აღარ ფიქრობ?

– შენ რა გიჭირს?

– არ იცი ვითომ. შენ ერთი უფროსი გყავარ, ბიჭო, მე, – შენი კურსის ამხანაგი – და მე ათასი უფროსი მყავს.

– ნუ მამადლი, თუ ძმა ხარ. შენ თვითონ რომ არ გდომებოდა დირექტორობა, კალთას არავინ დაგახევდა, ნუ გეშინია.

– მაგას არ გეუბნები. ვინც შენ საამქროს კრებაზე ტაშს გიკრავდა, სწორედ იმან დაგასმინა ჩემთან და ის წაიღებს ამბავს ზევითაც.

– ატაროს და იყოს. მე ჩემი სიმართლე მაქვს. ამ სიმართლეს გულში შენც ეთანხმები და ზევითაც ბევრი მიჭერს მხარს.

– მით უმეტეს, ეზეკი, თუ თვითონვე იცი, ახალს რომ არაფერს ამბობ და ჩვენც მაგ აზრის ვართ, რატომ იგდებ თავს საფრთხეში და რატომ გვაგდებ უხერხულ დღეში?

– რა მოგივიდათ, რაშია საქმე? იქცევა ქვეყანა? რამ შეგაშინათ ასე. როდის იყო ეზეკი ბარდაველიძის სიტყვა ასე გაშინებდათ? ვიტყვი ხვალ ჩემს სიტყვას. მერე გამოვლენ და გამაკრიტიკებენ. შეაჯამებ შენ კრებას, იტყვი, ცდება, ამხანაგებო, ეზეკი ბარდაველიძეო. დაიწერება ოქმი და გათავდა. შეიძლება უკეთესიც იყოს. ამხელა კრებაზე ერთს განსხვავებული აზრი ჰქონიაო, იტყვიან. სირცხვილია, სავლე, ამდენი წლის განმავლობაში ყველა ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთნაირად მოგვწონდეს, ერთნაირად გვიხაროდეს.

– რატომ გინდა წამოგესიოს ჩემიანად ეს ამდენი კაცი და არ ხარ მართალიო, გიძახონ?!

ეზეკიმ გაზეთი გაშალა, სათაურებს თვალით გადაურბინა და ოთხად გაკეცა.

– შენ ჩემი დარდი კი არ გაწუხებს, იმის გეშინია, რომ მართალი ვარ.

– დავუშვათ, ასეა.

– არც იმის ჯავრი გკლავს, რომ საყვედურს გეტყვიან, საამქროს უფროსი წინამასწარა გყოლიაო.

– ჩემს თავს არ დავეძებ. აზრი რომ ჰქონდეს სასწორზე შენ შედგომას, პირველი მე გამოგყვებოდი.

– არ გინდა ახლა ჩემთან თხა თხაზე ნაკლების ქარაგმა. შენ ვერ გამომყვებოდი.

– რატომ გგონია, შენ იფიქრე პირველად იმაზე, რაც საამქროს კრებაზე გითქვამს?!

– სულაც არა მგონია, შენ მაღლა ხარ და ჩემზე უკეთ ხედავ, რაც ხდება მაგრამ... ხომ გაგიგონია, „ქოფაკმა ძაღლმაც კაი ძებნა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჯავრებაო“.

– მაგით რა გინდა თქვა?

– შენ შენს სკამს გაუფრთხილდები.

– ეშმაკს წაუღია სკამი. მე შენ გიფრთხილდები ეზეკი, და... – სავლემ ღრმად ჩაისუნთქა, – ჩემ თავსაც.

– ჩემი გაფრთხილებისთვის დიდი მადლობა. ნუ გეშინია, ბოლოს და ბოლოს მომხსნი და ეგ იქნება.

– შენს ცოლ-შვილს რა პასუხი გავცე?

– დღეს მშიერი არავინ მოკვდება. გულის გასივებით კი ბევრი კვდება, იცოდე.

სავლე წამოდგა, ფანჯარასთან ზურგშექცევით დადგა, მერე ნერვიულად დაუბრუნდა თავის დირექტორულ სკამს და თქვა:

– ეზეკი, ხვალ არ გამოხვალ შენ კრებაზე.

– მაგის პირობას ვერ მოგცემ. – პასუხი არ დააყოვნა საამქროს უფროსმა.

– ეზეკი, შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო.

– სწორედ მაგ სიფრთხილემ და შიშმა დაგვამონავა და დაგვაცვედანა ჩვენ.

– დაფიქრდი, ეზეკი, ცეცხლს ეთამაშები.

– მე საკმაოდ ვიფიქრე, მეტი აღარ შემიძლია. ხომ შეიძლება, მეტი აღარ შემეძლოს?!

– გითხრა, რამ შეგასხა ფრთები და რამ წაგათამამა?

– აბა? – ეზეკიმ თითები თითებში გაუყარა.

– ჩემმა დირექტორობამ. იცი, რომ მიყვარხარ და უკანასკნელ წუთამდე დაგიცავ.

– პირიქით, შენმა დირექტორობამ დიდხანს მაგუბებინა პირში წყალი.

– იცი, რისი იმედი გაქვს?

– რისი.

– შენ გგონია, იშხუვლებს მთელი კრება და ეზეკი მართალია! მართალიაო! ხელში აგიტაცებს. შენც არ მომიკვდე. ტაშს არავინ დაგიკრავს, ხალხი ისეა დამფრთხალი, რომ შენს მხარდასაჭერად არავინ გამოვა.

– ვიცი.

– მარტო დარჩები, იცოდე.

– შეიძლება დღეს მარტო დავრჩე, მაგრამ თავის გულში ყველას ეცოდინება, მართალი რომ ვიყავი და ამ ეტაპზე ესეც საკმარისია.

– ეზეკი, – სავლე უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა.

– გისმენ.

– შენთვის ხომ არაფერი მითხოვია. გაიხსენე აბა, ამ ოცი წლის განმავლობაში კარგის მეტი რამე გამიკეთებია?

– ??

– ნუ გამოხვალ ხვალ კრებაზე, სულ ნუ მოხვალ. ვითომ არ იცოდი. ვითომ ეს კრება არც ყოფილა.

– ჩემი თავი შემძულდება, ასე რომ მოვიქცე და დრო რომ გავა, შენც შეგზიზღდები.

– დამიჯერე, ეზეკი, არაა ვაჟკაცობა, რასაც შენ აკეთებ.

– მერე ვინ გითხრა, რომ ვაჟკაცობაზე ვდებ თავს? სავლე, რატომ არ გინდა გაიგო. დავიღალე, სხვანაირად აღარ შემიძლია.

– ახლა თუ ჯოხი ჩემზე გადატყდება, არც შენ დაგისვამენ ხვალ თავზე ხელს. დაფიქრდი კარგად და თითზე საკბენად არ გაიხადო საქმე.

ეზეკი წამოდგა, სკამი მაგიდისკენ შესწია და სავლეს დაღლილი ღიმილით გაუღიმა.

– ბაბუაჩემი იტყოდა: ვირს რომ საპალნე მოუნდება, წისქვილში შეიხედავსო.

სავლემ ხელკავი გამოსდო და კართან ერთხელ კიდევ შეაჩერა.

– მქონდეს შენი იმედი?

– ყველაფერში.

– სიტყვა სიტყვაა, არ გამოხვალ ხვალ კრებაზე.

ეზეკის შეეცოდა ეს კაცი. საამქროს უფროსს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

– არ ვიცი, სავლე, ახლა ვერაფერს გეტყვი. ყოველ შეთხვევაში, მე შენთვის სიტყვა არ მომიცია. მე ჩემი გზა მაქვს და ნუ გადამიდგები წინ, თუ ძმა ხარ.

ეზეკი რომ გავიდა, დირექტორი დიდხანს იდგა კართან. მერე ნელა, კატის ნაბიჯით გაიარა თავისი კაბინეტი და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

კრება დასასრულს უახლოვდება.

ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდად მიდის.

წინასწარ გაფრთხილებული მოკამათენი სწორედ ისე გამოდიან, როგორც უნდა გამოდიოდნენ. ცალკეული უბნების შრომით მიღწევებზე ლაპარაკობენ, ხაზს უსვამენ თავიანთ წვლილს საერთო-სახალხო აღმავლობაში და ბოლოს თვითკრიტიკის წესით, ორიოდე უმნიშვნელო შენიშვნასაც მოაყოლებენ.

კრებამ კარგა ხანია ინტერესი დაკარგა „კამათისადმი“. ორ-ორად და სამ-სამად თავთავიანთ საქმეზე ლაპარაკობენ. კლუბში მილიონი ფუტკრის ზუზუნი ისმის.

ერთადერთი კაცია დარბაზში, რომელსაც მთელი კრების მანძილზე კისერი არ გაუტოკებია. თავაღებული ზის მეოთხე რიგში (მარჯვნიდან მეშვიდე) და ყურადღებით უსმენს გამომსვლელთ. ეს კაცი ეზეკი გახლავთ.

დირექტორი ხანდახან შიშით გაიხედავს მისკენ, მაგრამ საამქროს უფროსის გაქვავებულ სახეზე ვერაფერს ატყობს.

„არ გამოვა. რასაკვირველია, არ გამოვა. ალბათ საამქროს კრებაზე გამოსვლასაც ნანობს. მეც კარგად ველაპარაკე. ასე უნდა, უნდა ჩააფიქრო კაცი. გუშინღამ აწონ-დაწონა ალბათ

ყველაფერი და მიხვდა, რომ სისულელეა, რასაც ფიქრობს. ჩემი დარდიც რომ არ ჰქონდეს, თავისი ცოლ-შვილის ხათრი ხომ ექნება. თავის მომავალზეც ფიქრობს. ასე ადვილი არაა გაბედვა. ჩვენ ათასი ჯაჭვით ვართ მიბმული ჩვენს ყოველდღიურობაზე. ეტყობა, ეზეკის სურდა ყურადღება მიექცია და მიიქცია კიდეც. თავისი მიზანი შეასრულა, ხალხი აალაპარაკა. ხალხს თავი შეახსენა. მისთვის ესეც საკმარისია. ცნობილია ჩვენთვის ეს ხერხი – ეს უმარტივესი ავანტიურული ნაბიჯია, რომ ანგარიშს გიწევდნენ და შენი რიდი ჰქონდეთ.

დაფიქრდა ალბათ წუხელ და დაასკვნა, რომ მარტოა. იცის, ჩიტი ცალი ფრთით რომ ვერ გაფრინდება. იქნებ არც აპირებდა დღეს კრებაზე გამოსვლას და ზედმეტი სიფრთხილე გამოვიჩინე? არა, არა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მაინც, რაც უნდა იყოს, საკუთარ გულში ჩავახედე. ცოტა დავაშინე კიდეც მგონი. ესეც საჭირო იყო“...

თავმჯდომარე წამოდგა და გამოაცხადა:

– ამხანაგებო, კამათში ჩაწერილი იყო ცხრა ამხანაგი. გამოვიდა ცხრა. არის წინადადება შეწყდეს კამათი!

თავმჯდომარის ამ წინადადებას კრება სიამოვნებით დაეთანხმა.

და უეცრად დარბაზი შეჩოჩქოლდა, დირექტორს ელდა ეცა და ყურმა შუილი დაუწყო.

„ახლა რაღა დროსია, კრება უკვე დამთავრდა, რაღა დროს სიტყვაა, გაგიჟდა?!“

ეზეკიმ ღრმად ჩაისუნთქა და გასუსულ დარბაზს თვალი მოავლო:

– თუ შეიძლება, სიტყვა მაქვს განცხადებისათვის.

ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყება.

ალალი

ვინ მითხრა, კი აღარ მახსოვს, მგონი, შენ მითხარი: მთელი ცხოვრება ყველასთან მართალი თუ ილაპარაკე, შენზე საწყალი არავინ იქნება დუნიაზეო. ხანდახან სიცრუეც უხდება საქმესო. რა ვიცი, შენი ჭირიმე, მე არ გამომდის მაგ ჭკუაზე სიარული. მაშინ ტყუილსაც ისე უნდა ხმარობდე ხანჯლად, როგორც მართალს. მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე უნდა იარო და ან გაგიმართლებს, ან არა. ათასნაირი უნარის კაცი იბადება ამ ქვეყანაზე. ზოგიერთი უდაბნოში ქვიშას გაყიდის და ზოგის ბამბაც ჩხრიალებს. წარმოიდგინე, ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გულწრფელნი ვიყოთ, ყველამ სიმართლით გავზომოთ და გავჭრათ. პირში ვუთხრათ ერთმანეთს, ვისაც რა ეკუთვნის, მტრისას, ქვეყანა აირევა. ადამიანს ძილი და მოსვენება დაეკარგება. მეორედ მოსვლა რასაც ჰქვია, ის დადგება სწორედ. რამდენი საუკუნე დაჭირდა გამოქვაბულის კაცს, თავის გრძნობების შენიღბვა და ტყუილი რომ ესწავლა. სიცრუე კულტურული ადამიანის თვისებაა, თორემ ველური, გამიგონია, რომ მოკლა, ტყუილს ვერ გეტყვისო. არ შეუძლია, მის ტვინში არაა სიცრუის ადგილი და რა გინდა უთხრა. მე ან ძალიან ადრე ვარ დაბადებული, ან ძალიან გვიან. არ დამიჯერებ, არ გამომდის, სხვა ვიფიქრო და სხვა ვილაპარაკო. იმწუთას შემეტყობა. რა ვიცი, იმ ჩემი ცოდვით სავსე მამაჩემმა გამზარდა ასე თუ ასეთად გავჩნდი ქვეყანაზე. ასე მგონია, თუ რამე ვიეშმაკე, მთელი დუნია გაიგებს-მეთქი, ახლა გამიჩნდა ეჭვის ჭია, თორემ ყოველთვის ყველასი მჯეროდა. რანაირად შეიძლება-მეთქი, ვამბობდი, კაცი თვალებში გიყურებდეს და გატყუებდეს-მეთქი. ისე, გულუბრყვილოდ და სულელურად მონათლავენ, თორემ, კაცი ის უნდა იყო, რაც ხარ. რატომ უნდა ითვლებოდეს ნამეტანი გულწრფელობა სიშტერედ? ერთ პატარა ამბავს მოგიყვები. ერთხელ ვიცრუე ჩემს ცხოვრებაში და რა დამემართა: მწყრის ხეზე შეჯდომისა არ იყოს. მომეწონე რაღაც ამ ხალხში და გიყვები, თორემ რა მოსაყოლია. შენ მაინც არ დამცინო, თუ ძმა ხარ.

საქარიაში მიწისძვრა რომ მოხდა, ჩვენი საპროექტო ინსტიტუტიდან მე მიმავლინეს. მართლა დიდი საქმე გაკეთდა მაშინ. მთელი ქვეყნიდან დაიძრნენ სპეციალისტები, რომ ამ უძველესი და კოპწია ქალაქისათვის ეშველათ. ნახევრად დანგრეულ სასტუმროში ვცხოვრობდით. ვის არ შეხვდებოდით ჩამოსულთაგან – მშენებელი ინჟინერი, არქიტექტორი, სეისმოლოგები ხომ იყვნენ და იყვნენ, ექიმი, ბუღალტერი, კალატოზი თუ დურგალი. ერთი სიტყვით, ვის როგორ შეეძლო, ისე გაუწოდა საქარიას ხელი.

ჰო, ჩემო ბატონო და, მე აბანოს დაპროექტება დამავალეს. არ დამიჯერებ და, მართლა გულით მოვეკიდე. მინდოდა, ისეთი აბანო გამეკეთებინა, თან აღმოსავლურიც ყოფილიყო და მიწისძვრისთვისაც გაეძლო. სასტუმროში ვიჯექი და დღე და ღამეს ვასწორებდი. ჩვენი კაცის სიგლახის ამბავი მოგეხსენება, სამ დღეს რომ მოწყდება ცოლ-შვილს, სამოთხეშიც რომ იყოს, შინისკენ მოუწევს გული. თანაც ამ უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს რომ ვხედავდი, ასე მეგონა, არც ჩვენს ქალაქს ადგას კაი დღე-მეთქი და მთელი ღამე, რა ჯანდაბამ შემაყვარა არ ვიცი, დანგრეული ლომბარდი მეჩვენებოდა. ვითომ მიწისძვრა მომხდარა ქუთაისში, ლომბარდი დაუშვია ძირს, გარბი-გამორბის ხალხი. ვინც რას წაეწევა, მოჰკიდებს ხელს და მიაქვს. არ გრცხვენიათ?! – ვყვირი სიზმარში, – სად მიგაქვთ ეს სხვისი ქონება! კაცმა ლომბარდში იმიტომ მიიტანა, რომ უჭირდა. ასე უნდა დაეცეთ და დაგლახავდეთ-მეთქი? – ვინ მისმენს. მიაქვს და მიაქვს ხალხს მთელი ლომბარდი. ა, ამნაირ სიზმარს ვხედავდი ყოველღამე. სიზმარიც რომ უბედური ვიცი, კაცური რამე დამსიზმრებოდა, კაცურ საქმეზე მეგლიჯა სიზმარში ნერვები. ლომბარდს გადაუშენდა მომგონი. არ გამიხდა საპატრონო და სათავცემო ორი ათასი კილომეტრიდან?

მოკლედ, ღამე ამნაირ სიზმარს ვხედავ, დღე აბანოს პროექტზე ვმუშაობ და, რა დაგიმალო, თვალი გაქცევაზე მიჭირავს. მითხრეს, ჩაგვაბარე ეს პროექტი და გაგიშვებთო. რა

დასამალია და, ცოტა არ იყოს, მიწისძვრისაც ქე მეშინია. რომ გაიმეოროს? ჭკუა დაუშლის თუ რაი. შუა ოთახში ვწვებოდი, ასე მასწავლეს, თუ მთლად არ დაინგრა ქვეყანა, ვინც შუა ოთახში წევს, გადარჩებაო. კაცმა კაცის ძვირი რატომ თქვაო. როგორ არ ვთქვა, თუ კაცი ხარ, ერთმა ჟურნალისტმა რომ თავი შეირცხვინა მაშინ. ქალაქი ნახევრად დანგრეულია, ტრანსპორტი არ მოძრაობს, სინათლე არ არის, ხალხი ქალაქგარეთ კარვებში ცხოვრობს და საღამოს გაზეთში წაიკითხავდი: – მიწისძვრამ საქარია უმნიშვნელოდ დააზიანაო, მშრომელთა სურვილით აღმასკომმა ნება დართო მოქალაქეებს, ქალაქგარეთ კარვებში იცხოვრონო. ეს კიდევ არაფერი, ახლა გეტყვით სასწაულს: კაცმა რომ თქვას, სასიამოვნოც კია ზაფხულის ცხელ დღეებში ქალაქგარეთ გრილ კარავში ცხოვრებაო. აბა ეს სისულელე არ არის? რა მოგივიდა, შე კაი კაცო, თქვი მართალი. ვის უხვევ თვალს: შენი ბრალი ხომ არ არის – ქალაქი მიწისძვრამ დააზიანა. სტიქიას რაღას ერიდები? რატომ გინდა, შენთვის სტიქია კეთილთვისებიანი იყოს და სხვისთვის უბედურების მომტანი. ქალაქგარეთ კარავში ცხოვრება კაია, ექსკურსიაზე რომ ხარ ორი დღით წასული, თორემ, როცა სახლი დანგრეული გაქვს, მომაკვდავი სიდედრი შეზლონგზე გიწევს, შენი საყვარელი კატა უგზოუკვლოდ გადაიკარგა და ტაბურეტის სკამზე პირსაც იპარსავ და სადილობ კიდეც – მე მგონია (არ ვიცი, შეიძლება ვცდები), სასიამოვნო და გადასარევი ასეთ ყოფაში არაფერი უნდა იყოს.

რაღა გავაგრძელო, ოთხი დღის ჩამოსული ვარ საქარიაში და ასე, ახალშეღამებულზე, ვიღაცამ დამიკაკუნა. ვის გავახსენდი, მე ვთქვი, ამ უცხო ქალაქში. გავაღე, წვრილთვალებიანი და ბრტყელსახიანი კაფანდარა კაცი დგას. მაგათ წლები ძნელად ეტყობათ, მაგრამ, ჩემი ჭკუით, ასე, ორმოცის უნდა იყოს. თეთრ კბილებს აელვებს და დამტვრეულ რუსულს ლაპარაკობს.

– ქართველი ბრძანდებით?

თავი დავუქნიე.

– თუ შეიძლება, შემოვალ ცოტა ხანს. – თან ისე უხერხულად და საწყლად გაიღიმა, გეგონება, ისეთი რამ მთხოვა, რის შესრულებასაც ჩემი ნახევარი ქონება მაინც დასჭირდებოდა.

– მობრძანდით.

მადლობა გადამიხადა. კუთხეშივე კონწიალა სკამზე ჩამოჯდა და ერთხელ კიდევ გამიღიმა. ერთი გლახა თვისება გვაქვს, თუ დაუპატიჟებლად ვინმემ მოგვაკითხა და ისიც ასე შორს, ჩვენ გვგონია, მაინცდამაინც არაყზეა მოსული. ამ გუმანმა ბევრჯერ სწორად მიმახვედრა, მაგრამ ახლა შემარცხვინა. ქუთაისიდან წაღებული ანწლის არაყი მქონდა. მე თვითონ არაყი წამლადაც არ მინდა, ასე შემოვა ვიღაცა და დავალევინებ-მეთქი. გავუვსე ჩაის ჭიქა და გავუწოდე – უგაშჩაიტეს-მეთქი. შენ არ მომიკვდე, არ დალია. წვეთს არ ვსვამო, არც არაყს, არც ღვინოს, ვერაფრით ვერ მივეჩვიე, გემოს ვერ ვიტანო. რა ასმევს ხალხს ამ საძაგლობას, ზოგიერთს სული რომ მისდის შიგო. ჭიქა დავდგი და ცნობისმოყვარე ბავშვივით მივაჩერდი. რაზე შემოვიდა, რა უნდა აბა, თუ არაყს არ სვამს – ვფიქრობ. ასე მაქვს ტვინი უკუღმართად აწყობილი, თორემ რა მოხდა. კაცს კაცთან მუსაიფი უნდა და შემოვიდა. მაინცდამაინც საქმეზე უნდა შემოსულიყო? შემრცხვა, სიმართლე გითხრა, შემოსვლისთანავე არაყი რომ ვაჯახე. არ ვართ, არა, უცხო კაცთან ყოველთვის სწორი. მანსური მქვიაო, ყაზანელი თათარი ვარო, კალატოზი. თქვენსავით მეც მივლინებაში ვარ და ამ რიგზე თქვენგან მესამე, №321 ოთახში ვცხოვრობო. ჩემი ოთახი №318 იყო.

ერთი სიტყვით, იმ ღამეს კაი გვიანობამდე ვიმუსაიფეთ. თავისი მითხრა, მე ჩემი ვუთხარი. მშვენიერი მოსაუბრე კაცი ჩანდა, სხვათა შორის. მეორე დღეს, ასე ექვს საათზე მომიკაკუნა და კარებშივე მკითხა, ბულბულის გალობა თუ გიყვართო.

ჩემთვის ასეთი შეკითხვა არავის დაუსვამს. საერთოდ, არ მგონია, მოიძებნოს სადმე კაცი, რომელიც ხელიდან გაუშვებს მისი მუსიკალურობის და რომანტიკულობის დამტკიცების საშუალებას და განაცხადებს, ბულბულის გალობას ვერ ვიტანო.

ვგიჟდები-მეთქი.

აბა, რაკი თქვენ გყვარებიათ, აქ ახლო პარკია. პარკის ბოლოში ჭალაა, რომელსაც ბულბულების ჭალას ეძახიან, წამოდი, თუ კაცი ხარ და, ერთად დავტკბეთ ბულბულის გალობითო.

რას ეტყვი. კაცი ბულბულების ჭალაში გეპატიჟება... მივატოვე ჩემი პროექტი და გავყევი.

კალატოზი უძახე შენ, ხელები იმ ოჯახაშნებულს ნიჩბებივით ჰქონდა, მაგრამ ბულბულის გალობის გიჟი ყოფილა, ვიფიქრებდი ოდესმე? ორი საათი გატრუნული იჯდა მორზე და უსმენდა. მეც მსიამოვნებდა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ ორი საათის მოსასმენი არაფერი მგონია ბულბულის გალობაში. მით უმეტეს, რომ სულ ოთხნაირი მელოდია აქვს ბულბულს და გაფუჭებული პატეფონივით იმეორებს ერთსა და იმავეს. მე იმდენად ბულბულის გალობამ კი არ გამაოცა, არამედ სიმშვიდემ, ირგვლივ რომ იდგა. ჭალაში ისეთი სიწყნარე იყო და იმგვარი იდილია სუფევდა, თითქოს მიწისძვრა კი არა, წვიმაც არასოდეს მოსულიყოს ამ შემოგარენში.

ყოველდღე დათქმულივით მაკითხავს ექვს საათზე მანსური და ბულბულების ჭალაში მივყავარ. პატივს გცემს კაცი, უნდა რაღაცით გასიამოვნოს, რა სჯობია ამას, მაგრამ ჩემი საქმე, გითხარი, მისი არ იყოს, სხვანაირადაა. ბულბულის მოსასმენად მცალია? პროექტი საჩქაროდ უნდა დავამთავრო და მოვუსვა სახლში, დანგრეული ლომბარდი ღამით მოსვენებას არ მაძლევს.

დღე თათბირზე ვართ, საღამოსკენ გამოვიქცევი სახლში და მოვიმარჯვებ თუ არა სახაზავს, მანსური დამიკაკუნებს. ბულბულის გალობა ყელში ამომივიდა, მაგრამ რაკი შევტოპე, უკან ვეღარ ვიხევ, მრცხვენია.

ბოლოს გადავწყვიტე, ყელს შევიხვევ და რომ მოვა, ვეტყვი, ავად გავხდი და დღეს უჩემოდ მოგიწევს ბულბულთა კონცერტის მოსმენა-მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

კარი რომ გავუღე და ყელშეხვეული დამინახა, წახდა კაცი, ფერი ეცვალა; რა მოგივიდა, გუშინ მშვენივრად იყავი და ასე უცებ რა ქვა გეცაო.

მგონი ანგინა მაქვს-მეთქი.

ხელი მომკიდა, სკამზე დამსვა, სინათლე აანთო, პირი გააღეო, მთხოვა და ყელში ჩამხედა, ნათურა ოდნავ ბჟუტავდა და ვერაფერი დაინახა, შეწუხდა, თავი გადააქნია.

შენთვის მუშაობა არ შეიძლება, წამოწექი, ახლავე მოვალო, – მითხრა და სახაზავი მოწყობილობა აალაგა.

რა მიშავს, წადი, ჩემი გულისთვის საქმეს ნუ მოცდები, მაინცდამაინც არ მტკივა, წავიმუშავებ და გამივლის-მეთქი.

როგორ გეკადრება, ანგინას ნუ ეხუმრები შენო, დასაწყისში არაფერია, მერე იცის გამწარებაო. – დააგდო სიტყვა და გაიქცა.

ხუთ წუთში მობრუნდა, საჭმლის სოდა და სტრეპტოციდი შემომირბენინა. ერთი კოვზი სოდა ერთ ჭიქა ადუღებულ წყალში გახსენი და გამოივლეო. სტრეპტოციდი დაღეჭე და პირში ცოტა ხანს გქონდესო.

სასტუმროში ადუღებული წყალი არ აღმოჩნდა, გაიქცა და რესტორნიდან მოარბენინა.

ციბრუტივით ტრიალებსო, რომ იტყვიან, ისე იქცევა.

ასე დედა არ მოგივლის, მე რომ მან მომიარა.

მეგონა, ჩემს ავადმყოფობას უცდიდა, თავისი კაიკაცობა რომ გამოეჩინა-მეთქი.

დაწექი და საბანი დაიფარეო, – მეხვეწება, მე ჭირვეული ბავშვივით ვჯიუტობ, ასე მირჩევნია-მეთქი.

ერთი გავარდნა კიდევ გავარდა და რომ დაბრუნდა, მუჭი სავსე ჰქონდა ტაბლეტებით.

ჯერ ეს დალიე, მერე ეს და მერე ესო.

შავ დღეში ჩავვარდი.

წამლით გაჭყეპვა მინდა ამ საღ-სალამათ კაცს? აბაზანაში შევედი და ორი აბი წყალში ჩავუშვი, რამდენიმე ტაბლეტს ბალიშქვეშ მოვუძებნე ადგილი.

არ გაუვლია ნახევარ საათს, მნახველებმა დაიწყეს დენა.

როგორაა ჩვენი ავადმყოფიო, ხომ არაფერი გჭირდებათო, ერთმა თქვა, გაცივებული იქნებით და მდოგვის საფენები მოგიხდებათო.

მანსური კარგი ჭირისუფალივით იქცევა. მნახველებს კარს უღებს, სკამს აწოდებს, მადლობას უხდის.

ეს რა ვქენი, რა კლოუნადა გავითამაშე, რა ეშველება ამ საქმეს.

ჯერ რვა საათიც არ არის, ჩემი მკურნალობა თუ ასე პროგრესულად წარიმართა, შეიძლება ხვალ დილით საავადმყოფოში ამოვყო თავი.

მნახველები რომ გააცილა, მანსურმა საათზე დაიხედა, გავვარდები, ექიმს მოვიყვან, ახლა სამსახურიდან მოსული იქნებაო.

სიტყვით რომ ვერა გავაწყე, ლოგინიდან წამოვხტი, ყელსახვევი მოვიგლიჯე, ფეხზე ჩავიცვი და მანსურს კატეგორიულად განვუცხადე, ბულბულების ჭალაში წავიდეთ-მეთქი.

პირდაღებული მომჩერებოდა.

რას უდგეხარ, წავიდეთ, დაღამდება, ვეღარ მივუსწრებთ-მეთქი.

თავი გააქნია, შენთვის ახლა არაფრით არ შეიძლება, გაცივდებიო.

ვდგავარ და ვეხვეწები. რას არ დავპირდი, ოღონდ წამყოლოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე, ერთი პირობით – ყელი მაინც შემახვევინა.

სამი-ოთხი დღე კიდევ მეკითხებოდნენ მეზობლები, ყელი როგორა გაქვთო, მერე, რაკი ზეზე მხედავდნენ, დამშვიდდნენ და შეკითხვები შეწყვიტეს.

ბულბულების ჭალაში კი კვლავინდებურად დავდიოდით მე და მანსური.

დალაქი

ყინულის თვალუწვდენელ მინდორზე ერთადერთი შავი წერტილი მოჩანს. თვალმა იქით გამიტყუა. ორი დღის წინ მინსკის ზღვა ლურჯად ლივლივებდა. გუშინ საღამოთი მოუჭირა ყინვამ და ნაპირები შეუთეთრა. არ მეგონა ერთ ღამეში ყინული თუ დაფარავდა ამოდენა წყალს. კაშკაშა მზეზე თვალისმომჭრელად ელვარებს თოვლი. ჰორიზონტზე ეულად მოჩანს ბუზისტოლა შავი წერტილი. რა უნდა იყოს? ჯერ გაუბედავად შევდგი მინდორზე ფეხი. ყინულის სიმაგრეში დასარწმუნებლად ერთი ორჯერ შევხტი კიდეც, მერე საყელო ავიწიე და წავედი.

გივლიათ ყინულის ზღვაზე?

თხელი ფიფქით დაფარულ ყინულზე ფეხი გისხლტებათ, ქარი ყურებში წივის. სიცივემ კრიჭა შეგიკრათ, ირგვლივ გაქვავებული ტალღები და წყალქვეშა დინებებით ალაგ-ალაგ დახაზული ყინულის ველი ჩანს.

დაახლოებით ერთი კილომეტრი რომ გავიარე, შავი წერტილი ხის კუნძად მომეჩვენა და უკან დაბრუნებას ვაპირებდი, ცოტაც და, დავრწმუნდი, რომ ყინულზე კაცი იჯდა. ახლა ნათლად ვხედავ ბრეზენტის ზურგს, ხელებსაც ამოძრავებს. კი, ნამდვილად მეთევზეა.

თავზე რომ წავადექი, მხოლოდ მაშინ გამომხედა, სალამზე ისე უგემურად მიპასუხა, თითქოს გული ჰქონდა ცნობისმოყვარეთაგან გაწყალებული ამ უკაცრიელ ველზე.

– რაღაც ხასიათზე ვერა ხართ, არ მოდის? – ვკითხე და ჩვარგადაფარებულ ბადურასთან ჩავიმუხლე.

ბადურა თოვლზე გადმოაპირქვავა, ხუთიოდე ციცქნა სვია ასხმარტალდა ყინულზე.

– ა, ესაა ჩემი ნადავლი. არ ეკარება. ახალი ყინულია და არც ღირს ჯერ თევზაობა.

– ახალი ყინული?

– ჯერჯერობით სიღრმეებს არჩევს თევზი. მოშივდება და ამოვა. ანკესიც არ მივარგა. უნდა გამოვცვალო, დაჟანგულა.

თოვლზე რაღაცას ძებნა დაუწყო.

– სადღაც აქ დავაგდე, ანკესი გამიტეხა ლოქომ. თევზი რომ გატეხავს, ის ანკესი ანკესია? ჟანგმა შეჭამა.

– რა იცით, რომ მაინცდამაინც ლოქომ გაგიტეხათ?

ამხედ-დამხედა, ეტყობა შემატყო, რომ თევზის ჭერისა ბევრი არა გამეგებოდა რა.

– ანკესს მხოლოდ ლოქო ტეხავს. თუ მომცრო ლოქოა, კბილებით დაუწყებს ჯაჯგურს. მაგარი კბილები აქვს. სვია და ორაგული უკანმოუხედავად ყლაპავენ, ანკესი ლაყუჩების ნაცვლად ხშირად კუჭში აღმოაჩნდებათ და თუ მუცელზე არ გაჭერი, ვერასდიდებით ვერ ამოაცლი.

პკეს რომ ამოხაპავს ჩვენებური კაცი, ისე მოაშორა ჭურისთავისხელა ორმოებს ყინულის საბურველი. ხაპი გვერდზე მიაგდო, პლასტმასის ტარს დაწვდა, შიშველი ანკესი მიჩვენა და გაიცინა.

– თევზი რომ თევზია, ნახე, როგორ გაეშმაკდა? ანკესს როდი ყლაპავს, ჭიას ციცქნის და კარგად მეყოლე. ჩემ გარდა ყველამ რაღაც გამოსავალი ნახა. რაღაცა მუღამს მიაგნო ცხოვრებაში.

– სომეხი ხარ?

– ქართველი.

– იცი, რატომ გკითხე? – როგორც იქნა, ჩამოაცვა ანკესს ჭია და ხაპს დასწვდა, – ყინულის სარქველი ყოველ წუთს თუ არ ავაცალე, გამაგრდება და სახათაბალო გახდება. ახლა რამდენი გრადუსი იქნება? რადიოსთვის ხომ არ მოგისმენია?

– მინსკში თხუთმეტიაო, ამ დილით გამოაცხადა.

– აქ მეტი იქნება. მინსკში თხუთმეტი როცაა, აქ თვრამეტი მაინც არის. თვრამეტი გრადუსი ამ გაშლილ ზღვაზე არაა ხუმრობა. მეც არა ვთქვი? მუხლმა ტეხა დამიწყო. მე რომ მუხლი ტეხას დამიწყებს, ყინვა თხუთმეტს გადაშორებულია.

ბადურას გაზეთი გადააფარა და ჩემკენ გამოაჩოჩა.

– დაბრძანდით.

– გმადლობთ, არა მიშავს, – თავპატიჟი გავიდე.

– დაჯექი, თორემ ქარი წაგვართმევს გაზეთს! – ბადურაზე დავეშვი და ყინულზე დაყრილი თევზების მოგროვება დავიწყე.

– მინსკში პირველად ხართ?

– პირველად.

– ცუდ დროს კი ჩამოსულხართ. ახლა ძალიან ცივა, რა უნდა ნახოთ. ჩვენთან გაზაფხული იცის მშვენიერი. ახლა ყველაფერი მკვდარია, ყველაფერს სძინავს. მივლინებით ხართ?

– დიახ.

– მერე რაღა ამ „იუნოსტში“ გაჩერდით, ცენტრში სასტუმრო არ იყო?

– ეგ მართალია, – უეცრად თითქოს რაღაც გაახსენდაო, გამოცოცხლდა, – რას გეტყვით, იცით? იყიდეთ ხვალ ანკესები. მანეთ-ნახევარი ღირს ასეთი, სამთავა. არაა ძვირი. გამოდით და ითევზავეთ, დამიჯერეთ, ნაღდი საქმეა, გულს გადააყოლებ კაცი, ავი ფიქრებისაგან გათავისუფლდები.

უეცრად დადუმდა და ყინულს დააჩერდა.

ბრეზენტის კაპიშონი ნიკაპიანად შეუკრავს, მარტო ყინვისაგან შეწითლებული ლოყები და პაჭუა ცხვირი მოუჩანს. ისედაც თეთრ წარბ-ულვაშზე ჭირხლი მოსდებია. ბრეზენტის მოსასხამს შიგნით დაბამბული შარვალ-სერთუკი მოუჩანს. ფეხებზე თექის უშველებელი ჩექმები აცვია.

– წელან რატომ გკითხეთ, იცით, სომეხი ხომ არ ბრძანდებით-მეთქი? ჩემთან სომეხი იბრძოდა ერთი. მეტყვიამფრქვევე. მკრტიჩიანი. ოქრო ბიჭი იყო. მთელი ომი ერთად გავიარეთ კურსკიდან დრეზდენამდე. ჩვენ ბერლინში არ შევსულვართ.

– დაიღუპა?

– არა, ცოცხალია, დილიჟანში ცხოვრობს, იყო ჩემთან ამას წინათ. მეც ჩავედი შარშან, დამპატიჟა. თან გადამყვა.

– ბერლინში არ შევსულვართო, ბრძანეთ...

– ჰო, ჩვენ დრეზდენში მოგვიწია ომის დასასრულმა. მერე ათი თვე ნიურნბერგში ვიდექით და ნიურნბერგიდან შინ გაგვიშვეს.

– ყინულწყალი ამოხაპა და კანდამსკდარი ხელები სახელოებში შემალა.

– ხელთათმანი რატომ არ გიკეთიათ?

– ვერ ვეგუები. ვერ ვიტან. ახალგაზრდობაშიც არ მიტარებია. ხელთათმანი როცა მაცვია, ასე მქონია, ხელები ჩემი არ არის-მეთქი.

ჩემ ცხვირწინ ორმოში ტივტივა ათამაშდა. კაცი ანკესს დასწვდა და წამში შავზურგიანი ლოქო ასხმარტალდა ყინულზე. ორ მტკაველზე მეტი იქნებოდა.

– ოჰო, ჩავარდი, ლამაზო? – ბავშვივით გაიხარა – რას იზამ, ასეთია ცხოვრება. – პირიდან ანკესი გამოაცალა და ყინულზე მოისროლა, – კარგი ფეხი გქონიათ, – ახლა მე მომიბრუნდა. ანკესი ისევ გაანყო და ხელები დაიორთქლა.

– ის ჩემი ძმაკაცი, მკრტიჩიანი-მეთქი რომ გითხარი, შვიდჯერ დაიჭრა. ორჯერ მე მივათრიე ჰოსპიტალში, იცინოდა, აი, ვის არ ეშინოდა სიკვდილის. ახლა ვასკვნი, თუ სიკვდილისა არ გეშინია, არა გიშავს. მთავარია, სიკვდილის შიში დათრგუნო. ჩვენი ასეული ორდენოსანია. სხვათა შორის, ოცდაათნიღა დავრჩით. დათქმული გვაქვს და ყოველ წელიწადს ვიკრიბებით კურსკში. კურსკის ბრძოლაში ჩვენი ასეულიდან ორმოცდაათი დაიღუპა. შარშან და წელს არ წავსულვარ. მოსაწვევს და წერილს მიგზავნიან, მაგრამ არ მივდივარ. გული არ მიმიწევს და მომკალი...

– რატომ?

– იცით, რა? ჯერ ერთი, პირველად რომ შევიკრიბეთ 1968 წელს, მართალია, ერთმანეთს ჩავეხვიეთ და ვიტირეთ, მაგრამ კმაყოფილი არც მაშინ დავრჩენილვარ. ჩემი ტალიკ-ტალიკა ბიჭების ნაცვლად ბებრებს შევხვდი. დაბერებულა ხალხი, კაცო. მე მათ არც ვიცნობდი. ისინი სულ სხვანი იყვნენ, მე კი ისევ იქა ვარ, იმ დღეებით ვცხოვრობ. ეს ყბადასივებული გამძღარი „ყოფილები“ გულს მტკენენ. მეორეც, ყოველ შეკრებაზე სიას წაგვიკითხავენ და გამოგვიცხადებენ, წინა შეკრებიდან ამ შეკრებამდე ჩვენს რიგებს ესა და ეს გამოაკლდაო. კარგი რა, დამანებე თავი. რას დამჩხავი ყვავივით. თითო-ოროლა ყოველ წელიწადს მიდის იმ ქვეყნად. ცეცხლის წვიმას გადაურჩა კაცი და აგერ თავის ლოგინში მშვიდად კვდება ინფარქტით, ჰიპერტონიით, კიბოთი. არ ვიცი, ბევრს სული მისდის, ზეიმზე ვიყავიო, ამაყად გამოგიცხადებს. მე კი ამგვარი ზეიმ-შეხვედრები ნაღველს მიშლის და აღრენილი ვბრუნდები შინ. ქვეყანა ჭრელია, მე ეტყობა, ასეთი კაცი ვარ, ამგვარი გავჩნდი და რას იზამ!

– თქვენ დაჭრილი არა ხართ? – ვთქვი და მაშინვე ვიგრძენი, რომ უადგილო შეკითხვა დავუსვი.

– არა, ვერ მოგატყუებ. არ დავჭრილვარ, იღბალია თუ რა, ვერ გეტყვი, ისე, მე ხელობის კაცი ვიყავი და წინა ხაზზე ყოფნა მაინცდამაინც არ მიწევდა.

– რა ხელობის?

– პარიკმახერი გახლავართ. დივიზიის პარიკმახერი ვიყავი და ღმერთმა გადამარჩინა თუ ჩემმა ხელობამ, რა ვიცი, საღსალამათი კი დავბრუნდი სახლში.

– მაშინ იქ იყავით?

– როდის?

– ნიურნბერგის პროცესი რომ მიმდინარეობდა.

თვალები ეშმაკურად მოწკუპა, თითქოს ღიმილი უკანვე ჩაბრუნაო, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, მერე ამხედ-დამხედა და მკითხა:

– რა მოხელე კაცი ბრძანდებით?

– მასწავლებელი ვარ.

– რას ასწავლით?

– ლიტერატურას.

– სად?

– უნივერსიტეტში.

– თბილისში?

– დიახ.

– რატომ გკითხეთ, იცით? ერთ საიდუმლოს გაგანდობთ და, თუ კაცი ხარ, ჩვენ შორის დარჩეს. ეს ამბავი ჩემმა ახლობლებმაც არ იციან. არავის დაუშლია, არსად თქვაო, არავის უთქვამს, მაგრამ მე თვით მერცხვინებოდა ამ ამბის გამხელა. ახლა, რაც სიბერეში შევდივარ, არ მასვენებს. არ დაგიმალავ, ერთ-ორს გავუმხილე. ზოგმა არც დაიჯერა, რა ვქნა ახლა, ღმერთმა სიკეთე მისცეს, არ დაიჯერებს და ნუ დაიჯერებს. რა ვაჟკაცური საქმე კი ეს არის, რომ მოვიტყუილო. მისმენთ?

თავი დავუქნიე.

– სამი დღის დაწყებული იყო ნიურნბერგის პროცესი. ჩვენი ასეული დრაიშტრასეზე იდგა. დაცვის სამსახურში ჩაგვაყენეს. მე პოსტი არ მიწევდა და შედარებით თავისუფლად ვგრძნობდი თავს. თუმცა საქმე თავზე საყრელად მქონდა. ომი დამთავრებული იყო და ჩვენი ბიჭების კოხტაპრუწობას საზღვარი არ ჰქონდა. ლამის ყოველდღე იპარსებოდნენ. დილის შვიდ საათზე გამაღვიძეს. სერჟანტი შემოვიდა; საპარადო ფორმა ჩაიცვი, ხელსაწყოები, რაც საუკეთესო გაქვს, წამოიღე, მანქანა გელოდება, დიდი ჩინის კაცის გაპარსვა მოგიწევსო. ათ წუთში მზად ვიყავი. სამართებელი არ მქონდა თუ რა. ახალთახალი გერმანული სამართებლებით სავსე მქონდა ჩანთა. ბიჭები თუ სადმე დანგრეულ საპარიკმახეროს წააწყდებოდნენ, მაკრატელ-სამართებლებს ჩემთან მოარბენინებდნენ. ჩამსვეს შავ „ემადინში“ და გამაქანეს. რა ვიცი, სად მივყავართ. ჩემი საქმე გასაგებია. ვიღაც დიდი კაცი უნდა გავპარსო. სამხედრო პირებს არ უყვართ ტლიკინა და ცნობისმოყვარე კაცები. გრძელი დერეფანი რომ გავიარეთ, ლიფტით ქვემოთ ჩავეშვით. რკინის გისოსებიან კარზე და ყოველ ხუთ მეტრზე მდგარ ავტომატიან ჯარისკაცებზე შევატყვე, რომ საპატიმროში მომიყვანეს. კომენდანტის ოთახში ხუთი კაცი დაგვხვდა, – ორი ჩემნაირი, ჩემოდნიანი პარიკმახერი. ერთ მათგანს ვიცნობდი, მეორე რუსი არ უნდა ყოფილიყო. კომენდანტი წამოდგა და ლამის ჩურჩულით გვითხრა: – სამხედრო ტყვეების გაპარსვა მოგიწევთ, მეგობრებო, თანაც საკმაოდ დიდ გვამებთან გექნებათ საქმე. იოლ დავალებას როდი გაძლევთ. ფხიზლად იყავით. პროვოკაციის საშიშროებაც არსებობს. „კლიენტი“ ხელს რომ აამოძრავებს, თქვენ მაშინვე წყვეტთ პარსვას და სამართებელს უკან მალავთ. ოთახში, რა თქმა უნდა, მარტო არ იქნებით. მაგრამ, გიმეორებთ, ისინი ძველი გაიძვერები არიან და შარში არ გაეხვიოთ. ტყვის დაშავების შემთხვევაში სიცოცხლით აგებთ პასუხს. ნერვები ხომ წესრიგში გაქვთ? გაფრთხილებთ, თქვენთვის ისინი ამჯერად ჩვეულებრივი „კლიენტები“ არიან და სხვა არაფერი.

მე პაპენის და ნოირატის გაპარსვა მომიწია. რომ არც ეთქვათ, მაინც ვიცნობდი ორივეს. პოლიტხელები ლექციების

კითხვისას ჰიტლერელთა მთავარი მხეცების სურათებს ხშირად გვიჩვენებდნენ. ყველაზე მძიმე წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში. იმ დღემ გამანახევრა კაცი. ჯერ ერთი, ვღელავდი, არ წამართვას სამართებელი და ყელში არ გამოისვას-მეთქი, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია. პაპენი შავწარბება, გამხდარი კაცი იყო. დოინჯშემოყრილი იჯდა და ჭერს შესცქეროდა. ხანდახან ნიკაპს მაღლა სწევდა, მეხმარებოდა, რაც შეეძლო. პარსვას რომ მოვრჩი და ოდეკოლონი ვასხურე, სახე დაეღმიჭა და ხელისგულები ერთმანეთს გაუსვა, მივუხვდი, კრემს მთხოვდა. ნაინ-მეთქი, ბოდიში მოვუხადე, გაიღიმა და თითი დამიქნია. ნოირატი უფრო ამპარტავანი ჩანდა. არც კი განძრეულა. ნიკაპი შევარდნილი ჰქონდა, ვერაფრით ვერ მივუდექი, ბოლოს გავბედე, მოვკიდე თმაში ხელი და თავი გადავუწიე. დამყვა. პარსვის შემდეგ მაკრატელი მოვიმარჯვე. კისერზე თმას შევუსწორებ-მეთქი, მაგრამ ხელი ამიქნია, არ მინდაო, არ გინდა და ნუ გინდა, ჯანდაბას შენი თავი-მეთქი.

ჩემი თავი რკინის ნერვების კაცად წარმომედგინა, მაგრამ კინაღამ შევრცხვი კაცი. ნოირატს რომ ვპარსავდი, ხატინი გამახსენდა. იცით ხატინი? რა თქმა უნდა, გეცოდინებათ. პატარა სოფელი იყო მინსკთან. 1943 წლის 22 მარტს გერმანელებმა მთელი სოფელი ერთ ფიცრულში შერეკეს. 149 კაცი, აქედან 75 ბავშვი. ფიცრულს ცეცხლი წაუკიდეს და მანამ არ მოშორდნენ, სანამ ასორმოცდაცხრა სიცოცხლე ფერფლად არ იქცა. განწირულთა კივილი თურმე ცას სწვდებოდა. თუ ცეცხლმოდებული გარეთ გამოვარდებოდა, ჯალათები კონდახის ცემით უკანვე აბრუნებდნენ. მთელს სოფელში ერთადერთი კაცი გადარჩა – იოსიფ კამინსკი. ადრიანად ტყეში გასულიყო და გადარჩა.

სწორედ ხატინი გამახსენდა, ნოირატს რომ ვპარსავდი. სწორედ მაშინ მომიშვირა ლოყა მორჩილად ფაშისტმა ობერკანიბალმა. თვალები დავხუჭე. ტუჩზე ვიკბინე. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და პარსვა რომ დავამთავრე, თვალთ დამიბნელდა. აღარც კი მახსოვს, ხელი ჩამოვართვი თუ არა ჩემს უცხო „კლიენტებს“. ერთი კი დამამახსოვრდა, მათი მადლიერებით აღსავსე სახეები და თავაზიანად ნათქვამი „დანკე შოონ“.

რა მოსაყოლი იყო ახლა ეს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნათლად ვხედავ ყველაფერს. თითქოს გუშინ იყო. სიზმარშიც ხშირად ვხედავ ამ ბოლო დროს პაპენს და ნოირატს. სხედან ჩემ წინაშე საუკუნის დამნაშავენი. მე მოთმინებით ვაქაფებ საპონს, კბილთაღრჭენითა და ხვნეშით ვპარსავ ორივეს და სწორედ მაშინ, სამართებელი რომ უნდა გამოვუსვა ყელში, სწორედ მაშინ მეღვიძება, მეღვიძება და ცივ ოფლში ვცურავ. მერე მთელი ღამე ვერ ვიძინებ. ვბორგავ. ძილქუშში ვარ. დილით თავის აწევა მიმძიმს. მთელი დღე უქეიფოდ ვგრძნობ თავს. თვალს მოვხუჭავ და ისევ შემოდიან ჩემთან წვერმოშვებული პაპენი და ნოირატი. მედიდურად სხდებიან სკამზე და ჭერს შესცქერიან. მე კი, ეს უკვე მეათასედ ვდგები კედელთან, სამართებელს ქამარზე ვლესავ და ჯალათების პარსვას ვიწყებ. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ ეს გრძნობა. ძნელია, ძნელი!

ახლა, დილიდან საღამომდე აქ რომ ვზივარ, თქვენ გგონიათ, თევზის გიჟი ვარ? თქვენც არ მომიკვდეთ. თევზის მუშტარი არასოდეს ვყოფილვარ. თევზი კი არ მაინტერესებს, ეს სიჩუმე მიყვარს. ეს ყინვა და თოში, ეს გაშლილი ველი და პატარა საქმე ნერვებს მიმშვიდებს. ავი ფიქრებისაგან მათავისუფლებს. ასე უფრო მალე გადის დღე, უფრო მშვიდი ხდება ცხოვრება.

* * *

უკან ვბრუნდები...

ნაპირი ახლოს მოჩანს და სადაცაა ფეხს შევდგამ მიწაზე.

სადაცაა დასრულდება ყინულის ზღვა.

რომ მოვიხედო, დავინახავ ტრამალზე შავ წერტილს, გულჯავრიან მეთევზეს და კრიალა ცაში კვამლად ასულ მის უსაშველო დარდს.

მაყვალა

გუდამაყარს რომ ჩამოვცდი, გვარიანად მომშივდა და თითქოს მიწამ პირი უყოო, ჩემს ჯინაზე რესტორანი კი არა, პატარა ფარდულიც ვერსად დავლანდე, პირი რომ გამესველებინა.

მოთმინება რომ გადამეწურა, სწორედ მაშინ, სოფელ სამებასთან საგზაო ნიშანზე დახატულ დანა-ჩანგალს მოვკარი თვალი და სიხარულისაგან გული შემიფრთხიალდა.

„არ გაუშვა“, დიდი ლურჯი ასოებით ეწერა რესტორნის ჩუქურთმებიანი კიბის გასწვრივ გაკრულ აბრაზე. სახელი, ვერაფერს იტყვი, კარგი შეურჩევიათ.

მანქანა დავაყენე, ქურქი მოვიხურე და რესტორნის კარი რომ შევაღე, გუნება გამიფუჭდა. კობა ვაშაძის ნახელავით ლამაზად მოხატულ-მოჭედილ დარბაზში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მებუფეტე მოვძებნე და უცერემონიოდ ვკითხე:

– გაქვთ რამე?

– თოფ-იარაღზე და ტყვია-წამალზე მკვდარი გყავართ და ისე, ამ რესტორნიდან ქუდზე კაცი გამოვალთ, თუ გაჭირდა. – დაუფიქრებლად, ყოჩაღად მიპასუხა გამხდარმა, სქელულვაშა მებუფეტემ, თან ფართო ტუჩებში დარხეულ ღიმილს ძლივს ამაგრებდა.

მომეწონა მისი ხუმრობა, მაგრამ ქარაგმების თავი მაქვს ახლა მე?

– საჭმელს გეკითხები.

– ბატონო, საჭმელი გვექნება, აბა, კი არ ვგლახაობთ ეს ამდენი ხალხი აქანა, – მინარეთის სარკმელივით ვიწრო და თაღოვან ფანჯარასთან შექუჩული ოფიციანტებისკენ ხელი გაიშვირა.

– აბა შენ იცი, სად დავჯდე?

– დაბრძანდით, ბატონო, სადაც თქვენ გაგეხარდებათ და ამ წუთში მოგართმევთ ყველაფერს. თქვენ იმნაირი კაცი ჩანხართ, რომ თქვენი გულისთვის გაქცეულ ირემს მოვწველი.

საჭმელიო? იმ ჭკუაზეა სწორედ კაკოია ფესტვენიძე, დახლში იდგეს და საჭმელი არაფერი ჰქონდეს.

ელვის სისწრაფით დაჭრა ყველი, მწვანილი და ჯონჯოლი ბლომად, უშურველად დაახვავა თეფშზე, მაცივრის კარი გამოაღო, გრძელ სინებს მორგებული კეჟერა ფხალი და ნიგვზიანი ბადრიჯანი გამოიტანა. ისე ჩქარა და ლამაზად აკეთებდა ამას, რომ თვალი ვერ მოვწყვიტე. კარგია, კაცმა რომ თავისი საქმე ხუთი თითივით იცის.

– რამ მოგიყვანა იმერელი კაცი ამ მთაში, კაკო ბატონო?

– შე კაი კაცო, ხალხი „ვოლგის“ საყიდლად ალჟირში მიდის და აქ ამოსვლას რა უნდოდა. საქართველოში შორი მანძილი არ არსებობს. ერთი ფიორი გზაა ყველგან.

– ეგ კია მართალი.

– მე ბიჭები ვიცი, აქ რომ პატარა ხელი მოუჭირეს, მიატოვეს ყველაფერი და ისეთ ქალაქებში ბუფეტჩიკობენ ახლა, წერილი რომ სამ კვირაში ჩადის. რას დალევთ?

– კახური თუ გაქვს რამე.

გაეცინა.

– ჩემი გემოვნების ყოფილხართ თქვენც. კახურის გარდა არ ვსვამ მეც არაფერს. ღვინო თუ გინდა, კახური უნდა დალიო და დეგუსტაციაზე თუ ხარ შემოსული – ორ ჭიქას „ციცქას“ მოწრუპავ თუ „ცოლიკაურს“, სულ ერთია.

ბეჭებზე ჩამოცურებული ქურქი გავისწორე და დარბაზისკენ რომ შემოვტრიალდი, რესტორნის ეზოს გადაღმა, ხევის მხარეს ორ უშველებელ სანაგვე ყუთთან მოფუსფუსე ბებერ ქალს მოვკარი თვალი. შევჩერდი და დავაკვირდი: გრძელი ჩანთა უჭირავს, სანაგვე ყუთში ხელებს აფათურებს და რაღაცას ეძებს. სანოვაგე ჩანთა ნახევრამდე აუვსია. მებუფეტეს ხელი დაუქნია. დანა დააგდო და მოირბინა.

– რას შვრება ეს ქალი?

– ბიჭო, ღვთისავარ! – სანამ მიპასუხებდა ღია კარიდან გასძახა, – მაყვალა ვერ მივიცილეთ კიდო აქედან?! ხალხი ხართ, ბიჭო, თქვენ? ეს ერთი საქმე დაგავალეთ, რატომ მჭრით ძმაო, თავს, რატომ ურევთ გულ-მუცელს რესტორანში შემოსულ ხალხს?!

ამდენს ვის ელაპარაკება-მეთქი და რომ მივიხედე, კარში თეთრწინსაფარაფარებული ჭორფლიანი ბიჭი დავინახე. დგას და იღიმება:

– ამ წუთში გავიდა აქედან, ორ თეფშ ხარჩო პირთამდე შაირგის. ზედან კომპოტიც დააყოლის!

– რა უნდა აბა მეტი ამ უპატრონოს, რას იჩიჩქნება ამ ნაგავში!

– მაყვალას ამბავი არ იცი? ახლავე გავვარდები!

ბიჭი კარში რომ გაუჩინარდა, კაკო ფესტვენიძე მე მომიბრუნდა.

– ადამიანი, ბატონო, რომ მიეჩვევა სიგლახეს, მორჩა თურმე, მისი გადაჩვევა შეუძლებელი ყოფილა. კაი ხანია მას აქეთ, რაც აქ ჩამოვედი და ამ ქალს მოვკარი თვალი. მე ამნაირი რამ ჩვენში არსად მინახავს, ვფიცავარ იმ სამ ბავშვს. ამას რას ვხედავ, მე ვთქვი, ადამიანი საჭმელს სანაგვე ყუთში ეძებს, ამას რას მოვესწარი-თქვა და თმა დამიდგა ყალყზე. გავიკითხ-გამოვიკითხე, მითხრეს, ერთი უპატრონო ქალია, ზევით სოფელში ცხოვრობს, მაყვალა ჰქვია, ამ ქვეყანაზე ხელისგამომწოდებელი აღარავინ დარჩა მაგ უბედურს და ასე ცოდვილობსო. დღეს შიმშილით არავინ კვდება, ასე ვიცი მე და პატარა ქე დავტუქსე, ხომ იცი, აქაურები. არ გრცხვენიათ, მე ვუთხარი, ადამიანის ასე დაცემას უყურებთ-მეთქი? როგორც კი დაინახავთ აწი მაყვალას, მაშინვე დაუძახეთ, გააძღეთ, დააპურეთ და გაუშვით. არ დავინახო ადამიანისშვილი სანაგვეში იჩიჩქნებოდეს-მეთქი. ღვთის წინაშე, ცოდვას ვერ ვიტყვი, დაინახავენ თუ არა ამ ტერიტორიაზე ჩვენი თანამშრომლები მაყვალას, მაშინვე რესტორანში სთხოვენ შემობრძანებას. ერთი და ორი კაცის უფასოდ ჭმევა თუ არ შეგვიძლია, რა რესტორანი ვართ მაშინ. თუმცა თხოვნა არც კი სჭირდება, თვითონ მოდის ყოველდღე. თან რომ გადაყვე, სულ შემწვარ-მოხრაკული რომ აძლიო, ამოიღლიავებს მაინც ამ თავის ტომსიკას და სანაგვე ყუთებს ჩამოუვლის, არ მოიშალა ეს უბედური ჩვეულება, ხომ გაიგონეთ თქვენი ყურით, იმ ბიჭმა რომ თქვა, ამწუთას გავიდა აქედანო.

მაყვალასთან ღვთისავარმა მიირბინა, თითქმის ძალით მოაშორა სანაგვე ყუთებს და რესტორნის ჭიშკრისკენ წაიყვანა.

გუნება გამიფუჭდა, უგემურად ვისადილე. ერთ ბოთლს დავ-

ლევ და ცოტა ხანს მანქანაში გამოვიძინებ-მეთქი, მაგრამ არ გამ-ომივიდა, რული არ მომეკიდა. ერთხანს მაგნიტოფონი ჩავრთე, იქნებ სიმღერამ გულჯავრი გადამყაროს-მეთქი, რომ ველარ მო-ვისვენე. მანქანა დავკეტე და ფეხით ავუყევი აღმართს. ცოტა ხანში ესეც მომწყინდა, თავქვე დავეშვი და ისევ რესტორანს მი-ვაკითხე, ისევ იმ უბედურ დედაბერზე ვფიქრობ. თუ არ გავიგე, ვინ არის და რა ქალია, აქედან წამსვლელი არა ვარ.

ამბის ამბავი კაცმა არ უნდა დაიჯეროსო, ნათქვამია. მე თვითონ ვესტუმრები. მებუფეტემ ჯერ ეჭვის თვალით შე-მომხედა, რომ არ დავიშალე, ღვთისავარს უხმო.

– შორს რაიდ იქნების, ახლოს არს, წყაროსთან მარჯვნივ აიღეთ. სულ პირდაპირ იარეთ, საფიხვნოს მიადგებით, იქ ჩონ ბებრებ სხედან, იქ დააყენებთ მანქანას, იქედან კილომეტრ აღარ არის.

– ავა ჩემი მანქანა? – მანქანისკენ მივუთითე.

– რაიდ ვერ ავალს. გზები კარგია. აქედან სულ სამ კილო-მეტრ იქნების მაყვალაის სახლამდე!

თითქოს ახლა დაფიქრდაო, ამხედ-დამხედა და ღიმილით მითხრა:

– მაყვალაის ნათესავ ხარაა?

თავი გავაქნიე.

– სურათი უნდა გადაუღო? – ისევ გაეცინა. პასუხი აღარ გამიცია, კიბეზე დავეშვი და სანამ მანქანას დავძრავდი, კაკო ფესტვენიძეს და ღვთისავარს თვალი არ მოუცილებიათ.

სოფელს რომ გამოვცდი, კარგა ხანს ვიარე, სანამ მაყვა-ლას სახლამდე მივაღწევდი. ხევის პირას ცალკერძ დასახლებ-ულა. მოგეხსენებათ მთიულური სოფელი, მიჯრით მიწყობილი სახლებით, არც სოფლის ერთ მუშტად ყოფნის მიზეზს გავახ-სენებ განათლებულ მკითხველს. ვინ იყო ნეტავ ამ დედაბრის წინაპარი, თემს რომ განდგომია და ცალკე გასულა, წინაპარი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ძველთაძველი ქვიტკირის სახლი უდგას ფიქალით ნაშენი. ფიქალითვე შემორაგულ ეზოს ჭიშ-კარი არ ჰკიდია. მასპინძელო-მეთქი, დავიძახე თუ არა, ჩემ-კენ ოთხი ძაღლი გამოიქცა. დგანან და ზარმაცად მიყეფენ.

ვატყობ, ჩემს შეშინებაზე უფრო პატრონისადმი ერთგულების დამტკიცება უნდათ. ჯერ მე გამომხედავენ, მერე შებრუნდე-ბიან და სახლისაკენ ყეფენ უგულოდ, უგემურად. სამ-ოთხჯერ დავიძახე, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. ძაღლებმა (ჩვეუ-ლებრივი მურა ძაღლები იყვნენ, ოჯახის ძაღლს რომ ეტყვიან ჩვენში), მეც რომ ვერ გადამათქმევინეს განზრახვა და მაყვა-ლასაც რომ ვერ გააგონეს, ყურები ჩამოყარეს, უკანასკნელად შემავლეს თვალი, ავსულს არ უნდა ჰგავდესო, დაასკვნეს და ლაფაროში გაძუნძულდნენ.

კარგა ხანს ვიდექი, გაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ცნობის-მოყვარეობამ მძლია. ეზოში შევედი და სახლს მივუახლოვდი. ძველ, გამჭვარტლულ კარზე ცხენის ნალი ეკიდა. სახლიდან ხმა მომესმა. გავბედე და კარს მივაწექი. ჭრიალით მოღია-ვდა და ძველ ქართულ დარბაზში, სადაც ჭერიდან სინათლის ჩქერი იღვრებოდა, გასაოცარი სურათი წარმომიდგა: დარბაზი სავსე იყო კატებითა და ძაღლებით. კნუტები, ლეკვები, დედა ძაღლები, ხატაურა კატები და ფოცხვერისთვალება ხვადები. ამდენი ძაღლი და კატა გამოფენაზეც არ მინახავს. დარბაზის შუაგულში, კოთხოზე იჯდა დედაბერი, ჩანთიდან ამოღებული ნარჩენებით აპურებდა ცხოველებს და თანაც რაღაცას ტკბი-ლად და გაუგებრად ეჩურჩულებოდა. აი, თურმე რა უნდოდა რესტორნის სანაგვეში.

ჩავახველე. პატრონის გარდა, ყველამ მომაქცია ყურადღე-ბა, მაგრამ მათი ყურადღება მხოლოდ გამოხედვით დამთავრ-და. აქაოდა, ჩვენ სერიოზული საქმით ვართ დაკავებული და, თუ კაცი ხარ, ხელს ნუ შეგვიშლიო.

– არის აქ ვინმე?! – რაც ძალი და ღონე მქონდა დავიყვირე. დედაბერმა ძაღლებისა და კატების სმენადქცევის გამო მომაქ-ცია ყურადღება.

ნაოჭებადქცეული სახე, სხივჩამქრალი ბებრული თვალე-ბი. დიახ, თვალები ხომ ყველაზე ბოლოს ბერდება. მაყვალა თვალებიანად დაბერებულიყო. უპატიურ თავსაფარში ალაგ-ალაგ მოუჩანდა ჭუჭყისაგან გაყვითლებული, გაუხეშებული თმა. რომ ადგა და ჯორკო მომიჩოჩა, დავრწმუნდი, რომ წელ-ში გამართვა მისთვის შეუძლებელი რამ იყო. ძაღლ-კატები

მოიცილა, სალამზე არ მიპასუხა, სამზადში გავარდა და მაშინვე გამოტრიალდა. ხელებს გამურული ჩვრით იწმენდდა და თვალს არ მაცილებდა.

რამდენიმე უწყინარი ფრაზა კიდევ მოვახსენე და როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყურში სრულებით არ ესმოდა, უბის წიგნაკი ამოვიღე და დავუწერე: „რად გინდა ამდენი ძაღლი და კატა, ქალბატონო?“ ქაღალდი ამოვხიე და გავუწოდე. გამომართვა, მაგრამ არ დაუხედავს, ხელის გამოწვდისთანავე მიპასუხა:

– კითხვა არ ვიცი.

ჩემს ცხოვრებაში ეს ერთი ქალიც გამოუცნობ არსებად დარჩებოდა, რომ თვითონვე არ ალაპარაკებულიყო:

„რაი გიკვირს, შვილოსან? ჩემ სიბერე გიკვირან თუ ამ ძაღლ-კატამ შეგაფიქრიანასთ? ესენიც რომ არა მჰყავდნენ, ცოცხლივ სამარეში ვიქნებოდი. რაი არს სახლი უკაცოდ და მთაი უბალახოდ. ჩემ საზრუნავ ესენია. ზამთარში ესენი მითბობენ გაყინულ ძვლებსა, ზაფხულში ესენი მაძლებინებენ უფსკერო დღეებსა. ჩემი ენა ესმითყე, ბღარტებივით მიჯერებენ. სხვაგან თუ მონახამ ძაღლებ და კატებ ასრე დან-ძმურად ჰყოფილიყვან? ერთიმეორეს არ აწყენინებენ. ასრე გამიზრდია და იმიტომ. ყველაფერი გაზრდაი ყოფილა. უბედური მაყვალაი. გიჟი ნუ გეგონებავ. უცხოთ ჩანხართ, ეს ამბავ ნუ გაგიკვირდებისთ. ღმერთის ნებაი არს ყოლიფერნ. ამ ხელებმა შვიდ შვილ გაზარდის, არც ერთი არ შემარჩინის კაცმა და ღმერთმა, ღმერთმა და კაცმა, დაილოცოს ორთავეს სამართლი. ქმარი იმ ომში მომიკვდის. წავრიდა, აღარც წერილი, აღარც ხაბარი, უკანაც არ მაუხედავს. სამოცდაათი წელია მას უკან. ტყვიას რომ არ მაეკლა, ახლა თავის სიკვდილითაც მკვდარ იქნებოდის. სამ შვილ იმ ომში დავკარგის, მეოთხეს ცხენ დაუგორდა გუდამაყართან, კვირის თავზე მის ცოლ მშობიარობას გადაჰყვის. მეხუთე სახადმა ამოსწყვიტის ცოლ-ნაგრამიანად. მეექვსე ალპინისტებ გზას ასწავლიდის და სწავლებაჩი ისე გაერთვის, ყინულ ჩაუტყდის გერგეტის კალთაზედ. ოცდაათი წელია ვერავინ მამიძებნის, ვაი მის დედას. ნაბოლარა ძმაკაცის ქორწილს გადაჰყვის. მას უკან ოც გაზაფხულ იქნების, გაიგონებდით კენწლაობაში დამბაჩით რომ კაცი მოჰკლის. ხუმრობა-ხუმრობით მაჰკლესაო. გაზეთშიც დაიწერის. მე მის დაჭერა რაიდ მენდომებოდის, ჩემ შვილ კი ვერავინ გამიცოცხლებდის.

ეგრე არს, შვილო, დასაბამითგან: ღმერთი კაცზე ნადირობდის, კაცი კაცზე ნადირობდის, სახადი კაცზე ნადირობდის, ფათერაკი კაცზე ნადირობდის – სიცოცხლის მტერი ყველაყაა. ჩემზედ დატრიალდის ყოლიფერი. მარტო რომ დავრჩი, ერთი გზობა ვიფიქრე, ათას ობოლ და უპატრონო არს, ერთა ვისმე მივიყვან და გავზრდი-მეთქი. მაგრამ ვეღარ გავბედე, შემეშინდის. ამ სახლიდგან გატანილ კუბოებმა თვალი დამიყენა.

ამ ძაღლებ და კატებ ვაყოლებ გულს. ესენი თითქოს ღვთისაგან დაცულნი არიან. არც სახად ემართებათ, არც ერთმანეთს ხოცავენ. არც ლაშქარში ეძახიან და არც თემობაში. ესენი უფრო საიმედოდ მეჩვენებიან. სიკვდილთან თამაში მომბეზრდის. მკვდრის ცქერა მომწყინდის. ადამიანებ მძულან. რაიდ და ყველანი სიკვდილისთვის შობილნი, ჭირისთვის შობილნი, ცრემლისთვის შობილნი არიან. მაყვალაი გიჟად არ ჩამთვალო, შვილოსა. მზის მადლმა, მართალს ვამბობ. ჩემ გამტყუნება შენგან ადვილია, ჩემ განსჯაც ადვილ არს. ჩემს დღეში მყოფმა გამასამართლოს, მან იცის, რაი არს სიკვდილი“.

მეტი აღარაფერი უთქვამს. ყურთასმენა კიდეც რომ ჰქონოდა, რა უნდა მეკითხა, კაცმა რომ თქვას. ერთხანს მიყურა, მერე ზურგი შემაქცია, დარბაზის შუაგულისკენ წალასლასდა. ჩანთას ხელი დაავლო და ძაღლ-კატები ისევ შემოისია.

...თვალცრემლიანი ვეშვები ფასანაურისკენ. მაყვალას ნაამბობით ხომ თავი მისკდება, უფრო ის მაღიზიანებს, რომ მთელ ამხელა გზაზე თვალიდან ვერ მოვიცილე ერთი სურათი: ჩვენ გვერდით სადარბაზოდან ხელკავით გამოსული უშვილო ცოლ-ქმარი. თეთრი, ფუმფულა, ბეწვხუჭუჭა ძაღლით ხელში. ვერავითარ კავშირს ამ სურათსა და მაყვალას ბედთან ვერ ვხედავ. მაინც თითქოსდა განგებამ მომისაჯაო, როცა მთიელი დედაბრის ტრაგედიაში აზრის ნათელ ბილიკებს ვიპოვი, ერთბაშად ყველაფერი იშლება და სადარბაზოდან ისევ გამოდის ცოლ-ქმარი სათუთად მოვლილი, თეთრი, ფუმფულა, ხუჭუჭა ბეწვისაგან თავპირშეჭმული ძაღლით ხელში.

უბრალონი?!

ქალაქ ბაგრატეულში სამოცდაათამდე საშუალო სკოლაა და არც ერთი რვაწლიანი. ორმოცდამეხუთე საშუალო სკოლის დირექტორი, უკანასკნელ დრომდე, გახლდათ თედო შარიქაძე. ოცი წელი დირექტორობდა სკოლას და ახლაც ამ თანამდებობაზე იქნებოდა, ისეთ სერიოზულ მიზეზს რომ არ შეეშალა ხელი, როგორიც გახლავთ – გარდაცვალება. თედო შარიქაძე მიოკარდის ინფარქტმა იმსხვერპლა. არ იყო დიდი ხნის, ორმოცდაათს შარშან გადაშორდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფარქტი საუკუნის ყველაზე მოდური დაავადებაა, თედოს სიკვდილი ყველას გაუკვირდა. რაღა სკოლაში, თავის კაბინეტში, გაუსკდა გული მაინცდამაინცო, ხშირად გაიგონებდით ქალაქ ბაგრატეულში, განსაკუთრებით, თედოს გარდაცვალების პირველ კვირას. ცნობისმოყვარე ნაცნობებს ავიწყდებოდათ, რომ ინფარქტი უფრო ხშირად მეჭარხლეებს ბოსტანში ემართებათ, მექისეებს აბანოში, ხოლო ლოკომოტივის მემანქანეებს გაქანებულ მატარებელში. ამიტომ, ლოგიკა თუ სადმეა, თედო შარიქაძეს, თუ საინფარქტოდ ჰყავდა ღმერთს განწირული, სწორედ სკოლაში, თავის კაბნეტში, უნდა წვევოდა ეს საშინელი სენი. მაგრამ რაკი უმიზეზოდ არაფერი ხდება, თედოს სიკვდილის მიზეზსაც დაუწყეს ძებნა და ამაზეც ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. რა არ ითქვა; აქაოდა, რევიზიამ აუწეწა ნერვებიო, აქაოდა, ჯილდოზე იყო წარდგენილი და უარი უთხრესო, აქაოდა, უფროსი ქალიშვილი ქმარს გაშორდა, იმას დარდობდაო... ხომ იცით, ქვეყანა ჭრელია. ვიღაცამ გაკვრით ისიც თქვა: ძმებმა კაკაურიძეებმა შეურაცხყოფისათვის სასამართლოში უჩივლეს და უკეთეს შემთხვევაში მოხსნით მაინც მოხსნიდნენ სამსახურიდან, მოწაფის მშობლებთან უტაქტო დამოკიდებულებისათვისო. ეს მიზეზი ქალაქმა ყველაზე ნაკლებ დაიჯერა; ჯერ ერთი, თედო შარიქაძე შაქარივით ტკბილი კაცი იყო და მშობელს

კი არა, მოწაფესაც არას ეტყოდა ხმამაღლა. მეორეც, ძმები კაკაურიძეები ბაგრატეულში ცოტამ იცოდა, რადგანაც სულ რაღაც ოთხი-ხუთი წლის ჩამოსახლებულები იყვნენ გოდოგნიდან. ნინოშვილის ქუჩაზე, ვექილ წიფურიას სახლი შეეძინათ და ცოლშვილიანად (თითო ბავშვი ჰყავდათ) ორივე ძმა ერთად ცხოვრობდა. და რაკი კაკაურიძეები ცნობილნი ჯერ არ იყვნენ, მათს შესახებ ჭორიც არ გავრცელდა. ქალაქს რაღაცად უნდა უღირდე, რომ შენზე იჭორაოს.

ინფარქტი ისეთი წყეული სენია, რომ ხარივით ჯანმრთელსაც ბევრს დამართნია, სრულიად უსაბუთოდ და უსაბაბოდ, მაგრამ კაკურიძეებსა და დირექტორს შორის მართლაც მოხდა პატარა უსიამოვნება. სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს, გიამბობთ და თქვენვე განსაჯეთ; უდევთ თუ არა წვლილი თედო შარიქაძის სიკვდილში ორ ძმა კაკაურიძეს, რომელთაგან უფროსი – კაკო ჯამ-ჭურჭლის გამქირავებელი პუნქტის გამგეა, ხოლო გოჩა კინოსტუდიაში უმცროს მხატვარ-გამნათებლად მუშაობს.

წლეულს, თორმეტ ივნისს სკოლის დირექტორს – თედო შარიქაძეს განცხადებით მიმართა კაკო კაკაურიძემ; ჩემს შვილს – თამარ კაკაურიძეს ექვსი წელი შეუსრულდა და გთხოვთ, მოსამზადებელ ჯგუფში (ნოლ კლასს რომ ეძახიან) ჩარიცხოთო. თედო კარგ ხასიათზე იყო იმ დღეს და ჰკითხა: ვის კლასში ჩავრიცხოო. როგორ ვის კლასშიო? კითხვა ვერ გაიგო კაკომ. – მოსამზადებელზე სამი მასწავლებელი გვყავს – წულაძე, საბანაძე და კვაშალი. თქვენ ვისთან გირჩევნიათო. რომელიც უკეთესია მათ შორის, თუ კაცი ხარ, იმასთან ჩამირიცხეო, აბა, სხვას რას ეტყოდა კაკო. სამივე კარგია, მაგრამ რატომღაც ყველას ნორმა კვაშალთან უნდა ბავშვის მოხვედრებაო, საიდუმლო გასცა დირექტორმა. ჰოდა, თქვენი ჭირიმე, კვაშალთან ჩამირიცხეო, შეეხვეწა ჯამ-ჭურჭლის გამქირავებლის პუნქტის გამგე. ხომ გითხარით, დირექტორი იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო, თანაც თორმეტი ივნისი გახლდათ (კლასები ჯერ არ იყო დაკომპლექტებული) და თედო შარიქაძემ განცხადებას ირიბად დააწერა – „თამარ კაკაურიძე ჩაირიცხოს ნორა კვაშალის ჯგუფში“.

შვიდ ივლისს დირექტორს მეორე ძმა – გოჩა კაკაურიძე ეახლა განცხადებით მისი ექვსი წლის ვაჟის ბახვა კაკაურიძის მოსამზადებელ ჯგუფში (ნოლ კლასში) ჩარიცხვის თაობაზე. დირექტორმა განცხადება დაიტოვა და გოჩა გააფრთხილა, ოცდახუთ ივლისს გამოცხადდით და შეიტყობთ, რომელ ჯგუფში იმეცადინებს თქვენი ვაჟიო. გოჩამ მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. დირექტორსა და მშობელს შორის მეტი არაფერი თქმულა. ნორა კვაშალის შესახებ არც გოჩამ იცოდა რაიმე და ამიტომაც მისთვის სულერთი იყო, ნოლ კლასს რომელი მასწავლებლის ხელში გაივლიდა მისი პირმშო – ბახვა კაკაურიძე.

ოცდახუთ ივლისს გოჩა კაკაურიძის მეუღლე – ტასო გულგახეთქილი დაბრუნდა სკოლიდან.

გ ო ჩ ა – რა მოგვიდა?

ტ ა ს ო – რაღა რა მომივიდა, გოჩა. კაცი საკუთარ სახლში საკუთარ შვილზე ტყუილს ამბობდეს შეიძლება?

გ ო ჩ ა – რა მოხდა?

ტ ა ს ო – რაღა რა მოხდა. რამდენჯერ გკითხე, ჩარიცხულია ბახვა-მეთქი? კიო. მიდი ერთხელ კიდევ, გაარკვიე კარგად-მეთქი. არ გეუბნებოდი? მითხარი, არ მითქვამს?

გ ო ჩ ა – რა მოხდა, არ მეუბნები?

ტ ა ს ო – რაც ხდება საერთოდ, ის მოხდა ახლაც. თამრიკო თავიდან წულაძის ჯგუფში ყოფილა ჩარიცხული და ბახვა – კვაშალთან. მიბრძანებულა შენი ძმა და თამრიკო კვაშალთან ჩაურიცხინებია და ბახვა – წულაძესთან გადაუყვანიათ.

გ ო ჩ ა – ვინაა კვაშალი ან წულაძე? პირველად მესმის.

ტ ა ს ო – შენ პირველად გესმის ყველაფერი ამ ქვეყანაზე. კვაშალი სამაგალითო მასწავლებელი ყოფილა. მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს, წულაძეც არ ყოფილა ცუდი, მაგრამ რატომ უნდა გაეკეთებინა ეს კაკოს ჩვენთვის?

გ ო ჩ ა – ორივენი ერთ კლასში უნდა ყოფილიყვნენ, ერთმანეთს წაეწეოდნენ. ასე არ დავთქვით?

ტ ა ს ო – ჩემი არ გეყურება? დათქმა კი არა, გადაუგდია ჩვენი ბავშვი და მის ადგილზე თავისი მიუღებინებია შენს ღვიძლ ძმას. არ შედის შენს ყურში ეს ამბავი?! (ტასომ ხმას აუწია)

გ ო ჩ ა – სსს... ჩუმად, გაიგონებენ. ვინ გითხრა, რომ კაკოს გაუკეთებია ეს ამბავი?

ტ ა ს ო – არ უთხრა არავის და საქმეთა მმართველია იმ სკოლაში ვერას გოგო, მამაჩემის მეზობლად ქვრივი ქალი რომ ცხოვრობდა. იმან მითხრა, თავიდან თქვენი ბავშვი კვაშალთან იყოვო, არ გამცეთ, თორემ მომხსნის დირექტორი იმ დღესვეო.

გ ო ჩ ა – ტყუილი იქნება ეს ამბავი. ვერას გოგოს წაქუსქუსებით დადიხარ ამხელა ქალი?

გ ო ჩ ა – მერე? არ უთხარი დირექტორს?

ტ ა ს ო – ვინ მალაპარაკა. იქ ქვეყნის მშობლები ირეოდნენ. ქალბატონო, მე არ ვიცოდი, თქვენ თუ კვაშალთან გინდოდათო. თქვენმა მეუღლემ განცხადება რომ მომიტანა, კვაშალზე არაფერი უთქვამს. წულაძე შესანიშნავი სპეციალისტიაო. ახლა ჯგუფები შევსებულია და ამ საქმეს არაფერი ეშველებაო.

გ ო ჩ ა – სწორი უთქვამს, მე კვაშალის გვარი ახლა შენგან გავიგე.

ტ ა ს ო – მერე? რაღაც იღბლად, თუ ღმერთის ნებით ბახვა კვაშალთან ჩაურიცხავთ და კაკოს ეს უნდა ექნა ჩვენთვის?

გ ო ჩ ა – რა?

ტ ა ს ო – რაც გითხარი, არ შეუშვი ყურში ხომ? შენ არ ხარ ამ ბავშვის მამა? ჩვენი უყურადღებობით უნდა დავჩაგროთ ბავშვი თავიდანვე? შენი ძმის ხუშტურებს უნდა ვამსხვერპლოთ ერთადერთი შვილი? ახლა ეყრება საფუძველი ყველაფერს. ნოლ ჯგუფშივე რომ წიგნს შეიძულებს, მერე ისწავლის რამეს?

აქ ქალბატონმა ტასომ ტირილი დაიწყო.

იმ საღამოსვე გოჩა კაკოსთან ავიდა. ძმებს თოფურიას სახლი შუაზე ჰქონდათ გაყოფილი. პირველ სართულზე გოჩა ცხოვრობდა, კაკო – მეორეზე.

პუნქტის გამგე ახალდაბრუნებული იყო სამსახურიდან, სადილობდა.

– მარგო! – გასძახა მასპინძელმა სამზარეულოს, – ის გულღვიძლი მოწვი ერთი ტაფაზე. გოჩა მოვიდა!

– გამარჯობა, გოჩა. – მოისმა სამზარეულოდან.

– გაგიმარჯოს. – უპასუხა გოჩამ და დააყოლა, – არ მინდა, გოგო, არაფერი. ამ წუთს ვისადილე, სკამი გამოსწია და დაჯდა.

– როგორაა, გოჩა, საქმეები? – კაკოს დღეში შვიდჯერ რომ ენახა ძმა, შვიდჯერვე ამ კითხვას მისცემდა.

– რავა იქნება, – გოჩამ „ბორჯომი“ დაასხა და დალია, – არ იცი ჩემი იღბალი? გემი რომ მაჩუქოს ვინმემ, ზღვა დაშრება.

– ხომ არაფერი გიჭირს, ბიჭო? – კაკომ მოკბეჩილი ბოლოკი ღრანჭებში გააჩერა.

– ისეთი არაფერი.

ერთხანს სდუმდნენ.

– სკოლაში მიდიან, აბა, ჩვენი ბავშვები? – გოჩამ მაგიდაზე თითები აათამაშა და ძმას შეხედა.

– აბა, რა მალე გავიდა დრო, – კაკომ წყალგარეული ღვინო დაისხა.

– ტასო იყო დღეს სკოლაში, – გოჩამ განზე გაიხედა.

– დღეს იყვნენ ხომ დაბარებულები? მარგო! – კაკომ ისევ სამზარეულოს გასძახა, – დღეს ტასო სკოლაში ყოფილა, რატომ არ წახვედი შენ?!

– ხვალ მივალ, რაია საჩქარო! – მოისმა სამზარეულოდან.

– კაკო, – გოჩამ ფეხი-ფეხზე გადაიდო და ისევ განზე გაიხედა, – თამრიკო ვის ჯგუფში ჩაარიცხვინეთ?

– რა ვიცი, ვიღაცა კვაშალიაო, დირექტორმა. ყველას ის ქალი სჯობიაო, ვითომ. ბახვაც იქ არ არის?

– არა. ბახვა სხვა ჯგუფშია, მაგრამ მაგას არა აქვს მნიშვნელობა – გოჩამ ოხრახუშის ღერო აიღო, დაატრიალა და დადო.

– რას ჰქვია, მნიშვნელობა არა აქვს. ბიძაშვილები აბა, ცალცალკე იქნებიან? ვერ უთხარით მერე? არ გქონდათ პირში ენა?

– ტასომ თქვა, თამრიკო კვაშალთან არისო და ჩვენი ბავშვი წულაძესთან მოხვედრილა.

– ვისთან?

– წულაძე ყოფილა სხვა მასწავლებელი. ცუდი არც ის არისო, მაგრამ რატომ უნდა მომხდარიყო ასე? – გოჩას ამ სიტყვებზე სამზარეულოდან მარგო გამოვიდა და მკლავებწაკაპიწებული კარებში გაჩერდა.

– თქმა უნდოდა თავიდანვე. ჩვენც როგორ გამოგვრჩა მხედველობიდან, მაგრამ საბუთები, გოჩა, თქვენ ჩვენს მერე არ მიიტანეთ? მაშინვე უნდა გეთქვათ, ესენი ღვიძლი ბიძაშვილები არიან და ერთად გვინდა ბატონო-თქვა.

– მივალ და იმას ვიზამ ხვალვე. ან ჩვენსას გადმოვაყვანიებ აქეთ, ან თქვენსასაც გადავაყვანიებ კვაშალთან, – თქვა კაკომ.

– ახლა შევსებულია კვაშალთან ადგილები და ვერაფრით ველარ ვიზამ მაგ საქმესო, ტასოსთვის უთქვამს დირექტორს, – გოჩას ხმაში გაბრაზების სიმი გაკრთა.

– მაგათ ასე იციან თქმა. უსაშველოა ახლა ვითომ? – დოინჯი გაიკეთა მარგომ.

– კაკო, – გოჩა თავის თითებს დასცქეროდა, - თავიდან კვაშალთან იყო თამრიკო?

– რას ჰქვია თავიდან? – კაკომ მწნილიანი თეფში განზე გასწია.

– რომ მიხვედი პირველად სკოლაში, იცოდი, კვაშალი ვინ იყო?

– რა ვიცოდი თავიდან კვაშალი მე? დირექტორს ვკითხე, რომელიც უკეთესია, იმასთან ჩამირიცხე-მეთქი.

– და კვაშალთან ჩავრიცხავო იმან გითხრა?

– ჰო, რავა, რა იყო.

– არაფერი... ისე... – გოჩა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

– შენ რაღაც არეულად ლაპარაკობ დღეს. – უფროს ძმას ჭიქა ხელში შეაცივდა, – რაღაც გაწუხებს, ვერ იტყვი პირდაპირ?

– არაფერი არ მაწუხებს მე და არ ვარგა ასე.

– რა არ ვარგა, ბიჭო, შენ ხომ არაფერი დაგსიზმრებია წუხელის?! – კაკომ ხმას აუწია.

– არ უნდა მომხდარიყო ასე. ამას ვჩივი მე. ჩვენ შორის შენი ბავშვი და ჩემი ბავშვი არ უნდა იყოს.

– არ გრცხვენია, გოჩა, შეენ? – ლაპარაკში მარგო ჩაერია, – რა შენი ბავშვი და ჩემი ბავშვი, შე კაცო?

– გაჩუმდი, ქალო, შენ! – კაკო წამოდგა და ძმას მიუახლოვდა, – სრულ ჭკუაზე ხომ ხარ, ძმაო, შენ? ესე იგი ჩემი ბავშვი ჩავარიცხვინე კვაშალთან და შენი ამოვარიცხვინე? თუ რაის თქმა გინდა. გამაგებინე ერთი კაცურად.

– არაფერი, არაფერი, ბატონო. გითხარი რამე? მე უბრალოდ გკითხე, მაინტერესებდა. გაბრალებ რამეს? თქვენ კარგად იყავით და თუ ასეა სულ არ გავაჩერებ მაგ სკოლაში. მაგაზე გაწყენინებ უფროს ძმას?

გოჩა შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

– მოიცა, ბიჭო, მე შენ გელაპარაკები! – მიაყოლა კაკომ, მაგრამ ძმა უკვე კიბეზე ჩარბოდა.

– ა, სულელი! თუ გინდა! – ხელები გაშალა კაკომ და ცოლს შეხედა.

ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ მარგო ჩავიდა მაზლის ოჯახში და თითქმის ამის მსგავსი საუბარი ჰქონდა ტასოსთან. ტასო პირდაპირ ბრალს არ სდებდა, მაგრამ მიანიშნებდა, რომ თითქოს ყველაფერი იცოდა ამის შესახებ, თუ როგორ გადარიცხეს მისი ბახვა კვაშალის კლასიდან წულაძის კლასში.

მეორე დღესვე გავარდა კაკო სკოლაში. სკოლის დირექტორს პედსაბჭო დაემთავრებინა და დაღლილს სახე ჰაერმწმენდისთვის მიეშვირა.

– ბატონო თედო, – უფროსი ძმა კაკაურიძე კარში გაჩერდა.

– მობრძანდით. – თედომ ვერ გაიხსენა, სად ენახა ეს კაცი.

– მე თქვენი მოწაფის მშობელი ვარ, ნოლ ჯგუფშია ჩემი გოგო, თამრიკო კაკაურიძე, კვაშალთან.

– მერე, ოქრო მასწავლებელთან მოხვედრილა. შემჭამეს პირდაპირ. რომ იცოდეთ, რა ამბავი იყო დღეს პედსაბჭოზე. ოცდახუთი განცხადება მაინც მაქვს აგერ უჯრაში. ყველა კვაშალთან გადაყვანას მოითხოვს.

– პატივცემულო თედო, – კაკომ თავზე ხელი ჩამოისვა, – მე თქვენი ისეთი მადლობელი ვარ, მეტი რომ არ შეიძლება, მაგრამ იმისი არ იყოს, თქვენმა სიკეთემ გამათამამა და უნდა გთხოვოთ, მეტი გზა არა მაქვს.

– ბრძანეთ, ბატონო, – თედომ ჰაერმწმენდის ღილაკს თითი დააჭირა.

– ჩემი ძმიშვილი შემოვიდა წლეულის თქვენთან ნოლ ჯგუფში კიდევ. ორი ძმები ვართ, ბატონო, ჩვენ.

– მერე?

– ის წულაძესთან მოხვედრილა და...

– გადმოვიყვანოთ ახლა კვაშალთან?

– თუ არ გეწყინებათ, ბატონო.

– არაფრით არ გამოვა, ჩემო კარგო, ახლა ეგ. ველაპარაკე მე, რძალი იყო ალბათ თქვენი. ტაქტის ამბავია. ჯერ წულაძე რას იტყვის, სწავლა არ დაწყებულა და ან ჩარიცხვა რა იყო, ან გადაყვანა რა არისო. მეორეც – კვაშალთან უკვე არც ერთი ადგილი აღარა მაქვს. და მესამეც – ეგ ერთი რომ გავაკეთო, უნდა დავიხურო ქუდი და წავიდე ამ სკოლიდან. იცი რა ამბავს ამიტეხავენ სხვა მშობლები? რატომ კაკაურიძის ბავშვი გადაიყვანეთ კვაშალთან და არა ჩვენიო. გესმით ახლა ეს ამბავი?

– როგორ არ გვესმის, ბატონო, მაგრამ თუ არ დაგვაკარგვინებ ძმებს ერთმანეთს, კარგს იზამთ!..

– კაი ახლა, შე კაცო. დავიჯერო ახლა ასე სუსტი ძაფითაა ნაკერი თქვენი ძმობა? – თედომ ხელები გაშალა და სავარძელს გადაეყრდნო.

– არ იცით თქვენ, ბატონო. ჩემს რძალს გაუხელებია ჩემი უმცროსი ძმა, ვითომ მე მეთქვას თქვენთვის, ბავშვებს ერთ ჯგუფში ნუ მოახვედრებთ-თქვა.

– არ გეწყინოს და გლახა ენის რძალი გყოლია.

– ეგ კიდევ არაფერი. ვითომ თავიდან ჩემი ბავშვი წულაძესთან ყოფილიყოს. ვითომ მე მოვსულიყო თქვენთან და ჩემი ბავშვი აქეთ გადამეყვანოს და ჩემი ძმისა იქეთ.

თედო მოიღუშა.

– არა გქონია სახუმროდ საქმე. მერე შენი ძმა ასეთ კაცად გიცნობს? ეგ რომ უთხრა, არ დატუქსა თავისი ცოლი?

– ეგ კი არა, მე დამიწყო წუხელის დაკითხვა. მომიყევი ერთი რანაირად მოხვდა თქვენი ბავშვი კვაშალთან და ჩემი წულაძესთანო, – კაკოს მართლაც შეწუხებული სახე ჰქონდა და თედოს ეჭვის ნაპერწკალიც გაუქრა.

– თქვენი სახელი, ჩემო კარგო?

– კაკო, ბატონო.

– ჩემო კაკო, პატარა ხანს უნდა მოვითმინოთ, სხვა გზა არ არის. ჩაიაროს ამ სექტემბერმა. მიწყნარდეს პატარა ეს ხალხი და გაძლევ პირობას, რომ ოქტომბრის დასაწყისში გავაკეთებ მაგ საქმეს. ერთი ბავშვის დამატების საშუალება ახლაც მაქვს, რომ არ დაგიმალო, მაგრამ ხომ გითხარი, ხსვები ჩამომახრჩობენ.

– მაშინ, ერთ რამეს გთხოვ, ბატონო თედო, – კაკომ ისევ ჩამოისვა თავზე ხელი, – ჩემი გოგო, თამრიკო კაკაურიძე, გადაიყვანე წულაძესთან და ბარეღამ ერთად იქნებიან. ნუ ალაპარაკებ ჩემს რძალს, შემოგევლე.

– რა იყო, შე კაცო. ასე დაგაშინა ამ რძალმა? ერთ თვეს ვერ გაძლებენ? – ცოტა არ იყოს ეწყინა თედოს, – უთხარი, პირობა მომცა იმ კაცმა, ერთ თვეში გადაიყვანს-თქვა. მე მგონი შენკენ ვარ. არ არის ასე?

კაკოს მეტი არაფერი უთქვამს. ბოდიში მოუხადა დირექტორს და დაფიქრებულმა გამოაბიჯა.

ოცდარვა აგვისტოს შეკეთებული მერხები ჯერ კიდევ არ იყო მოტანილი სკოლაში და დირექტორი ნერვიულობდა. მუდარისა და მუქარის სიტყვებს ჩასძახოდა ყურმილს, როცა მასთან ტასო შევიდა. თედომ მარცხენა ხელით სკამზე მიუთითა და ტელეფონზე ლაპარაკი რომ დაამთავრა, შემოსულს გაანდო თავისი აღშფოთება.

– ხვალ-ზეგ პირველი სექტემბერია. ვერ ვიპოვე ინსტანცია ჯერ ამხელა ქვეყანაზე, რომელიც პასუხს მოსთხოვს სარემონტო კანტორას, სკოლა რატომ დააღალატეო. გინახავთ ასეთი რამე? პასუხისმგებელი, კაცო, არავინ არაფერზე არ უნდა იყოს? მთელი ზაფხული იქ ეყარათ მერხები და ხელი არ ახლეს. კერძო შეკვეთებს იყვნენ გადაყოლილი. ახლა მოკიდეს ვითომ ხელი. ორი კაცი შეძლებს ამხელა საქმეს? სკოლის საქმე მუქთი საქმეა

და არ უნდა არავის. ვისაც არ დავურეკე დღეს, რა ვქნა მეო, ყველამ ასე მიპასუხა. მე რა ვქნა, გეკითხები, ქალბატონო? სად დავსვა ბავშვები პირველ სექტემბერს რომ მოვლენ სკოლაში.

ტასომ თქმით არაფერი თქვა, მაგრამ გულის სიღრმეში გაეხარდა, რომ დირექტორმა გულისტკივილი გაუზიარა. გოჩა კაკურიძის მეუღლეს ახლა მერხები ნაკლებად აინტერესებდა.

– გისმენთ, ქალბატონო.

– მე... ისა... გუშინწინ ვიყავი თქვენთან, კაკაურიძის დედა ვარ. კვაშალთან ბავშვის გადაყვანის თაობაზე, თუ გახსოვთ, – ტასო კაბის ქამარს ნერვიულად ათამაშებდა და დირექტორს არც კი უყურებდა.

– ხომ ვუთხარი გუშინ თქვენს მაზლს, ქალბატონო. ეს ერთი თვე მაცალეთ და გადავიყვან-მეთქი. რა არის, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს არ ენდობით, თუ მე გგონივართ მატყუარა, ვერ გავიგე, ახლა ვერაფრით ვერ გავაკეთებ მაგ საქმეს...

– პატივცემულო, – ტასომ სიტყვა გააწყვეტინა დირექტორს, – მე ახლა მაგ საქმეზე არ მოვსულვარ, თუ გინდათ, სულ ნუ გადაიყვანთ. რა მოხდა, კაცმა რომ თქვას, იყოს იმ წულაძესთან, რა ვუყო ახლა. მე სხვა რამ მაინტერესებს.

– ბრძანეთ, ქალბატონო.

– ჩემი მაზლი თქვენთან ივნისში იყო პირველად?

– არ მახსოვს, კი, მგონი.

– მაშინვე ჩარიცხეთ თქვენ მისი გოგო კვაშალთან?

– მაშინ მქონდა საშუალება, ქალბატონო. მითხრა იმ კაცმა, კვაშალთან მინდაო და არ ვაწყენინე. თქვენც რომ დროზე გეთქვათ, სანამ შეივსებოდა, თქვენსასაც იმასთან ჩავრიცხავდი. ნეტავი არ მუშაობდეს ეს ოჯახქორი კვაშალი სულ ამ სკოლაში.

– ბატონო თედო, ტასოს ლოყებზე ერთბაშად წაეკიდა ალმური. – მერე თუ იყო კაკო თქვენთან?

– ვინ კაკო?

– ჩემი მაზლი.

– არა, გუშინ ვნახე მეორედ.

– გაიხსენეთ, აბა, კარგად. ჩემი ბიჭი – ბახვა კაკაურიძე რომ შემთხვევით კვაშალთან იქნა ჩარიცხული. არ მოვიდა კაკო და არ გთხოვათ, თამრიკო ჩამირიცხე კვაშალთან და ბახვა – წულაძეს მიაწერეო?

– არა, არ ყოფილა მაგისთანა შემთხვევა, ქალბატონო.

– კარგად გაიხსენეთ, ძალიან გთხოვთ.

– რა გავიხსენო, რაც არ ყოფილა.

ტასომ ქამარს ხელი უშვა და დირექტორისაკენ გადაიხარა.

– ჩვენ შორის დარჩება, ბატონო. ვფიცავ იმ ერთ შვილს, ამ ოთახიდან არ გავა ეს ამბავი. მარტო მე მითხარით.

თედოს სიბრაზისაგან ყელში ბურთი მოაწვა და სუნთქვა გაუძნელდა.

– რა დაკითხვას მიწყობთ, ქაობატონო! რა საიდუმლო გაგანდოთ? ტყუილი გითხრათ? რაშია საქმე? თქვენ რაღაცაზე ვერ მორიგებულხართ ოჯახში და მე მჭამთ? როგორ ფიქრობთ ახლა, მეტი საქმე არაფერი მაქვს მე?!

– რა იყო ბატონო, რა გაყვირებთ? – ტასო წამოდგა და კედელზე მიჩურინის სურათს შეხედა.

– ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, მაგრამ თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემ მდგომარეობაში, – თედომ ნერვები დაიოკა, – გითხარით წესიერად, აგიხსენით. თქვენი მაზლი ადრე იყო, ივნისში და მთხოვა ბავშვი კვაშალთან მომიხვედრეო. მერე აღარ მოსულა, რაზე უნდა მოსულიყო? გუშინ მოვიდა და მეხვეწა: ნუ მიწყენინებ ჩემს ძმა-რძალს, იმათი ბავშვიც კვაშალთან ჩამირიცხეო. არ მქონდა საშუალება და უარი ვუთხარი. რაში ვარ მე დამნაშავე, ვერ გავიგე.

– თქვენ ასე ყვირილით ელაპარაკებით ყველა მშობელს?! – ტასო აიმრიზა.

– ყვირილი რა შუაშია. ცოტა ხმას ავუწიე და ბოდიში მოგიხადეთ. რა ვქნა მეტი, ქალბატონო.

სტუმარს მეტი არაფერი უთქვამს, შეტრიალდა და კარი გაიჯახუნა. კარის გაჯახუნება გამოქვაბულის პერიოდიდან არ მოდის. იგი ადამიანებმა უფრო გვიან ისწავლეს, მასპინძლის მიმართ უპატივცემულობის გამოსახატავად.

ოცდაცხრა აგვისტოს დირექტორის კაბინეტში უმცროსი მხატვარ-გამნათებელი გოჩა კაკაურიძე იჯდა და ხელისგულს ისრესდა.

– ბატონო, ხომ ავუხსენი გუშინ თქვენს მეუღლეს ყველაფერი. ცოტა გამიგულისდა კიდეც. ეს იყო, რაც იყო, მეტი არაფერი ყოფილა ჩემსა და თქვენს ძმას შორის.

– ჩემი მეუღლე სხვა არის, პატივცემულო. ქალია მაინც, რაც არ უნდა იყოს. მე ძმა ვარ და ჩემთვის მინდა ვიცოდე. თუ წინ დაგხვდეთ ეს ნათქვამი, კაცი არ ვიყო.

– რა გინდა, გამაგებინე? – თედო გრძნობდა, რომ წონასწორობას კარგავდა.

– ხომ იყო თავიდან ჩემი ბავშვი კვაშალთან.

– ვინ გითხრათ?

– მე გეკითხებით, ისე, ჩემთვის მაინტერესებს.

დირექტორი წამოდგა. კარადასთან მივიდა. საქაღალდე გამოიღო. კარგა ხანს ფურცლა და მერე გოჩას დაუდო წინ.

– ა, ნახე. ეს არის თქვენი ძმის – კაკო კაკაურიძის განცხადება, წაიკითხე რა აწერია: „თამარ კაკაურიძე ჩაირიცხოს ნორა კვაშალის ჯგუფში“! ახლა თარიღი ვნახოთ, თორმეტი ივნისი ხომაა ეს. ახლა შენი განცხადება მოვძებნოთ, ა, აგერაა ესეც. აწერია რამე? არ გითქვამს შენ მაშინ კვაშალთან მინდაო. ხომ არ გითქვამს, რას მერჩი აბა მე?

– არაფერს, ბატონო, კი არ გერჩით. მე უბრალოდ მინდა, გაგება. ჩემი შვილი რანაირად მოხვდა აბა კვაშალთან?

– ვინ გითხრათ? რანაირად მოხვდებოდა თქვენი შვილი კვაშალთან, როცა აგერ აწერია განცხადებას თორმეტ ივნისს – თქვენი ძმიშვილი, რა ჰქვია, ა, თამრიკო კაკაურიძე ჩამირიცხავს.

– ბატონო, მე საჩხუბრად კი არ მოვსულვარ. – გოჩა წასვლას არ აპირებდა, – ჩემთვის მინდა ვიცოდე. ამას კი არაფერი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისე, ყოველ შემთხვევისთვის... იმ შვილიშვილებს გაფიცებთ, ხომ გადაგაყვანინათ კაკომ წულაძესთან ჩემი ბავშვი?

– არა! არ გესმის რა არის „არა“?

– აბა, რანაირად მოხვდა წულაძესთან?

– სადაც თავისუფალი ადგილი იყო, იქ ჩავრიცხეთ, – თედოს ტუჩები გაუთეთრდა და ცივმა ოფლმა დაასხა, მარცხენა ხელი ისე დაუმძიმდა, რომ ყურმილსაც ვერ აიღებდა ახლა, ტელეფონს რომ დაერეკა.

– არ გავა ჩემგან ეს ამბავი, ბატონო. ჩვენ ძალიან ტკბილი ძმობა გვაქვს, მე მითხარით მარტო.

– არ გრცხვენია, ბიჭო, შეენ? – თედომ შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა, – რას აკეთებ, არ უფიქრდები? რატომ ხარ ასე მონდომებული, შენი ძმის ცუდკაცობაში დარწმუნდე. ასეც რომ ყოფილიყო, რას გაძლევს შენ ეს.

– არაფერს. ჩემთვის მეცოდინება.

– ასე რამ მოგიშალათ ნერვები. ასე რამ შეგაძულათ სიცოცხლე. ჯერ ერთი, მართალია ის კაცი შენთან და კიდეც რომ გაეკეთებინა მას ეს ამბავი შენთვის, ასე უნდა გამოდგე გამომძიებლად ქუჩაში?

– იმას სიტყვას არ ვეტყვი. ჩემთვის მეცოდინება. – ჯიუტად იმეორებდა გოჩა.

– რად გინდა მერე ამის ცოდნა? ძმის სიგლახის გაგება დარდის მეტს რას მოგიმატებს. შარზე ხარ? მიზეზს ეძებ? გინდა დაკარგო დედმამიშვილი და ფაქტებს აგროვებ? წადი ახლა, თუ კაცი ხარ და ამ საკითხზე მეტი აღარ მოხვიდე ჩემთან. ვფიცავ ორ შვილიშვილს, რომ შენს ძმას არ უთქვამს ჩემთვის, ჩემი ძმიშვილი კვაშალთან ნუ იქნებაო, პირიქით, გუშინწინ მეხვეწა: ჩემი ბავშვიც წულაძესთან გადაიყვანე, რომ ორივე ერთად იყოსო.

თედო წამოდგა და ამით სტუმარს აგრძნობინა, აუდიენცია დამთავრებულია.

– კარგი, ბატონო... რახან ასეა. თუ არ მეტყვით, ნუ მეტყვით ისე... მე სათქმელად კი არა, ჩემთვის მინდოდა, მცოდნოდა.

– რა გცოდნოდა, ტყუილი?

– არა, მართალი.

– მართალი არ გინდა შენ! შენ სიმართლის გასაგებად არ ხარ მოსული. შენ გინდა, რომ შენი ძმა ცუდი კაცი იყოს. და გული გწყდება, რომ ასე არ არის. ა, ასეა ეს, თუ სიმართლე გინდა! – თედო სიბრაზისაგან ცახცახებდა.

– თქვენს ადგილზე მე ცოტა ნერვებს ვუმკურნალებდი და თქვენი საყვირალი არავინ არ არის აქანა! – გოჩამ კბილებში გამოსცრა და კარამდე რომ მივიდა, კიდევ უნდოდა რაღაც უფრო მწარე ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და გავიდა.

ოცდაათ აგვისტოს თედო შარიქაძე დილის ცხრა საათზე სკოლაში რომ მივიდა, სახტად დარჩა, მოსაცდელში ძმები – კაკო და გოჩა კაკაურეიძეები ისხდნენ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებით. დირექტორის დანახვისთანავე ორივენი წამოდგნენ და კარგა ხანს ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ კაბინეტის კართან. თედომ ჭილოფის ქუდი რომ ჩამოჰკიდა და ფარდა გადასწია, ძმები უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ.

– ბატონო თედო, – კაკომ დაიწყო. – საჩოთირო საქმეზე ვართ მოსული და უნდა გაგვიგო.

– არავითარი საჩოთირო არაა ეს. – ჩაურთო გოჩამ.

– მე ვუთხრა, თუ შენ ეტყვი. მერე ამაზეც არ მომდო შარი. დაიწყე, აბა შენ! – კაკომ ძმას შეხედა.

– მე რა დავიწყო. ჩემთვის ყველაფერი გარკვეულია. შენ მომიყვანე აქ და შენ დაიწყე. – გოჩამ, როგორც გულისმოსვლის დროს იცოდა, განზე გაიხედა.

– ბატონო თედო, მე მიცნობდით თქვენ ადრე? – ჰკითხა კაკომ.

– არა.

– ჩემზე დაგირეკათ, გთხოვათ ვინმემ რამე?

– არა.

– ზღაპარს ნუ მოჰყვები ახლა. რაც გვაინტერესებს ჰკითხე და წავიდეთ. არ ცალია ამ კაცს ჩვენთვის. – გოჩა თითების ტკაცუნს მოჰყვა.

– ჩემი ბავშვი – თამარ კაკაურიძე ვისთან არის ჩარიცხული, ბატონო თედო? – კაკოს ხმაში ტირილი იგრძნობოდა. ეტყობოდა, უმძიმდა დირექტორთან ამ საკითხზე საუბარი.

– მაგას კი ნუ ეკითხები, თავიდან ვისთან იყო-თქვა, ასე ჰკითხე. – ცხარობდა გოჩა.

– თავიდან ვისთან ჩარიცხეთ ჩემი ბავშვი, პატივცემულო თედო?

– კვაშალთან. – თედოს ნესტოები გაუთეთრდა.

– გოჩას ბახვა?

– წულაძესთან.

– ხომ არ მომხდარა ასეთი რამ, ბატონო თედო, – მიუხედავად თქვენი 12 ივნისის რეზოლუციისა, გოჩას ბიჭი კვაშალის ჯგუფში აღმოჩნდა და ჩემი გოგო წულაძესთან?

– არ მომხდარა.

– თუთიყუშივით ნუ ელაპარაკები. შენ ასე ჰკითხე: მე მოვედი თუ არა გოჩას ბავშვი კვაშალიდან წულაძის ჯგუფში გადაგაყვანინე თუ არა-თქო და ამით დამთავრდება ყველაფერი, – კიდევ ერთხელ ჩაერია საუბარში გოჩა.

დირექტორს თვალთ დაუბნელდა. თითქოს ისარი გაურჭესო, ბეჭის ქვემოთ ზურგი აეწვა და თითქოს ყელში ხელს უჭერენ და უნდა ორიოდე სიტყვის თქმა მოასწროსო, იყვირა:

– ჩემს მოსაკლავად მოხვედით?! გადით ორივენი აქედან! შემირცხვენია თქვენი ძმობა, თქვენი კაცობა, თქვენი ადამიანობა. თქვე გლახის ჭირებო, თქვენ!

სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და გული შეუღონდა. კაკაურიძეები გაფითრებულნი გამოცვივდნენ დირექტორის კაბინეტიდან და მდივან გოგონას დაუბარეს – ცივი წყალი შეუტანე შენს ფსიხ დირექტორსო.

გასაოცარი რამ მერე მოხდა: ძმებმა – კაკო და გოჩა კაკაურიძეებმა ორმოცდამეხუთე სკოლის დირექტორს – თედო შარიქაძეს სასამართლოში უჩივლეს – თავის კაბინეტში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ჩვენ, – სათხოვნელად მიღებაზე მისულ მშობლებს, შეურაცხყოფა მოგვაყენაო.

სექტემბერმა ისე გაიარა, რომ თედო შარიქაძე ყოველ მეორე დღეს სამოქალაქო საქმეთა გამომძიებლის წინ იჯდა და ჩვენებებს აძლევდა.

საქმე სასამართლომდე არ მისულა. ხუთ ოქტომბერს თედო შარიქაძე თავის კაბინეტში იპოვეს ორივე პარკუჭის (წინა და უკანა) ინფარქტსაგან გულგაგლეჯილი. სასწრაფოს ექიმმა დაინახა თუ არა სულთმობრძავი, კარშივე თქვა – ინფარქტია. რაკი დუჟი მორევია აღარაფერი უშველისო.

ჩემი საქმე რომ იყოს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივცემდი და როგორც მკვლელებს საჯაროდ გავასამართლებდი ძმებს – კაკო და გოჩა კაკაურიძეებს, ქალბატონ ტასოს და ქვრივი ვერას გოგოს – ორმოცდამეხუთე სკოლაში საქმეთა მმართველად რომ მუშაობს.

არული

დღეს მეტისმეტი მომივიდა. ათას ცხრაას ხუთი-შვიდი წლების საცენზურო კომიტეტის მასალებმა გამიყოლია და ჩაის დალევაც გადამავიწყდა. ახლა შიმშილისგან თავბრუ მესხმის და ფეხებზე დოლაბები მკიდია. მაინც რა უცნაური დრო იყო. ვისაც რანაირად გაეხარდებოდა, ისე უბერავდა. კაპიკი იყო პიროვნების ფასი. პრესის თავისუფლებაო, მოატყუა მეფემ ხალხი და ზოგმა დაიჯერა კიდეც, რომ ნიკოლოზის მთავრობა ხანდახან სიკეთის ქმნის ხასიათზეც დადგებოდა. განცხადებებია არქივში, სიცილით მოკვდებით. კაცმა წერა-კითხვა ძლივს იცის და გაზეთის გამოცემის ნებართვას ითხოვს. სამ წელიწადში ორმოცამდე გაზეთი და ჟურნალი გამოსულა მაშინ გოჭოურაში. საკუთარი ორგანო მაქვსო და ვისაც ვისი ჟინი სჭირდა, იმას ლანძღავდა. ასეთი ფაქტებიცაა: გაზეთში შავით თეთრზე დაბეჭდილია, მავანი და მავანი პიროვნება გარდაიცვალა, პანაშვიდი ამა და ამ დღესაა, გამოსვენება ამ რიცხვში განსვენებულის ბინიდანო. „განსვენებული“ კი ამ ცნობის დაბეჭდვის დროს საღ-სალამათია (თუ გაზეთის გამოსვლის მერე არ გაუსკდა სიბრაზით გული). სასტუმროში მისვლა, ჭადი და ყველი, მწვანე ხახვი და ამოლესილი ლობიო მთლად მირჩევნია ახლა ყველაფერს, მაგრამ სადაა. „კომუნის“ გვერდით, სალობიეში, ლობიო აქვთ, მაგრამ ჭადს ვინ მოგიტანს. სასტუმროს რესტორანში სამი დღის გამომცხვარ ჭადს გაგიხერხებენ, მაგრამ რად გინდა, ლობიო არა აქვთ მენიუში. მარღანიას ბუფეტში ჭადი და ლობიო თუ შეახვედრე ერთმანეთს, ყველს მოგართმევენ იმნაირს, რომ აირწინაღით უნდა ჭამო, ისე ყარს. ერთი სიტყვით, ცუდადაა ცხოვრება აწყობილი. ახალ გაზეთებს ვიყიდი, საქაბაბეში ცხელ ხარჩოს შევჭამ და სასთუმალს მოვძებნი. თუ არ წავუძინე ერთი საათი მაინც, ხვალ კაცად არ ვივარგებ.

– გაიოზი არა ხარ შენ, სახვაძე?

ჩემ წინ ორმოცდაათიოდე წლის, შავპიჯაკიანი ხმელ-ხმელი კაცი დგას.

– ვერ მიცანი ხომ? დამაკვირდი აბა.

ვაკვირდები: კოტოვსკის ულვაში, გაბუშტული ცხვირი, ნაყვავილარი, წითური სახე. წაქისფერი, მკვირცხლი თვალები. არის ამ თვალებში, როგორ არ არის, რაღაც შორეულად ნაცნობი, მაგრამ ამის გამხსენებელი ვარ მე?

– აბა, ქუდი მოიხადე! – უკანასკნელ იმედს ჩავებღაუჭე.

ქუდი რომ იშვლიპა, სულ ვეღარ ვიცანი.

– მოიცა, არ თქვა ჯერ არაფერი! – მეხსიერება ყურძენივით გამოვწურე, მაგრამ სანუგეშოს არაფერს ამბობს.

– რობერტი დიაკონიძე არა ხარ, აგული კვასტიანი ნამდვილად არა ხარ, ლერიკინა ასათიანი ხომ არ ხარ და არ ხარ, ლერია მაღალი იყო... მოიცა, არ მითხრა ჯერ!

იცინის ეს ჩემი ცოდვით სავსე. რაც უფრო ვაკვირდები და რაც უფრო იცინის, ის წამიერი ნაცნობობის გაკრთომაც წაიშალა ჩემი გონებიდან.

– შენ რა გითხრა, გაიოზ, ბიჭო, ლადო არ ვარ მე, ჭიღლაძე?

ახლა რომ ვკითხო, რომელი ლადო, ვინ ჭიღლაძე-მეთქი, შეიძლება, აგური დამკრას თავში, ისე ბედნიერი სახით მიცქერის. არადა, მართლაც ვინ ლადო ჭიღლაძეა, ღმერთო მომაგონე, დრო არ ითმენს. კაცს გუნებას ვერ მოვუშხამავ. ჯანდაბა ჩემს თავს. თვალი დავხუჭე, ზურგით კედელს მივეკარ და რაც შემეძლო, წავბაძე იმ კაცს, რომელმაც ევაკუაციის დროს მშობელი მამა დაკარგა და ყურადღებიანი პრესის საშუალებით ახლა, ამ წუთას იპოვა.

– არ გამაგიჟო?!

– სირცხვილი შენი, მე მაშინათვე გიცანი, სახეზე არც შემომიხედია, უკნიდან გიცანი სიარულზე. მაშინაც ასე მოყანთარობდი, რავარც ახლა, მე ვთქვი, ეს გაიოზია ნამდვილად თქვა. რამდენი წელი იქნება?

– ოცდაათი, – ანგარიშმიუცემლად გადავწიე ჩვენი უკანასკნელისწინა შეხვედრა.

– მამაშენი ხომ კარგადაა?

– მოკვდა.

– დედაშენი?

– მოკვდა ისიც.

– ბიცოლა რომ გყავდათ გაუთხოვარი სახლში? მუნჯი იყო, ტასო ერქვა მგონი.

– აღარ არის ცოცხალი. – ხელის ზურგით ცრემლი შევიმშრალე, – აქეთ რა ამბავია?

– აბრაშკა რომ გვყავდა რუსულში.

– ჰო, მოკვდა?

– ისრაელში წავიდა.

ცოტა დავმშვიდდი.

– ვინ მოკვდა იცი?

მხრები ავიჩეჩე.

– მარდალეიშვილის ეზოში გიჟი ცუნაია რომ ცხოვრობდა ქვით რომ გამოგვეკიდა ერთხელ.

– სხვა? – აქამდე არაფერი, აწია საქმე, აწი რა დოზანაზე ველაპარაკო?

– სხვები ქე არიან ჯერჯერობით.

ადამიანი შეიძლება აქლემს ჰგავდეს? რასა ჰგავს, რასა ჰგავს-მეთქი და ძლივს არ მომაგონდა? აქლემის პირი – წინ წამოსული და ნახევარწრედ გაჭრილი, აქლემის თვალები – უმეტყველო და უწარბო ზედგამოჭრილი აქლემია.

მერე რაც მოხდა, მოსაყოლად არ ღირს, რადგანაც მსგავსი შემთხვევა მკითხველს ათასჯერ ექნება გაგონილი და წაკითხული. „არ მომიკვდე, შენ მე არ გაგიშვას“ მოტივმა თავისი გაიტანა და ახლა ორივენი ტაქსში ვზივართ.

– რომელ ქუჩაზე ცხოვრობ, ლადო? – ისე, სიტყვის მასალად ვეკითხები. თორემ ჩემთვის ახლა მნიშვნელობა არა აქვს.

– ორი ფეხის ნაბიჯზე ვარ აქედან. ნახევარი საათი არც კი უნდა ტაქსს ჩემს ჭიშკრამდე. საღორიაში ვცხოვრობ. კაი სოფელია. რა უჭირს. სახლი ისევ ის მიდგას, მამაჩემის დანატოვარი. ადგილი – უმაღლესი. ეზოყურე იმნაირი – ცივი ღელე ჩაგვიდის, ჭიქას ხეთქავს, აგერაც შევიდოდით რესტორანში,

მარა სოფელს სხვა გემო აქვს, სოფელში რომ ნეშოში გამომცხვარ ჭადს არეკავ კეციდან, იმის სუნი სხვაა.

გეგუთის ქუჩა თანდათან დავიწროვდა, ასფალტს ჯერ, მთვარის სურათზე რომ მინახავს, ისეთი ორმოები დაეტყო და ქალაქს გავცდით თუ არა, მანქანა ისე გადახტა მიწაყრილზე, არც კი გვიგრძვნია-მეთქი, რომ ვამტკიცო, ტყუილი იქნება.

გზის გასწვრივ, ჩვენ პირდაპირ ვეფხისფერ კატას შავდრუნჩიანი ნაგაზი მოსდევს. ეტყობა, სერიოზული შეურაცხყოფა მიაყენეს; ძაღლი ყეფით იკლებს იქაურობას და თუ კბილებში მოიგდო დამნაშავე, კარგ დღეს არ დააყრის. კატა ქურდივით უხმაუროდ და მსუბუქად გარბის. კატის ეშმაკობა ნახეთ; მანქანას რომ მიუახლოვდა, ელვის სისწრაფით განზე გახტა და გზა გადაჭრა. ძაღლმა აღარ გარისკა, შედგა და ტრანსპორტის გავლას დაელოდა. აწი, მით უმეტეს, სიბრაზისაგან აკანკალებული მურია თავხედი კატის დამწევი აღარ არის.

– საკირესთან გამიჩერე ერთი, ჩვენი ძმა.

ლადომ გადასვლა მოასწრო, ქარმა წამოწეული მტვერი ერთგულად შემოგვახვია.

მალე მობრუნდა, ახალგამომცხვარი პურის დამათრობელი სუნი შემოჰყვა. ღილაკი ამოსწია, უკანა კარი გამოაღო და ორი „ბუხანკა“ სავარძლის თავზე მოისროლა.

არაფერი მიკითხავს, მანქანა რომ დაიძრა, თვითონ ალაპარაკდა.

– წავიღოთ მაინც, ეგება არც კი იქნეს ახალი პური სახლში. ხომ იცი, თუ სტუმარს არ ელის ქალი, თონეს არ გაახურებს. ვინღა აცხობს პურს ახლა შინ. ორმოცი კაპიკი უნდა ამხელა ბუხანკას. წახვალ და იყიდი. ცომის მოზელვად და წვალებად არ ღირს. ჩვენ თონეში ქათმები იბუდრებენ მშვენიერ კარგად.

– თონეში გამომცხვარს მაინც სხვა გემო აქვს.

– იცოცხლე-თქვა, სხვა გემო აქვს, არ გინდა მაგაზე ლაპარაკი, მარა გემო მაშინა აქვს, ცხლად რომ შეჭამ, თვარა, რომ გაცივდება და გალიგვდება, მერე ერთია ყველა. გააჩერე შენ, იმანო, ერთ წამას!

მანქანა მოწყვეტით შედგა. ჩვენ გვერდით ერთი ხელისგაწვდენაზე ხის მაგიდა დგას. მაგიდაზე არწივისცხვირებიანი,

ძველთაძველი სასწორი დევს. იქვე, ხეზე, დევის ბარკალი და ნეკნები ჰკიდია. ხესთან იმერულქუდიანი ჩვიდმეტიოდე წლის ყმაწვილი დგას და თხმელის შტოთი ხორცს ბუზს უგერიებს.

ლადო მაგიდას მიუახლოვდა, ჯერ სასწორს გირი ააცალა და არწივებს ნისკარტები მიადებინა (სასწორი ხომ არ იტყუებაო), მერე ბარკალი შეატრიალ-შემოატრიალა.

– ნამეტანი ბებერი ხარი იყო?

– რაის ხარი, ბიძია, ხარია მაგი?

– აბა, რა არის?

– რა არის და უშობელია.

– რატომ დაკალით მერე. ავად იყო?

– ავადმყოფობა და შავი ჭირი არ მოშორდა შენს დამაწყევარს, რა ჭირდა საავადმყოფო. კერკეტა უშობელი იყო. ამის შეხედვას არაფერი სჯობდა. ფეხი მოიტეხა სარეკელასთან ამ დილას და დავკალი, თვარა ამას კაცი გაიმეტებდა დასაკლავად?

– კაი აბა, გენდობი, ამიწონე სამი კილო.

– ვაი, – არ ჩქარობდა ბიჭი, – წაიღე შენ ეს ხორცი და რამდენი მლოცო, იმდენი ჯანი და სიმრთელე ჩემს ჯილაგს.

– აწონე, აწონე, ნუ ლაპაარკობ ბევრს. რას შვრები, ბიჭო, ვის ვაჭამო ამხელა ძვალი?!

მეხორცეს გაეცინა.

– ყველას უძვლო გინდათ, ბატონო, და უძვლო ძროხა ჯერ არ დაბადებულა ამ ქვეყანაზე. პატარა შენც უნდა იზარალო, აბა, რავა გინდა. შენ რომ მთლად უძვლო გაგატანო, ცარიელი ძვლები ვის მივყიდო, მითხარი, სხვასაც აქვს პირი, სხვასაც ქე უნდა ჭამა.

მანქანის კარი რომ მიიჯახუნა, შოფერმა ხმა ამოიღო, არ არის კარგად დაკეტილი, თავიდან მიარტყიო. ლადომ ხორცი მე გადმომაწოდა. ორივე ხელით გააღო კარი და ისე მაგრად შემოიხურა, რომ კინაღამ ჩალეწა.

– კი ვერ გაამტყუნებ, კაცმა რომ თქვას, ამხელა ფასს რომ ადებს. რავარი შესანახავია ახლა საქონელი. საძოვრები გადახნეს. ყველგან ღობე და მესერია, ხელისგულზე არ ბალახობს, მოგეხსენებათ, ძროხა. ერთ დღეს გვითხრეს, ერთ

სულ საქონელზე მეტს ნუ იყოლიებთო. გაწყვიტა საყოლი გლეხმა, ახლა ეუბნებიან, გყავდეს რამდენიც გინდაო. საიდან მოიყვანოს, რაფერ მოაშენოს ასე უცებ. ნამეტანი ხელმომარ-თული უნდა იყოს ახლა კაცი, სტუმარს ხბო რომ დაუკლას. ასეა ეს. დასამალავი არაფერია აქანა.

ასახვევთან, წელს ზემოთ შიშველმა, მზისგან გარუჯულმა კუნთებჩაგრეხილმა ბიჭმა ორივე ხელი აგვიწია. მის უკან, შუა გზაზე, ძველთაძველი, ოცდათორმეტადგილიანი ავტობუსი დგას.

– უნდა მომაწვეთ პატარაზე, სტარტერი არ იღებს, ეს უპა-ტრონო, და ასე ვწვალობ დღეს მთელი დღეა.

– რას ქვია, მოგაწვეთ. მოსაწოლად თუ გვცალია, არ უნდა გვკითხო? ნუ გლახაობ, რაღაცას, გაგვატარე ჩვენ და უკან მოდის სხვა მაშინა! – ურჩია ლადომ.

– გატარდით, ბატონო, თუ გაიართ, – იცის, რომ ვერ გა-ვეტევით.

– მივაწვეთ, არ ღირს სალაპარაკოდ, – ვთქვი და მანქანის კარი გავაღე.

– ამნაირი ძალად მაცხონე არაფერი მინახავს. თუ ჩაგიქვრა, ვერ გადააყენე გვერდზე? – ბუზღუნებს ჩემი მასპინძელი. შავ-ტუხა შოფერმა გაიცინა.

– გუშინ გვერდზე რომ გადავაყენე, იმიტომ იყო, ორსაა-თნახევარი ვიდექი საყულიასთან. კაციშვილმა არ მიშველა. დღეს კაცს გზაზე თუ არ წაუწექი, ზედაც არ შეგხედავს.

თავდაღმართამდე მოვაგორეთ როგორც იქნა.

– აწი აღარაფერი მიჭირს,– დაიქოქება, – დაგვიგდო ბაწ-რისმკლავებამ და ისე მოხდენილად შეხტა დაძრულ ავტობუს-ში, რომ თქვენი მოწონებული.

ალვის ხეების ჩრდილში ჩვიდმეტი წლის მოხდენილი გოგო ვირს ექაჩება. ბაწარი გაწყვეტაზეა, ვირს თავი წინ გაუშვე-რია. ფეხები გაუჩიკინებია და პრინციპზე დგას. რა გინდა რომ უქნა. სად წაიყვანს ახლა პატრონი ისეთ საშინელ ადგილას, კაცმა რომ თქვას. გაჯიქებულ პირუტყვს იქ წასვლას კისრის წაწყვეტა რომ ურჩევნია.

– სასადილოსთან გააჩერე ერთი, საქმე მაქვს. – შოფერმა ლადოს იმ კაცის თვალებით გადმოხედა, სიამოვნებით რომ არ შეასრულებდა ჩვენს თხოვნას, სხვა გზა რომ ჰქონდეს.

ექვსი ბოთლი „იმერულით“ დამძიმდა ჩვენი ტაქსი.

– ღვინოს მეტი რა მაქვს, ჭურს მოგიხდი, – დაიწყო ლადომ, მინა რომ ჩამოსწია და ჰაერს შუბლი შეუშვირა, – მარა სახ-ლის ღვინოს, მე რომ ერთი კაცი ვარ, ყოველთვის დაბეჭდილი მირჩევნია. ჩემმა სახლიკაცმა დაწურა, მე აქ არ ვიყავი და ვერ ვედნობი, გითხრა სიმართლე. რა ვიცი მე, რა ჩაყარა შაქრის გარდა შით. ხვალ თავი უნდა აგტკივდეს და ეს საკოცნელი პირი საგინებლად უნდა გავიხადო. სადაა სუფთა ღვინო, მამა შვილს ვერ დაალევინებს დღეს სუფთა ღვინოს, – გაიცინა, – არა აქვს და რას დაალევინებს.

სალომაოს რაიონულ ცენტრს პატარა ბაზარი აქვს, ლადო ჭიღლაძემ იმ ბაზართან რომ გაგვაჩერა, ჭადის ფქვილი, ყველი და მწვანილი მამასისხლად რომ იყიდა და მანქანაში შემოყო თავი, ვეღარ მოვითმინე. პირში ენა არ მეტევა, თორემ ვინ მკითხავდა, რა ჩემი საქმე იყო.

– უდაბნოში ხომ არ ცხოვრობ, მწვანილიც საყიდი გაქვს თედო?

– ბოსტანს მოვლა ხომ უნდა, მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, – დამნაშავესავით იშმუშნება და სირცხვილეულად მიღიმის, – ვინ მოუვლის, მე წამოსული ვარ და მამაზეციერი ჯერ არ დამდგარა იმ ჭკუაზე, ხელში რეზინის მილი დაიჭიროს და ჩემი ნიახურ-ოხრახუში რწყას. უშრომელად აღარაფერი აღარ მო-დის ახლა მიწაზე. აღარაა ის დრო, თესლს ხელუკუღმა რომ გადააგდებდი და შემოდგომაზე ტომრით მიაკითხავდი.

– შენ – წამოსული? – გაოცებისგან პირი დავაღე.

– არ მინდოდა, მეთქვა, – კეფა მოიფხანა, – მაგრამ სანამ-დის გიმალო? აღარ ვარ სოფელში, წამოვედი. მალე საპენ-სიო ვარ. როდის დამაგდებს ეს ჯავრით სავსე გული ძირს, არ ვიცი. ოცდაათი მანეთი პენსია მარჩენს მერე მეე? გოჭოურაში კაცი მყავს და მაღალ ხელფასზე გამაფორმა, ერთ-ორ წელი-წადს წავიმუშავებ და მერე ვნახოთ.

სად ცხოვრობ?

– ნაქირავებში.

– სოფელში ვინღა დარჩა?

– ჩემ გარდა ყველა იქაა: დედაჩემი – დაბერდა ძალიან საწყალი, ჩემი ცოლი და სამი გოგო მყავს – უმცროსი წელს ამთავრებს. ყველას თავისი საქმე და გასაჭირი აქვს. გოგოები ვერ გავათხოვე და ამის ფიქრმა მთლად წეიღო მთავარი სული.

ცოტა ხანს ვდუმდით. მანქანა გულისგამაწყალებლად მიხტუნავდა ოღროჩოღროზე, უეცრად ლადომ ხელი მომიჭირა მკლავზე და თითქოს აღსარებას ამბობსო, ნერვული ჩურჩულით დაიწყო.

– მიზეზია, რაც გითხარი, ყველაფერი. არ დაიჯერო. რა სიკვდილად მინდა პენსია? ყველას ვერ ეტყვი კაცი. იცი რატომ გავიქეცი? მომწყინდა, ცოტა ხანს კიდევ რომ დავრჩენილიყავ, შეიძლება, ქვის სროლა დამეწყო. სულ შენთვის, კაცო, სულ შენთვის? გამაგებინე როდემდის? ერთი დღე მაინც არ მეკუთვნის მეე? გამაგებინე, რა ვალი მაქვს ასეთი, მთელი ცხოვრება რომ ვერ გადავიხადე? ყველაფერი შენ, ყველაფერი შენთვის?.. ჰოდა გავიქეცი, ვერ გავუძელი და გავიქეცი. ბევრს შეიძლება სისულელედ მოეჩვენოს, შენც ალბათ ასე გეგონება, ჭკვიანი ხანდახან სულელია, მარა სულელი არასოდეს არ არის ჭკვიანი. ოთხი პერიოდი აქვს თურმე მამაკაცის ცხოვრებას. ასე შევატყვე მე, ჩემი დაკვირვებით: პირველი – ახალგაზრდა რომ ხარ და გული გიმღერის, რასაც მოკიდებ ხელს, ბდღვირს რომ გაადენ, მაშინ მკვიდრდები. მაშინ აშენებ სახლს, ბუდეს იწყობ და გადაღმა გადახედვაც აღარ გინდა, მეორე პერიოდი, ჩემო გაიოზ, მაშინ იწყება, როცა პირველად გესტუმრება მოწყენა და პატარა შენი ეზოს გარეთაც გადაიხედავ – შინაც გეწევა გული და გარეთაც. მესამე პერიოდია – შინ რომ ვეღარ ჩერდები, აღარაფერი რომ აღარ გინდა შინაურების, ამ ცხოვრებას სისულელედ რომ ჩათვლი და სიბერისგან გაქცევას რომ მოინდომებ, სული გარეთ რომ გექაჩება. სხვა ცხოვრება რომ გეძახის. ასეთ დროს კაცები ცოლს ტოვებენ და სხვას ირთავენ. მე ამის ვაჟკაცობა არა მაქვს, ამიტომ წავედი და ჩემთვის ვარ

ბუნაგში. იქეთაც ვარ და აქეთაც, მთლად წასვლისა მეშინია და სოფელში დაბრუნებაც არ მინდა.

– მეოთხე?

– მეოთხე პერიოდი, ქე იცი, მიქელ-გაბრიელი რომ პირველ ზარს ჩამოგიკრავს და გაემზადეო, გაგაფრთხილებს, აღარც შინ ვარგიხარ და აღარც გარეთ.

ერიჰაა, არ მოუძებნა ლადო ჭიღლაძემ გასაღები კაცთა ცხოვრების ფილოსოფიას? მილიონწლოვან კითხვას არ გასცა პასუხი? ერთბაშად არ გაამართლა ჭადის, ყველის, ხორცისა და მწვანილის უქონლობა სოფელში? ყვავილებით მოჩითული ფარდა არ ჩამოაფარა ყველაფერს?

...ვიცი, განა არ ვიცი, ვერ მოვიქეცი ლამაზად, მაგრამ გულმა ასე მირჩია და ახლა ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ჩემი თავის მრცხვენია, მაგრამ გვიან არის.

ჭიშკარს რომ მივადექით, ნავაჭრი ხავსმოდებულ მორზე რომ დავალაგეთ და მასპინძელი ტაქსს რომ ისტუმრებდა, უეცრად ვიგრძენი, რომ თუ აქ დავრჩებოდი, სული შემიგუბდებოდა და შეიძლებოდა, სიკვდილის ხრიალი დამეწყო.

– ლადო, იმნაირი საქმე დამავიწყდა გოჭოურაში, რომ ახლავე თუ არ ჩავედი და ერთი კაცი არ ვნახე, მთელი ჩემი ჩამოსვლა ლიხვად ჩამივლის.

– ხომ მოხვალ?! – ჭიღლაძეს ხმაში ეჭვი გაერია.

– ლაპარაკი უნდა? – ნაძალადევად გავუღიმე და ჩავჯექი.

ჭიშკართან დგას და მიყურებს. მგონი თვითონაც ხვდება, რომ მომბრუნებელი არა ვარ.

მთხოვნელი

უჩვეულო შემთხვევა მეტი რაღა იქნება: გამომძიებელ რეზო ხამაშურიძის კაბინეტში კაცი შევიდა და დაპატიმრება ითხოვა!

– შოფერი ხარ? – ჰკითხა რეზომ და, სანამ უცნობი უპასუხებდა, საწერ-კალამი და ქაღალდი დაუდო წინ, – სასიკვდილოდ დაშავდა?

– არა, ბატონო! – მთხოვნელს დაღლილი, გაწამებული სახე ჰქონდა, წამწამებს არც კი ახამხამებდა, გამომძიებელს დიდი, თაფლისფერი თვალებით მონუსხულივით შეჰყურებდა, ხელში ჩამქრალი სიგარეტი ეჭირა, მარჯვენა საჩვენებელი თითი აკლდა, ორმოცდაათ წლამდე იქნებოდა, თუ შესახედაობის მიხედვით ვიმსჯელებდით. – არც კაცი მომიკლავს და არც არავინ მომდევს მოსაკლავად, ადგილმრეწველობაში ვმუშაობ, ჭადრიანის გზაზე.

– ?!

– შეიძლება, არ იცით, გადასახვევთან, იქვე მარცხნივ პატარა საამქროა...

– რას აკეთებთ?

– ჰამაკებს.

– კაი დაგემართოს! შენნაირი შეგნებული დამნაშავეები რომ გვყავდეს, რაღა გვიჭირს, მაგრამ დაპატიმრება ასე ხომ არაა?! – საქმე გაუძნელა გამომძიებელმა, – რაღაც საბუთი უნდა გვქონდეს. მერე მე მომთხოვენ პასუხს! მოვა სანქცია და თავის დროზე გავაკეთებთ ყველაფერს! ლევი დაგიჭირეს?

– არა, პატივცემულო! თქვენი სახელი?

– რეზო!

– რევაზ ბატონო, არავის არ შევუმოწმებივართ. ყველაფერი მშვიდადაა, მაგრამ დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, არ შეიძლება, ჩამსვათ?

გამომძიებელმა გაიფიქრა, ალბათ, გიჟიაო, მაგრამ როცა მეჰამაკემ ლაპარაკი დაიწყო, თანდათან დარწმუნდა, რომ ნორმალურ კაცთან ჰქონდა საქმე.

– კი მაგრამ, დაღლის გულისთვის ჯდები ციხეში, შე კაცო?! თუ დაიღალე, წადი სახლში და დაისვენე!

– კაი დაგემართოს, მაგრამ გარეთ ვერ დავისვენებ, მე ვიცი ჩემი თავის ამბავი! ვინ დაგასვენებს?! ჩავჯდები და დამთავრდება ყველაფერი: ეს შიში, ეს ნერვიულობა, ეს გაწამაწია... არაფრის თავი აღარა მაქვს. არ შეიძლება, საქმე შემიდგინოთ და სამწლიანი რამე მუხლი მომიძებნოთ? ხუთი იყოს, თანახმა ვარ!

– რა უცნაურად ლაპარაკობ?! რა მოგიძებნოთ?! რა შეგიდგინოთ?! საქმის შედგენა ასე კი არაა!

– ვერ დამაჯერებთ, რომ ჩემთვის გაგიჭირდათ ერთი პატარა სამწლიანი საქმე! ხუთიანი იყოს თანახმა ვარ!

– გამაგებინე ერთი, რამ მოგაძულა ასე თავი?! – გამომძიებელი წამოდგა და „ბრალდებულს“ წინ დაუჯდა.

კრაველისქურქიანმა მსუქანმა ქალმა კარი შემოაღო და უცერემონიოდ იკითხა: „შეიძლება, ერთი წუთით?“

– ხომ ხედავთ, ქალბატონო, კაცი მყავს?! დავამთავრებ ერთთან ლაპარაკს და მობრძანდით მერე! – გამომძიებლისათვის ცოტა შეუფერებლად, ხმამაღლა უთხრა რეზომ ქალს.

– მე მხოლოდ ერთი წუთით!..

– მიბრძანდით, ქალბატონო, მიბრძანდით, ნუ გვიშლით ხელს, აბა, განაგრძეთ, ბატონო!

შემცბარმა ქალმა კარი გაიჯახუნა.

– მე ვიცი, ახლა თქვენ ჩემი ლაპარაკი არეული კაცის ნაბოდვარად მოგეჩვენებათ, – ჰამაკის საამქროს თანამშრომელმა ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა, – აქ მოსვლა მე ცხელ გულზე კი არ გადამიწყვეტია, ბევრი ვიფიქრე და ათასნაირად ავწონ-დავწონე. ჩემს მდგომარეობაში ახლა ჯდომა სჯობია. ამას წყალი არ გაუვა!

– რა მდგომარეობა გაქვთ ამნაირი?

– ორიოდე სიტყვით გეტყვით თავიდან ბოლომდე ჩემს ამბავს და თქვენ თვითონ განსაჯეთ: სამი წლის წინ იმ ადგილას, სადაც გითხარით, გაიხსნა ჰამაკების საამქრო. მე გამგე ვიყავი და ვარ ახლაც. ერთი მოანგარიშე და შვიდი მუშა მყავდა, ორი წლის განმავლობაში არც ერთი ჰამაკი არ მოქსოვილა ჩვენთან.

– აბა?!

– კი, გეგმებს ვასრულებდით, პრემიასაც ვიღებდით ხანდახან. გაზეთშიც ეწერა ჩვენი გვარები, მაგრამ ფაქტობრივად არაფერს ვაკეთებდით. ერთადერთი ნახევრადმოქსოვილი ჰამაკი გვეკიდა აბრის გვერდით. ეს იყო და ეს, მეტი ჰამაკი ორი წლის განმავლობაში თვალითაც არ მინახავს.

– მზა პროდუქციას არ აბარებდით?

– არა, ბატონო! ეს ყველაფერი ქაღალდზე კეთდებოდა, ვწერდით ანგარიშს, ამდენი და იმდენი ჰამაკის ჩაბარების შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტს წერდა საწყობი და მაღაზიებიდან მოგვდიოდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩვენი ჰამაკები გაიყიდა. გეგმას ვასრულებდით ჩვენც და მაღაზიებიც. ნავაჭრს ვიყოფდით და ყველაფერი კარგად მიდიოდა. საჰამაკე ძაფს შავ ბაზარზე ვყიდდით, სათევზაო ბადეების ოსტატებზე. ძაფი კარგად ფასობს. იმით ვისტუმრებდით ხარჯებს.

– მუშები?

– შვიდი კაცი მყავდა გაფორმებული. მოდიოდნენ თვის ბოლოს პატიოსნად, უწყისზე ხელს აწერდნენ, ხელფასს იღებდნენ და მიდიოდნენ.

– არაფერს არ ამბობდნენ?

– ვინ სულელი ამოიღებს ხმას, ბატონო, თვეში ას ოც მანეთს პენსიასავით თუ დაუნიშნავ და არაფერს არ გააკეთებინებ?!

– მერე?

– ორი წელი ასე ვიმუშავეთ, ჩვენი საამქრო ერთ-ერთი მოწინავე საამქრო იყო რაიონში! სიმართლე გითხრათ, ნამეტანი გახმაურებაც არ მინდოდა, ამიტომ სურათის გადასაღებად

მოსულ კორესპონდენტს ფულს მივცემდი და ეზოდანვე ვაბრუნებდი უკან. ეს ერთი წელია, ჩემი დასაკლავი დანა მე თვითონვე გამოვჩხრიკე.

– რანაირად?

– შემომიჩნდა შარშან ჩემი მოანგარიშე, წილში მყავდა, რასაკვირველია: ხომ იცი, ახლა რა დროა, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს, ავამუშავოთ ეს დაზგები და მართლა დავიწყოთ ჰამაკების ქსოვა, ლევი საქონელს დავამზადებთ და ასე უფრო საიმედოაო.

თურმე ვიღუპები, გაყიდული ვყავარ თხასავით. გავმართეთ საამქრო და ეს მესამე თვეა, ჰამაკებს ვქსოვთ. არ გაგიჭირდებათ მიხვედრა, ყველას თავისი უნდა და ჩვენც ერთიორი კაპიკი ხომ უნდა დაგვრჩეს?! გავა ეზოდან ლევით დატვირთული მანქანა, დაიჭერენ! მოვარდება მოანგარიშე, არიქა, დავიღუპეთო! საქმის ჩაფარცხვა საკმაოდ ძვირი გვიჯდება. ასე ხდება სისტემატურად, ეს სამი თვეა, გავტყავდი კაცი. რაც ვიშოვე ამ ორ წელიწადში, შემომაფცქვნეს ხელში და დამტოვეს მშრალზე. თურმე, ნუ იტყვით, ჩემი მოანგარიშე, ეს გათახსირებული, თვითონ მიგებს ხაფანგს: გავა თუ არა მანქანა, ტელეფონის ზარს მიაყოლებს, ესა და ეს ნომერი მანქანა ლევი საქონლით მოდის და დაიჭირეთო! ახლა მივხვდი, საუბედუროდ, მაგრამ რაღა დროსია, მე ქე გავკოტრდი კაცი!

– მერე, ვერ გააგდე მოანგარიშე?! – გაოცდა გამომძიებელი.

– ვერა, რევაზ ბატონო! მოანგარიშეს აწი ვეღარ გააგდებ! ისეა ჩართული საქმეებში, რომ მისი გამოყვანა აღარ შეიძლება! ისევ მე უნდა ჩავჯდე!

– დაგიჭიროთ ფაქტზე?! ასე ვქნათ, აბა, ფული დავნომროთ და ყველა ერთად ჩავყაროთ მაშინ – მოანგარიშეც, შოფერიც და შენც!..

– არა, კაცო! მე იმათი ჩაყრა კი არ მინდა. ეს საქმე რომ დავიწყოთ, ისე ღრმად და შორს წავალთ, იმდენი ვინმე ჩაერევა გვერდიდან, რომ სანანებლად შეგექმნებათ! მე მარტო

ვჯდები. რამე ანონიმური წერილი შევადგინოთ, შემამოწმეთ, ვითომ ერთი მკვდარი სული დამიჭირეთ საამქროში, ან, ვითომ, პირადი სარგებლობისათვის ერთი ჰამაკი წავიღე უსასყიდლოდ სახლში. ერთი სიტყვით, რამე სამწლიანი, ხუთზეც თანახმა ვარ. იქნებ ჯობდა, სულ სხვა საქმე შეგვედგინა?.. ვთქვათ ხულიგნობის, ან გაუპატიურების მცდელობის?! – გაეცინა მთხოვნელს და საოცრად თეთრი, ჯანმრთელი კბილები გააელვა. – ეს უკანასკნელი ნამეტანი იქნება, არ შემეფერება, – ხმას დაუწია და გამომძიებელს ჩურჩულით უთხრა: – უნდა გაისარჯოთ და დღეს ან ხვალ უნდა დამაპატიმროთ! ტყუილად კი არ მინდა, პატივს გცემთ! სამაგიერო ჩემზე იქნება!

რეზო ხამაშურიძემ ოცი წელი იმუშავა პროკურატურაში და ასეთ გაიძვერასთან ჯერ არ ჰქონია საქმე.

„რა მოხდა, ნეტავ. აქ რაღაც სხვა ამბავია! ეს კაცი ასეთი მიამიტი ჩიტიც არ ჩანს! გავყვე? ვაითუ, შანტაჟზეა?! არ გავყვე, შეიძლება, სხვასთან მივიდეს და სულ გაფუჭდეს საქმე! არადა ხომ შეიძლება, მართალს ამბობდეს! შეიძლება ვითომ მართალი იყოს ეს ყველაფერი?! შეიძლება, მართლა უნდოდეს ჩაჯდომა? მაშინ სხვებს რატომ აფარებს ხელს? ან რა ხელის დაფარებაა, ჩემთან უკვე ყველაფერი თქვა. ხვალისთვის რომ დავიბარო? ვაითუ, ეჭვი აიღოს და აღარ მოვიდეს? ასე პირდაპირი ვერ ჩავსვამ, უფლება არა მაქვს...“

– საბუთი გაქვთ რამე?

უცნობმა პასპორტი და პირადობის მოწმობა გაუწოდა. ყველაფერი წესრიგში იყო.

გამომძიებელი შეჰყურებდა უცნაურ დამნაშავეს და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო...

მეორე დღეს, ბრალდებას რომ ეცნობოდა, დამნაშავე იღიმებოდა: „კარგია, კარგად მოგიფიქრებიათ! – შიგადაშიგ ჩაურთავდა იგი, – ტექნიკური უსაფრთხოების წესების უგულებელყოფისა და ორი ჰამაკის დატაცებისათვის რომ მაძლევთ პასუხისგებაში. რა ტყუილად ჩაუსვამთ კაციო, მთელი ქალაქი ჩემზე ილაპარაკებს. თუ მეტს ვერაფერს უმტკიცებდნენ,

რაღაზე დაიჭირეს და რაღაზე ასამართლებენ, მორევაზე ხომ არაა საქმეო. ხომ იცი, უმეტესობა დაჩაგრულის მხარეზეა ყოველთვის“.

ბრალდებული უსაზღვროდ კმაყოფილი იყო.

დაპატიმრების უწყისს ხელს რომ აწერდა, რეზომ მაინც გაუძნელა საქმე:

– მომეწონე გუშინ! კაი კაცი ჩანხარ, თორემ ამისთვის მეცალა ახლა მე?! ნათლულის ქორწილზე არ წავედი და ამას ვწერდი მთელი საღამო. ზოგი ავყია რომ იტყვის, მთლად ისე კი არაა ჩვენი საქმე. კაცური კაცის პატივისცემა ჩვენც ვიცით. ხვალიდან ჩაჯდებით, დღეს წაბრძანდით სახლში, მოემზადეთ, თბილები ჩაიცვით! ხვალ დილით თქვენ არ შეწუხდეთ, მანქანას გამოვგზავნი!

მთხოვნელი რომ გავიდა, გამომძიებელი ტელეფონს დასწვდა და უფროსს მოახსენა ყველაფერი.

რეზო ხამაშურიძე ფრთხილი კაცი იყო.

– ექიმთან რომ ქალი მოვიდა იცით?

– არა! – ერთხმად უპასუხეს ლევან კუკულაძეს დამსვენებლებმა და ზოგმა, რატომღაც, წინასწარ გაიცინა.

– მითხარით, თუ იცით, ტყუილად ნუ მომაყოლებთ, შენ გეცოდინება, ხუტა!

– არ ვიცი. – მაღალმა, გრძელცხვირა კაცმა გულწრფელად უპასუხა.

– ექიმთან მივიდა ქალი. გეცოდინებათ, ძველი ანეკდოტია. არც შენ იცი, ჯოკია?

– არა.

– რავა არ იცით; ექიმთან რომ ქალი მივიდა.

ამ დროს ჭადრის ძირში მოღლაბუცე ჯგუფს მორიგე ექიმი მიუახლოვდა, ანეკდოტებად ქცეული ლევანი განზე გაიხმო და რაღაც უთხრა.

– აუჰ, ეს მაკლდა ახლა! – იტაცა შუბლზე ხელი კუკულაძემ.

– რა მოხდა? ცუდი ხომ არაფერია! – ლევანს ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალები შესცქეროდნენ.

– ბავშვს თავი გაუტეხია!

ლევანმა დასასვენებელ სახლ „შრომის უფლების“ მეორე კორპუსის კიბეები ელვის სისწრაფით ჩაირბინა. მან უკვე იცოდა, რომ სერიოზული არაფერი მომხდარა, მის შვიდი წლის გიას ვიღაცის ბავშვმა თამაშის დროს ქვა ჩაარტყა და როგორც მორიგე ექიმი ამბობდა, – კანი გაუკაწრა, მაგრამ მამის გული ხომ იცით. ლევანმა პირველად წამოიყვანა ბავშვი დასასვენებლად, ცოლმა იმდენი უძახა; ბავშვის მომვლელი არ ხარ შენ, ამ ბავშვს კარგს არაფერს დამართებო და ა, ბატონო, აუხდა კიდეც. გულიკოს (ლევანის მეუღლეს ერქვა) ყბიდან ახლა შენ ამოხვალ?

ლევანმა შემოჯარული დამსვენებლები გაარღვია და სიხარულისაგან ელდა ეცა. რა ახარებდაო, მის მდგომაროებაში მყოფ კაცს, იკითხავთ თქვენ სრულიად ბუნებრივად. კუკულაძე ორმა ამბავმა გაახარა; ჯერ ერთი, გია უკვე აღარ ტიროდა და და, მეორეც, – იგი გულში ჩაეხუტებინა და თავზე ხელს ნაზად უსვამდა სხვა ვინმე კი არა – ეთერ ჭკუასელი.

აღარ მივედ-მოვედები და ბარემ აქვე გავუმჟღავნებ ცნობისწადილით დაინტერესებულ მკითხველს, რაშია საქმე.

ლევან კუკულაძე ტრესტ „გამწვანებაში“ უფროს გამმწვანებლად მუშაობს, დეკორატიული მემცენარეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. არც კია, მე მგონი, საჭირო მისი განათლების და სოციალური მდგომარეობის დაწვრილებითი დახასიათება. იგი დამსვენებელია, მორჩა და გათავდა. დამსვენებლები კი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს: ყველანი არაჩვეულებრივად მხიარულნი არიან და იმ ბარობაზე გამოჩენილ ლამაზ ქალებს თვალებს უპრაწავენ.

გამმწვანებელი საშუალო ტანისაა. უიმედოდ მოსწრებულ ღიპს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ლამაზი, პროპორციული ტანი აქვს. სიარულის დროს მარცხენა ბეჭი ოდნავ დაშვებული აქვს. ორმოცსმიტანებული გახლავთ, საფეთქლებთან ჭაღარა შეჰპარვია, ტუჩებზე გადმომხობილი სქელი ულვაში აქვს და თვინიერი, თაფლისფერი თვალები.

„შრომის უფლებაში“, ეს სამი დღეა, რაც ეთერ ჭკუასელი გამოჩნდა. „სიქსტის მადონა“ ვის არ გინახავთ, სწორედ იმას ჰგავდა, ორ უმნიშვნელო გარემოებას მხედველობაში თუ არ მივიღებდით: თავისი პირმშო ხელში კი არ ეჭირა, გვერდით მოჰყვებოდა, რადგანაც ხელში ასაყვანად მისი კახა საკმაოდ დიდი იყო - რვა წლის მაინც იქნებოდა. მეორეც, არც თვით ქალბატონი ეთერი იყო რაფაელის შედევრზე გამოსახული გოგონას ხნისა. ეთერ ჭკუასელი, თუ უხერხული არ არის ასე დაკონკრეტება, ოცდაათ წლამდე იქნებოდა.

გამოჩნდა ეთერი დასასვენებელ სახლში და შეიცვალა ირგვლივ ყველაფერი. ინტერესი მიეცა ცხოვრებას. მამაკაცები სპორტული პიჟამოებით აღარ ჩამოდიოდნენ სასადილოში. რაზეც არ უნდა დაეწყოთ საუბარი ჭადრის ძირში შეკრებილ დამსვენებლებს, ბოლოს რომელიმე მათგანი განხეთქილების ვაშლივით გამოაგორებდა ეთერ ჭკუასელის სახელს და ჩვეუ-

ლებრივი საღამო ქალზე და სიყვარულზე ცხარე კამათით მთავრდებოდა.

ყველა თავისთავად იყო გატაცებული ამ ულამაზესი ქალით, მაგრამ ლევან კუკულაძემ კი მართლა დაკარგა ძილი. ლევანი მტკიცე ხასიათის კაცი გახლდათ; თუ შეუყვარდებოდა ვინმე, მართლა შეუყვარდებოდა და თუ გადაუყვარდებოდა, მართლა გადაუყვარდებოდა.

დაიტანჯა კაცი. თვითონაც არ ეგონა, თუ მის ასაკში ასე მოედებოდა სიყვარულის ცეცხლი. ადრე სხვები რომ სიყვარულზე ალაპარაკდებოდნენ, ლევანი ქირქილებდა – რისი სიყვარული, რა სიყვარული. რაღა დროის ჩვენი სიყვარულია, სიყვარული ბავშვების საქმეაო. ახლა კი სხვა ფიქრებმა შეიპყრო ლევანი. ჭკუასელის ქალს რომ ნახავს, თითქოს ცა გაეხსნაო, სიხარულისგან ელეთმელეთი მოსდის.

ეთერ ჭკუასელმაც შესანიშნავად იცის, რომ დასასვენებელი სახლის ჩვეულებრივი რიტმის დარღვევა და, როგორც იტყვიან, „ნერვული ატმოსფეროს“ შეტანა დამსვენებელთა შორის, მისი ბრალია. ბავშვს გვერდიდან არ იცილებს, ცალკე სალაპარაკოდ არავის უჩერდება, ყველას ერთნაირად, გულისმომკვლელი და რებუსებით სავსე ღიმილით უღიმის და საღამოობით „წითელ კუთხეში“ საათობით უზის ტელევიზორს.

ყველამ იცის, რომ იგი ეთერ ჭკუასელია, მაგრამ ვინ არის, ვისი ცოლია, რა მოხელე-ჩიქვანია და როგორ მოხვდა ბაღებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამმართველოს დასასვენებელ სახლში, ჯერ არავინ იცის.

ლევანმა ერთხელ მაინც შეურჩია მომენტი და ტელევიზორთან ხალხი რომ შეთხელდა, სცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ეს დიალოგიც უშედეგოდ დამთავრდა. ხოლო კუკულაძის დარდის მალამოს კარგი პირი არა და არ უჩანდა.

– ეთერ, შენ შემოგევლოს მთელი ქვეყანა, რა საყვარელი ქალი ხარ, ეთერ.

– რა ბრძანეთ, ბატონო ლევან?

ლევანი გაწითლდა და მიიხედ-მოიხედა, დამსვენებელთა მდუმარე სახეები ვითომ მართლა „ვრემიათი“ იყვნენ გართულნი.

– რა საყვარელი ქალი ხართ-მეთქი, – უფრო ხმადაბლა ჩაულულლუღა ლევანმა.

– არ მესმის, ცოტა ხმამაღლა მითხარით! – ეთერ ჭკუასელის თვალებში ათასი ეშმაკი გაილანდა.

ლევანი გაჩუმდა.

სატელევიზიო პროგრამა რომ დამთავრდა, ლევანმა თავის კარამდე მიაცილა ეთერ ჭკუასელი და რაც შეეძლო, გასაგებად აუხსნა, რომ ნამდვილად უყვარს და მთელ ქვეყანას ურჩევნია და თუ არ დაუჯერებენ, ახლავე თავს მოიკლავს. აუხსნა, რომ, რაც ეთერი გამოჩნდა, „მზე აღარ მზეობს“ მისთვის და „დარი არ დაროობს დარულად“.

ეთერ ჭკუასელმა ყურადღებით, გულისხმიერად მოუსმინა და როცა გამიჯნურებულმა დამსვენებელმა დაამთავრა, მშვიდად უთხრა:

– გმადლობთ ყურადღებისათვის, ლევან ბატონო. სასიამოვნოა თქვენგან ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ მაპატიეთ, თუ თქვენს გულწრფელობაში ეჭვი მეპარება. აქ დასასვენებელი სახლია, თქვენ, ოჯახს ცოტა ხნით მოშორებული, ჯანსაღი მამაკაცი ბრძანდებით და, შეიძლება, მართლა გატაცებული (მხოლოდ გატაცებული) იყოთ ჩემით ამჯერად. მაგრამ, დამიჯერეთ, ეს არასერიოზული „სიყვარულია“. ჩემს ადგილას, ვინც გნებავთ ლამაზი (ჯერ ერთი მე რა ლამაზი ვარ) ქალი, თქვენ ასევე შეგიყვარდებოდათ. მეორეც, კიდეც რომ დავიჯერო თქვენი, მე მაინც ვერ გითანაგრძნობთ – ათასი მიზეზის გამო. და იმ ათას მიზეზში რასაც ვგულისხმობ, თქვენ, ალბათ მიმიხვდებით. ღამე ნებისა...

უცნაურია ადამიანის გული. პირველი, რამაც შესძრა ლევანი, როგორც მოგახსენეთ, სიხარული იყო. სიხარულის ელდამ რომ გაუარა, გიას დაუსვა თავზე ხელი. თითებზე სისხლი რომ მოეცხო, გაქვავებულ ბრბოს გადახედა და მრისხანედ იკითხა:

– ვინ დაარტყა?!

ხმა არავის ამოუღია. დამსვენებლები უხერხულად იშმუშნებოდნენ.

– ვინ დაარტყა, არ შეიძლება ვიცოდე? ასე ზრდით, ამას ას-

წავლით ბავშვებს, კაცო? რატომ ჩემმა არ დაარტყა სხვისას?

ეთერ ჭკუასელმა უფრო მიიკრა დაზარალებული ბავშვი თავის სასიზმრო მკერდზე და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

– ჩემმა, ლევან ბატონო, ჩემმა დაარტყა. ის არ გაეზარდა მის დედას.

ლევანი, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ერთბაშად დამშვიდდა. სახეზე მრისხანების კვალი გაუქრა, და მორცხვობანარევი მზრუნველობით უთხრა ეთერ ჭკუასელს:

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ეთერ. ამ უბრალო საქმისთვის სწყევლით ბავშვს?

– უბრალო კი არა, რომ მითხრეს ეს ამბავი, გული ისე შემეკუმშა, თუ არ გავთავდებოდი იქვე, არ მეგონა. ერთი წუთით მოვაცილე თვალი ამ ღვთისპირიდანგადავარდნილს. ასეთი მარცხიანი ხელი აქვს. მამამისია მოკლედ, გაუგონარი და დაუნდობელი. თუ იმნაირი გაიზრდება, ახლავე მოეღოს ბოლო არ სჯობია?

ლევანს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამასობაში სასწრაფო დახმარების მანქანა მოგრიალდა. თეთრ ხალათზე საწვიმარმოხურულმა საპენსიო ასაკსგადაცილებულმა ექიმმა ბავშვს ჭრილობა გაუსინჯა; წამოიყვანეთ კლინიკაში, ერთ-ორ ნაკერს დავადებ, უფრო მალე შეუხორცდება; ისე, საშიში არაფერიაო, თქვა, პლაში აიკეცა და კაბინაში შეხტა.

ბევრი ეხვეწა ლევანი ეთერს, თქვენ ნუ შეწუხდებით, წაბრძანდით და მოისვენეთ, მე გავყვები, არაა დიდი საქმე ამის გაკერვაო, მაგრამ კახას დედამ არ დაიშალა და ისე გულზეახუტებული აიყვანა გია „სასწრაფოს“ სამსაფეხურიან კიბეზე.

ლევანი შესცქეროდა ქალის მრგვალ, ვნებისაღმძვრელ მუხლისთავებს, გიას თმაში შეცურებულ უნატიფეს თითებს და თავის თავს ტუქსავდა: მე გავჩნდი, ნეტავ, ასეთი უხეირო თუ სხვებიც არიან, ბავშვი საოპერაციოდ მიმყავს და რა მუხლისთავები ამიტყდაო.

გიას არ უტირია. ექიმმა „კერვას ნახევარ საათამდე მოანდომა. მერე ჭრილობა ფურაცილინის ხსნარით მობანა, ექთანს უბრძანა: შეუხვიე და სამი-ოთხი საათით პირველ პალატაში დააწვინეო. ეთერს და ლევანს ერთი გადახედა; ყურადღება უნდა, გენაცვალე, ბავშვს. თქვენ ახლა არც ისე პატარები

ხართ, ეს რომ ჩემგან გესწავლებოდეთო. ერთ წამსაა მარცხიო, დააგდო და ავადმყოფის პატრონებს მადლობის სათქმელად დაღებული პირები შეატოვა.

გიას მალე ჩაეძინა. ეთერი ბავშვს სასთუმალთან ეჯდა და შუბლზე ნაზად უსვამდა ხელს, ლევანი კი ოთახში მიმოდიოდა. კარგა ხნის მერე ფანჯარასთან მივიდა, შემოტრიალდა და ყელგამშრალი კაცის ხმით ამოღერღა:

– ეთერ!

– რა იყო? – ჭკუასელის ქალს მისკენ არ გაუხედავს.

– გძულვარ მე შენ?

– ვინ გითხრა? – ეთერმა ღიმილი დაუმალა, – მე არვინაც არა მძულს.

– აბა, რა მოხდა, შე ქალო.

– რაზე მეუბნები? – გაიმიამიტა თავი ეთერმა.

– მიყვარხარ, ამ ერთ ბავშვს გეფიცები, წარმოუდგენლად მიყვარხარ.

– კარგი ახლა, ლევან, – ეთერი გასაოცრად მშვიდი ხმით, თითქოსდა შორიდან ლაპარაკობდა, – მაგის თქმის ადგილია ახლა აქ? ხომ გითხარი ერთხელ უკვე პასუხი. შენ არ მიცნობ მე, ლევან. რაკი ქმარგაცილებული ვარ, მაინცდამაინც უნდა მოვიტყუო თავი, შე კაცო? შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ დავიღალე, და როგორ გადავეჩვიე ყველაფრის დაჯერებას. ოთხმოცი წლის ბებერი მგონია ჩემი თავი. შენს აყოლას და თანაგრძნობას ძლიერი ქალი უნდა. მე არც გამბედაობა მაქვს სამაგისო და არც ძალა, თუ კაცი ხარ, ტყუილად ნუ გაიწვალებ თავს. ამოიღე ეგ ფიქრი გულიდან.

ლევანს მეტი არაფერი უთქვამს.

გვიან საღამოთი სასწრაფოთივე დაბრუნდნენ „შრომის უფლებაში“.

დამსვენებელთა საპატიო ყარაულს ჩამოუარეს და ლევანის ნომერში შევიდნენ. ეთერმა ბავშვს შარვალ-პერანგი გახადა, ხელ-ფეხი დაბანა და დააწვინა. დააძინა. ცხრა გადასული იყო, როცა მასპინძელს დაემშვიდობა; წავალ ახლა, ჩემს ხულიგანს მივხედავო, ლევანს გაუღიმა და გავიდა. რაკი ყველაფერს ასე

დაწვრილებით ვყვები, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ გასვლისას ლევანმა ხელი ჩამოართვა, დაქაჩა, გულზე მიიკრა და ყვრიმალები დაუკოცნა. ქალმა მოხერხებულად გაინთავისუფლა თავი და კარში გაუჩინარდა.

დერეფანში გამოსვლისას ეთერს შეაჟრჟოლა. დამსვენებლები უსიტყვოდ იდგნენ ლევანის კართან და თითქოს ჭკუასელის ქალის გამოსვლას ელოდნენ.

შუაღამე გადასული იყო, როცა ლევანის კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. გამწვანების ტრესტის თანამშრომელი ტანსაცმლიანად წამოწოლილიყო და „დათა თუთაშხიას“ კითხულობდა.

– როგორ არის? – კარში ეთერი იდგა. უფრო ლამაზი და დაუჯერებელი, ვიდრე სამი საათის წინ იყო.

– ვერ არის კარგად, შფოთავს, შემოდი. – ლევანმა აშკარად იცრუა. ბავშვს ღრმა, ტკბილი ძილით ეძინა.

ეთერი შევიდა.

* * *

ჭორი მაინც გავრცელდა.

მეორე დღეს ნავახშმევს ნაფრონტალ დეკორატორ-გამფორმებელს, სამოცი წლის ლოყებღაჟღაჟა ქვრივს, ტრიფონა სალდაძეს – დამსვენებლები „დომ ოტდიხას მასხარას“ რომ ეძახდნენ, – ტელევიზორთან მუხლებზე დაესვა კახა და სხვათა გასაგონად ხმამაღლა ჩასძახოდა:

– მე ვერ დამარტყი, ბიძია, ის ქვა თავში?! მე ვერ დამარტყი?!

დამსვენებლები გულიანად ხითხითებდნენ.

ღორის რძე

გაზაფხულის თბილი საღამო იყო.

ზამთრით დაღლილი მოქალაქეები თეატრის მოედანზე გადიგამოდიოდნენ. დათვისხელება, ზორბა მილიციელი, რომელსაც სამხრეებზეც კი ორთქლი ასდიოდა, გაფუჭებული პატეფონივით წამდაუწუმ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ყველაფერი უბედური თქვენ უნდა გამოიგონოთ? სად გინახავთ, რომელ ქალაქში გინახავთ, შუა მოედანზე დადიოდეს ხალხი. ეს გადასასვლელი რისთვისაა, თუ იცით, დახაზული?!“...

„ხალხს“ მისი მშვენივრად ესმოდა, თანაუგრძნობდნენ კიდეც, მაგრამ მაინც შუა მოედანზე არჩევდნენ გადასვლას. გზის შემოკლების მიზნით კი არა, ამ ქალაქში მცხოვრებთ არსად ეჩქარებოდათ. უადგილო ადგილას გადასვლით ისინი თავიანთ სუვერენულობას ამჟღავნებდნენ და სასწაულებრივად შემორჩენილ პატივმოყვარეობასაც იკმაყოფილებდნენ. აქაოდა, ხომ მაინც არ გავიარეთ ისე, როგორც სხვებს სურდათო. ორიგინალობის გამოჩენა ამ ქალაქში მცხოვრებთა განუყრელი თვისება იყო. მილიციელმაც მშვენივრად იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და ნერვებს არ იშლიდა. სკოლიდან ბილიარდის სათამაშოდ გამოპარულ ბიჭს თუ წაუტყაპუნებდა თავში ხანდახან: „შენ მაინც ისწავლე წესიერი სიარული. ამგენს რას უყურებ შენო“. მაგრამ ესეც იშვიათად ხდებოდა, რადგანაც სკოლიდან ბილიარდის სათამაშოდ გამოპარული ბიჭები, როგორც ცნობილია, მილიციელზე უფრო სწრაფად დარბიან.

– ერთი იმის ტურად გადამაქცია, იმ კაცს რა ფიქრები აწუხებს, რა მოხელეა, ან ვინ ურჩენს ცოლ-შვილს და მომკლა თუ გინდა, – ავტობუსის გაჩერებაზე თავისთვის ჩაილაპარაკა მანჯურიულ ყაიდაზე შეკერილ პლაშიანმა, ჭაღარა კაცმა, სიმაღლეს ძირითადად ჟირაფივით გრძელი კისერი რომ აძლევდა.

– რომელ კაცს? – გულგრილად ჰკითხა საკვების კალორიულობის საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტის ასპირანტმა შოთა ქვათაძემ.

– ეგერ, რომ დგას ჭადრის ქვეშ.

კოლონების უკან, ჭადრის ქვეშ, მართლაც იდგა საგულდაგულოდ თმაგადავარცხნილი, შავპალტოიანი კაცი, რომელსაც თეთრ პერანგსა და ჰალსტუხზე ჭრელი კაშნე შემოეყოლებინა. სითბოსთვის კი არა – სილამაზისთვის.

– რავა?

– რავა და როცა არ უნდა გამოვიარო; დილას, შუადღეს, საღამოს, ავდარში, დარში – სულ იქ დგას. მიყრდნობილია ჭადარზე და ათვალიერებს ხალხს. ახლა მაგიც ცხოვრობს და მეც ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე? დილიდან საღამომდე ვირივით ვმუშაობ და მაინც არაა ჩემი საშველი. ერთი, უნდა მივიდე და გამოვეცნაურო. რაღაცა მუღამს მიაგნო, ალბათ, ცხოვრებაში, თორემ ასე როგორ იქნება, ეგებ მეც მასწავლოს და გავკეთდე კაცი. რანაირად, აბა, ან საქმე არა აქვს, ან მომსვლელ-წამსვლელი? უპატიურს და უსახლკაროს არა ჰგავს, ყოველთვის სუფთად და ლამაზადაა გამოწკეპილი.

– მუღამს, აპა. კაცი რომ დილიდან საღამომდე ბაღში დადგება, წაღმა იქნება მისი საქმე? ადვილად შეიძლება ჭერიდან წვიმა ჩასდიოდეს და მაგის ბავშვს ჩაფულა არ ეცვას ფეხზე. არიან მაგნაირი კაცები. დილას გამოეწყობა კარგად, მშვენივრად, ცოლს ეტყვის – საქმეზე მივდივარო და დგას ჭადრის ქვეშ. ცოლს, საწყალს, მართლა საქმეზე ჰგონია წასული. მაგას კი არა მე, აგერ, მეცნიერი კაცი ვარ და მე ძლივს მყოფნის ჯამაგირი. – შოთა, ამ ბოლო დროს, ხელმოკლეობას უჩიოდა. მუშაობდა ინჟინრად საკონსერვო ქარხანაში. ხელფასიც კარგი ჰქონდა, ხან პრემია, ხან რაღაც და ცხოვრობდა გვარიანად. ცოლმა გააბრიყვა, ქვეყანა გამეცნიერდა, შედი ასპირანტურაში, გქონდეს ეს ხარისხიც, იყოს დიპლომი ოჯახშიო. დაუჯერა, დაუსწრებელ ასპირანტურაში ადგილი არ იყო, დასწრებულზე ჩარიცხეს და სტიპენდიით უჭირს სამი ბავშვის რჩენა. რა არის აქ დასამალავი.

– რაის მეცნიერი ხარ? – შეთქმულივით, ჩუმად ჰკითხა ჟირაფისკისრიანმა.

– კალორიულობის ინსტიტუტში ვარ.

– თუ ძმა ხარ, არ დამიმალო: აი, დილას რომ მიხვალთ სამსახურში, რას აკეთებთ, თუ ძმა ხარ. რანაირია თქვენი მუშაობა?

– შრომებს ვწერთ, ვკითხულობთ, ცდებს ვაყენებთ, ვანგარიშობთ.

– რას ანგარიშობთ

– მე, მაგალითად, რძის შემადგენლობას ვიკვლევ სხვადასხვა საკვების პირობებში. ზოგიერთი რძეს რომ უყურებს, თეთრია და მორჩა და გათავდა. სინამდვილეში – ძროხამ იონჯა თუ ჭამა, სხვანაირი რძე აქვს. ჩალა – სხვანაირი.

– ერთი, თუ კაცი ხარ, რამდენი წელია მაწუხებს ეს და ვისაც ვუთხარი, საცინლად ამიგდო: ღორის რძე არის შესწავლილი?

შოთას გაეცინა.

– ორ ბავშვს ვფიცავ, თუ ვხუმრობდე, ბიძია, – მოქალაქეს იმდენად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, რომ შოთამ ახლოს მიიწია, – ყველაფრის რძეს იყენებს ადამიანი – ხომ სწორია?! ძროხის რძე, ცხენის რძე, აქლემის რძე, ცხვრის რძე, თხის რძე და რა ვიცი. ღორის რძე თუ გამოიყენება რამეში? ან რანაირი რძე აქვს ღორს – ე, გოჭები რომ ცხვირპირს ამტვრევენ ერთმანეთს? ეგება, გამოსადეგია რამეში. ეგება ყველი ამოდის იმისთანა, რომ შემირცხვენია კამეჩის ყველი. წავედი, კარგად იყავი!

ჟირაფისკისრიანი გაიქცა და მგზავრებით გაჭედილ, კარებღია ავტობუსს შეახტა.

შოთას ღორის რძის შესწავლის შესახებ უცნობის ნათქვამი ჯერ ხუმრობა ეგონა, მერე ენააქავებული კაცის ფანტაზიის ნაყოფი, ბოლოს, კარგად რომ აწონ-დაწონა, ჭკუაში დაუჯდა. ისე გაიტაცა ღორის რძეზე ფიქრმა, რომ გადაწყვიტა, ავტობუსს არ დალოდებოდა და ფეხით წასულიყო შინ.

„მართლაცდა, წაკითხვითაც არსად წამიკითხავს ღორის რძეზე გამოკვლევა. ჩიტის რძეს იტყვის ქართველი კაცი (ჩიტის რძე ხომ სინამდვილეში არ არსებობს), ღორის რძე კი არასოდეს უხსენებია. რაშია საქმე? იქნებ მართლა ძვირფასი შედ-

გენილობისაა? რატომ არ უნდა დაინტერესდეს მეცნიერება ამ პრობლემით! იქნებ ყივანახველას უხდება, ღვიძლის წამალია, იქნებ კიბოსაც არჩენს. იქნებ, იმ კაცისა არ იყოს, ყველი ამოდის გადასარევი? მოდი, მოვკიდებ ხელს ამ საქმეს. სეირი არ იქნება ამ უყველობის პერიოდში, მე რომ ღორის რძისაგან ცამეტნაირი საკვების და ოცდაორი სახის პრეპარატის დამზადება ვასწავლო კაცობრიობას?“

...და შოთამ წარმოიდგინა, როგორ აუწყა პრესამ და ტელევიზიამ ქვეყანას შოთა ქვათაძის აღმოჩენა. როგორ გაიშალა მოძრაობა ღორის რძის მოსაპოვებელად. როგორ გაჩნდნენ საზოგადოებაში შრომითი ფრონტის ახალი გმირები – ღორის მწველავები. სოკოებივით გამრავლდნენ ღორის რძის გადამმუშავებელი ქარხნები და მაცივრები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიხსნა მეღორეობის ფაკულტეტი. სამედიცინო – ღოროფარმაკოლოგიის განყოფილება. და საყოველთაო ამოძრავების ამ ქაოსში გონების ჰორიზონტზე ხშირად ამოტივტივდებოდა ხოლმე შოთა ქვათაძის დაფნის გვირგვინით შემკული თავი.

საკვების კალორიულობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი მიდიოდა ქუჩაში და წამდაუწუმ იღიმებოდა. ნაცნობები გაოცებით შეჰყურებდნენ, უცნობები კი ყურადღებასაც არ აქცევდნენ. რამდენი კაცი დადის ქუჩაში, თავისთვის რომ მილაპარაკობს და მიიღიმის.

მეორე დღეს ინსტიტუტის დირექტორს სთხოვა, წლიური თემის მასალების მოსაპოვებლად ხურმოუბნის მეღორეობის ფერმაში მივლინებით გამიშვიო. – რა უნდა შეისწავლოო, სხვათა შორის ჰკითხა დირექტორმა.

– ღორის რძის კალორიულობა სხვადასხვა საკვების მიღების შემდეგ, – მოკლედ აუხსნა ასპირანტმა.

– კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება?

– ვერ გავიგე? – კითხვა შეუბრუნა შოთამ დირექტორს.

– შედეგი ვისთვის იქნება გამოსადეგი, წარმოებაში დასანერგავად? – გაუშიფრა კითხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა.

შოთამ გაიფიქრა: – მე რომ ამას ყველაფერში გავუტყდე, ვინ იცის, იქნებ მომპაროს იდეა, ან, უკეთეს შემთხვევაში, თანაავტორობა მაინც შემომთავაზოსო და კონკრეტულად უპასუხა:

– გოჭებისათვის.

მეორე დღეს შოთა ქვათაძემ აიკიდა თავისი აპარატები და ხურმოუბნისკენ გაემგზავრა.

მთელ დუნიაზე რომ გვალვა იყოს, მეღორების ფერმის შუკაში ტალახი მაინც არ გამოილევა და უიმედოდ ამოგანგლული მიადგა ასპირანტი ფერმის კარს. გამგეს არ გაკვირვებია შოთას ჩამოსვლა, არც მივლინების მიზანს გაუოცებია იგი. გამგემ იცოდა, რომ მეცნიერები უცნაური ხალხია და რა საქმეზეც არ უნდა მოსულიყვნენ – ხელი უნდა შეეწყო.

ღორის რძის მოპოვება იოლი როდი აღმოჩნდა.

ორმოცდაშვიდი დედა ღორიდან ვერც ერთი ვერ დაითანხმეს საწველი აპარატის შეერთებაზე.

ასპირანტი, მეღორეები და თვით ფერმის გამგეც ორი საათის განმავლობაში ენაგადმოგდებულნი დასდევდნენ ნეზვებს, მაგრამ ამაოდ.

ხელისგულზე დაყრილი რკოთი, ხვეწნითა და მუდარით თუკი ახლოს მოიტყუებდნენ დედა ღორს, ეს უკანასკნელი უნდობლად შეხედავდა უცნაურად ატროკებულ ფერმის პერსონალს და წამით შედგებოდა, მაგრამ როგორც კი აპარატი გაჩხაკუნდებოდა, ნეზვი საშინელი ჭყვიტინით გამოხატავდა პროტესტს და ძალის პოზიციაზე გადასული ხელიდან უსხლტებოდა მეღორეებს.

დაიღალნენ ღორებიც და მათი მდევრებიც. როგორც იქნა, მიიმწყვდიეს კუთხეში ერთი წარმოსადეგი ნეზვი – თორმეტი გოჭის დედა.

მოფერებით, დაყვავებით, თავზე საყრელად მიწოდებული რკოთი როგორც იქნა გააჩერს, გატეხეს მისი ნებისყოფა.

საწველი აპარატი რომ შეუერთეს, ნეზვმა ჭამა შეწყვიტა და აღრუტუნდა, ჭყვირილი არ დაუწყია, – თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, თუ რაიმე უბედურებას არ შემამთხვევთო, – ისმოდა მის თვინიერ ღრუტუნში.

საწველი აპარატის გარდა დედა ღორს შეუერთეს სანერწყვე მილი, გულის კარდიოაპარტი, სეკრეციის ჯირკვლების წნევის გამზომი, შარდსადინარი მილი, თერმომეტრი.

წუთით ყველა გაირინდა.

ასპირანტი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, ექსპერიმენტი იწყებოდა.

და სწორედ ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ვეებერთელა ნეზვს სიამოვნებისაგან თვლემა მოერია, ღრუტუნი შეწყვიტა, საეჭვოდ აყირავდა, ჯერ მარჯვნივ, კედლისკენ გადაიხარა, მერე გადაიფიქრა და მოწყვეტით დაეცა აპარატსინჯარა-თერმომეტრებს, მსხვრევისა და ტკარცალის ხმაზე შეშინდა და რეზინისა თუ მინის მილების ნაწყვეტ-ნამტვრევები თან გაიყოლა.

...ნირწამხდარი, გუნებამოშლილი ასპირანტი მდუმარედ მიარღვევდა ტალახს ავტობუსის გაჩერებისაკენ. უკან მეღორეობის ფერმის თანამშრომელთა სევდიანი პროცესია მოჰყვებოდა.

შოთა ქვათაძისთვის ახლა კი ნათელი გახლდათ, თუ რატომ იყო აქამდე ღორის რძე შეუსწავლელი.

ნუნუ

– არა, ჩემო დაია, არა ხარ მართალი. შენ თუ ასე გული იხეთქე, რაღად გინდა რამე. ნუ გეშინია, საფლავში არავინ ჩაგყვება. ყველა მონახავს თავის გზას. – ეუბნებოდა ნუნუ ბაღათურია თავის თანაკლასელს – ეთერ მანჯავიძეს, რომელიც თხუთმეტი წელია არ უნახავს და აგერ, სრულიად შემთხვევით, ბაზარში წააწყდა.

მართალია, ორივეს სანოვაგით დატვირთული ჩანთები ეჭირათ და საუბრის დროს ხელიდან ხელში გადაჰქონდათ (არც დრო ჰქონდათ მაინცდამაინც თავზე საყრელად), მაგრამ ბაზრის გამოსასვლელთან, აფთიაქის კუთხეში მიდგნენ და ამ საათ-ნახევრის წინ დაწყებული საუბრის დამთავრებას შეეცადნენ.

ქალები იმ ასაკისანი იყვნენ, ყველაზე ლამაზი ასაკი რომ ჰქვია და ბალზაკი რომ დიდ იმედებს ამყარებს. პროვინციული ქალაქის პირობაზე საკმაოდ მოდურად ეცვათ. ნუნუს – საგაზაფხულო, შავი ტყავის პლაშჩი და „საბოები“, ეთერს – ჯინსის სისტემის გრძელი მოსასხამი და ყავისფერი ჩექმები, შესუქებულ ფეხებზე ძლივს რომ ეტეოდა.

თანაკლასელები გაცილებით უფრო მომხიბვლელნი იქნებოდნენ, ათ-ათი კილოთი ნაკლები წონა რომ ჰქონოდათ, მაგრამ მათი უერთგულესი ღაბაბისა და პირთამდე სავსე ჩანთების შემყურე ადვილად დაასკვნიდი, რომ დიეტით თავს დიდად არ იწუხებდნენ.

ნუნუ მაღალი იყო. შავთვალწარბა. მზედაკრულ ლოყებზე პურის მარცვლისხელა ხალები აჩნდა სამ-ოთხ ადგილას, ტუჩები სისხლისფერი პომადით შეეღება და ლაპარაკის დროს „ს-ს“ ინგლისური „th-ს“ მსგავსად წარმოთქვამდა.

ეთერი საშუალო ტანის, მკერდსავსე ქალი გახლდათ. სახე – შავგვრემანი, თმა ფერფლისფერი ჰქონდა. ოდნავ კეხიანი ლამაზი ცხვირით და ამობურცული ტუჩებით ბოტიჩელის

რომელიღაც მადონას ემგვანებოდა, ჩვიდმეტი წლის რომ ყოფილიყო და ტანზე შემოტმასნილი, გაზაფხულის ყვავილებით დაწინწკლული კაბა რომ სცმოდა.

ეთერ მანჯავიძეს სახეზე განუზომელი მწუხარების კვალი ეტყობოდა და ისე გაფაციცებით უსმენდა მოსაუბრეს, თითქოს თანაკლასელის სიტყვებს მისი მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მკითხველის დროს და ნერვებს რომ არ ვუფრთხილდებოდეთ და გაჭიანურების მოყვარული მწერლის ხვედრის გაზიარებისა რომ არ გვეშინოდეს, დავიწყებდით თავიდან, თუ როგორ შეხვდნენ ეს ორი ამხანაგი ბაზარში. თავდაპირველად როგორ გაუჭირდათ ერთმანეთის ცნობა. რამდენი რამ თქვეს მანამდე, სანამ ეთერი ამოიოხრებდა და ნუნუ ბაღათურიას გააგებინებდა ამაზრზენ ამბავს იმის შესახებ, რომ ქმარი ღალატობს და ამნაირ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია.

ჩვენი ნოველა როცა იწყება, ქალბატონ ეთერს დამთავრებული აქვს თავისი სამგლოვიარო მონოლოგი და სიტყვას ნუნუ იღებს. ნუნუს მოვალეობა არცთუ იოლია, რაიმე საიმედო და ხელჩასაჭიდი უთხრას მეგობარს, გული გაუკეთოს, იმედის სხივი მოჰფინოს და ცხოვრებისაკენ შემოაბრუნოს.

– ასე გადარევა რავა შეიძლება. გეკადრება ახლა შენ ეს ამბავი უმაღლესი განათლების ქალს? გულთან არ მიიტანო-თქვა რომ გითხრა, ძნელია, საწყენი რავა არაა, მაგრამ არც ასეა საქმე, შენ რომ გგონია. ყოველ მეორე გათხოვილ ქალს სჭირს ეს ამბავი, – აქ ნუნუმ მიიხედ-მოიხედა და მეგობარს საიდუმლოდ, ყურში ჩასჩურჩულა, – გაწყდა კაცების სინსილა. ასე ყოფილა ეს ცხოვრება და რას იზამ ახლა. შენ შენი თავი უნდა აიყვანო ხელში და ღირსება არ უნდა დაკარგო. რას ჰქვია, ღმერთო კი მომკალი, გავწეწავ, სადაც შემხვდებაო, ქერძაფს შევასხამ თვალებშიო. სამსახურში მივუვარდები და ქვეყანას მოვდებ მაგის ბოზობის ამბავსო. იმას მაინც არ რცხვენია არაფრის, რომ რცხვენოდეს, შენ გგონია იზამს? რავა ფიქრობ, ახლა შენთვის კარგი იქნება, თავს თუ ვერ შეიკავებ? არა, ჩემო დაია, ჯერ ერთი, ქვეყანა გაიგებს, ისინი თავისას მაინც არ მოიშლიან და

შენ ქე დარჩები გამოჭენებული ამ ქვეყანაზე, მეორეც, შეიძლება, შენ რომ იქეთ ერთს ეტყვი, აქეთ ორი უარესი გითხრას. მესამეც, გამარჯვებული მაინც ის დარჩება. ეტყობა, შიში აქვს ჩემი, ეტყობა, რაღაცას წარმოვადგენ, რაკი ასე გაწიწმატებულაო. ცხვირს მაღლა ასწევს და თვითონ დაიწყებს ხალხში ლაპარაკს, რა ვქნა, ვუყვარვარ მაგის ქმარს და ეთერის გულისთვის ხომ არ გადავიკარგები ამ ქალაქიდანო. არ იცი – რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? ქუთაისში კენჭს ვერ გადააბრუნებ, მეზობლებმა ვერ გაიგონ. კი არა პირიქით. შენ ვითომ არაფერი არა იცი, შენ ვითომ არაფრად არ თვლი. ზოგიერთმა გახელება იცის, მოვა და ვითომ შენთვის კარგი უნდა, – რა ვქნა, ჩემო კარგო, ასე და ასე ლაპარაკობს ხალხი და მიხედე შენს ქმარსო. იცოდე, შენი პირველი მტერი ის არის. ამნაირ არამკითხეს მოუსმინე და ცივი წყალი გადაასხი. ვინ მოგიწვია ჩემ დამრიგებლად შენ-თქვა. მოცლილი ხალხი რას ბჟუტურობს, რა ვიცი მე-თქვა. თუ ქალი ხარ, მეორეჯერ არ მომიტანო ასეთი ენა და არ გამაცინო გემოზე-თქვა. მე ჩემი ოჯახი მაქვს და ჩემი მტერმოყვარე ვიცი, რამდენი უსაქმო გომბიო იქნება, იმაზე ვიშლი ახლა ნერვებს-თქვა. მაინც რამ გათქმევინა, ქერძაფს შევასხამ თვალებშიო. ოქროსავით ბავშვები გყოლია. იმგენის საცოდაობაში იდგამ ფეხს? ყველაფერს რომ თავი დაანებო, გიჩივლებს (მაგნაირებს რისი რცხვენიათ), ქუჩაში შეურაცხყოფა მომაყენაო და იქონიე მერე მილიციასთან საქმე. რომ იცოდე, არც შენს ქმარს დაუსობენ თავზე ხელს. სად მუშაობს?

– აღმასკომში.

– ჰოდა, გამარჯობა შენი. ღუპავ შენი ბავშვების მამას? მე შენ გეტყვი, არ ეძებენ მიზეზს, ვინ რანაირად გააფუჭონ და ვის რა შარი მოსდონ. გარყვნილებას ეწევაო და ქე დაგისვამენ შენს ქმარს სახლში. ანდა, უკეთეს შემთხვევაში, იქ დამთავრდება მაგის კარიერა. წინ წაწევაზე ვეღარ იფიქრებს. ყველა ამ საქმეს აკეთებს ჩუმ-ჩუმად, მარა ყველა შენ ქმარზე უფრო პატიოსანი აღმოჩნდება. პატარა თუ შეეკამათა ვინმეს, მაშინვე წამოსძახებენ, შენ შენს გაუბედურებულ ყოფაქცევას მიხედე და ჩვენი ჭკუის სწავლებას დაანებე თავიო.

ისე, ვინ მკითხავს მე, მარა, ერთ რჩევას მოგცემ: რა ვიცი, დაია, მე ქე ვცხოვრობ ამ ჭკუით (თორმეტი წლის გოგო მყავს), მე და ჩემს ქმარს ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ქმარი რაც ნაკლებად გეყვარება, უკეთესია, ვახტანგი სანდუხაძე ხომ გახსოვს შენ?

როგორ არ ახსოვდა ეთერს სკოლაში ყველაზე ლამაზი ბიჭი – ვახტანგ სანდუხაძე.

– ხომ ყველამ იცოდა ჩვენი ამბავი, ვუყვარდი მთელი ხუთი წელიწადი და რაც მართალია მართალია, მეც ძალიან მიყვარდა!

– რავა შენ?

– არა. არ იცოდი? არ გავყევი სანდუხაძეს. რა დასამალია, ისე მიყვარდა, რომ წელიწად-ნახევარი ვტიროდი (ჩემს ქმარს კი არაფერი გაუგია). დიდხანს იყო მერე უცოლოდ. ამ სამი წლის წინ ითხოვა ვინცხა ოკრიბელი შტერი და რომ გავიგე, ცოლი შეურთავსთქვა, რაღა დროს ჩემი ეს ამბავი იყო, რომ დამაყარა წითლად ტანზე და ამიწია სიცხემ, ორი დღე გულხელი მიცახცახებდა. ახლა გავიგე, გაშორებია ცოლს. ვიცოდი, მე თვითონ ვიცოდი, ვერ იგუებდა მაგი ცოლს. ვახტანგი იმნაირი ტიპის ბიჭი იყო, რომ ოჯახისთვის არ ივარგებდა. ქვეყანამ იცოდა ჩვენი ამბავი. მშობლებიც თანახმა იყვნენ. მამამისს ისე ვუყვარდი, რომ ჩემი სურათი ჯიბით დაჰქონდა და ქვეყანას უჩვენებდა, ჩემი სარძლოაო. ავწონ-დავწონე და არ გავყევი. ვახტანგი მე ისე მიყვარდა, რომ მაგის გადაბრუნებულ სიტყვას, მაგის განზე გახედვას ვერ ავიტანდი. ეგ კი არა, მახსოვს, ერთხელ ცეკვაზე გოგია ძოწენიძემ მის გვერდით არ დამაყენა და ჩემმა ბღავილმა მთლად აიღო ყველაფერი.

ახლაც, შენ არ მომიკვდე, ხომ ამდენი ხნის ამბავია, ქუჩაში რომ შემხვდება, ელეთ-მელეთი მომდის, ფეხი მერევა მთვარეულივით და ხელები სად წავიღო, არ ვიცი, მაინც რჩება თურმე გულში. მაინც სხვა ყოფილა პირველი სიყვარული. პირველიც ეგ იყო ჩემთვის და ბოლოც, მეტი ვინ მიყვარდა მე. მერე გავთხოვდი და სამსახური – ბაზარი – სახლი, ესაა ჩემი მარშრუტი.

– ელაპარაკებით ერთმანეთს? – ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ეთერ მანჯავიძემ.

– ლაპარაკით არა. ისე გამარჯობას ვეუბნებით. უწინ გამირბოდა. ერთ მხარეზე თუ მე მივდიოდი, ის მეორეზე გადადიოდა. დამნაშავე ვიყავი, კაცმა რომ თქვას, აბა, რა ვიყავი. გუშინ რო გულში ეხუტებოდე კაცს და ერთგულებას ეფიცებოდე და ხვალ რომ სხვას გაყვე, ასე იყო ჩემი ამბავი.

– რანაირად?

– ამ ჩემმა ქმარმა (ნაროუშვილია გეგეჭკორიდან, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, გემო-კვებას ამთავრებდა, დიპლომზე იყო) მაშვალი გამომიგზავნა. არც მიფიქრია, თუ ვუნდოდი, თვითონაც არ უგრძნობინებია. ტელევიზორზე შემოდიოდა ხანდახან ჩვენთან და მამაჩემს ელაპარაკებოდა. რა ვიცი მე, რას ლაპარაკობდნენ, ხომ იცი, როცა არ გაინტერესებს კაცი, ზედაც არ უყურებ. დედაჩემი (საწყალი მაშინ ცოცხალი მყავდა) და მამაჩემი კარში დამხვდნენ, შვილო, ნიკო ნაროუშვილმა შენი ხელი გვთხოვაო. გამეცინა. რომელი ხელი – მარჯვენა თუ მარცხენა-მეთქი? მამაჩემმა წარბები შეჰყარა, არაა შენი საგლახაო ის ბიჭი და დაუფიქრდი შენს საქმეს. ხვალ იმ კაცს ან ასე უნდა ვუთხრათ და ან ისეო.

ვიფიქრე მთელი ღამე. შამფურივით ვიტრიალე ლოგინში. ავწონ-დავწონე. იმდენი ნაკლი მოვუძებნე ამ ჩემს ვახტანგია სადუხაძეს, რომ არათუ ჩემი ღირსი, საერთოდ ქალის ღირსი არაა-თქვა, ასე დავასკვენი ჩემს გულში. ხომ იცი, ჩვიდმეტი წლის სულელი გოგო. მეორე დღეს მშობლებს გამოვუცხადე, ნაროუშვილს მივყვები-თქვა. დედაჩემს კოვზი გაუვარდა ხელიდან, მამაჩემს არ გაკვირვებია. მოვიდა და შუბლზე მაკოცა.

ხელი მოვაწერეთ, ქორწილი გადავიხადეთ და თორმეტი წელია, გითხარი, მისი არ იყოს, ნიკოს ცოლი ვარ. ნეტავი ღმერთმა ჩემს ერთადერთ გოგოს შეახვედროს იმნაირი ბედი, მე რომ მაქვს. წყნარი, მშვიდი ცხოვრება. რაც გვაქვს (სიმდიდრეს მის დღეში არ გამოვკიდებივართ), ქე მაინც ჩვენი ნაშოვნი გვაქვს და ტკბილად, დაწყნარებულად ვჭამთ. ნიკო იმნაირი კაცია, ორ სიტყვას ზედმეტს არ გეტყვის. ათასნაირ

ხასიათზეა ადამიანი, ხომ იცი დღეს. ხანდახან რომ მოვალ სახლში, რაღაცაზე გული მომივა და იმნაირს ვიფრენ, მერე მე თვითონ მეშინია და ვფიქრობ, ვახტანგის ცოლი რომ ვყოფილიყავ და ვახტანგისთვის გამებედნა ეს, ხომ დამაფშვნიდა ჯამ-ჭურჭელს თავზე-მეთქი.

სიყვარულით, ვერ დაგიმალავ, ჩემო დაია, მაინცდამაინც არ მიყვარს, მაგრამ ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს და სხვა ქმარი ვერც კი წარმომიდგენია. თურმე ასე ნამჯობინარა, არ შეიძლება თურმე გაგიჟებული სიყვარულით გიყვარდეს ქმარი. ჩემი ინსტიტუტის დაქალებიდან სიყვარულით ვინც გათხოვდა, ნახევარი წელიწად-ნახევარში უკან გამოიქცა და ნახევარს ისეთი ჯოხლეწვობია აქვს სახლში გამართული, რომ შენი მტერი.

გულს არაფერზე ვიხეთქავ. დააგვიანდება, მშვიდად ვარ, ადრე მოვა, არც მაგაზე ვიკლავ სიხარულით თავს. მე არ გავიგო და მე არ დავინახო, ვუთხარი იმისი არ იყოს, და რაც უნდა ის უქნია. ისე არც თვითონაა მაინცდამაინც ქალების მოყვარული. ოჯახის ნამეტანი ერთგულია. ამდენი ხანია ჩემი ქმარია და ჯერ მთვრალი არ მინახავს. ზოგიერთმა ქე რომ იცის, ხელფასის ნახევარს ღვინოში რომ დახარჯავს და მშიერი ჰყავს ცოლ-შვილი, გაგიგონია? კაპიკი, შაური. მოიტანს ხელფასს და მაგიდაზე დადებს. თუ რამეში დაჭირდა (ამხანაგებში გამოწყვეტილი კი არ არის), მეტყვის და მივცემ. მისი ნაშრომი და ნაშოვნი არაა?

ასე ვცხოვრობ, ჩემო დაია, ეს ყველაფერი ახლა რატომ გითხარი, იცი? აღარაა ახლა გადარევის და სიყვარულის დრო. არავინ არაა ღირსი, ჩემო ეთერი, მისი გულისთვის თვალები დაითხარო და ითავცემო. პატარა უნდა გაიცივო გული, თვარა დაიტანჯები. რამ შეგაშინა, ანგელოზივით ბავშვები გყავს და იმგენს მოუარე. მაგნაირი ისტორიები შენს ქმარს ნუ გეშინია, ბევრი ექნება.

რა ჭკუა ვქენი, ვახტანგს რომ არ წავყევი ცოლად. ჯერ მაშინ ბავშვი იყო და ბუზებივით ეხვეოდნენ ქალები. ლამაზი კაცი ქმრად, გამიგონია, დაიკო? სისხლს გამიშრობდა, ვიცი მე. იმ ჩემი დაუთავებული შარვალ-პერანგით სხვასთან წავიდოდა, იკოტრიალებდა და საღამოს ისევ ჩემი საბან-საფხეკი და მოსავლელი იქნებოდა. არ მინდა, ბატონო, არც ამნაირი სიყვარული მინდა. ვენაცვალე ჩემს ქმარს, ქე მაინც გული საგულეს მაქვს, ვიცი, თავში კეტი რომ ვურტყა, ხურდას არ დამიბრუნებს, ოჯახს არ უღალატებს, თეთრისა და შავის გარჩევა იცის, კარტს არ ითამაშებს და საყვარლები არ შემომიმტვრევენ კარს.

* * *

ამ საუბრიდან ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ ნაროუშვილების ოჯახში საზარელი ამბავი დატრიალდა. ნუნუ ბაღათურიამ თავი ჩამოიხრჩო.

არც წერილი დაუტოვებია, როგორც ქმარ-შვილი ამტკიცებდა, არც რაიმე კონკრეტული საბაბი ჰქონია წინა დღეებში წონასწორობის დაკარგვის კი არა, თუნდაც უბრალო აღელვებისა.

ამიტომაც ნუნუს თვითმკვლელობის მიზეზი მთელი ქალაქისათვის უცნობი დარჩა.

თუმცა წერილი რომ დაეტოვებინა, შეიძლება არც ის ყოფილიყო ერთადერთი და სანდო წყარო ნუნუს ამ ქვეყნიდან წასვლის მიზეზის დასადგენად.

ადამიანები გულწრფელნი ზოგჯერ თავიანთ უკანასკნელ სტრიქონებშიც არ არიან.

სევდა

შემოდგომისპირი.

წვიმიანი, უამური სველი ღამე.

თორმეტს კარგა ხანია გადაშორდა.

მეცხრე მასივის მიკროდასახლება „საამური ცხოვრების“ ცენტრალურ ქუჩაზე მე-5ა კორპუსის პირველი სართული ახლადგახსნილ სასურსათო მაღაზიას უჭირავს. ამ მაღაზიის დალუქულ კართან ზის ღამის დარაჯი მაკარ მახათაძე. ვედროში ცეცხლი უნთია, ფეხებშუა ტულის სისტემის ორვაზნიანი „ცენტრალკა“ უდევს და ხელებს ითბობს. ხანდახან თავს აწევს და მარცხენა მხარეს გაიხედავს. მარცხენა მხარეს ქსოვილების მაღაზია „თინა ვაშლოვანელია“. მაკარი ამ მაღაზიასაც დარაჯობს. ორმაგ ხელფასს იღებს და ყოველღამე მორიგეობს. არასაუწყებო დაცვის უფროსობამ ეს გამონაკლისი იმიტომ დაუშვა, რომ, მოგეხსენებათ, ღამის დარაჯები ჭირს.

დარაჯს ცეცხლის ათინათი თითებს უწითლებს და სახეზე ეცემა. შეხედვისთანავე მის სახეზე უხეშ თეთრ ულვაშს შენიშნავთ. მეჯღანის ხელებივით ფართოთითება და არწივის ჭვანგებივით დამსკდარ-დაღარულ ხელებს ერთმანეთზე ისე ღონივრად უსვამს, რომ ცეცხლის ტკაცატკუცზე უფრო მაკარის გამომშრალი ხელების ხრაშუნი ისმის. სათვალე ცხვირზე ჩამოსცურებია და ჩამოვარდნაზე აქვს. კაცმა რომ თქვას, რად უნდა ამ შუაღამისას სათვალე?

სინათლის წრეში ვიღაც შემოვიდა.

მაკარმა თავი ასწია. მის წინ მაღალი, ყაბალახიანი მოხუცი დგას.

– გამარჯობა!

დარაჯმა სალამზე უგემურად უპასუხა: „ვინმე ძილგატეხილი იქნება. ენა ექავება ალბათ და გულს გამიწყალებს ახლა გაუთავებელი ლაილაით“, – გაიფიქრა მან.

– ცეცხლი დავინახე და აქეთ წამოვედი. სხვა ეშხი აქვს ცეცხლს მაინც. მაკარი უსიტყვოდ წამოდგა. თოფი კედელს

მიაყუდა. მაღაზიის ეზოში შევიდა, ცარიელი ყუთი გამოიტანა და უცნობს ფეხებთან დაუმხო.

– დაბრძანდი.

მოხუცი დიდხანს ჯდებოდა.

დარაჯმა ვედროში ნაფოტები ჩაყარა, თოფი კვლავ მუხლებშუა ჩაიდო და დაჯდა.

ისინი უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

დუმილს მასპინძელი არღვევს.

– შესახლდა ყველა თქვენს კორპუსში?

უცნობს გაეცინა.

– რა იცი, ახალმოსახლე რომ ვარ?

– ამ სახლში მცხოვრები დღე-ღამეში ოთხჯერ მაინც გამივლის წინ. ხომ იცი, მაღაზიის იქეთ გზა არა აქვს არავის. შენ ჯერ არ მინახავხარ. იმ რვასართულიანიდან იქნები.

– კი.

– რომელი სართული შეგხვდა?

– მეხუთე.

– სადაური ხარ?

– ვერელი.

– შორს კი წამოსულხარ, მაგრამ არა უშავს, შეეჩვევი.

– მე რომ აწი ამას შევეჩვევი, ისე შეეჩვია ჩემი მტერი. ჩემი შესაჩვევი ადგილი, მიქელ-გაბრიელი რომ გამამწესებს, იქაა. სამი თვეა გადმოვედით. შესახლება ექვსი თვის დაწყებულია. ჩემს სადარბაზოში მარტო ხუთი ოჯახი ვცხოვრობთ. სხვა ბინები დაკეტილია, რომ ჰკითხო, ბინები უჭირსო ხალხს, მისცეს და უარი არ თქვა. შეიძლება ახლა ალექსანდროვის ბაღში დგას და მდგმურებს ეძებს. რა მინდოდა აქეთ. სიბერეში სიქაჩლეო, რაღა დროს ჩემი აბარგება იყო. ორჯერ მხარი მექცა. გინახავს კაცი, საკუთარ სახლს რომ ვერ აგნებდა? დაჭამეს ქალებმა და ოჯახობამ ერთმანეთი. ავდექით და გავიყარეთ მამა-შვილი. არ გამოდის, არა. ორი ოჯახი ერთ ჭერქვეშ არ გამოდის, რაც არ უნდა ულოცო. იმათ თავისი ჭკუა აქვთ, თავისი სტუმარი, მომსვლელი-წამსვლელი, ჩემი ცოლი ერთი გულმტკივანი ქალია. ამან რომ ერთი უთხრა, იმან ორი უპასუხა და მეტი კი არაფერი უნდა ჩხუბს. ამ მიზეზმა გადმომაგდო აქეთ, თორემ რა მინდოდა, „საამურ ცხოვრებაში“

ექსკურსიაზეც არ ვყოფილვარ. საშველი არ ჰქონია კაცის ცხოვრებას. სანამ ბოლომდე არ წაგანთხევინებს ცხვირიდან, თუ ორიოდე კარგი დღე განახა, არ მოგეშვება.

მაკარი ხმას არ იღებს. იცის, ახლა მოხუცი სიგარეტს ამოიღებს, მუგუზალზე მოუკიდებს, ორიოდე ნაფაზს დაარტყამს და გააგრძელებს თავის ამბავს. ასეთებს შეკითხვების მიცემაც არ სჭირდებათ. მსმენელი უნდოდა და მოვიდა. მთელ თავის ცხოვრებას ჩამოფქვავს ახლა. მერე, თითქოს ტვირთი მოიცილაო, ადგება და წავა. ამნაირები რომ არ მოდიოდნენ, რა გაძლებდა ასე ვედროსთან დაყუნცული. ხანდახან ღამე ისე ჩაივლის, კაცი არ გამოგელაპარაკება, გამოლაპარაკებას თავი დაანებე, სალამსაც არავინ გეტყვის.

– მურთაზ ჩაჩხიანი ვარ მე. – სტუმარმა ცალი ფეხი გაჭიმა, ულვაშზე ხელი ჩამოისვა და ჩაახველა. შეეტყო, არ ელოდა, თუ მისი სახელის გაგონებაზე დარაჯი ფეხზე არ წამოვარდებოდა და არ ჰკითხავდა – რას ლაპარაკობთ, ნუთუ ის ცნობილი მურთაზ ჩაჩხიანი ბრძანდებით თქვენო. მაკარი არათუ ფეხზე არ წამოვარდნილა, თვალიც არ დაუხამხამებია, ცეცხლს ჩასცქეროდა და ყრუდ ახველებდა.

– თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ახლა, სამოცდათოთხმეტი წლის გინდა მურთაზ ჩაჩხიანი იყავი და გინდა ნუგზარ ამილახვარი. მე მგონია, ყოფილი მურთაზ ჩაჩხიანი ვარ-მეთქი, რომ მეთქვა, აჯობებდა.

– რატომ, შე კაცო, ადამიანი ყოფილი სიკვდილის შემდეგაა.

– ყოფილი ხარ აბა რა. შენი ამ ქვეყანაზე ერთ დროს არსებობა რომ ვერავისთვის დაგიმტკიცებია. რა ხარ ახლა, ის მითხარი შენ, თვარა, ეს ვიყავი გრამაფონშია.

– რა მოხელე ბრძანდებით?

– ვიყავი. გამკეთებელი და ჩამდენი ვიყავი ერთი სიტყვით. ქალაქში ერთ-ორ კაცს, მეტი რომ არ ვთქვა, შიში და რიდი ჰქონდა ჩემი.

– განაბობდით? დამცემი იყავით?

– ასე ვთქვათ.

მურთაზ ჩაჩხიანმა თეთრი, ქუთუთოებზე ჩამოწოლილი წარბებიდან ირიბად გახედა დარაჯს. გაგიჟება შეიძლება, არც ღამეული სტუმრის საქმიანობის გამხელას უმოქმედია მაკარზე. იგი წეღანდელზე უფრო მშვიდად ჩაჰყურებს ცეცხლს.

– ჩემი ხნის კაცის სხვაგან გადასახლება სისულელეა. კაცი იმით ხარ კაცი, თუ რა სახელი და გამავლობა გახლავს და გამშვენებს. ვინ მიცნობს აქ მე? ვის რაში ვუნდივარ? რაც აქ გადმოვსახლდი, თითქოსდა ფარდა დაეშვა, მთელი ჩემი ცხოვრება იქეთ დარჩა. ვიღაცამ თითქოს უხილავი ხელით შემომაფცქვნა, რაც მამკობდა და მაამაყებდა. შემომაფცქვნა, და დამტოვა მშრალზე მარტო სახელისა და გვარის ამარა. ეს სახელი და გვარი კი არაფერს ეუბნება გუშინდელგამოჩეკილ ლაწირაკს. ტაქსის რიგში, შეიძლება, წინ გადაგიხტეს და თუ პატარა მოქაჩე მკლავზე, ისე გაგიყრის სპიცს მუცელში, რომ ხელი არ აუტოკდება. ციხის მეტი რა მინახავს, ერთიმეორეზე რომ ვიანგარიშო – კაი ოცდაშვიდი წელი ვიჯექი. ციხეში შენი მიყვანისთანავე დაადგენენ პატიმრები, ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რა საქმეები გიკეთებია და მერე იმის მიხედვით გაფასებენ, რა ჩამოსხმაც ბრძანდები. აქ კაციშვილს არ აინტერესებს, ვის დაეკარგე, ვინა ხარ. კაცის ასე გაწირვა გაგიგია, ბატონო?

– დიდხანს დადიოდი?

– სად, ბატონო?

– საქმეზე.

– ლომბარდი რომ გატეხეს, ქუთაისის ოცდაცხრამეტ წელს, იმ საქმეში ვერიე მე. ჩემი ნახაზით მოხდა ის საქმე. მერე გადასახლება, ციმბირი. ოთხი „პაბეგი“ მაქვს გაკეთებული და ოთხივე სუფთად. ბოლოს, ომისშემდგომ დამიჭირეს, ბანკი წავიღეთ – ნაღვარევის სარაიონო ბანკი. შესრულება უნაკლო იყო და ძიებასაც ხელი ჰქონდა დაბანილი, მარა ერთი ქურდის საყვარელთან გვქონდა სამ ღამეს ფული შენახული და ორი წლის მერე იმ ქალმა გაგვყიდა. ქალი ამნაირ საქმეში არ უნდა გარიო. როცა უყვარხარ, შენი გულისთვის საკუთარ მამას შეაჭმევს თაგვის შაქარს, მაგრამ მოშორდები და გათავებულია საქმე. ყველაზე დიდი მტერი ისაა შენი. რამდენი აბრაგი გააფუჭა ქალმა, რომ იცოდე, გიწევს მკლავზე და უყვები ყველაფერს, არ იტოვებ უთქმელს არაფერს. გგონია, ასე ერთგული იქნება სიკვდილამდე. მოგწყინდება ის ქალი, დაიხურავ ქუდს და წახვალ. შენ გგონია ამით დამთავრდა ყველაფერი? არა, ჭირიმე, ქალი თავის სიყვარულს ძმრად ამოგადენს. შურისძიებად გა-

დაიქცევა, თავბედს გაწყევლინებს. არ ჭამო და საიდუმლო ქალთაგანს, რა ახლობელიც არ უნდა იყოს შენი, არ გაუმხილო. ბოლოს მოსაწყენია ყველაფერი, ხომ იცი შენ, აღარ გამოდიოდა ჩემგან უკვე. გოღად დავჯექი. ქურდებს ვზრდიდი, ვაჟკაცობას, ამტანობას, გატანას ვასწავლიდი. ახლა რომ ყველა პაკანა თავის თავს ქურდს ეძახის, ასე კი არაა საქმე. პატიოსანი ქურდის სახელს დამსახურება და გაფრთხილება უნდა. ისე გავზარდე ჩემი ბიჭი, რომ ჩემი საქმიანობის შესახებ არაფერი გაუგია. ახლაც არ იცის, რაზე ვიჯექი. რა სათქმელია ახლა ყველაფერი ეს, კაცი თავის სიგლახეს არ უნდა ყვებოდეს, მარა მე რასაც ვაკეთებდი, პატიოსნად ვაკეთებდი და ჩემი ვაჟკაცობისათვის ჩრდილი არასოდეს მიმიყენებია.

თურმე ყველაფერი ცვთება, ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. მე კი არა, ქვეყანას აზანზარებდა ხალხი და იმათი ხსენებაც აღარაა დღეს. ბედნიერებაა თურმე, კაცი რაც ხარ, იმად რომ მოკვდები. მე ახლა რომ მოვკვდე, სხვა კაცად მოვკვდები. ქალაქის ამ შორეულ გარეუბანში ჩემ სატირლადაც არავინ მოვა. ბევრი ვერ გაიგებს. ყველა კი არ კითხულობს ამ შენს გაზეთს. ამ მასივის ამ კორპუსში სამოცდაათს გადაშორებული ვიღაც ბებერი გარდაიცვალაო, ასე გავარდება ჩვენ კვარტალში ხმა. არ სჯობდა ამას, იქ მოვმკვდარიყავი ჩემს საქმეზე, ან ციხეში მოვეკალი ვინმეს?

ეზო, ჩემო ბატონო, პატარა ეზო. რა ყოფილა, კაცო, მისი ფასი. საღამოზე კამათლის აქეთ გამომგორებელს რომ ვერ იშოვი, ცხოვრებაა ის ცხოვრება? ყველა თავის ბინაშია შებუდრულ-შეყუჟული. ვერაზე, ახლა, ქარვასლები არც იქ მქონდა, მაგრამ ჩამოხვიდოდი ეზოში, კაცს დაელაპარაკებოდი, შენსას ეტყოდი, მისას გეტყოდა, რა ვართ მეტი, აბა, ჩვენ? ხორცი არ იჭმევა ჩვენი და ძვალი. ვუარე ამ რვასართულიან სახლს ირგვლივ, არც ეზო, არც დასაჯდომი არსად. ბინაში შესვლა სხვა საქმეა. დაუკაკუნო უნდა კაცს, შეაწუხო, მიწი-მოწიო. ეგება არ ეხალისება შენი სტუმრობა. სტუმრობა ჰქვია, კაცს რომ მიადგები სახლში. ყველა თავისთვის ჩუმათობს ახლა და ყველა რაღაცას ჩირთიფირთობს. ყველაზე კაი ის იყო ვერაზე, ჩემო ბატონო, რომ ვიცნობდით ყველა ერთმანეთს და ჩვენი ულვაში, ნამუსის ქუდი გვეხურა ყველას. აქ ისე წამოგაჯდება ვიღაცა ძაღლი და მამაძაღლი თავზე, რომ სიცოცხლეს გაგიმწარებს. მოკლავ, რაღას მოკლავ, მოკვლის დრო წავიდა. სიტყვა „ძველი ბიჭი“ აღარცაა ხმარებაში ახლა. თუ ამოგიყვანდა სულს ყრონტში, ესროდი შუბლში და გაუსწორდებოდი ერთხელ და სამუდამოდ. ახლა? ახლა შენს გულს უნდა შეასკდე, ნერვების ჭამა უნდა დაიწყო. „კაცი მოკლაო“, სხვას კი არაფერს იტყვიან. იყო ის კაცი სასიცოცხლო საერთოდ? ხომ არ წამლავდა ქვეყანას თავისი ცხოვრებით და ჯახირით ამ დუნიაზე? ესაა გასარკვევი.

არაფერზე არ მწყდება გული ისე, როგორც ჩემს ძაღლზე. მონადირე კაცი ვარ და მონადირე უძაღლოდ, მოგეხსენებათ, იგივეა, რაც მესიმინდე უთოხოთ. ჩემი შვილი და რძალიც მოძებნიან თავის გზას, შვილიშვილებიც დაიზრდებიან. მეც, როგორღაც იქნება, გავათრევ ჩემს დარჩენილ წუთისოფელს ბოლომდე, მარა რაც მე მეზობელმა ძაღლებზე საქმე მიქნა, მოსისხლე მტერი არ უზამს მოსისხლეს. ორი ძაღლი მყავდა აქ რომ გადმოვედი. ბებერი პოინტერი, ყურშას ვეძახდით – ძუკნა იყო, მაგრამ ვირივით მუშა მეძებარი და შვილი მისი – ბროლია. ბროლიას ნახვას არაფერი სჯობდა. სწორი ზურგი, მაღლა აწეული ცხვირი და ჩამოზრდილი ლაშები. მის ნახვას არაფერი სჯობდა-მეთქი – ქე გითხარი. ერთი წლის იყო. სამჯერ-ოთხჯერ მყავდა მწყერზე, გამაგიჟა პირდაპირ. ლეკვი იყო და ისეთ ნაბულს აკეთებდა, რომ შემირცხვენია ყველა გამოცდილი მეძებარი. სანამ არ შეუძახებდი, არ მივიდოდა. იმდენ ხანს ჰყავდა მწყერი ნაბულზე, რომ თავისუფლად გამოცვლიდი თოფში ორივე ვაზნას. მეხუთე სართულზე როგორი შესანახავია ძაღლები, მაგრამ რა მექნა. სულს ამოვიცლიდი და იმათი მომშორებელი არ ვიყავი. ძაღლი დაიყეფებს ხანდახან, აბა რა იქნება. შემიჩნდა კარის მეზობელი. რვაჯერ დამიწერა – ჩაჩხიანი მეძაღლეა (ძაღლი მიაკვდა მის პატრონმყვარებელს) და არ მასვენებსო; ღამე ვერ ვიძინებ, ყეფით იკლებენ ყველაფერსო. ორი თვე ვებრძოლე აღმასკომს და მილიციას. ილაჯი რომ გამიწყდა, ტაქსით წავიყვანე ორივე ძაღლი მარნეულისკენ, ახალსოფელში პურის ყანებში, ყელსაბამზე ორივეს სახელი და ჯიში დავაწერე და გავუშვი. კაი ხელაზე ტაქსს ფეხდაფეხ მოსდევდნენ გაგიჟებულები. ვერ

გაიგეს, რა მოხდა. ასეთ მუხთლობას ძაღლი პატრონისაგან არ მოელის. ახლაც თვალწინ მიდგას მათი თვინიერი, საყვარელი თვალები. გაყიდვით მე იმათ ვერ გავყიდიდი. ჩემს ყურშასა და ბროლიაში აღებული ფულით პურს ვერ ვჭამდი მე. თუ ვინმე ღვთიან-მადლიანმა კაცმა იპოვა, ხომ კარგი, თუ არა და ვინ იცის სად დანანწალობენ ახლა ჩემი ხელისგულზე გაზრდილი ძაღლები, უპატრონოდ მოუვლელ-მოუხედავად, გაველურებულ-გახვადაგებულები.

კაცმა კაცს ასე უნდა მოგიკლას გული? რა ვართ ჩვენ მეტი ერთმანეთისთვის? ბროლია მესიზმრება ხშირად. იცი რა იყო? დასახატავი ძაღლი. წელს პირველად ნახა თოვლი, თებერვალი ახალი დამდგარი იყო, კიროვის პარკში გამოვიყვანე, მახსოვს, გაგიჟდა ლეკვი. რა არის ეს, რა იყრება ციდანო. ხტებოდა, ძლივს ვაკავებდი, ხტებოდა მაღლა და ენით იჭერდა თოვლს. მის ყურებას არაფერი სჯობდა. გამვლელები ჩერდებოდნენ და თავზე უსვამდნენ ხელს. ბროლია კი, თოვლს უყეფდა, ხტებოდა, ფანტელებს ენას უყოფდა, ერთ ამბავში იყო.

ვედროში ცეცხლი მიინავლა. მაკარ მახათაძემ ერთი-ორჯერ თავი ჩააქანა მუხლებისაკენ, ამ თვლემაში თოფი გადაუვარდა, აიღო და იქვე მიაყუდა კედელს.

მურთაზ ჩაჩხიანს ეწყინა. წამოდგა, ყაბალახი გაისწორა და სხვისი ხმით უთხრა დარაჯს:

– წავალ ახლა, ორი იქნება უკვე. გადამერევა დედაბერი. შენც გეძინება, ისე გატყობ. ხვალაც გამოგივლი, ვილაპარაკოთ.

ნელ-ნელა, ბეჭების რწევით მიირხეოდა სიბნელეში და მალე მისი ფეხის ხმაც შეწყდა.

მურთაზ ჩაჩხიანი მეორე დღეს კი არა, საერთოდ აღარ გამოჩენილა.

ვერ ვიტყვი, მაკარ მახათაძე მოუთმენლად ელოდა-მეთქი. მაკარს მაგისთანები უნახავს და მოუსმენია?

ნემსი

საღამოს ცხრა საათი, ჰა და ჰა, როცა კალიგრაფისტი ვასილ მენაბდე მეოთხე სადარბაზოში შევიდა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ქარიანი ამინდი იდგა და ვასილს ყოველ შემთხვევისათვის საწვიმარი მოეხურა, თუმცა იგი იქვე, მეორე სადარბაზოში, ცხოვრობდა და ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაშიც კი ფეხით ოციოდე ნაბიჯის გავლა თუ მოუწევდა.

კარგ საქმეზე არ მიდიოდა კალიგრაფისტი ვასილ მენაბდე. სახლმმართველი ბენო სალდაძე უნდა გაელანძღა. უნდა გაელანძღა ქარაგმულად კი არა, გადაკრული ფრაზებით კი არა (ნაწყენი ადამიანები ანდაზებს რომ უცვლიან ერთმანეთს), უნდა გაელანძღა უკანასკნელი სიტყვებით. ამ გადაწყვეტილებამდე ერთბაშად არ მისულა. წლების განმავლობაში გროვდებოდა რისხვა კალიგრაფისტის გულში, მაგრამ მოთმინების ფიალა პირამდე მაშინ აევსო, როცა გუშინ დილით, კანტორაში მისულს, მდივანმა გოგონამ მოახსენა: თქვენს ცნობას სახლმმართველმა ხელი არ მოაწერაო. უკანონოს ითხოვდა რამეს მენაბდე? თქვენც არ მომიკვდეთ. სჭირდებოდა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, რომ ურთიერთდახმარების სალაროდან ფული მიეღო. ვთქვათ, ურთიერთდახმარების სალარო არაფერ შუაში ყოფილიყო, ისე არ უნდა მიეცათ კაცისათვის ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან? მით უმეტეს, რომ საქმე კარის მეზობელს ეხებოდა. სახლმმართველიც ხომ ამ ას სამოცბინიან ათსართულიან სახლში ცხოვრობდა. რა იყო, რას ანერვიულებდა საკუთარი სიდედრისაგან ამ ისედაც გამწარებულ მენაბდეს? არ იყო კარგი კაცი ბენო, ვერ დავმალავ.

– სახლშია? – ჰკითხა ბენოს მეუღლეს და იატაკს დაჩერებულმა, ვინ იცის, მერამდენედ გაიმეორა სახლმმართველისათვის მისახლელი პირველი ფრაზა („რა გინდა, რას მერჩი, შე

უნამუსო!“). მთავარია, ეს პირველი სიტყვები დამაჯერებლად ვუთხრა, მერე თვითონაც მიპასუხებს რამეს და აეწყობა ჩხუბიო.

– მობრძანდით, – თითქოს რაღაცას ხვდებაო, მასპინძელ ქალს შეშფოთებული სახე ჰქონდა.

ბენო ფანჯარასთან, ნიკელისთავიან საწოლზე, თავშეხვეული იწვა. სახელოებწაკაპიწებული თეთრი პერანგიდან ჭაღარით მოსილი მკლავები მოუჩანდა. სტუმარს მოეჩვენა, რომ სახლმმართველს ფერიც წასვლოდა.

– მობრძანდი, ჩემო ვასო. ამ სკამზე დაჯექი, კისრის მოტრიალება მიჭირს. როდის გაიგე, ვინ გითხრა? – ბენომ ერთმანეთს მიაყოლა ნაღველგარეული სუსტი ხმით და არაბულ სკამზე დაშვებულ მეზობელს ხელი გაუწოდა.

გასალანძღავად მოსული დაიბნა, თითები ერთმანეთს გადააჭდო და სხვისი ხმით ამოღერღა:

– ახლა მითხრეს, ამ წუთას. როგორ მოხდა, რა იყო, სერიოზულია რამე?

– ადამიანი ერთ წუთშია თურმე. ჩემი თავი ჯანმრთელი მეგონა. არაფერი ისეთი სანერვიულოც არ შემხვედრია, კაცმა რომ თქვას. ასე ორი საათი იქნებოდა, თათბირს რომ მოვრჩი, ამ ადგილას, ყურების გასწვრივ, კეფა ამტკივდა. ალბათ ცუდად მედო ბალიშზე წუხელ თავი-მეთქი. სანამ ის გოგო ჩაის მოიტანდა, ყურებმა შუილი დამიწყო და თვალში სინათლე დავკარგე. გონს რომ მოვედი, სასწრაფოს ექიმი მადგა თავზე. ნუ გეშინიათ, ბატონო, პატარა წნევამ აგიწიათო. ნემსები გამიკეთეს, პაპავერინიო, თუ რაღაცას ეძახიან. სახლში მომიყვანეს და დამაწვინეს. ასე მოდის სიკვდილი? ეს ვართ სულ?

– ნუ გეშინია, ჩემო ბენო, წნევამ შეგაშინა, შე კაცო? – გული გაუკეთა სახლმმართველს ვასო მენაბდემ და შემდეგ საუბარმა სწორედ ისეთი სახე მიიღო, როგორიც იმართება ხოლმე ავადმყოფსა და სანახავად მისულ ჯანმრთელ მეგობარს შორის.

ნახევარი საათის მოსული არც კი იყო ვასილ მენაბდე, რომ მეოთხე სადარბაზოში მძლეოსანთა მწვრთნელი ბესარიონ კეჟერაძე შევიდა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა. ბესარიონს სპორტული პიჟამო ეცვა, ხოლო პიჟამოს მარცხენა მხარეს, გულთან, კრემლის გამოსახულება ეხატა. მწვრთნელი აშკარად აღელვებული ჩანდა. მის ძმისშვილს, სოფლიდან ჩამოსულ სტუდენტს, ამ დილით მესამედ უთხრა უარი ჩაწერაზე სახლმმართველმა. არადა სტუდენტს ყველაფერი რიგზე ჰქონდა; დასწრებულზე სწავლობდა და მის განცხადებას რეზოლუციაც კი ედო ჩაწერის შესახებ. „ნაკლები რომ გამოვა ადამიანისშვილი! კაი საქმის გაკეთება რომ არ უწერია თავში! რა უნდა, რას ერჩის ამ ბავშვს? ავალ ახლა და მაგრად გავლანძღავ! აღარ დამთავრდა შენი მიზეზები, შე გველო-მეთქი? ასე ვეტყვი სწორედ. გავლანძღავ და დავკარგავ კიდეც სამუდამოდ. ჩემთვის აღარ იარსებებს მკვდარი-ცოცხალი. მე მაგის სახლში ფეხის დამდგმელი არ ვარ!“ – ფიქრობდა ბესარიონ კეჟერაძე და როცა ბენოს მეუღლემ კარი გაუღო, ბოდიშმოუხდელად მიახალა.

– ბენო მინდოდა.

საწოლ ოთახში შესვლისას ბესარიონმა ჯერ ვასოს ჩამოართვა ხელი და მერე ბენოსკენ გაიწია. შემობრუნდა, ქუდი სკამზე დადო, ავადმყოფს ორივე ხელი შეაგება, სწრაფადვე შემოტრიალდა, ქუდი აიღო და დაჯდა ისე, რომ სალდაძისთვის თვალი არ მოუცილებია.

– მადლობელი ვარ, ჩემო ბესარიონ, რატომ შეწუხდი?! სად გეცალა ახლა შენ ჩემ სანახავად! – სახლმმართველი ჭერს შესცქეროდა.

– რა მოცლა უნდოდა, შე კაცო, აბა, რა ვართ მეტი ერთმანეთის! ავადაა, რომ მითხრეს, თავზარი დამეცა. რაო, რაშია, თუ ძმა ხარ, საქმე? რა გითხრეს ექიმებმა? – მწვრთნელს არ ეგონა, თუ გარდასახვის ამოდენა უნარი გააჩნდა. თავისი თავის უსაზღვროდ კმაყოფილი იყო, რომ საჩხუბრად მოსულმა ასე სწრაფად დაიოკა ნერვები და მოსიყვარულე მეზობლის ნიღაბი ასე ბუნებრივად მოირგო.

სანამ სახლმმართველი სტუმარს უამბობდა, თუ როგორ აეწვა კეფა სხდომის შემდეგ, როგორ დაუწყო ყურებმა შუილი და სანამ მდივანი გოგონა ჩაის შემოიტანდა, როგორ დაკარგა გონება, მეოთხე სადარბაზოში კიდევ შევიდა ერთი კაცი.

ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ კაბინას არ დაუცადა, ღრმად ამოიოხრა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეს.

ეს კაცი გახლდათ სანტექნიკოსი ანზორ ფხალაძე. ნაღვარევის ჩასახვევთან, მარცხნივ, ბოძებზე შემდგარი საამხანაგო სახლი არ დგას? სწორედ ამ სახლის საქვაბეს ემსახურებოდა დღევანდლამდე ანზორი. გუშინ ერთ საქმეზე შეაგვიანდა და წყალსაქაჩი ძრავა დროზე ვერ ჩართო. თავის კაცურ საქმეზე შეაგვიანდა. ისეთ საქმეზე გახლდათ, ცოლს რომ ვერ გაუმხელ. არ დაქცეულა ქვეყანა. ანზორი წესიერი კაცია, მაგრამ ერთი პირი ძილი წყალსაც უწევსო, ნათქვამია. ამ დილით კანტორიდან დაურეკეს, მოდი, თავს უშველე, ბენო სალდაძე მდივანს შენი მოხსნის პროექტს აბეჭდვინებსო. მიდის ახლა ანზორი სახლმმართველთან საჩხუბრად. მიეთ-მოეთებს არ დაუწყებს. ოქრო ხელობის კაცია, ოთხმოცმანეთიან სამსახურს ყველგან იშოვის. „კაცი ხარ ამის მერე, შენო? – ეტყვის ანზორი სახლმმართველს, – შენც იტყვი, ადამიანის გული მაქვსო? ქურდულად რომ მხსნი, დამიბარე, მითხარი, ერთი შენიშვნა მაინც მომეცი? შვიდი წელია საქვაბეს ვემსახურები, ყოფილა შემთხვევა, დროზე არ ჩამერთოს ძრავა? გიჩივლებდი სასამართლოში და გასროლინებდი კუდით ქვას არასწორი ბრძანებისათვის, მაგრამ ამას რატომ არ ვიზამ იცი? კიდევ რომ აღარ მექნეს შენთან საქმე. შენმა ყურებამ და შენთან შეხვედრამ მეტი რომ აღარ მომიწიოს. მიმიფურთხებია შენი საქვაბისათვის და შენი კაცობისათვის, საერთოდ!“ – ასე ეტყვის, გამოიჯახუნებს კარს და წამოვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სანტექნიკოსი ანზორ ფხალაძე ვასილ მენაბდესა და ბესარიონ კეჟერაძეს შორის იჯდა და ავადმყოფ სახლმმართველს თვალებში შეჰყურებდა.

– შენ მაინც საიდან გაიგე, ჩემო ანზორ, ვინ გითხრა? – წნევადარტყმული უსაზღვროდ კმაყოფილი იყო.

– რა გაგება უნდოდა, ნოევიჩ, მთელი ქუჩა მაგაზე ლაპარაკობს. საავადმყოფოდ გცალია ახლა, ნოევიჩ, შენ?

– მიქელ-გაბრიელი არ დაგიდევს, გცალია თუ არა, – ჩაიცინა სახლმმართველმა.

– ათასი უბედური დადის ამ ქვეყანაზე. რა ხელი აქვს შენთან მიქელ-გაბრიელს ჯერ? კაი კაცს რომ არ დაეტაკოს, ღვთის პირიდან გადავარდნილი ცოტაა? – ანზორ ფხალაძე ისეთი ექსტაზით ლაპარაკობდა, რომ ვასილმა და ბესარიონმა ეჭვით გადმოხედეს.

– ეჰ, ჩემო ანზორ, ვინ გიფასებს კაი კაცობას! ხომ გაგიგონია, მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. მიქელ-გაბრიელს რომ სია უჭირავს ხელში, იმ სიაში კაი და გლახა ერთმანეთის გვერდზეა მოქცეული. ღირსების მიხედვით კი არაა დალაგებული წამსვლელ-დამრჩომი, – შეიშნო ბენომ თავისი მდგომარეობა.

– ალფავიტზეა ალბათ, – სიტყვა შეაშველა ვასილ მენაბდემ.

– რა იყო მაინც, რა დაგემართა, რომ დაგვიხეთქე გულები? – შორს გაუტია სანტექნიკოსმა.

– ორზე მოვრჩი დღეს თათბირს. მარტო რომ დავრჩი, მე ვთქვი, გაზეთებს გადავხედავ-თქვა. სანერვიულო, კაცმა რომ თქვას, არც თათბირზე იყო რამე და გაზეთში ხომ ყველაფერ კაი წერია. ამ ადგილას, ყურების გასწვრივ, კეფა ამტკივდა. ცუდად მედო ალბათ ბალიშზე წუხელ თავი-მეთქი. სანამ ჩაის შემოიტანდნენ, ყურებმა შუილი დამიწყო და მერე აღარაფერი მახსოვს...

მესამედ ყვებოდა ავადმყოფობის ამბავს ბენო, და რომ დაამთავრა, გაიფიქრა, ცოტა უნდა შევკვეცო, თორემ, როგორც ჩანს, დღეს ბევრი მნახველი მოვა და ასე დაწვრილებით თუ ვუამბე ყველას, წნევის აწევა მაშინ ნახეო.

* * *

ლიფტის კაბინა რომ დაეშვა, სამივემ თითქმის ერთდროულად ამოიხვნეშა. მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ხმის ამოღება არც ერთს არ სურდა, რადგანაც ცალ-ცალკე ყველას ეგონა, რომ დანარჩენი ორი საჩხუბრად კი არა, მართლა ავადმყოფის სანახავად იყო მისული.

და გულში სამივეს რცხვენოდა. რატომ? რის გამო? ამისათ-

ვის ანგარიში ვერ მიეცათ. რაღაცაში დამნაშავედ გრძნობდნენ თავს წნევააწეული სახლმმართველის წინაშე.

ბოძთან სულელი გოგია იდგა და თითქოს მათ ნახვას ელოდაო, ხელი დაუქნია, – მოდით, გამოცანას გეტყვითო!

მივიდნენ.

გოგიამ ცხვირი მოიხოცა, ჯოხი ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლა, მაღლა აიხედა და დაიწყო:

– პაწაწინა წვერცანცარას
საქმე ანდეს დიდიაო,
ხან თუ წვერით მიერჭობა,
ხანაც კუდით ჰკიდიაო.

– კაცი! – ყველას დაასწრო ბესარიონ კეჟერაძემ.

– ვერ მოგართვი! – გოგიამ მისთვის ჩვეული ღიმილი აიფარა სახეზე, აქაო და დიდ საიდუმლოს ვმალავო.

– შენ გვითხარი! – უგემურად თქვა ანზორმა.

– ნემსი, თქვე შტერებო, ნემსი! – გამოაცხადა გოგიამ და ქვეყანაზე უბედნიერესი კაცის სიცილით გაიცინა.

ტკივილი

კაპიტონ ცერცვაძეს მარილები დაუგროვდა. როცა ეს დიაგნოზი დაუსვეს, უკვე გვიან იყო. ავადმყოფობა, რომ იტყვიან, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. არასწორმა მკურნალობამ ჩიხში მოაქცია თქვენი სენიო, განუცხადა ექიმმა და აბა, ამაზე უფრო ნათელს და სანუგეშოს ექიმი რას გეტყვის. ვერ მიხედა დროზე თავს ქალაქ პატრიგეთის დელფინარიუმის სტატისტიკოსმა კაპიტონ ცერცვაძემ. ამ ხუთი წლის წინ მაჯების ტკივილი რომ იგრძნო და მხრები დაუმძიმდა, ქარებიაო უთხრეს და მთელი წელიწადი მოხარშული დაფნის წვენს სვამდა, მერე იდაყვის მოხრა და თითების გაშლა-მოკეცვაც რომ გაუჭირდა, ვიღაცამ უთხრა: სახსრები გაქვს გაცივებულიო. წამალიც ასწავლეს – ასი ცალი ვაზის ფოთოლი უნდა ხარშო ერთ ვედრო წყალში, სანამ წყალი ნახევრამდე არ დადუღდება, ნახარშს თითო კოვზი თაფლი უნდა დაუმატო და დღეში სამჯერ ჭამის წინ დალიოო. ესეც არ დაუკლია. ბოლოს, მოჟამული იქნებიო და შეალოცვინა კიდეც, მაგრამ არაფერმა უშველა. ამ ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ექიმბაშების და მკითხავების იმედზე იყო ეს სერიოზული კაცი? იკითხავს სრულიად სამართლიანად ნაწყენი მკითხველი. მთლად ესეც არ ყოფილა საქმე. პარალელურად კაპიტონი უბნის ექიმთანაც დადიოდა, „ეროდანს“ სვამდა. უბნის ექიმი ყოველი გასინჯვისას აიმედებდა, – ხომ ხედავ, უკეთესად ხარ, იმ კვირაში ასე იყავიო? ხომ იცით, ექიმის ტყუილსაც მაგიური ძალა აქვს. კაპიტონი ის ერთი დღე, მართლაც კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ მეორე დღეს ყველა სახსარი ერთად რომ ეტყოდა უარს, თავბედს იწყევლიდა, უბნის ექიმის მიმართაც უსიამოვნო ფიქრები გაჰკრავდა გულში, მაგრამ სტატისტიკოსი მორიდებული კაცი იყო და რაიონის პოლიკლინიკას ყოველდღე ხომ ვერ შეაწუხებდა.

ფენჯგირეს თესლის ნახარშმაც რომ არ უშველა, ერთბაშად გაუტყდა გული მედიცინაზე და ავადმყოფობას მინებდა. ექ-

იმს და წამალს ვეღარ გააგონებდით. საცოდავი სანახავი იყო დელფინარიუმის სტატისტიკოსი. სამოცსმიტანებულ მარტოხელა კაცს, ჭიქა წყლის მიმწოდებელიც რომ არავინ ჰყავდა შინ, ეს უნდოდა კიდევ? დაჯდებოდა – ადგომა უჭირდა, იდგა – დიდის ვაი-ვაგლახით უნდა დამჯდარიყო. ფეხებზე თითქოს წისქვილის დოლაბები დაჰკიდესო, წერისას კალმისტარი ისე შეაცივდებოდა თითებში, რომ, თუ მეორე ხელს არ დაახმარდა, ვერ გამოიღებდა. სხვისი თქმა რად უნდოდა, თვითონვე იგრძნო, რომ მუშაობა აღარ შეეძლო და სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა. „თავს რითი ირჩენო“, დირექტორმა რომ ჰკითხა, კომისიაზე გავალ, პენსიას დამინიშნავენ და გავაჩანჩალებ ამ წუთისოფელს როგორმე ბოლომდეო, უპასუხა. იმედი ჰქონდა, რო მეორე ჯგუფის ინვალიდობის მოწმობას მისცემდნენ და პენსიაც საკმაოდ მაღალი ექნებოდა.

1980 წლის 27 თებერვალს დილის 10 საათზე კაპიტონი საპენსიო სამედიცინო კომისიაზე დაიბარეს. სოცუზრუნველყოფის განყოფილება მაშინ სერგეი ლაზოს ქუჩაზე კაზანჯიანცის ყოფილ სახლში იყო მოთავსებული. წელში ორად მოკაკვულმა, ქევქევით აიარა კიბე და კონსტიტუციის მუხლებით ლამაზად გაფორმებულ მოსაცდელში შევიდა. კედლის გასწვრივ ხუთიოდე მოხუცი თვლემდა. კაპიტონს უნდოდა ეკითხა, ბოლო ვინ არისო, მაგრამ გადაიფიქრა, ჯერ ერთი, არსად ეჩქარებოდა და მეორეც, გაწიე-გამოწიე, ამ ხუთი მოხუცის შემდეგ უნდა შესულიყო. მაღალი, თაგვისფერი კარიდან თეთრხალათიანი გოგონა გამოვიდა და იკითხა.

– ცერცვაძე არის ვინმე აქ?

– მე ვარ, ბატონო. – წამოდგა კაპიტონი.

– შემობრძანდით. – გოგონა გატრიალდა.

– კი მაგრამ, ეს ხალხი რომ ჩემზე წინაა? – შეწუხდა ყოფილი სტატისტიკოსი.

– სიით არის, ბატონო, გამოძახება. მალე გავუშვებთ ყველას.

კაპიტონი მიჰყვა.

გოგონამ ვიწრო შესასვლელში ღია კარადაზე მიუთითა:

– აქ გაიხადეთ და შემობრძანდით. – მოხუცს ახედ-დახედა, გაიღიმა და მუხლით მიაწვა კარს.

– მე ბოდიში, – გაწითლდა კაპიტონი, – გახდით რანაირად, რასაკვირველია, როგორაა თქვენთან წესი?

– ქვედა საცვლის გარდა ყველაფერი, ბიძია. – ექთანმა გოგონამ გადაიხარხარა და კარი შეაღო.

ათიოდე წუთის შემდეგ კაპიტონ ცერცვაძე მაღალჭერიან, სარკეებიან ოთახში იდგა და, სიცივისაგან შეწუხებული, მკლავებზე წამდაუწუმ ისვამდა ხელებს. მაღალი იყო, კაფანდარა, ვიწრო ბეჭები და ჩავარდნილი გულ-მკერდი ნაციხარს მიუგავდა. საფეთქლებთან შერჩენილი თმა ერთი ყურიდან მეორემდე გადაექაჩა. ფოსოებში ღრმადჩამჯდარი, ჭროღა თვალები, თხელი, საულვაშეზე ჩამოსული ცხვირი და სოლისმსგავსი ნიკაპი ჰქონდა. გრძელი, თეთრი, თასმებიანი ნიფხავი ეცვა და ფრესკიდან ჩამოსული მოხუცი წმინდანივით ფეხშიშველი იყო. კარგა ხანს ყურადღება არავინ მიაქცია. დარბაზში ხუთიოდე მაგიდას თითო თეთრჩაჩიანი ექიმი შემოსხდომოდა და მაგიდიდან-მაგიდაზე ახალი ამბების გაცვლა-გამოცვლაში იყვნენ. შეციებულმა კაპიტონმა, რაც შეიძლებოდა, ხმამაღლა რომ ჩაახველა, მარჯვნიდან მეორე მაგიდას მიყრდნობილმა, ღიპიანმა, ქოსა კაცმა დაიძახა:

– დავხოცავთ ამ ხალხს დღეს სიცივით! ფეხებზე ჩაიცვით, ბატონო, და ისე შემობრძანდით.

კაპიტონი გავიდა და მალე ფეხჩაცმული გამოეცხადა სერობას.

– აქეთ, ბიძია, – კაპიტონი შემობრუნდა და ნაცნობ ექთანს დაუდგა წინ.

– ცერცვაძე კაპიტონი ვარლამის ძე, – გოგონამ დამარცვლით გაიმეორა.

– დიახ.

– დაბადებული?

– 1915 წელს.

– ეროვნება?

– ქართველი.

– მუშაობის ადგილი?

– ახლა არსად ვმუშაობ. ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი. ისე დელფინარიუმში ვმუშაობდი სტატისტიკოსად.

– რა ავადმყოფობები გაქვთ გადატანილი?

– ბავშვობაში ყვავილ-ბატონები, ყივანახველა, ისე... მერე... შარდის ბუშტის ანთება, ყოველ წელიწადს ახალ-ახალ გრიპზე რომ არაფერი ვთქვათ, ფილტვების ანთებაც მქონდა ერთხელ, ჰიპოდრომზე გავცივდი.

– სად? – გოგონამ კალმისტრის ბოლო ტუჩთან მიიტანა.

– ჰიპოდრომზე.

– ცხენოსანი ბრძანდებით? – გოგონას თვალები აუციმციმდა.

– არა, მაყურებელი. ერთი სიტყვით დოღის სანახავად წავედი და დამიბერა ტრიბუნაზე. მერე აღარც ვყოფილვარ.

– ვენერიული დაავადება თუ გქონიათ?

– არა, ბატონო. – კაპიტონს შერცხვა და თავი ჩაღუნა, – მე საერთოდ ცოლი არ შემირთავს, უცოლოდ დავბერდი.

– ვენერიულ დაავადებას არაფერი კავშირი არა აქვს, ბიძია, ცოლის შერთვასთან. – აქ ექთანმა გოგონამ ისე ღონივრად გადაიკისკისა, რომ მაგიდებთან მსხდომნი ერთბაშად შემობრუნდნენ.

– კიდევ რა დაავადებები გაქვთ გადატანილი? – დასერიოზულდა ექთანი.

– გადატანილი მეტი არაფერი. ახლა რომ მჭირს, იმას გადატანილი ხომ არ ჰქვია?

– ახლა რა გაწუხებთ?

– მარილები.

– სად?

– ყველგან, სადაც კი შეიძლება მარილი დაგროვდეს. არაც ერთი სახსარი არ მუშაობს წესიერად.

– როგორ ყველგან? – გოგონამ კალმისტრის ბოლო წითელ, გაბუტულ ტუჩებს გაუსვ-გამოუსვა და მერე კბილებით დაუწყო ღრღნა.

– ყველგან ერთი სიტყვით, ფეხის თითებიდან კისრის მალებამდე.

გოგონამ ახლადშევსებულ ანკეტას ოთხიოდე ხაზებიანი

ფურცელი დააფარა, წამოდგა და კაპიტონი ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– წამობრძანდით.

შორს არ წასულან. გოგონამ მოხუცი პირველსავე მაგიდასთან მიიყვანა, ქაღალდები ფართოყურება, ვოროშილოვისულვაშიან ექიმს წინ დაუწყო და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ექიმმა ჯერ ანკეტა ჩაიკითხა, მერე წამოდგა და ჩუქურთმიან კარში გაუჩინარდა. სკამი გამოიტანა, კაპიტონს თავის მაგიდის წინ დაუდგა, დაბრძანდითო უთხრა და სანამ სკამის საზურგეზე დაყრდნობილი მოხუცი ძლივძლივობით ეშვებოდა, დირიჟორის ჯოხი მოიმარჯვა:

– აბა, დავიწყოთ, ამ ასოს ხედავ, ბატონო?

– კი. – მიუგო კაპიტონმა.

– რა ასოა?

– „პ“.

– ეს? – ექიმმა ჯოხი ქვევით ჩამოსწია.

– „კ“.

– ეს კი არა, ეს, ეს.

– „დ“.

– ეს? – უფრო წვრილად დაბეჭდილ ასოს დაადგა ჯოხი ექიმმა.

– „მ“.

– კეთილი და პატიოსანი. – ფართოყურება ექიმს მეტი არაფერი უკითხავს, წერა რომ დაამთავრა, კაპიტონს გაუწოდა ქაღალდები:

– იმ ექიმთან მიბრძანდით, ჩემგან თავისუფალი ხართ.

ღიპიანი, ქოსა კაცი, რომელსაც ბზიკის ნაკბენივით შესიებული უზარმაზარი ტუჩები ჰქონდა და გვერდზე მოქცეული თეთრი ჩაჩიდან წითური, ხუჭუჭა თმა მოუჩანდა, მესამე მაგიდასთან მჯდომ ახალგაზრდა, ქერა ქალს ესაუბრებოდა.

– რა უნდა გააკეთოს, შენ მითხარი, ნახევარ შტატზე პოლიკლინიკაში? პოლიკლინიკაში კი არა საავადმყოფოში არაფერია დღეს, – მოხუცს ცალი თვალით გამოხედა, – დააწყვეთ აგერ ქაღალდები და დაბრძანდით, არ ჰყავდა კაცი პატრონი, რომ დაეწყნარებინა მაშინ, იმ წუთში? განყოფილების გამგეს-

თან შელაპარაკება ვის არ მოსდის, შენ მითხარი, მაგრამ, ასე რომ გავრბოდეთ ყველა სამსახურიდან, წინ წავა საქმე.

ყელი, ყური, ცხვირი გტკივა, ბიძია?

– მაინცდამაინც არა, – ყელში სიმშრალე მაქვს ბავშვობიდან.

– ეგ არაფერი. ქოსამ წერა დაიწყო და ზოგჯერ ქერათმიანს გახედავდა, – რამდენი ბავშვი ჰყავს სარჩენი?

– მგონი სამი. – მესამე მაგიდიდან უპასუხეს.

– შენ მითხარი, ჭკვიანი კაცის საქციელს ჰგავს ახლა მაგის მოქმედება? პოლიკლინიკის ნახევარი შტატით აპირებს სამი ბავშვის რჩენას? შენ მითხარი. – წამოდგა, კაპიტონის ქაღალდები თვითონ მიიტანა ქერათმიანთან და მოხუცს ხელით ანიშნა, აქეთ, ამ სკამზე დაბრძანდიო.

ქერათმიანმა, ლამაზმა ექიმმა ხელები რომ გააშლევინა და სთხოვა ცოტა ხანს ასე გეჭიროთო, კაპიტონ ცერცვაძემ შეხედა მის ჩამოსხმულ, ნატიფ, სუფთა თითებს, რა დასამალია და მკურნალს ყელს ქვემოთაც ჩააყოლა თვალი და დაასკვნა, – აი, მესმის ექიმი, მკვდარსაც კი მოაბრუნებს ამ ქვეყნისკენო.

ქერათმიანმა, დაუშვითო, რომ უთხრა, ფიქრებში გართულმა კაპიტონმა ვერ გაიგონა და კარგა ხანს იჯდა განმკლავში იმ ბებერი სვავივით, გაფრენა რომ ეზარება და ფრთებს ყასიდად შლის, აქაოდა, მთლად დავარდნილი არვის ვეგონოო.

– დაუშვით, ბატონო, ხელები, – ლამაზმა ქალმა ავტოკალამი აიღო და პენსიისმაძიებელს ცხვირთან მიუტანა. კაპიტონმა თავი გასწია და ექიმს გაოცებული მიაჩერდა.

– ნუ გეშინიათ, – ქერათმიანმა დაუყვავა, – ამ კალმისტარს გამოაყოლეთ თვალი. სანამ მე არ გეტყვით, თვალი არ მოაცილოთ. ასე... ასე... – ექიმი კალმისტრით ჰაერში წრეს ხაზავდა, – კარგია... გმადლობთ.

– რა ბრძანეთ? – თეთრნიფხვიანი კაპიტონი, ჩვენში დარჩეს და, სასაცილო სანახავი იყო.

– გმადლობთ-მეთქი, – ექიმმა ჩაქუჩი მოიმარჯვა და ისე მაგრად დაჰკრა მუხლზე, რომ მოხუცი კინაღამ გადაყირავდა.

მეორე მუხლზე რომ დაჰკრეს, კაპიტონი ელოდა და მაინცდამაინც არ შემხტარა.

– ძილი როგორი გაქვთ, პატივცემულო?

– მე?

– დიახ.

– არა უშავს. ნამეტანი ადრე მეღვიძება ამ ბოლო დროს.

– ალბათ ადრე წვებით დასაძინებლად.

– ადრე კი... რასაკვირველია. რა ვაკეთო აბა. – კაპიტონმა დროზე იგრძნო, რომ ქერათმიანი არ უსმენდა. ელვის სისწრაფით წერდა და თან ბუტბუტებდა თავისი ფერმკრთალი, მაგრამ ვნებიანი ტუჩებით.

წერა რომ დაამთავრა, ანკეტა ჩაიკითხა და მოხუცს გულმოდგინედ შეხედა:

– მარილები გაწუხებთ არა?

– დიახ, ძალიან. – კაპიტონმა გადაჯვარედინებული ხელები მხრებზე დაიწყო. ასე უფრო თბილად იყო.

– ბატონო ვასილ, თქვენი ავადმყოფია! – გასძახა ქერათმიანმა მეოთხე მაგიდასთან მჯდომ წრიპინა კაცს, რომელსაც მკლავები ყასაბივით წაეკაპიწებინა და დიდი, წითელი ჰალსტუხი ხალათში რომ ვერ დაეტია, მაგიდაზე გაეფინა. ვასილ-ექიმი თავმოტვლეპილი გახლდათ, ლამაზი ყურები კეფაზე ასწეპებოდა და ასე პატარა რომ არ ყოფილიყო, ერთი სულელური ფრანგული ფილმის ყბადაღებულ გმირს ემგვანებოდა.

– გვარი? – დაჯდომა არ აცალა „ფანტომასმა“ ავადმყოფს.

– ცერცვაძე.

– სადაური ცერცვაძე ბრძანდებით?

– იმერელი. ცერცვაძეები საერთოდ ბაღდათიდან ვართ.

– რა გაწუხებთ?

– მარილების დაგროვება მაქვს.

– სხვა?

– რა – სხვა, ეს ცოტაა ვითომ?! – გაწყრა კაპიტონი.

– ცოტაა თუ ბევრი, ამას ჩვენ გავარკვევთ, მარილების გარდა სხვა რაიმე ორგანული დაავადება არა გაქვთ ხომ? – რა საოცრად ჰგავდა ეს კაცი ნიღაბს.

– არა.

– აბა, ერთი ახლოს მოიწით. მოსწიეთ სკამი კიდევ უფრო. ა, ასე... მომეცით მარჯვენა ხელი. ასე გტკივათ? – ექიმმა ისე

სწრაფად, კარატეს ილეთით მოუხარა კაპიტონს მკლავი იდაყვში, რომ მოხუცმა კინაღამ შეჰკივლა.

– კი! ცოტა ნელა, შე მამაცხონებულო.

– მარცხენა ხელი ატრიალეთ მაჯაში.

კაპიტონმა სცადა.

– უფრო ღრმად, უფრო ენერგიულად.

– კაია, კაი დაგემართოს, მაგრამ შემიძლია?

– რას გრძნობთ ახლა? – ექიმმა მარჯვენა ხელი გამოუწია და მაჯას ღონივრად დააწვა.

კაპიტონს სიმწრისაგან სახე დაეღრიჯა და ხელი გამოსწია.

– თითქოს დანით მჭრიანო ხორცს.

– მარილებმა ასეთი ტკივილი რომ არ იცის? – ნიღაბმა გაიღიმა და ფოლადის ბრჭყვიალა კბილები კაპიტონს სახეში შეანათა.

– აბა, როგორი ტკივილი იცის? – გამოაჯავრა კაპიტონმა.

– როგორი და ყრუ ტკივილი. თითქოს ძვალზე რაღაც გაწვებაო.

– ყრუ ტკივილია თუ სმენიანი, მე ქე მკლავს რაღაცა და.

– სასიკვდილო ამ წუთში თქვენ არაფერი გჭირთ. – დაამშვიდა ექიმმა – აბა, მუხლში მოხარეთ ფეხი.

კაპიტონმა იფიქრა, მე თვითონ მოვინდომებ, თორემ ამის ამბავი რომ ვიცი, ფეხს მომტეხავსო და მარცხენა ფეხი ჯერ გამართა და მერე ისე სწრაფად დაიქნია, რომ ძვლებმა ღრჭიალი დაიწყო.

– იგრძენით რამე?

– ტკივილის მეტი ვერაფერი. ხომ გაიგონეთ?

– რა? – ჰკითხა ექიმმა.

– ძვლის ხმა.

– აბა, თავიდან გაშალეთ და მოღუნეთ ფეხი. – ექიმმა მუხლისთავს ყური მიუახლოვა.

კაპიტონმა კიდევ ერთხელ ივაჟკაცა.

– მარცხენა მუხლში მარილების მცირე წანაზარდი მართლაც შეინიშნება, – დაეთანხმა ექიმი და წერას შეუდგა.

მეხუთე მაგიდასთან არც გაუსინჯავთ. თეთრწვერა ექიმმა, რომელსაც მარცხენა ხელზე შავი ხელთათმანი ეკეთა, ერთადერთი შეკითხვა მისცა:

– კუჭის მოქმედება როგორი გაქვთ?

– გაყინული ხორცი მწყენს, – გულწრფელად მიუგო კაპიტონმა.

– მეც მწყენს, მეგობარო, მეც. სხვათა შორის, ჩვენს ასაკში რაც ნაკლებ ხორცს შევჭამთ და რაც მეტ მწვანილეულს – უკეთესია. მიბრძანდით, ჩაიცვით და კორიდორში დაგველოდეთ. პასუხს დღესვე მიიღებთ.

იცვამდა და სახე უცინოდა. ისე უხაროდა, თითქოს ეს-ესაა გადასცურა ავად მღელვარი მდინარე და გაღმა, განცხრომისა და განსვენების ნაპირზე გავიდა.

ხუთი საათის ლოდინის შემდეგ გამოუცხადეს, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო და შრომის უნარის ის მცირე დაქვეითება, დროებითი ავადმყოფობით გამოწვეული, ინვალიდობის რომელიმე კატეგორიის მინიჭებისათვის საკმარისი არ გახლდათ.

თვალთ დაუბნელდა. მთელი დღის უსმელ-უჭმელი ისე იყო დასუსტებული, რომ ეგონა, სახლამდე ვერ მიაღწევდა, სკამზე ნელ-ნელა დაეშვა და მარილებისაგან დამზრალ თითებს დააცქერდა.

ერთი სული ჰქონდა, ამ დამჭკნარი, უღონო თითებით ყური აეწია იმ სახეგაყინული ექიმისათვის, სხვისი ჭირი რომ არად ჩააგდო და სამსახურიდან გადამდგარი, უილაჯო კაცი თავისი ჰაი-ჰარა დასკვნით ცას შეატოვა.

სანამ კომისიის წევრები არ გამოლაგდნენ, ფეხი არ მოიცვალა და ყუნცულით მომავალ „ფანტომასს“ გადაუდგა.

– ჯანმრთელი ვარ, აბა, ბატონო, მეე?

ნიღბოსანი შეჩერდა.

– ყოველ შემთხვევაში, ინვალიდი არ ხართ.

– ჩემნაირი ჯანმრთელობა არ მოგაკლოს გამჩენმა. ხომ წყევლა არ არის შენთვის, რაკი ჯანმრთელი ვარ. გინდა ასე?

წრიპა ექიმმა ნაბიჯს აუჩქარა და კიბიდან ამოსძახა კედელსმიყრდნობილ კაპიტონს.

– რა ვქნა, ბიძია. მე მთავრობას ვერ მოვატყუებ. რაც ვნახე, ის ჩაგიწერე. ჩვენ სარაიონო კომისია ვართ. გვიჩივლე საქალაქოში. ასე უქნიათ, პირველი ჯგუფი მოუციათ. მე რა დამაკლდება. ჩემი ჯინი სჭირდაო, ვერ იტყვი, პირველად გნახე დღეს. ისე, შენ იმნაირი კაცი ჩანხარ, რომ მასე ჩაჭიპჭიპებით, ვეჭვობ, საქალაქოზეც რამეს მიაღწიო. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ეს უკანასკნელი სიტყვები ექიმმა კიბის ბოლო საფეხურიდან ამოსძახა და კაპიტონს არც კი გაუგონია.

კვირის თავზე ხუთგვერდიანი, გულისამაჩუყებელი განცხადება დაწერა საქალაქო სამედიცინო კომისიის სახელზე. მეო, წერდა, მთელი სიცოცხლე პატიოსნად ვემსახურე დელფინარიუმს, ნასამართლევი არ გახლავართ და მთავრობის საწინააღმდეგო რამ გულშიც არასოდეს გამივლიაო. გადახედეთ ჩემს პირად საქმეს, მადლობების და წახალისების ფურცლების მეტს ვერას იპოვით შიგო. ქვეყანა ჩემი საჭიროებებით რომ არ შემეწუხებინა, ცოლიც არ ვითხოვეო. ახლა, მარტოხელა კაცი, მარილებით ვიტანჯები, თორემ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას თავს დავანებებდი მეო? დილით ლოგინიდან ადგომას ერთ საათს ვუნდები, ხელი სახესთან ვერ მიმაქვს, წყალი რომ შევისხაო. ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს გამხადეს ტანზე და საათ-ნახევარი მაგლახავესო. რა ხელს აძლევდა სარაიონო კომისიას ჩემი გაცუცურაკება, გამიგეთ ერთიო. ყველას რაღაცა სახსარი აქვს ამ ქვეყანაზე, მე კი პენსიის შემყურე ვარ, სხვა არა მაბადიაო. კი, ნათქვამია: სხვისი იმედით ფართო ლოგინს ნუ დაიგებო, მაგრამ მე პატიოსანი კაცი ვარ, რაც სიგლახე ახალგაზრდობაში არ ჩამიდენია, სიბერეში ვერ ვიკისრებო. თქვენი პრინციპულობის იმედი მაქვს, თქვენ უნდა მიშველოთ და სამართალს პური აჭამოთო.

საქალაქო კომისიამ ყურად იღო კაპიტონის საჩივარი, გასინჯა ავადმყოფი, სარაიონო კომისიის დასკვნა ჭეშმარიტებად მიიჩნია და ძალაში დატოვა. აყვირებულ კაპიტონს დერეფანში ვიღაც მიუახლოვდა და იდუმალი ჩურჩულით უთხრა: „რა გაყვირებს, ბიძია, ამგენს ყვირილით და მუქარით გააკვირვებ შეენ? დროული კაცი ხარ, შენგან არ მიკვირს ეგ ამბავი? სარაიონოზე უნდა მიგეხედა საქმისათვის, თორემ აქ რომ მოხვედი, იმედი გადაწურული უნდა გქონოდა. მაგენი ერთმანეთის კოლეგები და მეგობრები არიან. როგორ ფიქრობ ახლა შენ, ერთმანეთს გაამტყუნებენ და შენ მოგიდგებიან? არ დაიჯერო! სარაიონო კომისიის დასკვნის გაუქმება იცი რა არის? იმ ექიმებს საყვედურები უნდა ჩამოურიგონ და კომისია არაკომპეტენტურად მიიჩნიონ. ვინ იზამს ამას შენი გულისათვის.

კაპიტონს ამ სიტყვების მთქმელისკენ არც გაუხედავს. გაჩუმდა კი და მოაჯირსდაყრდნობილი, კიბეზე სვენებ-სვენებით დაეშვა.

ერთ კვირას სახლიდან არ გამოსულა. პარასკევს ბაზარში დედამისის ნაქონი სედლო გაიტანა და პირველივე მუშტარს შვიდ თუმნად მიჰყიდა. კარგა ხანს ვერ შეელია იმ სედლოს გასაყიდად, მაგრამ ბოლოს დაასკვნა, რა რელიკვიაზეა ლაპარაკი, როცა კაცს შიმშილი მელისო. დელფინარიუმში მიბრუნებისა რცხვენოდა, პენსიისთვის ბრძოლა კი უაზროდ მიიჩნია. ისე გაუტეხა გული კომისიებმა.

ამ საღამოს „ვეჩერნი პატრიგეთს“ რომ ათვალიერებდა, ერთმა აზრმა გაუელვა გონებაში და მარილებიანი კაცი სკამიდან კინაღამ წამოფრინდა: თუმცა სახსრები ჯოჯოხეთურად სტკიოდა, ხელჯოხის ტრიალით დააბიჯებდა ოთახში და ბუტბუტებდა, – ვენაცვალე ღმერთს, მთლად უსახსროდ არ გასწირავს მის გაჩენილს ამ ქვეყანაზეო. მერე მაგიდას მიუჯდა და საანაგრიშო ჩოთქი ააჩხაკუნა. ანგარიშს რომ მორჩა, ფანჯარა გამოაღო და შუბლი ცივ ნიავს მიუშვირა. ცოტა ხნის შემდეგ შეაჟრჟოლა და ფანჯარა მიხურა. ერთი წამით ისევ გამოაღო და წყვდიადს გასძახა:

– არაფერი მინდა თქვენი! თვეში სამ მანეთად ვიცხოვრებ!

რანაირად იცხოვრებდა თვეში სამ მანეთად ცოცხალი კაცი? რა იდეა დაებადა ასეთი კაპიტონს, ჩვენც გაგვიზიარეო, სული მისდის ალბათ, მკითხველს.

კაპიტონის აღმოჩენა ასეთი გახლდათ: „ვეჩერნი პატრიგეთი“ ყოველ დღე ბეჭდავს სამგლოვიარო განცხადებებს. საშუალოდ დღეში შვიდ მკვდარს მაინც ასაფლავებენ ამ ქალაქში. შვიდიდან

სამი მაინც იქნება კაპიტონის ნაცნობი. და ნაცნობიც რომ არ აღმოჩნდეს, ჯერ არ მომხდარა მსოფლიო ქელეხების ისტორიაში შემთხვევა, მიცვალებულის პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე მოსულისთვის ეკითხოთ, თქვენ ვის მოყევითო. ვივლი ყოველდღე გასვენებებზე, ჩემს მოქალაქეობრივ ვალსაც მოვიხდი და საქელეხო სუფრაზე მიწვევისას დიდ თავპატიჟს არ გავიდებო. „ვეჩერნი პატრიგეთი“ ორი კაპიკი ღირს. თვეში (30X2) სამოცი კაპიკი ჯდება, ტროლეიბუსი იქეთ-აქეთ რვა კაპიკი (30X8) ორ მანეთს და ორმოც კაპიკს იჭერს, ასე რომ, თვეში სამ მანეთზე მეტი არ დამეხარჯებაო, ვარაუდობდა კაპიტონი.

* * *

...ქალაქ პატრიგეთში დასაფლავების თითქმის ყოველ ცერემონიალზე შეხვდებოდით კაპიტონ ცერცვაძეს. ხან პანაშვიდზე მომსვლელთა შესვლა-გამოსვლას აწესრიგებდა, ხან სეფის გაშლას ხელმძღვანელობდა, თუ ეს ყველაფერი მოგვარებული იყო, იდგა თავისთვის ჩრდილში და თვლემდა.

ავკარგიანი კაციაო, ამბობდნენ მასზე პატრიგეთში, ჭირში კაცის დაფასება და გვერდით ამოდგომა იცისო.

პირველ ხანებში რცხვენოდა ყოველ გასვენებაზე გამოჩენა, მერე მიეჩვია და უკანასკნელ გზაზე გაცილება მისი ცხოვრების აზრად იქცა.

მარილები ძველებურად აწუხებდა, მაგრამ იმდენად სულერთი იყო მისთვის სიკვდილიცა და სიცოცხლეც, რომ ტკივილს არად აგდებდა და, ხომ მოგეხსენებათ, ავადმყოფობა სწორედ მაშინაა დამარცხებული, როცა მის დავიწყებას იწყებენ.

მეშუშე

– სახელი თქვენი, ბატონო?

– რობინზონი.

– რობინზონ ჩემო, კი არ მეგონა, ასე ჩქარა თუ მოხვიდოდი, დღეს არც კი გელოდი, გითხრა სიმართლე.

– მეც შემთხვევით შევიარე კანტორაში. წესით არ მეკუთვნოდა მოსვლა, დილიდან სხვაგან ვიყავი განაწილებული. იღბალი გქონიათ, განაცხადი მაგიდაზე იდო, წავალ, ვინ იცის, როგორ უჭირს კაცს-მეთქი.

– აგაშენა ღმერთმა.

– მინა გაქვთ? ყოველ შემთხვევისთვის ერთი ფურცელი წამოვიღე; სამოცდაათი-ასოცზეა, გვეყოფა?

– მოგვრჩება კიდეც. ბავშვმა ჩამიტეხა შუშაბანდის მინა და გავიყინე კაცი. იქეთ უნდა გავიდეთ, ნუ იხდი, ნუ იხდი, შე კაცო, ფეხზე, იატაკი მოსაწმენდია მაინც.

რობინზონმა, საშუალო ტანის, დაუჯერებლად ინტელექტუალური შუბლისა და თხლად შეპარსული ულვაშის პატრონმა მეშუშემ ფეხზე გაიხადა, მინა იღლიაში ამოიჩარა და მასპინძელს მიჰყვა.

– კი არ ვიცი, რა ჰქვია ამ თქვენს ხელობას ქართულად. – ენაწყლიანობდა ოსტატის დროულად მოსვლით გახარებული სოსო მანაგაძე, – „მინის ოსტატი“, „მემინავე“, „მემინე“, „მინისტი“, „მინის გამომჭრელი“, „მინის ჩამსმელი“. ერთი სიტყვით, რანაირად ჩამეწერა განცხადებაში, არ ვიცოდი. ბოლოს „მეშუშე“ ვარჩიე.

– „სტეკოლშჩიკი“, უბრალოდ და გასაგებად, ასე გვეძახის ყველა. ერთ წუთას ეს სკამი დამიჭირე, ზომას ავიღებ.

– რატომ სტეკოლშჩიკი, შე კაცო, – წყენა გაერია ხმაში „საქნავთის“ №3 საძიებო ბრიგადის მთავარ მბურღავს და სოლივით ჩამოთლილ ნიკაპზე ხელი ჩამოისვა.

რობინზონს ხმა არ გაუცია. სკამიდან მარდად ჩამოხტა, მეტრიანი დაკეცა და ძველი, სახელოებგაცვეთილი, იაფფასიანი ბუკლეს პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო. მინა კედელს ფრთხილად მო-

აცილა და მაგიდაზე დადო. სოსოს გრძელი სახაზავი მოაძებნინა, ალმასი დააძრო და სანამ მინას დაუსვამდა, შეჩერდა. დაიხარა და მაგიდას ირიბად გახედა. მერე ალმასი ისევ გულისჯიბეში ჩაიბრუნა და მასპინძელს მიუბრუნდა:

– არ გამოვა.

– რა არ გამოვა? – სასოწარკვეთილი სახე მიიღო მბურღავმა.

– არ გაიჭრება. უფრო სწორი მაგიდა არა გაქვთ?

– საწერ მაგიდაზე რომ სცადო? ჩემს კაბინეტში გავიდეთ.

რობინზონმა მინა ამოიღლიავა და მასპინძელს მიჰყვა.

სოსოს კაბინეტში კარგად შენახული მტვრის ნაცნობი სუნი იდგა.

წიგნები სამ კედელზე ჭერამდე აკრულ კარადებში რომ ვერ დატეულიყო, მაგიდაზე და იატაკზე დაეხვავებინათ.

– რა მოხელე კაცი ბრძანდები? – წიგნებს თვალს არ აშორებდა მეშუშე.

– მე თვითონ მბურღავი ვარ. ეს წიგნები მამაჩემისაა. მასწავლებელი იყო. წლისთავი იმ თვის ოცდარვაში გვქონდა.

– რამ მოკლა?

– კიბომ.

– მოკლედ ეს კიბო სურდოსავითაა მოდებული, ეს ბალანამოსაწყვეტი.

– ბალანამოსაწყვეტი უძახე, ქე მოერია მედიცინას და.

– რავა?

– ვერ გაუგეს ვერაფერი. ზოგი ამას აბრალებს და ზოგი იმას. ზოგი იძახის ვირუსულიაო, ზოგი ამტკიცებს თვითნაბადიაო. მოკლედ, ჯერჯერობით კიბოს მკურნალობა მკითხაობის დონეზეა. თუმცა მარტო მე ერთი შვიდჯერ მაინც წამიკითხავს გაზეთში წერილი სათაურით – „კიბო დამარცხებულია!“

– მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

– დანაა ერთადერთი. ოპერაცია და მისი ჯანი. ისიც, მტრისას და ავისას, თუ დაგვიანებული არ არის. მეტასტაზები რომ მოედება, მერე აღარ შველის არაფერი.

– უპოვიან მაგას მუღამს. ექიმობა წინ მიდის. ჭლექის მომრევი თუ რამე იქნებოდა, არ ეგონათ ამ ორმოც-ორმოცდაათი წლის წინათ. ერთი აქ მომიკიდე ხელი. ქვემოთ გაუშვი, არ უნდა. შენ მარტო სახაზავი დამიმაგრე, კარგია, გაუშვი. აღარ მინდა მეტი. აბა, ვნახოთ რა ჰქნა?

რობინზონმა თავისი უშნო, მსხვილი თითები იქეთ-აქეთ ჩასჭიდა მინას, დასწია და ზუსტად გაჭრილზე გადატეხა.

– სუფთა ნამუშევარია! ვერაფერს იტყვი. – დააყოლა, ოჯახის უფროსს თვალი ჩაუკრა და შუშაბანდში გამოაბიჯა.

– რამდენი ხანია, რაც ამ საქმეს ადგახარ, რობინზონ?

რობინზონმა წვრილი ლურსმნები ტუჩებიდან გამოიღო და მშვიდად მიუგო:

– ოცდახუთი წელი მისრულდება ოცდაშვიდ ივნისს.

– არ გამაგიჟო?! შენ თვითონ განა რამდენი წლის ხარ?

– რამდენის ვიქნები?

ისე მსუბუქად და სწრაფად ატკაპუნებდა მინაზე ლურსმნებს რობინზონი, რომ შეგეხარბებოდათ.

– რა ვიცი. ოცდახუთის მთლად მეგონე, რომ შემოხვედი.

რობინზონმა გაიცინა.

– ნეტავი შენს ხასიათს. ორმოცდაოთხი წლის გავხდები მალე.

ოსტატ-მასპინძლის დიალოგს მეტს აღარ გავაგრძელებ. არც აქამდე იყო ეს საუბარი ჩასაწერი და საუკუნო სიცოცხლის ღირსი. ხელოსანს ჩვენ, ყველანი თითქმის ერთნაირად ველაპარაკებით. ამის მერე სოსო გაიკვირვებს, ორმოცდაოთხს არავინ მოგცემთ. გეტყობათ, კარგად ხართ შენახულიო, მერე რობინზონი გაიღიმებს და მრავალმნიშვნელოვნად მიუგებს. უკეთესად ვიქნებოდი, ბავშვობაში სიღარიბე და შიმშილობა რომ არ გადამეტანაო. ისე, რაც თავი მახსოვს, სიცხის საზომი არ ჩამიდევს იღლიაში. ექიმი და წამალი არ ვიცი ჯერო. მერე მეშუშე თავის საქმეს მორჩება (ერთი შუშის ჩასმა რა დიდი ამბავია), სხვა მინებს შეათვალიერებს და მასპინძელს ჰკითხავს, ესენი ვინ ჩაგისვათო. სოსო მანაგაძე ეტყვის, ვინც ჩაუსვა (არ დაუმალავს). რობინზონი თავს გადააქნევს; ნამუსი არა აქვს ზოგიერთს, რა ილინცურად მოუჭრია მინა. დაუმახინჯებია ეს ოქროსავით საქონელი, „ზამასკაც“ უხარისხო წაუსვამს; ჩამოცვენილია ნახევარიო. „ფინაჩთან“ საქმის დაჭერას, სჯობს, ცოტა მეტი მისცე და ქუდი მექუდეს შეაკერინოო.

მერე რობინზონი ხელებს დაიბანს და კარისაკენ მიმავალი სოსოს დაუბარებს, მე სულ მანდა ვარ, თუ დაგჭირდე, პირდაპირ მოდი, არავითარი „საგზური“ არ მინდა, ასეთ პატარა საქმეზე იქ მოსვლით თავს ნუ შეიწუხებ, დამირეკე და აქ გავჩნდებიო.

სოსო მანაგაძე იმერელი კაცია. სტუმარს წინ გადაუდგება. ასე როგორ გაგიშვებ, პირველად ხარ ჩემსას. ოჯახი დამილოცე. თითო ჭიქა ავწიოთ და წაბრძანდი მერე შენს გზაზეო.

რობინზონიც ჩვენებურია. ხათრს ვერ გაუტეხს. დასხდებიან, თითო ჭიქას შეხვედრისას დალევენ. ხელოსანი ტუჩებს შეიმშრალებს და აენაწყლიანდება. შემოვედი თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ კაცთან მქონდა საქმეო. ძალიან მომეწონე, რაც მართალი, მართალია და თუკი იკადრებ ჩემთან მეგობრობას, ჰა ჩემი კისერი და შენი ხმალიო. კაცი კაცითაა დღესო, რა მიჭირს უკადრებელი, შე კაცო, რომელი ინგლისის კონსული მე ვარო, გაიკვირვებს ნავთობის მოპოვების სპეციალისტი. მერე კაცური კაცობის, სინდის-ნამუსის, სიკეთის სადღეგრძელოს დალევენ და ცოტას შეჭიკჭიკდებიან. რობინზონი ახალშეძენილ მეგობარს გულს გაუხსნის და იწყებს მოყოლას იმ ამბისას, თუ როგორ გახდა მეშუშე ამ ოცდახუთი წლის წინათ.

შუშის ოსტატად რობინზონის გადაქცევაში კი უნდა იყოს რაღაც საგულისხმო და ყურადსაღები, ჩემო მკითხველო.

– რომ ჰკითხო ზოგიერთს, იღბალი არ არისო. იღბალი უნდა დავარქვა აბა, რა დავარქვა ჩემ ამბავს. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ყველაფერზე მიფიქრია ბავშვობაში, ყველაფერზე მიოცნებია, მაგრამ შუშის ოსტატობაზე არა. არც კი ვიცოდი, ამნაირი ხელობა თუ არსებობდა. მერჯევი გაგონილი როგორ არ გექნებათ, საჩხერის რაიონშია. იქედან გახლავართ მე. სასაფლაოსთან ვცხოვრობდით, გრიგოლ ქემერტელიძის ოდა რომ დგას, იმის ცოტა ზემოთ. მამა აღარ მახსოვს. შობა ღამეს არყით დამთვრალიყო თავის ნათლიმამასთან და ურმით მოიტანეს დილაზე მკვდარი. უფროსი მე ვიყავი შვილებში. სამი დაი მყავს, სამივე კარგად გავათხოვეთ. ერთი ფალავანდიშვილს ჰყავს გორისაში, საშუალო პერევისელ ნადირაძის ცოლია და სულ უმცროსს (შარშან გავათხოვეთ) მერჯევში, მამა-პაპურ სახლში მოვუყვანეთ ქმარი. სეფერთელაძეა, ჭიათურელი, შოფერია, მარა კაი ბიჭია. ჯერ, პირველად, ბღვერა დამიწყო, ჩასასიძებელი რა მჭირდა მეო. დამიჯერე, ბიძია, მამაჩემსა აქვს ცხონება, მე ვუთხარი. ეს მოწყობილ-მოჭედილი სახლ-კარი და ეზო-მიდამო მოიხმარე და იყავი. დედაჩემი მოხუცდა, მარა იმდენი ქე შეუძლია,

რომ ლუკმა არავისი დაიმადლოს-მეთქი, ქე არიან მშვენივრად. ორი თვის წინათ ბიჭი გააგორა ჩემმა დამ და ახლა ოჯახს უნდა სხვა რამე? რაზე მოვყევი ახლა ეს ყველაფერი. ჰო, მერჯევიდან ვარ-მეთქი. დაგვზარდა რავარც იყო, საწყალმა დედაჩემმა ოთხივე. მე რომ თოხის გამართვა შევიძელი, მეც ფხა გამოვიღე და გაგვქონდა თავი წლიდან წლამდე. მოსარჩენი და შესანახი სად იყო. ხატვის ნიჭი მქონდა დაბადებიდან. სიყრმეს გეფიცები, ახლაც რომ დამიჯინო წინ კაცი, ისე დავხატავ, რომ მოშია ურიას ფოტოაპარატი ვერ მიამგვანებს ისე. სოფელში მხატვრის სახელი მქონდა გავარდნილი. იმ წელს სკოლა დავამთავრე და სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩამებარებინა. თქვენ შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ მხატვრობის დიდ ნიჭს ვატყობდი ჩემს თავს და ახლაც (გეფიცებით იმ ორ ბავშვს) საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ჩემზე უარეს მხატვრებს კიდევ ვაჯობებ. ვემზადები გამოცდებისათვის. ვინ მყავს პატრონი. იმაზე ვფიქრობთ მე და დედაჩემი, თბილისში ჩასასვლელი ფული შევაქუჩოთ როგორმე! ასე მგონია, ჩემს ნიჭს რომ დაინახავენ (ოღონდ თბილისში ჩავაღწიო), ვინ გამიშვებს ხელს-თქვა. უფასო ბინას და დილ-დილობით ჭიქა რძეს გამომიყოფენ მაშინვე-მეთქი. თურმე სად გძინავს, ვის დაეკარგე. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ოცდაშვიდი ივნისი იყო, გუშინდელ დღესავით მახსოვს. დედაჩემმა სამი დედალი მიჰყიდა სვანაძეებთან მდგარ დამსვენებლებს. ცხვირსახოცში გამოკუნჭული ფული დიდი სასოებით გადმომცა და მითხრა, – წადი, შვილო, საჩხერეში, შარვალ-ხალათი იყიდე, თბილისში უპატრონო კაცის შვილივით ხომ არ წახვალო. ჩავედი საჩხერეში, თხუთმეტ მანეთად ლურჯი სუკნოს შარვალი ვიყიდე. პერანგს ვეძებდი, მაგრამ დიდი შემექნა ყველა. ამ ძებნაში რომ ვარ, რკინეულობის მაღაზიაში შევიარე, შუშაც იყიდებოდა. ჩემი ბედი იყო ალბათ ეგეც. დავადგი თვალი და ფეხი არ მოვიცვალე. ოდაში, სასტუმრო ოთახში, რაც თავი მახსოვს, საჰაეროს რომ ეძახიან, ის მინა გვქონდა ჩატეხილი, ზამთარ-ზაფხულ შიგ ბალიში გვქონდა გაჩრილი. ერთ სიკვდილს ვათავებდი, სტუმარი რომ მოგვივიდოდა და ფანჯარაში შეკუჭულ ბალიშს თვალს რომ შეავლებდა. ერთი მინის ჩასასმელ ფულს როგორ ვერ გავახერხებდით, მაგრამ

ჩვენს სოფელს მეშუშე არ ჰყავდა და საჩხერელ რუს „მეს-ტეკლოვეს“ მერჯევში ფეხი არ ამოუცდა. მოდი, ვიყიდი ამ მინას და ამოვალ ერთხელ და სამუდამოდ ბალიშიანი ფან-ჯრის სირცხვილიდან-მეთქი. ასეც მოვიქეცი. იღბლად ჩვენი კოლმეურნეობის მანქანა შემხვდა, შევჯექი ჩემი შუშიანად და იალა! ყვირილას რომ გამოვცდით და წერეთლების წისქვილს მივუახლოვდით, მაშინ გამახსენდა, რომ მე მინის ჭრის ინ-ჩი-ბინჩი არ ვიცოდი და კიდეც რომ მცოდნოდა, რითი უნდა გამეჭრა? შევწუხდი ძალიან, ამასობაში ჩემს გადასახვევს მი-ვუახლოვდით, ძარაზე ხელი დავატყაპუნე. მძღოლის თანაშ-ემწეს მინა მივაჩეჩე, მანქანიდან გადავხტი და ცეცხლი არ წამეკიდა? მინა გამიტყდა. ისე უგერგილოდ ჩამომაწოდა ბოთე თანაშემწემ, რომ ხელში ვეღარ მოვიმარჯვე, მკერდზე ჩამო-მისრიალდა და გატყდა. რა ვქნა ახლა, წამხდარ საქმეს შელ-ოცვით ვერ უშველი, ჯიბე მოვიჩხრიკე, შვიდი მანეთი კიდევ ჩამრჩენია, გავბრუნდი ფეხით საჩხერეში, ვიყიდე ხელმეორედ შუშა და ალმასიც. შუშამ სამი მანეთი გაჭრა იმ ფულობაზე და ალმასი ორ-ნახევარი ღირდა მაშინ. მანქანას არ ვენდე. ფეხით გამოვყევი მერჯევის გზას. კაი ხელა აღმართია, მაგრამ არც კი გამიგია, ისე ამოვიარე. გზაში ოთხი-ხუთი ჩვენსოფლელი ბიჭი ამეტორღიალა, დიდი მცოდნესავით უხმოდ ამოვიარე კიბე. რავარც იმ მაღაზიის ნოქარმა მასწავლა, სწორზე დავდე შუშა, საკერავი მანქანის მეტრიანით სამჯერ გავზომე, ალ-მასი ღონივრად გავუსვი. მაგიდის კიდეზე ჩამოვადებინე თავი და ჩამოვკარი. გაიჭრა! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სოფლის თვალწინ მე, რობიზონა დალეულმა (ასე მეძახდნენ, ტანად პატარა რომ ვიყავი) მინა გავჭერი და არათუ გავჭერი, ჩავსვი კიდეც. ყველაზე მეტად სირცხვილის მეშინოდა. ხომ იცი თექვსმეტი წლის ლაწირაკის ამბავი, ახლა ვფიქრობ, მე რომ მაშინ ის შუშა ვერ გამეჭრა და გამტეხოდა, ახლა, ალბათ, მეშუშე არ ვიქნებოდი. ბედი ჰქვია, აბა, რა ჰქვია ახლა ამას?

თურმე ჯერ სადა ხარ. მთავარი საქმე ახლა იწყება, იმ დღესვე, მზე კაი ხნის გადასული იყო, ჩვენს ეზოში მამაჩემის ძუძუმტე თედო საბანაძე რომ შემოვიდა. რა უნდა-მეთქი, გამიკვირდა, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ თედოს ჩვენს ოჯახში ფეხი არ დაუდგამს. დედაჩემი გაიხმო და ჩემ გასაგონად უთხრა, – შენს

ბიჭს სტეკლოს საქმე უსწავლია და უნდა დამახმარო, ორპირში ვწევარ მთელი თვეაო. წავყევი. იქაც გამიმართლა. ჩემი მე-შუშეობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა სოფელში. მეორე დღეს სამი ოჯახი მოვიარე ჩემი ალმასით. სირცხვილით დავიწვი, ბარნაბა სალუქვაძემ ხუთმანეთიანი რომ ჩამიკუჭა ჯიბეში. ეს იყო ჩემი პირველი გასამრჯელო, თავი მოვიკალი, როგორ გამოგართმევთ-მეთქი, მაგრამ ბარნაბამ ჭიშკრამდე მომსდია და ხათრი ვერ გავუტეხე. მუშტარს მუშტარი მოჰყვა. ახლა სხვა სოფლებიდანაც მაკითხავდნენ. ხომ იცით, ერთხელ თუ გაგივარდა სახელი, ველარაფერს უშველი, ვინ გაგიშობს შენს ნებაზე. ერთხელ მომაკითხა ფინგანმა, არ მივედი, მერე მილიციამაც მოიცალა ჩემთვის და მეც მომწყინდა, სიმართლე გითხრათ, კუკუდამალობანას თამაში, ჩამოვედი საჩხერეში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში დავიწყე მუშ-აობა, ცოლი შევირთე და ეს ვარ სულ. ავად თუ კარგად მივა-თრევ ჩემს წუთისოფელს. არამი ლუკმა სახლში არ მიმიტანია ჯერ. არც სხვისი მინდა რამე და ჩემსასაც არავის დავუთმობ. რაზე მოვყევი ახლა ყველაფერი ეს?

– მხატვრობა? – კითხვა შეაშველა სოსო მანაგაძემ და თეფ-შით ჯონჯოლი მიაწოდა.

– გმადლობთ, – რობინზონმა ჯონჯოლი გადაიღო, – ჰო, მთავარი ქე დამავიწყდა. იმ ზაფხულს ჩავაბარე სამხატვ-როზე, ჩავაბარე, მარა უპატრონო კაცის საშველი გინახავს? პირველ ტურშივე ორიანები დამიწერეს. ხუთ კაცს ღებუ-ლობდნენ ფერწერაზე, მე ვინ მიმიღებდა იმ ხუთში. ორასორ-მოცდაათი ბავშვი ვიდექით გამოცდაზე, ორასორმოცდაათი-დან ხუთის ამრჩევი არის ვინმე? მითხარი ერთი შენ. ახლა რომ ვუფიქრდები, სულელი არ ვიყავი, გამოცდაზე რომ დავდექი? მე პირველ დღესვე სამი ორიანი დამიწერეს (ააშენათ ღმერთ-მა) და დროულად გამანთავისუფლეს, მაგრამ ვინც ბოლომდე შერჩა გამოცდებს? ანდა ვისაც გულუბრყვილოდ სჯეროდა, ნიჭს არ დამიკარგავენო და შვიდი წელი აბარა? შვიდი წელი ხომ მთელი ცხოვრებაა, ჩემო სოსო. თურმე ყველაფერში ხუთები რომ მიმეღო (ვინ დაგიწერდა, მარა მაინც), მაინც არ ჩამრიცხავდნენ, რაღაცა შარს მაინც მომიგონებდნენ. თქვენ იკითხეთ, თორემ მე ოქრო ხელობა მაქვს-მეთქი, დავუბარე

ჩემს გამომცდელებს საბუთების გამოტანისას. ჩამოვედი სოფელში და განვაგრძე მეშუშეობა. დანარჩენი უკვე იცით. რაზე მოვყევი ახლა ყველაფერი ეს?

– არ დაგწყდეს გული. შენ, ეტყობა, მაინც არ იყავი მხატვრად დაბადებული.

– რატომ ვითომ?

– ასე იოლად არ გადაკეთდებოდი მეშუშედ, ნიჭი იმნაირი საქმეა, რომ არ მოგასვენებდა.

– იოლად? ადვილი სათქმელია, სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ჩემო ბატონო, იოლად კი არა, ახლაც ცრემლები მადგება, კარგ ნახატს რომ ვნახავ. მე ერთი დღითაც არ გამინებებია მხატვრობისთვის თავი. სარდაფი სავსე მაქვს ნახატებით. ვხატავ და ჩამაქვს სარდაფში. ვერსად ვეღარ ვატევ. შუშის ჭრაში აღებული ფულის ნახევარს საღებავებში ვხარჯავ. ასე აეწყო ჩემი ცხოვრება და რა ვქნა მე. სოფელმა მაქცია მეშუშედ და სოფელი მაჭმევს პურს, სოფელს მხატვარზე უფრო მეშუშე სჭირდება, არ იცი შენ?

– ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია, – სოსომ ღვინო დაასხა.

– ჩემთვის გარკვეულია. ჩემთვის ყველაფერი გარკვეულია. ასეა ეს, – და რობინზონმა ისე ამოიხვნეშა, გეგონებოდათ, გული ამოაყოლაო.

ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს რობინზონის სარდაფმა ქვეყანა აალაპარაკოს. ხომ შეიძლება მეშუშის სარდაფსაც მისწვდეს ვინმე და დიდი მხატვრის დაბადება ამცნოს ქვეყანას. ასეთი რამ ცხოვრებაში როგორ არ ხდება, მაგრამ ნოველაში დაუჯერებლად ჩანს. ყოველ შემთხვევაში, რობინზონის მხატვრობისა სოსო მანაგაძეს არ სჯეროდა, როცა შეზარხოშებულ ხელოსანს ჭიშკრისკენ მიაცილებდა. არც შენ გჯერა, ჩემო მკითხველო, რომ რობინზონის ნახატებს ძვირფას ჩარჩოებში ჩასმულს პირველხარისხოვან გამოფენებზე იხილავ ოდესმე. და, კაცმა რომ თქვას, შენ რაღაზე დაგემდურო, როცა მეც, მე თვითონ არა მჯერა.

მერე?

ყურმილში სიდედრის ხრინწიანი ხმა გაისმა:

– გისმენთ.

– ვაჟა ვარ. გადაეცით თქვენს ქალიშვილს, ბაკურიანში მივდივარ თორმეტი დღით და ბავშვს წავიყვან; გამოაწყოს თბილად. საცვალი ჩაულაგოს და ხვალ ჩამოუშვას ლიფტით, დილის ცხრა საათზე.

– მოიცა, სახლშია, ვკითხავ.

– რა კითხვა უნდა.

მოეჩვენა, რომ საუკუნემ განვლო, სანამ ისევ გააგონებდნენ.

– ალო.

– ჰო.

– ვაჟა, შვილო. ვერ მოუვლი შენ ბათუს. გაგიცივდება, თვითონაც გაწვალდება და ბავშვსაც გააწვალებსო. რა ვიცი... როგორც გინდა...

– ჩემს გაწვალებას ნუ დაეძებთ, ქალბატონო, თქვენ. გადაეცით თქვენს ქალიშვილს, როგორც ვთქვი, ისე გააკეთოს. ნამეტანს ნუ იზამთ. მთლად ხომ არ უნდა გადამეჩვიოს ბავშვი.

პასუხს არ დაელოდა, ყურმილი დადო.

ოთხი წელია, რაც ცოლს გაშორდა. ამ ხნის განმავლობაში შერიგებაზე არც უფიქრია. ღრმადაა დარწმუნებული, რომ მათი ქორწინება შეცდომა იყო. კონკრეტულ მიზეზს ვერც დაგისახელებთ. ჩაალაგა ჩემოდანი და წამოვიდა. ცოლს არც გაკვირვებია. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო. ისე იყო მომზადებული ეს დღე მათი ურთიერთობით, რომ სხვანაირ დასასრულს არც ელოდნენ. არ უყვარდა. შეუღლების პირველსავე კვირაში იგრძნო, რომ არ უყვარდა. სამი წელი უძალიანდებოდა თავს. იქნებ როგორმე გული გადამისხვაფერდესო, მაგრამ ამაოდ. ამ სახლში მისთვის ყველაფერი უცხო იყო. წავიდა სწორედ მაშინ, როცა დარჩენა აღარ შეეძლო. მთელ ქვეყანას რომ

შეეკრა პირი, ერთ დღესაც ვეღარ გაძლებდა. ვერაფერი ვერ დააკავებდა, ვერც ორი წლის ბავშვმა დააკავა.

ბათუ ქვაფენილზე დიდ ჩანთას მოათრევდა. ვაჟამ მანქანის კარი გამოაღო და მისკენ გაიქცა. ცალ ხელში ჩანთა დაიჭირა, ცალით ბავშვი ამოიღლიავა.

ბავშვს მამისთვის არც კი შეუხედავს. პარპრიზს მიკრულ ემბლემას დაადო თითი.

– რა წერია?

– „სოლომონ“.

– რას ნიშნავს?

– ფირმაა. სპორტულ ინვენტარს უშვებს. – თვითონვე იგრძნო, რომ ექვსი წლის ბავშვისთვის ძალიან რთულად ახსნა.

– ფირმა რა არის?

– გაერთიანება.

– რომელი გაერთიანება?

– ბევრი ბიძია ერთად ზის და სპორტულ ინვენტარს ამზადებს.

– ინვენტარი რა არის?

– თხილამური, ბურთი, პიჟამო, ციგა.

– ბაკურიანში „სოლომონის“ თხმილამურებით ვისრიალებთ?

– ჰო, გაუშვი მაგას ხელი. გაფუჭდება მანქანა.

ბათუ გაჩუმდა. თამაშით გაერთო. მინას დაორთქლავს და კაცის თავს ახატავს. წაშლის, ისევ დაორთქლავს და კვლავ ერთი და იგივე თავს დაახატავს, ფართო, ოთხკუთხედი ყურებით. სწორხაზოვანი ცხვირპირით და თვალების ადგილზე ორი წერტილით.

გორთან გააჩერა, რესტორანში შევიდნენ.

– გიყვარს მწვადი?

ბათუმ თავი დაუქნია.

ორი წელია არ მინახავს. მამასაც აღარ მეძახის. ისე... დასერიოზულებულა, გამოცვლილა.

მწვადის ნაჭერი გაწიწკნა და უკანვე დადო.

– არ მიყვარს მწვადი, – მამას თვალებში შეხედა და უფრო დარწმუნებით უთხრა, – სულ დამავიწყდა, რომ არ მიყვარს.

– ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ. რასაც მოგიტან, უნდა შეჭამო. თორემ ძალა აღარ გექნება და თხილამურებზე ვეღარ დადგები.

ბათუმ უგემურად გაღეჭა.

რესტორნიდან რომ გამოვიდნენ, ვაჟამ ხელში აიყვანა.

– რა მძიმე ხარ?!

– კარტოფილს ვჭამ და იმიტომ.

სანამ მანქანას დასძრავდა, ყურებიანი ქუდი მოხადა.

– ფისი გინდა?

– კი.

ქუდი ისევ დაახურა.

– გადადი აბა, და იმ ღობესთან მიდი.

წელში გამართულია. კაცური ნაბიჯები აქვს. სწორი ფეხები. ლამაზი ბიჭი იქნება.

ღობესმიმდგარი ბათუ წვალობს. პალტო ასწია, მაგრამ შარვლისთავებს ვერა და ვერ მისწვდა. ვაჟამ მანქანის კარი გამოაღო, ბავშვთან მიირბინა ჩამოუწია, ერთი შარვალი, მეორე, მესამე...

ბორჯომს რომ გასცდნენ, ბათუს უკვე ეძინა. მუხლზე დაედო მამისთვის თავი და ეძინა. ვაჟას მანქანა ფრთხილად მიჰყავდა, ხანდახან ქერა თმაზე გადაუსვამდა ხელს და ლოყაზე მოეფერებოდა.

ხელით აიყვანა ნომერში, გახადა და ჩააწვინა. თბილი, ფუმფულა საბანი რომ დაახურა, მაშინ გაახილა ბათუმ თვალი და საწოლზე წამოჯდა.

– ჩამოვედით?

– კი, დაიძინე ახლა.

– თოვლი არის?

– კი, ბევრი, დაიძინე.

– მაჩვენე.

ფანჯარასთან მიიყვანა და თეთრად გადაპენტილი სოფელი დაანახვა.

– ახლა დაიძინე და რომ გაიღვიძებ, ვიციგაოთ.

მანქანიდან ბარგი ამოზიდა და საწოლზე ჩამოჯდა.

შუკშინის მოთხრობები ამოიღო ჩანთიდან და სარჩევზე გადაფურცლა. ყველაზე პატარა მოთხრობა ამოარჩია – „მიკროსკოპი“, სათაური მაინცდამაინც არ მოეწონა. ჩვეულებად ჰქონდა, ახალ წიგნში ჯერ სარჩევს დახედავდა და ყველაზე მცირე მოცულობის მოთხრობას წაიკითხავდა. ფრთხილად ფურცლავს და ყოველი გვერდის გადაფურცვლისას ბათუს შეხედავს; ხომ არ გავაღვიძეო. მოთხრობამ გაიტაცა. პატარა, მუშა კაცმა ერთ მშვენიერ დღეს შინ მიკროსკოპი მოიტანა და ცოლს ახარა – პრემიად მომცესო. მთელმა სოფელმა გაიგო მიკროსკოპის ამბავი. პატარა კაცი სამსახურიდან რომ დაბრუნდება, საათობით უზის მიკროსკოპს და წყლის წვეთში მიკრობებს ითვლის. რა აქვს ჩაფიქრებული, რას ჩაჰკირკიტებს მიკრობებს? ბოლოს ირკვევა, რომ მიკროსკოპი მისთვის პრემიად კი არ მიუციათ, არამედ ბავშვის პალტოსთვის დაზოგილი ასოცი მანეთით შეუძენია. გაგულისებული ცოლი „სკოვოროდით“ სცემს ქმარს და მიკროსკოპი მაღაზიაში დასაბრუნებლად მიაქვს.

ვაჟას ისე მოეწონა მოთხრობა, რომ გვერდით ბავშვი რომ არ ყოფილიყო, გადაიხარხარებდა. მერე დაფიქრდა და შეეცოდა მიკროსკოპს მიჭიჭინებული კაცი, რომელსაც ცოლი ტაფას უბაზუნებდა პატარა, გამხდარ ზურგზე, მაგრამ იგი გამქცევი არსად არ იყო, უარეს შემთხვევაში წავიდოდა, დათვრებოდა და საღამოს ისევ კარზე მიადგებოდა თავის მრისხანე ცოლს.

ასეთი კაცებიც არსებობენ.

შვიდი სრულდებოდა, ბათუმ რომ გაიღვიძა. რესტორანში ჩავიდნენ სავახშმოდ. რესტორნის გამო სძულდა ვაჟას ბაკურიანის სასტუმროში ჩამოხტომა. ოფიციანტს ერთი საათი უნდა ელოდო. არ შეიძლება ნაცნობი არ გამოგიჩნდეს და სუფრასთან არ მიგიწვიოს. დალევ და მეორე დღეს თავი გისკდება. მაღალმთიანში ერთი ორად მოქმედებს ალკოჰოლი. ვაჟას დაფიცებული ჰქონდა, ბაკურიანში სასმელს არ გაჰკარებოდა. საერთოდ, არ უყვარდა ამ თოვლის წალკოტში დალევა. ბაკურიანიდან ყოველთვის ჯანმაგარი და სიცოცხლით სავსე ბრუნდებოდა.

ხელჩაკიდებულნი მიაბიჯებდნენ რესტორნის ხალხმრავალ დარბაზში.

თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ. ბედად ნაცნობი არავინ ჩანდა. ივახშმეს, ვაჟამ ვიღაცას ციგა გამოართვა და ბაკურიანის რკალი შემოატარა ბათუს. წამდაუწუმ უკან უხედავდა და ეკითხებოდა:

– შეგცივდა? ხომ არ დავბრუნდეთ?

– არა.

ფეხების ბაკუნით შემოვიდნენ ოთახში. ბათუს ლოყები ასწითლებოდა. – ახლა დავიძინოთ, არა? დედა რომელ საათზე გაძინებს ხოლმე?

– ძილისპირულის შემდეგ.

– ჩვენ აქ ტელევიზორი არა გვაქვს, ძილისპირული უკვე კარგა ხანია იყო.

– აბა, უტელევიზოროდ როგორ დავიძინო?

– ნუ გეშინია, ზღაპრებს მოგიყვები.

ფეხზე გახადა. ხელ-პირი დააბანინა.

– ბათუ, ლოგინში რას გაცმევს დედიკო?

– თუ მიხვდები.

– ამ პიჟამოს? – ჩემოდნიდან ცისფერი ფანელის პიჟამო ამოსწია.

– არა.

– ამას?

– არა.

– აბა?

– ღამის გრძელ პერანგს. აი, ამას.

– კარგი. აბა, ჩავიცვათ და დავიძინოთ.

– შენ ჩემთან დაწვები?

– ჰო, აგერ ახლოს, შენს გვერდით.

– დედიკო ჩემთან წვება ხოლმე, დედიკო რატომ არ წამოვიდა?

– არ ვიცი.

ვაჟას გული შეეკუმშა, მაგრამ ბავშვს მეტი არაფერი უკითხავს.

– სკოლა მოგწონს, ბათუ?

ბათუ ცისფერ თვალებს აფახულებს და ჭერს შესცქერის.

– კი.

– სკოლა სჯობია თუ საბავშვო ბაღი?

– ბაღი.

– რატომ?

– სკოლაში არ გვაჭმევენ.

– უკვე დიდები ხართ, სახლში უნდა ჭამოთ.

– თუ მოგვშივდა?

– თუ ძალიან მოგშივდებათ, ხომ არის ბუფეტი სკოლაში?

– იცი? დედიკო ფულს არ მაძლევს, ჯერ პატარა ხარო.

– მე მოგცემ.

– შენ როდის მომცემ? შენ ხომ არასოდეს სახლში არა ხარ.

– ვინ გითხრა?

– აბა, სადა ხარ, სად გძინავს?

– შენ რომ სკოლაში მიდიხარ, მაშინ მოვდივარ ხოლმე სამსახურიდან. მერე ისევ მივდივარ სამსახურში და შენ რომ გძინავს, გვიან ღამით ვბრუნდები.

– რომელ ოთახში გძინავს?

– შენი ოთახის გვერდით.

– არაფერიც. იქ ბებიას სძინავს.

– ჰოდა ერთად გვძინავს მე და ბებიას. რა ჰქვია შენს მასწავლებელს?

– ციური მასწავლებელი.

– კარგი მასწავლებელია?

– კი.

– ლამაზია?

ბათუს გაეცინა.

– რას ამბობს! მასწავლებელი ლამაზი როგორ უნდა იყოს.

– ხომ არ გცემს?

– არა, მარტო ყურს გვიწევს ხოლმე, როცა რამეს დავაშავებთ.

პაუზა.

– მომიყევი ზღაპარი.

– ნაცარქექია?

– არა, ნამცეცას ამბავი.

ვაჟა იწყებს „ნამცეცას“ ამბავს. იქ დევებს მოიშველიებს, უჩინმაჩინის ქუდს, ჯადოსნურ სარკეს, გველეშაპს. თვითონვე უკვირს, რა კარგი მეზღაპრე ყოფილა.

– ეგ სხვანაირი ნამცეცას ამბავია.

– სხვანაირია, მაგრამ ხომ კარგია?

– კი. მერე, დედიკო?

– მამიკო.

– მერე, მამიკო?

„მამიკო“. ვაჟას საოცარი სითბო ეღვრება სხეულში. თვალზე ცრემლი ადგება. თვალში კი არა, ცრემლი ყელთან ეფსკვნება და ხმაში ერევა.

და ვაჟა ყვება ცხრათავიან დევზე, ქვესკნელში ჩავარდნილ ნამცეცაზე, მძინარე მზეთუნახავზე, ბებერ ჯადოქარზე, რული ერევა და სიტყვებს უაზროდ ისვრის, ჩერდება და მიაყურადებს, ჩაეძინა?

– მერე, მამი?

შუაღამისას გაეღვიძა. ბავშვს დახედა. ბათუს უშფოთველი ძილით ეძინა. გულზე ედო თეთრი ფუნჩულა ხელი, ხოლო მეორეთი ბალიშის წვერს ჩასჭიდებოდა. საბანი გაუსწორა. მერე ადგა და დიდხანს დასცქეროდა მძინარეს.

„რა ვარ მე ამისთვის? ნეტავ, თუ გაიზრდება ისეთ კაცად, რომ ჩემი ესმოდეს? რატომ არის ასე უხერხულად ქვეყანა მოწყობილი? ვდგავარ ახლა ჩემი შვილის წინაშე და ჩემი საქციელისთვის პატიებას ვითხოვ? მაგრამ მე ხომ სხვანაირად არ შემეძლო და რატომ უნდა ხდებოდეს ასე?“

მეორე დღეს თხილამურები უყიდა და სამ დღეში ისე შეასწავლა, რომ ბათუ „შუა კოხტადან“ თავისუფლად ეშვებოდა.

წინ მამა მოსრიალებდა. უკან ექვსი წლის შვილი მოჰყვებოდა, ფეხებგაფარჩხული, თვალებგაფაციცებული, დამჯერე.

ჩერდებოდნენ და მამა-შვილს შესცქეროდნენ ღიმილით.

გრძნობდა, როგორ შენატროდნენ. „მამაც ასეთი უნდაო“, – ერთხელ ყური მოჰკრა, ზურგს უკან ვიღაცამ ჩაილაპარაკა.

რა მალე მიილია თორმეტი დღე.

ღამეები არ ეძინა და დაღლა წუთითაც არ უგრძვნია.

ხდიდა, აცმევდა, ბანდა, ვარცხნიდა. ზღაპარს უყვებოდა და ეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრება შეეძლო ასე გაეტარებინა.

და მხოლოდ შუაღამისას, გვერდით რომ ბავშვის ფშვინვა ესმოდა, ეღვიძებოდა და საოცარი სევდა ეუფლებოდა; ეგონა, რომ ამ გადაჭარბებულ სიყვარულს და ყურადღებას ბათუს მიმართ ბაკურიანში მხოლოდ იმიტომ იჩენდა, რომ მის პირმშოს მოწყალება მოეღო და ოდესმე მაინც ეპატიებინა.

– „მერე, მამიკო?“

ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა. ათივეს უყოყმანოდ მისცემდა „მერე მამიკოსათვის“.

* * *

ცხრასართულიან, ჩალისფერ სახლთან „ჟიგული“ გაჩერდა.

ქურქიანი კაცი გადმოვიდა. მანქანას შემოუარა. კარი გამოაღო, ექვსიოდე წლის ბიჭი ფრთხილად გადმოსვა, საბარგული გახსნა, უშველებელი ჩანთა და თხილამურები ამოიღო, თხილამურები მხარზე დაადო ბავშვს, ჩანთა ხელში დააჭერინა.

– ლიფტის ღილაკს წვდები?

– კი.

– აბა, კარგად იყავი. მე მალე მოვალ.

– სკოლაში თუ სახლში?

– სკოლაში.

დაუკოცნა თვალები, შუბლი, ცხვირი, ლოყები, მზით გარუჯული პატარა თითებიც დაუკოცნა.

მანქანა რომ დაიძრა, ბიჭმა ხელი დაუქნია და რაც ხმა ჰქონდა, დააწია:

– კარგად იყავი, მამიკო!

ბიჭი მძიმედ მიათრევდა ჩანთას და თხილამურებს ლიფტის კაბინისაკენ. თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

ქუთაისია, ბიძია, ეს...

რესტორან „ხვამლის“ ოფიციანტი ივლიანე ტყეშელაშვილი მწვანედ განათებულ დარბაზის კუთხეში მიმჯდარიყო და ორკუზიან აქლემს ხატავდა. აქლემის ხატვა ივლიანეს საყვარელი საქმე გახლდათ. ხატავდა ხელსახოცზე, მუყაოს ქაღალდზე და ზოგჯერ ტილოს წინსაფრებზედაც. ერთი სიტყვით, რასაც მოიხელთებდა, უაქლემოდ არ გაუშვებდა. ჩვეულებრივ, ორკუზიან აქლემს ხატავდა. ზურგ-კისერი კარგად გამოსდიოდა, ფეხებს კი ვერა და ვერ ამსგავსებდა. ივლიანეს დახატული ორკუზიანი აქლემები ზებრის ფეხებზე იდგნენ და რომელიღაც ათასწლეულის აწ გადაშენებულ ცხოველებს წააგავდნენ.

იქნებოდა საღამოს რვა საათი, ცხელოდა, რესტორანში ხალვათობა იყო. რიონის მხარეს, ფანჯარასთან ოთხი უგონოდ მთვრალი საფიჩხიელი გაუთავებლად მღეროდა. ისხდნენ თავჩაქინდრულნი, ფეხებგამართულნი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი და თვალდახუჭულად მღეროდნენ. მღეროდნენ, ცოტა არ იყოს, მონოტონურად, მაგრამ ხმაშეწყობილად, გემრიელად.

– ივლიანე! – კარში „ხვამლის“ დირექტორი ვაჟა ჭყონია იდგა.

– ბატონო!

– ამ კაცს მოუსმინე, რაც გითხრას.

– კი, ბატონო.

ივლიანე ფეხზე წამოდგა და მოსულს შეეგება. უცნობი წარმოსადეგი, შავგვრემანი კაცი იყო. სკამებს იქეთ-აქეთ ფრთხილად დგამდა და ოფიციანტისკენ ღიმილით მოიკვლევდა გზას. შუბლჩამოვარცხნილი სწორი ჭაღარა წარბებს უფარავდა, განზე გასული წაქისფერი თვალები და ღვინისგან დაბრაწული ლოყები ჰქონდა. ვერცხლის კბილებით გამოტენილი პირი იმხელაზე დაეფჩინა, რომ შიგ ყვავი თავისუფლად შეფრინდებოდა.

– გამარჯობა, ივლიანე ბიძია. ხომ მიცანი, კუკაია ვარ მე, ეძგვერაძე, ჭომელი. დღეს არ მეგულებოდი შენ აქანა, თვარა, რად მინდოდა დირექტორის შეწუხება.

კუკაიამ ხელი ღონივრად ჩამოართვა და სკამი გამოსწია.

ივლიანემ ვერ გაიხსენა სტუმარი, მაგრამ არ შეიმჩნია. საერთოდ ოფიციანტებს უყვართ, როცა ნაცნობებთან აქვთ საქმე.

– რამდენი ხართ? – ოფიციანტი საქმეზე გადავიდა, – შამპანური არ გვაქვს, აქედანვე გეუბნები.

– არც ვაჟას აქვს თავისთვის? – შეწუხდა კუკა.

– ახლა, რომ იყოს, უარს გეტყვი შეენ? „ნაფარეული“ გვაქვს კარგი ჩამოსხმა, წუხელის მოიტანეს. გეგმას ვერ ვასრულებთ და მოგვაყარა ტრესტმა, თვარა სადაა ახლა „ნაფარეული“.

– იყოს, რა ვქნათ აბა? კუხნაში?

– კუპატს შევაწვევინებთ, ენა გვაქვს ცხლად მოხარშული, ნივრით, ხბოს მწვადს შეგაშველებთ და წიწილს, ჩემო ბატონო, კაიხელა წიწილებია, ორი გეყოფათ ოთხ კაცს.

– ერთი სიტყვით, შენ იცი. რაც საუკეთესო გაქვს, უნდა მოგვაყარო. ხომ იცი, კუკაია ეძგვერაძე ვალში არ დაგრჩება.

– არ გინდა ლაპარაკი.

– სად დავჯდეთ?

– სადაც გაგეხარდებათ.

– აივანზე რომ გავიდეთ?

– აჯობებს, მარა ქარია და, რა გინდათ, სალფეთქს და ჭიქას არ გაგიჩერებთ მაგიდაზე. ეგერ დაბრძანდით, კუთხეში, ფანჯრებს გავაღებინებ და ვენტილაციას ჩავრთავთ. – კი, მაგრამ...

– ესენი წაშავდებიან ახლა მალე. ხომ ხედავ, მიღებული ყავს ოთხივე უფალს.

– მოვდივართ აბა და, შენ იცი. საუზმე რაც გაქვთ საუკეთესო.

– ჯონჯოლი გვაქვს, სულგუნი, ტარხუნა, ისე მწვანილი, ფხალეული, „ბორჯომი“ ლიმონათი, „ბორჯომი“ თუმცა გათავდა. „ნაბეღლავია“ კარგი ცივი! მე, მაგალითად, „ნაბეღლავი“ მირჩევნია „ბორჯომს“ ამ ბოლო დროს განსაკუთრებით.

– აბა, ჰე, შენი იმედი მაქვს. არ მომჭრა თავი, – კუკა გატრიალდა, მაგრამ მაშინვე შემობრუნდა, – რაც მთავარია, ქე დამავიწყდა. ანგარიში-თქვა, რომ გეტყვი, შენ შორიდანვე რაც შეიძლება ხმამაღლა დაგვიძახე: – კუკაია ეძგვერაძეს ვინ გამოართმევს ფულს ქუთაისში-თქვა! რაც შეიძლება ხმამაღლა, გესმის? ჩემი ცოლის ძმა მახლავს, ტყაჩირელია, ეგება ქე იცნობ, თავისი ორი ძმაკაცით მეწვია თბილისიდან. მინდა, პატარა თავი გამოვიჩინო, ქე გესმის მაგ ამბავი შენ.

– მერე? – ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ივლიანემ.

– შემოვტრიალდები მაშინვე და ერთი სამად გადაგიხდი. იმგენს არ მინდა ფულის გადახდა დავანახო. გამიგე?

– კი, ბატონო, რავარც გაგეხარდება.

კუკა ეძგვერაძე კარში გახტა, ივლიანემ კი ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ქიმიურ ფანქარს ენა გაუსვა და ბუფეტისკენ წავიდა.

მოცლილი ოფიციანტები ივლიანეს შემოხვეოდნენ და კამათობდნენ იმგვარი კამათით, როგორიც მხოლოდ ოფიციანტებს შეუძლიათ ხოლმე.

კუკა ეძგვერაძე და მისი ამფსონები მართლაც რომ ლაზათიანად ქეიფობდნენ. ორკესტრი დაითხოვეს, მებუფეტეს ფანჯრის სამმეტრიანი მინა ჩამოაღებინეს, მაგიდას თავი სანახევროდ აივანზე გააყოფინეს და ქეიფობდნენ. იქვე, გვერდით, მაგიდაზე დაცლილი ბოთლების ტყე იდგა, მაგრამ სიმთვრალე მოქეიფეთაგან არავის ეტყობოდა. დროდადრო მათი სუფრიდან გემრიელი სიცილი, ან უზადო იმერული სიმღერა მოისმოდა. ორჯერ იცეკვეს კიდეც. ცეკვავდნენ პირში პაპიროსგარჭობილები ორ-ორად (დანარჩენი ორი ტაშს უკრავდა და შეძახილებით ამხნევებდა). ცეკვავდნენ სერიოზული სახეებით. თითქოს აუცილებელ რიტუალს ასრულებდნენ. ცეკვის მთელი სიმძიმე ძირითადად ხელების მოძრაობაზე გადადიოდა, მაგრამ ამას ისე ოსტატურად აკეთებდნენ, რომ წუნს ვერ დასდებდი.

ივლიანე თან ახალგაზრდა ოფიციანტებს მოძღვრავდა და თან მოქეიფეებისკენ ეჭირა თვალი. კუკა ხელს აწევდა და თითებს გაატკაცუნებდა თუ არა, ოფიციანტი სამი ნახტომით მასთან გაჩნდებოდა. ჩიტის რძე რა არის, ისიც არ აკლდათ. აქაოდა დირექტორმა დამავალაო, ივლიანემ აღმასკომის სტუმრებისთვის საგანგებოდ გადანახული სოკო და ცოცხალიც კი დასტყუა მებუფეტეს. ახალი კარტოფილი, შქმერული, მეგრული კუპატი, ჩაქაფული, ბატკნის მწვადები, ხბოს სუკი, გურული ხაჭაპური, ნიგვზით შეკმაზული მჟავე პრასი, პიტნაში გადაზელილი სულგუნი, ნეშოში გამომცხვარი ჭადები, ელარჯი, – ეს გახლავთ, რასაც მე ერთი გადავლებით მოვკარი თვალი კუკა ეძგვერაძის სუფრაზე, და რაც მე არ დამინახავს?

– ამ ჩვენს საქმეში, – ივლიანე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, ოფიციანტები კი ხელებდაკრეფილნი ყურადღებით უსმენდნენ, – ამ ჩვენს საქმეში ორი რამაა მთავარი: – თვალი

და ალღო. კაცი შემოსვლისთანავე უნდა იცნო. თუ ვერ იცანი, გლახათ წაგივა საქმე. რუსის მეტი რა მინახავს. ქვეყნის ტურისტი აივლ-ჩაივლის ამ გზაზე, მარა გუშინდელი რუსი სხვა იყო. გამოირჩევა კაცი რაღაცით. ბუფეტჩიკს „ენისელი“ რომ მოაძებნინა, იმ წუთში ვუთხარი ვაჟას, კითხეთ თუ გინდა, ეს სხვა რუსია ვიღაცა-მეთქი. რატომ იცი? როდის იყო უბრალო ტურისტი „გრემს“ და „ვარციხეს“ არჩევდა ერთმანეთისგან, – „სამვარსკვლავიანი“ და მისი ჯანი. შევლაპარაკდით პატარა და გვარი ვკითხე, – ივანოვი ვარო. ივანოვები ქე არიან სუფთა რუსები. სად ცხოვრობ-მეთქი, – ვლადიმირშიო. ე, – ახლა მატყუებს რაღაცას, მე ვთქვი, ივანოვს, რა უნდა ვლადიმირში, ივანოვები სერპუხოვოში ცხოვრობენ ძირითადად და ტულაშიც არიან ცოტა. არ იქნები შენ ვლადიმირიდან, მე ვუთხარი. რაზე მატყობო, გაეცინა. ივანოვს რა უნდა ვლადიმირში, მე ვუთხარი.

– რატომ, ეგება ეს ერთი ოჯახი, ქე იყოს, შე კაცო. – ჩაილაპარაკა მსხვილულვაშიანმა, შავთვალა რაჭველმა ბიჭმა.

– მე ვიცი, რასაც ვამბობ, – ახლოს არ გაიკარა შენიშვნა ივლიანემ.

– დალია ის ერთი ბოთლი კონიაკი. არც უყვირია, სიმღერაც არ წამოუწყია. უცებ იციან წამოყვირება მაგენმა, რომ დალევენ. ფეხიც არ ერეოდა. დაგვემშვიდობა სიცილით და წავიდა. ა რუსი, ვაჟას ვეუბნები, ეს ულვაში მომპარსე, თუ სხვა რუსი არ იყოს მაგი-თქვა. ისე აგიხდა ყველაფერი კარგი. ამ დილას ჩამოატარეს ეტაპით. ხუთი მილიციელი მიყვებოდა. როდის იყო აქ და რა თქვაო. არაფერი თქვა, მე ვუთხარიყენ, კონიაკი დალია, ისადილა და წავიდა თავის გზაზე-თქვა. თურმე უგოლოვნიკი, ქურდი, უბედური, საკავშირო ძიებაშია. აბა, რა იცი შენ. უნდა შეატყო კაცს. ამას ახლა ასე უცებ კი ვერ ისწავლი.

– ავტოინსპექტორს რავა უთხარი, ივლიანე ბიძია? – რაჭველმა შეჰბედა, სხვა ოფიციანტებმა ერთხმად გაიცინეს. ჩანდა, ავტოინსპექტორის ეპიზოდს ივლიანე პირველად არ ყვებოდა.

– ხომ იცით, რავარც ვუთხარი, – განზე გაიხედა ივლიანემ.

– მე არ ვიცი, – იცრუა კაფანდარა, გრძელცხვირა ოფიციანტმა.

– ამან არ იცის, – დაუდასტურა ვიღაცამ.

– აბაშაში ვიყავი ჩემი ჟიგულით წინა კვირას. სიდედრი მოუკვდა ჩემს ნათლიმამას. სად მეცალა, მარა არ გამოდიოდა

წაუსვლელობა. სიცხეა იმნაირი, რომ ყურებიანად ოფლი გამდის, მარა ქე ვზივარ ჩაკოსტუმ-ჩაგალსტუკებული, რავარც ვიცი. ცოდვას ვერ ვიტყვი, გვარიანად მივრეკავდი. რკინიგზას რომ გაცდები, სანამ ხიდამდე მიხვიდოდე, მარჯნივ, სააგურესთან იდგა. მოტოციკლი გვიმრაში დაემალა. სერჟანტი იყო, ახალგაზრდა, ასე შენი ხნის ტუტუცი იქნებოდა, – რაჭველს მიათითა და ღიმილით დააყოლა, – შემჩნეული მაქვს, შენი ხნის ბიჭები ტუტუცები არიან უმეტესობა. არ გადმოვდივარ მანქანიდან. ცოტა ხანს იდგა და იკადრა წამოსვლა. თქვენი საბუთები, ამხანაგო, მწყრალად რომ მაჯახა, არც ვაციე, არც ვაცხელე: ერთს გეტყვი, ჩემო ბიძია, მე ვუთხარი, რამდენი გრადუსი იქნება ახლა, მე ვუთხარი, ორმოცამდეაო. ჰოდა, ამ ორმოც გრადუს სიცხეში რომ მანქანაში კაცი კოსტუმ-გალსტუკით ჩაჯდება, ან თანამდებობის კაცი იქნება, ან გიჟი, არა ვარ სწორი? მე ვუთხარი. შენ, კაი ბიჭი ჩანხარ და მე მგონია არც ერთთან გაწყობს ჯაჯგური და არც მეორესთან, მე ვუთხარი. გაეცინა; სწორი ბრძანებაა, ბატონო, ამნაირ სიტყვას აღარ უნდა ახლა ჟიჟინი, წადით და მოსახვევებში მაინც დაუწიეთ სიჩქარეს, თქვენთვის გეუბნებითო. ა, ასე იყო ეს ამბავი.

ბიჭები სიცილს ვერ იკავებდნენ. ფერხულის მოცეკვავეებივით მხარჩახვეულნი აღტაცებით შეჰყურებდნენ ცხოვრებისაგან გამოჭეკნილ ოფიციანტს, რომელიც მათს თვალში ბრძენიც იყო და იღბლიანიც. ივლიანეც გრძნობდა ამ მოწიწებას და საუბრის ეშხში შედიოდა.

– არ უნდა აჩქარდე. ათასნაირად უნდა აწონ-დაწონო სიტყვაც და საქმეც. დაუჭერიათ, ხომ იცი, შალიკიანის გოგოს მომტაცებლები. დღეს თქვა ვიღაცამ, მგონი შენ ამბობდი, – უკისრო, თავბურძგლა ბიჭს მიათითა, – თვრამეტი წლის გოგო რავა მომატყუებს. თუ მეტი არ იცი, რას იტაცებ ქალს. ეგდე სახლში და გაგირიგებს ვინმე შენნაირ ჩალხანას. უცოლოდ ახლა კაცი არ დარჩება, თუ ცოლის შერთვა უნდა რასაკვირველია, თორემ, თუ არ უნდა, ყამარ ქალების ლაშქარში რომ შეუშვა, უცოლოდ გამოვა იქედანაც. უთქვამს იმ გოგოს, შენი არა ვარო? სად გაგექცევი აწიო, მიმიყვანე ჩემს სახლში და მეორე დღეს, რავარც წესი და რიგია წამომიყვანე სახლიდანო. რად გინდა შენ მონატაცები ცოლის პატრონის სახელი. ჩემი მოსატაცებელი რა გჭირს, ამ ალმასივით ბიჭსო. მოტყუებულა

თურმე მურმანია თავსივა. შეუშვია იმ ღამეს გოგო ჭიშკარში და დილას ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დოლ-გამონით მიდგომია სასიმამროს კარზე. მოგვივიდა მშვიდობა! ისე ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილი ზის ახლა თურმე ოთხ კედელში. შოფერი მაინც რაღაზე დაღუპა, მშვენიერი, კაი ბიჭი, ვალიკონა ხაბურძანიას უმცროსი ძმა. თვრამეტი წლის გოგომ რავა უნდა გაჯობოს ჭკუაში. მონატაცები არ მყავს მეეც? ჩემი კედელზე ადიოდა კივილით. არ მინდა შენთან გაჩერება, მძულხარო, ახლა ჩემი ფასი არაფერი ჰყავს. პატარა თუ შემაგვიანდა, ჭიშკარზეა ხურჯინივით გადმოკიდებული. ა, ესაა ქალი. სამი დღე და ღამე სინათლე არ მიჩვენებია. მეოთხე დღეს კამფეტივით იყო დამტკბარი. მარა მოტაცებული ქალი მაინც არაა ერთ-ორ კვირას სანდო. მშობლები მაჩვენე და ვიტყვი, რომ ჩემი ნებით წამოგყევიო, დაჩოქილმა მთხოვა. მივგვარე დედამისს და მამამისს. ა, ბატონო, მე ვუთხარი, გააწყვეთ სუფრა, დაუძახეთ მეზობლებს და რავარც იტყვის თქვენი ქალიშვილი, ისე ვქნათ-მეთქი. გაშლილ სუფრაზე მივიყვანე და იქ ვათქმევინე საჯაროდ ყველაფერი. ბავშვთან მარტო არ მივიდეს არავინ, თვარა ენას ამოვაძრობ, მე ვუთხარი, რა ვიცი მე, რას ეტყვის დედა, მამა, ბებია. რა ჭკუა უნდა მოსთხოვო ჩვიდმეტი წლის გოგოს. ეგება ქე გადავარა ყველაფერი, უყარე მერე კაკალი.

– ივლიანე! – კუკაია ეძგვერაძე ფეხზე იდგა.

– ბატონო! – ივლიანემ ხელსახოცი მხარზე გადაიგდო.

– რამდენია ჩვენზე, ივლიანე?! – ეძგვერაძეს ღვინოში და ბაჟეში ჩამბალი ხმა ჰქონდა.

– რავა გეკადრებათ, კუკა ბატონო, ქუთაისში ფულის გადახდას ვინ შეჰკადრებს კუკაია ეძგვერაძეს! მთლად კი არ წავსულვართ ხელიდან! – რაც შეეძლო ხმამაღლა და გამოთქმით, უნიჭო არტისტივით ჩააჭიკჭიკა ივლიანე ტყეშელაშვილმა.

– მადლობელი ვართ, აბა, ჩვენზე იყოს, კარგად იყავით! – კუკამ მთვრალი სტუმრები წინ გაატარა, კარში ერთხელ კიდევ მოიხედა და ოფიციანტს ჰაეროვან კოცნა გაუგზავნა.

* * *

სამი საათი რომ გავიდა და კუკაია ეძგვერაძის გამოჩენის იმედი რომ გადაიწურა, ივლიანე დირექტორთან შევიდა. ვაჟა ჭყონიას სახე აზერბაიჯანული ჰაერმწმენდისთვის მიეშვირა

და თვლემდა.

– ვინ იყო ის კაცი? – ვაჟამ თვალები გაახილა, მოხედვით კი არ მოუხედავს.

– რომელი კაცი?

– შენ რომ გამომიგზავნე.

– რავა, რა იყო?

– გამეპარა.

– კაი, თუ კაცი ხარ? – ვაჟას გაოცებისაგან გაეცინა კიდეც.

– შენ არ მითხარი, მოუსმინეო? – ცრემლი ახრჩობდა ივლიანეს, – ჭომელი ვარო, ეძგვერაძე. მე ვთქვი – ვაჟას ძმაკაცია-თქვა.

– არა, კაცო. პირველად ვნახე ჩემს ცხოვრებაში. შემოვიდა და გამარჯობა, ვაჟაო, რას ვეტყოდი. თუ ძმა ხარ, ოფიციანტი გამიფრთხილე, კარგა მომემსახუროს, საპატივცემო ხალხი მახლავსო, მეტი არაფერი მინდა შენიო. ის იყო გითხარი; ამ კაცს მოუსმინე-თქვა, უარს ვეტყოდი? მართლა გაგეპარა? შვილებს გაფიცებ.

– გამეპარა რომელია, სულ მე მაძახებია: არ მინდა ფული, ბატონო, კუკაია ეძგვერაძეს ფულს რავა გადავახდევინებ-თქვა.

ვაჟა ჭყონიამ ერთბაშად მოიწყინა.

– რავა ვერ მივხვდით მე და შენ მაგას. ფულს ვინ ჩივის, თავის მოსაჭრელი საქმე დაგვემართა. ხვალ მთელ ქუთაისს ეცოდინება.

– შენ ეგა თქვი.

– აქაურს არ ჰგავდა. მე, მაგალითად, არსად შემხვედრია.

ორივენი ჩუმად ისხდნენ. რესტორნის დირექტორის კაბინეტში ჰაერმწმენდის სისინიღა ისმოდა. ბოლოს ისევ ვაჟა ჭყონია ალაპარაკდა:

– არა უშავს, ჩემო ივლიანე, ისე ჩვენ შორის დარჩეს და მაგრად გაგვაცურა. ამნაირი რამ არც სხვისგან გამიგონია. აბა, რავა გინდა. მოუტყუებელი ჩემი მტერი იქნა. შეუმცდარი ღმერთიც არაა. შენ არ მოტყუვდი, ის არ მოტყუვდა, რა ქნას აბა ამ ხალხმა. აფერისტსაც თავისი ხელობა აქვს. ქუთაისია, ბიძია, ეს...

მგზავრი

მურთაზ ჭაბუკიანს სამფა გაზეთში საგულდაგულოდ შეფუთული გოჭი მუხლებზე ედო და თვლემდა.

– მოვედით, ბატონო, – შეანჯღრია ტაქსის მძღოლმა.

– სად? – თავი ასწია მურთაზმა და ალკოჰოლით გატანჯული, გონებაბრმობილი სახე უაზროდ მიმოატარა.

– სადგური არ მითხარით? – მძღოლს ფართო ყურები ჰქონდა და ბოლივიელი მენეჯერის ქუდი ეხურა.

– კი... სადგური... აბა. თბილისში მივდივარ ამაღამ. ასე ა, რავარც ვარ ახლა. ეს გოჭი მიმაქვს ჩემს ბაღანასთან... მთვრალი ვარ პატარა... გეუბნები, არ ვარ მთვრალი-თქვა? სტუმრები მყავდა. ახლაც იქ არიან, იჯდნენ და იქეიფონ... პურმარილი თავზე საყრელადა აქვთ... მე თბილისში მივდივარ... გოგო სწავლობს ჩემი იქანა, მეორეზე გადავიდა წროულს, შვილების სადღეგრძელო რომ თქვა თამადამ... მე ვთქვი. ჩემთვის ვთქვი – გულში: ეგება ქე შია ჩემს ბავშვს ახლა-თქვა. არაფერი არაა სასაცილო აქანა. ხომ შეიძლება მშიერი დაწვა ამაღამ, მოუკვდა მამამისი იმას... ჰოდა, ა, მოვკიდე ამ გოჭს ხელი და წამოვედი. ბევრი იჭუჭყუნა ჩემმა ცოლმა, მაგრამ რაი მერე. წადიო რომ ეთქვა, ეგება არც წავსულიყავი. არ წახვიდეო რომ მითხრა, იმიტომ მივდივარ, ასეა ეს...

ფართოყურება მძღოლმა ამ ლაპარაკში სალაროსთან მიიყვანა გულჩვილი მამა და რვაკაციანი რიგის ბოლოს კედელს მიაყუდა.

– წავედი ახლა მე, – ფულის მოლოდინში კეფა მოიფხანა ტაქსისტმა.

– წადი და ჭკვიანად იარე. ფულს არ გაკადრებ ქუთაისელ კაცს. გესმის? – კიბეზე ჩამავალ იმედდაკარგულ მძღოლს მთელი დარბაზის გასაგონად ჩასძახა: – ფულს არ გაკადრებ, აფუჭებს ფული კაცს!

– შენნაირი მუშტარი არ მოშორდა ჩემს დამაწყევარსო, – ბუტბუტებდა გაწბილებული შოფერი და ნახშირორჟანგით სავსე დარბაზში ერთიმეორეს მიწყობილ მგზავრებს შორის გზას მიიკვლევდა.

მურთაზმა თავი ასწია, გოჭი გულზე აიხუტა და სერიოზული სახე მიიღო.

მოლარეს, თბილისის მატარებელზე მინდა ერთი ადგილი თბილისამდეო, სწორად უთხრა, მაგრამ ფულს დიდხანს ეძებდა ჯიბეში. როგორც მთვრალ კაცებს ჩვევიათ; ყველა ჯიბეში ერთდროულად იქექებოდა, გოჭს ხან ერთ ხელში გადმოიტანდა და ხან მეორეში, მერე ისევ საფისტონე ჯიბეში აღმოაჩინა შავი დღისთვის შენახული ოცდახუთმანეთიანი და აბუზღუნებულ მოლარეს ნიშნისმოგებით გაუწოდა.

ბილეთი და ხურდა ვიღაც ღვთიან-მადლიანმა ახლადჩამომდგარი მატარებლისკენ წასულს დააწია.

– რომელი ვაგონია? – გაოცების გარეშე ჰკითხა შემწვარი გოჭის პატრონმა.

უცნობმა ელექტრონის ბოძისკენ შეატრიალა ბილეთი და კარგა ხნის შემდეგ უპასუხა.

– ვაგონი 14, ადგილი 3.

– ქვედაა, ხომ.

– კი, ბატონო.

მგზავრმა თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა, ბილეთი შეაჩეჩა და დარბაზში შებრუნდა! ეჭვი არ იყო, მას თავის მგზავრულ საქმეზე ეჩქარებოდა და მთვრალი კაცებისთვის ბილეთების ჩამორიგება მის პირდაპირ მოვალეობას (ან მოწოდებას) როდი შეადგენდა.

მურთაზი, კლასიკოსების ტერმინი რომ ვიხმაროთ, კარგა შეზარხოშებული იყო, მაგრამ იმდენი აზრი კი ჰქონდა, რომ მეთოთხმეტე ვაგონში ასულიყო და კუთვნილი მესამე ადგილი მოეთხოვა.

თავს ლოკატორივით ატრიალებდა და მის წინ რწევით მიმავალ ვაგონებს სწორედ იმ ადგილას აცივდებოდა, სადაც ნომერი წერია. „მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე...“ თავის სიმარჯვეში დასარწმუნებლად ხმამაღლა აცხადებდა.

მაღალი იყო, მომცრო ტანის კალათბურთელი ხომ გინახავთ, სწორედ ისეთი ტანი ჰქონდა. მომცრო კალათბურთელი კი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, 185 სმ სიმაღლისა მაინც არის. შევარდნილი მუცელი და ზანგივით წვრილი ხელ-ფეხი ჰქონდა. სახეზეც ლამაზი იქნებოდა, ცოტა ნიკაპს რომ არ ეღალატა. ნიკაპი ჰქონდა პირატის ნიკაპივით გრძელი და ოთხკუთხედი. წვრილ ულვაშს იტოვებდა ტუჩებზე ოდნავ გადასულს, სწორედ ისე, ესპანურ და მექსიკურ ფილმებში მოარშიყე კაბალეროებს რომ აქვთ ხოლმე. ამიტომ ღიმილი შვენოდა და თუ იცინოდა, კეთილი, ცისფერი თვალებითაც იცინოდა. ტანზე არცთუ კოხტად მორგებული პოლონური ჯინსი ეცვა და მოკლესახელოება წითელ-ლურჯუჯრედებიანი პერანგი, რომელიც ისე ძალიან უხდებოდა, არც კი დაიჯერებთ, რომ გაერთიანება „გელათის“ შეკერილი იყო.

მეთოთხმეტე ვაგონი იქვე ახლოს გაჩერდა. მურთაზ ჭაბუკიანმა არ იჩქარა. აცალა „შემადგენლობას“ ბოლომდე დამუხრუჭება, სიგარეტს მოუკიდა, მოსწია და მატარებლის წასვლის ნიშანი რომ მისცეს, მარჯვენათი გოჭი საიმედოდ ჩაბღუჯა, მარცხენათი კი დაძრული მატარებლის სახელურს მიწვდა.

– ადგილი თქვენი? – ვაგონის გამცილებელმა თმაგაწეწილმა ზონზროხა ქალმა თამბაქოსაგან დაყვითლებული თოხივით კბილები გააელვა.

– მესამე, – შეუღრინა მგზავრმა, ვაგონის კიბეზე ფეხი კარგად მოირგო და დაეჭვებულ კონდუქტორს ბილეთი ცხვირწინ გაუქნია.

ხუთიოდე წუთის შემდეგ იგი თავის კუპეში იყო და პირაღმამწოლარე მკერდზე ჭაღარამორეულ უმსუქნეს კაცს ელაპარაკებოდა.

– რა ვქნა, ჩემო ბიძია, მე. ცირკის ადგილი რომ იყოს, დაგითმობდი, არ ვუყურებდი ამ ჯღანაობას ერთი დღე და ეგ იქნებოდა. მარა მთელი ღამე ფეხზე გავჩერდები-თქვა რომ გითხრა, ტყუილი იქნება. ფხიზელიც რომ ვიყო, ასე ვიზამდი ამას.

ნარზე ძლივსდატეული კაცი მშვიდად და მოწყენილად უსმენდა. კუპის სხვა მგზავრები კამათში არ ერეოდნენ.

– მოვა კონდუქტორი და გაარკვევს. გაყავი, ბიჭო თავი და დაუძახე მაგ მკვდარძაღლს. რას შვრება ამდენ ხანს, – ჩაილაპარაკა ღიპიანმა და მუცელზე დახვეული ზეწარი გაგრილების მიზნით და მშვიდად ყოფნის ნიშნად ააქნია.

– რად უნდა ამას კონდუქტორი? კონდუქტორი და მილიცია მინდა მეე? კითხვა, მე მგონია, ყველამ ვიცით აქანა და თვალები ყველას გვაქვს. მეთოთხმეტე ვაგონი ხომაა ეს. ა, ბატონო, მესამე ადგილი: არ უნდა ახლა ამას დროის გაყვანა, შე კაცო.

კონდუქტორი მაინც მოვიდა, მან ჯერ მწოლიარე კაცის ბილეთს დახედა, რომელიც მრგვალად დახვეულ შავ ჩანთაში ედო, მერე მურთაზის ბილეთს დასწვდა. ბოლოს ორივე ბილეთს ერთად გახედა ნათურის შუქზე და ნიკოტინისგან გათანგულ მურთაზს, რომელსაც გოჭი ორივე ხელით აეხუტა გულზე და სამართლის მიერ პურის ჭამის სასიამოვნო მოლოდინში, თვლემდა.

– თქვენ თბილისში მიდიხართ!

– სწორია, – დაუდასტურა გოჭიანმა.

– ეს ტკიბულის მატარებელია, ვერ უნდა მიხვდე შენხელა კაცი ამდენს?!

მურთაზმა რაღაც ჩაილუღლუღა და კუპის კარი გამეტებულად გასწია გვერდზე. ღიპიანს, რომელსაც ადგილს ედავებოდნენ, ცოდვას ვერ დავიდებ, მურთაზის გასვლის შემდეგაც ცუდი არაფერი უთქვამს. ეტყობა, მან მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავს მთვრალი კაცი.

თბილისში თავისი პირმშოს მოსანახულებლად მიმავალი მშრომელი რიონში ჩამოხტა და მატარებლის მოლოდინში დაბალი ძაბვის რკინის ბოძს მიეყუდა.

სექტემბრის გრილი ღამე იყო.

ელმავლის შუქმა თვალები მოსჭრა მურთაზს. სიგარეტი გაღეჭა, გადააფურთხა, გოჭს შემოხვეული გაზეთი ალაგ-ალაგ შემოაცალა, დარჩენილ ქაღალდში გულმოდგინედ შეფუთა, ილლიაში ამოიჩარა და ბორბლებისგან ავარდნილმა ქარმა ლიანდაგში არ შემითრიოსო (ბავშვობიდანვე დააშინა ვიღაცამ; ჩქარა მომავალ მატარებელთან ახლოს თუ გაჩერდი, ჰაერის ნაკადი ბორბლებში შეგითრევსო) უკან დაიხია.

მატარებელი ღრჭიალით გაჩერდა.

შავტუხა შავულვაშა კონდუქტორმა, რომელიც ვაგონის გამცილებლად გადაცმულ ქურთ მეეზოვეს ჩამოჰგავდა, დიდხანს უყურა ბილეთს, მერე რწევით მდგარი მგზავრის ტვირთს ეჭვით დახედა (რაზედაც მურთაზმა გოჭის თავს გაზეთი შემოახვია და დაამშვიდა, შემწვარია, ნუ გეშინიაო) და გზა დაუთმო.

მურთაზმა მესამე ადგილი მოძებნა, გოჭი ჰალსტუხის გასაფენ ბადეზე შემოდო, გაიხადა და ცალ ფეხზე წინდის გახდა ვერც კი მოასწრო – ძილი მოერია.

ზუსტად ათ წუთში გააღვიძეს. თავგაბეზრებულმა ოჯახის მამამ ჯერ ფანჯარაში გაიხედა, მერე თავზეწამომდგარ, მაკენტოჟიან გრძელცხვირა კაცს, უნივერსიტეტდამთავრებულის ემბლემაზე დაადგა თვალი.

– ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ ჩვენი ადგილია, პატივცემულო, – რა ტკბილადაც არ უნდა ეთქვა მაკენტოჟიან ინტელიგენტს, მურთაზისთვის მაინც შემზარავი იყო ამ სიტყვების გაგონება.

– არ დაიჯეროთ მაგ ამბავი, – გოჭის ქვემოთ ბადეზე ხელი შეაცურა და ადგილის მაძიებელს, თავის უპირატესობაში დარწმუნებულმა, ცოტა არ იყოს ამპარტავნულად, მოუხედავად გაუწოდა.

მაკენტოჟის პატრონმა ბილეთი გამოართვა და მაშინვე დაუბრუნა.

– გაათავისუფლეთ ჩემი ადგილი, პატივცემულო, თორემ იძულებული გავხდები მივმართო მატარებლის ადმინისტრაციას?

– რას? – მურთაზმა თვალები მოიფშვნიტა და ნარზე წამოჯდა.

– თქვენი ბილეთი გაცემულია ქუთაისის მატარებელზე. ეს კი „ფოთი-თბილისი“ გახლავთ.

სტუდენტის მამა გოჭს დაწვდა და ირგვლივ საწყალობლად მიმოიხედა.

მაღლიდან გადმოყოფილმა თავებმა დაუდასტურეს, რომ მატარებელი მართლაც ფოთიდან მოდიოდა.

– რა ვქნა აბა, მე? – ხმაში ტირილი გაერია მთვრალ ჭაბუკიანს.

– ხაშურში ჩაბრძანდით და თქვენს მატარებელს დაელოდეთ, – უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს პასუხი ამ კითხვაზეც მზად ჰქონდა.

ღამის სამი საათი იყო, როცა ხაშურის პატარა სადგურის შმორიან მოსაცდელში შევიდა და მხართეძოზე წამოწოლილ მგზავრებს შორის ხის სავარძლის კუთხეში ჩამოჯდა. ერთი სული ჰქონდა წამოწოლილიყო, მაგრამ ჩამეძინება და „ქუთაისი“ გამასწრებსო, შიშობდა.

გოჭს ვერაფერი მოუხერხა. დადებდა სკამზე თუ არა, ფანჯრის რაფაზე შესკუპებული ხატაურა კატა რბილად ჩამოხტებოდა და თავგაურხევლად მორბოდა. თავქვეშ ამოსადებად შეეცოდა, ისევ გულზე ახუტებული ეჭირა და მარჯვენა რომ დაუბუჟდებოდა, მარცხენას შეუნაცვლებდა.

ძილი ნელ-ნელა ეპარებოდა. დაგვიანებული მგზავრების ხვრინვა წელან თუ ნერვებს უშლიდა, ახლა სასიამოვნოდ ეღვრებოდა ყურებში.

ბოლოს მაინც ჩასთვლიმა და სწორედ იმ დროს გაეღვიძა, პირველი ლიანდაგიდან ცისფრად განათებული მატარებელი რომ დაიძრა.

გაიქცა, იმარჯვა და ბოლო ვაგონს მაინც შეახტა.

ცოტა წვალება როდი ნახა, რომ ოცდამეცხრე (ბოლო) ვაგონიდან მეთოთხმეტეში გასულიყო.

მიადგა, როგორ იქნა, თავის სანუკვარ მესამე ადგილს, მიადგა და, ჰოი საკვირველებავ, ნარზე ჩექმებგაუხდელად იწვა გალიფისშარვლიანი, ვოროშილოვისულვაშება კაცი.

გაირკვა, რომ ქუთაისის მატარებელს მურთაზ ჭაბუკიანისთვის სწორედ მაშინ გაესწრო, ხაშურის სადგურში რომ ჩასთვლიმა, ეს მატარებელი კი „სოხუმი-თბილისი“ გახლდათ და ჩექმოსანი მგზავრიც სრულიად კანონიერად იწვა მეთოთხმეტე ვაგონის მესამე ადგილზე.

გორში ჩამოსვეს და ურჩიეს, იმ მატარებელს გამოჰყოლოდა, რომელშიც თავისუფალ ადგილს დაიგულებდა.

* * *

დილის თერთმეტ საათზე თბილისის ვაგზალში ნელა შემოდიოდა ქვანახშირით დატვირთული, მოსაწყენად გრძელი საბარგო მატარებელი.

უკედლებო ვაგონები ტკაცუნით მიირწეოდნენ.

მეშვიდე ვაგონის თავში, ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატზე დახატულ, დამწვარ ხესავით იდგა თავიდან-ფეხებამდე გამურული კაცი, რომელსაც კარგად თუ დააკვირდებოდით, ხელში, გულთან, გაზეთებშემოძარცვული, კბილებიანად გაშავებული გოჭი ეჭირა.

კაცი ფიქრობდა იმ ჭეშმარიტებაზე, რომელიც კარგა ხანია ამოხსნეს ფილოსოფოსებმა:

„ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა კარგად ცხოვრობ“.

ნაბიჯი

არ გეწყინოს, ჩემო დაია, შენი ბრალია, რაც გჭირს. დედაშენის კბილა ვიქნები და მე არ ვიტყვი ახლა მაგას, შე ქალო. ღმერთმა იმ ჭკუაზე ნუ დამაყენოს და ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ენაცვალოს ჩემი თავი, სამოცდარვა წლის ვარ და ხვალვე გავთხოვდები, მე რომ მე ვარ. შენ რამ გაგიტეხა გული? ანი რაღა დროისააო? რას ჰქვია, რაღა დროისაა. კი, მართალია, საუკეთესო წლები ფუჭად გაქვს დაკარგული. ფუჭი კაკალი, ხომ იცი, არც თაგვს არგია და არც კაცსაო, მაგრამ შენთვის ჯერ ყველაფერი გვიან არაა. არ გაიკარო ეგ ბნელი ფიქრი თავში. საერთოდ, შვილო, არავისთვის არაფერი არასოდეს არაა გვიან. თუ სული გთხოვს და გუნება გაქვს. ღმერთო კი მომკალი, რას ჰქვია, ვერ გათხოვდი. არავინ არ მითხრას – მინდოდა, ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერ გავთხოვდიო. ტყუილია, მოგონილია ეგ ამბავი. არ ვარგიხართ, დედიკო, არა. თქვენ სიგლახეს მერე იღბალს გადააბრალებთ. ასე მეწერა, ალბათო. რა გეწერა? კი არ გეწერა, არ მოინდომე. არ მიდექ-მოდექი, პატარა ხელი შეგეშალა და დაყარე ფარხმალი. არ უნდა ლაპარაკი – ყველას გვინდა ისე გავთხოვდეთ, როგორც გვინდა, მაგრამ, თუ არ გამოდის ისე? თუ არ გაგიმართლა? თუ ვერ ააწყვე, როგორც შენ გინდოდა? გათავდა ჩემთვის ყველაფერი, აწი აღარ გავთხოვდებიო, უნდა წაუწვე ცხოვრებას გასათელავად და საჯირითოდ? სიყვარულიო, შენ ამბობ, მჯერა მარტო ერთი რამ, დიდ სიყვარულს ეწირებიან მსხვერპლად, კი, როგორ არა. რაკი ვერ მოხერხდა, ვერ დამთავრდა ყველაფერი სასურველად,, ქალი სუსტი არსებაა მაინც, რაც არ უნდა ვიხტუნოთ ჩვენ, და დიდი სიყვარულით შეპყრობილი ქალი თავისი ამ გრძნობის ერთგულ მონად რჩება ბოლომდე. ეს მესმის, ასეთი ქალები იშვიათზე იშვიათნი არიან. მაგრამ შენ სხვას მეუბნები; არავინ შემიყვარდა, დეიდა, და დავრჩი ამიტომ გაუთხოვარიო. რას ჰქვია, არავინ შეგიყვარდა და დარჩი გაუთხოვარი. ესე იგი სუსტი ადამიანი

ხარ. ნუ გეწყინება და შეიძლება ცოტა ეგოისტიც. დიდი სიყვარული შეიძლება ღვთის ბოძებული ნიჭი იყოს, მაგრამ, თუ არ მოვიდა ეს დიდი სიყვარული ჩემთან, დავითხარო თვალი და არ გავთხოვდე? სიყვარული, შვილო ხან ქორწინებამდე მოდის (და ეს უკეთესია) და ხან ქორწინების შემდეგაც, მაგრამ შენ არ შეერკინე ცხოვრებას; რისკი არ გასწიე, ზიხარ ფანჯარასთან და სიყვარულის მოსვლას ელოდები. ქე მოგაყვირა ამასობაში ორმოცმა წელმა. რა არის იცი? ბევრი ანგელოზივით გოგო მინახავს „საქმროების“ შეწუხებული და მერე გაუთხოვრად დარჩენილი. ხანდახან ქვეყნის უკეთესს ვეძებთ და იმაზე კი არ ვფიქრობთ, იმ ქვეყნის უკეთესს ქვეყნის უკეთესი რომ შეეფერება. დაგვინაოჭდა სახე და წუნიაობას მაინც ვერ ვეშვებით. იმას ცხვირი აქვს გრძელი, იმას კისერი აქვს მოკლე, იმის კბილები არ მომეწონა, იმას გაუუთავებელი პერანგი ეცვა. რა იყო, რა მოხდა. ცოტა საღადაც უნდა შევხედოთ ცხოვრებას. ჩვენ არაფერი ნაკლი გვაქვს? კაცია ბოლოს და ბოლოს. გამოფენაზე ხომ არ გაგყავს, გასაყიდად ხომ არ გინდა. ღვთის გაჩენილი კაცია. ჰქონდეს, მერე რა კისერი, ეს ოხერი, მოკლე, დაიქცა ქვეყანა? არა ვართ მართალი, შვილო, არა, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ნაკლს მარიამ ღვთისშობელს ვუპოვი რამდენსაც გინდა, ყინწვისის ანგელოსს დაიწუნებს ამრეზილი და ცხვირაბზუებული კაცი. საქმე ისაა, მოგეწონოს. საქმე ისაა გადაწყვეტის თავი გქონდეს, ჩიტივით ორ დღეს ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე. რას ველოდებით, აღარ დამთავრდა რჩევა-რჩევა? აღარ დაიბადა ჩვენი მოსაწონი? შეგიყოლიებს ბედის ძიება და ისე დაგაბერებს, რომ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ. გაგკრავს ბჯღალს წუთისოფელი და სარკის შეგეშინდება. ერთ დღეს იცის სიბერემ მოხტომა. ხანდახან ერთ დღეში ბერდება კაცი. სამიდღემჩიოდ არც ქმარი გაჩენილა ამ ქვეყანაზე და არც შვილი. გული მიკვდება, შენნაირი მშვენიერი ქალი რომ მეტყვის, ვერ გავთხოვდიო. არ მიწყინო და ცოტა არ იყოს ვბრაზდები კიდეც მასზე. მე ვინ მკითხავს სხვის საქმეში ჩარევას-მეთქი, ვამბობ, მაგრამ, ეტყობა, მთლად კეთილი ადამიანი არ არის, დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. არავინ მიიჩნია ღირსად და ამიტომ იქცა შინაბერად-მეთქი. ყოველთვის ამის თქმა ცოდვაა, შვილო.

ყველაზე ვერ იტყვი. ზოგს ავადმყოფობა დააყოლა განგებამ და რას იზამ. მაგრამ, თუ ყველანაირად ჯანმრთელი ხარ და რაღაც სულელური მიზეზებით – „არ შემიყვარდა“ ან „პირობები არ მაქვსო“, ზოგს რომ ამოუჩემებია და არ მეშინია ამის თქმა – სწორედ რომ სულელური მიზეზებით არ თხოვდება, ან ცოლს არ ირთავს: მე ასეთ ადამიანიშვილზე ჩემი შეხედულება მაქვს. დიდი სიმპათიით ვერ ვუცქერი და მომკალი თუ გინდა.

თუ არ მოგაბეზრე ამ ტლიკინით თავი, მოგიყვები ჩემი გათხოვების ამბავს. იმიტომ კი არა, შვილო, შენც ასე მოიქცემეთქი, გირჩიო. ძნელია სხვის საქმეში ჩარევა და დროც სხვაა ახლა. საცოლე ბიჭებიც სხვები არიან. ამ ჩემ ნაამბობში შენთვის გამოსადეგი, ალბათ, მარტო ის იქნება, რომ შენც იაქტიურო პატარა, მუყაითად გაუხდე შენს თავს, მე კი არ მივრბივარ, გასაჭირი მიმარბენინებსო – ჭკვიან კაცს უთქვამს. ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე რომ ვართ, აღარ უნდა ამას მკითხავ-ქადაგი. ნინოშვილის ქუჩაზე ვარ გაზრდილი, ბაზარს ქვემოთ, მერვე შესახვევის ნომერ ათში. მამაჩემი მეთუთუნე იყო. შარშან მომიკვდა საწყალი. წლისთავი ახლა შესრულდება, ოქტომბერში. მეოთხე ქალთა დავამთავრე. ტურძელაძის სკოლა გაგონილი გექნება, არ უნდა ლაპარაკი. მართლა ერთი სამაგალითო სკოლა იყო ქუთაისში. დავამთავრე სკოლა, ჩემო ბატონო, მერე საექთნო ორწლიანი და დიდ გაქანებას რომ ვერ ვატყობდი ჩემს თავს, ამით დავასრულე სწავლა-განათლება. რკინიგზის საავადმყოფოში დავიწყე ოცი წლის გოგომ მუშაობა და ოცდახუთი წელი თავდება, იქვე ვმუშაობ. ჩემს მეტი ჩემს პატრონს არავინ ჰყავდა. ოცი წლისა ყველა ლამაზიაო იტყვიან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. თავის ქებაში არ ჩამომართვა და არ ვიყავი დასაწუნი გოგო, შესახედაობაზე მოგახსენებ. მაღალი, მაღალკანჭება, ოდნავ გამხდარი. შავი ხუჭუჭა თმა მქონდა. სადაა ახლა ის თმა, დიდი ტუჩები. კბილები მაინცდამაინც არ მივარგოდა, ასე მეჩხერი კბილები მქონდა, როგორც ახლა მაქვს, მაგრამ რა ვუყოთ. მოწონებით ბევრს მოვწონდი მაინც. ზოგს ასე და ზოგს ისე. კაცისას რას გაიგებ. ჩემ მეზობლად სულ ბიჭები ცხოვრობდნენ და, რომ იტყვიან, ბიჭებში გავიზარდე. შემოვევლე იმ ჩემს ბიჭებს; ზოგი იქვე ცხოვრობს, ზოგი აღარცაა ცოცხალი. რომ შემხვდებიან,

როგორც საკუთარ ძმას (მე ძმა არ მომცა ღმერთმა) ჩავეხუტები გულში და ვტირი. აბა, რაია მეტი დედმამიშვილი. ერთად გავიზარდეთ. ფეხბურთს ვთამაშობდით ეზოში მეცხრეკლასელი გოგო რომ ვიყავი მაშინაც. მეჩხუბებოდა დედაჩემი: შეხედე შენს თავს, ამხელა ძროხა რომ დააგორებ ამხელა ტ-ს და ბურთს დასდევ სულელი მარგუშასავითო. ახტაჯანა გოგო ვიყავი, მოკლედ რომ ვთქვა. ახტაჯანა, მაგრამ უზაკველი, უბოროტო. ბიჭური ხასიათი მქონდა და თანაც ისეთი ალალი და გულუბრყვილო გახლდით, რომ მამაჩემი თავში ირტყამდა ხელს, რა ეშველება, რა გაათხოვებს ამასო. მამაჩემის შიში (ჭკვიანი კაცი იყო ცხონებული) კინაღამ არ გამართლდა? ისე გამიფრინდა წლები ხელიდან, ვერც კი შევამჩნიე. „რა მეჩქარება, რა მეჩქარებას“ ძახილით ოცდარვა წელიწადმა მომიკაკუნა კარზე. მე ისევ პატარა გოგო მგონია ჩემი თავი. დოლო თხას რქები არ ამოუვიდა და თავი სულ თიკანი ეგონაო, ისეა ჩემი საქმე. ჰაი იქეთ, ჰაი აქეთ და რომ მოვიხედე, ეს ჩემი კბილა გოგოები დაოჯახებულან, ამ ჩემი ქუჩის ბიჭებს ცოლი მოუყვანიათ და ქე არიან მშვენივრად. მე – ყველას გამხარებელი, ყველას მაყარი და ხელისმომკიდე, ყველა ქორწილის დამამშვენებელი ვრჩები ასე. სხვისმა მაზიარებელმა თავი ვერ იზიარაო, არ გაგიგონია? მე ვთქვი, რა ქვა გავტეხე ამისთანა. ახლა რომ დავფიქრდები – სერიოზულად სალაპარაკოდ არავინ მოსულა. ღლიცინით, იცოცხლე, ყველა გეღლიცინება, მარა რაი მერე. ასე არ გამოვა, ვუთხარი ჩემს თავს, რაღაცა უნდა იღონო, თორემ მერე გვიან იქნება. ვაკისუბანში, ჩვენი ქუჩის ბოლოში, რკინიგზას რომ გადახვალ, სანამ საავადმყოფოსთან მიხვიდოდე, იქვე მარცხნივ ოთარ ჭუმბურიძე ცხოვრობს. დედ-მამა ობჩაში ჰყავდა, თვითონ დაგირავებული ჰქონდა ერთი ოთახი და პედინსტიტუტში მუშაობდა. ახალი დამთავრებული ჰქონდა და იქვე დაეტოვებიათ ასისტენტს თუ რაღაცას ეძახიან – ის იყო მაშინ. სინაურიძის გოგოს ქორწილში შევხვდი. გამხდარი, გამხდარი, ცხვირში ლანდი გადიოდა. სახელოებზე გაცრეცილი კოსტუმი ეცვა და აქაოდა მაინც ასისტენტი ვარო, ჰალსტუხი ეკეთა. არ ჰქონდა მეტის საშუალება, რა ექნებოდა პატიოსან ასისტენტს მაშინ, ჯერ ახლა რაი აქვს. საშუალო ტანის იყო, პატარას ფეხსაც უჩიოდა,

ოდნავ კოჭლობდა. სახე სანდომიანიო, რომ იტყვიან, მაგრამ ხვრინჭასავით თვალებს შეშინებულივით აცეცებდა აქეთ-იქეთ. მოკლედ, რომ გითხრა, შესახედავად მაინცდამაინც არ მომეწონა, მაგრამ ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ლამაზი ლაპარაკი იცოდა და რა დაგიმალო, ერთი-ორჯერ გამიცინა. ისე ალალად და საწყლად გამიცინა ამ ბიჭმა, რომ გულში ჩამრჩა, რაია ოცდაორი წლის გოგო მაინც, მეტი არაფერი. ამის მერე მხვდება ეს ჭუმბურიძე ქუჩაში, გამიცინებს, რავა ხარო, მკითხავს და ჩამივლის. სულ მეჩვენება, რომ ერიდება ჩემთან ლაპარაკს, თუ რცხვენია, რა ვიცი. საერთოდ, მორცხვი და ჩაკეტილი ბიჭი იყო, მის გვერდით გოგო არ დამინახავს. გავიდა ასე ხუთი წელი. გითხარი, მისი არ იყოს, მე ოცდარვა წლის გავხდი და ოთარი ოცდათხუთმეტის (ოცდაათის იყო მაშინ, ქორწილში რომ შემხვდა). იმას თავისი ცხოვრება აქვს, მე ჩემი. წესიერად არც გვილაპარკნია ერთმანეთთან. შეხვედრა და სალამი, მეტი არაფერი ყოფილა ჩვენ შორის და მიცინის ასე ერთნაირად, ხუთი წელია. ამბავი ახლა ქუთაისში ყველამ ყველაფერი იცის და მეც ბევრჯერ მომიკრავს ყური, რომ ოთარ ჭუმბურიძე ერთი მორცხვი და გადაუწყვეტელი ბიჭია. არც საცოლე ჰყავს. ბერდება უცოლოდ და რა ვიცი, რას იტყვის ხალხი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემო (გეჩქარება გეტყობა შენც), ერთ საღამოს, რა დამავიწყებს იმ დღეს, ოცდარვა სექტემბერი იყო, გავბედე და დავუკაკუნე კარზე ამ ჩემს ოთარ ჭუმბურიძეს. კარი ისე სწრაფად გამიღო, თითქოს ჩემ მოსვლას ელოდაო. მობრძანდიო, მითხრა, სკამი დამიდგა და თვალებში ღიმილი უდგას. მივიხედ-მოვიხედე, რა იქნება უცოლო კაცის ოთახი, ერთმანეთზე ახირხლული ჯამ-ჭურჭელი, მტვერი ფანჯრებზე. ჭუჭყიანი ფარდები, ქალის ხელი სხვა არის მაინც ოჯახში. დავაჩერდი იატაკს და არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი: – მოვედი შენთან, სხვა გზა არ მაქვს, მიყვარხარ გაგიჟებით და უნდა შემირთო-მეთქი. რომ მახსენდება მისი სახე, სიცილს ვერ ვიკავებ, ზაფრანისფერი დაედო, მერე გაიცინა (იქნებ ხუმრობაში გავატაროო), რომ შემატყო, არ ვხუმრობდი, გაჯავრდა. რა ლაპარაკია ახლა ესო. მე მეგონა საქმეზე მოხვედიო. ამაზე დიდი საქმე რაღა იქნება, მე ვუთხარი, აქედან გამსვლელი არ ვარ, ცოლი ვარ

შენი დღეიდან, არ უნდა ჭუჭყუნი ახლა ამას-მეთქი. შენ ხომ არ გაგიჟდი, გოგოვო, ვინ გასწავლა ამნაირი სისულელეო, ასე ვინ გათხოვილა ქვეყანაზეო. მაგდებს აშკარად. გავბრაზდი მეც, თავმოყვარეობა მაქვს, გოგო ვარ ბოლოს და ბოლოს. რა მაქვს შენი დასაწუნი, შე ღვთის გლახა, მე ვუთხარი. შემოძლეულ ჭადს ძაღლი რომ არ ეტანება, ისე ხომ არაა შენი საქმე, მე ვუთხარი, ხუთი წელიწადია მიცინი და სიტყვა ვერ მითხარი. ზედ გეტყობა, რა მუჩუჩი ხარ. რა ძვირად აფასებ ამ შენს გამხმარ თავს. რითი ვარ შენზე ნაკლები-მეთქი, ვლანძღე, მოკლედ, რაც შემეძლო. იცინის. მერე მოიქექა კეფა და ჩამოხტა იშკილებიდან. ჩემი დასაწუნი რა გაქვს და კაი გოგოც ხარ, მაგრამ ჯერ ამ საქმეს დაფიქრება უნდა, რა საჩქაროა. ვნახოთ, გავიარ-გამოვიაროთ პატარა, ეგება ვერ ვეწყობით ერთმანეთსო. არაფერი გავლა-გამოვლა არ მჭირდება მე-მეთქი, მთელი ქუთაისი რომ შემოიარო, ჩემზე ცუდს ვერავინ გეტყვის, თვალში რომ ჩავუვარდე, თითს არ ამოისვამს არავინ-მეთქი. ა, მოსული ვარ ასე შენთან და მითხოვე თუ გინდივარ, თუ არა და წავალ ჩემს გზაზე-მეთქი. კი მარაო, მე რომ არ დაგხვედროდი სახლში, სხვას მიადგებოდიო? სახლიდან ხომ არ გამოუგდიხართო? კაცები მაინც ტლანქები არიან. ამდენი ვეღარ შევძელი, ნერვები აღარ მეყო, ამომიჯდა გული და დავიწყე ტირილი; სახლში რომ არ დამხვედროდი, ხვალაც შენთან მოვიდოდი, შე შტერო, ხუთი წელია, შენი ბრმა თვალები რომ ვერ ამჩნევს ვერაფერს-მეთქი. ვფსლუკუნებ. ატირდა თვითონაც. რატომ არ მითხარიო, მლმობელი გულის პატრონია ჩემი ოთია. მოკლედ, იმ ღამეს იქ დავრჩი და მეორე დღეს შევატყობინე მშობლებს. დედაჩემს და მამაჩემს სამორიგეოდ ვგონებივარ საავადმყოფოში და არც დაუწყიათ ძებნა. ის დღეს და ის დღე, ერთად ვართ. სამი შვილი გავზარდეთ თავი არ შეგვირცხვენია. თუ უყვარს ცოლ-ქმარს ერთმანეთი, ჩვენც გვიყვარს, ორმოცი წელიწადია ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ანი რაღა ღმერთი გაგვიწყრება.

ქურდი

შენთან მოვედი, ჩემო იმანო, სხვა გზა არა მაქვს, თორემ არ შეგაწუხებდი. ჩემნაირი შემწუხებელი შენ, ვიცი, არ გაკლია, თავი გაქვს ალბათ მობეზრებული, მაგრამ რა ვქნა – ღობეში გაკვეტებული გოჭი ხომ გინახავს, ვერც იქეთ რომ გადის და უკანაც ვეღარ ბრუნდება. სწორედ იმ დღეში ვარ. დამესივნენ და მჯიჯგნიან. რაიაღმასკომმა მომხსნა, საოლქო კომიტეტმა აღმადგინა ამ ორი თვის წინ. კიდევ მიჩივლა ვიღაცამ და ახლა კოლეგიაზე გადის ჩემი საკითხი. დღეს ვიყავი დაბარებული, პროექტი შეუდგენიათ ისეთი, მოხსნას ვინ ჩივის, ორგანოში მუშაობა აეკრძალოს საერთოდო. შენ ქვეყანა გიცნობს და ქვეყანა პატივს გცემს. უნდა მიმეგზავნო მინისტრთან, მომისმინოს, სამართლიანად განჭვრიტოს ამ ჩემს საქმეს და თუ მართლა დამნაშავე ვარ, ვინ მამაძაღლი, ხმას ვინ ამოიღებს. ვიცი, მომჩივანს თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. მაგრამ მოგიყვები წერილად ყველაფერს და შენ განსაჯე. თუ შემატყო, რომ მოხსნის და გაგდების ღირსი ვარ, პირში მითხარი, გავჩუმდები და წავალ, იმ სამ ბავშვს ვფიცავარ, შენსას დავიჯერებ, სხვისას – არა.

ქურდს ნაქურდალით ხელში რომ დაიჭერენ, ორ წელიწადს აძლევენ ციხეს, ქურდს რომ შეურაცხყოფა მიაყენო, სამიდან – რვა წლამდე გახეხინებენ, შავ დაფაზე გაგაკრავენ და ქვეყნის სამასხაროდ გაგხდიან. კი, არ დავმალავ, ჩვენს შორისაც ბევრი ვირია, მაგრამ ასე შეიძლება? შეიძლება, კაცო, მტერს ისარი ეჭიროს და შენ ფიცარი დაგაკაონ ხელში? მილიციის უფროსად ვმუშაობდი სასირეთში, ქვეგანყოფილება მებარა, ოთხ სოფელს ვემსახურებოდი. ვიყავი ჩემთვის. შერლოკ ჰოლმსი მე არ ვარ, ქე იცი და არც პრეტენზია მქონდა დიდი, შენს პატარა საქმეს თუ კარგად გააკეთებ, ესეც რაღაცას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში თავმოყვარე კაცი ზედმეტად არ თვლი თავს და სახელმწიფომ რომ ცოდნა და დიპლომი მოგცა, ნაწი-

ლობრივ მაინც უხდი სამაგიეროს. ასე მესმის მე, რა ვიცი, ეგებ ვცდები. დღეს ბევრი სხვა ხატს ემსახურება, მარა მე მიმაჩნია, რომ კაცის პირველი ვალი თავისი ფუნქციის პოვნა და თავისი არსებობის გამართლებაა ამ ქვეყანაზე.

სასირეთში ერთი ქურდი ცხოვრობდა. ხაჭიძე იყო გვარად, მევლუდი ერქვა. ერქვა და ჰქვია ახლაც. იმას რა უჭირს, მე ვარ კრუხის დღეში. საერთოდ, კაი ქურდი თავის სოფელში არ იქურდებს, ქურდების წესია ასეთი. მევლუდი ყველაფრის მკადრებელი ქურდი იყო. ნაძირალაო, რომ იტყვიან სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ორჯერ ნასამართლევი. კარის მეზობელს, თავის გარე ბიძაშვილსაც კი ააფცქვნიდა თვალისწამას, რასაც მოიხელთებდა. ოთხი სოფელი „მევლუდია ქურდს“ ეძახდა. არც მალავდა, სხვათა შორის, თავის ხელმრუდობას. შეწუხებული ჰყავდა მთელი სოფელი. რას იპარავდა? ქათამს ააცლიდა საბუდრიდან ნამამლ კვერცხს, ყველს წალალავდა დერგიდან, ცხვარ-ძროხას წაასხამდა, კეციდან ჭადს არეკავდა. მოკლედ ყველაფერს იპარავდა, რისი მოპარვაც შეიძლება. სისხლი გვქონდა ყველას მისგან გამშრალი, მაგრამ კანონის ამბავი მოგეხსენება – ფაქტზე უნდა დაიჭირო. ქურდობაზე მევლუდის წასწრება იოლი არ გახლდათ, კატასავით ფრთხილი კაცი იყო. შარს ვერაფერს მოდებდი; ჰქონდა გაპიროვნებული კოლმეურნეობის პატარა ყანაც და ამუშავებდა ვითომ. დაიქირავებდა ერთ დღეს სამ-ოთხ ბიჭს და გაათოხნინებდა. მარგვლა-მოროდზე თავს არ იკლავდა, ნუ გეშნიია. მის ხელში თოხი არავის უნახავს. ერთხელ ნათლიმამას ცხენი მოჰპარა, შვილივით გაზრდილი ცხენი, ვენახბოლოში საბალახოდ დაბმული, ახსნა და ჩალის ფასად გაყიდა ხონში. მივაკითხე სახლში საღამოს, პამიდორის ნერგს ჭიგოს უსობდა, შენი საქმეა ეგ ამბავი და უნდა დაგიჭირო-მეთქი. სასაცილოდ არ ეყო ჩემი სიტყვა. კი, ჩემო გერვასი, ახლა ერთი-ერთზე რომ ვართ, გამოგიტყდები, რომ მოვიპარე ცხენი, მაგრამ ამის გამმეორებელი არსად ვარ და მაგ სამხრეებს გაუფრთხილდი იცოდეო. მანამ არაფერი გეტკინა, სანამ უმოწმოდ მე შენ ვერ დამიჭიროვო. რას ეტყვი, მართალია ის კაცი. რატომ შვრები, ბიჭო ამას, სინდისი რატომ დაგიკარგავს-მეთქი. რა ვქნაო, გულწრფელად მითხრა, ცოლ-შვილის რჩენის ჩემი მუღამი ეს არისო. ჩემი და რამდენიმე ჩემნაირი კაცის გარდა თქვენ, ყველანი სახელმწიფოს ჰპარავთო, მე თქვენ გპარავთ – სახელმწიფო ქურდებს, ასე რომ ნაკლებ ცოდვას ჩავდივარო. ქურდის ქურდი ცხონებულია – ასე ვიცი მეო. რას ვიპარავ, მე, ბიჭო, მე ვუთხარი. რომ არ იპარავ, გერვასი, იმიტომ ვერ დახურე ოდა სამი წელია და ქვეყნის სალაპარაკოდ, უქელეხოდ გაასვენე სიდედრიო. დამანებე თავი და სხვას მიხედე, ჩემგან ერთ ბუწუწს ვერ წაიღებ შენო. თუ ფაქტზე დამიჭირე, კი, ბატონო, ღმერთმა შეგარგოს, შენი ხმალი და ჩემი კისერიო. იცი, კიდევ რა მითხრა? წადი შენს გზაზე გერვასი ხარაბაძე, მე საჭირო რომ არ ვიყო, არც გავჩნდებოდი ამ ქვეყანაზეო. ერთი ქურდი სოფელში აუცილებელიაო. მე ხალხს ვაფხიზლებ, მოდუნებულ ყურადღებას ვუფხავებ, დოყლაპიობას ვებრძვიო. შენთვისაც საჭირო ვარ, ჩემო გვერვასი, უქურდოდ მილიცია რა მილიციაა, ერთ მშვენიერ დღეს დანაშაული რომ აღმოიფხვრება სასირეთში, მოვლენ და გაგაუქმებენ, ან სხვა განყოფილებაზე მიგაერთებენ. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვამაგრებთ და რაც მშვიდობა იქნება ჩვენს შორის, მით უკეთესია ჩვენი ცოლ-შვილისთვისო. ვაკრაჭუნე კბილები, რაც შემეძლო. ვხედავ აშკარად დამცინის ეს სინდისგარეცხილი მევლუდია, მაგრამ რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არი. გამოვიძურწე გარეთ და გამოვიხურე მისი ჭიშკარი.

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო, ხომ გაგიგონია. ამის შემდეგ მევლუდს მთლად გაუვიდა თავს. ქურდობას მარტო ვინ ჯერდება, ამასხარავებს და აწიოკებს სოფელს. ერთ გლეხს ორფუთიანი ქვა აკიდა ზურგზე და ქუთაისამდე ათრევინა; ალმასის მინერალია, გეოლოგიურ სამმართველოში მიიტანე და დიდ ფულს მოგცემენო. სოფლის მაღაზიის დარაჯს თოფი მოპარა და მინერალური სასუქის საწყობის გამგეზე გაბრაზებულმა (რას ჰქვია, სასუქი არ მომეციო) საწყობს კარი ამოუშენა. მთელი ღამე იმუშავა თურმე და დილით საწყობის გამგემ კარს რომ ვერ მიაგნო, კინაღამ ჭკუაზე შეირყა. ამნაირ მაიმუნობებს სჩადიოდა. პარპაშებდა მოკლედ, როგორც სურდა – ისე. ღორს რომ რქებიც მისცა, ქვეყანას გადააბრუნებსო, სწორედ

რომ მაგაზე იყო ნათქვამი. მოკლედ, დიდი სულკრული ვინმე იყო მევლუდია. ერთხელ, შაბათ დილას ვეტექიმი კვარაკვახიძე დამადგა თავზე. ვენახს ვწამლავდი იმ დღეს და ლურჯად გალუმპულ-გაღებილს სარწყავის მანქანა მეკიდა ზურგზე. დამღუპა მევლუდიამ და მიშველე რაცხა, თუ მილიცია ხარ და დამცველი ხარ ჩვენი, თორემ შენს თვალწინ გამოვიჭრი ყელსო. სარწყავი მოვიხსენი და როგორც ვიყავი ჩაცმული, ისე გავყევი. იქვე ცხოვრობდა, მევლუდის სახლიდან მეხუთე მოსახლე იყო აგრონომი. მივედი, რას ნახავ უარესს. გავერანებულია კვარაკვახიძის ბოსტანი. წყალი მიუშვია ვიღაცას შიგ და მთელ ნაკვეთზე მუხლამდე ტლაპო დგას. პამიდორი, კიტრი, ნიახური თუ ოხრახუში ერთმანეთშია ალუფხული. ჩვენი კაცი, მოგეხსენება, ბოსტნით ცხოვრობს. დანა პირს არ უხსნის ამ სურათის შემყურეს. მთელი სოფელი აქ არის. ჯერ გაუჭირდათ ჩემი ცნობა შაბიამნისფერ ტანსაცმელში. მერე შემომეხვივნენ და კინაღამ შემჭამეს, შენი ბრალია, რაც გვჭირსო, შენ აფარებ ხელს მევლუდიას, თორემ ამას არ გაბედავდაო. სხვაგანაც კია ქურდი, მაგრამ ასეთი გათახსირებული ქურდი ჩვენ რომ გვყავს, არ მოსწრებია კაცსო. გავროშის ქუდი ავიწიე შუბლზე და კვარაკვახიძეს შევხედე – ეჭვი ვისზე გაქვს-მეთქი. ეჭვი არავისზე მაქვს, მევლუდიას ნაქნარიაო, რა იცი-მეთქი. თურმე გუშინ საღამოს მოდგომია ჭიშკარზე მევლუდი კვარაკვახიძეს. ეს უკანასკნელი თურმე ბოსტანს რწყავდა. მაგათ უბანს ერთი საზიარო სარწყავი აქვს, არხის ტოტი ჩამოდის ზევიდან, ხვალ არ ვიქნები სოფელში და, თუ კაცი ხარ, ერთი-ორი საათით მათხოვე წყალი, ჩემს ბოსტანს გავაგრილებ ცოტას და მერე განაგრძე რწყვაო. კვარაკვახიძეს უარი უთქვამს, ახლა ჯერი ჩემია და დიახაც ვერავის დავუთმობო. შე კაცო, ორ საათს სად გარბის შენი ბოსტანიო, დამითმე, რა მოხდებაო, შეხვეწნია, თურმე ქურდი და უარი რომ მიუღია, გულზე მუშტი დაურტყამს, მე არ ვიყო მევლუდია ხაჭიძე, თუ არ განანო ეს ღორობაო. სამხრობაახალათავებულზე გადაუგდია არხი კვარაკვახიძეს. შუაღამისას მოსულა მევლუდი. გაუხსნია სათავე და ღარი მთლიანად კვარაკვახიძის ბოსტნისათვის მიუშვია. ამ დილითღა შეუმჩნევია ოჯახს წარღვნა

ბოსტანში, გადაუკეტავს ვეტექიმს არხი, მაგრამ რაღა დროს, კაპიკის საღირალს ვერაფერს მოიწევს ამ წელს კვარაკვახიძე. მივვარდი მევლუდიას. მარტო არ წავსულვარ, ხუთი-ექვსი ჯანიანი სოფლელი მახლდა. ამის უფლება არ გქონდაო, შენ მეტყვი, მაგრამ ოპერჯგუფის გამოძახებას და საქმის შედგენას ვერ ვასწრებდი. იმ დილით ქურდი ქუთაისს მიდიოდა. სხვათა შორის, არ გაგვძალიანებია. ჩამოვიყვანეთ კვარაკვახიძის ბოსტანში, შევუკარით ხელები და დავაყენეთ მუხლამდე ტლაპოში. რატომ დააქციე ამ კაცის ოჯახი, რას ემართლებოდი-მეთქი, ვეკითხები სოფლის თვალწინ. თვითონ იცისო, ერთი სიტყვა დაგვიგდო და განზე გაიხედა. რა იცის თვითონ-მეთქი. ღირსი იყო და იმიტომ გავკეთეო. არ გადავარა. წარბიც არ შეუხრია. რაკი ასეთი კაცი ხარ მევლუდი ხაჭიძე და რაკი მორევაზეა საქმე, აბა, ჩვენ გვიყურე ახლა-მეთქი, მივედი, გამოვდევი კვანტი და გავშალე ტლაპოში, ხელშეკრულს რა წაქცევა უნდოდა. მოვკიდე პერანგის საყელოში ხელი და ვაყვინიე ტალახში. ერთხელ, მეორედ, მესამედ. მერე ხელები შევუხსენი, წადი ახლა სახლში, მე ვუთხარი. არ გაპატიმრებ. არც არასოდეს დაგიჭერ, ოღონდ ყოველ შენს ხელმრუდობაზე ასე გაბანავებ ღორის ტლაპოში, ვნახოთ, რა ვაჟკაცი ხარ-მეთქი. ის დღე და ის დღე, მევლუდია თავის ეზოდან გამოსული არავის უნახავს. კვირის თავზე ოდა დაშალა, დატვირთა თავისი საქონ-საყოლებლით მანქანები და სხვაგან გადასახლდა. წასვლის დროს კარის მეზობლისთვის უთქვამს: მომაშორა თქვენს საყვარელ თავს გერვასი მილიციონერმა, მაგრამ არ შევარჩენ, თუ ვაჟკაცი ვარო. წარმოგიდგენია, კაცო? „თქვენს საყვარელ თავსო“ მთელი სოფელი რომ აკლებული ჰყავდა. მესიის გამოცხადება ისე არ გაეხარდებოდა სოფელს, როგორც მევლუდის აბარგება გაეხარდა. შორს არ წასულა, ნუ გეშინია, იქვე გაღმა მეორე სოფელში დასახლდა. ჭილკნარი ჰქვია, ორას კომლამდე ცხოვრობს. ჩემი მეურვეობის ზონიდან გავიდა და ცოდვას ვერ ვიტყვი, ხელმრუდობას და ციგნობას საბოლოოდ შეეშვა. ცუდი აღარაფერი გამიგია, მასზეო, იქაური მილიციის უფროსი ამბობს. ერთ სიოხრეს გაანება თავი და მეორე წამოიწყო თურმე. ჩემს წინააღმდეგ

საბუთების და მოწმეების მოგროვებას შეუდგა, ტლაპოში რომ ვაგორავე იმ დღიდანვე. კაცზე საქმის შედგენას რა უნდა. უცოდველი კრავი არც ერთი არ ვართ ჩვენ. ივლისში კომისია დამეცა. მთავარი ბრალდება ეს იყო, მართლა აკვრევინე თავი მევლუდ ხაჭიძეს ტლაპოშიო? რა უფლება გქონდა შენ, მილიციის უფროსს, ასე თვითნებურად მოქცევისო. სხვანაირად მევლუდს ჭკუას ვერ ვასწავლიდით, მის ვაჟკაცობაზე უნდა გავსულიყავით-მეთქი. რაკი აგრეა, ახლა ჩვენ გავალთ შენს ვაჟკაცობაზეო. თურმე მეთქვა თავიდანვე უარი. თვითონ ჩახტა ტლაპოში-მეთქი. რას ვუქნიე თავი ბატკანივით. მე მეგონა ამ საქციელს ორიგინალობად ჩამითვლიდნენ. ინდივიდუალურ მუშაობას რომ გვთხოვენ, ესაა სწორედ. ყველას არ ასწორებს, ბატონო, ციხე და სასამართლო, ხანდახან ამნაირი გზაც საჭიროა. მთელმა სოფელმა ნახა, რა ვაჟკაციც იყო მევლუდ ხაჭიძე, ამიტომაც აღარ დაედგომებოდა სასირეთში და თავისით მოშორდა ერთი წურბელა სოფელს. ოთხი თვეა მთელი რაიონი და სამინისტრო ჩემზე და მევლუდ ხაჭიძეზე ლაპარაკობს. ღდინში ჩამსდიეს, რომ იტყვიან. ჩემზე გაამარჯვებინეს ქურდს და გარეწარს, ჩემზე, ძაღლივით ერთგულ კაცზე ამ კანონისთვის და ამ სახელმწიფოსთვის. ვთქვათ დამნაშავე ვარ ცოტა რაღაცაში, ამისთვის მოხსნა და გაგდება მეკუთვნის? შენი მუხლების ჭირიმე, შენ ქვეყანა გიცნობს და გაფასებს, მოუყევი მინისტრს ასე, როგორც გითხარი ყველაფერი, თუ რამე დამემალოს, სამი ბავშვი არ დამხვედროდეს სახლში. ნუ გადავაყოლებთ კაპიტან კაცს ქურდ მევლუდია ხაჭიძეს-თქვა. არაა გერვასი მაგის ღირსი-თქვა. ქვეყნის მადლობები აქვს მიღებული ერთგული სამსახურისთვის-თქვა, ასე უთხარი. შენსას გაიგონებს და ჩემი მოსმენა არავის უნდა. სერიოზული კაცი გვეგონე და კაცს ტლაპოში უკარი თავი, თავს იმართლებ კიდევ შენო? ჩვენი განყოფილების რეფერენტმა გუშინ სიტყვა არ დამამთავრებინა, კარზე მიმითითა. რა იცის მაგან, რა არის ცხოვრება. ქურდი მარტო კინოში უნახავს, თავის კაბინეტს არ გაცილებია და მე მასწავლის ჭკუას.

იმედო

სამსახურის შოვნაზე ადვილი რაა ქალაქ ბალახვანში, მაგრამ იმედო ფარცვანიას მაინცდამაინც წუნმდებლის ადგილი უნდოდა და მაინცდამაინც კოტონ-წინდების ფაბრიკაში. ხოლო წინდების ფაბრიკაში, სადაც საჩქაროდ სჭირდებოდათ მქსოველები, ხარაზები და ღამის დარაჯებიც კი, რაღაც იღბლად, წუნმდებლის ყველა თანამდებობა დაკავებული იყო. ეგეც ჩემი ბედიაო, – იძახდა იმედო ფარცვანია, – რად მინდოდა ოთხი წელი სწავლა და სართავ-სატრიკოტაჟო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებაო, მე რომ მქსოველის ან ხარაზის ადგილს ვითხოვდე, მაშინ წუნმდებლის ადგილი თავისუფლად იქნებოდაო. ჩემთვის გაწყდება ყველაფერი. არაფერი არ მეკუთვნის ამ ქვეყანაზეო, ისე ვატყობ ჩემს ცხოვრებას მეო. დავიცდი, ბატონო, მაგრამ სანამ ვიცადო, დედაჩემის პენსიაზე სანამ ვიცხოვრო ამხელა კაცმაო.

ადამიანებს მაშინ ევსებათ მოთმინების ფიალა და მაშინ ანებებენ ლოდინს თავს, როცა მათი ნანატრის ასრულებამდე დათვლილი საათები რჩება. ჩვენი გმირი კი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა, ვიდრე კოტონ-წინდების ფაბრიკის კადრების განყოფილებაში ფიქრობდნენ. იმედო ფარცვანიამ იცადა, იცადა და თავისი გაიტანა. გუშინ დაიწერა უმცროსი წუნმდებლის თანამდებობაზე მისი დანიშვნის ბრძანება და დღეს პირველად მიდის სამსახურში საგულდაგულოდ გამოწყობილი.

მკაცრი თმა დიდის რუდუნებით შუაზე გაყოფილი, მომწვანო-მოყვითალო გარდავამავალი ფერის კოსტიუმი – შარვალს რომ გარკვევით ამჩნევია ორი ხაზი (ძველი და ახალი განაუთავები). ლურჯმინებიანი მზის სათვალე – შრომა-გასწორების კოლონიის მიერ სერიოზულად გამოშვებული. წითელი ნეილონის ჰალსტუხი და ნეილონისვე თეთრი პერანგი. მაღალქუსლიანი და სქელლანჩიანი ტუფლები გაერთიანება „ბალახვანის იბერიის“ სამოდელო ნაწარმი – ეს რაც შეეხება

ჩაცმულობას. სხვა მხრივ იმედო კაცური კაცია. ხელში, მეტი სერიოზულობის მისაღებად, ცარიელი პორტფელი უჭირავს და მხნე ნაბიჯებით მიდის ავტობუსის გაჩერებისკენ.

ეჩქარება. გუშინ საამქროს უფროსმა საგანგებოდ გააფრთხილა – არაფერს შენგან არ მოვითხოვთ, სამსახურში დროზე მოსვლის გარდაო. თუ დაგვიანებას დაიწყებ, ახლავე დავშორდეთ ერთმანეთს აჯობებს ორივესთვისო. დილით უბეჭდო პროდუქცია თუ გავიდა, თავი მოგვეჭრებაო. დროზე გამოცხადდი და მერე თუ გინდა, ნურაფერს გააკეთებო. ყველაფერს გაპატიებთ დაგვიანების გარდაო.

დაგვიანებით როგორ დაიგვიანებს, ადრე ადგომა მაინცაა მისი ნება. დაიგვიანებს კი არა, თუ უბრძანებენ საამქროში გაათევს ღამეს. აქამდე იყო საქმე, თორემ აწი იმედომ იცის, როგორ გამოიჩინოს თავი. აუხდა ბავშვობის ოცნება – წუნმდებლის საპატიო და საამაყო თანამდებობა არგუნეს. უკეთესს რას ეტყოდნენ. არ დაიგვიანო, მეტს არაფერს გთხოვთო. არდაგვიანებაზე ადვილი რა არის.

ავტობუსის გაჩერებამდე აღარაფერი აკლდა, ფურნის ჩასახვევთან, კუთხეში შეჯგუფულ ბავშვებს რომ მოჰკრა თვალი. არ გაჩერდებოდა, ლეკვი რომ არ შეემჩნია. ამ ადგილას არხის ტოტი ჩამოდიოდა, ცემენტით ამოლესილი. შედგა და დააყურა, ოთხი ბიჭი ლეკვით ერთობოდა. ყველაზე მაღალი მათ შორის, ათზე მეტი წლის არ იქნებოდა. გადააგდებდნენ გალუმპულ ლეკვს წყალში, საცოდავს ცემენტზე თითები უსრიალებდა, ძლივს ამობობღდებოდა ნაპირზე წკმუტუნ-წკავწკავით, ტანის გაფერთხვას ვერც კი მოასწრებდა – სტაცებდნენ ხელს და ისევ წყალში გადაუძახებდნენ.

იმედოს გული შეეკუმშა. არც დაფიქრებულა, ლეკვს ხელი სტაცა და ბიჭებს შეუბღვირა:

– საგლახაო მეტი ვერაფერი ნახეთ?

– უპატრონოა, ბიძია! – არ დაიბნა მაღალი.

– უპატრონოს მოგცემთ მე თქვენ, კლასში არ გაგვიანდებათ?! მოუსვით ახლა აქედან, სანამ არ მომიცია თქვენ-თქვენი ყურები ხელში!

ბიჭები ტყაპატყუპით ჩაცვივდნენ თავდაღმართში და სკოლის მისახვევში გაუჩინარდნენ.

იმედომ ჩანთიდან ნეილონის პარკი ამოიღო, ლეკვი შიგ ჩასვა და გულზე მიიკრა.

„ვისი ხარ, შავდრუნჩიანო, ვის დაეკარგე? მე რომ არ გამოგჩენოდი, ხომ დაგახრჩობდნენ ის ოხრები. ნუ წკმუტუნებ, ნუ გეშინია, აწი არაფერი გიჭირს. ვისი ხარ, სად წაგიყვანო? გშია? რატომ ამთქნარებ ასე ჩქარ-ჩქარა? არ გიძინია წუხელის? დედაშენი ახლა, ალბათ, ერთ ამბავშია, ცას და ქვეყანას აწრიალებს, ხომ გყავს დედა? წამოდი, ჩემთან წაგიყვან. თუ გამოგიჩნდა პატრონი, ხომ კარგი, თუ არა და იყავი ჩვენთან, სანამ გაგიხარდება, ლუკმას როგორ დაგამადლი, არაა გლახა ქალი დედაჩემი, ნახავ, შენც“.

ლეკვს ამასობაში ჩაეძინა კიდეც და იმედოს იგი, რაც შეეძლო, ფრთხილად მიჰყავდა, რომ მთელი დღის დაღლილი და ნანერვიულევი უმწეო არსება არ შეეწუხებინა, მკლავი დაუბუჟდა. ჩაძინებული ლეკვი უფრო მძიმე იყო და გასაოცარ სითბოს გამოსცემდა.

– ვისია, იმედო, ეს ლეკვი? – დედამ აივნიდან დაინახა.

– ჩამოდი ჩქარა, გამომართვი! სამსახურში მაგვიანდება. მოდი, შეხედე, დედაჩემო, რა ლამაზია. ბალკონში წყალი დაუდგი და ბორჯომის ცარიელ ყუთში თექა ჩაუფინე. გამოადგი ფეხი, დამაგვიანდა სამსახურში!

– ლეკვის თავი გქონდა, ამისთვის გეცალა ამ დილას შეენ? – ბუზღუნებდა შავთავსაფრიანი ქალი და მარქსის მოედნისკენ გაფრენილ შვილს გაჰყურებდა.

რასაკვირველია, დააგვიანდა. საამქროს გამგე – სილიბისტრო ხარაძე ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელსაც თავის ტანთან შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა ჰქონდა, კარებთან დახვდა.

– ჯერ არ დაგიწყია მუშაობა და ასე დამიწყე შენ?

– ბატონო სილიბისტრო...

– არ უნდა „ბატონო“ ამას. რა გთხოვე გუშინ? ყველაფერს გაპატიებ, დაგვიანების გარდა-თქვა, არ გითხარი?!

– კი მითხარი. – ენა გაუშრა იმედოს.
– მერე?
– ლეკვს ახრჩობდნენ წყალში ბავშვები.
– ვინ ბავშვები?!
– ქუჩის.
– რომელ ლეკვს? – გამოაჯავრა სილიბისტრომ.
– პატრონი ახლაც არ ვიცი ვინაა. დედაჩემს მივუყვანე სახლში. თუ მოაკითხა ვინმემ, ქე გაატანს.
სილიბისტრომ ჯერ გულიანად გაიცინა, მერე უეცრად ალაგმა სიცილი. იმედოს სერიოზული სახით დააკვირდა და ისევ სიცილი აუტყდა. ახალმა წუნმდებელმა დასჯის წუთები დამთავრებულად ჩათვალა და კარის შეღება დააპირა, მაგრამ გამგის მქუხარე ხმამ ადგილზე გააცივა.
– პირველი და ბოლო იყოს ეს დაგვიანება შენთვის! მაგნაირი სისულელე, ახლა რომ მითხარი, აღარ გამოიგონო, თვარა ლეკვს მოგცემ მე შენ. არ დაგავიწყდეს, პირობით რომ ხარ მიღებული! სანამ თვე შეგისრულდებოდეს, შენს მოსახსნელად არც პროფკომია საჭირო და არც ადგილკომი!
სილისბისტრო ხმამაღლა, სხვების გასაგონად ლაპარაკობდა: აქაოდა შემომხედეთ, რა მკაცრი და შეუვალი ვარო. ალმაცერი შუბლი, მომცრო, წინ წამოსული ცხვირ-პირი, ვიწრო ბეჭები და თეთრი, გათხელებულ-გადასლექილი თმა, ერთი სიტყვით, საამქროს გამგე ფქვილის ტომრიდან ამოსულ თაგვს ჰგავდა.
მეორე დღეს იმედომ გუშინდელი დანაშაულის ერთიორად გამოსყიდვა გადაწყვიტა. ყველაზე ადრე გამოვცხადდები, ნახოს სილიბისტრომ, რა ბიჭი ვარო. შვიდი არც იყო, უკვე №9 ავტობუსში იჯდა და, რომ ყველაფერი კარგად წასულიყო, რვის ნახევარზე საწუნო საამქროს კართან იქნებოდა.
ვიღაც მხარზე შეეხო. ოციოდე წლის, დაბადებიდან თმაშეუკრეჭავი, ჯინსიანი ყმაწვილი მუყაოს ნაგლეჯს აწოდებდა.
– მე? – გამოართვა ქაღალდი იმედომ.
– ااااا! – თავი დაუქნია ბიჭმა.
– „შმიდტის მეორე შესახვევი, №9“ – ხმამაღლა წაიკითხა იმედომ.

– შმიდტის ქუჩა საკირესთან არაა? – ჰკითხა იმედომ გვერდით მჯდომს და პასუხს არც კი დაელოდა, ჯინსიანს მიუბრუნდა – თქვენ ოთხ ნომერს უნდა გაყოლოდით, ეს ავტობუსი სხვაგან მიდის.
– ااااا! – დაიზმუვლა ყმაწვილმა, მერე ენაყურზე ხელი მიიდო და ჰაერში შეათამაშა (ე. ი. არა მარტორ ვერ ვლაპარაკობ, ყურშიც არ მესმისო).
– მუნჯია, ხომ ხედავ, არ ესმის ჩვენი ენა მაგას! – აღმოაჩინა იმედოს გვერდით მჯდომმა.
წუნმდებელი შეწუხდა.
– რა ვუყო ახლა, როგორ გავაგებინო შმიდტის ქუჩას ეძებს და ამ ავტობუსს ბოლომდე თუ ჩაყვა, სულ დაიბნევა. ოთხ ნომერზე უნდა დაჯდე, ოთხზე! – დამარცვლით ჩასძახა იმედომ.
– ااااا! – ნაღვლიანად ამოხედა მუნჯმა და ისევ დაიფარა ხელი ყურზე და ენაზე.
– ისე გეიგონა შენმა დამაწყევარმა, როგორც მაგას ესმის. არადა რა მშვენიერი ბიჭია, რამ დააყრუა ნეტავი ეს უბედური. – ჩაილაპარაკა ვიღაცამ უკანა რიგიდან.
– რამ დააყრუა და გამჩენმა, – უპასუხეს მას.
– ვაი შენს დედას, უბედურს – შეიცხადა მარტოსკამზე შესკუპებულმა ფუმფულა კონდუქტორმა ქალმა.
– უბედური კი არა, მაგაზე ბედნიერი კაცი არაა. მე თუ მესმის ათასი ოხრობა ყოველდღე, იმიტომაა წინ ჩემი საქმე, – უკბილოდ იხუმრა ვიღაცამ.
– ოთხი! ოთხი! – ოთხი თითი აჩვენა იმედომ მუნჯს.
– ااااا! – ჯინსიანს ეტყობოდა, რომ არითმეტიკის ანბანსაც სუსტად იცნობდა.
იმედომ საათზე დაიხედა და მტკიცე გადაწყვეტილებით წამოდგა.
– წამოდი! – გაუღიმა მუნჯს და გასასვლელისაკენ გაემართა.
პირველივე გაჩერებაზე ჩავიდნენ. იმედომ ხელი მოჰკიდა და პატარა ბავშვივით გადაიყვანა ქუჩაზე. რატომღაც მიიჩნია, რომ ყრუ-მუნჯი ადვილად შეიძლებოდა ცოტა ბრმაც ყოფილიყო.

მოედნამდე ტროლეიბუსით მივიდნენ, ონის გადასახვევთან ოთხ ნომერში ჩასხდნენ და საკირესთან არც კი იყვნენ მისულნი, რვა საათი რომ შესრულდა. შმიდტის გაჩერებაზე ჩავიდნენ.

– აქედან გააგნებ სახლში?! – ჩასძახა იმედომ ყურდალუქულ თანამგზავრს.

– ااااا! – მუნჯმა მუყაოს ქაღალდი დააძრო და ადამის ვაშლზე მოიკიდა საპირჯვარედ მომზადებული სამი თითი. ამით აგრძნობინა, – რაკი ამხელა სიკეთე მიყავი, სახლამდე მიმიყვანეო.

– დამაგვიანდა! გესმის შეენ?! – იმედომ საათზე დაახედა.

– ااااა! – თავისას არ იშლიდა ყმაწვილი.

– ჯანდაბას შენი თავი, წამოდი, აბა, ჩქარა.

ვაწაძეების ღელესთან, ბოგირქვეშ რომ გადიოდნენ, მუნჯი ალაპარაკდა:

– რაც გაქვს ფული, ამოიღე ახლა ჯიბიდან და მაინც გაგვიანდება, უკანმოუხედავად გაიქეცი, თვარა იმდენს გირტყამ, ბარაბანს რომ არ მოხვედრია!

სხვათა შორის, დამცემი უშეცდომოდ და უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

იმედოს ჯიბეში მხოლოდ და მხოლოდ შვიდი მანეთი აღმოაჩნდა, რამაც ჯინსიანი ძალიან ააღელვა.

– შვიდ მანეთზე მეტი თუ არ გიჭყავის ჯიბეში, რად გინდა ამ გალსტუკს რომ იკეთებ, შე უპატრონო. გახსენი ჩანთა. ძველი გაზეთები მაინც ვერ ჩააწყვე, ან პური და ყველი მაინც ვერ წამოიღე? ჩემზე დავსებული ხარ, ვიღაცა ხარ. მანახე საათი? რა დროის „პაბედაა“, ახლა ვიღას უკეთია ეგ ჯართი, შე გამჩენძაღლო, არ ააშენებ, ვიღაცასთან მიდიხარ ამ დილას?

ჯიბიდან დანა ამოიღო, ღილაკი გაატკაცუნა და იმედოს რომ მიუახლოვდა, წუნმდებელს ადამიანის ფერი აღარ ედო.

– ნუ გეშინია, – გული გაუკეთა ქურდმა, – ჰალსტუხი გამოქაჩა, ნასკვთან ოთხი თითის დადებაზე შეაჭრა და კბილებში გამოცრა:

– შეაყოლე ახლა, უკან არ მოიხედო, რავარც გითხარი, და ქუჩაში გამარჯობის თქმა არ დამიწყო, თვარა გამოგჭრი ყრონტს.

– მესმის, – თავი დაუქნია იმედომ და გზაზე აირბინა. უკან

როგორ მოიხედავდა. ასე ეგონა, თითქოს დანიანმა ჯიბგირმა სიცოცხლე აჩუქა. გულში ცოტა მადლიერიც კი იყო მისი, ჰალსტუხის შეჭრას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ცუდად არ მომექცაო.

რასაკვირველია, დააგვიანდა, საამქროს გამგე სილიბისტრო ხარაძე, ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელსაც თავის ტანთან შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა ჰქონდა, კართან ელოდებოდა.

– ეს ხარ სულ? ესაა შენი პირობა? წადი ძმაო, შენ შარს გადამკიდებ რაღაცას! შენი გულისთვის სმენა ვერ გავუშვი სახლში! გაათიე აბა შენ, რავარი გასათევია ღამე!

– სილიბისტრო ბიძია...

– კი, სილიბისტრო მქვია.

– ბანდიტი დამესხა თავზე!!

– რა�აო? ახლა მაგას ვჭამ მეე? სად იყო, ბიჭო, ბანდიტი ამ ცხრა საათზე?

– ა ნახე, გალსტუკი შემაჭრა! – იმედომ შუაზე გაჭრილი ჰალსტუხი ამოიღო.

სილიბისტრო ხარაძის სიცილმა იქაურობა გააყრუა, მაგრამ, როგორც იცოდა, უეცრად მოგუდა სიცილი.

– არ ხართ ქრისტიანი?! მიშველეთ, თვარა შემომაკვდება ეს კაცი. ცოტა ჭკვიანურს მაინც მოვიგონებდი რამეს. ტყვილშიც არა გაქვს შნო, შე უპატრონო? ყაჩაღი დამესხა დღისითმზისით ავტობუსშიო, ვინ დაგიჯერებს მაგას. ახლა მეორე საყვედურს გაძლევ. კიდევ ერთი დაგვიანება და შენი დუხი არ ვნახო აქ! – საამქროს ხელმძღვანელი არ ხუმრობდა.

მესამე დღეს, ექვს საათზე, იმედომ ასეთი გადაწყვეტილებით გაიღვიძა: ბაბუაჩემი ექვთიმე ფარცვანია რომ ადგეს საფლავიდან და კიკვიძის ძეგლთან დოინჯშემოყრილი დამხვდეს, ხელის ჩამოსართმევადაც არ გავუჩერდებიო. ფათერკს რომ არ გადავეყარო, სასაფლაოზე გადავირბენ და მარქსის მოედანთან ალაგეზე გადავხტებიო. იმედოს სახლს ჩრდილოდასავლეთით ოღასკურას სასაფლაო ესაზღვრებოდა.

ალაგეზე გადახტა და ღელეზე გადებულ მორზე რომ გადიოდა, ძირს, თეთრ კენჭებში კუ შენიშნა, ეტყობოდა სასაფლაოს

ეზოდან ცივილიზაციისკენ მცირე ექსკურსია გადაეწყვიტა და თხრილში ჩაგორებულიყო. იმედო არ გაჩერდებოდა, კუ რომ პირაღმა არ გდებულიყო. ფეხებს და გველისნაირ თავკისერს საწყალობლად აფხარკალებდა. გადმობრუნებას ამაოდ ცდილობდა. კაი ხნის უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა კუზე დიდი იყო, რაც აქამდე იმედოს ენახა ოღასკურას სასაფლაოზე.

იმედომ ფეხსაცმელები გაიხადა, შარვალი აიკაპიწა, ღელეში ჩასასვლელი მოძებნა, კუ გადააბრუნა და გამობრუნდა.

გაჩერებასთან არც კი იყო მისული, რომ გამოტრიალდა. ისევ გაიხადა ფეხზე, აიკაპიწა შარვალი, კუ ხელში აიყვანა (საკმაოდ მძიმე ეჩვენა), ალაგეს გადააბიჯა და პრეისტორიული ცხოველი ბალახში გაუშვა.

სანამ ავტობუსი მოვიდოდა, იმედომ ისევ მოიფიქრა რაღაც. გამობრუნდა, კუ მოძებნა, გაზეთში გაახვია და შინისკენ გაარბენინა.

რასაკვირველია, დღესაც დააგვიანდა. საამქროს გამგე, – სილიბისტრო ხარაძე, ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელიც შესახედავად ფქვილის ტომრიდან ამოსულ თაგვს ჰგავდა, მაგრამ თავის ტანთან შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა ჰქონდა, კართან ელოდებოდა.

არაფერი არ მომხდარა. ვინ იცის, რა იფიქრა სილიბისტრომ, შიშისაგან წელში მოხრილი, თვალებად ქცეული წუნმდებელი რომ დაინახა, გაუცინა და გულისამაჩუყებლად წყნარად და დაყვავებით უთხრა:

– მაჯობე და ეგაა ძმაო. შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარ. დასახვრეტად მოვაწერ ხელს; შენ შენი მიზეზით დამგვიანებელი ბიჭი არა ხარ. შედი, შედი, იმუშავე.

იმედომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, თვითონაც აყოლოდა სიცილში მრისხანე გამგეს, თუ მადლობა ეთქვა და ღია კარში ედურთა თავი.

ენუქი

ეს ამბავი იმ საუკუნეში არ მომხდარა და რასაკვირველია, არც პაპაჩემს უამბნია ჩემთვის. ანდრო კეზევაძე რომ აღმასკომს თავმჯდომარეობდა, აგერ ა, გუშინ იყო. ენუქი ტყაბლაძეზე კი მე რა უნდა გითხრათ, მაგოდენა მსახიობი ქალაქ კვაისაში კი არა, დედაქალაქშიაც ბევრი არ მეგულება. ხმა რომ დაირხა, კეზევაძემ, თურმე, ენუქის ასეთი საქმე დამართაო, გამეორების კი არა, გაგონების გვეშინოდა მაშინ. ჩემს ნათქვამად ახლაც ნუ ეტყვით. ახლა მონკავშირის თავმჯდომარეა და რაღაცა ერთი ტურის ლიცენცია მერგება წელიწადში, იმაზეც უარს მეტყვის, გამიყიდის და უყარე მერე კაკალი.

ენუქი ტყაბლაძემ ოცდახუთი წელი მოათია ჯაჭვის ხიდთან, მკერავ ჯიქიას თერთმეტმეტრიან ოთახში მდგმურად. სამი ბავშვი იქვე გამოზარდა. ახლაც იქ იქნებოდა, კეზევაძე რომ არ გადაეყვანათ და ჯიქიას ბინა ქუჩის გაფართოებაში რომ არ მოყოლილიყო. რა ჩემი დახასიათება უნდა, ჩემზე კარგად იცით ყველამ, ბუნება აქვს ასეთი ენუქის. მოკალი და თავის საქმეზე ნუ მიიყვან სადმე, თავის გასაჭირს არავის შესჩივლებს. სხვისთვის, იცოცხლე, წყალში ჩადგება, მოგეხსენებათ, ქვეყანა აწუხებს. ქალაქში ტყაბლაძისთანა სახელს და გამავლობას ბევრი ვერ დაიკვეხის. ყველას პატრონი და ქომაგი ენუქია. თვითონ კი ნაქირავებში გაატარა თითქმის მთელი ცხოვრება. ამ ახალმა თავმჯდომარემ (აშენდა მისი ოჯახი) დაიბარა და პირდაპირ უთხრა თურმე, გავიგე, რომ უბინაო ბრძანებულხართ, სადაც დაადებთ ხელს, იქ მოგართმევთ ბინას ხვალვეო. გოდოგნის დასახლებაში კი არ გაუშვა, აქვე, ცენტრში მისცა სამოთახიანი ბინა. ისე იყო ენუქი უბინაობით ილაჯგაწყვეტილი, რომ არც გოდოგანზე იტყოდა უარს. მაგრამ სამართალი იქნებოდა ეეს? ამ კვაისას შესწირა კაცმა მთელი სიცოცხლე და ჯანი, ვინ გაჩერდა ჩვენს თეატრში, ცოტა ნიჭი ვინც შეატყო თავის თავს? დაჰკრავდა ფეხს და გადავიდოდა თბილისში ენუქიც და წარმოიდგინე ახლა, რა იქნებოდა ჩვენი

თეატრი მის გარეშე. კაკოია ჩაგუნავა გითამაშებდა, როგორც იტყვი, ოიდიპოსს და ურიელ აკოსტას. მოკლედ, სანამ ანდრო კეზევაძე აღმასკომი იყო, ენუქი ხშირად დადიოდა თურმე მასთან, მაგრამ, ხომ გითხარით, სულ სხვის საქმეზე, ხან ხელმოკლე მსახიობისთვის დახმარებას სთხოვდა, ხან თავისი ინვალიდი ნათესავისთვის პატარა ადგილს. ბინის სათხოვნელადაც ბევრჯერ მისულა, სხვისი ბინისთვის რასაკვირველია.

თხოვნით კი თხოვდა ენუქი, მაგრამ შენ გგონია, უკეთებდა კეზევაძე რამეს? შენ არ მომიკვდე. ანდრომ მშვენივრად იცოდა, რა ხვეწნა-მუდარით იყო მოყვანილი ცნობილი მსახიობი მის კარზე, ამიტომ ტყუილი დაპირებით და სიცილ-ხუმრობით გამოისტუმრებდა უკან. აქაოდა შენ ხომ მოჰყევი, შენი მოვალეობა შეასრულე, კაცი მოიმადლიერე, მეტი რაღა გინდაო.

ერთხელაც თურმე მთელი თეატრი დაირაზმა და მივიდა თავმჯდომარესთან – ენუქი აუტანელ პირობებში ცხოვრობს, როლის მოსამზადებელი ადგილი კი არა, ჩაის დასალევი მაგიდა არა აქვს სახლში და ბინა უნდა მიეცესო. დაიბარა მეორე დღესვე კეზევაძემ ენუქი: ქვეყანას რომ პატრონობ და შუამდგომლობ, შენ თუ ბინა არ გქონდა, ვერ თქვი, შე კაცოო? რატომ ჩამაგდე ამხელა სირცხვილში, ვინმემ რომ გაიგოს, იფიქრებს, თითქოს შენ ითხოვდი და მე არ გაძლევდი ბინასო. არავის გაუმხილო ეს ამბავი, თუ კაცი ხარ, და ერთ კვირაში ორდერი ხელში გექნებაო. ბარე ორმა კვირამ ჩაიარა იმის შემდეგ, მაგრამ, როგორც შენთვის არ მოუცია ბინა კეზევაძეს, ისე ენუქის ორდერისთვის არ შეუწუხებია თავი. ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდნენ აქტივზე თავმჯდომარე და მსახიობი ერთმანეთს, კეზევაძე მოუბოდიშებდა, კი გამოჩნდა ამ თვეში რამდენიმე ბინა, მაგრამ შენი საკადრისი არ იყო და ცოტაც მომითმინეო. ენუქიც ითმენდა, რა მეტი გზა ჰქონდა. თქვენ გგონიათ, ვერ ხვდებოდა თავმჯდომარის ქარაქუცობას? ტყაბლაძეს რა გამოეპარებოდა. ცუდს არ მკადრებენ და კარგს არ მაღირსებენო, ჩაიცინებდა, როცა ჰკითხავდნენ, ისევ ნაქირავებში ცხოვრობ ენუქიო? ერთხელ კიდევ მიადგა დარაზმული თეატრი აღმასკომს, ერთხელ კიდევ მიაყენეს თავმჯდომარე კუთხეში; სამარცხვინო ამბავი გვჭირს, ქალაქის პირველ მსახიობს ბინა არა აქვსო. კოლექტიურად მოსული მთხოვნელების შიში ჰქონდა

კეზევაძეს, თორემ თეატრი არ ეხატებოდა მაინცდამაინც გულზე, ამიტომაც ჩაიქნია ხელი და სამი დღის მერე აღმასკომმა ტაშის გრიალში მიაკუთვნა ენუქი ტყაბლაძეს ცეკავშირის თავმჯდომარის გამონაცვალი ბინა საირმის ქუჩაზე. შენ გგონია, ამით დამთავრდა ყველაფერი? არა, ჩემო კარგო, ამით ყველაფერი დაიწყო, დამიგდე კარგად ყური.

მიდის მეორე დღეს გახარებული მსახიობი თავის ახალმიღებულ ბინაში. აკაკუნებს, ისე ყოველ შემთხვევისათვის. კარის გაღებას არ უგვიანებენ. შემოსასვლელში აკვანი დგას. სასტუმრო ოთახიდან ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმის. მობრძანდით, ბატონო, სტუმარი ღვთისა�აა, ეპატიჟება „მასპინძელი“ – ოცდაათიოდე წლის სახენაყვავილარი კაცი. მისი ცოლი სკამს წმენდა-წმენდით მოარბენინებს. გაივლ-გამოივლის ენუქი თავის ბინაში და ბოლოს ამოოხვრით ეტყვის ხელდაჭდეულ დამხვდურებს – ენუქი ტყაბლაძე ვარ მეო. ვიცით, ბატონო, ვინ არ გიცნობთ თქვენო, ერთმანეთს ასწრებს ცოლ-ქმარი. ეს ბინა მე მომცა გუშინ აღმასკომმა და როგორ იქნება ჩემი საქმეო, მღელვარებისაგან პირი უშრება მსახიობს. ვიცით, ბატონო, ეს ამბავიც ცნობილია, ჩვენთვისო, – ტირილით ამბობს ცოლ-ქმარი, – ანდრო კეზევაძის ოჯახი დააქცია ღმერთმა. რვა წელია გვატყუებს, თავშესაფარიც კი არ გაგვაჩნია, სამი ბავშვით ოთახსაც არავინ გვაქირავებს. რა გვექნა, რა წყალში გადავცვენილიყავით, ავდექით და ჩავიდინეთ ეს უღირსი საქმე. წუხელის შუაღამეზე გავტეხეთ კარი და შემოვცვივდით ამ ბინაში. თქვენ ყველაფერს ვერ გეტყვით, ბატონო, როცა იქნება, გაირკვევა ჩვენი სიმართლე. ახლა, თუ ჩადგებით ჩვენს ცოდვაში და ამ სამი თოთო ბავშვით გაგვყრით ქუჩაში, თქვენს კისერზე იყოს ჩვენი ცოდვა, თუ არა და ჩვენ ვიკითხოთ, თორემ თქვენ სახელოვანი კაცი ხართ, ხვალვე მოგიძებნიან სხვა ბინასო.

რა უნდა ექნა ტყაბლაძეს? სამი ბავშვის გარეთ გამგდები იყო ენუქი? გამოტრიალდა და მიადგა ისევ თავმჯდომარეს; თუ კაცი ხარ, ცოდვას ნუ შემამთხვევ, ანგელოზივით ხალხი ცხოვრობს იმ ბინაში, ჩემზე პატარა ბავშვები ჰყავთ, ამ სიცივეში სად წავლენ, იქნებ სხვა ბინა მომცეთ როგორმეო. რას ჰქვია სხვა ბინაო?! ყასიდად დაიქუხა თურმე კეზევაძემ. ახლავე მილიციის ძალით გამოვყრი გარეთ მაგ არამზადებსო.. ენუქის

ბინის მიმტაცებლების გვარი რომ გაიგო, თავის დავთარში ჩაიხედა, ცოტა ხმას დაუწია: – ისე რვა წელიწადი რიგში არიან, მაგათაც ეკუთვნის ბინა, იქნებ პროკურორმა გამოსახლების ორდერზე ხელი არც კი მოგვიწეროსო. გაეხარდა ტყაბლაძეს, ჰოდა აგაშენა ღმერთმა, ნუ გამოასახლებ, მათი საცოდაობით ვერ გაიხარებს იმ ბინაში შემსვლელიო. ახედავს ჭერს თურმე ანდრო კეზევაძე, რა გიყო აბა, შენო? უნდა მომითმინო ცოტა ხანს და აღმასკომის გადაწყვეტილებით ბინა მაინც მოცემული გაქვს, ამ დღეებში გავახაზირებთ რამესო.

მოთმენა-მოთმენაში ორი წელი გავიდა. დაირაზმა ისევ თეატრი და ეახლა თავმჯდომარეს. შუბლში იტკიცა თურმე ხელი კეზევაძემ; როგორ მომრჩა ენუქის ბინის საქმეო. ცოტა არ იყოს, თავიც კი იმართლა. მივეცით ერთხელ ბინა, ჩემო ბატონო, მაგრამ სხვამ შეასწრო და რა ჩვენი ბრალიაო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მისცეს მეორედ ბინა ენუქი ტყაბლაძეს. ამჯერად გოჭოურაზე, საკირესთან, ახალაშენებულ ოთხსართულიან სახლში. მიაქვს ფრიალ-ფრიალით ორდერი, სახლმმართველიც გაიყოლია, ეშმაკს თვალი არა აქვსო, ისე ყოველ შემთხვევისათვის მიადგა თავის ბინას. კარი ღია დახვდა. მრავალჟამიერი მოისმის ისეთი, რომ ჭერი ჩამოაქვს დაბლა. შეყო თავი სასტუმრო ოთახში სახლმმართველმა და გველცემულივით გამოტრიალდა – ათამდე კაცი ზის და ქეიფობს, როგორ მოვიქცეთო ენუქიმ პირის გაღება ვერ მოასწრო, სტაცეს ხელი ორივეს და შეარბენინეს. ენუქის შესვლისას შეწყდა სიმღერა და მასპინძელი (ნოტარიუსის ძმა, ტაქსის მძღოლი გელა იაშვილი) ლალისფერი ჭიქით ხელში სადღეგრძელოს ამბობს. „– ბედნიერი კაცი ვარ, ჩემი ბინის მიღების ამბავი ჩემს უსაყვარლეს არტისტს ბატონ ენუქისაც შეუტყვია და მოსალოცად მოვიდაო“. ჰაი იქეთ, ჰაი აქეთ, აჯახეს შენს ენუქის ოთხი-ხუთი ჭიქა, არის პირზე კოცნა და მადლობა – ქათინაურის ნიაღვარი – შენხელა მსახიობი ჩემს გვარსაც კი არ წვევია მიდღემჩიო. სხვა რომ ყოფილიყო შენს ადგილზე, არც კი გაახსენდებოდა საწყალი ტაქსის შოფერი, არც კი იკადრებდა ჩემს ღარიბულ სუფრაზე მოსვლას და ჩემი ოჯახის დალოცვასო. მოკლედ, სხედან და ქეიფობენ ენუქი და სახლმმართველი. რა ჰქმნან? იტყოდი შენ ასეთ ვითარებაში, ბინა ჩემია და დაცალეთ ახლავეო? ვერ იტყოდი. გვიან რომ აიშალნენ და, კიბეზე ჩამოდიოდნენ, მასპინძელი დაეწია ტყაბლაძეს, ხელკავი გამოსდო და განზე გაიყვანა, – ვიცი, ბატონო, ენუქი, ყველაფერი ვიცი, სირცხვილით ვიწვი, რომ გიყურებთ, მაგრამ ანდრო კეზევაძეს დააბრალეთ ყველაფერი. ანდრომ ჩამაგდო ამ დღეშიო. დიდი ხათრი და სიყვარული მაქვს თქვენი, მაგრამ ცოცხალი თავით ვერ გამოვალ ამ ბინიდან და მკვდარს თუ გამიყვანენ, არ ვიციო. ვიფიქრე, ვიფიქრე და ასე გადავწყვიტე. უნამუსოები არიან მაგენი და უნამუსო ვირს უნამუსო პალო უნდა, ხომ იცით თქვენო. აღარ გაძღა კეზევაძის მუცელი. ჩემნაირ უსახსროს და უპატრონოს ბინას არ აღირსებს კანონიერად აღმასკომი. მშვენიერ კარგად ვიცი მეო. ძალით რომ ვინმემ მომინდომოს გამოყვანა, ერთ ორ კაცს თავს წავაცლი იცოდეთ და კეზევაძემ ზიდოს მერე იმათი ცოდვაც და ჩემი ობლების ცოდვაცო.

მეორე დღესვე ეახლა არტისტი აღმასკომის თავმჯდომარეს. კეზევაძემ იცოდა, რაც მოხდა და ერთი შეხედვით შეწუხებული ჩანდა. – ვერ გავიგე, რაშია საქმე. რაღა თქვენს ბინაზე მოგვდის ასეთი უსიამოვნებაო. გამოვათრევთ ახლა მაგ უნამუსო იაშვილს მილიციის ძალით, მაგრამ თქვენი ურთიერთობა მაფიქრებს მომავალშიო. ერთი თავზეხელაღებული კაცია, არ გადაგეკიდოთ, შეურაცხყოფა არ მოგაყენოთ, თქვენს ბავშვებს არაფერი მოსწიოს ქუჩაშიო.. მაგნაირი ხვადაგი ყველაფერს იკადრებს, ხომ იცით თქვენო.

დაფიქრდა ენუქი. ბინა მივიღო და შიშის კანკალით ვიცხოვრო შიგო? ინტელიგენტი ყველა ასე იტყვის. საჩხუბრად და სადავიდარაბოდ სად სცალია მსახიობ კაცს. რა ვქნათო, ჩააცივდა კეზევაძე – დავურეკო მილიციას, გამოვყაროთ ქუჩაში იაშვილებიო? ო, რა მელაა თავმჯდომარე? იცის, როგორ არ იცის ტყაბლაძის პასუხი, მაგრამ თავს იზღვევს. რომ რამე იყოს, თქვენ არ მითხარით ასეო? გაახსენებს. კი, ბატონო, რაკი ასეა, გაუფორმეთ ეს ორდერი გელა იაშვილს და დავიცდი ცოტა ხანს, რა ვქნა, ამნაირი იღბალი მქონიაო, ჩაიქნია ხელი ენუქიმ.

გადის წელიწადი. როგორც შენთვის არ დაურეკავს არავის: მოდი და ჩაიბარე ბინაო, არც ტყაბლაძე გახსენებიათ აღმას-

კომში. აატალახა თეატრმა ერთხელ კიდევ კეზევაძის კიბე, ერთხელ კიდევვ მოაგონეს თავმჯდომარეს, ქალაქის პირველი არტისტის გაჭირვება და როგორც იქნა, დაადგა საშველი. ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში, კინო „ქრონიკის“ წინ გამოუყო აღმასკომმა ენუქი ტყაბლაძეს მეყვავილე სამსონ წამალაძის მიერ გამონთავისუფლებული ბინა.

აღმასკომის სხდომა ხვალ რომ არის, დღეს მიადგა თავის ბინას ენუქი. სიხარულით ცას ეწია – ბინა ცარიელი დახვდა. დურგალი მოძებნა და გასაღებიც კი თავისი დაადო, გული დაიიმედა, რა ვიცი, ხვალამდე რა მოხდებაო. სხდომა რომ დამთავრდა, პირზე კოცნით გადაუხადა მადლობა კეზევაძეს. რისი მადლობა ჩემო ენუქი, პირიქით ბოდიშს გიხდით, რომ ამდენ ხანს დაგიგვიანეთო. ვერ წარმოიდგენ, შენზე უფრო გახარებული მე ვარ, რომ ასე კარგად დამთავრდა ყველაფერიო – ეუბნება თავმჯდომარე და ხელს მაგრად ართმევს.

ფრთებშესხმული გამორბის თავისი ახალი ბინისკენ ტყაბლაძე. დამთავრდა მისი საბინაო ბასტილია.. შევა და იცხოვრებს მშვიდად და მოსვენებით. კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო. მოარგო გასაღები ენუქიმ თავისი ბინის კარს, გადაატრიალა, მაგრამ კარი არ იღება. სინჯა მეორედ, შიგნიდანაა აშკარად დაკეტილი. დააკაკუნა.

– ვინ ბრძანდებით? – ქალის ხმა მოესმა.

– გააღეთ ერთი წუთით. – ენუქის ჟრუანტელმა დაუარა.

– ვერ გაგიღებთ, ჩემმა ქმარმა არავის გაუღოო, არ გეწყინოთ, ბატონო, ვინ ბრძანდებით?

– ენუქი ვარ მე, ტყაბლაძე.

– კეთილი და პატიოსანი, – ქალს ცივი და უხეში ხმა ჰქონდა: ენუქის შეტყობით იგი ორმოც წელს კარგა ხნის გადაბიჯებული უნდა ყოფილიყო – რა გნებავთ?

– მე რა მნებავს, თუ თქვენ რა გნებავთ ჩემს ბინაში, ქალბატონო! – მსახიობს ტუჩები გაუშრა სიბრაზისაგან.

– ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკე, ენუქი ხარ თუ ყვაპუტა. რას ჰქვია შენი ბინა. ყველაფერი თქვენ გინდათ, ჩვენ არაფერი არ გვეკუთვნის ამ ქვეყანაზე? – ხმას აუწია ქალმა.

– ქალბატონო, მე ორდერი ხელში მიჭირავს. მე მსახიობი ტყაბლაძე ვარ.

– ვიცით, ბატონო, მსახიობების და მომღერლებისაა დღეს ქვეყანა. ყველაზე კაი ბინა თქვენ, ყველაფერი სიკეთე თქვენ. ჩვენ, უბრალო ხალხმა აღარ ვიცხოვროთ კვაისაში? წასულია ახლა ჩემი ქმარი აღმასკომში და გაარკვევს ყველაფერს. ეს ქვეყანა ჩალით არაა დახურული. ექვსი წელიწადია გვატყუებენ. დღეს-ხვალ! დღეს-ხვალ! აღარ გათავდა მაგათი დღეს-ხვალ, მაგათ გაუთავდა პირში სული! ასე დამიწყევლია.

ენუქის ცივმა ოფლმა დაასხა, თვალთ დაუბნელდა და ჩაიკეცა. გონზე რომ მოვიდა, წელმოწყვეტილივით წამოდგა და კიბეს ლასლასით ჩამოუყვა.

სასოწარკვეთა ედგა თვალებში. კონსტიტუციის ქუჩაზე მოაბიჯებდა. ტანში სტეხავდა, ეჩვენებოდა, რომ ამხელა ქალაქში სულ მარტო დარჩა. არავინ იყო მისი შემწე და გვერდით ამომდგომი.

– არ მითხრა ახლა, კიდევ შემასწრო ვიღაცამო, თორემ გავგიჟდები! – თავისი კაბინეტის კარში დახვდა კეზევაძე.

– ასეა კი, – ამოიოხრა ტყაბლაძემ და მოსაცდელში კედელს მიეყუდა.

– შემოდი, – შეიპატიჟა თავაზიანმა თავმჯდომარემ.

– რა მინდა, რომ შემოვიდე, – წელმოწყვეტით მოშორდა ენუქი კედელს და კაბინეტში შეაბიჯა.

ერთხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. სიჩუმე ისევ მსახიობმა დაარღვია.

– გამაგებინე, რა ამბავია ჩემს თავს, ანდრო ბატონო.

– მე მეკითხები? გასაყეყეჩებელია პირდაპირ, – განზე გაიხედა ანდრომ.

– აბა, ვის ვკითხო?

– რა გინდა ჩემგან, ძმაო? სამჯერ მოგეცით ბინა? მოგეცით. დასაწუნი და უვარგისი ბინები მოგეცით? თქვი ვაჟკაცურად. შენ ბინის იღბალი არ გქონდეს, რა ჩემი ბრალია. ვერ შეხვედი წუხელის შენს ბინაში? მე ჩემი გავაკეთე, ჩემო ენუქი. ახლა მე ვერავის დავპირდები; მე, აღმასკომის თავმჯდომარე, მოვიკიდებ ზურგზე კარადას და თვითონ შევუტანთ ახალმოსახლეს ბინაში-თქვა. ასეა, ეს – ისე ხმამაღლა და ყალბი გულწრფელობით ლაპარაკობდა კეზევაძე, რომ საქმეში ჩაუხედავი

კაცი იფიქრებდა, რას ერჩიან, რას აწვალებენ, რა უნდათ ამ მართალი კაცისაგანო.

– ესაა შენი სიტყვა?! – სიბრაზისაგან ყელი გაუშრა ტყაბლაძეს.

– რა გინდა, ძმაო, მითხარი. რა გზას დავადგე, მითხარი, და ყველაფერს ვიზამ. რა გახდა ეს შენი ბინა, ბოლოს და ბოლოს. მეტი არაფერი მომკლავს, ვიცი, მე. შენი ბინა ჩამიქცევს ტვინში სისხლს, – ლამის ტირილით თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ. მაინც რა არის ზოგიერთი, როგორ შეუძლიათ, კაცო, ამხელა ქარაქუცობა. ენუქი ხომ მსახიობი იყო, – ენუქიც მოტყუვდა, იქნებ მართალია ეს კაცი და რას ვერჩიო.

– თქვენ კარგად იყავით, ანდრო ბატონო, ნუ დაიხოცებით ჩემი ბინისთვის. არ მინდა, არაფერი თქვენი აღარ მინდა. გავძლებ, როგორც გავძელი აქამდე. უსაშველო ჩემს მტერს დაემართა.

წამოდგა ენუქი, მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა კაბინეტიდან. დამშვიდობება რა არის, არც კი დამშვიდობებია გულგახეთქილ თავმჯდომარეს.

ჯაჭვის ხიდთან, აბანოს წინ, ვიღაც წამოეწია.

– ბატონო ენუქი!

ენუქი შეჩერდა. მის წინ უქუდო, ურჩქოჩრიანი, წითური კაცი იდგა – დაბალი, ჩაკირული, სახედამჭკნარი.

– მე გახლავართ ერასტი მაჩიტაძე. თქვენ არაფერს გეუბნებათ ეს გვარი. ვიცი. ა, ბატონო, ნახეთ ჩემი ხელისგულები. საკონსერვოში ვმუშაობთ ორივე ცოლ-ქმარი. არც მთლად ასეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ. თქვენს ბინაში მართლა ყაჩაღურად არ შევსულვართ. არ იფიქროთ, ბატონო, ეგ ამბავი, ჩვენს გამოსახლებას რა უნდა, მაგრამ არ იზამს ამას კეზევაძე და რატომ არ იზამს, ქე მიხვდებით მაგდენს თქვენ. თუ სადმე ტრიალებს ის ამბავი, ამ ბინის საქმეში ტრიალებს, ასეა ეს. მივეცით. არ გვქონდა სხვა გზა. თავისი შოფერი გამომიგზავნა წუხელის გვიან. მარტო იყო კაბინეტში. ერასტი, წახვალ ახლა და ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში სამსონ წამალაძის გამონთავისუფლებულ ბინაში შეხვალ. არ დაგასწროს ტყაბლაძემო. ნუ მიზამ ამას-მეთქი. ვეხვეწე, ოღონდ ენუქი ტყაბლაძეს ნუ დამაჯახებ და კიდევ მოვიცდი ცოტას-მეთქი. რასაც გეუბნები,

ის გააკეთე, თორემ, ა, შენი ფული და წადი, სადაც გინდაო. რა მექნა? კი, მაგრამ... მე ვუთხარი, სიტყვა არ დამამთავრებინა. მე ვიცი, რასაც ვაკეთებო. ერთი-ორი დღე მაგრად დახვდით არტისტს და მერე ყველაფერი ჩაწყნარდებაო. გამოცდილი გვყავს ასეთ საქმეში ენუქი ჩვენო. ა, სიმართლე თუ გინდათ, ასეა ეს ამბავი, თქვენ ბრძენი კაცი ხართ და მე მეგონა ყველაფერი იცოდით. ამდენხანს უნდა მიმხვდარიყავით ამ ამბავს. უქრთამოდ ამხელა ბინას კი არა, საჩეჩმე ადგილს არ იძლევა ანდრო კეზევაძე.

ენუქი დუმდა. იგი შორს გაჰყურებდა წვიმიან ქუჩას და ფიქრობდა იმ თეთრ ყვავზე, ბავშვობაში სიზმრად რომ ენახა.

– მე რატომ მითხარით ეს ყველაფერი? – წვიმისთვის თვალი არ მოუშორებია მსახიობს.

– ორი მიზეზის გამო, ბატონო ენუქი, ჯერ ერთი, მე მარტო რომ არ ამკიდო სირცხვილის ტვირთი ამ საქმეში და კეზევაძე იცოდე რა კაცია. მეორეც – შენ შპიონი და უბედური კაცი არა ხარ და ახლა, როცა იცი, რომ ეს ბინა ათი წლის კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფული მიზის, არ ჩადგები ჩემი ოჯახის ცოდვაში. არ იბრძოლებ ჩემს გამოსასახლებლად.

ენუქი კარგა ხანს იდგა მდუმარედ. მერე ამოიხვნეშა, თავი დახარა, მოუხედავად გაუწოდა ხელი უცნობს, კარგად იყავიო, უთხრა და წავიდა.

თავის ნაქირავებ სახლში დაბრუნდა. აბა, თქვენ როგორ ფიქრობთ, სად წავიდოდა? იცოდა, ნერვების გლეჯის მეტს ვერაფერს გახდებოდა. კეზევაძესთან ჩხუბის და დავიდარაბის თავი აღარ ჰქონდა. გაეგონა – ვირი რომ შენი უფროსი იყოს – აჩი-აჩის ნუ ჰკადრებო. არც ჰკადრა. სანამ კეზევაძე თავმჯდომარედ იყო, ენუქი აღმასკომს არ გაჰკარებია.

ყვავები

შუაზამთარია

მზე ეს-ესაა თვალს მოეფარა და ხვამლის წვერზე ცა მეწამულად შეიღება, მნათობის ჩასვენებით ქვეყანას სითბოს მხრივ არაფერი დაკლებია, მთელი დღე აგზავნიდა ალმაცერ სხივებს, მაგრამ ყინვას ვერა მოუხერხა, ეგ არის, მზე რომ ანათებს ცაზე, მაინც რაღაცა იმედია, თორემ სხვა მხრივ რა უნდა გააწყოს მაღლაკის უსაშველო ქართან და უღმერთო ყინვასთან, ხატსაც რომ ფეხის აპკებს წააყინავს.

ტყისპირა ჭალაში, ძეძვსა და ქაცვს თაგვისფრად რომ მოუჭამია, ჯვარივით აღმართულ გამხმარ თხმელაზე ორი ყვავი მოჩანს. ყვავებს ზამთარში ერთად ყოფნა უყვართ, მაგრამ ამჯერად ახლომახლო სხვა ყვავები არ ჩანან. რაშია საქმე, ვერ გეტყვით.

– ამ დალოცვილ ბუნებაში ტყუპი ყვავილებიც არ ჰგვანან ზუსტად ერთმანეთს. ეს ყვავები კი, არც მეტი არც ნაკლები, ცოლ-ქმარი გახლავან, კარგად რომ დააკვირდებით, მამა ყვავი გაცილებით უფრო დიდია დედაზე. ღონიერი ფრთები კურტანივით მოუჩანს ზურგზე და ნეკა ჭვანგზე ორით მეტი ნაჭდევი აქვს, ვიდრე სოფლის დედაბერივით გალეულ დედა ყვავს, ქარის ყოველ დაქროლებაზე ნაცრისფერი ბოლო მაღლა რომ აეწევა და ტოტზე თავს ძლივს იკავებს.

დღე ისე მიილია, რომ ყოველდღიური საზრუნავით გართულ ყვავებს ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ. რა უნდა ეთქვათ? რომელი ახალყოილნი ესენი მყვანან, ორას ორმოცდათერთმეტი წელი ახლახან, რვა ენკენისთვეს შესრულდა, რაც დაქორწინდნენ. ბარემ აქვე გავამხელ, რომ მამა ყვავისათვის ეს მესამე ქორწინება გახლდათ. პირველი ორი მეუღლე მეთვრამეტე საუკუნის პირველსავე დეკადაში დაეხოცა სახადით. ისტორიის მცოდნე მკითხველს ეცოდინება, ოსმალების მიერ დაპყრობილ ქუთაისში შავი ჭირი რომ გაჩნდა. ჟამმა მაშინ ოსმალოთა (შავი ჭირის შემომტანთა) გარდა უდანაშაულო ქართველიც ბევრი იმსხვერპლა და პოლიტკისაგან სრულიად თავისუფალ ყვავებსაც დარია ხელი.

ყვავები ახლაც ჩუმად იქნებოდნენ, მამა ყვავს, ფრთას რომ იქექავდა, ასიოდე მეტრზე მათკენ მიმავალი კაცი რომ არ შეემჩნია. კაცს თხის ტყავისაგან შეკერილი ჯუბა ეცვა. თავშიშველი იყო და რაც მამა ყვავს ყველაზე მეტად არ ესიამოვნა, ხელში თოფი ეჭირა, ქაცვებს ხელით სწევდა, წელში მოხრილი, კატის ნაბიჯით მოდიოდა და გულით ცდილობდა, ყვავებისაგან შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

– მითხარი ერთი, თუ ქალი ხარ, ჭკუა აქვს ახლა იმას?

მამა ყვავს მონადირისთვის თვალი არ მოუცილებია.

– ვის? – დედა ყვავმა ჯერ მეუღლეს შეხედა და მერე იქით გაიხედა, საითკენაც თანამეცხედრის კეხიანი, ქარწვიმისაგან ფერგადასული ნისკარტი იყო მიმართული.

– ესღა გვაკლდა.

– მიკვირს და გამკვირვებია: ხორცი არ იჭმევა ჩვენი და ძვალი, ეგ თუ მონადირეა, არ უნდა იცოდეს, რას სდიოს? – აღშფოთებას ვერ მალავდა მამა ყვავი.

– მონადირე აბა! მონადირე ამ გახრეკილ ჭალაში დაიღლის თავს, ვიღაცის სტუმარი იქნება, თოფს სტაცა, ალბათ, ხელი და თავს იწონებს.

– ჩვენგან რა უნდა? ყვავის მოკვლა რა ბიჭობაში ჩაეთვლება.

– იქნებ ცოდვას ჩავდივართ, შაშვზე მონადირეა და ჩვენთან საქმე არა აქვს? – დედა ყვავი ხავსს ჩაებღაუჭა.

– რა გულუბრყვილო ხარ, შე ქალო, გესვრის ის კაცი და მერე დაიწყებს თავში ცემას: შემშლია, ყვავი აღმოჩნდაო. შეხედე ერთი, ნახე, როგორ გვითვალთვალებს და რა დიდი ამბით იმალება.

– კი, კი, ჩვენ გვეპარება ნამდვილად, ეგ ისეთი ცხვირპირის პატრონი ჩანს, რომ სულერთია, რას ესვრის.

– მამა უცხონდა. ერთ ბუმბულს ვერ წაიღებს, გუშინდელი ღლაპის წერა თუ გავხდი, წინ ყოფილა ჩემი საქმე. მაგან ახლა გაახილა თვალი და მე თითქმის სამასი წელია ამ ქვეყანას ვუმზერ.

– არ გავფრინდეთ? თოფი არ გამართოს, ღმერთი არ გაუწყრეს. – შიშით იკითხა დედა ყვავმა.

– ნუ გეშინია, ორლულიანი „ტულა“ უჭირავს ხელში, სამოც ნაბიჯზე, რომც მოგხვდეს, ბუმბულსაც ვერ აგიტრუსავს.

– რატომ იცი ასე შეთამამება, თოფისწამლის სუნი არ გეზარება? მე ჩემი მემართება, ქუხილს რომ გავიგონებ, რამდენ კა-

ლიბრიანი თოფი აქვს თუ იცი?

– ვერ ვარჩევ, თვალს დამაკლდა. ბავშვი კი აღარა ვარ, – სინანულით მიუგო მეუღლემ.

ისინი, თითქოს ნიშანი მისცესო, ერთდროულად აფრინდნენ. წინ მამა ყვავი მიფრინავდა, წაგრძელებული, ფრთებს ხანდახან ისე გაატკაპუნებდა, თითქოს ძელსა ჰკრავსო, უეცრად მოწყდა და ძეწნის შიშველ ტახტზე დაეშვა. ინერციით წინ წასულმა დედა ყვავმა კამარა შეკრა და მეუღლეს გვერდით მოუსკუპდა.

– შენ გგონია ვერ დაგვინახა? – დედა ყვავი დღეს რატომღაც კამათის გუნებაზე იყო, თორემ სხვა დროს თავისი ნაცადი ქმრის გადაწყვეტილებას განსჯის ქურაში არ ატარებდა.

– რომ გვხედავს, მეც იმიტომ შევჩერდი, ნუ მეწეპები, თუ ქალი ხარ, – ოჯახის უფროსმა გულგრილად გამოხედა თვალებჩაცვენილ მეუღლეს და ძეწნის ტოტს ბოლოში მოექცა.

დედა ყვავს არაფერი უთქვამს, მან მშვენივრად იცოდა, რომ ორსაუკუნე-ნახევრის განმავლობაში ერთი და იგივე ყვავის კი არა შეიძლება ფარშევანგის ყურებაც მოგწყინდეს.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ და ჩირგვებში წახრილ, მათკენ მიმავალ მონადირეს გახედავდნენ ხოლმე.

– ნუ იცი ხოლმე ბავშვივით ამჩატება, ამ ღლაპს უყადრებ თავს? გავფრინდეთ ეგერ წყალგაღმა და რომ წაშავდება, მივბრუნდეთ მერე. – წუწუნებდა დედა ყვავი.

– არა. ასე უნდა ვაწვალო მთელი საღამო, უნდა მოვშალო ნერვებზე და მუხლები გადავატყავებინო ქაცვებზე ბღოტიალით, – დაიქადნა მამამ.

– რაი მერე?

– რაი და მიხვდება ერთხელ და სამუდამოდ რომ ყვავს ასე იოლად ვერ მიეპარები. ჭკუას ისწავლის.

– შენ უფრო ირთობ თავს, ვიდრე ეს მონადირე. რა გეზარება, შე კაცო, ტანის აწევა. გადავფრინდეთ იმ ნაპირზე. გაღმა რომ დაგვიგულებს, ხელს ჩაიქნევს და წავა.

– მე აქ დავიბადე. არსადაც არ მივფრინავ. მაგნაირი ახალგამომცხვარი მონადირეებისათვის ამიბნევია თავგზა? – მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა მამა ყვავმა.

ამასობაში მონადირის ხუჭუჭა თავი თხმელისჯვართან გაილანდა. ყვავები აფრინდნენ და იქვე, ასიოდე მეტრის დაშორებით ჩაეშვნენ ეკალ-ბარდებში.

თოფიან კაცს სიბრაზისაგან ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ეკლისაგან სისხლდადენილ მარჯვენა ხელის ზურგზე ცხვირსახოცი დაიხვია და ნეღანდელზე უფრო ჩამჯდარი გაცოცდა ყვავებისაკენ.

ბებრები შვინდის გამხმარ ტოტზე აიწონ-დაიწონას მოთამაშეებივით ირწეოდნენ.

– ფრენის დროს პირი რატომ გაქვს ღია? – სიჩუმე დედა ყვავმა დაარღვია.

– არ ვიცი, არ დავკვირვებივარ, – მამალმა იცრუა. ამ ბოლო დროს ფრენისას კი არა, ხეზეც ზეზეულად რომ ჩათვლემს ზოგჯერ, ქვედა ნისკარტი ჩამოუვარდება, სხვა ყვავებმაც შენიშნეს. იქნებ ასაკის ბრალიც იყოს.

– ერთს ვიტყვი მე... – დედა ყვავმა კისერი დაიმოკლა და თავი ბუმბულში თითქმის ჩამალა.

მამა ყვავს არაფერი უთქვამს, რადგანაც თავისი მეუღლისაგან დიდად ჭკვიანურს არას ელოდა.

– საქმე ის იქნება, მაგ ჩვევნს მონადირესაც თუ ეპარება ახლა ვინმე. მაგასაც თუ აქვს ზურგში დამიზნებული სხვისი თვალები.

– რას ფილოსოფოსობ? – მამა ყვავმა ლამის ხოხვით მომავალ მონადირეს გახედა.

– არც ეგ იქნება, ნუ გეშინია, გაშვებული თავის ნებაზე. მაგათაც თავისი კონტროლი და დამჭერი ჰყავთ. ადვილი შესაძლებელია, უთვალთვალებდეს ახლა ვინმე, ამ წუთში.

– ადე, ადე ავფრინდეთ, თორემ სანამ მაგას ჩამოართმევდნენ თოფს და ყურში ხელს მოკიდებდნენ, ორივეს დაგვსვამს ნიშანზე და უყარე მერე კაკალი.

ყვავები ზანტად აფრინდნენ და ისევ თხმელის შავ ჯვარს მიაშურეს.

მონადირე გულს არ იტეხდა. წელში მოკაკვული, ტალახში ამოსვრილი, ხელებდაკაპიწებული, თვალებანთებული ეპარებოდა ყვავებს. ხანდახან ქაცვს ამოეფარებოდა და სულს მოითქვამდა. დარწმუნებული იყო, რომ ბიბლიური ფრინველები ვერ ამჩნევდნენ და მით უფრო უკვირდა: რაღა სწორედ მაშინ აფრინდებიან, სასროლ მანძილზე რომ მივუახლოვდებიო.

პეპე

თხას მსუბუქად ეცვა: რქებს შორის მწვანე ხავერდის ჩაჩი, ზურგზე თასმებით შებმული, მკერდზე ჩამოფენილი ვერცხლისფერი მედალიონი, უკანა ტანი, ყოველი შემთხვევისათვის, ყვითელი ტყავის ქამრით ჰქონდა აკრული და ოთხივე ფეხზე, ჩლიქებთან, წითელფოჩიანი ზონრები მამლის დეზებივით უჩანდა.

ქვევით, მსახიობთა სამყოფლოში, ტაბლოზე წარწერა – „გაწვრთნილი თხა“ რომ აინთო, ევგენი ლოლაძემ ერთგულ პირუტყვს წვერში მოკიდა ხელი, ვიწრო გვირაბით მაღლა აიყვანა და მანეჟის შესასვლელთან, კუთხეში მიდგა.

აკრობატებმა – ლუდმილა ხოროტოვამ და სერგეი კოსტუჩენკომ თავიანთი ნომერი დაამთავრეს და ისინი ორკესტრის გრიალში ჰაეროვანი კოცნებითა და ტანის მსუბუქი რხევით კულისებში გავიდნენ. ახლა თურქმენი მოჯირითეები შეგრიალდებიან მანეჟზე. ევგენიმ თხას კისერზე ხელი მოხვია და მუცელზე მიიკრა. ვერ იქნა, ვერ მიეჩვია, ნესტოებდაბერილი, არაბული ულაყების დანახვაზე თხას უსიამოვნოდ გააჟრჟოლებს ხოლმე. მოჯირითეთა კვალს კლოუნები შეჰყვებიან, ამასობაში სტატისტები მანეჟზე ტაბურეტს, ვიწრო ფიცარნაგსა და ალუმინის რგოლს შეიტანენ და დიქტორი ეგზალტირებული ყვირილით ჩასძახებს მიკროფონს: „საუკუნის სასწაული! გაწვრთნილი თხა! ცირკის ხელოვანთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ევგენი ლოლაძე!“

კლოუნების – მირგულინისა და ადამიას გამოჩენამ ახლაც ოვაცია გამოიწვია. განსაკუთრებით ბავშვებს, მოხუცებს და მილიციელებს უყვართ ისინი. სანამ ცირკში დაიწყებდა სამსახურს, ევგენი კლოუნებზე მაინცდამაინც მაღალი წარმოდგენისა როდი გახლდათ. პატარა, მაგრამ ძველთაძველ ქალაქში, სადაც იგი გაიზარდა, „კლოუნი“ სალანძღავ სიტყვად ითვლებოდა. ახლა კი, თუ ვინმესთან ძმაკაცობს ევგენი ლოლაძე ამ ხალხმრავალ თეატრში, სწორედ რომ კლოუნებთან.

მხიარული ჟანრის მესვეურები (მცირე გამონაკლისის გარდა) ცხოვრებაში უაღრესად სერიოზული და ავკარგიანი ხალხია.

...მირგულინმა ჯიბიდან ორი სუფრის კოვზი ამოიღო და ერთმანეთს ისე კოხტად გაუკაკუნა „კალინკა მაიას“ მოტივზე, რომ მაყურებელმა ტაში ააყოლა. ცირკის პირველმა კლოუნმა კი ცეკვა დაიწყო.

დღეს მირგულინმა ევგენი ლოლაძისგან სამი თუმანი ისესხა. უჭირს მირგულინს. ახლახან მრავალშვილიანი ქალი შეირთო და ორი დაოჯახებული გერის რჩენაც მას დააწვა კისერზე.

სასტვენის ხმა გაისმა. ადამიამ შუბლთან მიიტანა ხელი და კოვზებიან მუსიკოსს განუცხადა, რომ იგი კონცერტის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის. მირგულინმა მორჩილად გაუწოდა ორი კოვზი „წესრიგის დამცველს“. ადამია კულისებისკენ გამოტრიალდა თუ არა, მირგულინმა ჯიბიდან ორი სხვა კოვზი დააძრო და ისევ აუყენა რაკარუკი. ადამიამ ის კოვზებიც ჩამოართვა „ხულიგან კლოუნს“ და დაიმედებულმა იმით, რომ „უმსგავსობა ალაგმა“, ენერგიული ნაბიჯით გასწია გასასვლელისკენ. ახლა გულის ჯიბიდან ამოიღო მირგულინმა კოვზები. აღშფოთებული ადამია კოვზების ჩამორთმევას განაგრძობს. მეექვსედ რომ შემობრუნდა მანეჟზე მოთმინებადაკარგული ადამია, მირგულინს „ნერვები მოეშალა“ ნახერხმოყრილ იატაკზე კოვზების დაყრა დაიწყო. ცვივა და ცვივა გაუთავებლად სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოვზი. მაყურებელი ლამის გაიგუდოს სიცილისაგან. ბოლო ორი კოვზი მირგულინმა ჩაჩიდან გამოაძრო და იატაკზე გაჩენილ კოვზების გორას დაუმატა. ევგენის აღარ ახსოვს, მერამდენედ უყურებს ამ ნომერს, მაგრამ ყოველთვის ეცინება. სიცილი მასთან კოვზების მეხუთე კონფისკაციის დროს მოდის და ბოლოს ცრემლსაც კი იწმენდს, როცა წარმოიდგენს, რა ერთგულებით ილაგებს ხოლმე ჯიბე-უბეში მირგულინი კოვზებს, სტატისტ ქალს დიდი წითელი ჩანთით რომ შეაქვს მის საგრიმიოროში.

მირგულინი გარბის, ადამია სტვენით მისდევს. ახლა ორ წრეს დაარტყამენ, მერე პირდაპირ ევგენისკენ გამოიქცევიან, მირგულინი მხარზე ხელს დაჰკრავს ლოლაძეს, ადამია თხას გადაუსვამს ზურგზე ხელს, კონფერანსიე გამოაცხადებს, ორკესტრი ახალი ძალით აჟღერდება და: „პეპე, წავედით!“

ცირკის ხელოვანთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ევგენი ლოლაძე და მისი გაწვრთნილი თხა თითქმის ერთდროულად შევარდნენ მანეჟზე. ლაურეატმა თხა წინ გაატარა, მისი ასაკის კაცისათვის საკმაოდ მსუბუქად გადახტა მარცხნივ და ხელები გაშალა. ცირკის ყველაზე ნორჩმა მაყურებელმაც კი მშვენივრად იცის, რომ ხელების გაშლას ტაში უნდა მოჰყვეს. წამში ევგენმა მარჯვნივ ისკუპა და კვლავ გაშალა ხელები. შავი, უკან მერცხლის ბოლოსავით გაჭრილი ფრაკი აცვია, ლაქის ჭრაჭუნა, მისი ფეხისათვის ოთხი-ხუთი ნომრით მეტი ფეხსაცმელი, მარცხენა ხელის შუათითზე იაფფასიანი, დიდი, შავი ბეჭედი უკეთია. საშუალო სიმაღლისაც არ არის, მაგრამ გამხდარია და თვალს ატყუებს. დაჭმუჭნილ, ნაყვავილარ სახეზე შორიდანაც კი აჩნია უშურველად მიყრილი პუდრი. შეთხელებული ჭაღარა თმა და მონაცრისფრო ბლანჟე (ულვაში გაპარსული აქვს) ბრიოლინით აუზიმზიმებია და განსაკუთრებით მაშინ, როცა მისასალმებელ ნახტომებს აკეთებს, სულო ცოდვილო, გაწვრთნილ თხას წააგავს.

ორკესტრს მოხდენილად ხელი აუქნია, სევდიანი ბლიუზის ხმაზე („ქარავანი მიდის“ ფრაკის ჯიბიდან შაქრის კვნიტა ამოიღო, ხელგაშლით შემოტრიალდა და თხას პირში ისე ოსტატურად მისცა ქრთამი, რომ ცირკის მაყურებელთაგან ნახევარსაც არ დაუნახავს. გაწვრთნილმა პირუტყვმა (თითქოს შაქარს ელოდაო) წინა ფეხები მანეჟის მოხავერდებულ რკალზე შეაწყო და მაყურებელთა ტაშის გრიალში, თავის კანტურითა და წვერის ცანცარით, თხისთვის საკმაოდ უხერხულ პოზაში, ერთი წრე დაარტყა. ევგენიმ თხას მეორე შაქრის ნატეხი დაახვედრა, მოწონების ნიშნად გავაზე ხელი დაჰკრა, მანეჟის შუაგულში შემოიყვანა და თვითონ ბედნიერი სახით მარჯვნივ გამხტარმა, ხელები გაშალა.

ორკესტრი ერთბაშად გაჩუმდა. მარტო მედოლე აგრიალებს თავის ინსტრუმენტს ველურთა როკვის რიტმით. ევგენიმ ტაბურეტი მაღლა ასწია, მაყურებელს დაანახვა, რომ ნამდვილად ტაბურეტი იყო (და არა საკერავი მანქანა), თხას წინ დაუდგა, ხელი დაჰკრა და იდუმალი ჩურჩულით რაღაც უთხრა. ტაბურეტზე შემხტარ თხას, რომელიც საცოდავად მოკეცილიყო და თავს ძლივს იმაგრებდა, ევგენიმ შაქრის კვნიტა მოუსვა

დრუნჩზე და სანამ ბიბლიური ცხოველი პირს აცმაცუნებდა, ერთხელ კიდევ გადახტა მარჯვნივ და ბილეთიან თუ უბილეთო მაყურებელს გულწრფელად მიესალმა.

დოლი კვლავ განაგრძობდა ბრაგუნს. ევგენიმ ალუმინის რგოლი აიღო, თხას მიუახლოვდა, დოლმა ხმას დაუწია, მწვრთნელმა მარცხენა ხელი შემართა, მარჯვენათი კი რგოლი ტაბურეტის გასწვრივ გააშეშა და, ისე რომ პირუტყვს და წინა რიგებში მსხდომთაც გაეგონათ, დაიძახა „პეპე!“ მაგრამ პეპეს რგოლში გახტომა არც უფიქრია, უფრო მეტიც, ტაბურეტიდან ჩამოხტა და კულისებისკენ გაიწია. ევგენი ლამაზი ნახტომებით წინ გადაუდგა გაურჩებულ ცხოველს. მედოლეს ნიშანი მისცა, შაქრის ორი კვნიტით კვლავ შეაბრუნა ტაბურეტზე თხა, კვლავ მიუტანა (ახლა უფრო ახლოს წვერებთან) ალუმინის რგოლი და წელანდელზე უფრო ალერსიანად თხოვა: „პეპე!“

პეპემ რგოლში გახტომაზე ამჯერადაც უარი განაცხადა, უბოდიშოდ გადმოხტა სკამიდან და მანეჟიდან მტკიცე გადაწყვეტილებით გაიქცა. ევგენი როდი დაიბნა, დაეწია, ზურგზე ხელი დაჰკრა თხას, შემოტრიალდა, ღიმილის ნიღაბი აიფარა, მარჯვნივ და მარცხნივ სალამი არ დაიშურა გაწბილებული მაყურებლისთვის და ლამის სისხლგამშრალი, ისე რომ მაყურებლისთვის ზურგი არ უჩვენებია, კულისებში დაბრუნდა.

კლოუნებმა უსიტყვოდ გააყოლეს სევდით სავსე თვალები. პროგრამის წამყვანსაც არაფერი უთქვამს. ასეთ დროს სიტყვები ზედმეტია.

ეს ამბავი კვირა დღეს მოხდა პირველ სპექტაკლზე, სამ საათზე კვლავ უნდა წარუდგნენ მაყურებელს. წარმოდგენა რომ დამთავრდა, ევგენიმ რეჟისორ-ინსპექტორს კლავდია ლეთოდიანს თხოვა; თუ შეიძლება სინათლე ჩამირთონ და მედოლე დარჩეს, თხასთან ცოტას წავიმუშავებო.

სანამ მაღლა ამოიყვანდა, ვეტექიმს მიჰგვარა. აწონეს, სიცხეც გაუზომეს. ჯანმრთელობის მხრივ პეპეს ყველაფერი რიგზე აღმოაჩნდა. რა ასაკის არის თქვენი თხაო, ექიმმა. სანამ ევგენი გონებაში პეპეს წლოვანებას დააზუსტებდა, თხის პირადი საქმე მოიტანეს: „ადრე გიფიქრია პენსიაში გასვლაზე, დაიკო. შვიდი წელი და სამი თვე სწორედ რომ ყვავილობის ასაკია თხისთვისო“ სწორე გავაზე ალერსით დაუსვა ხელი მკურნალ-

მა და შემოქმედებით ცხოვრებაში წარმატებები უსურვა. აქ, იქნებ არც იმის თქმა იყოს ზედმეტი, რომ თხამ მშვენივრად ისადილა. დიდი მჭამელი არასოდეს ყოფილა, აზიზი გახლდათ, მაგრამ იმ დღეს დაკონსერვებულ აკაციის ფოთოლს მადიანად შეექცა და ზედ ერთ ლიტრამდე გამოხდილ წყალში გახსნილი, ერბონარევი ქატოც დააყოლა.

რეპეტიციამ ჩვეულებრივად ჩაიარა. პეპემ შეუფერხებლად გაიარა მანეჟის რკალი. ტაბურეტზე მანამდე შეხტა, სანამ ევგენი ნიშანს მისცემდა და თუმცა უხალისოდ, მაგრამ პირველ ცდაზევე გახტა ალუმინის რგოლში. ევგენიმ თვით მიაცილა რკინის გისოსებიან საკნამდე ერთგული ცხოველი და რაკი დრო ისედაც ცოტა რჩებოდა, კონცერტის დაწყებამდე არ მოშორებია.

ევგენი ლოლაძე და მისი თხა კულისებში მაშინ გამოჩნდნენ, როცა მირგულინი მეოთხედ იღებდა ჯიბიდან კოვზებს და „ქუჩის მუსიკოსის“ სიჯიუტით გაოცებულ კლოუნ ადამიას ხელში აჩეჩებდა. ასე რომ, თურქმენ – ცხენოსანთა ნომერს არ შეესწრო პეპე და, აქედან გამომდინარე, სანერვიულოც არა ჰქონდა რა.

ორკესტრის ნაცნობი რიტმი, დიქტორის ტემპერამენტიანი ყვირილი ლაურეატისა და გაწვრთნილი თხის განუმეორებელი დუეტის თაობაზე და ევგენი და პეპე მანეჟზე არიან.

„სალამი ჭეშმარიტი ხელოვნების ყველა (შეგნებულ თუ შეუგნებელ) თაყვანისმცემელს! წავედით, ჩემო პეპე, ყოჩაღ, ჰა, შენ კიდევ შაქარი. აბა, მარდად, შენებურად, შეხტი ტაბურეტზე. ყოჩაღ, ჩემი გოგო, ჰა, კიდევ შაქარი. აბა, ჰე! ერთი ნაბიჯიღა გვრჩება. გვაჩქარებს ჩვენი მედოლე. ხომ გიყვარს მისი დოლის ბრაგუნი? ესეც ალუმინის რკალი, მოიცა უფრო ახლოს მოგიტან. დოლი ლამის გაჩუმდეს. ხელს არავინ გიშლის, ერთი, ორი და სამი, პეპე!“

პეპე კარგა ხანს უაზროდ იცქირებოდა ალუმინის რგოლში, ევგენიმ გადახტომის ნიშანი მისცა, ყურიც არ შეიბერტყა, მწვრთნელს ზურგი შეაქცია, სკამიდან მარდად ჩამოხტა და კულისებისკენ გაიქცა.

ექვს საათზე ცირკის ადმინისტრაციასა და მსახიობებს საკონფერენციო დარბაზში უხმეს. ევგენი ფიქრობდა, რომ ეს რიგგარეშე სხდომა გაწვრთნილი თხის ნომრის ორჯერ ჩავარდნის შემთხვევასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. ცირკის მთავარმა რეჟისორმა მოკლე შესავლის შემდეგ სიტყვა კლოუნ ადამიას მისცა. ადამია შორს და მაღლა, ცირკის თანამშრომელთა თავების გასწვრივ, კედლის საათს შესცქეროდა და მჭექარე ხმით ლაპარაკობდა. ცდილობდა ძველი ბერძენი ორატორებისთვის მიებაძა და გაქვავებული იდგა, წარბსაც კი არ ათამაშებდა.

მიტინგი რომ დამთავრდა, ევგენი ლოლაძემ თხას რქებში ღვედი ჩააბა და ცირკის ეზოში სასეირნოდ გაიყვანა.

ნოემბრის ცივი საღამო იყო. ქუჩებში დახვავებულ ჭადრის ფოთლებს უაზროდ და უმისამართოდ დააფრიალებდა. ქვევით, თანხმობის მოედანზე, თავისუფლების მემორიალის ირგვლივ მანქანები ულამაზეს ფოიერვერკებად ირწეოდნენ. პირდაპირ, მაღალი სახლის სახურავზე, თვალისმომჭრელად კაშკაშებდა მოწოდება: „დალიეთ ჩვენებური, მსოფლიოში საუკეთესო, გამაგრილებელი წყლები“.

ლაურეატს წვეროსანი პირუტყვი მოკლე საბლით ეჭირა, მაღალ ყელზე ხელს უსვამდა და ეჩურჩულებოდა, „პეპე, გამაგებინე, რაშია საქმე. რა ხდება შენს თავს. ასე ხომ არ შეიძლება, შე ქალო, არ გიჭირს შენ რგოლში გახტომა, რომ გიჭირდეს – სხვა ამბავია. ვიცი, არ გეხალისება, მეც ბევრი რამ არ მეხალისება, მაგრამ ვაკეთებ. მარტო შენდა სიამოვნებად კი არაა ეს ქვეყანა მომართული. ხანდახან უნდა დაჰყვე, მოვალეობაა, სამსახურია. უფიქრდები შენს საქციელს? იქნებ ჩემზე ხარ გაბრაზებული? მე მგონი, არაფერი დამიშავებია. თუ რამეში შევცდი, არ უნდა მაპატიო? მეტი არა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის? ამდენი ხანია ერთად ვართ. ახლა გაგიცივდა გული ჩემზე? ყველაფრის გარდა, ხომ არსებობს რაღაც კოლეგიალობის გრძნობა. ჩვენ შორის დარჩეს და, არა ხარ ცუდად შენ ამ ცირკში. მილიონობით თხა (და ბევრი მათგანი იქნებ შენზე ნაკლები კი არ იყოს) ახლა მსოფლიოში კლდეღრეებში ხტუნავს და მშიერ-მწყურვალი ღრანტეებზე სასწაულებრივად შერჩენილ ნეკერს აკნატუნებს. მორეკავენ საღამოს ფარეხებში და ძუძუების დაგლეჯამდე წველიან. არ არის ასე? შენ, საჭმელ-სასმელი თავის დროზე, დაბანა-სამუნელი თავის დროზე, უბატონოდ ხმას გცემს ვინმე? რა გაგიჭირდა კვირაში

ხუთჯერ ტაბურეტზე შეხტომა, შე კაი ქალო? ხათრის გულისთვის წყალში ჩადგება კაცი. რომ მთხოვო, ლომს შევუყოფ ხახაში თავს და შენ რგოლში გახტომაზე მეუბნები უარს? შეუცვლელი არავინ ვართ ამ ქვეყანაზე. მე შენ გეტყვი, გულს აიჩუყებს დარდით და თავს დადებს ვინმე ჩვენი გულისთვის. დაგვითხოვენ ცირკიდან და მართალიც იქნებიან. ვინ შეგინახავს ტყუილად. აბა, მეტი აღარ მანერვიულო, თუ ღმერთი გწამს. ერთ საათში ისევ მანეჟზე ვიქნებით, სირცხვილი არ მაჭამო, იცოდე. ეს საკოცნელი პირი სალანძღავად არ მიქციო. როგორც იცოდი, ყველაფერი, კარგად, ლამაზად, ისე გააკეთე და მე ვიცი შენი პატივისცემა. გესმის ჩემი?“

პეპე მდუმარედ შეჰყურებდა ფიჭვის ხეზე შეყუჟულ ბელურებს, რომლებიც თავიანთ ბელურულ ენაზე გაუთავებლად ჟივჟივებდნენ და ქარის გადმოგდებული პაწაწკინტელა პურის ნამცეცებისთვის შიგადაშიგ ერთმანეთს თავპირს ალეწავდნენ.

ორკესტრის დირიჟორს შეაგვიანდა და სანახაობა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. ქვევით, სამხეცეში, მიუხედავად დამლაგებელთა გულმოდგინე მცდელობისა, შარდისა და ოფლის სულისშემხუთავი სუნი იდგა და ევგენიმ თხა ადრევე აიყვანა მაღლა. ადგილკომის თავმჯდომარის კაბინეტს მიაყენა და სათვალიან ლიდერს თხოვა – თუ ძმა ხარ, ცოტა ხანს აქ იქნება; ნუ გეშინია, არაფერს პირს არ ახლებს, არ შეგაწუხებსო.

ცირკის ნაცადი მსახიობი ევგენი ლოლაძე ისე ღელავდა, როგორც მაშინ, ამ ხუთი წლის წინ, პირველად რომ შედგა ფეხი მანეჟზე. გაიხსენა თავისი გაუხარელი ბავშვობა. დედა – რომელიც არ ახსოვდა, რადგან მის მშობიარობას გადაჰყვა და გამზრდელი დეიდა სიყრმიდანვე მშობელი მამის სიძულვილს რომ უნერგავდა. მართალია, მამა დიდი პატივისცემის ღირსი არ იყო (ახალი ცოლ-შვილი ჰყავდა და ევგენის იშვიათად მოიკითხავდა), მაგრამ ყმაწვილს იგი მაინც უყვარდა იმ რიდიანი და ნაზი სიყვარულით, როგორც მოწიფულ ბიჭებს თავიანთი ურჩი, მკაცრი მამები უყვართ ხოლმე. მერე პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ოთხი კოშმარული წელი და ბურთულ-საკისრების ქარხანაში სტაჟის გულისთვის კურიერად მუშაობა, საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტის დრამატიზმით სავსე ცხოვრება და

სახელმწიფო კომისიის ალერსიანი თავმჯდომარე, სიხარულისგან პირგახეულს შრომის მასწავლებლის დიპლომი პირველმა რომ მიულოცა. ნაუცბათევი ქორწინება; სამსახურის ძებნისგან გაწამებული ლოლაძე ტროლეიბუსში შემთხვევით გადააწყდა მის თანაკურსელს, გამხდარ-გალეულ, ბეჯითსა და მუყაით გოგოს – ნინო სალუქვაძეს. გაირკვა, რომ ნინოც ამაოდ ტკეპნიდა სხვადასხვა სოლიდური დაწესებულების კიბეებს სამუშაოს საძებნელად, სულ სამად სამი გაჩერება დასჭირდათ ახალგაზრდებს მოსალაპარაკებლად და ისეთი სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად, ზოგიერთ ჩემს ნაცნობს მთელი ცხოვრება რომ ვერ გადაუწყვეტია. მეოთხე გაჩერებაზე, ტროლეიბუსიდან ჩასვლისას, ცოლ-ქმრობა გადაწყვეტილი ჰქონდათ. სოფელი, მამაპაპეული ფანჩატური და ბუხრის პირას გატარებული ტკბილი საღამოები ევგენისთვის კინაღამ სავალალოდ რომ დამთავრდა. მეძროხეობის ფერმის ინსტრუქტორ-მექანიზატორად შვიდიოდე თვის დანიშნული იყო ევგენი, მწყემსთა საერთო კრებაზე ფერმის გამგის მაქინაციები რომ ამხილა. ერთი კვირის შემდეგ რაიონმა ლოლაძის კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი შეამოწმა, როგორც სოფლის მეურნეობის არასპეციალისტი და „მოლაყბე“, იმ დღესვე გაანთავისუფლეს და საქმე პროკურატურას რომ არ გადასცეს, იმისთვის სულ მადლობა აძახებინეს. და ბოლოს, პეპე! ბატის ჭუკებისკენ გაშვერილ წკნელზე რომ გადახტა და იმედგადაწურული ცოლ-ქმარი ისევ ქალაქისკენ რომ შემოაბრუნა.

მოგონებების ოცი წუთი თვალის დახამხამებაში გავიდა. თავისი რთული, ინტელექტუალური საქმით გართული ადგილკომის თავმჯდომარისთვის მადლობაც კი არ უთქვამს, თხა კულისებისკენ გამოარბენინა და პროგრამის წამყვანმა „საუკუნის სასწაული“ რომ გამოაცხადა, ევგენი და მისი კოლეგა, რომ იტყვიან, ტრამპლინზე იდგნენ. მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატმა კულისებს თვალი მოავლო. დაინტერესებულ პირთა სიმრავლე ცუდად ენიშნა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. კლავდია ლეთოდიანს გვერდით სამხატვრო საბჭოს ის წევრი ედგა, გუშინწინ აკრობატმა ელა ხმელნიცკაიამ საჯაროდ რომ გალანძღა, პატიოსან ქალს მავიწროებს და საყვარლობას მთავაზობსო; სახანძრო ინვენტარის კუთხეში

კლოუნ ადამიას შეშფოთებულ სახეს წააწყდა. ადამიამ გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. „ღმერთო, მიშველე“, ჩაილაპარაკა ევგენიმ, პეპეს ზურგზე მსუბუქად დაჰკრა ხელი და ორკესტრის გრიალში სცენაზე უბედნიერესი კაცის იერით შეფრინდა.

თხამ მანეჟის რკალი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად შემოირბინა, ვიწრო ფიცარნაგიდან მოხდენილად შეხტა ტაბურეტზე, მაგრამ შავფრაკიანი მწვრთნელი ალუმინის რგოლით ხელში რომ შემოტრიალდა, პირუტყვი სკამზე აღარ დახვდა. ევგენის ცრემლი მოაწვა ყელში. ორკესტრს ანიშნა, ერთხელ კიდევ დაუკარითო. თხა მანეჟზე შემოაბრუნა, ნერვები, როგორც შეძლო, დაიოკა და ნომრის გამეორება სცადა, მაგრამ ამჯერად ამაოდ გაისარჯა. პეპე არათუ არ გადახტა, ტაბურეტსაც არ გაეკარა, მანეჟს შემოურბინა თუ არა, ევგენისთვის ზედაც არ შეუხედავს, კულისებისკენ ოთხით გაექანა.

აღარ ახსოვს, როგორ მივიდა თავის საგრიმიორო ოთახამდე. გაიხადა და მოისროლა ფრაკი, ვაზელინიანი ბამბით სწრაფად შეიწმინდა სახე და დაღვრემილმა გაიარა ცირკის მსახიობებით სავსე ვესტიბიული. კაციშვილს სიტყვა არ უთქვამს. რეჟისორ-ინსპექტორი კლავდია ლეთოდიანი კარში შეეფეთა, მაგრამ ამ ტაქტიანმა ქალმა გვერდზე გაიხედა, აქაოდა, ვერ შევამჩნიეო.

ორშაბათს, თუ რაიმე საგანგებო შემთხვევა არ მოხდა, საბჭოთა კავშირში ცირკი ისვენებს.

მსახიობები ქალაქგარეთ მიეშურებიან და თავიანთ საბოსტნე მიწის ნაკვეთებზე ჩირთიფირთობენ, ცირკის მთავარი რეჟისორი და ადგილკომის თავმჯდომარე აქტივის კრებას ესწრებიან, ხოლო გაწვრთნილი ცხოველები, წინა თათებზე თავდაყრდნობილები, თავიანთ მეტ-ნაკლებად აქოთებულ გალიებში თვლემენ.

ევგენი ლოლაძეს საბოსტნე ნაკვეთი არ გააჩნდა და რომც ჰქონოდა, ამ ორშაბათს მაინც არ წავიდოდა, რადგანაც, პეპეს გადამკიდე, ფრიად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო.

არ იცოდა, რას უქადდა ბედი საათივით აწყობილ მის ცხოვრებას.

შინ ვერ მოისვენა. მეუღლისთვის გუშინდელი ამბავი არ გაუმხელია. ნინო შეშფოთდებოდა, ითავცემებდა და საქმეს მაინც ვერ უშველიდა.

რომ ჩაიცვა და კარისკენ გაემართა, ცოლმა მხოლოდ თვალი გააყოლა. არც კი უკითხავს, სად მიდიხარო. ნინომ იცოდა, რომ მისი ქმარი, ზოგიერთივით, საღლაბუცოდ და სამაიმუნოდ, დასვენების დღეს, სახლიდან არ გავიდოდა.

ცირკის დარაჯად იმჟამად ამ ცირკისვე ყოფილი ავტობუსის მძღოლი მუშაობდა. ევგენის როგორ არ იცნობდა, მაგრამ კატეგორიული უარი სტკიცა – ცხოველებთან ვერ დაგიშვებ, გამოსასვლელი დღეა და უფლება არა მაქვსო.

არასოდეს მოხვედრია ყურში ასე უხეშად ლაურეატს „გამოსასვლელი დღე“. რა უბედურებაა, რას ვუშვრებით ჩვენს ენასო. ეს თარგმნილი, ხელოვნური სიტყვა რა ჯანდაბად გვინდა, როცა „უქმი დღე“ ან „დასვენების დღე“ გვაქვს ლექსიკონშიო.

ცირკში მაინც იოლად შეაღწია. ლოლაძემ იცოდა, რომ დარაჯი სვამდა. რაც საჭეს მოშორდა და პენსიაში გავიდა, ფხიზელი არავის უნახავს. შოფრობის გამო ახალგაზრდობაში თუ რამე დაიკლო, ახლა, ამ სიბერეში ინაზღაურებდა. ერთ ლიტრს არაყს რომ უფეშქაშებდი, თხას კი არა, ლომს გაგატანდა გალიიდან (რასაკვირველია, თუ არ დაიშლიდი ცხოველთა მეფესთან ურთიერთობის გარკვევას).

არაყი რომ მისად დაიგულა, ულვაშცოცხიანმა დარაჯმა მსახიობს გასაღებების შეკვრა გადაუგდო და გულწრფელად თხოვა: თუ ძმა ხარ, გამოსვლის დროს კარი გამოიხურე, შარს რასმე არ გადამკიდოო.

სარეპეტიციო დარბაზი დაკავებული დახვვდა. მასავით ერთ ბოთლ არაყად შემოსული ქალაქის ბიჭები მინი ფეხბურთს თამაშობდნენ. დარაჯს მანეჟის კარი გააღებინა და თუმცა სინათლე ვერ ჩართეს (ცირკის მეხანძრეს კვირა საღამოს, უსაფრთხოების მიზნით, ელექტროაღმრიცხველის ავტომატური დამცველები შინ მიჰქონდა), მანეჟს სარკმლის ციაგი იმდენად მაინც ჰყოფნიდა, რომ ევგენის და პეპეს ერთმანეთი დაენახათ.

ტაბურეტის, ფიცარნაგისა და ალუმინის რგოლის მოტანაზე დარაჯი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, მაგრამ ბოლოს (მეტი რა გზა ჰქონდა!) მაინც გააღო სარეკვიზიტო ოთახი და „გაწვრთნილი თხის“ რეკვიზიტს ლევიცკის „გადასასვლელი კიბეც“ გამოაყოლა.

სანამ კარგად არ ჩამობნელდა, ევგენი და მისი თხა მანეჟს არ მოშორებიან. არც მწვრთნელს ჩასვლია მთელი დღის გან-

მავლობაში პირში ლუკმა და არც პეპეს გაუსველებია ყელი.

რეპეტიციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. პეპე უშაქროდაც მშვენივრად დგებოდა ორ ფეხზე, გარს უვლიდა მანეჟს, ფრთხილად, ოსტატურად გადიოდა ფიცარნაგზე, თავს მშვენივრად იკავებდა ტაბურეტზე და შველივით ხტებოდა ალუმინის რგოლში.

ბოლოს თხა დაიღალა, ქელავდა, ენაც კი გადმოაგდო და პირზე დუჟი მოადგა. მაგრამ ევგენი არ ეშვებოდა. უთვალავჯერ გაამეორებინა ნომერი და, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ მაშინ ჩაიყვანა პეპე ქვევით, როცა ცირკში უკუნი ღამე ჩამოწვა.

დარაჯს ტყაპუჭი წაეხურა და ულეიბო ფიცარნაგზე ღრმად ეძინა. „ნეტავ, შენს ხასიათს“, შენატრა ლაურეატმა უსახმილო ყარაულს, გასაღებთა გროვა თავთით დაუდო და კარი გამოიხურა.

დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მიათრევდა, მაგრამ სახეზე ღიმილი ეხატა, ნასიამოვნები მიდიოდა შინ. პეპე წუთითაც არ შეფერხებულა, რგოლში გახტომაზე არც ერთხელ უარი არ უთქვამს და ხვალ რა ღმერთი გაუწყრებოდა.

...თურქმენებმა ზათქითა და ყივილით გადიგრიალეს მანეჟზე. მირგულინმა და ადამიამ კოვზების ნომერი არაჩვეულებრივი აღმავლობით ჩაატარეს. კულისებში გამოსვლისას მირგულინმა (ჩვენ შორის დარჩეს და, შეზარხოშებული გახლდათ) გამხნევების ჩვეული რიგი დაარღვია; ამჯერად ლაურეატს მხარზე ხელი დაჰკრა. ხოლო პეპეს ნესტოებთან, ზედ ნაცრისფერ დრუნჩზე აკოცა. პროგრამის წამყვანმა საუკუნის სასწაულს ნახავთო, ორჯერ გაიმეორა და ცირკის მსახიობთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი წვითა და დაგვით გაწვრთნილ თხასთან ერთად მანეჟზე გაჩნდა.

მისალმება და მანეჟის რკალის დალაშქვრა პეპემ ისე მოხდენილად ჩაატარა, რომ ევგენს აფართხალებული გული საგულეს ჩაუდგა, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა მისი სიხარული. თხამ ტაბურეტს ერთბაშად შეაქცია ზურგი (ზედ არც შემხტარა.) და თითქოს სადღაც ეჩქარებაო, კულისებისკენ მოკურცხლა.

ორკესტრი ისევ ახმიანდა. მირგულინმა და ადამიამ რქები კინაღამ დაამტვრიეს გაურჩებულ პირუტყვს და გაფითრებულ ლოლაძეს მანეჟზე შეუგდეს, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. პეპემ მანეჟს ბოლომდეც კი არ შემოურბინა, კულისებს რომ

გაუსწორდა, ერთი მოხედა მისკენ ხელგაშვერილ მწვრთნელს და გაიქცა.

თხის პროტესტს წყალი აღარ გაუვიდოდა.

მეორე დღეს ევგენი ლოლაძეს ცირკის მთავარ რეჟისორთან უხმეს.

მაგიდას ორნი უსხდნენ. მთავარ რეჟისორს შეწუხებული სახე, მაგრამ ხელმძღვანელი ამხანაგის კატეგორიული კილო ჰქონდა.

– რა მოუვიდა თქვენ თხას? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ცირკის ხელმძღვანელი.

– რა მოგახსენოთ, – თავი ჩაჰკიდა ლოლაძემ.

– ფიზიოლოგიური ცვლილებები ხომ არ ჩანს?

– ბატონო? – ყურს ხელი მიახმარა თხის მწვრთნელმა.

– მაკედ ხომ არ არის?

– არა, – მტკიცედ უპასუხა ევგენმა. ყველა-ყველა და ამ საკითხში ღრმად იყო დარწმუნებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცირკში ვაცი არ მოიძებნებოდა.

– ავადმყოფობას გამორიცხავთ? – მთავარი რეჟისორი ქაღალდზე ქართულად ხელმოწერაში ვარჯიშობდა.

– ექიმმა გასინჯა. ავად არ არის.

– რჩება ყველაზე უიმედო მიზეზი: მოსწყინდა. რაღაც გამოგვრჩა მხედველობიდან. რაღაცით გავანაწყენეთ. იგი ცირკს აღარასოდეს დაუბრუნდება. გამოცდილია ეგ ამბავი, ევგენი ბატონო.

– ვიცი, – მძიმედ, თავაუწევლად უპასუხა ლოლაძემ.

– ახლა რას იზამთ? ღმერთმა იცის, თქვენი წასვლა არ მინდა ცირკიდან.

– სხვა გზა არა მაქვს. რა უნდა ვაკეთო?

– იქნებ სხვა თხა გაგეწვრთნათ? – მთავარმა რეჟისორმა შესანიშნავად იცოდა, რომ გასაწვრთნელად და ცირკში გამოსაყვანად თხა (კატასთან ერთად) ძნელად აღსაზრდელ ცხოველთა რიცხვს განეკუთვნება.

– არა ბატონო, ვეღარ შევძლებ.

– თქვენი პირადი საქმე გადავათვალიერე. საპენსიო ასაკიც არა გაქვთ. იქნებ ასისტენტად გადაგიყვანოთ ლომების მომთვინიერებელთან. იქ ერთი ასისტენტი ვერ აუდის საქმეს.

– მადლობელი ვარ, ლომებს ვერ ვიტანი.

– ?!

– ალერგიული გახლავართ, ლომის სუნი ცუდად მოქმედებს.

სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე განცხადებას რომ წერდა, ერთი ფიქრი აეკვიატა: „რა ჭკუაზე ვიყავი ამ ხუთი წლის წინათ, ეს კიბე რომ ამოვიარე. რატომ არ შემხვდა ვინმე ხეირიანი, ყური რომ აეხია ჩემთვის. რა მინდოდა ცირკში. კიდევ კარგი, დროზე გავასწარი აქედან. მეტი სისულელე იქნება? რატომ უნდა იყოს ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ბედი იმაზე დამოკიდებული, ეს უტვინო თხა მოისურვებს თუ არა რგოლში გახტომას? წავალ სადმე და რაც ვარ, ის ვიქნები. რაც შემიძლია, იმას გავაკეთებ, რქებიან ასისტენტს ელაპარაკა შავი ტიფა. კაცი არ გინდობს ხანდახან დღეს და თხა დაგინდობს? თხის იმედზე დადგა ჩემი მტერი“.

დეზერტირის ბაზრის ქვემოთ, ხორცის ფარდულთან გოჭებს და ინდაურებს რომ ყიდიან, დაბალი ტანის გამხდარი კაცი თხას ჰყიდდა.

მუშტრები თავს აბეზრებდნენ. ეკითხებოდნენ, სადაური თხააო, რამდენს იწველისო, რა ხნის არისო. დოლგამცდენი ხომ არ არისო, ავადმყოფობა ხომ არაფერი აქვს გადატანილიო.

ძვირს არ აფასებდა. უნდოდა ჩქარა დაეცალა ხელი, მაგრამ გულით მყიდველი არ ჩანდა. ზოგი ყასიდად შეაძლევდა იმის ნახევარს, რასაც პატრონი აფასებდა. ზოგს უბრალოდ ენა ექავებოდა, თხა სულაც რომ გეჩუქებინა, წამყვანი არ იყო.

ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათი იყო. საღამომდე თხა უსათუოდ გაიყიდებოდა.

ევგენის უხაროდა, რომ ამხელა ბაზარში ცირკის მსახიობთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ვერავინ იცნო.

თხა? თხას, მით უმეტეს, ვინ იცნობდა.

საერთოდ, თხები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან.

ქარი, ქარი, ქარი...

შეზარხოშებულ კაცს რომ ძალად სერიოზული სახე აქვს, გამწყრალი კაცის ნიღბით რომ ფარავს სიმთრავლეს, ცუდი სიტყვა არავინ მკადროსო და ირგვლივ მყოფთ ზედაც რომ არ უყურებს, ხომ გინახავთ? სწორედ ასეთი სახით შემოვიდა სინათლის წრეში მაღალი, ცხვირპაჭუა, ქერა, გამხდარი კაცი და შორიახლო, თავისუფალ შეზლონგთან გაჩერდა. ჩემ გვერდით მზეს მიფიცხებული, იაპონურქუდიანი კაცის ხანშიშესულმა ცოლმა თადარიგი დაიჭირა; ქმრის ნიფხავს სტაცა ხელი და შეზლონგზე მოისროლა. აქაოდა, ნურას უკაცრავად, ორივე საწოლი დაკავებული გვაქვსო.

ზღვაზე, რასაკვირველია, ტევა არ იყო.

ახალმოსული ყურადღებას არავის აქცევდა, გაქვავებული სახით ზღვას შესცქეროდა, იღლიაში ამოჩრილი, გაზეთში გახვეული ნივთი ერთგულად ეჭირა, ხელები მკერდთან ჩაემწყვდია და პირმოკუმული, ფეხებგაფარჩხული (ნიავზე ლერწამივით ქანაობა რომ არ დაეწყო) საიმედოდ იდგა.

კარგა ხნის შემდეგ შეზლონგს ერთი მოხედა. პრეტენზიული კაცი არ გახლდათ და ხის ნარის ძებნა არ დაუწყია, სადაც იდგა, იქვე გაიხადა, გახდის დროს ზღვას თვალს არ აცილებდა, უწესრიგოდ მიყრილ ტანსაცმელს რამდენიმე კენჭი დაადო და ზღვისკენ გასწია, მხრებში ისე იყო აწურული, რომ ბეჭები თავს ლამის ასცილებოდნენ, გასაფრენად გამზადებულ მიმინოს ჰგავდა, რაღაც ჩაიბუტბუტა, ერთბაშად მოსწყდა ადგილს და წყალში შედგაფუნდა, ეტყობა გრილი ზღვა ესიამოვნა, ასეთი მხარული მხოლოდ დიდი მდინარის პირას დაბადებულებმა იციან. იგი სპორტული თვალსაზრისით დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ სანახავად ბრასის სტილზე უფრო ლამაზი გახლავთ.

გუშინ მთელი დღე წვიმდა. ზღვა ჯერაც არ დამცხრალა, მოსამკალი პურისხელა ტალღებს მოაგორებს და თეთრი ქაფით მოუწყენლად ფერავს ნაპირს.

შორს შესცურა. წყალთან შეთამამებული ჩანს. ტალღას ხან თავზე მოექცევა, ხანაც ხელწაწვდილი გაუწვება და მკერდზე გადაივლებს, ზვირთებში საეჭვოდ დიდხანს რომ გაუჩინარდა, ჩემს მეზობელს გულმა არ მოუთმინა და მშველელ-მეთვალყურესთან გაიქცა.

მშველელს არც ამჯერად გაუხდია თავისი განუყრელი თეთრი შარვალი და ალუბლისფერი კვართი, ხვეწნა-მუდარით დაიყოლია „გართული“ მოქალაქე და ნაპირისაკენ აქნევინა პირი.

უფრო მეტად აღმოჩნდა მთვრალი, ვიდრე ჩვენ გვეგონა,

მოვიდა და იპონურქუდიანის შეზლონგის კიდეზე ჩამოჯდა, ჩქარა სუნქავდა და ციებიანივით ცახცახებდა, წაწვეტებული ბეჭები და დაკუნთული ზურგი ისე მჭიდროდ შემოჯდომოდნენ გულმკერდს, რომ უკნიდან რომ შეხედავდი, კუ გაგახსენდებოდათ.

ზღვას მიჭიჭინებული, ბატის ჭუკის ღინღლივით ყვითელ და სიფრიფანა თმებზე უდიერად ჩამოისვამდა ხელს, ძლივს-გასაგონად გაგზავნიდა ვიღაცას ჯანდაბის იქით და სახლდამწვარივით ამოიოხრებდა.

ბოლოს და ბოლოს, ცოტათი რომ დამშვიდდა, ცოლ-ქმარს გადახედა. წამოდგა და გაიარ-გამოიარა, ეტყობოდა, ეს ადგილი მაინცდამაინც არ მოსწონდა, მიდგა-მოდგა, ერთი პირობა მეც მომაჩერდა, მაგრამ არც მე მოვუვედი თვალში. ისევ ძველ ადგილას ჩამოჯდა და პირაღმამწოლ იაპონურქუდიანს, რომლის ცისფერი თვალების, კუპრივით შავი თმისა და თეთრი პირისკანის მიხედვით მის სადაურობას ვერა და ვერ გაარკვევდით, გამეტებით ჩასძახა:

– რას იზამ, რა შენი ბრალია, შენ ხომ სხვანაირად არ შეგიძლია, ასე გაგზარდეს. სისხლში გაქვს უკვე სიავე გადასული!

ცისფერთვალებიანი წამოჯდა, ხელები უკან დაიბიჯგა და დაუპატიჟებელ მოქადაგეს პირდაღებული მიაჩერდა.

– რას მიყურებ, შენ სხვანაირად ხომ არ შეგიძლია. ასე მიგაჩვიეს, ყოფის ცერბერად მოგამზადეს, შენთვის არ უსწავლებიათ, რომ არსებობს რომანტიკა, არსებობს წუთები იმ ბაწრის მიღმა რომ გექაჩება ზოგჯერ, ჩვენს ცხოვრებას ჩვენ თვითონვე რომ შემოვავლეთ, ამიტომ შენ – ფხიზელი

მო-ქა-ლა-ქე მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყო, კაცმა გაზონის ყვავილი მოწყვიტა, კაცმა წითელ შუქზე გაიარა, კაცმა ავტობუსში გააბოლა, კაცმა ბაირაღს იქეთ გასცურა – დაიქცა ქვეყანა! შენ მაშინვე მილიციას უნდა აცნობო, აბა რა. ეს შენი მო-ქა-ლა-ქეობ-რი-ვი ვალია!

– კი მაგრამ, თქვენ... – სიტყვებს ეძებდა ჩემი მეზობელი.

– ვალოდია! – კატეგორიული ტონით უთხრა მეუღლემ და იაპონურქუდიანი მაშინვე დადუმდა. დიდი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ ცოლდ-ქმარს შორის ჩნდება გაგებინების ახალი საშუალება, რომელსაც პირობითად მინიშნებითი ენა შეიძლება დავარქვათ, ეს ენა მხოლოდ და მხოლოდ ცოლ-ქმარს ესმის. აქ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, იგი ხშირად მთელ ფრაზასაც კი გამოხატავს. მაგალითად, ამ შემთხვევაში ცოლის მიერ კატეგორიულად ნათქვამი „ვალოდია“ ალბათ ნიშნავდა: „რას ელაპარაკები, ხომ ხედავ მთვრალია, ჩხუბი და კამათი გვინდა ახლა ჩვენ? ადექი და გაერიდე. რომ აღარ დაგინახავს, სხვას დაუწყებს ჭკუის დარიგებას, მთვრალია ახლა ეგ და ხომ ხედავ, ენა ექავება“.

სანამ მთვრალი ქაქანებდა, ვალოდია შეუმჩნევლად გაიპარა და ჩვენ უკან, ერთადერთ თავისუფალ საწოლზე თავდაღმა გაიშოტა.

კარგა ხანს ილაპარაკა „რომანტიკის მოყვარულმა“ მოქალაქემ, ჩემთვისო, გაპარულ თანამოსაუბრეს უმტკიცებდა, ზღვა სულ სხვა რამეა, შენ ამას ვერ მიხვდებიო. სამი ათასი კილომეტრიდან იმიტომ კი არ ჩამოვსულვარ, წყალში შესვლას შენ მიშლიდეო. მამასისხლად მაქვს ნაყიდი ეს ზღვა. ეს სიამოვნება, ამათსავით (ჩვენკენ მოათითა) ნაქურდალი ფულით კი არ ჩამოვსულვარო. ესენი მშვიდად იმიტომ წვანან მხართეძოზე, რომ არსად ეჩქარებათ, მე კი დღეს უკანასკნელი თუმნიანი დავახურდავე და ხვალ თუ არ მოვუსვი აქედან, შიმშილი მელისო, დახედე ჩემს ხელებს და დარწმუნდები, რა კაცი ვარ მეო.

მაგრამ „ხელებზე დამხედავი“ ადგილზე რომ არ აღმოჩნდა, კაცი – მიმინო ერთბაშად დადუმდა, სასოწარკვეთით მიმოიხედა, წამოხტა და ყავისფერ ზურგებს შეერია. მალე იპოვა

კიდეც, ვისაც ეძებდა, უცერემონიოდ ჩამოუჯდა შეზლონგზე და მთვრალი კაცის ლუღლუღით აუწყა:

– ზღვის ფასი შენისთანებმა არ იციან. შენ ისეთი სახე გაქვს, რომ ერთხელაც არ აგირევია შენს ცხოვრებაში. კარგია ხომ მუდამდღე ახალი წინდა, რძიანი კაკაო, დილის პრესა, განტვირთვის დღე კვირაში ერთხელ, კარგია ხომ, კარგი ცხოვრება? არ დაიჯერო, ეგ ამბავი. მოტყუებული კაცი ხარ შენ. ზღვაში შეეედი ცოტა ნასვამი, იცი, რა არის ეეს? არ იცი! ეჭიდავები ტალღებს, გეფერება ზღვა, ტანზე თავის ლურჯ ხელებს გხვევს და იღლიაში გიღიტინებს, დავმხრჩვალიყავ თუნდაც, დაიქცეოდა ქვეყანა? ვინ დაგარწმუნა შენ, ასეთ სიკვდილს, ზღვის თბილ ტალღებში სამუდამო მიძინებას, ათი წლის მერე ინფარქტიანი კაცის ღამის ქოთანზე ჯდომისას სიკვდილი სჯობია? ვინ დაამტკიცა ეს?

– ღმერთი არ გკლავს ჯერ და ძალით იკლავ თავს? – ცას უთხრა იაპონურქუდიანმა.

– ვალოდია! – წეღანდელზე უფრო კატეგორიულად განუცხადა მეუღლემ.

ვალოდია წამოდგა, ბეჭებზე პირსახოცი დაიფინა. გამობრუნდა და მეუღლის გვერდით მორჩილად წამოწვა.

მთვრალი, რასაკვირველია, თან მიჰყვა.

– შენ ჩემი სიყვარულით არ მოგსვლია ეგ სიავე. სიამოვნებით გამგზავნიდი ახლა ცხრა ზღვის იქეთ, რომ შეგეძლოს, შენ გული დაგწყდა უბრალოდ. რანაირად ხდება ეს ამბავი: კაცი თავისუფლად დანავარდობს ზღვის ტალღებში, ვინ მისცა ამის უფლებაო?! ჩემი თავისუფლება გაგიკვირდა და შეგეხარბა. ცოტა არ იყოს, ამიტომაც უხმე მ-შ-ვ-ე-ლ-ე-ლ-ს! რატომაც გინდოდა ჩემი გადარჩენა, ხომ ვიცი მე. რომ დავიხრჩობოდი, აქ არეულობა შეიქმნებოდა, ხალახი გაიქცგამოიქცეოდა, სასწრაფო დახმარება და მილიცია გაჩნდებოდა, არ გიყვარს მწუხარე სურათების ნახვა, გუნების გაფუჭებას მოერიდე, თორემ ჩემი სიყვარულით არ იკლავ თავს, მაინცდამაინც, ხომ ვიცი მე, ფეხებზე გკიდივარ, მორჩა და გათავდა, დიდი ზღვარია ჩვენ შორის, შენ სულ სხვა ადამიანი ხარ. სხვა ადამიანები გაჩნდით, სხვა კვერცხიდან გამოიჩეკეთ.

ამ ათასკაციან პლაჟზე უსაშველოდ ბევრნი ხართ თქვენ, ბევრნი ხართ და ძალიანაც გვავიწროვებთ. ამოგვივედით ყელში უკვე, სიმართლე თუ გინდა, ეს არის!..

– ჩადი ბატონო, ასემც გიქნია, ისე „გიბანავია“ რომ შენი ბურდღა ვერ ეპოვოთ! – მოთმინების ფიალა აევსო ვალოდიას.

– ვალოდია! – დაუყვირა ცოლმა.

ვალოდიამ იაპონური ქუდი მოიხადა, კენჭებზე მოისროლა, ფეხსაცმელებს წვდა და ცოლს უჩურჩულა:

– ჩაიცვი! წავიდეთ აქედან.

მთვრალი მოქალაქე კვლავ ქაქანებდა, ცოლ-ქმარი მისი ქადაგების აკომპანემენტზე გამალებით იცვამდა, გასასვლელამდე მისდია ლურჯი ზღვის მოყვარულმა თითქმის სირბილით მიმავალთ, კართან გამეტებით რაღაც ჩასძახა ორივეს, პასუხად მეუღლენი ერთბაშად შემოტრიალდნენ და არამკითხე დამრიგებელს ენა გამოუყვეს.

ცოტა ხანს უმიზნოდ იჯდა ვალოდიაც შეზლონგზე და ზღვას გაჰყურებდა, ბოლოს წამოდგა, ფეხზე ჩაიცვა, ტანსაცმელი იღლიაში ამოიჩარა და პლაჟს ჩაუყვა. მიდიოდა წელში წახრილი, ბარბაცით, მაგრამ ჯიუტად და საქმიანად.

*

სამი საათის შემდეგ ისევ გამოჩნდა.

ნეპტუნის დღესასწაულის აურზაურში მოხვედრილიყო, ოთხ „ზღვის ლომზე“ ამხედრებული „ურა, ურას“ ყვირილით მოარღვევდა ნაპირს.

უკან ცისფერი ტახტრევანით წვეროსანი ნეპტუნი მოჰყავდათ.

ირგვლივ სირინოზები, ორფეხა მედუზები, ზღვის ანგელოზები და ეშმაკები დაშლიგინებდნენ.

ასარჩევი

პანღური 5
ნამუსის ქუდი 18
თარჯიმანი 28
გზა 38
ქვევრი 47
ურჩი 54
ყაყანი 60
ფათუშა 74
ნადია 81
პანაშვიდი 91
ზარი 97
სპირიდონი 107
მწვრთნელი 116
ნადირობა 119
სტუმარი 131
დარდი 143
გუჯუ 150
ქველი 157
ლუიზა 177
ურო 189
თვითმკვლელობა 199
მამა 211
ამკლები 223
ვისი იყო გზა... 234
ჟურნალისტი 244
ტვირთი 253
წილი 270
ბაგრატის ტაძარი 278

ხიტია 287
გალიაში რომ გაგზარდე... 293
ალალი 300
დალაქი 307
მაყვალა 315
უბრალონი?! 322
არული 337
მთხოვნელი 346
მომენტი 352
ღორის რძე 359
ნუნუ 365
სევდა 372
ნემსი 379
ტკივილი 385
მეშუშე 397
მერე? 405
ქუთაისია, ბიძია, ეს 413
მგზავრი 420
ნაბიჯი 427
ქურდი 433
იმედო 439
ენუქი 447
ყვავები 456
პეპე 460
ქარი, ქარი, ქარი... 473

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ IV

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012